

უკრაინული მუსიკა



გაერთიანებული „საბჭოთა საქართველო“
ტიპოგრაფია — 1928

„არმალანის“ მეოთხე წიგნში წარმოდგენილია ძირითადად მახლობელი აღმოსავლეთის ხალხთა ლიტერატურის ნიმუშები.

კრებულში შესული ყველა ძეგლი უშუალოდ ორიგინალიდან არის თარგმნილი და პირველად ქვეყნდება.

შ ე მ დ გ ე ნ ე ლ ი მ ა გ ა ლ ი თ ი ო დ ე ა

4701000000 — 065
A — ————— — 318—88
M 601 (08)-88

© ქართული თარგმანი, „საბჭოთა საქართველო“
თბილისი, 1988

ISBN 5—529—00063—0 (კმ. IV)
ISBN 5 — 529—00062 — 2

ინდუკი დივიკაჟია

რიბვილა

რაგველა! („კიმნთა ცოდნა“) ინდური კულტურის უძველესი ძეგლია. შედგენილია დაახლოებით სამი ათასი წლის წინათ და წარმოადგენს ძველი ინდური ღვთაებები-ადმი მძღუნელი პომნების კრებულს, რომლებიც მსხვერპლშეწირვის დროს სრულდებოდა.

1. მ2. ინდრას2

1. ინდრას გმირობა მსურს განვადიდო,
პირველი საქმე გურზოსანისა.
ვით მოკლა გველი, გაუშვა წყლები
და გაარღვია წიაღნი მთათა.
2. მოსრა ურჩხული მთას მოთარეშე
ტვაშტარის მიერ გათლლი გურზით
და ისწრაფვიან ზღვისაკენ წყლები.
როგორც ფურები თავის ხბორებთან.
3. ვით დაეწაფა ხარივით სომას
ორგზის გაწურულს, ტრიკადრუჯაზე,
უხვმა ხელთ გურზი ვითარ იტაცა,
სცა გველთა პირმშოს და მოაკვდინა.
4. ინდრავ, როს მოჰკალ პირმშო ურჩხულთა,
შენ ყველა გრძნეულს აჯობე გრძნებით,
მზე საჩინო ჰყავ. ცა და ცისკარი
და არვინ იყო მეტოქე შენი.

5. უმხრო, ურჩხული ურჩხულთა შორის
დაამხო ინდრამ დიდებულ გურზით,
ვითა ხის ღერო ტოტიამოთლილი,
მიწას განართხო წამს გველესაჲი.
6. მან, ვითა მთვრალმა, ავმა მებრძოლმა,
აწვია გმირი სომაშესმული,
მტერმა აბჯარი ამოდ სცადა,
ცხვირჩამტვრეული ძირს დასცა ინდრამ.
7. კვლავ, უხელფეხოც ებრძოდა ინდრას,
მაგრამ კეფაში მოარტყა გურზი
და მხდალი ვრიტრა, ხარობის მდომი,
განართხა მიწას ტანგაგლეჯილი.
8. დაგდებულ ვრიტრას, ვით მოკრილ ლერწამს,
ევლება მანუს მჩქეფარე წყლები
და შემბოკველი დინების მათის
ამხვია გველი დღეს იმათ ფერხთით.
9. უკვე სულს დაფავს ვრიტრას მშობელიც.—
სცა სასიკვდილო ლახვარი ინდრამ.
ქვევით შვილია, ზემოდან დედა,
წევს დანუ ისე, ვით ზბოსთან ძროხა.
10. კავლთა ჩქერებით დაუდრგომელით,
დაფარულია ვრიტრას სხეული,
სასირცხოს მისას განბანენ წყლები,
უკუნმა დანთქა მაგჰავას მტერი.
11. დასათ ცოლები — გველის ტყვე წყლები,
იდგნენ ვით ფურნი, პანის პურობილნი,
ვზა გასასვლელი მათი, დახშული,
გაუხსნა ინდრამ ურჩხულის მოკვლით.
12. შენ ცხენის ძუად იქეცი მაშინ,
როს ჯკეს კბილებში, ლმერთო და გმირო,
ჩუფლუე ძროხებს, ეწაფე სომას
და შეიღ ნაკადად აღინე წყლებიც.

13. მას ვერ უშველა ელვამ და ჰექამ,
ვერცა აძეხან სეტყვის და წვიმის,
ოდეს შეიბნენ ინდრა და გველი
მაგჰავამ სძლია სამარადეამოდ.
14. ვინ მოგეჩვენა შურისმგებელად?
მკვლელს გულში ვისი აღგეძრა შიში?
როს გადაეველე ოთხმოცდაცხრამეტს
ნაკადს, დამფრთხალი არწივის დარად.
15. ინდრა მეუფე უძრავ-მოდრავის,
რქიანთ და ურქოთ, ხელგურზოსანი,
ვითა ხელმწიფე განაგებს ხალხებს,
ვით ბორბლის სალტე; გარს ერტყმის ქალებს.

I. ნი. ჰიმნი სურიას ³

1. მოაბრძანებენ სხივები მზესა,
ყოვლისა მცნობელს ⁴ ღმერთსა სურიას,
რომელიც მოდის ჰერეტად ყოველთა
2. და ქურდებივით ეპარებიან,
ვით ვარსკვლავები ღამესთან ერთად
ყოვლისა მხედველს, მზესა სურიას.
3. შორით მოჩანან კაცთათვის მზისა
სასწაულები — სხივები მისი,
მოელვარენი ცეცხლისა მსგავსად.
4. შენ ყველას სწორად მოეფინებ,
ნათელმყოფელო მზეო-სურია.
და თეთრად სივრცეს შენ ასნივოსნებ.
5. ღმერთთა მოდგმისკენ ხარ მიქცეული.
კაცთა მოდგმისკენ შემობრუნდები.
მზა ხარ სამზერად ყოველთა მიმართ.
6. შენ ის თვალი ხარ, რომლითაც წმინდა
ვარუნა განჰვრეტს საქმეებს კაცთა ⁵:
ღმერთი, რომლისთვის ხარ სახედველი,

7. გაივლი ფართოს სივრცესა ცისას
და გაუსწორებ დღეებს. ღამეთა,
მიმოიხილავ არსებას ყოველს.
8. გყავს შვიდი რაში ეტლში შებმული
და მოგაქროლებს, მზეო-სურია.
ცეცხლის თმიანსა. შორითა მხედველს.
9. შვიდს ტაიქს აბამს ეტლში სურია⁶,
წმინდა სისხლისას, ეტლთა ასულებს,
და მოაქროლებს ნებით შებმულთა.
10. ოდეს ვიხილავთ ნათელს უმაღლესს,
მზესა აღმომხდარს უკუნეთიდან.
სურიას, ღმერთსა ღვთაებათ შორის,
მივალწევთ ჩვენცა შუქს უზენაესს.
11. ო. სათაყვანოვ მეგობარივით,
აღმხდომო ცასა უზეშთაესსა,
მომისპე, მზეო, გულისა სენი,
სიყვითლე ჩემი გაანადგურე!
12. თუთიყუშს დარჩეს სიყვითლე ჩემი,
მას დაუტოვებთ — ჩიტს როჰანაკას.
პარიდრავებმა წაიღონ იგი,
სიყვითლეს ჩვენსას გადავცემთ მათა.
13. ჰე, ადიტია აღმოჩნდა უკვე
და აღმობრწყინდა ძალით ყოვლითურთ.
ხელს ნუ ჩაუგდებ მოძულეს ჩვენს თავს
და მტრები ჩვენი ხელთ ჩვენ მოგვეცი.

I. 124. უშასს

1. ცეცხლის გზებისას⁷ გამოაშუქა
უშასმა, ტყორცნა სხივნი სურიაჲ
და საეიტარმაც აღძრა სულდგმულნი,
უჩინა. საქმე ოთხფეხთ და ორფეხთ.

2. აღმსრულებელმა აღთქმის ლეტიურის,
დამაქტეველმა მანუს მოღვმისა⁸,
წარმავალთ შორის უკანასკნელმა,
უპირველესმა მომავალთ შორის⁹,
მთიებმა ისევ გამოანათა.
3. კვლავ გამობრწყინდა აღმოსაყლეთით,
ასული ცისა¹⁰ სხივშემოსილი,
გზითა მართლითა რიგზე მავალი,
გეზის ყოველის წინასწარ მცნობი.
4. გახსნა გულმკერდი, ვითა დიაცმა
და საჩინო ჰყო მშვენება თვისი;
ვით ბუზმა მძინართ გამლვიძებელმა,
უწინარესმა კვლავ მოსულთ შორის.
5. აღმოსაელეთით უკუნის ბნელის
ზროხის გამჩენმა¹¹ გაშალა დროშა¹²,
მოიცვა სივრცე სიგრძით და განით
და აღმოავსო წიაღი მშობლის¹³.
6. მოჩანს პირველი მრავალთა შორის
და არ ეკრძაღვის არც თვისს. არც უცხოთ,
კვლუტობს ბრწყინვით უზადო ტანის,
არ ემალება არც დიდს, არც მცირეს.
7. ვით უძმო¹⁴ ასულს, მამაცთ წინაშე
საუნჯისათვის საჯაროდ მროკველს.
ვით მორთულ დიაცს, ქმრისა მოსურნეს
უშასს შიშველი მოუჩანს მკერდი.
8. დამ გზა დაუთმო თვის დასა უფროსს,
მასაც შორდება, ვით კვლავ მოსასველეს,
აელვებულა მზისა სხივებით,
ვითა საცხებლით სიძვის დიაცი.
9. დღესა მრავალსა დათაგან თვისთა
წინაშაეალსა უკან მიჰყვება,
დაე, ვით უწინ. ცისკრის ვარსკვლავნა
აწ ცა სიკეთით გამოგვიბრწყინდნენ.

10. გამოათხიზლე მბოძებელნი, უშასო უხვო,
იძინონ ძილი უღვიძარი ძუნწთა და ძვრთა,
უხვთა ხვასტაგი აღუბრწყინე, უხვად გამცემო,
უნჯი ეც მქებელს, მალვიძარო დიდსულოვანო!
11. აღმობრწყინდება აღმოსავლით ასული ნორჩი,
ყვეარსა თვისსა აღისფერთა ფურთა შემბმელი¹⁵,
ააფრიალებს აღამს თვისსა, იელვებს წამით,
აღაგზნებს ცეცხლსა საყუდართა და სახლთა ჩვენოა.
12. რაწამს იელვე, მყის აფრინდნენ ჩიტები ბუდით
და კაცნიც მყისვე წარსდნენ ჰამად ჰამადის თვისის,
სახლეულთათვის შენ მდიდარი მოგაქვს საუნჯე:
უშასო, ღმერთო, უბოძებდე მლოცველთა შენთა!
13. ლოცვები ჩემი ქებად თქვენდა, ქებისა ღირსნი,
გექმნეთ სიმაგრედ, ო. მთიებნო, კეთილმყოფელნო,
შეწევნით თქვენით, ღვთაებანო, გვსურს მივალწიოთ
ჩვენ მეთასეს და მეთასეს ნიჭსა და ჯილდოს.

I. 164. ჰიმნი ვიშნუს

1. მსურს განვადიდო ვიშნუს გმირობა,
რომელმან ქვეყნის სივრცე გაზომა,
ზენა სამყოფი ვინც განამტკიცა¹⁶
ფართოდ მავალმა ნაბიჯით სამით.

შევაქებ ვიშნუს გმირულსა ძალას,
მხეცებრ საშიშის, მთებში მოსასლის¹⁷,
ვის თავის ფართო ნაბიჯებს შორის
მოუქცევია არსი ყოველი.

2. აღწევდეს ვიშნუს მგზნებარე ქება,
ხარს ფართოდ მავალს და მკვიდრსა მთების,
ვინც სამყოფელი შორს გავრცობილი
მარტომ გაზომა ნაბიჯით სამით.
3. თაფლით სავსეა სამივე კვალი
დამატკობელი, დაუძლეველის,

მას ერთს უჭირავს სამივ სოფელი,
ზეცა და მიწა, ყოველი არსი.

4. მსურს მივაშურო სანატრელ სადგურს ¹⁸.
ადგილს ღვთის ერთგულ მამაცთა ტყობის
და მოყვარეთა ფართოდ მავალის —
ვიშნუს ზენა კვალს, თაფლისა წყაროს.
5. გვინდა გეწვიოთ თქვენს სამყოფელში,
უშმაგო ხართა, მრავალრქიანთა ¹⁹,
სითაც ნათელი გამობრწყინდება,
კვალით ხარისა ფართოდ მავალის.

1.167. ჰიმნი აზვინებს

1. იღვიძებს აგნი, აღმოხდება ქვეყნად სურია.
აღისფრად ბრწყინავს დიდებული უკვე უმასო.
გამართეს ეტლი აშვინებმა სამგზაეროდ თვისი;
გამოაცოცხლა სავიტარმა არსი ყოველი.
2. აშვინნო, ოდეს შეაბამდეთ თქვენს ეტლსა ძლიერს,
ცრემლით და თაფლით აპურებდეთ მეფობას ჩვენსას,
მედგარ ბრძოლაში სულსა ჩვენსა განამტკიცებდეთ,
ჩვენმცა მიგველოს ასპარეზზე ბრძოლისას ნიქი!
3. სამბორბლიანი თაფლით სავსე მოვიდეს მალე.
სწრაფი ცხენებით შეკაზმული აშვინთა ეტლი,
კეთილნაქები. უხვი, ყველა სიკეთით სავსე,
ბედნიერება მიაანიქოს ორფეხთ და ოთხფეხთ!
4. სარჩოს და საზრდოს მოგვიტანდეთ, ჰოი. აშვინნო,
ეგ თქვენი კვერთხი თაფლმწთოლვარე შეგვახეთ ჩვენცა;
ვანგვივრცეთ ყოფნა, განგვიღვენეთ სნებანი ჩვენნი,
გვაშორეთ მტრობა და გვექმენით მწედ და მეოხად!
5. თქვენ ხომ ჩანასახს შობისათვის ანიქებთ წილს.
ყოველი მდღდრის, ყველა არსის, ყველა ცხოველის.
ცეცხლსა და წყალსაც ხომ თქვენ აღძრავთ, აშვინნო, ხარჩო,
და ყოველს თესლსა მცენარისას აღმოაცენებთ?!

6 ჰკურნავთ ორივე თქვენ საღბუნით სამკურნალოთი,
შართავთ ორივე ეტლებს შებმულს მართეთათ თქვენით,
მას მიანიჭებთ თქვენ მეფობას, აშვინნო მძლავრნო,
ვინც თქვენდა მ. ხერკპლის სხურებისას, გაახურებთ ველით.

II. 1. ჰიმნი აგნის

1. შენ დღისა შექთან იშვები, აგნი,
შენ შექმფიხარე, შვებით მბრწყინავი.
შენ წყალთა შიგან, შენ ქვათა შიგან,
შენ ტყეთა შიგან იშვები. აჰიო.
შენ ხეთა შიგან გამობრწყინდები.
შენ გამოკრთობი მცენარეთ შიგან.
შენ მზოდანებელი კაცთა მოღვმისა.
იშვები წმინდა. ბრწყინვალე აგნი.
2. შენ პოტარისა, შენ პოტარისა,
ჟამსა განსაზღვრულს გაქქეს სამსახური,
გაქქეს სამსახური შენ ნეშტარისაც:
შენ ხარ აგნიდპოც ღვთის მოსაგისთვის,
შენ პარაშტარის გაქქეს სამსახური;
შენ ადპვარიუც ბრძანდები ხოლმე,
შენ ბრამპანი ხარ და გამგებელი,
სახლისუფალი საყდრისა ჩვენის.
3. შენ ხარი ინდრა ბრძანდები, აგნი,
ღმერთი მძლეველი არსის ყოველის;
შენა ხარ ვიშნუც თაყვანის ღირსი.
ფართო ნაბიჯით ქვეყნის მლაზავი;
შენა ხარ ბრამპა უნჯის შშოვნელი,
შენ ხარ ღვთაება ბრამპანასპატი.
სიკეთეს ყოველს შენ ანაწილებ
და პურამდპისაც შენ ხარ მსლებელი.
4. შენა ხარ, აგნი. მეუფე ჩვენი.
ვარუნა — მტკიცე აღთქმის მიმცემი.
მართას გუხმობენ სასწაულთმოქმედს,
როს მოგმართავენ მსასიებელნი.
ხარ არიამანი ღმერთი კეთილი,

ვისაც ვედრებით მივენდოთ უნდა;
შენ ახშაცა ხაო წყალობაუხეი,
მსხვერპლშემწირველთა შემბრაღე ღმერთი.

5. შენ ტეაშტარი ხარ, მლოცველთ შენთათვის
მშვენიერ ძეთა მიმნიჭებელი,
ქალნი ღვთიურნი მოყვასნი შენნი
თავს გველებიან მეგობარმრავალს,
ვით მერემაკე ჰუნემრავალი,
ბედაურ ცხენთა არიგებ ხვასტაგს;
შენ მამაცური ძალი ხარ, აგნი,
სიკეთით სავსე, კეთილმოყოფელი.

6. შენა ხარ ღუღრა — ასურა. აგნი,
ხარ დიდებული სული ციერი,
ძალსა ცხოველსა განაგებ ისე,
ვით მარტუათა განაგებს გუნდი:
შენ ზე აღავლენ მეწამულ ქარებს,
მოგაქვეს კურთხევა ოჯახურ კერის;
შენ პუშანი ხარ და თავით შენით.
ხარ მომლოცველთა შენთა მფარველი.

7. შენ მათ ანიჭებ ქონებას, აგნი,
ვინც შენ ერთგულად გამსახურება;
შენ სავიტარი ბრძანდები, აგნი,
მასავით უხვად გაცემ საუნჯეს:
მეუფევ კაცთა, შენა ხარ ბჰაგა.
მისებრ სვიანი, სიკეთით სავსე.
შენ ხარ დამცველი სახლისა მათის,
ვინც შენ კეთილად გეთაყვანება.

8. თავს გველებიან სახლში შენ ისე,
ვით გვარის უფროსს გვარის წევრები;
ვითა მეუფეს ადვილ საპოვნელს,
ვითა მბრძანებელს ახლომყოფს მათსა.
პირმშვენიერო, ბრძანებას შენსას
ემორჩილებდა არსი ყოველი,
წინააღდგომას უღდახარ მტკიცედ.
უძლებ ააასთა, ასთა და ათთა.

9. შენთან, ო აგნი, როგორც მამასთან,
 მოდიან კაცნი, სურვილს განდობენ;
 მსხვერპლის შეწირვით ტანგაბრწყინებულს
 შენ გენუკვიან და გთხოვენ ძმობას.
 და შენ კი, აგნი, მოთაყვანეთა
 შენთა ექმნები ძედა და შვილად,
 უდგახარ მხარში ვით მეგობარი
 და ფათერაქსა ააცდენ ყოველს.
10. შენა ხარ რიბჰუ, ხარ ახლობელი,
 შენ სათაყვანოდ და ლოცვად, აგნი;
 შენ გამგებელი ხარ საბოძვართა,
 ჭამადი უხვი ხელთ არის შენთა.
 აღენთე, აგნი, ამობრიალდი,
 და აღფრთოვანი გაცემად ნიჰთა:
 შენ გაუსინჯე ჩვენ საკურთხს გემო
 და გაიჟღინთე შესაწირავით!
11. შენ ხარ ადიტი, მსხვერპლის მწირველთა,
 შენა ხარ, აგნი, ჰოტრა, ბჰარატი,
 შენ გაძღაღერებს ქების სიმღერა,
 შენთვის მოძღვნილი მლოცველთა მიერ.
 შენ ბედისათვის იდა ხარ. აგნი,
 ეინც გაატარა ასი ზამთარი,
 შენ ხარ სიკეთის უფალი, აგნი,
 მტერთა მომსრველი ხარ სარასვატო.
12. შენა ხარ, აგნი, კეთილნაზარდი:
 შენა ხარ ძალი უხეშთაესი.
 ეგ სასურველი ელგა და ფერი
 ყველა მშვენებას ერთბაშად აჩენს.
 შენა ხარ. აგნი, აღზევებულნი,
 ნიჰი მალალი, მჩენელი გზათა,
 შენა ხარ. აგნი, უხვი სიმდიდრე,
 გავრცელებული კიდითი კიდე.
13. შენ ადიტიებს განეკუთვნები,
 შენა ხარ, აგნი, ნაყოფი მათი.
 თავისი პირით შეგქმნეს. შორსმჭვრეტო,
 გშობებს წმინდათა თავისი ენით.

მეს მოგვყვებიან მფლობელნი ნიქთა,
მსხვერპლშეწირვაზე შეხთან მოდიან.
მსხვერპლად სხურებულს აგემებ ღმერთებს,
შენში ჰპოვებენ შეწირულ საკურთხს.

14. უველა უკვდავი შენშია, აგნი,
რომელთა ვერვინ ვერ ეცრუება,
პირითა შენით უღებენ გემოს
მათთვის სხურებულ სამსხვერპლო სასმელს.
და მეოხებით შენით მოკვდავნიც
სიტკბოთი შესმენ სასმელსა თვისას.
შენ მცენარეთა ხარ ნაშვირი,
აგნი, ნაშობი მათი ხარ წმინდა.
15. მათი მსგავსი ხარ დიდებით, აგნი,
და სიდიდითაც მათ ეტოლები,
მშვენებით შენით, კეთილშობილო,
აღმატები კიდევაც ღმერთებს.
როს დიდებული ეგ შენი ძალა
აქ გაიშლება სიერცითა სრულით,
გასცდება საზღვარს მიწის და ცისა,
გადავა ორივ სამყაროს იქით.
16. მსხვერპლის მფარველი, ვინც უხუად აქლევს
მომღერალთ ჭილდოდ ზროხათა ჭოკებს,
უბოძებს, აგნი, მშვენიერ ცხენებს,
უძღვნის მას ისე, ვით სამკაულებს.
გვაწიე ბედსა ჩვენც და ისინიც
და მოგგვანიჭე მადლი. ო აგნი.
რათა ღალადვყოთ ჩვენც ხმითა მალლით,
ვიყოთ ძლიერნი სამსხვერპლოს ჩვენსა!

1. მიტრა თანხმობას ამყარებს ხალხში,
მიტრას ეყრდნობა მიწაც და ზეცაც:
მიტრას მკვრეტელსა თვალმოუხუჭავს
ხამს ცმელოვანი შევწიროთ მსხვერპლი!
2. შენ წარუშართე, მიტრა, მოკვდავს მზას მსხვერპლთსათვის,
ვინც გეთაყვანოს, ადიტას ძევ, აღთქმითა თვისით,
უსპოლღველ ჰყოფდე და უმარცხოს ოთხითა შენით,
ნუშე მიეწევა ფათერაჟი ახლოთ და შორით!
3. უავადონო. მოლხენილნი, სხურებით მთვრალნი,
მულგამართულნი ამ მიწაზე ფართოდ გაშლილზე,
ადიტას ძენო. ჰგიებთ აღთქმის აღმსრულებელნი.
გვწყალობდე. მიტრა, მოგვეფინოს დე, მადლი თქვენი!
4. არს ესე მიტრა თაყვანის ღირსი,
მეფე მოწყალე. კეთილმმართველი,
ნუშე მოგვაკლდება წყალობა მისი!
5. ადიტას დიდსა ვეახლოთ ლოცვით,
ხალხთა შემკრებელს, მქებელთ მოწყალეს,
მიტრას, არნახულ სასწაულს ქვეყნად.
უხსხუროთ ცეცხლსა სასურვო მსხვერპლი!
6. მიტრა ბრწყინვალე. ხალხის მეოხი,
არის მეუფე დიდების ღირსი,
მისი შეწევნით ხელთ ვიგდებთ ნადავლს.
7. ზენით ზეცისა აღზევდა მიტრა,
აღზევდა მიწით დიდება მისი,
მისი დიადის, ყოვლის მომცველის.
8. დანებდა მიტრას ხუთივე ხალხი²¹,
მიტრას შემწესა ძალითა თვისით,
რომელსაც მოჰყავს ყველა ღმერთები.
9. მიტრა არს ღმერთთა და აიუთ შორის,
მეოხი კაცის. ბარჰის დამფენის.
შეუქმნას კაცთა ნანატრისა ღსენას.

1. არს ღმერთთა შორის სავიტარი ჩვენი რჩეული, ასურას ბრძენსა, მას ავირჩევთ სანატრელ უნჯად, რითაც ანიკებს მოთაყვანეთ ის მფარველობას, იგივე მაღლი ჩვენც მოგვფინოს ღამით ყოველით.
2. ბურჯი ზეცისა და მეუფე ყოველი არსის, შორითმხედველი, შემოსილი ოქროს სამოსით, ვინც ყოვლისმომცველ მზერით განფენს სივრცეს და ავსებს, მაღლის გამჩენი სავიტარი, ღირსია ქების.
3. აღავსო თვისით სივრცეები ცისა და მიწის, მსჯავრითა თვისით ხმობს და განსჯის მეუფე იგი. განართხა მკლავნი, რომ სოფელი აამოძრაოს, დააცხროს ღამით და კვლავადვე გამოაცოცხლოს.
4. ო, არ ტყუედება სავიტარი, არსთა ყოველთა ოდეს გაჰყურებს, იცავს წმინდად აღთქმასა თვისას, ის ხელსა თვისსა გაუწოდებს ყველა არსებას და მარფავს დიდ გზას, ის აღთქმათა მტკიცედ დამცველი.
5. სავიტარია, ვინც დიდებით მოიცავს თვისით სამს ჰაერისას, სამს ზეცისას, სამ ნათელ სივრცეს, სამ ზეცას დასძრავს და სამ მიწას აამოძრავებს. დე, დაგვიფაროს, ჩვენც აღთქმითა თავისით სამით!
6. მაღლი მაღლითა ვისაც მოაქვს და ვინც გვამშვიდებს. ვინცა განაგებს ორივესა — მდგარსაც და მჭდარსაც ²³, სავიტარი არს ღმერთი იგი, მან დაიფაროს სახლები ჩვენი, სამგზის მხსნელმა გასაჰიროთა!
7. მობრძანდეს ღმერთი და დროულად გვიმრავლოს სახლი, მოგვემდეს მოდგმას, სავიტარი სიმტკიცედ ჩვენდა, შთაგვინერგავდეს დღით და ღამით ძალს სასიცოცხლოს, გაგვამღიდრებდეს ნაშიერთ, გაგვამძლავრებდეს!

VI. 70. ჰიზნი ტანსა და მიწასა¹

1. სიბოხით საესევე, არსთა შორის სრულქმნილო წყვილო, ფართოდ გაშლილო, თაფლმწთოლვარე, კარგად შემკულო, ზეცავ და მიწავ, გათიშულნო ვარუნას წესით²⁵, უბერებელნო და მდიდარნო თესლითა თქვენით;
2. უშრეტნო. უხვად მჩქეფარენო და უხვრძიანნო, უხვად მომცემნო სიბოხისა, წმინდანო აღთქმით, ამ სამყაროში ორივე ქვეყნის გაქეთ მეუფება, გვაპყრეთ თესლი მანუს მიერ დამკვიდრებული!
3. მოკვდავი იგო, ვინც მართალი გზისთვის გადიდებთ აღწევდეს მიზანს, ო, საყრდენნო ორივე ქვეყნისა; ხამს აღორძინდეს თესლი თქვენი მის ნაშიერში, და ერთი აღთქმის მიმდევართა სხვადასხვა არსში.
4. დაფარავს ცმელი მალა ზეცას, ძირს დედამიწას, ცმელით შემკულთა, ცმელით მაძლართ, ცმელით გამოზრდილთ, შორთა და ვრცელთა ვინცა პოტარს პირველად ირჩევს, მათ მოუხმობენ, შორსმკვრეტელნი, მადლის მძებნელნი.
5. გვასხუროს თაფლით ცამ და მიწამ, გვასხუროს ჩვენცა, თაფლით გაქლენთილთ, თაფლმწრთოლვარეთ, თაფლით მოქმედთა, ვინც ღმერთებს მსხვერპლად დოვლათსა და ზვასტაგს შესწირავს, ჩვენთვის დიდება, სიმამაცე, ნადავლი მოაქეთ!
6. ცამა და მიწამ განავრცელონ საზრდელი ჩვენი, დედამ და მამამ ყოვლისმცოდნეთ კეთილმყოფელთა, ორი ქვეყანა მარად უხვი. ყოვლად კეთილო, ჩვენც მოვერტანდეს წარმატებას, ნადავლს. სიმოდრეს.

VIII. 48. ჰიზნეზი სომას²⁶

ტკბილი ნექტარი. სასიცოცხლო. ვიგემე ბრძენმა, რომელ არს კეთილ და წამალზე უკეთ მოგარჩენს. მასთან მოდიან ერთად ყველა: მაღლით ღმერთები და თვით მოკვდავნიც დამატკობულ თაფლს უწირდებენ.

ოდეს შეგსვამენ, შენ იქცევი უსაზღვროებად,
იქცევი ძალად, ყველა რისხვას რომ აირიდებს,
გახარებულაო. წვეთო, ინდრას შენ მეგობრობით,
სიმდიდრისაქენ მას მიჰყევო, ეთ ცხენი — პატრონს.

ჩვენ შევსვით სომა, ვეზიარეთ აქ უკვდავებას,
ნათელს უმალღესს მივალწიეთ, ვიხილეთ ღმერთნი,
რას გვიზამს ეხლა ავი თვალნი, ბოროტი სიტყვა,
მოკვდავთა ღვარძლი, თვით უკვდავო, ჩვენ რას დაგვაკლებს ?

შენ დაგვიამე ჩვენ გულები, შესმულო წვეთო,
გვექმენ მოწყალედ, სომავე ჩვენდა, ვით მამა — შვილებს,
გულისხმიერი მეგობრებთან, ვით მეგობარი,
გაგვიხანგრძლივე ჩვენ სიცოცხლე, სომავე ქებულო.

აწ შესმულია ეს ნექტარი, ზე აღმაფრენი,
და როგორც ეტლი სალტებმა. ისე შემბოჰა.
მექმენით შემწედ, ო, წვეთებო, რომ არ დამიცდეს
აქ სადმე ფეხი, არეული, არ გადამიტყდეს.

ვითარცა ცეცხლი აბედისგან, ისე აღმაგზნე,
თვალთ აღმიხილე, უკეთესად უფრო გახზადე!
მთერალს შენი ბანგიით. მეჩვენება, ვარ ღირსეული,
გამდიდრებული, შენი ხლებით აყვავებული.

გაშმაგებულებს უფრო მეტად გესურს, რომ ვიგემოთ
ეგ შენი წვენი, ვით სიმდიდრე მამა-პაბათა.
სომავე-მეუფევე, გაგვიგრძელე სიცოცხლის დღენი,
ვით გაზაფხულის ეს დღეები დიდდება მზისგან!

სომავე-მეუფევე. გვიწყალობე ბედნიერება.
შენ შემოგწირეთ თავი ჩვენი, შენც კარგად იცი.
ენებები დულან, გვახელებენ, წვეთო ცხოველო,
ნუ გაგვიმეტებ ვერაგ მტრების შენ დასაცინად!

ჩემითუ შენ ხარ, სომავე. ჩვენი ტანის დამცველი,
მის ყოველ კუნთში, თვალებბასრო, დაისადგურე;
და თუ შენს აღიქმებს, ნასვამები, ჩვენ აქ დავარღვევთ
შენ გეპატრე, ვით მეგობრებს, ღვთის გულისათვის

დღეს მინდა მყავდეს მეგობარი ჩვილი ვულისა,
რომ დაღუეულმა არ აკინჯულოს, ოქროს ცხენებზე²⁷;
ეს ის სომეა, რომლის წვენით ვართ გაელენთილნი,
მისი გულისთვის, სიცოცხლისთვის, წავალ ინდრასთან.

აი, გაგვიქრა ტკივილი და ავადმყოფობა,
ბოროტი ძალა, რაც გვეხვია, მოგეშორდა ყველა,
აღზევდა ჩვენში სომა ყველგან ფესვებგამდგარი,
ჩვენ მივალწიეთ ადგილს, სადაც უკვდავებაა.

ჩვენო მამებო, დაღუელი ძვირფასი წვეთი
უკვდავი მოკვდავ სხეულებში დღეს შემოსულა
და ჩვენც ამ სომას გვსურს მივავით შესაწირავი,
რომ არ მოგვაკლდეს კვლავაც მისი მადლი, წყალობა.

წინაპრებთანაც, დიდო სომავ, ხარ თანხმობაში,
მოდებული ხარ ზევით ცას და ქვე დედამიწას;
გვსურს შენთვის, წვეთო, აღვასრულოთ შესაწირავი,
დაე, ჩვენც ვიყოთ აურაცხელ განძთა მფლობელებნი!

დიდო ღმერთებო, შეგვეწიეთ და დაგვიფარეთ,
ნუ მოგვაკარებთ ნურც ძილსა და ნურც სიტყვას ფუქვად;
დე, დაგვევალოს საადათო ამ საკრებულოს,
მივცეთ ვაყები დარჩეული შთამომავლობას!

იყავი ჩვენდა, სომავ, ყველგან სიცოცხლის ძალი,
შემოდი ჩვენში, თვალეზბასრო, ვით სხივი მზისა,
წვეთო ციურო, აქ მობრძანდი შენი აბალით
და დაიფარე აწმყო ჩვენი და მომავალიც!

IX. 1.

ყველაზე ტყბილით, დამათრობელით,
წყლით განიბანე, სომავ, მდინარით,
გამოწურულით შესმად ინდრასთვის.

ეშმათა მკვლელო, სახელგანთქმულო,
ჩაეღინები შენს სამყოფელოს
ხისას, რკინებით გარს შემოსალტულს.

სივრცეთა მზენო საუკეთესო,
გულუხეო, მტერთა მკვლევო საზარო,
შენთა მფარველთა ექმენი შემწედ.

გადმოაჩქეფე ეგ შენი წვენი
დიდი ღმერთების დამატკობელად,
ალაფისათვის, დიდებისათვის!

შენთან მოვდივართ ჩვენც დამაშვრალნი
იმაე სურვილით იმ დლიდან დღემდე.
წვეთო, შენშია სიცოცხლე ჩვენი.

ასული მზისა, შემწე მქებელთა,
დაწმენდს შენს სითხეს, ბატკნის მატყლს-გან
დაწულ საცერში აქ გადმოწურულს.

თითქოს ერთმანეთს ეჯობებთან
ათი დობილი მოქნილი, წერილი.
რომ მოგეზიონ იმ გადამწყვეტ დღეს.

ეს ქალწულები შენ გაშმაგებენ,
პბერავენ ტოკებს ბაკურას ტყავის,
და სამმაგ მაგარ ტკბილ სასმელს სკამენ.

ვითა მეწველი, სავსე ფურები
რძეს უნახავენ ხბოს — გამზადებენ
სომას მათობელს, — შესმად ინდრასთვის.

და შენი წვენით დამთვრალი ინდრა,
აღზევებული, კლავს ყველა დუშმანს
და გასცემს ირგვლივ, საბოძვარს გმირი.

IX. 17.

თითქოს მდინარე მოშხუის ხევში
ადიდებული, მტრის წაძლევი,
გადმოიდვრება წვეთები სომას —
აქაღებული, როგორც ჩანჩქერი.

გამოწურული წვეთები სომის,
ვით მიწისაკენ --- წვეთები წვიმის,
წვენი სომასი ინდრასკენ მიდის.

ადუღებული გადმოდის ნაპირს
ეს მათრობელი, ტყბილი სასმელი,
მიედინება რა საწნახელში,
ირგვლივ ჰკლავს ყველა ეშმას, ასურებს.

ბაყ-ბაყ დევივით ბუყბუყებს კასრში,
როს საწნახელში გადადუღდება
და აძლიერებს მის ხმას გალობა
სამსხვერპლო ჰიმნის, ბანს ეუბნება.

ო, დიღო სომავე, სამ სამყაროზე ²⁸
აღზევებული, ზე ცაში ბრწყინავ
და თითქოს მზესაც მიერეკები.
ისე აჩქარებ გულს და გონებას.

გეგებებიან ყველგან კეცინით
და მომღერალნი შენს სამსხვერპლოსთან
ჰგალობენ ისე, თითქოს თვალის წინ
უსაყვარლესი არსება ჰგეის.

ცხენს ²⁹ გამარჯვებულს, ოქროს ღვინისფერს
ვეგებებიან შენ მამაცები,
შენს შემწეობას, წყალობას გთხოვენ
და ფიქრით გწმენდენ მსხვერპლშეწირვისთვის.

გადმოანთხიე ტყბილი ჩანჩქერი,
მაგარი, მძაფრი. დადუღდი ბოლოს
და დაიკავე შენი ადგილი —
მორწმუნეთათვის შესმად საამო.

(არწივი):

დედის საშოდან ვიცოდი უკვე
 მე ამ ღმერთების ყველა თაობა,
 მიცავდა ასი ზღუდე რკინისა,
 მაინც გავფრინდი არწივი სწრაფად.

(სომა):

წამომიყვანა მან ჩემი ნებით,
 მე ვაჯობებდი თუმცა ძალღონით,
 წამს მიატოვა პურამდკიმ მტრობა,
 ქარებს გაუსწრო და გაძლიერდა.

ოდეს დაეშვა შხუილით ციდან
 და თან პურამდკიც წამოიყოლა,
 ბასრი ისარი სტყორცნა კრიშანუმ,
 გმირობითა და ჭკუით რჩეულმა.

ზეცას განერთხო არწივი მაშინ
 და გააქანა მაღალ მწვერვალზე
 ინდრას მხრისაკენ, ვითარც ბჰუჯიუ.
 და მაშინ, ცასა და მიწას შორის
 ფრთა მოსწყდა ერთი ფრინველს გოლიათს,
 თავისი გზით რომ მიჰქროდა ცაში.

დე. ეს სასმისი ნათელი სითხით,
 რძეს შერეული. აქაფებული,
 ნაპირს მომწყდარი, სუფთა ნექტარით,
 აქ, აღძვარიუს მიერ მოძღვნილი,
 თაფლი უტკბესი, გულუხვმა ინდრამ
 დამატრობელად დღეს განაწესოს
 გმირმა — შესმისთვის. და მათრობელი
 დღეს დააწესოს შესმად ყველასთვის.

გადმოიღვარნენ მათრობელნი წვენი სომასი,
რათა აღიდონ მწყალობელი³⁰, მსხვერპლის მწირავი, —
გამოწურულნი აქ ამ ადგილს მსხვერპლმეწირვისა.

თრიტას ცოლები, ამ სასახლის დიასახლისნი,
ერეკებიან ქვებით ულაცს ოქროს ღვინის ფერს, —
წვეთებს ინდრასთვის აგროვებენ აქ შესასმელად.

და როგორც ბატი, მეწინავე, მთელ გუნდს მიუძღვის,
ამაყი სომაც ყველას ლოცავს, სულს ჩაუბერავს
და მას ერბოთი, ვითარც ულაცს, აპრიალებენ.

ო, დიდო სომავ, გადაკუყრებ ორივე ქვეყანას³⁶,
აღზევებული, ვით ნადირი, მიექანები,
დადუღებული, დაწესებულ ეტლებში ჯდები.

შემოგბღავიან გზად ძროხები ნიშნად სალამის
ვით ქალიშვილი შეყვარებულს, გულით სასურველს,
და მოილტვიან, თითქოს ჯილდოს ელოდებიან.

ჩვენ მოგვიტანე აქ დიდება გაბრწყინებული,
ჩვენს მფარველებსაც და მეც მომეც ნადავლი რამე;
დიდებისაკენ აღგვაზევე, სული ჩაგვიდგო!

IX. 51.

ო. აღჰვარით, საწნახელში გამოწურული
აქ გადმოასხი ეხლა სომა მატყლის საცერში
რომ დაიწმინდოს ინდრასათვის ტკბილი სასმელი!

საუკეთესო ეს ნაღები გულუხვი ცისა —
სომა საამო, უტკბილესი, აქ გამოწურე
კვერთხის მპყრობელი ინდრასათვის, ო, აღჰვარით!..

შენს წვენს საამოს, წმინდა წვეთო დიადი სომის,
სვაშენ ღმერთებიც, მარუტებიც და შეგაქებენ
ტკბილსა და წმინდას, რომ თავადაც მით განიწმინდონ.

ეს ხომ შენა ხარ, დიღო სომავე, ვინც ღონეს აძლევ,
გამოწურულ დასათრობად შმაგი მომღერლის,
მას ეხმარები სიმღერაში, ძლიერო ხარო!

მამ წარმოდინდი, შენ მჩქეფარე, ნათელო ხილვავე,
ამ დიდ საცერში ჩანჩქერებად გადმოწურულო. —
ნადავლისავენ აღგვაზევე. დიდებისავენ!

IX. 70.

მფარველი ზეცის, დაწმენდილი წვენი ცხოველი,
უნარი ღმერთთა, ვისაც ხალხი ეთაყვანება.
ვითარც ულაცი. ღვინისფერი, აღვირახსნილი,
მდინარეებში იღებს სახეს სურვილისამებრ.

ვით შეენის გმირსა, იარაღი უპყრია ზელში,
მზისა მდეკვარი, ეტლზე ხის და ძროხებს დაეძებს;
მატებს სიშმაგეს, სიმამაცეს ინდრას უშიშარს,
წვეთი ცხოველი, ბრძენთა მიერ შეზავებული.

სომავე-გამწმენდო, პავამანავ, იჩინე ძალი,
შედი ინდრაში, ამოავსე, ვითარცა ელვამ
ლეგა ღრუბელი, და ქვეყანა მიდგომილ ჰყავი
ო, მოგვეც ჭილდოდ ეს ოცნება ისევ და ისევ!

ძეფევე ყოველთა, იწმინდება შენით ყოველი,
ბრძენზე მაღალო, ფიქრს აღვიძებ ქეშმარიტების,
მეფეფე ფიქრთა, მზის სხივებით აზრის განმზანო,
მიუწქადოშელო, ნათელხედვის ნიქის მფლობელო!

ვით ხარი ჯოგში, შენ გობისა აწყდები კედლებს,
წყალთა სიღრმეში ვითა ხარი აბლავლებული
შენ იწმინდები ინდრასათვის, დამათრობელო,
დე, შენი ძალის შემწეობით ჩვენც გავიმარჯვოთ!

დე. შესვას ინდრამ, ვრიტრას მძლეველმა,
წენი სომასი შარიანავატას
და უძლეველი ძალით აღივსოს
აღბორგებული დიად საქმისთვის, —
ინდრასთვის, წვეთო, იყავ წყალუხვი!

შენ დაიწმინდე. ქვეყნის მეუფევ,
გულუხვო სომავ არჯიციელო,
გამოწურულო წმინდა ლოცვებით,
ქეშმარიტებით, რწმენით, მოთმენით, —
ინდრასთვის, წვეთო, იყავ წყალუხვი!

დიდ პარჯანიას გაზრდილო ხარო,
სურიას ასულმა და განდჰარვებმა
მალა ზეციდან გარდმოგაველინეს
და მოგცეს, სომას, სიტკბო-სურნელი, —
ინდრასთვის, წვეთო, იყავ წყალუხვი!

მაცნევ კანონის, განათლებულო,
მაცნევ სიმართლის, ქეშმარიტების,
საყრდენო რწმენის, დჰარმის და შჯულის,
სომავ, ქურუმთა შეზაუებულო, —
ინდრასთვის, წვეთო, იყავ წყალუხვი!

შენთან იყრება მდინარეები,
ადიდებული, მაღალი წყლები,
უხვი წვეთები, შეერთებული
ლოცვით, ოქროსფრად როს იწმინდები, —
ინდრასთვის, წვეთო, იყავ წყალუხვი!

იქ. სად ბრაჰმანი, ო, პავამანა,
გალობს ჰიმნებს და შენს სიახლოვეს
გრძნობს სიდიადეს და ნეტარებას
ბადებს ის მაშინ შენი შეწევნით, —
ინდრასთვის, წვეთო, იყავ წყალუხვი!

იქ. სადაც ნათობს ჩაუქრობელი;
იმ ქვეყანაში, სადაც მზე არის,

იქ წამიყვანე, ო, პავამანა,
იმ უკვდავების მარად სამეფოს, —
ინდრასთვის, წვეთო, იყავ წყალუხვი!

სადაცა მეფობს ძე ვიეას ვატის,
სადაც ცის თალი დახურულია,
სადაც ის წყლები წყაროებია,
მეც იქ გამხადე მარად უკვდავი, —
ინდრასთვის, წვეთო, იყავ წყალუხვი!

სად ჩემი ნებით ვიხეტილებ
სამწყებ ზეცად და მის გარესკნელში,
სადაც მნათობნი მამობნეულან,
იქ დამამკვიდრე სამარადისოდ, —
ინდრასთვის, წვეთო, იყავ წყალუხვი!

სადაც სურვილი და ვნებებია
და უმადლესი ადგილი მზისა,
კამადი მკვდართა შესანდობარი,)
მარადიული დამიდე ბინა, —
ინდრასთვის, წვეთო, იყავ წყალუხვი!

სად სიხარული დამკვიდრებულა,
მხიარულება და გასართობი,
აღსრულება სურვილი სურვილს,
მეც იქ გამხადე მარად უკვდავი, —
ინდრასთვის, წვეთო, იყავ წყალუხვი!

სპარსული დიფერენცია

ჰინინი ჰაომას

1. წურვის უამს ეწვია ჰაომა სპიტამას³² —
ცეცხლის მგზნებელსა და გათების მგალობელს,
ჰკითხა: ზარათუშტრა, ხორციელთ ქვეყნიდან
ვინ იყო ჩემი, ჰაომას, მწურველი
განათლებისათვის სულისა თვისისა?
2. მიუგო: მე გახლდი, ჰაომავ, სპიტამა,
ეს მე, ზარათუშტრა, ვიყავ, დურაოშა.
შენ მე გამოგწურე შესმად, აშაველო,
და მით მოვევლინე მოკვდავთა მაცხოვრად.
3. და ჰრქუა ზარათუშტრამ: დიდება ჰაომასი
ვინ იყო, ჰაომავ, კაცთაგან პირველი
ხორციელთ მოდგმიდან, ვინც შენ გამოგწურა,
რა ბედი ეწია? რა ნიჭი ებოძა?
4. მიუგო ჰაომამ, ასე, აშაველმა:
ვივაჰენტი იყო მოკვდავი პირველი
ხორციელთ ქვეყნიდან, ვინც მე გამომწურა,
ის ბედი ეწია, ის ნიჭი ებოძა
ვაჟი შეეძინა — იამა-ხშაეტა.
იამა-ზრწყინვალე, ჯოგებმრავალი,
უბედნიერესი შობილთა შორის.
რომელმაც შეუქმნა საუფლო უხარწნელი
კაცსა და საქონელს, წყალსა და მცენარეს
ურთიკხვი საზრდოდ და უღვევი სასმელად.

5. და ოდეს შეფობდა ეს იამა-ხშაეტა,
 არ იყო სიციხე და არ იყო სიცივე; ·
 არ იყო სიბერე, არ იყო სიკვდილი,
 არცა მძვინვარება შექმნილი დევთაგან.
 თხუთმეტწლიანების იერით ვილოდა
 ერთად მამა-შვილი, ამათგან ყოველი,
 სანამ მეუფება იამას, ჯოგმრავალის.
 ძისა ვივაჰვანტის, სუფევდა ამქვეყნად.
6. ვინ იყო მეორე კაცთაგან, ჰაომა,
 ხორციელთ ქვეყნიდან, ვინც შენ გამოგწურა?
 რა ბედი ეწია? რა ნიჭი ებოძა?
7. მიუგო ჰაომამ ასე, ღურაოშამ:
 მოკვდავი მეორე, ვინც მე გამომწურა
 ხორციელთ ქვეყნიდან, ეს იყო ათვია.
 ის ბედი ეწია, ის ნიჭი ებოძა,
 ვაჟი შეეძინა — მხნე თრატაონა.
8. მან მოკლა სამთავა ურჩხული დაჰაკა,
 სამხახა, ექვსთვალა, ათასხერხიანი,
 ის უძლიერესი ღრუგთაგან ყოველთა
 და უსაძაგლესი დაევათ შორის.
 ვინც კი შეუქმნია აპრიმანს აშაველთ
 და ძეთა ხორციელთ დასალუპავად.
9. ვინ იყო, ჰაომავ, მესამე მოკვდავი,
 ხორციელთ მოდგმიდან, ვინც შენ გამოგწურა,
 რა ბედი ეწია? რა ნიჭი ებოძა?
10. მესამე მწურველი ჩემი თრიტა იყო.
 ხორციელთ მოდგმიდან სამანის გვარისა.
 ის ბედი ეწია, ის ნიჭი ებოძა,
 ძენი შეეძინა, მამაცი ორი,
 მხნე ურვახშია და გმირი კარსასპა.
11. პირმშო სჯულის მცოდნე და კანონმდებელი,
 მრწემი კი თმაგრუნა, გმირი კვერთხოსიანი,
 რომელმაც მოკლა ურჩხული სრვარა,
 რქიანი, მშთანთქმელი ცხენთა და კაცთა,

ყვითელი, საზარი, შხამისა მფრქვეველი,
გველი გოლიათი, შუბისა სიმაღლე,

რომლისა ზურგზე რვალისა ქვაბით
კარსასპამ შუადღით სადილი აღუდა.
როს დასცხა, ურჩხულს გადასკდა ხვითქი,
ნადული ირგვლივ გადმწანთხია,
შემკრთალი კარსასპა განზე გაახტუნა.

12. ვინ იყო მეოთხე მოკვდავი, პაომავ,
ხორციელთ ქვეყნიდან, ვინც შენ გამოგწურა,
რა ბედი ეწია? რა ნიჭი ებოძა?
13. პოურუშასპა იყო მწურველი მეოთხე,
ძვი ხორციელი აშაველთ ქვეყნიდან.
ის ბედი ეწია, ის ნიჭი ებოძა,
მის სახლში, სპიტამა, იშვი, ზარათუშტრა,
აპურას ერთგული, დევების მოძულე.
14. განთქმული ყოველგან არიელთ მხარეში
აპუნა ვაირიას ლოცვათა წარმთქმელი
ხმით. აღზევებულით ზედიზედ ოთხგზისა.
15. შენ, ყველა დევების ქვესკნელში ჩამძვრენი,
ვინც კაცის იერით მიწაზე დაძრწოდა;
შენ, უძლიერესი, შენ, უმამაცესი,
ყველაზე მკვირცხლი, ყველაზე სწრაფი
და ძლევაშოსილი სულიერთ შორის.
16. და ასე ღალადყო მაშინ ზარათუშტრამ:
დიდება ჰაომას, ჰაომას მშვენიერს,
კეთილად ქმნილსა და მართლიად შობილს,

მას, მადლის მომცემსა, სხეულის მკურნალს,
მას, ძლევაშოსილსა, სიკეთით სავსეს,
მას, ოქროს ფერსა და ფესვებდაგრეხილს!
17. ჩამოდი ფეროქროვ, აღგვაფროთოვანე,
ძირს ჩამობრძანდი, ძლევაშოსილო,
ჩვენო მკურნალო, მამრთულეებლო,

და მომნიჭებელი ყველა წარმატების:
სიმტკიცის მზრდელი ყოველსა არსში,
დამათრობელი, ყოვლით შემკული;
ვინც ყოველ სულდგმულს უბოძებ შეებაა,
განდევნი მტრობას, მძლეო დრუგისა!

18. ვინცა სძლევ ძვინებას ყველა მოძულეთა:
დევთა და მოკვდავთა, ჯადო-ფერიათა,
სიძულვილს კაცისა და კარაპანთასა,
მკლისა ოთხფერხისა და მტრისა ლაშქრისა,
ცრუ მაცთუნებლისა და მაწანწალისა,
19. წყალობას პირველს გნუევე. დურაოშა,
ჰაომავ, ნათელი --- ყოფნასა უკეთესს:
სურვილთა მუუფევე. მეორედ — სიმრთელეს:
ნიჰად მესამედ კი -- ძალსა სასიციოცხლოს,
ცხოვრებას ხანგრძლივს გვედრი, აშაველო:
20. ნიჰსა მას მეოთხეს გვედრი, დურაოშა —
ყოფნას ამ ნიწაზე მაძლარს და კმაყოფილს,
ძლევას მძვინეარების დრუგთაგან შექმნილის:
მეხუთე წყალობას გნუევე. დურაოშა,
მტერთა დამარცხებას. სიმარჯვეს ბრძოლაში,
ძლევას მძვინეარების დრუგთაგან შექმნილის;
21. მეექვსეს ნიჰსა მას გნუევე. დურაოშა.
შევიცნო მპარაგი, მგელს შეეხვდე ფხიზელი.
უძალ მე შევნიშნო, ვიდრე შემნიშნავენს!
22. ეტლზე მდგომარე მეომართა წარუმართებდე,
ძალს უბოძებდე მამაცთ მტერთა დამარცხებისა,
მშობელთ ბედნიერ შვილოსნობას მიანიჭებდე,
მისცემდე ძეთა, მართლმორწმუნე შთამომავლობას!
ჰაომავ, მას, ვინც ნებით თვისით ესწრაფვის სიბრძნე
მიანიჭებდე სიწმინდეს და აღფრთოვანებას!
23. ასულთა, დიდხანს დამოენილთა ქმრის მოლოდინში-
სასურველს მათთვის გონიერსა მისცემდე უფალს!
- 24 შეეწეოდე შენ კარსანის უფლებაყრილს.
მეფობის მსურველს, მომჩივანსა და ასე შეტყველს:

ამერიკიდან აღარა მყავს მოძღვრად ქურუმი,
ვინც მასწავლიდა წარმატების მიღწევას ქვეყნად.
იგი ყოველსა წარმატებას ლუპავს და თრგუნავს!

25. დიდება შენდა, მძლე ჰაომავ, თავისუფალო.
დიდება შენდა, გამგებელო მართალი სიტყვის.
დიდება შენდა, ვინცა მართალ სიტყვას ენდობა!
26. მოგიძღვნა მაზდამ შენ სარტყელი ვარსკვლავშემკული.
სულთნახელავი — მაზდაიასნელთ სჯული კეთილი.
შეირტყი იგი, შეიმოსე, მთისებრ მაღალო,
ვისაც გიპყრია კვერთხად მანთრა წმიდათაწმიდა!
27. უფალო სახლის და სოფლისა, თემის და ქვეყნის,
შენ ხარ, ჰაომა, უწმინდესი ცოდნის უფალიც.
მძლესა და ძლიერს შენ მოგიხმობ მარად, ნათელო,
გიწოდებ მხსნელად, რათა კმა ჰყო სხეული ჩემი!
28. გვაშორე ძვინვა მოძულეთა მქუხარ-მგრგვინავთა,
სახლში და სოფლად, თემში მყოფთა, თუ ქვეყანაზე.
შენ მავნე იგი უვნებელ ჰყავ, დააქერ ყურნი,
უმოკლე ხელი გამოწვდილი ჩვენდა სავნებლად!..
29. ნურც ფეხით გასთელს, ნურც საქონელს გააქვლივინებს.
თვალს ნუ დაადგამს ნურცა მიწას და ნურცა პირუტყვს,
ნუ ავნებს ხვასტაგს და სხეულსაც ნუ ავნებს ჩვენსას!
30. ურჩხულსა ყვითელს, საზარელს. მშხამავს,
მავნეს აშაველთ სხეულისათვის,
ზაირი-გაუნა, ჩაეც ლახვარი!
31. ყაჩაღსა თავხედს, სისხლის მღვრელს, სასტიკს,
მავნეს აშაველთ სხეულისათვის,
ზაირი-გაუნა, ჩაეც ლახვარი!
ქურუმს ურწმუნოს, მკვლელს. სიტყვის გამტეხს,
მავნეს აშაველთ სხეულისათვის,
ზაირი-გაუნა, ჩაეც ლახვარი!
32. დიაცსა მზაკვარს. ღრუბლებში მფრინავს,
მავნეს აშაველთ სხეულისათვის,
ზაირი-გაუნა, ჩაეც ლახვარი!

ტიშტრინასადგვი³³

13. პირველს ათ ლამეს³⁴, ჰოი, ზარათუშტრა,
ტიშტრია გამოცხადდა მნათობი ბრწყინვალე,
მსარბოლი თხუთმეტი წლის ჭაბუკის იერით,
თვალეზსხივოსანი, ნათელი, მაღალი,
ვით გმირი მძლეთამძლე და უნარიანი.
15. იმ ხნისა, როდესაც პირველად მამაცი
ძალაში შევა და სარტყელს შემოიჭერს;
იმ ხნისა, როდესაც ვაჟკაცი პირველად
მიადწევს სიმწიფეს სრულწლოვანებისა.
15. მან გამოაცხადა ასე და იკითხა:
აქ ვინ შემომწირავს სამსხვერპლო სასმელს,
რძიანს, ჰაომიანს, კარგად შეზავებულს,
აქ ვის მივანიჭებ სიმრავლეს მამაცთა,

ვუბოძებ. ქონებას, დოვლათს და სიმდიდრეს?
ვის სულს გაანათლებს აშა-ვაპიშტა
ხორციელთ ქვეყნიდან, მლოცველთა შორის?
16. მეორე ათ ლამეს, ჰოი, ზარათუშტრა;
ტიშტრია გამოცხადდა ბრწყინვალე სხეულით,
ოქროსრქებიანი ხარისა იერით;
17. კვლავ გამოაცხადა ასე და იკითხა:
აქ ვინ შემომწირავს სამსხვერპლო სასმელს,
რძიანს, ჰაომიანს, კარგად შეზავებულს,
მე ვის მივანიჭებ ზვასტავს და საძოვრებს?
ვის სულს გაანათლებს აშა-ვაპიშტა
ხორციელთ ქვეყნიდან, მლოცველთა შორის?
18. მესამე ათ ლამეს, ჰოი, ზარათუშტრა,
ტიშტრია მოევლინა ბრწყინვალე სხეულით,
ოქროსყურიანი, ოქროსლაგმიანი
თეთრი, მშენიერი ცხენისა იერით;
19. მან გამოაცხადა ასე და იკითხა:
აქ ვინ შემომწირავს სამსხვერპლო სასმელს,

რძიანს, ჰაომიანს, კარგად შეზავებულს?
აქ ვის მივანიჭებ ქონებას, სიმდიდრეს,
ჯოგსა და საძოვარს და რემას ჰუნეთა?
აწ, ვის გაანათლებს აშა-ვაჰრშტა
ხორციელთ ქვეყნიდან, მლოცველთა შორის?

20. შემდგომად ამ-სა, ჰორ, ზაროუშტრა,
ტიშტრია დიდებული ბრწყინვალე სხეულთ
მიუახლოვდა ზღვასა ვორუ-კაშას
ოქროსყურთან, ოქროსლაგმიანი
თეთრი, მშვენიერი ცხენისა იერით.
21. აქ მას წინ აღუდგა დევი აპაოშა
შავი და დამწვარი ჩაგლავის სახით,
ყურებქეციანი, ფაფარქეციანი
და კულქეციანი. შიშისა მომგვრელი.
22. შეებნენ ცხენები, მცემელი ტორებით
და ერკინებოდნენ ერთმანეთს სასტიკად.
ბრწყინვალე ტიშტრია და დევი აპაოშა
იბრძოდნენ, სპიტამავ. სამ დღეს და სამ ღამეს.
23. ტიშტრიასა ბრწყინვალეს სძლია აპაოშამ,
დევი მოერია დიდებულ მნათობს,
დაატოვებინა მას ზღვა ვორუ-კაშა
და იგი ისევ დიდ გზაზე განდევნა.
მწუხარედ მოსთქვამდა ტიშტრია სხივოსანი,
ასე შესჩიოდა აპურა მაზდას:
ვაიმე, ვაება წყალსა და მცენარეს,
ვაება სჯულსა მას მაზდაიასნელთა!
არა მყავს არავინ მე ჩემთვის მლოცველი,
მსხვერპლის შემწირველი, როგორც სხვა იაზატებს,
ვინცა ჩემს სახელზე ლოცვებს იგალობებს.
24. თუ ვინმე კაცთაგან მე სახელდებულად
ლოცვებს მივალობებს და მსხვერპლს შემომწირავს,
ვითა სხვა იაზატებს. მეც სახელდებულად
მომიდღენის ქებათა და შესაწირავსაც,
ეს მე მომანიჭებს ათი ცხენის ძალას,
ათი აქლემისა და ათი ხარისა,

ძალას ათი შოისა და ათი მდინარის
დიდის, უხეწყლიანის, ვარგის სანაოსნოდ.

25. მე. მიზლა აპურა, ტიშტრიასა დიდებულს,
ბრწყინვალეს, მოვიძღვნი ლოცვას სახელღებულს,
მე შენ მოგანიჭებ ათი ცხენის ძალას,
ათი აქლემისა და ათი ხარისა,
ძალას ათი შოისა და ათი მდინარის,
დიდის, უხეწყლიანის, ვარგის სანაოსნოდ!
26. და კვლავ დაუბრუნდა, ჰოი, ზარათუშტრავ,
ზღვასა ვორუ-კაშას ტიშტრია დიდებული,
27. ოქროსყურიანი, ოქროსლაგმიანი,
თეთრი, მშვენიერი ცხენისა იერიო.
28. კვლავ წინ გადაუდგა დევი აპაოშა
შავი და დამწვარი ჯაგლაგის სახით
ყურებქეციანი, ფაფარქეციანი,
და კულქეციანი. შიშისა მომგვრელი.
და ისევ შეებნენ ერომანეთს, ტორებით
ერთურთს შეერკინენ ცხენები სასტიკად.
ტიშტრია ბრწყინვალე და დევი აპაოშა
იბრძოდნენ, სპიტამავ, შუადლის ჟამად.
29. აწ მას მოერია ტიშტრია დიდებული
ვორუ-კაშის ზღვიდან განდევნა ისევ.
გააგდო იგი დიდ, ფართო გზაზე.
და გახარებულმა მიმართა მაზდას:
ნეტარ მე, აპურა, ნეტარ, წყალს, მცენარეს,
ნეტარ მას, რწმენასაც მაზდაიასნელთა!
იღმონ წყალთა მათ დაუბრკოლებლივ,
დე, მსხვილმარცვლიანი ჰყონ ყანები ჩვენი,
წვრილთესლიანი ჰყონ მათ ეს საძოვრები
ხორციელთ ქვეყნისა სამარადეამოდ!
30. ისევ წამოვიდა ბრწყინვალე ტიშტრია,
ზღვას მას, ვორუ-კაშას, მიმართა კვლავაც
ოქროსყურიანი, ოქროსლაგმიანი
თეთრი, მშვენიერი ცხენისა იერიო.

31. ზღვა მიიქც-მოიქცა, ზღვა აღელ-დაღელდა,
აღღა. აბობოქრდა, აქანდა, დაქანდა,
შეიძრნენ შუანი ზღვისა ვორუ-კაშის,
აბორგდა, აზვირთდა წილიც მისი.
32. და ოდეს განშორდა, პოი, ზარათუშტრავ.
ტიშტრია დიდებული ზღვასა ვორუ-კაშას.
აღმოხდა, სპიტამა, ზღვისა წილიდან
მნათობი ბრწყინვალე სატაევესა.
მაშინ პინდავადან ნისლი წამოვიდა,
მთიდან, აღმართულის ზღვისა შუაგულში.
33. როს წამოემართა ეს ნისლი, სპიტამავ,
აშველთ ჰოდგმისთვის, ღრუბლისა მშობელი,
დაპბერეს ქარებმა, ჰაომა ფრაშმისი,
სახლ-კარის დამცველსა გზაზედა მიმაჯალს
და მაზდას შექმნილმა ძლიერმა ქარმა
ღრუბელი დასძრა და სეტყვა დაუშინა
ციდან საცხოვრებელ შვიდივე მხარეს.
34. და წყალთა პირშომ აპამ-ნაპატმა
ყველას მიუჩინა ბინა თავისი:
ძეთა ხორციელთა, ქარსაც წყლის მომცემსა
და წმინდა აშველ ფრავაშიებსაც.

ქსარქსისგან ცრულწიერთთა გეოგა 35

ძველქართული წარწერის წინამდებარე თარგმანი წარმოადგენს „არმაღან-ს“ III ტომს გამოცემებული დარიოს I-ის ვრცელი წარწერის ერთგვარ გაგრძელებას. ეს ძეგლი აქემენიდური ირანის ხანას ვანეუთვნება. მისი დამწერია, ქსერქსე I (ჩვ. წ.-მდე 486-465). დარიოს I დიდის შემეყვადრე და მისი პოლიტიკის გამგრძელებელი იყო ეს წარწერა, ნაპოვნი თავის დროზე აქემენიდთა ძველ დედაქალაქში პერსეპოლისში, იოპოლოგიაში ცნობილია „ქსერქსეს ანტიდეფერი წარწერის“ სახელწოდებით.

აპურამაზდაა ღმერთი ჭეშმარიტი
შექმნილი ამა ქუიყნისა,
ამ ცის შემოქმედი,
იგივ-კაცის დამზადებელი,
ვისაც კაცთათვის მოუცია კეთილდღეობა.

ვინაც სწაი არმა ბელწიფედ დამსვა, —
ერთი — მოავალთა ქუფად.
ერთო — მრავალთა მპრძანელად.

მე ვარ ხშიარშა, ღიადი მეფე.
მეფე მეფეთა.
მპურობელი მრავალტომიან საპრძანებლთა.
შორს გადამლილ მიწა-წყლის მფლობელი;
დარაიავაჰუ მეფის ძე.
აქმანიანო გვარისა, სპარსი,
ძე სპარსელისვე,
არიელთ მოდგმის, არიელი ჩამომავლობით!

ამბობს ხშიარშა ხელწიფე:
აჰურამაზდას ნებით იი ეს ერთი და სამეფონი, —
სამაოხეთის გარდა. —
რომელთა ზედაც ვიყავ უფალი უზენაესი
და განმგებელი ვიყავი ვისიც,
ხარკს მოხდიდნენ, მომართმევდნენ
და პურობდა მათ სჯული ჩემი:

მიდიელნი, ელამიტელნი. პარაქუვატი, არმენია და ზრანკა,
პართელნი, სოლდი, ბაქტრია, პარაივა და ხვარაზმელნი.
ბაბილონი და ასურეთი. თატაგიდია, ეგვიპტელნი და სპარდა;
იონიელნი-ზღვისპირელნი და
იონიელნი-ზღვისიქეთნი.

არაბეთი და განდარა. ინდოეთი, კაპადოკია,
მაკა და დანნი: შემდეგ — სკვითნი. ჰაუმასმსელნი,
და ის სკვითებიც. წვეტიან ქულებს რომ ატარებენ:
ასევე კარკნი. ასევე სკულრა.
აკაუფაკა, ლიბიელნი, ეთიოპელნი...

ასე აცხადებს მეფე ხშიარშა:
ჩემი გახელმწიფების ეამს
ზემონანსენებ სამეფოებში შფოთი სუფევდა.
ხოლო შემდეგ შემეწია აჰურამაზდა!
ღეთიური ნებით მე შეემუსრე სამთავროები,
და დავაფუძნე ადგილსა მკვიდრსა.

ხოლო უწინ ამ ხალხებში ცრუ ღმერთებს სცემდნენ თაყვანს.
ხოლო მე აპურამაზდას წადილისამებრ
დავამხე წარმართული სალოცავები!

და ვბრძანე: კერპებს არ ეთაყვანოთ-მეთქი!
და იქ, სადაც ადრე ცრუ ღმერთებს ჰმსახურებდნენ,
მე, ღვთისმოსავმა, ვადიდე აპურამაზდა და ართა!

და სხვაც რამ, უკეთურად ქმნილი,
მე კეთილად გარდავაქციე...

აპურამაზდას წადილმა აღმასრულებინა,
ყოველივე, რაც მოვიმოქმედე.

მეოხ მეყო აპურამაზდა
ჩემგან ქმნილის აღსასრულებლად!...

ჰოი შენ. ჩემო შთამომავლო!
თუ შენ ინატრო: ნეტავ მომეცის მე ამქვეყნად ბედნიერება!
ნეტავ ვეწიო ნეტარებას საიჭიოშიო! —
მაშინ მისდიე აპურამაზდას დადგენილ კანონს:
თაყვანსა სციმდე მოწიწებით აპურამაზდას.
და ჰმსახურებდე ერთგულად ართას!

აპურამაზდას განწესებულ სჯულის დამცველო!
აპურამაზდას და ართას მადიდებლო!
მოგეჩიება შენ ლხენა ამქვეყნიური,
და ცხონდები საუკუნო სასუფეველში!..

და ოცუვის შემდეგ ხშიარშა მეფე:
ო. დამიფაროს აპურამაზდამ ბოროტისაგან!
ფარავდეს იგი ჩემს სამეფო კარს.
და მფარველ ექმნეს ამ სამფლობელოს!

აი. ამას ვვედრებ აპურამაზდას!
დე, ეს მომმადლოს
აპურამაზდამ!..

მანიქური ჰიმნი

ვღაგეაო შენს ირგვლივ, შენს საღიღებლად
ხელადმართულნი,
თვალს არ ვაშორებთ შენს ნათელ სახეს,
მზად ვვაქვს ბაგენი შენს საღიღებლად.

მოგიხმობთ შენა, რადგან შენა ხარ მოთლიც ეს ჯერება,
იესო ბრწყინვალე, ახალო აიონ!
შენა ხარ ჭეშმარიტება, მაღალო ღმერთო,
კეთილო მკურნალო, უსაყვარლესო შვილო.
შენ გიძღვნი ქებას!

მოდით შვეებით, თავისუფლებით: მეუფევე!
მოდით შვეებით, კეთილო სულო,
მაცნევე მშვიდობისა,
ერთგულთა შემწევე, ბოროტთა დამსჯელი
მოდით შვეებით, ახალო მეუფევე!
მოდით შვეებით, ტყვეობის მისნელი,
დაჭრილთ მკურნალო!

მოდით შვეებით, მძინარო მალეძარო, მათხიზლებელი
მკვდრებით აღდგომა შენა გწადია.

მოდით შვეებით, ძლიერო ღმერთო, წმიდაო ხმაო!
მოდით შვეებით, სიტყვავე ჭეშმარიტო,
დიდო ნათებავე მრავალ სინათლისა!

მოდით შვეებით, ახალო მეუფევე და ახალო დღეო!
მოდით შვეებით, კეთილთ საწყაულო, ღვთისმოსავო
კურთხევავე და წმინდანთ ლოცვავე!

შეგემწყალო და შეგვიბრალო, რადგან
შენ თვით სიყვარული ხარ!

უწმინდურთ გვერდით ნუ დაგვაყენებ!
მიუტევე ცოდვანი მათი და შეგვიწყალო!
ო, უსაყვარლესო და უნეტარესო!

გიშხერთ, შენ, ახალო აიონ!
და შენს ფეხთ თანა ვართ განრთხეული,
უსაყვარლესო მეუფევე, გიშხერთ შენ,
სიხარულის სასმელით მოვრალნი.
მარად ნაცნობია სახელი შენი
„მანი“ და „სანი“ ჰმ.

კოდვილთა შორის გამოგვარჩიე
და გვიხსენი მათგან!
ჰოი მეუფევე, შენნი ვართ და შეგვიწყალებ!
იჩქარე ჩვენსკენ. დასაჭე კოდვილნი!
რადგან ისინი გაამჰპარტავანდნენ
და ასე ამბობენ:
ჩვენა ვართ, რაცა ვართ და
არავინაა ჩვენს შესადარიო!
შენ სარ ქლიერი, დაეც კოდვილნი
და შენი მტერნი!

ვაქებთ შენს სახელს. იგია სინათლე,
შენს სიღიადეს, თვით წყალობასა.
მამო. ვაქებთ შენს სახელს და სიღიადეს!
ასეა ყველგან და მარადის!

შეხედე, განახლებულა ხე და ყვავილი;
შეხედე ვარდებს, შორს განფენილა მათი სურნელი,
რადგან ბორკილნი, მათ შემრისხველნი,
ფოთოლთ დამჰყერნი, სულ დამსხვრეულან.

მოიშორე შენც ბორკილნი ჩვენი კოდვებისა! —
ჰაერი გამჰკვირვალეა, ბრწყინავს ცის თალი,
მიწა განსნილა ყვავილთ საშობად;
წყნარად მიტურავს ტალღები ზღვისა,
ბოროტი ზამთარი, მწარედ მკენესარე,
გაჭყვა თვის გზასა.

შეგვეწიო ჩვენც და გვიხსენ
სიავისა და კოდვილ საქმეთაგან!

ელვარე მზე და კაშკაშა მოვარე
აფრქვევენ ნათებას ამ ხეთა თავზე.
ფრინველნი, მთვრალნი სიხარულითა
იქ ყოყოჩობენ, ამაყად მავალნი.

ხოსროვ კავადის ძე და შრვა

საშუალო სპარსულ ენაზე შექმნილი ნაწარმოებო, რომელიც განეკუთვნება VI ს. კ. II ნახევარს.

ეს ნაწარმოები მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ მასში აღწერულია ავღროინტელა ირანის უმალესი წოდებას ვაჟთა სწავლა-აღზრდის წესი, აგრეთვე გვხვდება დეტალები, რომლებიც მიგვანიშნებს იმ ეპოქის ირანელების წეს-ჩვეულებებსა და მორალის ნორმებზე.

ვაჟი ირანში დაბადებული, ქაეას მოდგმისა³⁷, ზეტური, იღვა მუჟეთ-მეფის წინაშე გულხელდაკრეფილი.

ქება-დიდებას ასხამდა მას.

ეუბნებოდა: „მეფეთ-მეფეე. უკვდავო და მარად ღღკოქელა, კვათ-ნის მპყრობელო და მბრძანებელო!

ჩემი ოჯახი. მუდამ ბედნიერი იყო ღვთისა და თქვენნი წყალობითა, სახელოვანი, ძლიერი და დამოუკიდებელი.

ისეთი მდიდარი, როგორც მას შეეფერებოდა.

მამა ბავშვობაშივე გარდამეცვალა, დედას ერთი ვაჟი დაერჩა.

მამაჩემისგან ჩემი მეურვის შემწეობით მივიღე მნიშვნელოვანი წილი, საკმელი ნაირ-ნაირი და ტანსაცმელი „კარგი ყმისა“.

სასწავლებელში ყოფნისას მივიღე მკაცრი აღზრდა.

იაშტი, ჰადოხტი, იასნა და ვიდევდატი ჰერპატივით ზეპირად შევიწავლე და ყოველ ადგილს ზანდის საშუალებით ვარკვევდი. და ჩემი განათლება ასეთია: კარგად ვერკვევი მწერლობაში, დავეწაფე ცოდნა, შევიწავლე ისტორია და მკვერმეტყველება, ვარ ჩინებულ კალიგრაფი.

ჩემი ოსტატობა მხედრობასა და ისრის ტყორცნაში იმგვარია, რომ ჩემი მოწინააღმდეგე უნდა მიენდოს ბედს, როცა ჩემი ისარი მიეწევა მის ცხენის თავს.

შუბის ტყორცნაში იმგვარი ვარ, რომ ვაი იმ მხედარს, ჩემს მეტოქეს. როცა მე ცხენზე ამხედრებული. შეიარაღებული მახვილითა და ხმლით, მის პირდაპირ აღმოვჩნდები! ასპარეზზე ჩოვანის კარგი მოთამაშე ვარ.

უმალე ბეჭებზე გაეაკრა ჩემს მეტოქეს და ქვეშ მოვაქცეე, ვეკე-

თები და ისე ჩაეცემ გორსს, თითქოს დასაკლავი ცხვარი ყოფილიყოს და ნაჯახსა ვეცემდე.

აგრეთვე დახელოვნებული ვარ სალამურის, დოლის. ქნარის დაკვრასა და სიმღერაში, სიტყვა-პასუხის მიგებაში.

ისე ვარ გარკვეული ყველაფერში, რაც შეეხება ვარსკვლავებსა და ცოთმილებს, რომ ისანი, რომლებიც ამ სამსახურს ეწევიან, მე ვარ შემედარებიან.

ჭადრაკში, ნარდში და რვაფეხაში ყველას ვკობნი.

აგრეთვე ზამზამში მუდამ მე ვარ გამარჯვებული.

ახლა ჩემი ოჯახი დაკნინებულია. დაცემული და გაუბედურებული. დედა გარდამეცვალა.

„თქვენ, მოსილო ღვთიური სიწმინდით, მომავყარით ყურადღება“.

შაჰინშაჰმა ყრმას უთხრა: „ყრმავ, თუ არა ხარ ვნების აყული და ერკვევი კარგ საჭმელსა და ქაბუჯის ჩაცმულობაში, მითხარ, თუ რომელი საჭმელია საუკეთესო და უგემრიელესი?“

ვაჟმა მიუგო: „უკვდავი იყავით, ქვეყნის მპყრობელო! ყველაზე ნატიფი და გემრიელი ის საჭმელია, რომელიც ნორჩია, ჯანსაღი და მჭამელისათვის უვნებელი“.

„უგემრიელესია დედის ან ძროხის ზძით გამოცხვებული ორი თვის ბატანი. კუჭ-მაკი, საგანგებოდ შემწვარი ზეთისხილის წვენი ან ძროხის ძეკრდი. მსუჭანი. წვენი კარგად მოხარშული, შაქრითა და შაქარყინულით შეზავებული“.

მეფეთ-მეფეს მოეწონა ეს სიტყვა და სწორად სცნო.

შემდეგ ინება ეკითხა: „რომელი ფრინველია საუკეთესო და გემრიელი?“

უპასუხა: „უკვდავი იყავით! ყველა ფრინველი კარგი და გემრიელია. ხოხობი, ქათამი, მწყერი, ტოროლა, მამალი წერო, ჩარხი თირის თეფში, შავი შაში და იხვი. მამალ შინაურ მწყერს, რომელიც იკვებებოდა სელის თესლითა და ზეითუნის ზეთით, ფრინველი ვერ შეედრება. ფრინველი დაკვლის წინა დღეს უნდა დავიჭიროთ. შემდეგ დავკლათ. ჩამოვკიდოთ ფეხით. მეორე დღეს კისრით და შამფურზე წამოვავოთ, აიგვარად შემწვარი ფრინველი ძალიან გემრიელია, მისი ხორცი ნაზი და კარგია“.

მეფეთ-მეფეს მოეწონა ეს სიტყვა და სწორად სცნო. მესამედ ინება ეკითხა: „ჩაიცელებული კერძების მომზადება რისი ხორცისგანაა უკეთესი?“

უპასუხა ყრმამ: „უკვდავი იყავით! ყველაზე საუკეთესო და გემრიელია ხორცი: ძროხის, კანჯრის, გავაზის, ტახის, აქლემის, კამეჩის, შინაური კანჯრისა და შინაური ღორის. ხორცს მწონში დებენ და მისგან სხვადასხვა სახის ჩაიცელებულ კერძს ამზადებენ. ასეთი საჭმელი კარგი და გემრელია“.

მეფეთ-მეფეს მოეწონა ეს პასუხი და სწორად სცნო.

მეოთხედ იხება ეკითხა: „ყაუომათაგან რომელია უფრო ნაზი?“

ვაჟმა უპასუხა: „უკვდავი იყავით! კურდღლის ყაურმა ძალიან ნაზია, ცხენის შიგნეულობისგან დამზადებული — მეტად სურბელოვანი, სიასამურის — მეტად ვემრთელი, ასევე სიხბის თავებისგან დამზადებული — ნაზი და ნატიფი“.

დედალი თხისას, რომელსაც წერ არ ჰყოლია თიკანი და მსუქანია, არც ერთი ყაურმა არ შეედრება“.

მეფეთ მეფეს მოეწონა ეს სიტყვა და სწორად სცნო.

მესუთედ იკითხა: „ტკბილეულთაგან რომელია ყველაზე უფრო გემრიელი და კარგი?“

უპასუხა ყრამ: „ყველაზე უფრო გემრიელი და კარგია: ლავზენაყი და ვოზინაყი, ნიგვზის ხალვა და ნამცხვარი „მსუქანი თითები“, თხის ქონზე დამზადებული ან ნიგვზის ზეთში შემწვარი. ზამთარში ლავზენაყი და ატმის მურაბა და შაქარყინული. აგრეთვე სასმელს, დამზადებულს ვაშლის წვენი და კომპისაგან არაფერი შეედრება“.

მეფეთ-მეფეს მოეწონა ეს პასუხი და სწორად სცნო.

„ხილთაგან რომელია საუკეთესო?“

უპასუხა ვაჟმა: „უკვდავი იყავით! ყველაზე უფრო კარგია: ლიმონი, რომელიც კანიანად იქმევა, კომში, პალილაყი, ნედლი ნიგოზი, ლიმონი და თეთრი ვაჭუშანი“.

ჩინურ იმბირსა და პალილაკს არაფერი შეედრება“.

მეფეთ-მეფეს მოეწონა ეს სიტყვა და სწორად სცნო.

მეშვიდედ იხება ეკითხა: „ხის ნაყოფთაგან რომელი სჯობს?“

უპასუხა ყრამ: „უკვდავი იყავით! ყველა ნაყოფი კარგი და მშვენიერია. ქოქოსი, რომელსაც შაქრით სჭამენ და ინდურად ანარავილს უწოდებენ, სპარსულად კი ინდური კაკალი ჰქვია. ვურჯანული მოხალულდი ფსტა და სედილი მუხუდო, რომელსაც ზეთისხილის წვენს აკურებენ“.

პერსიული ხურმა, ნიგვზით დატენილი, სედილი ფსტა, სომხური ატამი, თხილი და წაბლი, შაქარსა და შაქარყინულთან ერთად. ნიშაქრულ სელს, გარეული თხის ქონში შემწვარს, არაფერი შეედრება, რადგანაც იგი საკმელად ნაზია, სურბელოვანი, პირშივე დნება და ამიტომ ყველაფერს სჯობს“.

მეფეთ-მეფეს მოეწონა ეს სიტყვა და სწორად სცნო.

იხება ეკითხა: „ღვინოთაგან რომელია საუკეთესო?“

„ღვინო ქანგისა, თუ იგი კარგადაა დაწურული, ღვინო არენგის, შავროტის, ბუსტისა და ბადაგი — არვანდის“.

მაგრამ ასურულ ღვინოს არაფერი შეედრება“.

მეფეთ-მეფეს მოეწონა ეს პასუხი და სწორად სცნო.

შემდეგ იხება ეკითხა: „მუსიკოსთაგან რომელია საუკეთესო?“

უბასუხა: „უკვდავი იყავით! მუსიკოსთაგან საუკეთესოა: ჩანგზე, სალაპტურზე, ქნაპზე, მუშტზე, დოლსა და სტვირზე დამკვრელნი. კარგია ჩანგზე დამკვრელ კობტა გოგონასთან ერთად პარამხანაში ყოფნა, მისი მ. ბეველი და მიმზიდველია, ან რა შეედრება ვინზე დამკვრელს!“

მეფეთ-მეფეს მოეწონა ეს პასუხი და სწორად სცნო.

მკათედ ინება ეკითხა: „ღვინოს რაც მოუხდება იმათში, რომელია პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე?“

ყრამამ მოახსენა: „უკვდავი იყავით, უპირველესო კაცთა შორის! უპირველესია სურნელნი, მეორე — ნაყოფნი. მესამე — პალილაკი, მეოთხე — ნაფხაფურდი, მეხუთე — ყაურმა, მეექვსე — თევზი ცხარე საწებლით, მეშვიდე — სურნელოვანი ხეთით დახელევა და ძილი“. მეფეთ-მეფეს მოეწონა ეს პასუხი და სწორად სცნო.

მეთერთმეტედ ინება ეკითხვა: „რომელი მცენარეა ყველაზე უფრო სურნელოვანი?“

ყრამამ მოახსენა: „უკვდავი იყავით, უპირველესო კაცთა შორის! ყველაზე უფრო სურნელოვანია ვარდი, რომლის სურნელი მეფეების შესაღარიბა, ჰუსრაფ ყვავილისა, რომლის სურნელი შაპრიართ მოგვაგონებს, ნარჯიზისა, რომლის სურნელი სიკაბუჯის შესაღარიბა, წითელი პერიკის, რომლის სურნელი მეგობარს მოგვაგონებს, ხოლო ყვითელი პერიკის — კეთილშობილ ქალს. ქაფურის სურნელი, მსგავსი დასტურებისა, თეთრი იასამნის სურნელი, ნაზი ბავშვივით, ხოლო სურნელი ყვითელი იასამნის ღირსეულ ქალს მოგვაგონებს, არა როსკიპს. თეთრი შროშანის სურნელზეა მეგობრობის გამომხატველი, მარეი-არდაშირისა კი — დედობის. ხოლო თეთრი მარეისა — მამობის. იების სურნელი გოგონების შესაღარი, შამ-პარამის სურნელი დიდებულებს მოგვაგონებს, მირტის სურნელი დეპუტების შესაფერისი. ცისფერი ლოტოსის სურნელი — ამაქვეყნისა ძლიერთ შეშენის. მაიორანის სურნელი ექიმებს მოგვაგონებს. სპეტაკის სურნელი ისეთივეა, როგორც სუნი ავადმყოფებისა, ასკილის სურნელი მახტებულნი ქალის შესაღარი, სურნელი ფალანგ-მუშკისა ისეთივეა, როგორც სურნელი საცოლესი. ყაყაჩოს სურნელზეა კი ქალების მოყვარულს შეპყრის. სუსამბრის სურნელი ისეთივეა, როგორც სუნი კეთილშობილებისა.

მაგრამ ყველა ამ ყვავილია სურნელი ვარდთან შედარებით არაფერია. რადგანაც მისი სურნელზეა ხელმწიფეთ შეშენის“.

მეფეთ-მეფეს მოეწონა ეს სიტყვა და სწორად სცნო.

შემდეგ მეფეთ-მეფემ ინება ეკითხა: „როგორი ქალია საუკეთესო?“

კაქმა უბასუხა: „უკვდავი იყავით! ყველას ის ქალი სჯობს, რომელიც ქმრის თანამზრახველია, რაც შეეხება მის გარეგნობას, უნდა იყოს საშუალო სიმაღლის. მკერდი ფართო ჰქონდეს. თავი, კისერი, თვალები — კარგად განვითარებული, ტერფი პატარა, წელი — წერწეტი და თევზი-

ები რკალივით მოყვანილო, ოითები — გრძელი, ნახი და მკვრივი, ძუძუ-
ები ბიის მსგავსი, ფრჩხილები — თეთრი და ბროწეულის მარცვლის მსა-
ყვანილობის, თვალები ნუშიებრივ, წაბლები — თხის ბეწვის მსგავსი,
კბილები თეთრი და სალი, თმები — გრძელი, შავი და მათ მოწითალო
ელფარი გადაჰკრავდეს. ქალი უნდა იქცეოდეს მორიდებულად და ქმარს
არ უნდა ჰკადროს უხეში სიტყვა“.

მეფეთ-მეფეს მოეწონა ეს სიტყვა და სწორად სცნო.

შემდეგ ინება ეკითხა: „ცხოველთაგან სამგზავროდ რომელია საუკეთესო?“

უპასუხა ვაჟმა: „უკვდავი იყავით! ცხოველთაგან სამგზავროდ საუკეთესოა ცხენი, ჯორი, მსრბოლი აქლემი, ცხენი მეფის შიკრიკისა. მაგრამ არც ერთი არ შეედრება იმას, რომლებიც მეფის ჰარამხანას ეკუთვნის“.

მეფეთ-მეფეს მოეწონა ეს სიტყვა და სწორად სცნო.

მეფეთ-მეფემ ვაჟს უთხრა: „შენ რას აირჩევ აქვეყნიურ სიკეთეთაგან?“

ვაჟმა უპასუხა: „უკვდავი იყავით. უპირველესო კაცია შორის! მე იმ ათი ათას სიკეთეს ვაჩრევ, რომლებიც აქვენს ურავროში ინახება. ასე ვამბობ, რათა თქვენ გასიამოვნოთ“.

მეფეთ-მეფეს მოეწონა ეს პასუხი და სწორად სცნო.

შემდეგ უბრძანა მეფემ მამასურავ-ანოშხუსრავს, რომ ამ ვაჟისთვის ერთბაშად მიეცათ თორმეტი ათასი სრული ღრამა, ვიდრე იგი თავს გამოიჩინდა. ყრმას კი უთხრა, რომ ყოველდღე მოსულყო სასმელ-საჭმელის ჭაშნიკისათვის. ვაჟმა მოახსენა: „გამომკადვი, მზად ვარ გეშახუროთ!“

მეფეთ-მეფემ ბრძანა მიეცათ მისთვის ყოველდღიურად ოთხი დინარი. განვლო რამდენიმე დღე. ყრმა კვლავ მოვიდა მეფეთ-მეფის კარზე, დარბანსარდალი იხმო, წერილი გადასცა მეფესთან განაგზავნად. წერილში ასე ეწერა: „უკვდავი იყავით. უპირველესო კაცთა შორის! მეფეთ-მეფემ მიწყალობა კაბუთა საქმელების დაჭაშნიკება, რამაც დამასწულა. თუ შესაძლებელია, ბრძახეთ სხვა საქმე გამოძინახონ!“ ყველაფერი ეს მეფეს მოახსენეს.

მეჩინიბეთუხუცესი ეახლა მეფეს და მოახსენა: „უკვდავი იყავით, უპირველესო კაცთა შორის! ინებეთ ამბ-ს გაგება: ორი ლომი გაგვეპარა და უთუოდ ისინი ცხენების ჯოგს დააფრთხოებენ, თუ ინებებთ. ბრძანეთ, რომ ის ორი ლომი ცხენების ჯოგს მოაშორონ!“ მეფემ უმაღლვე ყრმა თავისთან იხმო და უთხრა: „უნარი და სიმარდე გამოიჩინე და ლომები ცოცხალი მომგვარე!“

ყრმა სწრაფად წაერდა. გზაში შეხვდა ერთ მწვენიერ ქალს. ყრმამ ამ ქალს უთხრა: „მომეცინება, რათა შენთან სურვილი დავიკმაყოფილო!“

ქალმა უპასუხა: „რადგანაც ეს ცოდვა აღრეც ჩაქიდენია. ამიტომ გას-
ლევ უფლებას და ეს საქმე, რომელიც შეხც სხვა დროსაც ჩაგიდენია.
ეხლაც შეასრულო და სურვილი დაიკმაყოფილო!“

ამის შემდეგ ვაჟი სწრაფად გასცილდა მას, წავიდა და თავისი ვნე-
ბა აღა გაუყელავენებია.

ლომების დასაქვრად წავიდა, ჩაუსაფრდა მათ, ქამანდით ორივე ლო-
მი დაიჭირა. ცოცხალნივე ჰიჭვეარა მუფეს.

მეფეთ-მეფეს გაუყვირდა და ვაჟს უთხრა: „წადი, ლომები დახოცე!“
ვაჟმა ეს შეასრულა.

ამის შემდეგ მეფემ უბოძა ყრმას დიდი ქვეყნის მარზანობა.

განვლო ღრმ, მეფეს ამბავი მოუვიდა, როცა ვაჟი ლომების დასაქვე-
რად მიდიოდა, გზაში ერთ ქალს შეხვდა და რა უთხრა ამ ქალს, ქალმა
რა უპასუხა და რომ ვაჟი იქიდან წავიდა და ვნება აღარ გაუყელავენებია.

როცა მეფემ ეს ამბავი მოისმინა, თქვა: „ის ვაჟი მეტად ჰკვიანი ყო-
ფილა, რადგანაც ცოდვას თავი არ მისცა და ვნება დაიოკა“. მეფე მე-
ტად კმაყოფილი იყო. რომ ეს ამბავი შეიტყო. და მან უბოძა ვაჟს მალა-
ლი თანამდებობა და თავის ამალაში ჰყავდა.

უკვდავი იყოს სული ხოსროვ მეფეთ-მეფისა, კავადის ძისა და იმ
ვაჟის, თავისი ვნების დამთრგუნველისა, ასე იყოს!

აღსრულდა მშვიდობით, ბედნიერებითა და ლხენით.

დ რ ო

ეს ლექსი შედის საშუალო სპარსულ ენაზე დაწერილ თხზულებაში „ბუნდარიში“
(შესაქმე). როგორც ვარაუდობენ. ძველი განეკუთვნება პოსტასანურ ხანას (VIII—
IX სს.), მაგრამ იგი საშუალო სპარსული ნაწარმოებია მან-ი, ვ-ნაიდან დაფუძნებულია
აღრეულ წყაროებზე.

ლექსში საინტერესოდაა ფაქსირებული ირანელთა წარმოდგენა ღრის რაობაზე.

ღრო ძლიერია, ვიდრე ქვეყნად ორი არსება,

ღრო სიწრფით საზომს სამართლისას შეეფარდება:

ღრო მდიდარია წყალობაზე. დაბედებულზე,

მეტის მცნობია ყოვლის მცნობზეც, სოფლად რებულზე.

ცხოვრების ჩვენის ხანგრძლივობას იგი აწესებს,

სიმყარე მისი ბრწყინვალეობას წარიდებს, განლევს.

ღროს ვერ უწოდებ დაცემული კაცის სულის მხსნელს.

არც მაშინ, ოდეს იმყოფება ცათა შინა ზე:

არც მაშინ, ოდეს იმყოფება მყარსა ზედა ქვე:

არც მაშინ. ოდეს ეშურება ჰრუმე ქვესკნელეთს.

ცივ წყაროებთან შეუპოვრად გზას რომ მიეკვლიეს.

X—XI საუკუნეებს სუფიურ-მისტურ-სპარსულ პოეზიის ერთ-ერთი თვალსა-
ჩინო წარმომადგენელი დაიბადა 927 წელს. გაზდაცვალა არა უადრეს 1055 წლისა.

* * *

არაკაცისგანნუ მოელით ვაჟაკურ საქმეს,
გულის ნაკენესი არ ამშვენებს უტკივარ სათქმელს, —
სიმართლეს ვამბობ ფერიდუნის შთამომავალი:
ცივი ღუმელი ცეცხლის აღს ხომ ვერასდროს აფრქვევს.

მაგ შენ წამწამებს მიძინებულს მიწოდოა წამით
მოვფერებოდი. მაგრამ თურქე ჯადო გაქვს ფარკით.
თუკი პარუთთან მიიპარა მარუთი ჩემად,
მათ დასაღუპად მზად ყოფილა ძვირფასო, შხამი.

ვარდის გარეშე ვერ იცხოვრებს ქვეყნად სულდგმული,
ამის გამოა ვარდზე სტირის ოხვრით ბუღბული.
ვერ აივსები თიხაში თუ დგეხარ ფესვებით,
უწყლოდ დაშვრავ არღავანი, მითხრეს ჩურჩულით.

ჩემი ამბავიც მოიკითხე, სინდისს გაფიცებ,
შეგებრალეზი, თანაგრძნობას მაინც გამიწვევ.
სხვის ჯულისტივილს რომ გაუგო, რომ უთანაგრძნო,
თვითონაც ერთხელ, სიყვარულით უნდა დაიწვე.

ღამით ხომ ბნელა თავისთავად, დღეც მიბნელდება,
ეს უკუღმართი ბედი უფრო რად მიძნელდება.
დაკოდელ გულში წამწამების ისარი მტყორცნე
და ეს კრილობა არასოდეს გამიმრთელდება.

მთის ფერდს იები შექფენია ნაზი და მშვიდი,
როგორც იმათი ხანგრძლივობა არ არის დიდი
ისე. ღამაში სიყვარულიც ხანმოკლე არის,
ღმერთის წყალობით რაც დღესა გაქვს, მოეპყარ რიდიით.

გადის ღროება. ახლოვდება ფოთოლოთა ცვენა.
შემოვამბერიდი შენ სიყვარულს. ვერ გნახე ჩემად.
ნუთუ არ გჯერა. რომ სიცოცხლე შენ შემოგჩორე,
გამიქრა ხორცი, მხოლოდ სულით შემოგჩრი მძევლად.

ღმერთი ასა, ვისაც ვერსად იქილავ ღმერთად,
თუმც ყველგან სუფევს და თან ვეახლავს სუნთქვასთან ერთად;
იგი ანიჭებს სილამაზეს ყოველ სულდგმულთა,
კეთილს და ბოროტს განასხვავებს, აჯერებს ფერთა.

სიყვარულია რომ აგვაესებს დიდებულ გზნებით,
თუკი სახურავს შეეხება სიმურღის ფრთები,
მას ელირსება დაინახოს სატრფოს სიძალდე;
მხოლოდ მზის სხივით ნათღებთან პირველად მთები.

დარღის კუზს ზრდავს ზურგი ჩემი მუდამ მღელვარი,
ვერ აიტანდა ჩემებრ ტანჯვას, ქვეყნად ვერავინ.
ჯერ არასოდეს მიცხოვრია ლალი ცხოვრებით,
დამინაოქდა შუბლი მუდამ ღამის მთეყარი.

თუ მორწმუნე ხარ, სთესე ტიტა, ეს არის წესი.
ასვი პეშეებით წმინდა წყარო, იღვივებს თესლი,
ნუ მიატოვებ ყვავილს მარტო, შინით გამოხრდილს,
ვერვინ წაგართმევს, თუკი მისი შენა ხარ მწყემსი.

მექარავენე ვარ. შენ აქლემის ტვირთით დამტვირთე,
ქვეყნის სიმძიმე შე ვატარო? როგორ აპირებ,
გადამაქციე გაშმაგებულ ქარავენის მძლოლად,
როცა მე გული ყვაელნარით გაგინატიფე.

უნდა მოგიყუეთ, რა გადამხდა საბრალო მწირსა:
ხან ჰუზი შეკენდა, ხან ფუტყარი სისხლს მწოვდა ტკბილსა,
ცხოვრებამ დამსვა ეკალბარდზე ბუზანკალივით,
როს სასახლეში, თაფლს და ნექტარს ვხედავდი სხვისას.

ქონების ქონას გირჩევენია არ გქონდეს ცოდვა,
სიჭარბეს გიგობს რომ იკმარო ამ ქვეყნად ცოტა.
მარადიული დროა მხოლოდ საიქიოში,
გადავშენდებით ხორციელნი, დარჩება ცოდნა.

მოზიდე მშვილდი, დამიმსხვრიე ოცნების ფრთები,
მერე მომკალი, მიწას მიმეც ხორციით და ძელებით.
ნუ ხარ ბოროტი, ნულარ მტოვიბ საწამებელად
სიკვდილსე ძელი სიცოცხლესა, წაგადნებე წლები.

როგორ მომწონხარ, შენ რად გინდა სუნამოები,
სუმბულია თუ ვარდის წყალი, ნუ ეტოლები.
მიზიდავს შენი თბების სუნთქვა და სურნელება
მე. და შენა ბალიშს ვეფერები და ვეკონები.

მოკვდები ისე, არ გაჩვენო სველი თვალები,
დავიწვი შენგან უხილავი ოხერის ალებით,
ნაიწად ვიქცევი. შენ რომ კვამლმა არ შეგაწუხოს,
თუშცა შენა ხარ გაძგებელი. ჩემი წვალუბის.

რას შეგადარო, მე იმ ვარდის მუდმივი ტყვე ვარ,
ეწერ მიწაში ფესვგამდგარი მწყურვალე ხე ვარ,
არღაუანი ვარ, დამიხახე, სისხლად ვიღვრები,
წითულ ნაყოფით შენს წინაშე ფუჭად რომ ვდგეყარ.

ო. ნუ დაიდებ ამ დიდ ცოდვას სულით ნარნარო,
წვა და წამება მე. ქედმოხრილს, უნდა მაკმარო.
ყველას ახსოვდეს, მრისხანეა განკითხვის უამი,
სჯობს საიქიოს წარსდგე წმინდა და უანგარო.

შენ, მე რომელმაც ამირიე გონებაც, თავიც,
ვერ მოგიპოვე ველარც თხოვნით და ველარც დავიო.
შენ სისხლისაგან დამცალე და დამსყარე სისხლში;
„არ არის ფერი უმეტესი ფერისა შვიის“ .

რად დამიშალე მთვარევე სახე ბადრი და სრული;
რად მალე ჩემგან ლამაზ თვალებს მოხატულს სურამით;
თაქერმა უკვე ყველაფერი გადაიტანა
და უნდა, მხოლოდ, შენს კალთაში დალიოს სული.

სატრფოს ხატება აღუბეჭდავს ჩემ გულს ფრცხვას,
ისე ბასრია სიყვარული, მოიხრავს ისარს,
გობრწყინავს მუბლზე ხალი როგორც დილის ვარსკვლავი,
იგი ვარსკვლავი მხურვალეა უმეტეს მზისა.

გადაბრია და გამაბრუა მზის საღარებმა,
ალარ მოსწყინდა უდაბნოეთს ჩემი ტარება,
თვითონ ჩემს გულში მოპოვე ბონა მარადი,
მე არ მძილო, იმის გულმა მოუყარებმა.

ზოგი რსეთი თამაშია, ზოგა არ იცის,
სიტყვა — სათქმელი შენ რომ გქონდეს, განა დაგიცდის.
მაბრაუნებს, გვერდით რომ გისწედან, და უფრო მეტად —
კარგის და ცუდის გამოირჩევა შენ რომ არ იყო.

რა მცირე არის მიწა ჩვენი, ვადივლი ფრენით.
შესკოდავ? თუკი გადაძალე, იფიქრებ ღზენით:
არ მოვიხრები, ოღონდ ფეხი ქვას არ წამოვყრა,
ვრძელია — გზა და საიქიოს მავალი დღენი .

საბრალო გული დაილია ხსნათა ღოდინით,
მძიმე ვალები დამწოლია მხრებზე ლოდინით.
შენ შეუბნები, ვინც შოითმენს, მიიღებს ბევრსო,
მე კი მოვითმენ, სხვა გამყიდის ოქროს ზოდინით.

სხვას, წასაქცევად ნუ დაუგდებ ქვას ფეხქვეშ ფლიდო,
ქადაგებს სიბრძნე: ფეხს წამოჰკრავ იმავე ქვას, თვითონ;
თუმც ეს ტყვილი, იმ სინანულს რას შეედრება —
საიქიოს წინ „შავ სიას“ რომ ვსურს განერიდო.

შენ შემოგწირე წამიც, წუთიც, სიცოცხლის წლებიც.
შემოვიარე ველ-მინდვრები, უდაბნოც, მთებიც.
არ მიძებნია არც ოჯახი და არც სახლკარი —
შენ დაგეძებდი, მხოლოდ შენკენ ვილოდნენ გზები.

ვინც მე მკითხულობს, გამოაყვება გზას დეშავენდის:
ამქვეყნიური რა არ ვნახე: ოქრო და ვერცხლიც.
მთის მწვერვალზე ვარ. ცაში ვარსკვლავთ ვესაუბრები.
მაინც შორს არის ყველასაგან მაღალი ღმერთი.

წვენი დავწურე ლალისფერი. დაკრეფილ ვახის.
ჯერ არ მინახავს სხვა სასმელი ამ ღვინის მსგავსი;
მოღით შფოთებო და მუტრიბნო, ესვათ, ვისაუბროთ,
უქვევარობას და მარტო სმას არა აქვს ფასი.

აკაბუნდი ღიჭეკაჭეკა

ხ ა ნ ს ა
(575—664)

ასეთი ფსევდონიმით წერდა ლექსებს ცნობილი ირანე პოეტა ქალი უმე ამბ ტფ-
მადირი. იგი განსაკუთრებით ცნობილია თავისი ელეგიებით (მარსაებთ), რომლებო-
თაც დასტირია ბრძოლაში დაღუპულ თავის ორ ძმას.

ძმანე ნათქვამი მარსიეზი

ო, თვალნო ჩემო: უხვად რწვიმეთ, ნუ დაშრებით!
არ დაიტირებთ მაშაც, ლამაზ, ქაბუე წინამძღოლს,
უწვერულიც რომ წინ უძლოდა თავის განთქმულ ტომს,
ახოვანსა და ტანადს, ლამაზ სახრას?!
სხეათა მსგავსად ეძიებდა ისიც დიდებას
და მიაღწია, რის მიღწევაც ხელეწიფებათ
ლირსეულ რაინდთ.
ასე წავიდა ამ ქვეყნიდან პატრეგებულო,
ხალხის ქება და დიდებაა მისი მეგზურო.
აჰა, აღსრულდა ნება მისი,
სიკვდილის შემდეგ ყოფილიყო იგი ქებულო.

არ მასვენებენ მოგონებები მიმწუხრის უამს,
 და ტვირთად მანვეს სევდა მუდამ,
 ო, სახრ, შენს გაშო!
 ვიზ არის შენებრი ბრძოლისას,
 ან შენებრ მოწყალე მამერალთათვის?!
 შენ რისხვა იყავ კაცთათვის და ეშმაკთათვის
 და ბედისწერის არ გეშინოდა.
 ვერ დაგივიწყებ, ვიდრე სული არ ამოხდება,
 არ განშეხვდება სამარის კარნი...
 სევდით, მოწყენით შეეყურებ უამთასვლას,
 მათებს დროთა ცვლა...
 სამარეში კი არ თენდება და არ ღამდება.
 მე მზის ამოსვლა შენს თავს მაგონებს,
 პიტომ დავტვირი მის ყოველ ჩასვლას.

ესო დიდი გვარისა და შექნებული ოჯახის შვილი. ლამაზი და განდებურებული პოეტი ახალგაზოცობაში ეწეოდა ბოქმეტირ ცხოვრებას. მოგზაურობდა. ღარჩა მრავალი ლირიული ლექსი, რომელიც ძირითადად ქალებს ეძღვნება.

არა ვიცი რა, ვით ვაეწყო
 ჩემს თანამგზავრებს გულის ტყვიული.
 ო, ბვირფასებო, გამოფხიზლდით, გეყოფათ ძილი!
 გააცისკროვნებს სირიუსი მიდამოს ძალე.
 მიშველეთ რამე, მეგობრებო, ბედი კრულია.
 მე ჩემმა სევდამ გამიფანტა ძილი სრულიად!
 უბედურება ჩემი მხოლოდ სიყვარულია.
 მითხრა ათიკმა სიტყვა ერთი სევდისმომგვრელი.
 პასუხის ნაცვლად წარმომდინდა თვალთაგან ცრემლი:
 „აწ წადი, დროა. გამოესალმე საშუდამოდა.
 დაემშვიდობე სულიმას, ბაგეთ ამოთა!“
 და გული ჩემი გამოყუჩდა. გრძნობდა ველარას,
 პასუხად მხოლოდ ბაგეთა თქვეს ჩურჩულით: „არა!“
 ო. მეგობარო. ნუ გამკიცხავ ამ ლტოლვის გამო,
 ცრემლი დაღვარე, თანაგრძნობაა ჩემთვის საამო.



გული თავისას მაინც არ იშლის,
 დიდი ხანია სიყმაწვილემ ზურგი მაჭკია.
 ის მაინც ცდილობს,
 და აი, ლამის კვლავ ხელ მიჩნურად გადამაქცია.
 ასეთ სიყვარულს თუ მიატოვებს
 და ჰინდი მარტოდმარტოს დამტოვებს.
 დაე. წავიდეს. გული არ მწყდება.
 ქვეყნად ყოველი პერდესა, ქრება!

• •

აფორიაქდნენ ჩემი ლექსები მისი მოგონებით,
მე თვალწინ მიდგას ქარავანი, მასში — გოგონები,
სამგზავროდ შეკრებილნი,
მათ შორის ჰინდი, ნაზი და მშვიდი.
ირგვლივ ყველაფერი წარსულად რჩება,
ჩვენი სიყვარულის ლანდად დარჩება.
ნეტავ. იმდენ ხანს, შენ რომ იცოცხლებ, მაცოცხლოს ბედმა.
და თუ განგება შენ გაგიმეტებს, დაე, მომკლას მეც!

• • •

ტრფობით სნეული ტრფობითლა ხარობს,
მე დავეიტანჯე ქულსუმის გამო,
თვალთა ჩემთა წაერთვათ სინათლე.
ოდეს ბრწყინვალეებით შენით გამანათიე.
დამაუძლურე, დამისუსტე გული,
სხვა არაფერი გაქვს დანაშაული.
მსურდა თავის მოკვლა შურის საძიებლად,
ვერ ვბოვე სიკვდილი, დავშვრი ძიებად,
ეჰ, დაგელოცოს ტურცა ქალობა,

ჩემს სისხლსა გასცემ. ვითა წყალობას.
მოდო, დამიჭეჭ გვერდს და მითხარი,
რად სტანჯავ მუსლიმს, ალაპის ერთგულს?!

• • •

შემომეყარა ქურციკთა გუნდი
და გამიჩინა გულში ნაღველი,

გადაირბინეს მსწრაფლ ქუბაადან
მუსალასაკენ უდაბნო ველი,

წინ გადავუდექ, სულს განვაშორე
სირცხვილი, როგორც სხეულს სამოსი,

თუმცა მოვხუციდი, კვლავ ძველებურად
მაწველებს ქალის სურვილი მწველი.



ნეტავი კარვის წინ ვინ უჯდა
 ხელ ცეცხლს ამ დილით,

ვინ დააფარა ღვერფლ-ნაღვერდალს
 სველი მანდილი?



ჩემს ხსოვნას შერჩა დღე ჩაუმქრალი,
 მსწრაფლ გავმგზავრნენ როცა ისინი

ისხდნენ თვინიერ ჯორეპზე ქალნი,
 მათ შორის მახსოვს ჰინდის სიცილიც.

ჰინდი ამქვეყნად იცოცხლებს ვადრე,
 მაშოროს ღმერთმა მარადი ძილი,

უფალო. მიწას მაშინ მომწყვიტე.
 როდესაც წამგვრის სატრფოს სიკვდილი...



ქვირფასო, ვინაც სიკვდილაჲმდე გული გენდობა.
 ყოველი ქვეყნად ვანაცვალე მხოლოდ შენს ნდომას.

ვინაც შესცოდა, მიუტყევე დანაშაული,
 წყეულიმც იყოს, ვინც არ იცის ცოდვის შეხლობა!



ივალებტრემლიანს შემეკითხა დღეს მეგობარი:
 -- გიყვარს კათული. რაბაბის და ქურციკის დარა?
 -- სიყვარული ჰქლავს. ვუპასუხე. - ვით სიციხით ტანჯულს
 წყურვილი, ოდეს წვეთი წყლისაც კი არსად აოი...

აწ სურათის ჩემს ამბავს ვინ ვა. გვიბრუნებს,
რომ მის ვარუშე დავრდომილი ვარ და საპყარი?
უპ ნაუფალმა უხმო მას. ვინც მომიკლა გული,
აწვიწ დალიოთ ჩემი მკვლელის შესანდობარი!
გულისფანცქალით იკითხა, ვინც დამწვა: -- ვინ მიხმობს?
-- აწუ ლხატაბი, -- უთხრა უმმა, -- გააღე კარი!
ვით ნიამორი, გამოვიდა, მოირწეოდა
მხეველთა შორის ძუძუსავსე და ტანკენარი.
-- ვარ შენ წინაშე! -- მითხრა, როგორც მლოცველმა ტაძრად,
ვისაც შოელის სამოთხე, ვით ღვთის საბოძვარი.
გაოცდა მისი სილამაზით თვით სიყმაწვილე.
ჰგავს ხატს, ბერი რომ ევედრება ლოცვად დამდგარი.
გარშემო ერთყნენ მას ელვარეღაწვებიანი
თეთრი ქალწულნი, მკერდსავსენი და პირმცინარი.
მკითხეს მხეველთა, თუ გიყვარსო კვლავ სურათი?
-- სურვილი მწვაეს მე, -- ვუპასუხე, -- გასაოცარი,
უსასრულოა ტრფობა ჩემი და უნაპირო,
როგორც ვარსკვლავთა, ქვიშის და მტვრის რიცხვი უშქარი.
მისი ბროლყელი ელვარებდა, ვითარცა ოქრო,
მზის მომაგონა ბრწყინვალეა. ბნელის ლახვარი,
გადმოიხარა საროსტანი, შვენის სამოსი,
სხეულს მორახევს ვნებიანად, გველის სადარი.
და სული ჩემი წარიტანა მუშეის სურნელმა,
ნეტავი აწ მე ვინ მიშველის ან ხსნა სად არი?!

• • •

მაინც ჩიუტად მსურს კვლავ ბავშვობა,
თუმც სიკაბუკით აღარ ძვერს გული

და ისევ ჰინდის სასიყვარულოდ
მომიხმობს გული დაბერებული...

თუ დაივიწყა ჰინდმა უეცრად
ეს ტრფიალება წრეგადასული?

რა ექნა, კაცთა გზაც წარმავალია,
როგორც ალერსი და სიყვარული.



დადგა დრო... ბედმა დაცოლებ: ჩვენი ირება,
მეტრფესთვის სატრფოს სიშორეა ტახტა და ვნება.

მკითხა: „ვინა ხარ, ვერ გიყვანო...“ ამოვიკენესე:
„შმაგი ვარ, ვინაც უფსკრულისკეი შიქსანება...“



გავგზავნი მასთან მოციქულად ჩემი მხევალი
და დავებარე: „იყავ ფრთხილად, პასუხს მსწრაფლ ველო.“

უთხარ 'ხეინაბს: -- უწყალოზე ომარს ამ ღამით
ღიმილი შენი და აღერსი ცეცხლივით მწკელი.

თუ შენი ტრფობით უმელოს განჯურნავ სხეულს,
ღმერთის წინაშე წმინდანი ხარ და უცოდველი...“

მკითხა მხევალმა გაკვირვებით: „ნუთუ ამკვარად
ხიბლავ ქალებს, რომ ვახსენებენ წყევლით და კრულვით?!

ამბობენ, მარტოდ დავადგდესო უბედურ სატრფოს,
როცორც კი შენით ხელად ქმნილი მთავლავს წყერკილს...“

ბელუნიის მარსია სოლზე ნათქვამი

არ ვიცი იმ დროს,
როცა ლამე შე მას მაგონებს,
ვინ უფრო მეტად იტანჯება
ჩემს და მას შორის...
მიწად წასული უმ ქარიმა
თუ მეტრფე მისი,
ყველა მზის ჩასვლა რომ თანდათან მისგან ამორებს.

სატრფოზე თქმული მარსია

მოვიდა ჩემთან საფლავიდან, რათა ვენახე,
 და მეც სიჰმარში დაეუკოცნე ლაწე-ყელ-კისერი.
 ვუოხარი: „თვალთა სინათლეო,
 ეით მოაღწიე შენ ჩემამდე,
 სამარის კარი ხომ მიწით არის ჩახერჯილი?“
 მან მიპასუხა:
 „დამარხული ჩემი ძელებია,
 ალზობს და ხრავს მას მიწა,
 შენთან ფარულად მოსული კი
 სულია ჩემი მონატრებული“.
 გამეღვიძა და შემრჩა მხოლოდ სასთუმალი,
 ცრემლით დანამული.

დაბადა დალაქის ოჯახში. სრულიად ახალგაზრდა მოხვდა ხალიფას სასახლეში, მიაღწია მატერიალურსა და პოლიტიკურ აღზევებას. წყაღდა სატრფიალო, სახოცბო და სატირულ ლექსებს, მაგრამ განსაყუთიებით გაატყვა სახელი ასევეტური პოეზიით.

* * *

ძმაკაცმა მკითხა, რომ შემატყო დარდი ფარული:
— პირმშვენიერი უთბასი გკლავს კვლავ სიყუარული?
ოხვრით მივუგე: — ჩემს ძარღვებში მიედინება
გაშმაგებული სისხლი, რომ სწვავს უსაზღვრო ვნება...
გაწაშებული მიჯნური ვარ და მეოცნებე.
გასინჯე, უთბა. გული ჩემი, თუკი ინებებ, —
შეუხსორცებელს ჰგავს ჭრილობას შენს გამო... გნატრობ...
სულის სიმშვიდეს მომიპოვებს სიკვდილი მარტო.
ექიმს იმედიც აღარა აქვს, რომ გადაურჩები,
შენზე, ძვირფასო, სამარემღე უნდა ვიღაარდო...

* * *

სიკვდილი კარებს ჰგავს, ბოლოს რომ ყველა შეაღებს,
ნეტავ, ამ კარებს იქით ვის რას გვიწესებს ბედი?

ვინც ღვთისას ადგა გზას, იხილავს სამოთხის ბალებს,
გულბოროტს ცოდვის შენდობის არც ჰქონდეს იმედი.

* * *

ვინც იბადება, ბედისწერა ვერ ეურჩება,
სრა-სასახლისგან უბადრუკი ნანგრევი ჩიება,
სიკვდილო, გელახვრავს ჩება შენი გარდაუვალი,
ცრუ და მართალი ერთნაირად ბოლოს ისჯება.
თავს დაატყუები ჩემს უჩრუწველ და მშვიდ სიბერეს,
როგორც ჭაღარა — სიჰაბუქის თვალწარმტაც ფერებს.

(747-762 შორის — 813-815 შორის)

აღმოსავლეთს უღრდესი პოეტო. წაჩემობით საჩხველო. დიღხანს 'ცხოვრობდა ხალხებთან არსე. ეწეოდა თავაშეებულ ცხოვრებას, რის გამო ციხეშიაც მჯდარა. ისე ჰოქელარული იყო არაბულ სამყაროში, რომ იქცა „ათას ერთი ღამის“ პერსონაჟად. ცნობილია ღვინისა და სიყვარულისადმი მიძღვნილი ლექსებით.

ხობბა ხალიფა ჰარუნ არ-რაშიდს

ღიღხანს ვეიდოდი და ვგოდებდი ნასახლარებოანაჲ,
თან შუეი ფიქრი დამდევდა და არ მახარებდა.

აქ თითქოს ნადირს ვუპირებდი მონადირებას,
ის კი ილტვოდა, გაჩერებას არ აპირებდა.

უიმედობამ როს დაძრია ხელი უხეში,
ნასახლარები მივატოვე. ვპოვე ნუგეში

სირაჯხანამი, სად ძაღლები არას შერჩიან.
არც უოთს არ ვთულვარ, ბეჩავს ყველა შემომეჩრია.

თხვეადმა ოქრომ მილად წალეკა ჩემი ქონება,
მაგრამ შეძომრჩა სიქველე და კეუა-გონება.

არ დავეხსენი, ავეკიდე სირაჯს ბედადა,
მანაც დამცინცლა, რაც გამაჩნდა და რაც მებადა.

ბევრჯერ დავცალე თასი. მზისფრად განაშუქები.
ბევრჯერ დავლოცე საოცნებო ქალის ტუჩები.

თასი სინათლით ავსებულა. მისწუდი. თუ ვინდა.
შუქი ჩაღვრილა მოწმენდილი ცისკიდურიდან!

ისე ელვარებს, ვერ შეხედავ ჯიქურ თვალითა,
მყის დაგაბრმავებს, ჩამოაცვა თუნდაც შალითა.

კურთხეულ იყოს თვისი საქმის ბრძენი გამორკვი,
ვინც მძლე ჰარუნი აღამატა სხვათა ხალიფებს.

გვიყვარდეს ლმერთი და გვექნება ცხოვრება მშვიდი.
რადგან გვყავს მცველად ერთგულთ მამა ჰარუნ რაშილი ³⁹.

ის იმამია და ჰმორჩილებს ალაპის ნებას,
თითქოს ნიდაგ ულოდება მის მობრძანებას.

ჰარუნი ისე მალაღია, ისე მხაგრძელი,
რომ თვით დროშამდე სწედება მისი ოქროს სარტყელი.

ხოტბა ხალიფა ალ-ამინს

გემ „დელფინზე“⁴⁰ დაბრძანდა
მთვარე ⁴¹, ღამის მომრევი.
მყის გაჰყვითა ტალღები.
გაარღვია მორევი.

დიქლას გადააფრქვია
ვერცხლისფერი სხივები
და ორივე ნაპირი
გაუბრწყინა იმედით.

სულ სხვა აჩის ხომალდის
ანძები თუ ჭანდარა,
ხან პირდაპირ მიიწევეს,
ხან კი უხვევეს ნარნარად.

იყოფიან ტალღები,
მისგან გადასერილი,
გზას მიიკვლევეს ამაყად
თოხარიკი ცხენივით.

ეს ხომალდი ალ-ამინს
მიაკუთვნა ალაჰმა,
გაარჩია ყველასგან
გადმოღმა და გადაღმა.

სოტბა მკვიპტის განმგებელს
ალ-ხასიზს

ექვიანი მამა გყავს,
მეზობელო ქალო.
რაც იოლი მეგონა,
ძნელდება და ვწვალობ.

შენი გრძნობა არც დობას,
არც ცოლობას ჰგავს და.
თუკი ასე გაგრძელდა,
გაგეყოფს მრუმე ფარდა.

ისეთ მეზობლებში ვარ,
მისვლა-მოსვლა არ გვაქვს,
საიქიოს გვექნება
ჩვენ ერთობა ალბათ.

საქმე ბევრი არა მაქვს,
თუმცა რას არ შევძლებდი
არც ერთ სულტანს ამქვეყნად
არ აქვს ხელი ჩემზე.

თვალის ერთი შევლებიო
უველას ზრახვას ვწვდები.
ჩემს მზერას ვერ წაუფა
ჩანაფიქრი სხვების.

გამქოლავი თვალი მაქვს.
გაოცდება კაცი,
ჩემნაირი შორს კერეტა
ძალუძს მხოლოდ არწივს.

ორ დღეს საზრდოს უმაღლავს
პირტიტველა მართვეს⁴².
სულაც არ ენადგლება,
თუნდ მშიერი დარჩეს.

ჰა. მწვერვალზე აფრინდა,
სად ცა მიწას ქობავს.

მა ქმ სხივები მოჭფინა,
ყინული იწყეს დნობა.

იმზირება მალღოდან,
ზეერავს ფრინველს ფრ ზაქალს
არ ლალატობს თვალი და
არც დაუძებს წამალს.

გაოუველი. დავტოვი
ქალი, ღიმის მჩენი.
მეუბნება: „მალონებს
გამგზავრება შენი.

ნუთუ, გარდა ეგვიტის.
მხარე არსად არი,
რომ ალავსო სკივრები
საოცნებო ლარით!“

ამას ამბობს საბრალღ,
კურცხალს ველარ მალავს
და თან ფერუმარილი
სღის ცრემღების კვალად.

წავალ, სადაც მეუფებს
ალ-ხასიბი ბრძენი ⁴³,
რომ ვამრავლო, სატრფოო,
მომურნენი შენი.

მე და ჩემი აქღემი
ვართ ნატრულნი მისნი.
სხვა ვინ არის, მითხარი,
ჩვენი ნახვის ღირსნი?

თვისი ფულით მიირქმევს
ღიდღებას და ხოტბას.
ღცის, წუთისოფელი
ხარხის ტრიაღს მოჭგავს,

სიქვეღე კი თან ახღავს,
არ ექცევა მხარი, —

იგი მუდამ იქაა,
სად ხასიბი არი.

არ მინახავს ამირა,
ალ-ხასიბის დარი,
მაშა გამარჯვებისა
სულ მის გვერდით არი ⁴⁴.

ამა ქვეყნის გველებში
ერთი სჯობნის ას ვეელს,
როს ხასიბის ძალ-ლონით
დააცხრება თავზე.

თვალი ჰკიდე მჩაგვრელებს,
თავს დაეცი ხელად
და ჩვეული სიპარჯვით
დაატყვევე ყველა.

წელს შებმული მახვილი
წვივზე რომ არ მოგხედეს,
მუდამ დინჯად დადიხარ,
ნაბიჯს ადგამ მოკლეს.

თუკი ამ ჩემს ნათქვამში
დაიჭვდება ვინმე,
ჰკითხოს პარუნ არ-რაშიდს,
მართლმორწმუნეს პირველს.

კეთილ რჩეიას აძლევდი,
როს ჯერ იყავ ბალდი,
დღესაც არ გეხარება,
წელთ სიმძიმე არ გლლის.

როს მბრძანებელს შეიპყრობს
წუხილი და შთოთვა,
ან თვით ურჩევ რაიმეს,
ან მრჩეველი მოგყავს.

შენკენ მავალ ქარაეანს
აღარა აქვს ბოლო,

საქალის ქვეშ აქლემებს
თავი უჩანთ მხოლოდ 45.

აკრაკუფით მოვდივარ:ო,
გზები ტანჯვად იქცა.
გვალისაგან დამსკდარი
გადაშლილა მიწა.

როცა ოფლის აქლემებს
ჩამოსდინდათ თქეში,
მზესთან ერთად ჩაეშენენ
აინ უბალის ხევში.

ან-ნუკაიბს შიადგენენ
და წყურვილიც გაქრა...
აპირებდნენ-მამლები.
დილის ბუკის დაკვრას.

როს ინათა, თადმორის
ეკლესიებს მისწვდნენ
და ტატიტ გასწიეს
შუდახანის მთისკენ.

ალ-ლუტისკენ გარბიან
ჯავრითა და რისხვით,
თითქოს ლუტის მცხოვრებლებს
მათი ჰმართებთ სისხლი.

ალ-ჯავლანში ავიდნენ,
ჩამოშალეს მთანი,
გადიღვლიბეს ფეხები
და კისერზე კანი.

ზაისანის მანლობლად
გაათიეს ღამე,
გაელვიდათ რიყრაჟზე
ტანჯულ-განაწამებთ.

უდაბნოში შევიდნენ.
ნაპრ ბუტრუსის მხარეს;

წმინდა ალაგს მარჯვნიდან
ღვერდი აუარეს.

ქარავეანი აღ-ლაზას
გაეშურა უმაღლ,
მერე ფარამისაკენ
გაუწიათ ვულმა.

ფუსტატში რომ შევიდნენ,
აღ-ხასიბი ნახეს.
შეიფარა ამირამ,
გაუბრწყინდა სახე.

სულ ნათელი გადასდის,
როგორც შუქურ-ძთიებს,
ყველაფერს რომ თანაბრად
აფენს თავის სხივებს.

აღ-ხასიბით ამაყობს
ფარ-სმალი და შუბი,
მისი ტახტი, მინბარი,
მზისგან განაშუქს.

გულუხვია მაშინაც,
როს ძუნწობენ სხვები.
იგი ქალთა ღირსებას
იცავს დიდი გზნებით.

სპარსეთში ჰყავს მოყვასნი —
სათნონი და ქველნი,
მთვარესავით შუქს ჰფენენ,
ვინც წყალობას ელის.

რაკი მოველ შენამდე,
იცო, ვინც ვარ. რაც ვარ,
ვფიქრობ, შეგწევს უნარა.
შემისრულო ნატვრა.

თუ სიკეთეს მომაგებ,
შევიწნოვებ კვლავაც,
თუ არა და ავდგები
და მოჩბილად წავალ.

მე პატიებას არ ვითხოვ. არა⁴⁶,
როგორც სულგრძელთან, სიტყვა მაქვს შენთან.
შენს მადლს მოვითხოვ. შენს მოწყალებას,
ო, მბრძანებლო მართლმორწმუნეთა!

სულმნათო, მჭერა, რომ ჩემს ვედრებას
უძლოურ ნაბიჯით შენ არ ჩაუვლი,
შენ ისიც ძალგის. მთელი ქვეყნის ხალხს
ერთად შეუნდო დანაშაული.

შენთვის აროდეს მიორგულია.
მოწმეა მადლა დიდი ალაჰი.
აროდეს გულშიც არ გამიელა
მუხანათური შენი ღალატი.

უფალმა ქვეყნად იმისთვის შეგქმნა,
რომ აღიმართო დაჯეზად მისად.
ხელუხლებლობის და უძლეველობის
ციხესიმაგრედ ედგე დიდ ისლამს.

მრავალი ღმერთის მალიარებლებს
თავს დაატეხე ისეთი რისხვა.
ისე დათრგუნე და დააშინე. —
შენგან შორს მყოფნიც ვერ ძრავენ კრინტსაც.

მოინახულებ ყოველ წელიწადს,
ვითარცა მწყემსი გაფანტულ ფარას,
გარს შემოიკრებ. მტაცებლებისგან
მათ გადაარჩენ და დაიდარავ.

სჯულისთვის მრავალომგადახდილი,
ლხენა-სიამეს თავს რომ მისცემდე,
შენნი მრავალნი დიდნი საქმენი
სხვას დააწვება ტვირთად კისერზე.

მე. ტუსად მგოსანს, ერთი მაქვს თხოვნა:
მექვეც ქომავად, მოვეცა ლხენა, —

მე ხომ შენს რწმენას ალაპისადმი
გულში ვატარებ საკუთარ რწმენად.

მე, შენს მეზობელს, არ მეკადრება
შეურაცხყოფა დამატყდეს თავზე,
ჩადგან მუსლიმის თავის შერცხვენით
ჩრდილი ეცემა მის სულდიდ მფარველს.

თქმული ვალიზა ივნ ალ-ჰუბაბჷ

ჩემო თავო, დაგდის ცრემლის ღვარი,
დღეს ვალიზა ჩვენთან აღარ არი.

შემოვიდა მოტირალი ქალი
და მთელ ქუჩას მოსდო გლოვის ზარი.

ჩამოთვალა ღირსებანი მისნი
და სიწრფელით აგვიდელვა სისხლი.

მსგავსი ურვა არ გვინახავს არსად,
გული სწყდებათ ნიზარსა და ასადს.

დასტირიან ბრძენკაცსა და ბელადს,
ძნელ წუთებში რომ შველოდა ყველას.

ერწმუნენით თქვენ ვალიზას სიკვდილს, —
ყველას კარზე ჩამოიელის იგი

და თავის კერძს რომელ სახლშიც ნახავს,
არ ააცდენს მუხანათურ ლახვარს.

ამ სოფლიდან ყველა წავა, გვჯერა,
ყველას ელის თვისი ბედისწერა.

ვის არ გყავდათ მეგობარი კარგი, —
გაგშორდათ და დაგიტოვათ დარდი.

ჩატომ ადრე არ გამწირა ხვედრმა,
მეგობარს რომ ამ ყოფაში ვხედავ!

თავის თავზე დაწერილი ამაღმყოფობისას

კელაე ცოცხლებში ვწერივარ,
თუმც მტწილად მკვდარი ვარ,
ბედისაგან განწირულს,
ველარ გამიხარია.

რაც დრომ ჩემში ვერ მოკლა,
ის აცოცხლებს მკვდარ ნაწილს,
მკვდარ წილს ცოცხალში სძინავს,
ისე როგორც საფლავში.

ჰე, უფალო, რამდენი
მახსოვს მადლი შენია,
თუმცა მადლის პასუხად
სიტყვაც არ დამცდენია.

შენთან თავის მართლება
ვის უნახავს. სად ხდება!
მხოლოდ დუმილი არის
ჩემი თავის მართლება.

თქმული ხალივა მუჰამად ალ-ამინზე

სიკვდილმა დაგრაგნა, რაც იყო ჩვენს თავში,
სიკვდილის დაგრაგნილს ვერაფერ ვერ გამოვლის.

ჩვენი მეგობრობა სადღაცა გაქრა და
მხოლოდ მოგონებად იწვიმებს თვალთაგან.

ამჟვეყნად მე სიკვდილს ვუფრთხოდი მხოლოდღა,
მსურდა, რომ ამინი სულ კარგად მყოლოდა.

ჭირივით ვინცა მძულს — მათ გაუხარიათ,
ვინც მიყვარს — ყველანი საფლავში არიან.

თქმული ბარმაქიანეზე

თქვით. ბარმაქიანი ნამდვილი სად არი, —
ვის ბევრი ამქვეყნად აქვს ნაამაგარი,
ვინც თავად ისწავლა და ხალხსაც ასწავლა
მოქცევა ამქვეყნად მეფეთა სადარი?

როს რგავდა, თან რწყავდა, ხოლო როს აგებდა,
ძირს როდი უთხრიდა აღმართულ შენობას.
როცა მადლს შერებოდა, არ დაგამადლებდა
და ამ მადლს ხანგამძლე სამოსი შეენოდა.

თავის თავზე დაწერილი ავადმყოფობისას

ცოცხალი სიტყვა გამოგზავნა მკვდარმა სხეულმა,
სიცოცხლესა და სიკვდილს შუა გამომწყვდეულმა.

ბედი მუხთალი ისე ტანჯავს, ისე აწვალებს,
რომ ლამის არი დაემალოს განგების თვალებს.

ჩემს სახეს რაგინდ დააკვირდე, წინასწარ მითქვამს,
ამ სახის წიგნში ვერც ერთ ასოს ვერ წაიკითხავ.

უწყალო სნებამ ჩამომადნო, სიცოცხლით სავეს,
და ჩემი კვალიც არ დატოვა ცხოვრების გზაზე.

• • •

ეს ქვეყანა ქორწილია,
ჩვენ — იმისი მაყრები.
ზოგი ლხინობს, ზოგსაც კიდევ
არევია დავთრები.

ზოგს ქონება აამაყებს.
ზოგს არქონა დაჩაგრავს.
ზოგს ფერდები ჩასცვენს,
ზოგი კიდევ ტახსა ჰტაცს.

ოდითგანვე ასე მოდის:
ჯაცი კაცით ირჯება,
ან სხვა ვინმეს საჭიროებს,
ან სხვა ვინმეს სჭირდება.

* * *

ვის მოაღებენ ეს ქვეყანა. ჩემო,
ვის აამებს მწარე ნუშის გემო?

სააქაოს, ტიალ ველზე გაშლილი.
საოთხე ექვს ცხარე ცრემლის ტბაში.

* *

ეს სიკვდილი ყურის ძირში სახლობს.
შორს არ არის, აქ ბინადრობს ახლოს.

აქ ნიადაგ გლოვის ზარი ისმის.
ბოლო არ აქვს მოტირალთა ქვითინს.

შეკრებებიან მოზარენი ოდეს,
ბევრის გული მწუხარებს და ჰგოდებს.

ილევიან უზრუნველნი დღენი,
ნელა ქრება სიხალისე შენი.

სიკვდილს ელი, რადგან კარგად იცი,
ფგ სიცოცხლე აბედივით იწვის.

იყავ, როგორც მოქუფრულ დღეს შვენის,
ამდენ ღრუბელს, აბა. რას უშველი!

ნუ მოგხიბლავს ამა ქვეყნის შეება. —
ის უდაბნოს წყაროსავით შრება.

პე, მოკვდავნი მიწის შვილნი,
ავსებულხართ ცოდვებით,
ძენო უძღურებისანო,
უსასოოდ მოკვდებით.

ერთუერთისგან შორ-შორ დგახართ
თვისებებით, ბუნებით, —
ერთნაირნი არსებანი,
თან სხვაგვარნი სრულებით.

თითქოს ერთნაირები ხართ,
ერთგვარი გაქვთ სიფათი.
მხოლოდ სიგრძით განსხვავდებით —
სიმ.ღლით და სიმდაბლით.

ეპ, თქვენს მეტი ასეთ ღვინოს
წრუპვა-წრუპვით ვინა სვამს!
ოქროს ფულით სავსე ქისებს
ჩუპ-ჩუპად რომ ინახავთ.

გასსოვთ თქვენი წინაპრები,
ღირსეულნი, გულადნი,
სახელოვნად რომ იცხოვრეს
თავის აღსასრულამდის.

მათი დიდი საქმეები
პკითხეთ იმ ძველ ქალაქებს,
ჩაუკვირდით, დაინსომეთ,
რაც მათ აღაპარაკებთ.

საიქოს მიმავალ გზას
ჩვენსუ აღრე დაადგნენ.
ჩკინც იქითკენ გაუფუცვებით,
ვიც ყოფილა პრავალჭერ.

ვინც იცხოვრა სასახლოოდ,
გული გზნებით აკვისთო.

დრო მოვა და ჩვენც გავხდებით
სხვისთვის სამავალითო.

სიკვდილს ისე შეუძლია
ხელის სწრაფად ჩაღება,
რომ ერთხელაც ვერ მოასწრებ
თვალის დახამხამებას.

ისე მწამს და ისე მჯერა
სიკვდილის დღის შემოსვლის,
რომ ამწამსვე წარმოვიდგენთ
თქვენც, სულდართ შემოსილთ.

სახლებიდან გამოჰყავხართ. —
სულ თვალნათლივ ვუყურებ, —
წაგიყვანენ და დაგფლავენ
ყიამეთს და უკუნეთს.

იქ არც კარავს გაგიშლიან,
არც პალატი გექნებათ,
არც სიცივე შეგაწუხებთ
და არც სიცხის შეგრძნება.

ვერც ვერავის დაინახავთ,
ვერც ვერავინ შეგნიშნავთ,
სწორედ გითხრათ, სასაუბროც
ბევრი არაფერი ჩანს.

დიდი ღმერთის უხსენებლად
ვისი ყოფნაც არა ღირს, —
სულგრძელ მუსლიმს უცილობლად
შეიწყალებს ალაჰი.

მას ცოდვასაც მიუტევებს, —
ღვთის მოშიში ვინც არი
და ალაჰი ვისაცა ჰყავს
მარად დასაფიცარი,

**კოეტი არ-რაკაშის სიმუნწის
გამო**

შიშხილისგან სული სძვრება
არ-რაკაშის ჭანდავ გვარტომს.
საიქიოს შიშხივალა
ყველა პურის ნატეხს ნატრობს.

სამარესთან თბილი პური
შიუტანე, სხვა არ გინდა, —
ყველა ერთად გაცოცხლდება,
ამოხტება სამარიდან.

• • •

არ-რაკაშის კარდალა
საანდაზო გამხდარა.
ყველაფერში ხმარობენ,
ოლონდ ცეცხლზე არ მდგარა.

დაიჩიელა კარდალამ:
„სად ეშმაკში წავიდე?
უპ, რამდენი წელია
არ მინახავს წყალი მე!“

**ისმაილ იბნ ნაუბახტის
სიმუნწის გამო**

ისმაილის რბილი პური
ქსოვილივით არის:
ნატეხებს რომ ამოკერავს,
არ ეშინევა ბზარიც.

რა კაცია, რა ოსტატი,
როგორ ხმარობს ნემსსა:
არაფერი არ ეტყობა,
ისე წმინდად კემსაფს.

პურო, ისე გაგამთელებს,
შენდა გასაოცრად,
კაცთა შორის ვერ იპოვი
იმის ბადალ ოსტატს.

ჯერ ერთმანეთს მიატოლებს
ორ ჭარდაკის ნატებს,
მერე ზუსტად შეაერთებს
და სუფრაზე დადებს.

პურის ორი ნახევარი
ისე ხდება მთელი,
თუ ოდესმე ორი იყო,
ვერ მიხვდება ვერვინ.

ისმაილის ნახელავი
გააკვირვებს კაცსა:
პური ისევ მთელი არის,
ნანემსარიც არ ჩანს,

თითქოს იგი ჩაბახებმა
ამოაგდეს ამწამს...
ისმაილის მსგავსი კაცი
არ შინახავს, არ მწამს.

წყლის მულამსაც დაეუფლა,
ეცის იმის საქმეც.
და თავისი ოსტატობით
საოცრებას ახდენს.

სუფთა წყალში მლაშეს გვირვეს,
თავის მუტად გაზრდის.
თვითორ სუფთა წყალს მიირთმევს,
ხო აქვს ჩვენი ღარდი.

გაუდაბურდა ალ-მუსალა და მწუხარებენ
უკაცრიელნი ქვიშიანნი გორაკნი მისნი,
ალ-მირბადი და ალ-ლაბაბიცი⁴⁷ დაკარიელდნენ
და მდუმარების ნალველი ჰკლავთ ძნელგასაძლისი.

დგას საკრებულო რწმენისა და სიმამაცისა —
ბასრის მეჩეთი, ცარიელი და უკაცური,
მოედნები და დარბაზებიც გაუკაცურდნენ,
სად გაისმოდა წმინდა ლოცვა, ზეცად ასული.

აი ადგილნი, სიჭაბუკე სად რბოდა ჩემი,
სად უზრუნველად ვერთობოდი თანატოლებთან.
მათი სახება შორეული მას შემდეგ დიდხანს
ქალაროსანსაც თან მდევდა და არა მტოვებდა.

ბასრი ხმლებივით შემართულნი იყვნენ კაბუკნი,
ფრთებს რომ ასხამდათ ამ ცხოვრების ხანა ნეტარი,
კაბუკნი ზრდილნი, სათნონი და განათლებულნი...
ო, იგი წლები დამიბრუნდნენ წუთით ნეტავი!

წარვიდნენ დრონი, კაბუკები მიმოიფანტნენ,
თვის გზას ეწვივნენ, დაიქსაქსნენ საბეელთ მსგავსად,
მათი ბადალი მეგობარი განგებას ჩემთვის
არ მოუცია სიცოცხლეში აროდეს, არსად.

როცა დავრწმუნდი, რომ მეგობრებს ველარ ვნახავდი,
ერთხანს ნალველი დამეუფლა, როგორც სახადი,

მერე საკუთარ ნებისყოფას მოვეუხმე მცველად
და ათასგვარი სურვილებით მოვხიბლე ყველა.

მეგობართაგან განშორება მარგუნა ბედმა
და მათთან შეყრის საშუალებას ველარა ვხედავ.

აქ. კუტრაბულში გაზაფხულის მე მაქვს დარბაზი,
ქარხის მიწაზე ხარობს ჩემი ურიცხვი ვაზი,

რომელიც თვის რძეს მაწოვებს და მხეს მომიჩრდილავს,
როცა შუადღის პაპანება მოჰყვება დილას.

ვაზის ფოთლები ისე არის ერთურთს მიჯრილი,
რომ ვერასოდეს ჩამოაღწევს მწველი მზის სხივი.

ზვარში მტრედები მოსძახიან გმინვა-ეაებით,
როგორც საფლაგზე დამხობილი ქვრივი ქალები ⁴⁸.

ამგვარი გმინვის არ ვყოფილვარ დღემდე მნახველი,
ალბათ ერთი გვაქვს მე და მტრედებს სევდა-ნალველი.

ფორთხვით გაეწიე ვაზისაკენ ძუძუს საწოვად,
შიმშილი მტანჯავს მოუთმენი, ვით ყრმას საცოდავს.

ყველას ვარჩიე ამ ალაგის ტურფა ასული,
მისკენ მიმიწევს, წლებით ნაცადს, გული და სული.

უკუნ ლამეში ჩამოვგლიჯე თხელი ქსოვილი
და მივეტანე, სიყვარულით ლახვარსობილი.

რალაც ბრიყვეული ქსოვილია, თოკი კი არა,
ცხენს რომ აბამენ ან სოლებზე ხლართავენ კარავს.

მერე მახვილით გაეუმსქვალე ქალიშვილს ყელი ⁴⁹,
და მეყსეულად გადმოსდინდა სითხე მზისფერი.

სითხით აეავსეთ, ზე ავწიეთ ოქროს თასები
და მერე პირში გადაევშვით ჩვენ გატაცებით.

ღვინო და ოქრო ტყუპებია და ვინცა ღვინობს,
ხშირად ეშლება, რომელია ოქრო და ღვინო.

მე კი მათ შორის განსხვავებას მუდამ ვხედავდი:
ერთი მყარია, მეორე კი გახლავთ თხევადი.

თასები ზოგი გლუვი არის, ზოგი ნაკედი,
ამოუტეიფრავთ ზოგ მათგანზე მღვდლები და ჭვრები.

მღვდელი თვის მრევლში სახარების სიწმინდეს თესავს,
თავს ვარსკვლავებით მოჭედლილი დასცქერის ზეცა.

ზეცა ღვინოა. ვარსკვლავები — მისი შხეფები,
თვალმარგალიტი უამრავი სასმისს შეჭყერის.

თვალმარგალიტი მოაბნიეს ასულთ ხელებმა —
თავაწყვეტილი დროსტარებით განახელებმა.

•

ო, ნუ გამკიცხავ, ღვინოს რად სვამო ⁵⁰,
გაკიცხვას მოსდევს უფრო მეტი სმა.
გამკურნოს — რამაც სენი შემყარა:
სნება მკურნალი არის სნებისა.

ბაჯაღლო ოქროს საბრძანებელში
ვერ დაივანებს ნაღველი ქუში.
ქვას რომ შეეხოს, მასაც მოალობს
და ზღვა სიხარულს ჩაუდგამს გულში.

დასცალე თასი, მოწვდილი ქალის,
ვაყის სამოსში რომ ნაბავს თვალებს ⁵¹.
ღვინოს თანაბრად ეტრფიალება
ლოტის მომხრეც ⁵² და ქალთა მოყვარეც.

ტურფა ასულმა ასწია დოქი.
გარეთ უკუნი მეფობდა ღამე,
მაგრამ სახლს სულაც არ აკლდა შუქი, —
შიგ იჯდა ქალი პირმოცინარე.

სასმელი, წყალში გაზავებული ⁵³,
ნაღდი მსმელისთვის საძრახისია:
აღარც ღვინოა და აღარც წყალი,
ღვინო რბილია, წყალი ხისტია.

მაგრამ თუ ღვინოს მზის სხივს შეურევ,
გაცისკროვნდება, გალამაზდება
და მრავალფერი სინათლეები
გადიქცევინ შარავანდებად.

ჩამოუარა თასმა ჭაბუკებს,
ქუდბედიანებს, ბედნებიერებს,
დარდიმანდს ღმერთი რას არ აჩუქებს,
ანებიერებს და აბედნიერებს!

ღვინოს მივტირი, რადგან, მის გარდა,
სანუგეშებელს ვერაფერს ვხედავ,
და არ შეენატრი იმა საცხოვრისს,
სად დაივანეს ჰინდმა და სხვებმა.

უფალი ღმერთი ჰფარვიდეს ღურას,
მისთვის აეგოს ყველგან კარვები,
რომ მუდამ აუღ-ჩაუღიოდნენ
მას ცხერის ფარები და ქარავენები.

უთხარი იმას, ვის სწავლულთ შორის
თავი ყველაზე ბრძენი ჰგონია,
რომ მას ბევრი რამ დაუსწავლია,
თუმც ბევრი სულ არ გაუგონია.

თუ ცოდვა გადევს, ნუ იტყვი უარს,
რომ შეწყალება შესთხოვო ალაჰს,
რადგან მუსლიმის ასეთი ქცევა
სარწმუნოების ედრება ლალატს.

• • •

ღვინო აქე, აღიდე,
მადლი მისი გახსოვდეს.
კარგი სიტყვით შეამკე,
ულალატო არც ოდეს.

ისე არ ქნა; რომ წყალმა
დამლიოს და დაჯაბნოს,
და არც ისე. რომ ღვინო
ნარევე წყალზე ამძლავრო.

ღვინო არის ქარხული⁸⁴,
არ აკლია ხანდაზმან⁸⁵,
ჩამოასხეს დოქებში,
რომ ილხინოს დარბაზმა.

თვალად ისე დაიკლო,
იქცა იმნაირადა,
სულს ლაფავედა, საწყალი,
ძლივს მიუსწრო სირა,⁸⁶მს.

თასით ჩამოატარეს,
ვერას ვიტყევით გასაკიცხს,
ძარღვში სისხლს აუჩქევებს,
გააცოცხლებს მკვდარსაც კი.

ღვინოს ბევრი მიირთმევს
იაფად თუ ნისიად,
მაგრამ ერთი ისიც ვთქვათ:
განა ყველა ღირსია?

*

ზოგ-ზოგი თანამესუფრე
თავს კმაყოფილად არა თვლის,
თუ ისე შემოაღამდა,
ვერ იგრძნო ღვინის ლაზათი.

არ უნდა მუჯლუგუნები.
როცა მთვრალს ჩაეძინება.
არ გეტყვის: „რატომ მალეძებ?“
და არც მოჰყვება გინებას.

გთხოვს: ცოტა კიდევ შემასვი,
ეს არის შენი ვალიო,
გაუზავებლად გადავკრავ,
თუ ვერ იშოვებ წყალიო.

მისთვის არც დილის ლოცვაა
და არც საღამოს ნამაზი.

„ხეტავი კიდევ შემასვა“ —
სულ მუდამ ფიქრობს ამაზე.

ამ ლოცვას იმ დროს ასრულებს,
იპ ლოცვას კიდევ ამ დროსა,
არც წესი იცის, არც რიგი,
არ მისდევს არც ერთ კანონსა.

მუჰამადს ⁵⁶ თავს ვანაცვალე,
ის არისო ჩემი ღმერთი,
უფრო მეტის ღირსიცაა,
მაგრამ, რა ვქნა, არ მაქვს მეტი.

* * *

ოდითგანვე ერთუერთს მტრობენ
ეს ღვინო და წყალი.
როცა ღვინოს წყალს ურევენ,
დასაბმელი არი.

იღელდება, აბორგდება,
ბრაზით გულზე სკდება
და თან ისე კარკლავს თვალეზს,
თითქო სჭირდეს სნება.

დაჰქრის, აღვირაწყვეტილი,
მორჩილება არ სურს,
სილალით და სინატიფით
ჰგავს ჯადოსნურ ფასკუნჯს.

როს მიწაზე გადმოჰკიდებს
გაბრწყინებულ ცის თაღს,
მაშინ მიწა ვერცხლი არის
და ღვინო კი სისხლს ჰგავს.

ამ ცის თაღზე ვარსკვლავები
მოჰყვებიან ციმციმს,
შუაგულში წითლად მოჩანს
ჩაგებული სისხლი.

რით აღვწერო, რით შევაქო,
გადმოცემა მიჰერს.
ლირსეულად ვინ შეამკოს,
ვის ეყოფა ნიქი!

ქვეყანაზე სხვადასხვაფერად
უყუარებენ ღვინოს:
ზოგი სულ არ ეკარება.
ზოგი სვამს და ლბინობს.

პირმცინარი მერიქიფე
ლალად მანქედის სასმისს,
სილამაზით არვინაა
ამ ქაბუკის ფასი.

მე მივტირი მერიქიფეს
ძველი მგოსნის დარად,
კარვის ნაშთებს და ნანგრევებს
ცრემლს რომ აფრქვევს ღვარად⁸⁷.

* * *

იცი, რატომ გეხუქება თვალია?
წუხანდელი უძილობის ბრალია.

არც ევ სახე მომდის თვალში ძალიან, —
წუხანდელი დროსტარების ბრალია.

ვაპ, ამ ღვინოს რა სურნელი ჰქონია!
სხვა სისმელი მასთან მონაგონია.

ვფიცავ ასულს, პარუთივით მომზირალს,
გვმრის წარბი მშვილდივით რომ მოზიდა.

ჩანგს ჩამოჰკრავს, აყრუვინებს ნაპერწკლებს.⁸⁸
და მწველ პანგებს შიგ ამ გულში აკვესება.

მეგობრებო, ჩიტუნებმა
შესჭიკჭიკეს დილას სისხამს.
აბა, ჩქარა წამოდექით,
ღრო დამდგარა ღვინის სმისა!

დღეს ჩვენს გამო აზარფეშა
დოქს საჩივარს ეუბნება.
ღვინოს დავწვდეთ, თორემ არ გიქვს
ჩვეი ამღვნი ძილის ნება.

თავანკარა, სუფთა ღვინოს
შევურიოთ, ძმანო, წყალი, —
აი, მაშინ იბადება
სიხარული სანუკვარი.

კარ ღვინო ქკუას უტევს,
ბრძენსაც შეიქმს შმაგად, ხელად,
აანჩატებს, ააცმუყებს,
აზიანებს შვება-ლხენას.

მიაწოდე თასი აჰმადს,
პირმშვენიერ მეინახეს,
არც ერთ ხოტბას რომ არ ძალუძ
დაგვიხატოს მისი სახე.

სახე მისი მახალისებს,
მოტრფიალედ მაქცევს ღვინან,
ისე როგორც ოხუნჯობა
მომგვრის ხოლმე პირზე ღიმილზე.

ამ ცხოვრებას მაშინა აქვს ფასი.
თუ ხელში გაქვს ღვინით აავსე თასი.

როცა ჭაბუკს ეძილება დარდი
ღა ამ დარდით გულმორკული დადის,

ვერ უშველის ხმალი, ვერცა მკლავი,--
ღვინო არის დარდის მოსაკლავი.

ღვინო გულში ათას რამეს იტევს...
ღვინოს ძალუძს ძუნწს გაუღოს კლიტე.

ეს ცხოვრება მაშინ არის ტკბილი,
თუ სვამ ღვინოს საღამოს და დღილით.

ნეტავ თვითონ ბეწო ჰქუა თუ აქეს,
ნუ დაღევო, ვინც მარიგებს ჰქუანს!

ტიკს დავცქერო, რომ დაკოდილს
აძოვართვა სული,
მერე მის სისხლს ჰოწანწკარეს
შევსევამ გასუსული,

ბოლოს წელში მოვიხრები,
დაჰკრავს აღსასრული,
და მაშინ კი ამ სხეულში
მიდგას ორი სული,

ხოლო ტიკი ძირს აგდია, --
გასძრობია სული.

• • •

ლეილას და ჰინდის ნუ გაქვს დარდი,
შესეი ღვინო, ფერად მჯობი ვარდის.

ამო სასმელს თახით მალა აწევ,
გადაჰკრიგ და აგიწითლებს ლაწევებს.

თვალმარგალიტს, იაგუნდით საეხეს,
კოხტა ქალი მომაწვდის და მასმევს.

ღვინოს მასმევს, შემომცქერის ვზნებით,
თასიდან და თვალთაგანაც ვთვრები.

ორნაირი ზარხოშით ვარ სავსე,
მეგობრებში მარტო მე ვარ ასე.

• • •

ღვინო რომ ყოფილიყო
პური ჩვენი არსობის,
ალბათ გახსნილებამდე
ავწევდი და შავსომდი.

იშვიათი რამ არის,
დასწვდი, რას ელოდები,
შესვი, თუნდაც კისერზე
დაგემატოს ცოდვები.

ნულარ მეტყვი: „რადა სკამ,
ნებისყოფა მოთოკე!“
შენ სამოთხეს მიბრძანდი,
მე კი შთავალ ჯოჯოხეთს!

• •

ჩამოატარე ფიალა,
სანამდე დავიფანტებით,
დავეწაფები მწყურვალი
ღვინოს კამკამას, დაწმენდილს.

დილის რიქრაქმა წყვედიადი
ვერ გააციხა ვერაფრით,
ბოლოს იმდენი იძალა —
შემოაფხრიწა პერანგი.

• • •

მომაწოდე, ყრმაო, თასი,
რომ მქირდავნი გასკდნენ ბრაზით.

გაწოლილა ტიკი, თითქოს
ნაშიერი იყოს ჰამის,
იდაყვებზე დაყრდნობილი,
მისცემია ფიქრებს წამით.

დაპკრავს უამი ღვინის სმისა,
მოუღებება გული ისლამს.

როცა ღვინოს წყალს შეურევ,
ციო: მოწყვეტილ ვარსკვლავს მოპგავს:
უკუნ-წყვდიადს გაამუქებს,
ნათელს მოპფენს ყველა მოკვდავს.

• • •

ძველი ღვინო აგვიკრძალა მარხვამ,
და სიამეც მეყსეულად გაქრა.

ვით ტუსაღნი, გამოგვეტა მარხვამ,
კანშნის მეტს, აბა, რაღას ნახავ!

თუმც ამ ადათს მთელ ძალ-ღონეს ვალეუ.ო,
ღვინოს შაინც არ მოვაკლებთ აღერსს.

ცეცხლის სმაში გავათენებთ ღამეს,
გამოვწრუპავთ აზარფეშებს, ჯამებს.

და ვიმღერებთ ⁵⁸, რაც გულს დარდად აღევს,
ლექსად ვიტყვით ჩვენ-ჩვენ გულისნაღებს.

მასვი, სანამ იმ ჰკუამდე მივაღ.
რომ მამალი მომეჩვენოს ვირად.

• • •

მოშუადღევდა, არემარე მზით არის საესე,
ლოცვის წინ ხალხი თავზე ისხამს ლიცლიცა თასებს ⁸⁹.

მითხრეს: — შენც მიდი, განიბანე, ილოცე თანაც,
თორემ აქ ჭდომა ცოდვა არის, არ იცი, განა?

მე კი მივუგე: — ცოდვა ადევს უფრორე იმას,
ვინც წუხელ ჩემთან საალერსოდ დაიდო ბინა:

და როს ხელახლა დავაპირე ხვევნა ჩინართან,
არ დამაცალა და სასწრაფოდ გაუჩინარდა.

აბა. მითხარით, რა ფასი აქვს ჩემგვარის ლოცვას,
ჩემს ამოდენა გარყენილებას ვერ ვფარავ როცა!

გთხოვთ საყვედურის ნაკლებ მითხრათ ყველამ სიტყვები,
მოტევებული ალაპისგან მიინც ვიქნებძე.

თუმცა მაცდუნა, მაგრამ ამით მე არა მოშოვს, —
მისგან ცდუნება ჩემთვის მხოლოდ განწმენდას ნიშნავს.

• ■ •

თავი ანებე იმ კარვის ნაშთებს,
რომლებიც უკვე მტვერმა დაფარა,
ველარ გაუძლეს ქარსა და წვიმას,
მათს შემოსევის და ბუკ-ნალარას.

შენ იყავ კაცი, ღვთისმეტყველების
გამწირავი და ბოლოს მომლები,
კაცი, რომელიც ღხენა-სიამეს
ანაცვალებდა ზეცით მოვლენილს.

ნუთუ არ იცი შენ ის შენობა,
რომ აღუმართავთ შაბურს და ხოსრაშ?
ის, ვის სახელსაც იგი შევენოდა,
დაუნდობელმა დრო-ყამმა მოსპოა.

პევეის წაღკოტი ეფორატის პირას,
დიჯლის ნაპირსაც ბაღნარი ქშენისა,
და იმათ ვასწვრივ გადაშლილ მიწას
ჩრდილებს აფეხენ შრილა ხენი.

ამ კუთხეს ღმერთმა. ქველმა. მოწყალემ
არ დააბუღა ტალპი. უშარი,
არც კბილბასარ თრეებს მისცა საღრრნელა ღ
ადგილი ამო და უშიშარი.

აქაურ ველებს თავს დაზხარიან
გიშრისთვალემა ნიაშორები,
ნახიარს მწყემსავენ და თან სალამურს
ამეტყველებენ გრძნობამორეით.

ახლა ფრინველნი? ამ ველზე გამვლელს
ერთი აქნევა თუ მოუნდება,
რომ, მიყუყუღნი თაუ-თავის მხარეს,
წაჴოიშაღონ მყისეე გუნდებად.

საკმარისია ერთი შესძახო,
ხალისიანად, არგასელებით,
დიდი ლოღინი არ დაგვირდება.
მაშინვე მოვლენ მარჯვე მსმელები.

მყის გეახლება დამწერი ღვინის,
შემოგაგებებს კამკამა სასმელს,
მწიფე ყურძენსაც და მის ნეურსაც
მხიარულებით ორევეს აგსებს.

აი, ცხოვრება თუ გსურს ნაშღვილი,
პირმოცინარი, როგორც შთიები.
აქ არც მგელია გაუმაძღარი
და არც კბილბასარი ჩანან ორეები

აქ არც ქვა-ღორღი ამძიმებს მიწას.
შორეულ ქვეყნის რაღ აზრს ხვედრი.
სოროში ნაჯგ. პატარა ვრინველს.
მცირე სიცოცხლეს ეფაღს რომ პვეღოის.

თუ. ბედურნთა ცხოვრების მცოდნემ,
იმით საქმეთა არ იცი ყადრი,
ვინც უნდა იყო, რაც უნდა იყო,
რა ვქნა, მე მაინც ისეთ კაცს გადრი,

ვინც, პირგამშრალმა, წყაროს მიადგნო,
თუმც მის ძებნაში ბევრი იარა,
წყალი დალია, მაგრამ შინის გზა
სად არის — ვერა გაუგია რა.

ერთი რამ ძალზე საოცარია,
ვერ გამოგია, აქამდე მიკვირს:
რად მოსწონთ ასე ნეტავი იმით
ცხელი უდაბნო, ხეპრე და ბრიყვი.

თვით მუჩაკაში, როგორც ამბობენ,
თურმე უიღბლომ იმსხვერპლა ტრფობამ,
თორემ სიბერე რას დააკლებდა,
ძალიც შესწევდა, ღონეც ერჩოდა.

ტრფობამ იმსხვერპლა თვით იბნ აქლანიც,
ვისი ამბავიც ბუნდოვნად ვიციით;
მას ხომ სიკვდიმდე არ შორდებოდა
სატრფოს წინაშე დათქმული ფიცი.

მოჰყვა და მოჰყვა თავის შესახებ —
ცრუსა და ნამდვილს, ტყუილს და მართალს,
ის, რასაც გრძნობდა, არ გაგვიმხილა,
გულში ჩაიკლა, არა და არ თქვა.

თუ იბნ აქლანი ბედმა გასწირა,
როგორც ამბობენ, როგორც ჰყვებიან,
თავისი დღენი გაასრულა და
მეტე სიცოცხლე არ ღირსებია,

დასტურ ყოფილა გაკიცხვის ღირძი
რაც მან იყინრა, იმ საქმის გამო,
და. სიყვარულში ხელმოცარული,
თავის მართლებას ამაოდ ლამობს.

აქლანის ცოლი ლერწამს, ყაისუჲს
მურტის, ასკილის ნაყოფად თვლიდა;
ეს მცენარენი მაშინ აქლემებს
როგორც მარჯანი, ყელზე ეკიდათ.

ქრელი ზურჯუდით მოსილი ქალი
მახვილით სდევდა მგლებსა და ვეფხეებს,
ულმობლად ქლუტდა მძვინვარე ნადირს,
თავად ლომივით დამდვარი თესზე.

მურაკაში რომ იყოს ცოცხალი,
იმ ვაჟის ტრფობას არჩევდა ბარემ,
რომლის სამოსი, თბილ საღამოსი,
გამრანენდა სხივნათელ მთვარეს.

დივანისაკენ მიიწევს იგი,
ნელა მიაღვამს მოზომილ ნაბიჯს,
სუნამონაპკურს, სახე აქვს მშვიდი
და ნელსაცხებლის სურნელი ასდის.

ყირმიზის სახე თხელ სამოსს უკავს,
ატლასისაგან ფაქიზად ნაქერს,
რომ დაიხაროს, აკურებს მიწას,
თან წარმტაც სურნელს ჰაერში აკმევს.

ძიძების მიერ ვარცხნილ კულულებს
სდით სურნელება მუშკის და ამბრის,
გიშრისფერ გუგებს გადაპკრავთ ბინდი
და მიბნედილი თვალებით დადის.

ემსს გმატებს მისი ლამაზი სახე,
როცა საკუთარს შემატებ მზერას,
დიდხანს უცქერი მას დაეინებით
და შენი ხიბულის დიდ მიზეზს ზვერაჲ.

მართლაც, ამ კაბუქს მტკიცე აქვს რუჲონა,
რადგანაც იცის, რადგანაც სჯერა. ო
რომ ერთნაირად გაისმის ყველგან
უწვერულ ვაჟთა ტრფობის სიმღერა.

ეს სიყვარული მით უფრო მძლავრობს,
როს ზოგიერთი უარყოფს ტრფობს,
სალამზე უკმეს სიტყვას გაკადრებს,
რაც ლაზათიან გინებას მოჰგავს.



დღევანდელ იყავ შენ, მუჰამად ო,
დიდო შვილო კურაიშის.
ერთ დღილასაც რომ არ ჰკარგავ.
მორწმუნე და ღვთისმშობი.

ჩემი სულის სიხარულო,
შენმა გულმა რად იჩიბა
ჩემი, ესდენ სანდო კაცის,
დაგმობა და ვანრინება?!

სირაჯხანის სტუმრები ვართ,
ექვიფობთ და ვილხენთ კარგად,
დროსტარების ყადრი ვიცით,
ღვინის სმაში ჰკვას არ ვკარგავთ.

ტიზანაბადს ნაშოვარი,
სირაჯს მოაქეს ღვინო ღინჯად.
ღვინის გარდა, სხვა რა არი
შვება-ლხენის ბოლო მიჯნა?

მოდო ჩვენთან ცისკრის დარად,
ერთად შეესვათ ღვინო ღილის...
თუ არ ვნახო სპასალარად,
განმიზადდეს მე სიკვდილი

ჰუბაიში ვინ არ იცის,
მაგრამ, ვფიცავ მე ჩვენს ძმობას,
ეგ სიძუნწი მაინც მიჯობს
მისი ვაჟის გულუხეობას.

▼ ■ *

ჩაჟომისხი, იუსუტსაც
უარი არ ათქმევინო.
მლაშე საკმელს მოუხდება
მაგარი და ძელგი ლეინო.

ამ ცხოვრებას ბევრი რამ აქვს,
გამოვართვათ მხოლოდ წმინდა,
ართვალი და ამღვრეული
არათერი ჩვენ არ გვინდა.

ნახევრამდე ჩამოსხმული
არ მსურს შევსვა, მწდო, თასი,
ამივსე და მომაწოდე.
ეს ერთი და სხვა ათასი!

წითელ ლეინით გატიკნილი
გუერდს მოვიდოთ, ძმებო. ტიკი,
არც მუსაფი დავივიწყოთ,
ერთად გვქონდეს გრძნობა-ფიქრი.

ტიკორიდან ლეინოს რომ ესვამთ,
არ იქნება საძრახისი,
თან მუსაფსაც გადავხედოთ,
ქურად ვილოთ სიბრძნე მისი.

ბოროტება და სიყვთე
ამით მოვლენ ბარი-ბარში,
და ალაპიე ჩვენ-ჩვენ ცოდვებს
მოგვიტევენ ყვილას მაშინ.

* * *

მქ იმ სახლთან ვერ დავდგები,
რომლის კვალიც დრომ წაშალა⁸¹.
და ვერც იმის აღსაწერად
დავიკავებ ხელში კალამს.

ჩემი კმუნვის განქარვებას
ვერ მივანდობ წუველ აადს ღამის,
არც აქლემთა მარეკს ძალუძს
მომამოროს კაეშანი.

ჩემი დარდის არად ქცევა
ძალუძს ჩემი სატრფოს სახეს,
ანდა ღვინოს — რომ მომაწვდას
ჩემი თანამეინახე.

კაღაბა და ძველი ღვინო
ეჭიბრება ფერიით აყიყს...
ეგებ იმან გამიციოცხლოს
ჩემი წინაპარი ხალხი.

მწდე რომ ღვინოს გამოაჩენს,
ბედნიერი მაშინ ვხდები,
მაშინ კვესავს მის მზერაში
წინაპართა ბასრი ხმლები.

როცა ღვინოს წყალს შეურევ,
მყის გასაქცევ ადგილს ეძებს...
წყალი — ზემოთ, ღვინო — ქვემოთ,
სისხლის ფერად ჩადის ფსკერზე.

და რის ღვინო შიგ შერეულ
ღრუბლის ნაეურს ველარ იტევს,
იღიმება და თან აჩენს
სადაფების მარგალიტებს⁶².

ზოგ მარგალიტს ცალკე ნახავ.
ზოგ-ზოგს კიდევ — აცმულს მძივად,
ზოგი ფსკერზე იძირება,
ზოგს კი თავი მალლა მიაქვს.

თვალგასართობს უფრო მეტად
სხვას რას ნახავ, ამას გარდა,
ეს ხომ უფრო საამოა,
ვიდრე დგომა ნასახლართან.

ამაოა ჩივილი
სიყვარულის გამო,
მოჩვენება ყოფილა
ტრფობა სამუდამო.

რა სიტყვებით აუწერო
ჩემი ტანჯვის დღენი
და ან მათი მიზეზი --
სიყვარული შენი.

გოჩის თვალი მოვაელე
ამ მიწიდან ცამდე,
მაგრამ სიტყვა ვერც ერთი
გერ მოვაქელ სათქმელს.

რაც სიბრძნევით არ ვითხარ
და ჩავეიკალ გულში,
კვლავაც გეტყვი, თუნდ მხეკა
მომამგებო ქუში.

სხვა ვინმესთვის რომ მეთქვა,
ოასაც შემოგჩივი,
დასტურ ამაცილებდა
დაძვირების ტყვიელს.

მაგრამ მე ხომ ჩემს ტრფობას
ვუზიარებ სიპ ქვებს,
წარაქვს რომ არ იკარებს
და ყველაფერს იხსნეტს.

ჩემი სატრფო ქურციკს ჰგავს,
იციინის თუ ტირის,
მისი ცრემლვა ბინდია,
გალიმება — სხივი.



სამგლოვიარო მწკრივში მოჩანს სადარო მთვარის ო.
მწუხარედ მოთქვამს, თანატოლთა პირისპირ მდგარი.

ნარგიზებიდან ჯინანს სცეცია მარგალიტები.
ვარდს სილას ურტყამს, თან იხოკავს ბროლის თიოებიო.

ნუ გლოვობ, ჯინან, ვინც მიწაში კპოვა საეანე,
შენ გამო მკვდარი დაიტირე, ცრემლით დანამე.

სამგლოვიარო მწკრივში მდგარი ჯინანი მიმზერს
გადიების და პირმოლუშულ ეჯობთა ჯიბრზე.

სანამ მის ტოლებს მიცვალემა ექნებათ წესად.
ჯინანის ჰვრეტა ამიკრძალოს ვერავენ ვერსად.



ჩემი გული დასერა
ერთმა ნორჩმა ქურციკმა...
ო, რა ძნელი ყოფილა,
ჭრილობები გულს მიკლავს.

გული მტკივა, მიკვნესის,
ტრფობამ სულ მთლად დაღარა...
თავო ჩემო, ნეტავი
არ გერიოს ჰაღარა

ტრფობისაგან დამდნარი,
ისე ვარ ფერმიხდილი,
რომ ხანდახან მგონია
კართანა დგას სიკვდილი.

გული, ტრფობით დაგული,
ასეთ დღეში თუ არი,
მაშინ ვერავითარი
ვერ უშველის მკურნალი.

• • •

ღღღღღ ჩამომიბიძინებს
ზეჩავს ქუთუთოებს,
თართოვლით დაქანცულები,
გარინდნენ ღარობით.

გული, ტრფობით აღესილი,
შენს გზას ვარდებს აფერდა,
მაგრამ შენმა სიშორემ
საიუდაშოდ დააფუთლა.

მრთხარ, შენ შემოგველე,
ოცნებაო მალულს,
სანამ უნდა დაშტოვო
ასე უსიხარულოდ?

უამი ჩვენი შეხვედრის
იყო წასვლა ზიადის, —
სხივნათელი მთვარეო,
გამფანტველო წყვილადის!

მე დღეს შენთან მოველი,
მფარველობის მთხოველი,
ცოდვას ჩატომ სჩადიხარ,
პასუხს შენგან ჰოველი!

• • •

ჩამდენს უკრთავს: — თქვი, ვით გინდა ცხოვრობდე, ურთი!
შიბასუხია: — რომ არ მუაიდეს მოშურნე გვერდით.

ჩრანმა თვისი განშორებით გული დაკოდა.
დამშუქრებოდა, დაგტოვებო, ისიც კმაროდა.

ეგებ თაკილობს, რომ მწვავს მისი ტრფობის ალები?
უთხარ, უშენოდ ვერ გასძლებს-თქო, გენაცვალები.

ჯინან, შენს რისხვას გადავტან ალბათ იოლად,
თუ მავ უარმა ერთბაშად არ გადამიყოლა.

აბა. რას მარგებს სიახლოვე შენი სახლისა,
თუკი, შორს მუჟღერ, გულმა გული მოისაყლისა!

* * *

ერთმა ქალმა თავის ბეჭედს
წააწერა სიყვარულით:
„ვისაც მიჯნური მიატოვოს,
არ ეღირსოს თვალზე რული“.

მე კი ბეჭედს წავაწერე:
„ვისაც სძინავს, იმას მოჰგავს,
სულ რომ არა გაეგება
და ძილს უფროსობს ტრფობის ცოდვა“.

ქალმა მყისვე ამოშალა
სიტყვა. ჩემგან წაწერილი:
„ვისაც უყვარს, მას არც ღამით
და არც ღლისით არ აქვს ძილი“.

მეც წავშალე მისი სიტყვა,
წავაწერე: „ალაჰს ვფიცავ,
დარდისაგან მკედარი ვარ და
გულს მაყრია ცივი მიწა“.

მაშინ ქალმაც ამოშალა,
წააწერა ჭიბრის ფასად:
„ალაჰს ვფიცავ, არასოდეს
ღარ გეტყვი ერთ სიტყვასაც“.

ვტიკავ კარის მიეთუნახავს,
გულს რომ ნაღდად მოესურვა,
მიყვარს, როგორც ჰყვარებიათ
ნეკიელ მიწნურს, უზრელ ურვას⁶⁴.

როცა ტრფობა ვერ დავმალე
და შევეკადრე: — ჩემთან მოდი! —
ქალმა მტკიცა: — მაგ სიფათით
როგორ ბედავ შენ ჩემს ლოდინს?!

მაშინ ვუთხარ: — ბაზარზე რომ
საღმე ვნახო სიფათები,
არაფერს არ დავიშურებ
და საყიდლად მიყვარდები.

უსაიუოდ გამოვარძიე
ან ნისიად და ან ნაღდად,
ეგებ მაშინ მომიწონო,
არ ისურვო სხვა, ჩემ გარდა:

მე თუ გონჯი სიფათი მაქვს,
მგოსანი ვარ, ღირსი ქების... —
მითხრა: — თუნდაც ომერთად იქეც,
შენი მაინც არ ვიქნები!

ღმერთო, ვინც რკინას სიღბო მიეც დავითის ხელში,
მიწას რომ დასცა გოლიათი ოხვრით და ხენეშით,

შენ გეაჭები, ცივი გული მოუღბე ჭინანს,
რომ მწუხარ სატრფოს გაუთიროს ცინცხალი დილა.

ჭმუნვა ეძალეის და სიცოცხლე არ უნდა სულაც,
ო, ლამის ხორცი დაუტევოს საბრალო სულმა:

იყავ მარადეამ სულგრძელი და გულუხვი თანაც,
თუმც ჩემს ტრფობა უსაშველოდ გაძნელებს აჟას.

ანდა: მომკალი, — ეს სიცოცხლე მე რას მარგია, —
ვგება აპით მომიტანო შვება დარდიანს.

ნეტავ იცოდე, ამ ტანჯვაში რა ცრემლი ვღვარე
და შენზე ფიქრში რაოდენი გავტეხე ლამე!

ნუთუ ვერ ხედავ, რომ ჩამოვდნი მოთქმით, გოდებით,
ყოველწამიერ შენზე ვფიქრობ, შენ მაგონდები.

უმანკო ტრფობა მოუტანე მიჯნურს ზეარაკად,
რომ გრძნობა შენი გადააქცეს ზღაპრად, არაკად, —

მიჯნურს, რომელსაც მწველმა ტრფობამ მოჰკვეცა ფრთები,
და, შენგან შორს მყოფს, შემოენთო უქრობი გზნებით.

შესგან მწყურვალე, შენ შემოგთხოვს ყოველდამ შველას:
„შენ გვაგები, ერთადერთო, გინაცვლოს ყველა!“

ო, რაღას უცდი, გაიღვიძე, ადექი, ჯინან,
თვალი გააღე, შემოგვივლე, ნულარა გძინავს!

დანაპირები შემისრულე, სახეს ნუ ფარავ,
თავი ანებე ამდენ წყრომას, ამდენ მუქარას!

ურიცხვ შეხუცდრას მპირდებოდი, ურიცხვ პაემანს...
გაქრა მირაეი წამიერი, დამრჩა ვაება.

ჩემი გული სატრფოს გაჰყვა,
დავრჩი საწყლად მწირი,
საგულეში აღარა მაქვს
გულის ერთი წილიც.

ორ მესამედს ჯინანი ფლობს, —
ესეც ჩემი ბედი, —
მასვე ღარჩა მესამედის
ორი მესამედა.

დარჩენილის ორი წილი
ფეშქაშია მწდისა.
მესამედის მესამედსაც
პატრონობდეს ისა.

ღ არჩა კიდევ ექვსი წილი, —
შეკრებიან ოდეს,
სხვა ქალებმა გაიყონ და
ჩემ სახსოვრად ჰქონდეთ.

• •

ზახარობელო, რომ გიცინის სახე და თვალი,
ო, კვლავაც მითხარ ჩემი სატრფოს შემონათვალი!

მითხრა ჭინანის მოციქულმა, ვკვრეტდი სანამდე:
„სადაც არ უნდა მივდიოდე, ყველგან თანა მდევს;

ხოლო თუ გვერდით ჩაეუარე, თვალს არ მაშორებს,
მზერით გამმსჭვალავს და შთამაგდებს სირცხვილის მოჩეეს;

თუ გავუჩერდი, ლაპარაკის მივეცი ნება.
მონუსხულივით შემომცქერის, ენა ებმება.

რა ვქნა, ასეა გამუდმებით და დღენიადაგ...
გული მეღევა, თუ შეხვედრა დამიგვიანდა!“

• • •

სატრფომ მითხრა უარი
და სიკვდილი ვინატრე.
წუთისოფელს ძირმწარეს
ძლივძლივობით მივათრევე.

დღეს ობოლი სამარე
არის ჩემი მიზანი,
გაქრნენ სიტყბოებანი
ამა ცხოვრებისანი.

ჯინანს თვალს ვერ ვუსწორებ.
ვერც ხმას ვაწვდენ. დავმუნჯდი,--
არ დავაფროხო უეცრად
ჩემი ბედის ფასკუნჯი.

*

როცა ღამით ოცნებას
სიზმრის ნისლი შებურავს.
კვლავაც ვხედებით ერთმანეთს
ტკბილად. უწინდებურად.

ჩემო თვალის სინათლევ,
ამიხსნიდე ნეტავ მე —
ცხადში განაწამებნი
სიზმარში რად ვნეტარებთ?

შენ რომ გულით გეწადოს.
ბევრი ჩემი მტრის ჯინჯე.
ერთუროს გადააბამდი
ვმ ძილსა და სიფხიზლეს.

ჰე. მისმინეთ, მიჯნურნო,
სიზმრად მონეტარენო,
ცხადში განრისხებულნო
და ცალ-ცალკე მარებნო.

ნუ ენდობით ზმანებებს,
მაცდურსა და მაქციერს.
და ზოგ-ზოგი სიზმარი
ცხადად გადააქციეთ!



ტანის საბანად განიძარცვა კაბა თუ არა,
უზომო კდეზემ ვარდისფერად გადაუარა.

დედიშობილამ პირისაზე მიაპყრო ნიავს,
წერწეტა ტანის სურსნელება ჩუმად რომ მიაქვს.

ნარნარ ხელისგულს ავსებულ კოკისკენ იწვდის,
კამკამა წყალს რომ სასურებლად ინახავს მისთვის.

როს ბანას მორჩა. მსწრათლ მოსასხამს დასტაცა ხელი,
თუმც თავხედურად მოთვალთვალეს არავის ელის.

მან შეამჩნია: შორიახლოს დგას ვინმე ხელი,
და მეყსეულად ჩამოუშვა ნათელზე ბნელი.

ღამის საფარქვეშ იმზირება დილა ცინცხალი,
ხოლო კოკიდან კელავ იღვრება კამკამა წყალი.

დიდება უფალს, აღუველინოთ ლოცვა-ნამაზი.
ვინც რომ ამქვეყნად გამოგზავნა ქალი ღამაზი

ღაბდა ქ. ქუფაში. ღარბი ოჯახის შვილი იყო სწერდა ხობტემსა და სატირულ
ლექებს.

ტანს ვინც მღარხევს ვნებით, ვისიც გულს გიკლავს ღარდი,—
ყველა ღამაზმანს მღრჩევენია რაში ფეხმარდი
ან ბერბერული მღლემსროლი აქლემი თეთრი...
კეკლუცად მსვლელი ვინ რას მარგებს, ღაღად ნაზარდი.
აქლემნი ჰგვანან უწყვეტ თოკებს ჩემი სიცოცხლის
და ტყავის ფარებს. რომ უკარგავს მტერს უგნურ წადილს,
ბევრჯერ დავლახე მათთან ერთად უღაბნოს გზანი,
ვით მაისირის მოთამაშემ, ბედი მეც ვცადე.
როს ემუქრებათ აქლემთ საფრთხე, მათ ბედაურნი
კედლად ერტყმიას, ხმლებს ვაშიშვლებთ, შუბთ ვაწვდენთ ცამდე.
...ჩავუქროლეთ ნახლს. არც-რა გვინდა დაღლილ-დაქანცულო,
ოლონდაც წამით შევისვენოთ. შეეჩერდეთ საღმე.
...წინ ვადი ღ-კურა გველოდა ან ვადი ღ-მიაპი,
ნიკაბის ახლოს შევდექით. როს ვიჩვედით მიზანს.
ვიკითხე: „როდის გამოჩნდება მხარე ერაყის?“
თურბანს რომ მიველ. მარქვეს: „აი, ერაყის მიწა!“
ვით დასაველეთით ჰქრიან ქარნი აღსავლის კერძო,
ხისმიდან ჩემმა აქლემებმა მსწრაფლ გამაქანეს,
ვეშვიდობები ქიფავსა და ქებდი ალ-ვიპადს,
ბუვეირას და ვადი ალ-ღადს — ქართა სავანეს.
სირაქლემათა და ქურციკთა თან გვახლდა გუნდი,
როს გადავკერით ბუსეიტა, ვით მოსასხამი,
უკდათ ალ-ჯაუფს ოდეს გავცდით, მა ალ-ჯურავში
მღაფრი წყურვლი მოვიკალით მხედრებმა ღამით.
გაბრწყინდა დღით ას-სავარი, შუადღისას კი
მო-მზით-ელვარე აშ-შაღურის ხილვით ვიხარეთ,
შუბინდების ეამს მივადექით ალ-ჯუმაიას,
განთიადისას — აღარს. შემდეგ - აღ-ღანის მხარეს.
გახსოვს აკუმის ახლოს ღამე. როს ვერ ვარჩევდით
საგზაო ნიშნებს. გვაბრმავებდა მგზავრებს წყვილიადი?
შავ კუნაპეტში მივალწიეთ გატანჯულებმა
არ-რუპაიმას... იყო ჟერაც შორს განთიადი.
ოღეს ჩამოვხდით, ზეღვმართეო ცისკენ შუბები,

საქმენი ჩვენნი საგმირონი ვაჰცნეთ ლმერთს ლოცვათ.
 ღამე ქვიფში გავათენეო ტკბილსასაოვარი.
 პირისსხლიანი მახვილები გავწმინდეთ კოცნით.
 დაე, იცოდეს ეგვიპტემ და ერაყმა სრულად.
 ავასიმმაც, რომ ჩემ წინაშე ყველა მტერი,
 გოლიათა ვარ, სიტყვის კაცი... მხოლოდ მას ვერჩი.
 ვინც თავს დაიხსნის და მოსისხლე ვინაც მყავს მტერ.
 ვინც ფიცს სღებს, ყველა როდი რჩება ერთგული ფიცის.
 მხოლოდ მან, ვისაც გული ჩემებრ აქვს დაღაგულ
 ბრძოლის და ტრფობის მწველი ცეცხლით, დიდების გზაზე
 უნდა გააბოს თვით შავბნული სავეფლის ვული.
 მაგრამ უმეზარ გულის სჭირდება იარაღი და
 ფხიზელი ვასსჯა, რომ დაღეწოს კლდენი საღ-მტყ(ე),
 თვის ნაბიჯს მგზავრი მუსლის ძაღლს შეუხსნამაყვს,
 თუ სურს დასპლიოს უდაბური და შირი სივრცე.
 ბედშავ საჭურისს მთელი ღამე ეძინა ტკბილად,
 აორც ეძინა, — ბრმა ყოფილა საწყალობელი.
 ჩვენსათს იყო და მანაც მისი სიბრძნის ვაჟო
 ჩვენ შორის იღო უსაბარო უდაბსო ველი.
 მეგონა, ქვეა ბინადრობდა კაცთა თავებში,
 მაგრამ სხვაგვარად დალოცვილმა ღმერთმა იხება,
 როს საჭურისის უნურ ფიქრებს ჩავწვდი, ვიზბრე —
 იქ — ფიხებს შორის — სუფივს თურმე ქვეა-გონება.
 ბეგრი რამ ხდება სასაცოლო იქ — ეგვიპტეში.
 თუმც ეს სიცილი მოჰგავს ტირილს, შერძოსაღს თალხით,
 ნაბატეელი სევადიდან ასწავლის არაბთ,
 თუ როგორ გაჩნდა ქვეყანაზე უდაბნოს ხალხი.
 ზანგს, ტუჩი რომ აქვს ნახევარი ტანის ოდენა,
 ეუბნებთან: „ჰგავხარ მთვარეს, ბნელში შექმთოვიელს!“
 ლექსნი, რომლებშიც ვადიდებდი მე ამ მარტორქას,
 მაშინ დაეწერე, ალბათ, როცა მომაჯადოვეს.
 ქება კი არა, ის ლექსები ლანძღვა მისთვის.
 თან რომ გაქვება საუკუნოდ ცხოვრების გზაზე,
 იყო დრო, ხალხს თაყვანს სცემდა თვის რჩეულ კერებებს,
 მაგრამ არასდროს — ფიქრით ჩამიარას ქარებით საესეს.
 ხელი რომ ახლო, მყის უაიჟრ ხმებს გამოიღებდს...
 ერი სდუმს, ბრძივი მკვერამეტყველად როცა ქცეულა,
 ვინც თვისი თავის უბადრუკი არ უწყის ფასი,
 ვაჲ მას, როდი შეაფასებს სხვა ღირსეულად.

აბუ ალი იბნ ალი ალ-მუჯასსინი ათ-თანუხი

ათ-თანუხი (940—994) კლასიკური არაბული პაროლის მნიშვნელოვანი წარმომადგენელია. დიობადა და გარდაიცვალა ბაღდადში. პროფესიით იყო ყაღვი-მუსლიმთა მოსამართლე. ავტორია რამდენიმე ორიგინალური ანთოლოგიისა. ერთი მათგანი — ნაშვარ ალ-მუხადარა ვა ახბარ ალ-მუხაჯარა — წარმოადგენს კრებულს გასართობი ამბებისა, რომლებიც გადრეკილებული იყო ერაყში და რომლებიც მას ჩაუწერია მეგობრებმან, ნათესაებმა და ნაცნობებმან. ბევრ მათგანს ზემოაღიტი დაქტები უდევს საღმრთადად. ამ ამბების კულტურული-ისტორიული მნიშვნელობა დიდია. ისინი წარმოადგენენ საყურადღებო წყაროს იმდროინდელი მამადიანური საზოგადოების ყოფისა და ზნეჩვეულებების აღსაფიქრებლად.

ვახირი იბნ მუკლას⁶⁵ და ჭათიბი აბუ აჰმად ალ-ფადლ აუ-შირაჰი

აბუ მუჰამმად იაჰია იბნ მუჰამმად იბნ სულაიმან იბნ ფაჰად ალ-აზ-დიმ⁶⁶ ჭათიბ აბუ ამად ალ-ფადლ იბნ აბდ არ-რაჰმან იბნ ჯადარ ამ-შირაზის⁶⁷ ნაამბობი მომჩიყა.

ჭათიბს უთქვამს: აბუ ალი იბნ მუკლასთან, რომელიც ვახირი იყო, წყრილებს ვადვენდი სოღმე. ხელმოკლედ ვიყავ. ერთი მომღერალი ჭალი მატკობდა და რასაც ეშოულობდი, მას ვახარჯავდი. ეს ჩემი ამბავი აბუ ალიმ იცოდა და სარფიან საქმეებს მაძლევდა. როცა უნდოდა, რომ რომელიმე ვადსახადის ამკრეფისათვის პირების წაგნი დაეწერა. ანდა ამა თუ იმ მხარის მმართველისათვის ეპასუხა, არ მივიწყებდა. ეშოულობდი 200—300 დინარს, ხან მეტს და ხან კი ნაკლებს. და სულ ეფლანგავდი.

ჭათიბს უთქვამს: ასე იყო, როცა ვახირმა ქართლის (ჯურხანს) მეფის წერილი მიიღო. წერილი მე მომცა და მიბრძანა. უპასუხეო! პასუხის მისაღებად მეფის მალეშობილი მოვიდა და ორასი დინარი, აბრეშუმის ქსოვილები და სხვა საბოძვარი მომართვა. მშვენიერი პასუხი გავეცი, ძღვენი ავიღე და მთლიანად იმ მომღერალ ჭალს დავახარჯე.

რამდენიმე დღის შემდეგ, როცა ჭალი ჩემთან იყო, ვნახე, რომ გასაჩრდლოდ მისაცემი აღარაფერი დამრჩენოდა. ჭალის დასატოვებლად რაიმე ხერხი ვერ მოვიგონე და უკვე ეშოობდი. მიმატოვებს-ჰეთქი, რომ ჩემი შონა შემოვიდა და მომახსენა: კარებთან ქარიღოს მესუყაო.

ტყვი ავიტორიე და ვუთხარა:

— მისგან აღარაფერს მოვიღო, წერილი უკვე დავეწერე და ახლა საზრუნავი ისა მაქვს, დღევანდელი ქირა რისი გადვიხსნაო. არ შემო-უშე-ჰეთქი.

ქათიბს უთქვამს: მონა გავიდა, მერე შობრუნდა და შითხრა:

— ათი ღირაპი მიბოძა და შენთან შემოსვლა მთავრავაო.

ამას დაუხარბდი და ვთქვი: თუკი ჩემს მონას 10 ღირაპი მისცა, საქმე მოითხოვს, რომ შემოვიღეს-მეთქი და მისი შემოყვანა ვბრძანე.

ქათიბს უთქვამს: შემოვიდა მალემსრბოლი და წერილი შემოიტანა. შითხრა:

— ო, ჩემო ბატონო! როდესაც ჩემს ხელმწიფეს წერილი ეგზავნება და სათქვამია: „მავანისა და მავანის მამას“, წესია, რომ ამის შემდეგ ითქვას „ქართლის მეფეს“. ეს არა თქმულა. ამაში მისი მეუღლების დაპყრობა და უნდა გასწორდესო.

ქათიბს უთქვამს:

— ეს ვაზირის ბრძანების გარეშე არ ეგების მეთქი-მივუგე. ძალზე ძნელი საქმეა. როდესაც ასე ითქვა, იმას ნიშნავს, რომ ხელმწიფის გამგებლობა ამ მხარეში გავაუქმეთ.

და რაც კი შემეძლო, დავიწყე ამ ამბის გახვიადება და დაშინება.

— ო, ჩემო ბატონო! — შითხრა მალემსრბოლმა. — ვაზირს რომ ვთხოვო, დრო აღარ მრჩება, რადგანაც დღეს ქარავენთან ერათად მივემგზავრები. აიღე ჩემგან რაცა გსურს და დაძიწერეო!

ქათიბს უთქვამს: სიხარბე უფრო ვაძიძლიერდა და ვუთხარ:

— ამ საკითხს ხალიფას ბრძანების გარეშე ვაზირი ვერ გადაჭრის-მეთქი.

და მანამდე ვაპუქებდი საქმეს, ვიდრე მაშინვე სამასი დინარი არ ჩამითვალა. მხოლოდ ვუთხარა:

— ეს იმ პირობით. რომ წერილი არავენ გინახოს და ბაღდადში აღარ გაჩერდები-მეთქი.

მალემსრბოლმა პირობა მომცა. მე აღრესატის გვერდით მივაწერე მარტოოდენ „ქართლის მეფეს“. ეს კაცო წავიდა, მე ღიხარები ავიღე და, ვიდრე მქონდა, ხარკა აღარ გამიშვია.

თანამედროვე ევოლუტური და, საერთოდ, „აბელ“ ლიტერატურა-ს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წამომადგენელი. არის არაბული ენის აკადემიის წევრი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ლიტერატურის დარგში. იგი დაიბადა ქ. ალექსანდრიაში 1896 წ. ახალგაზრდობაში პარტიზანული ეზიარა ევროპულ ლიტერატურასა და ხელოვნებას. ამიტომ იგი განაუკუთვნებოდა ე. წ. ორენოვან მწერლებს რუსებს, რომლებიც წერენ როგორც არაბულად, ასევე ფრანგულად. ვარაუდობა 1987 წ.

პრიტიკული მდგომარეობა

ერთხელ, დღიით, ჩვეულებისამებრ, კაფეში ვიქაქი. გვეოდიო ჩემი მეგობარი ჰასან ბეი მეჯდა. „ბეი“ მისი არც ტატულია და არც ლირსების მიმნიშვნელი. ასე ყასიდად ვეძახით. რადგან ამპარტავანი კაცია და თავის გამოჩენა უყვარს.

იმ დღეს ჰასან ბეის შემთხვევით შევხვდი და დიდი მოწიწებით მივიპატივე. რამდენიმე თვე იყო, არ მენახა. ერთი ფინჯანი ყავა შევუკვეთე მისთვის და, ის იყო, საუბარი დავიწყეთ, რომ მორიდებული ღიმილით ვიდაც უცნობი მომიახლოვდა. მე მივუბრუნდი და დავასწარა:

- ვინ ბრძანდებით?
- მე... მარკუსი მქვია.
- რა გნებავთ?

უცნობი დაიხარა და ყურში ჩამჩურჩულა:

— არ გინდა, დღეში ორმოცდაათი ყურუში იშოვო. თანაც ისე, რომ აი, სადაც ზიხარ, იქ იჯდე, ჯაფა კი არ გასწიო?

— რა თქმა უნდა, მაგაზე უარს ვინ იტყვის! — სწრაფად მივუგე მე. მარკუსმა სწრაფადვე მოპასუხა:

— ესე იგი. შევთახმდით: ეს თქვენი პირველი მონორარი იქნება.

მან მართლაც ამოიღო ჭიბიდან ორმოცდაათი ყურუში და ხელში ჩამიღო. ფული მაშინვე ჭიბეში გაუქანე, ვუთხარე, შეუთახმდით-მეთქი და ეკლავ ჰასან ბეის მივუბრუნდი საუბრის გასაგრძელებლად, მაგრამ უცნობმა დაეინებოთ შემომხედა და მკითხა:

- საქმეზე რატომ არაფერს მეკითხებით?
- რა საქმეზე?
- რისთვისაც ფული მოგეცო.

— რა ვიცი? მე მხოლოდ ვიცი, რომ შევთახმდით, ხომ ასეა? თქვენ შემომთავაზეთ. მე დაგვაპულდით და საქმეც დამთავრდა. ახლა თუ ვინდათ ამბხენით, რატომ მოძიკოთ ფული?

— მომისმინოთ და გიჩუვით. ჩემი საჭირო! ეს საქმე იოლია. თქვენ სულ აქ ხდებით, ყოველგვარი სასყიდელ გარეშე ათვალერებთ ქალებს.

მით უმეტეს, არ გაგიმსგელებათ უთვალთვალოთ ერთ ქალს, როგორღე-
დაც ამბობენ, თითქოს ვილატასთან დადის ამ სახლში. თქვენ უნდა გა-
გვიგოთ, ზუსტად რომელ საათზე შედის და რომელზე გამოდის.

— თქვენ რა გესაქმებთ იმ ქალთან?

— მე მასთან არავითარი საქმე არა მაქვს და არც არასოდეს მინახავს.

— საკვირველია! მაშ რა საქმეა შერლოკ ჰოლმსად მაქციოთ ისეთი
საქმისათვის, რომელსაც არც თქვენთვის და არც ჩემთვის არავითარი
მნიშვნელობა არა აქვს.

მან ჩაახველა და მითხრა:

— მოდით, გულახდილად ვილაპარაკოთ! სიმართლეს და გულწრფე-
ლობას არაფერი სჭობს. სინამდვილეში მე მაქვს დავალებული იმ ქალი-
სათვის თვალყურის დევნება ერთი გირვანქის საფასურად, მაგრამ ჰო-
უცლელი ვარ, სხვა საქმეცა მაქვს და ამისათვის დრო აღარ მრჩება. ამი-
ტომ გადავწყვიტე, თქვენ დაგიჭირავოთ და ფული გაგიყოთ.

— დიდებულია, მარკუს ბატონო! სიმართლე რომ ვთქვათ, თქვენ ის
კაცი ხართ, რომელმაც არაფერი არ უნდა გააკეთოთ და მიიღოთ ორ-
მოცდაათი ყურუში.

— კი, მაგრამ თქვენც ხომ არაფერს გააკეთებთ?

— ამას როგორ ამბობ, მარკუს ბატონო? დავალება ხომ მთლიანად
მე უნდა შევასრულო?

— მოკლედ, თქვენ გინდათ ჩემი წილიდან წაგიმატოთ? დე, ასე იყოს,
არ გაწყენინებთ, ათ ყურუშს კიდევ წაგიმატებთ!

— კიდევ ოცდახუთი მინდა!

— თქვენ სამი მეოთხედი გირვანქა გინდათ მიიღოთ, მე კი მხოლოდ
მეოთხედი დამრჩეს?! ეს რა სამართალია?

მარკუსი გაბრაზდა, მაგრამ რადგან სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, ჩი-
ბიდან ფული ამოიღო და უხმოდ გამომიწოდა. მე ფული ჩიბეში ჩავიდე,
დავაიმედე, ყველაფერი ისე იქნება, როგორც თქვენ გინდათ—მეთქი და
ისევ ჩემს თანამეინახეს მივუბრუნდი. მარკუსი წასვლას არ აპირებდა.
ცოტა ხნის შემდეგ დაიხარა და მითხრა:

— იმ ქალბატონზე რატომ არაფერს მეკითხებით?

— რომელ ქალბატონზე?

— რომელსაც უნდა უთვალთვალოთ. როგორ უნდა უთვალთვალოთ,
თუ მისი გარეგნობა არ აგიწირეთ?

— ნამდვილად! მე ეს გამოპრჩა, ამიწერეთ მისი გარეგნობა!

— არა, უკეთესია, მის სურათს გაწვევებთ, სახეს დაიძახსოვრებთ და
უთვალთვალებთ, აი შეხედეთ!

მან შიდა ჩიბიდან სანდომიანი ქალის ფოტოსურათი ამოიღო და თვა-
ლებთან ფრთხილად მომიტანა.

— არ შეიძლება, ეგ სურათი, მე კვირადეს?

— არა, არ შეიძლება, პირობა მაქვს მიცემული, რომ არაფის მიეცე სურათი.

— ვინ მოგცათ ეს სურათი?

— ვერ გეტყვი, ბატონო ჩემო, ეს საიდუმლოებაა და მისი გამელაგნება არ არის საჭირო, ეს არ არის ჩვენი საქმე. ჩვენ ვიმოქმედოთ იმ ფარგლებში, რაც გვეკისრება, დანარჩენი ჩვენ არ გვესაქმება.

— ფოტოსურათი ქმარმა მოგცათ?

— არა მგონია.

— შეიძლება მიჯნურმა?

— შესაძლებელია.

— ალბათ მიჯნური ექვიანობს. მისი ყოფაქცევა აფიქრებს.

— გამჭირახი კაცი ყოფილხარო, მაგრამ ყოველ შემთხვევაში გირჩევთ, სხვის საქმეში ნუ ჩაერევი! ეს იმ კაცის საიდუმლოა და საიდუმლოდ უნდა დარჩეს.

— გასაგებია, გასაგები.

— ახლა კი მე თქვენი იმედი მაქვს.

— იმედი გქონდეთ, მხოლოდ არ დაგიმალავთ, რომ სუსტი მეხსიერება მაქვს, რომლის ნდობა არ შეიძლება. ამიტომ საქმისათვის უკეთესი იქნება, თუნდაც ერთი დღით დამიტოვოთ ეგ სურათი, მერე კი დაგიბრუნებთ, უამისოდ შეიძლება რაიმე იაღლიში მომივიდეს, გამვლელი ქალი ბევრია და ჩემთვის ძნელია ერთის მეორისაგან გარჩევა.

მარკუსი წუთით ჩაფიქრდა, თავი მოიქექა, მერე სურათი გამოძიწოდა და მითხრა:

— კარგი, ერთი დღით დაგიტოვებთ, ხვალ დამიბრუნეთ, ოღონდ მოუფრთხილდით, არ დაკარგოთ!

მარკუსმა რამდენიმე მაღალფარდოვანი და საპატივსაცემო ფრაზა წარმოთქვა და გაგვეცალა. ჯერ თვალს მოფარებული არც კი იყო, რომ მე ჰასან ბეისაკენ გადავიხარე და ყველაფერი მისხალ-მისხალ ჩავუყაკლე, მარტო ის დაუშმალე, რომ 75 ყურუში ავიღე. ბოლოს კი ვუთხარი:

— ხომ იცი ჩემი უყურადღებობისა და დაბნეულობის ამბავი, შენ კი მეტად გამჭირახი და ყურადღებიანი კაცი ხარ და რას იტყვი, ჩემ მაგივრად რომ შეასრულო ეს საქმე და თვალყური ადევნო ყველა ქალს, რომელიც შევა და გამოვა ამ სახლში. ქალის გარეგნობას შენ იმ სურათით დაიშახსნოვრებ, რომელსაც ახლა განვენებ: რაც მთავარია, წინასწარ უნდა გთხარა, რომ ამ გარჯას გასამრჯელო მოსდევს.

ჰასან ბემ ჩაიციხა და თქვა:

— ნუ შეწუხდები, მე ამ საქმეს ალაჰის სახისათვის გავაკეთებ.

— არა, ჩემო ძვირფასო, საქმე საქმეა. არაფერი არ არსებობს მხოლოდ ალაჰის სახისათვის. ხუთთუ შენ ფიქრობ, რომ ალაჰის სახეს უფასოდ დეკანახებებს ვინმე? ეს გამოთქმა არაა სწორი და ვინ იცის, ვინ

მოგონა. ალაქის სახის სახანავად ხარჯია საქირო. ჩამოგათვლი: აუცი-
ლებელია მოწყალების გაღება და ვადასახლეების გადახდა, ასევე აუცი-
ლებელია აღთქმის. შესაწირავის, გამოსასყიდის ხარჯები, მექაში მოსა-
ლოცად წასვლა, გაკირვებაში ჩაყარდნილის დახმარება, დღესასწაულის
დროს ცხვრის შეწირვა და ასე შემდეგ. ეს ყველაფერი რომ ჩანგარიშო,
კარგა მოზრდილი თანხა გამოგივა; თავის გამოდებას შოეშვი და შენი
გასამრჯელო მიიღე, წესი წესია!

— შენი ნებაა, მაშინ გადამიხადე გასამრჯელო!

— კიქა ყავის საფასურს გადაგიხდი. თანახმა ხარ?

— თანახმა ვარ.

თქვა კმაყოფილმა და სურათის გამოსართმევად ხელი გამომიწოდა.

მე ვუთხარი:

— ოღონდ აქვე უნდა დამიბრუნო! მე იმ კაცს პირობა მივეცი, ამ
სურათის ხელზე დაგიბრუნებ-მეთქი.

ჰასან ბეიმ ღიმილით მიპასუხა:

რა თქმა უნდა. დახვდავ და დაგიბრუნებ, რაში მჭირდება მაგის
წაღება.

მან სურათი ხელის გულზე დაიდო, გულგრილი ღიმილით დახედა,
მაგრამ ანაზღად გაფითრდა. ტუჩები მოეღრიცა და ხელი აუქანკალდა.

— რა მოგივიდა, ჰასან ბეი? — შეეძახე შეშინებულმა.

მან არაფერი მიპასუხა. თითქოს ვერც კი გაიგო ჩემი ნათქვამი. კვლავ
დაეინებით ჩაშტერებოდა სურათს, შუბლზე კი ოფლი ჩამოსდრიოდა. მე
შევანჯღრიე და ვკითხე:

— რა მოგივიდა, ჰასან ბეი, ნუთუ... შენ იცნობ მაგ ქალს?

— როგორ თუ ვიცნობ, — მიპასუხა ჰასან ბეიმ მოშაკეჯავის ხმით, —
ეს ხომ ჩემი ცოლია! — და ისეთი კანკალი აუვარდა, ვიფიქრე, საცაა სუ-
ლიც გაძვრება-მეთქი. შემდეგ წამოხტა, გოივიით გაიქცა და გაუჩინარდა.
დაბნეულმა ისღა მოვასწარი მიმეყოლებინა:

— სურათი... სურათი...

მაგრამ მალე მივხვდი მის უბედურებას, მივხვდი, რომ სურათი მისი
საკუთრება იყო და სხვას, დედამიწის ზურგზე მყოფთ, იმ სურათთან
ხელი არა ჰქონდა.

მე თავი დავიმორჩილე და ნელ-ნელა გონს მოვედი. დავწაკვლე დღე-
ვანდელი დღე, დავწყველე მარკუს ეფენდი, დავწყველე ის სამოციან-
თხუთმეტი ყურუში, რომლის გამოც დავკარგე მეგობარი და რომლის
გულისთვისაც მეგობარმა დაკარგა ცოლი, ცოლმა კი მიჩნური. რომ
მცოდნოდა, ეს საქმე ასე ტრაგიკულად დასრულდებოდა, მარკუს ეფენ-
დის ხუთ გირვანქაზე ნაკლებს არ დავცერდებოდი.

სასამართლოში

სხდომის დაწყების დრო დადგა. სასამართლოში მანქანით მივედით. სასამართლოს კარებს ბუზივით მისეოდა ხალხი. გვერდით დაღლილობისაგან ქანცგაწყვეტილი თანაშემწე მეჭადა. ეს სულაც არ მაწუხებდა, რადგან არც ვაპირებდი ასეთ მდგომარეობაში მყოფი პროცესის დროს გვერდით მომესვა. დაკითხვას კი დაესწრო. ახალი იყო, ჭერ კიდევ ვერ მიჩვეოდა დღე და ღამე მუშაობას და არ ეჩქარობდა მის საქმეში ჩაბმას.

სასამართლოს კოტათი რომ გავცდით, მძღოლს ვუთხარი, მანქანა გააჩერე, ჩამოვალ, თანაშემწე კი შინ მიიყვანე-მეთქი. სასამართლოს პოხელეს მივესალმე და კართან შეჩვეულ კაცებში, ქალებსა და ბავშვებში გზა გავიკვლიე. სათათბირო ოთახში რომ შევედი და სხდომის დაწყების მომლოდინე მოსამართლეს სახეში შევხედე. ხმა ევლარ ამოვიღე... საქმე ის არის, რომ სასამართლოში ორი მოსამართლეა. ისინი შენაცვლებით მუშაობენ. ერთი კაბროში ცხოვრობს და მხოლოდ სხდომის დროს ჩამოდის -- პირველ მატარებელს მოჰყვება, ჩქარობს საქმეების გარჩევას, რომ თერთმეტსაათიანი მატარებლით დაბრუნდეს უკან. რაც უნდა რთული და ბევრი საქმე ყოფილიყო გასარჩევი, არ ყოფილა შემთხვევა, რომ ამ მოსამართლეს მატარებელზე დაგვიანებოდა. მეორე მოსამართლე კი ძალიან ფრთხილი და ჩანჩალი კაცია, ის დღემდე თავის ოჯახთან ერთად ცხოვრობს მარჯაზის ცენტრში, საქმეებს ნელა არჩევს, რადგან ეშინია. აჩქარებით შეცდომა არ დაუშვას. ამიტომ ბევრი საქმე უგროვდება და ყოველთვის გაღიზიანებულია. ან კი რა ეჩქარებოდა: მარჯაზში არც გასართობი იყო რაიმე და არც მატარებელზე აგვიანდებოდა. ასე რომ, დილიდან ჩაწებებულივით იჯდა თავის საჯარძელში. მხოლოდ შუა დღის შემდეგ წამოდგებოდა ხოლმე. ხშირად საღამოობითაც განაახლებდა ხოლმე პროცესს. ეს პროცესები საშინელი სატანჯველი იყო ჩემთვის. თვითონაც თითქოს პატიმრობა ჰქონდა მისჯილი — მთელი დღე გაუძრევლად იჯდა საჯარძელში, მხარილლივ ბორკილივით ჰქონდა გადაკიდებული მოწითალო-მომწვანო მედალი. თითქოსდა, ღმერთმა ამით დასაჯა იმ უდანაშაულო ხალხის გასამართლებისათვის, რომელთაც თავიანთ უნებლოედ დასაპატიმრებლად გაიხადეს თავი. მოსამართლეობაზე რთული პროფესია არ არსებობს. მან კოდვა-მადლი უნდა განსაჯოს და არაფერ იცის. როდის წამოიწვევა უდანაშაულოდ დასჯილი კაცის კოდვა.

მოსამართლე ისეთი სახით იჯდა საჯარძელში, რომ მივხვდი, მთელი საღამო აქ მომიხდებოდა ყოფნა. არ ვიცი, როგორ ვიანგარიშე, რატომ მეგონა, რომ დღეს სწრაფი მოსამართლის ჭერი იყო.

დაიწყო სასამართლო. პირველი. რაც მე გავაკეთე, იყო ის, რომ ჩაეჩედე გასარჩევი საქმეების სიას. ჩვენ გველოდა სამოცდაათი სამოქალაქო საქმისა და ორმოცი სისხლის სამართლის დანაშაულის გარჩევა. ეს რი-

ცხვი სრულიად საკმარისი იყო იმისათვის, რომ ამ მოსამართლესთან ერთად გაუნძრევლად ვეჭდარიყავით მთელი დღის განმავლობაში. ამასთანავე, უხდა ითქვას, რომ გასარჩევი საქმეები ამ მოსამართლესთან უფრო მეტი იყო ხოლმე, ვიდრე მეორე მოსამართლესთან. ეს ადვილი ასახსნელი იყო; ხელი მოსამართლე სამოქალაქო საქმეებზე იცოდა უფრო მეტი არ აჯარიმებდა ხოლმე, მაშინ, როდესაც მეორე მოსამართლე ჯარიმის ოდენობას ორმოცდაათ ყურუშამდე სრდიდა. დამნაშავეებმა და გასასამართლებლებმა ეს კარგად იცოდნენ და ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ მეორე უფრო ლპობიერ მოსამართლესთან მიხვედრილიყვნენ. მეორე მოსამართლე შეწუხებული იყო და ნიღაპი ჩიოდა, საქმეები დღით დღე შემატებოდა. ამის ნამდვილი მიზეზი კი არ იყო. მე კი გულში ვამბობდი, ჯარიმის თანხა გაზარდე და მოისვენებ-მეთქი.

სასამართლოს მდივანმა ხელში სია აიღო და გამოასხება დაიწყო. მდივანი — კახემან უფენდი დროული კაცია, ათორწევრა. ზორბა ულვაშებით, ისეთი გარეგნობისა, უხადლესი სასამართლოს თავმჯდომარეს რომ შეეფერება. როდესაც ვინმეს გვარს ამოიკითხავდა, მკდიდურად ჩააყოლებდა თავის დარბაზს და მერე კარებთან მდგომ დარაჯს მიამტყარებოდა. ეს უკანასკნელი მდივნის მიერ ამოკითხულ გვარს შემოსასვლელში შეყვავულ ხალხს ისეთი დუღილითა და წამღერებით გასძახებდა, თითქოს მეწერილობასეა და მუშტრებებს ესახისო. ეს ერთმა მოსამართლემ შეამჩნია და უთხრა: 'მაყბან, შენ ხალხს კარტოფილისა და ფინიკის გასასალებლად მოუხმობ თუ სამაზაღის დასადგენად?' მაყბანმა უპასუხა: რა მნიშვნელობა აქვს, სამართალია თუ ფინიკი, ფინიკიც საჭიროა და სამართალიც.

ქალაქებში ჩატლული მოსამართლის წინაშე პირველი დამნაშავე წარსდგა. მოსამართლემ თავი ასწია, სქელი სათვალე ცხვირზე წამოიკვა და დამნაშავეს უთხრა:

— სასაკლაოების განაწესი დავარღვევა, ბატყანი სასაკლაოში არ დაგიკლავს.

— ბატყნო მოსამართლე, ბატყანი... დიახ, დავკალით, ბოდ-შს ვხდით. მაგრამ ზეიმი გვექონდა, ღმერთმა ზეიმი და ბედნიერება არ მოგაკლოთ! ბავშვის წინდაცვეთა აღვნიშნეთ.

— ჯარიმა ოცი ყურუში! შემდეგი...

სასამართლოს მდივანი რიგრიგობით იძახებდა ბრალდებულებს. იმათაც დაახლოებით ასეთი დანაშაული ჰქონდათ ჩადენილი. მოსამართლის მოსმენა მომბეზრდა და გადავწყვიტე, სასამართლოზე მოსული ხალხის ყურებით შემეცქია თავი. ხალხი სკამებზე ვეღარ დატეულიყო და იატაკზე და გასასვლელში ჩაცუტკულიყო. ისინი შორჩილად მისჩერებოდნენ მოსამართლეს. რომელიც ვანაჩენს ატყალებდა. გეგონებოდა, ხალხი ცხვირის ფარაა, მოსამართლე კი ხელჯობლანი მწყემსია.

დანაშაულებები სულ ერთნაირი იყო. მოსამართლეს მოთქმენების ფი-
ალა აღევსო, თავი ასწია, ხალხს მუხუდოს მარცვლებივით წერილი. გა-
ოცებული თვალები მოავლო, სათვალე შეისწორა და იყვირა:

— გამაგებინეთ, რა ხდება! სასამართლოს სხდომა მთლიანად სასა-
კლავოს გარეთ დაკლულ ბატყნებს უხდა დაეთმისა?!

ხალხი ვერ მიხვდა, რამ გააბრაზა მოსამართლე. თვითონაც ცოტათი
გაუკვირდა, რატომ აუკვირდიო?!

სასამართლოს მდივანი აგრძელებდა გამოძახებას. ახლა დანაშაულე-
ბების სახე ოდნავ შეიცვალა. მოსამართლემ შემოსულ დამნაშავეს მი-
მართა:

— შენ ბრალი გედება იმაში, რომ ტანსაცმელი არხში გარეცხე.

— ბატონო მოსამართლე, ალაპიძე შეგეწევა! იმის გამო უხდა დამა-
ჯარიმთ, რომ ტანსაცმელი გავრეცხე?

— იმისათვის, რომ არხში გარეცხე.

— მა რაში გავრეცხო?

მოსამართლე შეცბა, ერთხანს იფიქრა, მაგრამ ვერაფერი უპასუხა.
მან კარგად იცოდა, რომ ამ საცოდავებს სოფელში სუფთა წყლის აუზები
არ ჰქონდათ. ისინი მთელი სიცოცხლის მანძილზე ცხოველებივით ცხოვ-
რობდნენ, მაშინ, როდესაც თხოვენ, რომ უცხოეთიდან გადმოღებულ
უახლეს კანონებს დაემორჩილონ.

მოსამართლე მე მომიბრუნდა:

— პროკურორი რას იტყვის?

მაგრამ პროკურორს რომ არ ევალემა გამოძებნოს ადგილი, სადაც
კაცი გარეცხავს თავის ტანსაცმელს? მას მხოლოდ კანონის ცხოვრებაში
გატარება ევალემა.

შემდეგ მოსამართლემ პირი იბრუნა ჩემკან. ერთხანს გაიჟმდა, თავი
გაქნია და ისე სწრაფად წარმოთქვა, თითქოს მხრიდან ტვირთი მო-
ცილა:

— ჯარიმა ოცი ყურეში! შემდეგი...

კახემან ეფენდიმ შემდეგი დამნაშავე გამოიძახა. გამოჩნდა შუახნის
გლეხი. ლურჯი შალი ჰქონდა მოხვეული, ფერადი ჩალმა ეხურა, ქიშმი-
რის ჯილბაბა და მალდის აბა ემოსა.

ფეხთ ღია ფერის რუხონის ფეხსაცმელი ეცვა. იგი მოსამართლის მარ-
ცხნივ იდგა, წელში გამართული. გამოჩნდა თუ არა, მოსამართლემ მი-
ახალა:

— შენ. მოხუცო, ბრალად გედება ის, რომ ძალღი დადგენილ ვადაში
არ გაგიტარებია რეგისტრაციაში.

გლეხი შეცბა. თავი გადააქნია და ისე წაილულულა, თითქოს შე-
წყალებას ითხოვდა:

— ვის გაუგია, რომ ძაღლებიც მიწის ნაკვეთებივით გაკაფორბოთ, იქნებ წოდებაც მიცეთ?

— ჭარიბა ოცი უუჩუში! შემდეგ.

უკველგვარ დანაშაულზე ასეთი განაჩენი გამოჰქონდა. მე შეჩვენებოდა, რომ არც ერთ დამნაშავეს არ სწამდა, რომ ნამდვილად ჩაიდინა დანაშაული. მათ ეჩვენებოდათ, რომ ეს უბრალოდ უეცრად ცოთ მოვლენილი რაღაც გადასახადი ან უბედურებაა, ისეთივე, როგორც არის ყველა გადასახადი და უბედურება. კასონი ითხოვს: „გადაიხადე“, და ისინი იხდიან. მე ხშირად ვეკითხებოდი ჩემს თავს: რაშია ასეთი სამართლის ახრი? რა აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს მას? როდესაც „სამართალდამრღვევთ“ აბსოლუტურად არა აქვთ შეგებებული თავიანთი დანაშაული.

დამთავრდა სამოქალაქო საქმეების განხილვა და სასამართლოს მდივანსა გამოაცხადა: „სისხლის სამართლის საქმეები“. მან განსახილველად წარმოდგენილი საქმეების სრულ ჩახედა და დაიძახა: უმ საიდი, იბრაჰიმ ალ-ჯარაფის ქალიშვილი!

გამოჩნდა მოხუცი გლეხი ქალი, რომელიც შუა დაბზახისაკენ მოიხონა. მან მიიღწია მაგიდას და კახემან ეფენდის წინ გაჩერდა. კახემან ეფენდიმ ქალი მოსამართლისკენ მიაბრუნა, ქალმა ერთხანს უჩხირა მოსამართლეს და ისევ სასამართლოს მდივნისკენ მიაბრუნა თავი. მოსამართლემ ქაღალდებიდან თავის აულებლად აკითხა:

— თქვენი სახელი!

— თქვენი მონა შორჩილი უმ საიდი. — უბახუხა ისე, რომ მოსამართლისკენ თავი არ მიუბრუნებია.

კახემან ეფენდიმ მას თვალთ ანიშნა და კვლავ მიაბრუნა მოსამართლისაკენ. მოსამართლე შეეკითხა:

— თქვენი საქმიანობა?

— მეურვე.

— თქვენ ბრალად გედებათ, რომ თითზე უკბინეთ შერხ ჰასან იმარას.

ქალმა მიატოვა მოსამართლის მაგიდა, სასამართლოს მდივანს მიუახლოვდა და უთხრა:

— თქვენი ღირსებისა და თუთრი წვერის წინაშე ვფიცავ, რომ მე არასოდეს ჩამიდენია ცუდი საქციელი. მე ფიცი მაქვს დადებული, რომ ქალიშვილის ურვადი ოც ბინთუზე ნაკლები არ იქნება.

მოსამართლემ თავი აწია, სათვალე გაისწორა, ქალს შეხედა და შეეცირა:

— აქ მოდი და მე შელაპარაკე. მოსამართლე მე ვარ, მე! მენ უკბანე? მოთხარი ჰო, ან არა, ერთი სიტყვა!

— კბენა? ო, ღმერთო ჩემო, მე მართალია ერთი სულელი ქალი ვარ, მაგრამ იმდენი კი მესმის, რომ კბენა არ შეიძლება.

მოსამართლემ დაუღრილა სასამართლოს მდივანს:

— გაჰოიძახეთ მოწმე!

შეჰოვიდა დაზარალებული, რომელსაც ბინტოთ ჰქონდა გადახვეული არათითი. მოსამართლემ ვინაობა და საქმიანობა კითხა, შემდეგ კი ფიცი დაადებინა, რომ სიმართლის გარდა არაფერს ილაპარაკებდა და განმარტავდა საქმის ვითარებას.

დაზარალებულმა დაიწყო:

— მე, ბატონო მოსამართლე, ამ საქმიდან საარფსა და გაქოსარჩენს კი არ ველოდი, მხოლოდ სიკეთე მსურდა ორივე მხარისათვის.

ესა თქვა და ვასუშდა, თითქოს მან ყველაფერი განმარტა და საქმის საიღუმლოებს ფარდა ახალა.

მოსამართლე ფართოდ გახელილი, ვაკვირვებელი თვალებით მისჩერებოდა და ოისხევას ძლავს იკავებდა. შემდეგ უბრძანა, დაწვრილებით მოეთხრო საქმის შინაარსი.

კაცმა დაიწყო:

— ამ მსჯავრდადებულ ქალბატონს ჰყავს ქალიშვილი, რომელიც დანიშნა ერთმა გლეხმა — საიდ ჰარიშმა. მან ურვადად თხუთმეტი ბინთუ შეიძლია, მაგრამ ქალიშვილის დედა ოცზე ნაკლებს არ დასჯერდა. კარგა ხანს საქმე შეჩერდა, მაგრამ მერე სასიძოს ღვიძლი ძმა, პატარა ბიჭი, სახელად ზანჯარი, ჩაერია საქმეში; იგი ძმის დაუკითხავად წავიდა საპატარძლოს ოჯახში და მოატყუა, სასიძოს ოჯახი პირობაზე დათანხმდაო. შემდეგ დაბრუნდა თავის ძმასთან და შეატყობინა, ქალიშვილის ოჯახი ურვადის დაკლებასე თანახმაო. ამ ბიჭის ოხუნჯობას და მაიმუნობას შედეგად ის მოჰყვა, რომ საპატარძლოს ოჯახში ყურანის პირველი სურის წაკითხვის დღე დაინიშნა. თავის მხრივ სასიძომ შეიხი იმარა და შეიხი ფარაჯი მოწმეებად გაგზავნა საპატარძლოს ოჯახში. როდესაც ყველამ ერთად მოიყარა თავი, ქალიშვილის მამამ ბატი დაკლა. საკმელი ჯერ გამსადებელი არ იყო, რომ ურვადზე დაიწყეს ლაპარაკი. აქ გამოქვადენდა ტყუილი, მდგომარეობა დაიძაბა და მათ შორის დავა ატყდა. ქალიშვილის დედა ეხოში გაჰკიოდა: ეს რა დიდი უბედურება და განსაცდელი გვეწია, მოციქულს ვფიცავ, ქალიშვილს ოცზე ნაკლებად არ მივცემო! ქალი გოყივით ტრიალებდა კაცებში და თავისი ქალიშვილის უფლებებს იცავდა. მას ეშინოდა, რომ კაცები მის გარეშე გადაწყვეტდნენ საქმეს.

შეიხი ჰასანი მშიერი იყო და საკმლის სუნზე პირწყალი მოუვიდა. იგი გარს უვლიდა ქალს და ცდილობდა დაეყოლიებინა. შეიხი ფარაჯი კი ლაპარაკში არ გაერია, და როცა დაინახა, რომ მისთვის აღარავის ეცალა, დრო იხელთა, ბატს გადასწვდა და ბარკალ აახლინა. ხოლო როდეს-

საც ყვირილიდან ჩხუბზე გადავიდნენ, შეიხ ქასანის გაწვდილი ხელი ბატის ლანჯარზე კი არა, მოხუცი ქალის კბილებში აღმოჩნდა. მან ისე მწარედ დაიღრიალა, რომ კინალამ სახლს კერი აეხადა. ყველაფერი ერთ-მანეთში აირია. შეიხ ფარაჟმა გამოგლიჯა ქალის კბილებს თავისი მეგობარი და გარეთ გაიყვანა. მას მოკმული თითი ეწვოდა. იგი ხმას არ იღებდა და გულზე სკდებოდა, რომ ბატის ხორციც ვერ იგემა და თითიც იმ დედაბერმა შეუსანსლა.

დაზარალებულმა კიდევ ბევრი ილაპარაკა, მოსამართლე უეცრად აღელდა, შეაწყვეტინა და ისე თქვა, თითქოს თავის თავს ელაპარაკებოდა:

— ხომ გახსოვს, რომ ფიცი დადე. სიმართლეს ვიტყვიო.

დაზარალებული მომიბრუნდა და მკითხა:

— ბატონო პროკურატურის წარმომადგენელო, მე დაედე ფიცი?

მე ვერ გავიხსენე. დადო თუ არა ფიცი. მოსამართლემ შეექცა და დაუყვირა:

— ხელმეორედ თქვი ესლავე, ალასა ვფიცავ სიმართლეს ვიტყვიო! შოწმემ დაიფიცა. მოსამართლემ ისევ აუწია ხმას:

— თავიდან გაიხსენე შენი სიტყვები!

მიეხვდი, რომ ამას ბოლო არ მოედებოდა, დადლილობა მკლავდა, დაეიწყე მთქნარება. ღრმად ჩაეჩეკი ჩემს სავარძელში და ძილიც მომერიო. არ ვეცი, რამდენ ხანს ვიყავი ასე, რომ მომესმა მოსამართლის ხმა:

— პროკურორი! რას ითხოვს პროკურორი!

გავახილე ჩაწითლებული თვალები, რომელშიც კელავ ძილის სურვილი იყო ვამეფებულნი. მოსამართლემ მითხრა: ახლა გავცეანი საექიმო დასკვნას, რომელშიც აღნიშნულია, რომ კრილობამ გამოიწვია ქრონიკული ფიზიკური ნაკლი, რაც გამოიხატება არათითის სახსრის დაკარგვამი! სავარძელში გავსწორდი და უმალ მოვითხოვე მკაცრი განაჩენი.

მოსამართლე მიუბრუნდა მოხუცებულს და უთხრა:

— ეს სისხლის სამართლის საქმეა.

როგორც ჩანს. ქალი მიხვდა განსხვავებას. მას ეგონა, კბენა კბენას, ამაზე რა უნდა მომისაჯონო.

ვაი, რომ ეს საცოდავეები ვერ ჩაწვდებიან ამ კანონების არსს.

ამის შემდეგ საპატარძლოს მშობლებსა და სასიძოს ოჯახს შორის დიდი დავა და ჩხუბი ატყდა.

საქმე ის არის, რომ საბოლოოდ ეს საქმე მაინც დაქორწინებამდე მივიდა და სასიძომ თავისი ოჯახის წევრები აქლემით გაგზავნა პატარძლის მოსაყვანად სასიამაღროს სახლიდან. მაგრამ სასიამაღრო ამაზე გაცოფდა და იყვირა:

— აქლემი?! ჩემი ქალწვილი აქლემს ხომ არ მიყვება ცოლად, უმანქანოდ არ გაგატანთ!

ორივე მხარე დიდხანს დაობდა ერთმანეთში, თუ ვის უნდა გადაეხადა ეპოქის განვითარების მიერ მათთვის ნაბოძები სიახლის — მანქანის საფასური. ამ დავამ საქმე აურ-დაურია და გამოიწვია რამდენიმე წვეთი სისხლის დაღვრა. რაც ასეთ ვითარებაში ყოვლად უადგილო იყო. ბოლოს საქმე იმით დამთავრდა, რომ ერთ-ერთმა კეთილისმსურველმა ამოიღო ერთი რეალი ჩიბიდან და ქუჩაში მიმავალი ერთ-ერთი მანქანა დაიჭირა. მოსამართლემ გამოიტანა განაჩენი ამ საქმის გამო და შესძახა:

— საბედნიეროდ, დავამთავრეთ და კეთილი იყოს ქორწინების ღამე!

შემდეგი!

სასამართლოს მდივანმა რიხიანად დაიძახა:

— პატიმრების საქმეები!

მან დაასახელა რამდენიმე გვარი და გაისმა ჩაჭვების უღარუნი. შემოვიდა გვალაში გახვეული კაცი, რომელსაც მცველმა ბორკილები შესანა. წამოდგა ადვოკატი, რომელსაც მუცელი ტიკივით ჰქონდა გაბერილი და თქვა:

— ბრალდებული სახეზეა, მზად ვართ დაცვისათვის.

გავიფიქრე, რომ ეს საქმე დიდხანს გაგრძელდებოდა, რადგან ვეჭილი ხელში შეგვიკლავდა ლაპარაკით და თუ შეეაწყვეტინებდით, გვეტყოდა, დამცველს უფლება აქვს იმდენი ილაპარაკოს, რამდენიც საქმისათვის არის საჭირო.

ამ დროიდან მოყოლებული, თვალი აღარ დამიხუტავს. არა და, მთელი ღამის უძინარი ვიყავი!

მოსამართლემ პატიმარს უთხრა:

— შენ ბრალად გედება გაზქურის მოპარვა.

— დიახ, მე მართლაც ვნახე დუქნის კარების წინ გაზქურა, მაგრამ მე ის არც მომიპარავს და არც გამიტაცებია.

მოსამართლე მიუბრუნდა სასამართლოს მდივანს:

— გამოიძახეთ მოწმე!

შემოვიდა კაცი, რომელსაც თავზე თეთრი ნაბდის ქუდი ეხურა, მხრებზე კი გლახური ლაბადა ჰქონდა მოგდებული. მან ფიცი დასდო და თქვა, რომ მართლაც ანთო გაზქურა და ჩაის ადუღება დააპირა დუქანში მყოფი კლიენტებისათვის. ის სოფლის მეწვრილმანე ბაყალი იყო, შაქრით, რძით, ჩაით და თუთუნით ვაჭრობდა. ზოგჯერ მასთან ხალხი იკრიბებოდა და ჩაის სვამდა ხოლმე. ბაყალმა ანთებულნი გაზქურა ქუჩაში გაწოდვა და ჩაიდნის გამოსატანად შებრუნდა. როდესაც გარეთ გავიდა, ნახა, რომ ბრალდებულს ანთებულნი გაზქურა მიჰქონდა.

მოწმე მოჰყვა ყველაფერს და თან დამსწრეებს იმოწმებდა, რომლებიც მასთან ერთად გამოჰკიდებოდნენ ქურდს.

მოსამართლე ჩუმად იყო. ეტკობოდა, რომ სულ სხვა რაღაცაზე ფიქ-

რობდა. შემდეგ უცბად შემომხედა და ჩერჩულით ჰკოხა, დავაფიცე თუ არა მოწმე.

ვაი თუ, თავიდან დაიწყოს ყველაფერი-მეთქი, — ვიფიქრე და სწრაფად მიუხედავად:

— ალაპსა ვფიცავ, ჩემი ყურით მოვისმინე მისი ფიცი!

მოსამართლემ დაეკეებით მკითხა:

— დარწმუნებული ხართ?

მე ვიგრძენი, რომ სული მძვრებოდა და წავიჩურჩულე:

— გინდათ დაგიფიცოთ, რომ ნამდვილად დაიფიცა?

მოსამართლე, როგორც იქნა, დარწმუნდა და დანარჩენ მოწმეებს ყურადღებით და მოთმინებით დაუწყო მოსმენა. დამნაშავემ მეტი ვეღარ მოითმინა, უეცრად ფეხზე წამოეარდა და ისე დაიყვირა, თითქოს დახმარებისათვის მოუწოდებდა ვიღაცას:

— ბატონო მოსამართლე! განა შეიძლება ქვეყნად არსებობდეს ქურდი, რომელიც ანთებულ გაზქურას მოიპარავს?

მოსამართლემ ის ხელის აწევით გააჩუმა და უთხრა:

-- მე შეკითხვები? მე არასოდეს არა ვყოფილვარ ქურდი!—და დამცულს გადახედა. დამცველი წამოხტა და იყვირა:

— ბატონო თავმჯდომარე! ჩვენ არსად წავეყდომივართ გაზქურას, არც გვინახავს ის და არც იქ გაგვივლია, სადაც გაზქურა იყო, ეს საქმე თავიდან ბოლომდე გამოგონილია.

დამცველს უნდოდა უფრო დაესაბუთებინა ეს სიტყვები და კიდევ ელაპარაკა, მაგრამ მოსამართლემ შეაწყვეტინა:

— იყავით კეოილგონიერი, ბატონო! დამნაშავე თავად სცნობს, რომ ნამდვილად ნახა გაზქურა ღუქნის კარებთან!

დამცველმა მაგიდას მუშტი დაჰკრა და შეეყვირა:

— ესე იგი, თქვენ დამცველზე უფრო კლიენტის სიტყვებს ენდობით?

მოსამართლემ მშვიდად მიუგო:

— თქვენ ვსურთ, ვერწმუნო თქვენს სიტყვებს და უარყოველ შემთხვევაში, რომელიც აქ ყველა ჩვენგანის წინაშე აღიარა თქვენმა დასაცემმა პირმა?

ვექილმა საკმაოდ ხმამაღლა დაიწყო ბრალდებულის დაცვა, მაგრამ ჩანდა, რომ დაცვაზე მეტად სხდომაზე მკექქარე ხმით ლაპარაკი ეხერხებოდა. სახეზე ოფლი ღეარად ჩამოსდიოდა და მალე იშენდდა ცხვირსახოცი, თან თავის კლიენტს გადახედავდა ხოლმე, რომ ეჩვენებინა, აი, რა თავდადებული დამცველი ვარ, როგორა ვზრუნავ შენთვისო.

საშინლად დავიღალე ერთ ადგილას ჯდომით. უკვე აღარც არაფერი მესმოდა და ვერც ვერაფერს ვხედავდი. თავი სასამართლო საქმის ერთ-ერთ საქაღალდეში ჩაეყავი და თვლები დავიწყე.

იმ დღეს, ვიჯანმე თუ არა, დავიძინე. მეორე დღეს სწრაფი მოსამართლის ჯერი იყო. ჩემს თანაშემწეს დავავალე. სხლომას შენც დაესწარი-მეთქი. მინდოდა, ესწავლა სხლომების პროცედურა და განაჩენის გამოტანის წესები.

გათენდა თუ არა, სასამართლოსაკენ გავემართე. ჩემი თანაშემწე სათათბირო ოთახში დავლანდე, მხარელოვ სასამართლოს მოხელის მედალი ქონდა გადაკიდებული და მოსამართლეს ელოდებოდა.

მოსამართლეს დიდხანს არ დაუგვიანია. იგი კაიროს მატარებლით ჩამოვიდა. უკან მსახური შაყბანი მოსდევდა. ორივე სწრაფი ნაბიჯით მოდიოდა. მოსამართლემ ჯიბიდან ფული ამოიღო, შაყბანს მისცა და უთხრა:

— ბეჭი იყიდე. გასუფთავებული იყოს, კვერციხე შეარჩიე. ბატონო, კარაქი და ყველი შენი გემოვნებით!.. ყველაფერი კარგად ჩააწყვე კალათში და დამელოდე. როგორც ყოველთვის, თერთმეტსაათიან მატარებელზე სადგურში. აბა. შენ იცი. წადი ბაზარში და საქმეს მიხედე!

შაყბანი სწრაფად წავიდა. მოსამართლე ოთახში შემოვიდა, სწრაფად მოკვესალმა, ხელები მოიფშენიდა და თქვა:

— ვფიქრობ, დროა, დავიწყოთ სხლომა. ბატონო სასამართლოს მდივანო, დავიწყოთ სხლომა!

მოსამართლემ თავისი თეთრი ტილოს სამგზავრო პალტო სკამზე გადაჰკიდა, შემდეგ ჩანთიდან თავისი წითელი მედალი ამოიღო და სწრაფად ჩამოიკიდა მკერდზე. მოსამართლესთან მოსამსახურე კაცი მივიდა და ყვეა მიართვა. მოსამართლემ ფეხზე მდგომარემ, სულ ორიოდე ყლუპით დაცალა ფინჯანი და სწრაფად გაემართა სასამართლოს დარბაზისაკენ. ჩვენც კვალში მივყევით. სასამართლოს მდივანმა დაიყვირა:

— სასამართლო მოდის!

მოსამართლემ გასარჩევად წარმოდგენილი საქმეების სიაში ჩაიხედა და თქვა:

— სამოქალაქო საქმეები: მუჰამმად აბდ არ-რაჰიმ ალ-დანაფი, არ გაუსუფთავებია ბაშბის ქია. განაჩენი — ორმოცდაათი ყურუში. ბატონი ყუნეიბა თიჰმელი, არ მიიყვანა თავისი ვაჟიშვილი ასაცრელად. განაჩენი ორმოცდაათი... მაჰმუდ მუჰამმად კანდილი ინახავდა თოფს ნებართვის გარეშე... განაჩენი ორმოცდაათი და კონფისკაცია. განაჩენი ორმოცდაათი... განაჩენი ორმოცდაათი...

მოსამართლე ელვისისსწრაფით შეიქრა სამართლის უღრან ტევრებში და ახლა ვედარაფერი შეაჩერებდა. სასამართლოს მდივანი სწრაფად იძახებდა დამნაშავეებს, რომ მოსამართლეს არ ჩამორჩენოდა. ვინც გამოძახებას ვერ გაიგებდა, სასამართლოში გამოუცხადებლად ითვლებოდა და დაუსწრებლად გამოჰქონდა მისთვის განაჩენი. ვინც გაიგებდა და შემოვიდოდა, მოსამართლე სიტყვის ამოღებას არ აცლიდა

— შე კაცო, ცხვარს მეზობლის ნათესებში აძოვებდი?

— რას ბრძანებთ, ბატონო!

ლათაიების მოსტეხის დრო არა გეჭქეს... გააჩნეხი ორმოცდაათი...
შემდეგ, აბდ არ-ოაქახ იბრაჰიმ აბუ აჰმადი! და ასე შემდეგ...

სამოქალაქო საქმეები თვალისდახმამებში კაითაურდა და დადგა
სისხლის სამართლის დანაშაულებების გარჩევის დრო. ეს ექსპანსიული
ოთვალისწინებს მოწმეთა მოსმენას, დამკვილები გაქოსვლებს, რაც მოთ-
მინებს ძლიერებს. მოსამართლემ საათი ამოიღო, წიხ ვაილო და სასა-
მართლოს მდივანს დაუძახა:

— აბა, ჩქარა ზორეული საქმე!

მდივანმა დაიძახა:

სალემ აბდ ალ-მ. ჩოდ შაკრუფი!..

მოსამართლემ ჩახელა გასარჩევი საქმეების სიას. პრალდებ: ჩაკი-
თხა, მიუბრუნება დამნაშავეს, რომელიც სასამართლოს კარებს ვერ გა-
მოსცილებოდა და დაეყვირა:

— ცოლსა სცემე? ერთი სიტყვა თქვი!

— ბატონო მოსამართლე, ის რა კაცია, ვინც ცოლსა სცემს!

— თავი დაანებე ფილოსოფიას! ერთი სიტყვით გვითხარი -- სცემე?
ხო თუ არა?

— არა.

მოსამართლემ მდივანს ანიშნა, დაუძახეო.

შემოვიდა ნაცემი ცოლი, რომელიც აბრეშუმის შავ გრძელ ქსოვილ-
ში იყო გახვეული. მოსამართლემ მას დარბაზში შემოსვლა არც კი აცა-
ლა, რომ დაუღრიალა.

— გემა?

— ჯერ, ბატონო მოსამართლე, უფალიმც დაგიფარავთ...

— არავითარი ჯერ, გემა თუ არა? ერთი სიტყვა.

— მცემა.

— საკმარისია!

და სასამართლომ დაჩარჩენი მოწმეების მოწვევა საქიროდ აღარ
მიიჩნია. ბრალდებულს საბოლოო სიტყვა მიეცა. მან ჩაახველა და თავის
მართლებას მოჰყვა, მოსამართლე მას საერთოდ არ უსმენდა. იგი ჩაპ-
კირკიტებდა დაჩინილი საქმეების სიას და ყოველი მათგანის გასწვრივ
ღანჭრით აღნიშნავდა განაჩენს. ბოლოს თავი ასწია და ისე გამოაცხადა
კანაჩენი, ბრალდებულისათვის არც შეუხედავს და არც დაკველისათ-
ვის მოუსმენია.

— ერთი თვის იძულებითი მუშაობა.

— ბატონო მოსამართლე, მე საბუთი მაქვს, არ მიცემია, შთავრო-
ბისათვის რაფერი ზიანი არ მიმიყენებია. ხალხო, ეს უსამართლობა!

— ხმა გააკმდე! ჭაროსკაცო, გაყვანე!

მსჯავრდებული დაცვამ გაიყვანა და გამოცხადებული იქნა შეძვეგო საქმე. შემოვიდა სუსტი, მოკუზული, თეთრწვერა მამაკაცი. იგი ჭოხზე იყო დაყრდნობილი. მოსამართლემ იმასაც დაასწრო:

— რატომ დახარჯე სახელმწიფოსათვის ჩასამარბელი ხორბალი!

— ხორბალი? ჩემი ხორბალი... ბატონო მოსამართლე, ის მე და ჩემმა ოჯახმა შევჭამეთ.

— ეს დანაშაულის აღიარებაა. განაჩენი: ერთი თვის პატიმრობა მუშაობით.

— ერთი თვე! ო, შესლიმებო! ხორბალი ჩემი იყო, ჩემი მოყვანილი, ჩემი.

მოხუცი ჯარისკაცმა გაიყვანა. იგი დამსწრე საზოგადოებას დაელმე-ბული თვალებით ისე უყურებდა, თითქოს არ სჯეროდა, რომ ეს-ეს არის გამოცხადებული გასაჩენი ნამდვილი იყო. არა, რა თქმა უნდა, ყურმა მოატყუა, სინამდვილე კი ამ საღხმა იცოდა. მას არავისათვის არ მოუპარავს ხორბალი. მართალია, მასთან მართლაც მივიდა სახელმწიფო მოხელე, ყაღალა დაადო მისი ყანის ნაწილს და ყარაულიც დაუყენა, მაგრამ როცა მისი ოჯახი ძალიან შეაწუხა შიმშილმა, ეს ხორბალი შემოეკეპათ. განა ეს ქურდობაა? განა ქურდივით უნდა დასაჯონ?! მაგრამ განა ეს მოხუცი ჩასწვდება იმ კანონის არსს. რომელიც ღალადებს, თუნდაც შენი ნაოფლარი ხორბალი შეკამო, მაინც ქურდად ითვლები! ასეთი კანონები იმისათვის შექმნეს, რომ სახელმწიფოსა და სესხის გამცემთა ინტერესები დაიცვან, მაგრამ გლეხები ვერა ხედებიან, რომ ეს დანაშაულია და ისე იქცევიან, როგორც საკუთარი ალლო და გუმანი უქარნახებთ. გლეხმა იცის, რომ ცემა, მკვლელობა, მოპარვა, ქურდობა დანაშაულია, რადგან ამკარაა, რომ ამ საქმეების ჩამდენი მოძალადეა. გარყვნილებაც ნამდვილად დანაშაულია, გაფლანგვაც ნამდვილი დანაშაულია და დღემდე მძიმე ტვირთად აწევს კანონიერებას, თუმცა ზოგს სულაც არ მიაჩნია დანაშაულად. ჩვენი მოხუცი ბედს შეურიგდა. ალბათ უფალს ასე ენებო და, როცა ჯარისკაცს დარბაზიდან გაჰყავდა, თავისთვის ბუტბუტებდა: „არა არს ძალი და არცა ღონე, თუ არ ალაჰისა თანა“.

გადავედით შემდეგი საქმის გარჩევაზე. სასამართლოს მდივანს ბრალდებულის სახელი არც კი ჰქონდა წარმოთქმული, რომ მოსამართლემ ხელით აწონა „საქმე“, როცა ნახა, რომ მძიმე იყო და მოწმეებიც ბლომად მოჩანდნენ, საათს დახედა, შემდეგ დამცველების მხარე მოათვალიერა და ბრალდებულის დამცველი რომ ვერ დაინახა, მივხვდი, რომ საქმის გადადება მოინდომა. გუმანს არც მოუტყუებდევარ, მოსამართლე უმალ მომბრუნდა და მკითხა:

— საქმის გადადებას ითხოვთ?

ჩემმა თანამუშევრემ გაოცებით შემომხედა და რალაცის თქმა დააპირა, მაგრამ დავესწაოვი:

— პირიქით, პროკურორი წინააღმდეგია საქმის გადადების.

მოსამართლე შეეცადა აღშფოთება დაემალა და ჩურჩულით თქვა:

— კარგით, განვიხილოთ და მოვრჩეო, მოუხმეთ მოწმეებს!

უცებ მოსამართლემ გაისინა, რომ საქმე ეხებოდა აღრინდელი განაჩენის გასაჩივრებას. ასეთ შემთხვევაში პროტესტი სამი დღის განმავლობაში უნდა იქნეს წარმოდგენილი. მან სწრაფად ჩახედა თარიღებს, თავისუფლად ამოსუნთქა და ბრალდებულს უთხრა:

— პატივცემულო მსჯერდებულო, საქმე დამთავრებულია, რადგან პროტესტი ვადის გასვლის შემდეგ არის წარმოდგენილი.

გლებმა მოსამართლის ნათქვამს ვერაფერი გაუგო და ჰკითხა:

— ახლა რა უნდა გქნა, ბატონო მოსამართლე?

— რა და, აღრინდელი გადაწყვეტილება შენი დაპატიმრების შესახებ ძალაში უარჩება, წაიყვანე, ჯარისკაცო!

— ეს ძალადობაა, ბატონო მოსამართლე, მე ერთი დაჩაყრული კაცი ვარ, რომელსაც დღემდე არც მოსამართლემ მომისმინა და არც პაქაშმა.

— ხმა გაიკმიდე! შენი პროტესტი ვადის გასვლის შემდეგ არის წარმოდგენილი.

— შერე რა მოხდა!

— კაცო, კანონით შენ სამი დღე ვეძლევა.

— მე, ბატონო მოსამართლე, ერთი საწყალი კაცი ვარ, არც კითხვა ვიცი და არც წერა. ვინ გამაგებინებდა მე კანონსა და დაღვენილ ვადებს?

— როგორც ჩანს, ძალიან ბევრი მოვიომინე. შე ხედავო, კანონი უნდა იცოდეს! წაიყვანე, ჯარისკაცო!

დამნაშავე დაპატიმრებულთა შორის ჩააყენეს. იგი დაბნეული უჩურჩადა ირგვლივ მყოფთ და ფიქრობდა, მარტო მე არ მესმის რა ხდება, თუ ესენიც ვერა ხვდებიანო?

ერთხანს შევცქეროდი ამ საცოდავ არსებას, რომელსაც ავალებდნენ „იაბილონელთა“ კანონების ცოდნას.

ბოლოს სხდომა დამთავრდა. მოსამართლე უმაღ წამოხტა და გავიდა სათათბირო ოთახში, სადაც სწრაფად მოიხსნა მკვლელობის მატარებლის ჩამოდგომამდე შეიდი წუთილა იყო დარჩენილი. ამ ბოლო ხანებში მოსამართლე თითქმის აძვრის წინ ჯდებოდა მატარებელში. ის სწრაფად მოქმედებდა. არ კარგავდა შინაგან სიმტკიცეს და რწმენას. ჩაიკვია თავისი თეთრი პალტო, შეიკრა ღილები, დაგვემშვიდობა და სწრაფად, ლამის სირბილით გაეშურა სადგურისაკენ. ამ დროს სასამართლოს მწერალი შემოვიდა. ხელში რამდენიმე საქაღალდე ეჭირა. უკან ჯარისკაცი და პატიმარი მოჰყვებოდნენ. მწერალი გაჰყვიროდა:

— წაეიდა მოსამართლე? გვაქვს პროტესტი ბატონი მოსამართლის სახელზე. პატიმრობასთან დაკავშირებით.

მე მას სწრაფად მივუგე:

— დაეწეკი, სადგურისაკენ წადი. ჯერ არ იქნება ჩამქდარი.

მწერალმა გარისკაცს დაუძახა:

— ზემდევო, პატიშარი სადგურზე წამოიყვანიე, — და ყველანი სირბილით გააქციეს სადგურისაკენ — მწერალი, ზემდეგი, პატიშარი თავისი უშუალო დარაჯით, რომელიც ძალღივით ჯაჭვზე იყო გამოშპული. ყველანი ვაქციულ მოსამართლეს გამოედევნენ. ეს ჩეულებრივი სანახაობა იყო ამ რაიონის მცხოვრებთათვის ამ მოსამართლის მორიგეობის დღეებში. დაკვიანებული პროტესტებისა და პატიშრობის საქმეების ხელშეორედ განხილვა სადგურის ბუფეტში გრძელდებოდა. მატარებლის ჩამოდგომამდე ორი წუთით ადრე. მატარებელი რომ დაიძვრებოდა, მოსამართლეს ერთი ფეხი ჯერ ისეც ბაქანზე ჰქონდა ხოლმე, მეორე კი ვაგონში ჰქონდა ადგმული და გაყვიროდა:

— პროტესტი უარყოფილია და ბრალდებულის პატიშრობა გაგრძელებულია.

ამ გადაწყვეტილების აზრს მწერალი იწერდა ბუფეტის მაგიდის მარმარილოზე. მაშინ, როდესაც მოსამართლე დაძრულ მატარებელს ადევნებულ შაყბანს ართმევდა კალათას, რომელშიც კვერცხი, კარაქი და ხორცი ეწყო. შაყბანი კი ხმამალა გაყვიროდა.

— სორცი, ბატონო ჩემო, ბეჭია და თირკმელები!

შაჰრაზადი

შვიდმოქმედებიანი პიესა

მოქმედება პირველი

უკაცრიელი გზა: განმარტობულად დგას სახლი, რომლის კარებზე ანთა ღამისარი. შორიდან ისმის მუსიკის ხმა, რომლის მელოდური ქანები ბნელ ღამეში ფარება.

ქ ა დ ო ქ ა რ ი (სახლისაკენ მიჰყავს მხევალი). ეს შევეანიანი უცნობი რას გეუბნებოდა?

მ ხ ე ვ ა ლ ი. ქალაქის საზეიმო განწყობის შესახებ მკითხა. მე ვუპასუხე, რომ ეს ის დღესასწაულია, რომელსაც ქალწულები დედოფალ შაჰარაზადს უწყობენ.

ქ ა დ ო ქ ა რ ი. რატომ თრთი?

მ ხ ე ვ ა ლ ი (ჩურჩულით). არ ვიცი.

ქ ა დ ო ქ ა რ ი. ხომ გაგაფრთხილე. ამ დაჩაჩანაკებულს არ გამოეღაპარაკო-მეთქი! მის თვალბში ცოდვილი გამომეტყველება.

მ ხ ე ვ ა ლ ი (ჩურჩულით). სულაც არ არის ჩაჩანაკი.

ქ ა დ ო ქ ა რ ი. რატომ ჩურჩულებ? გეშინია, რომ ვინმე ყურს გვიგდებს? ხელი მომეცი და სახლში შევიდეთ. ამ კაცის სიმახინჯემ ხომ არ შეგაკრთო?

მ ხ ე ვ ა ლ ი. ის მახინჯი არ არის.

სახლში შედიან, ყარობი გამოდის და ქალწულს თვალს აყოლებს.

ყ ა რ ი ბ ი. ოჰ, რა ღამაზია ეს ქალწული! რა საუცხოო სხეული აქვს! ხ მ ა (მის უკან). საუცხოო?! დალახეროს ეშმაკმა! ვფიცავ ჩემს ხმალს!

ყ ა რ ი ბ ი (მიტრიალდა). შენა ხარ?

ხ მ ა. მიცნობ?

ყ ა რ ი ბ ი. ჯალათო, ხმალი სად დატოვე?

ჯ ა ლ ა თ ი. მის ფასად ოცნებები ვიყიდე.

ყ ა რ ი ბ ი. გასაგებია.

ჯალათი. რა არის გასაგები?

ყარიბი. შენი გუშინდელი განცხრომის საიდუმლოება აბუ-მაისურის დუქანში. კანაფის სურნელოვანი ბოლი მოწმეა იმისა, შენმა სულგრძელობამ რა მომცა.

ჯალათი. კემშარიტად, უცხო სტუმრის ელფერი გაოჯს.

ყარიბი. რით ფიქრობ, ემსახურო შენ ბრძანებელს?

ჯალათი. განა მეფის ჯალათად აღარ ვითვლება?

ყარიბი. გასაგებია.

ჯალათი. რა არის გასაგები?

ყარიბი. დღეს ხომ ქალწულთა დღესასწაულია!

ჯალათი. დიად.

ყარიბი (გაოცებით). ო, რა სხეული აქვს შაჰარაზადს!

ჯალათი. არა, შაჰარაზადის სიყვარულსაც კი არ ძალუძს მეფეს ქალწულთა მსხვერპლზე უარი ათქმევინოს.

ყარიბი (სმენას ძაბავს). ყური დაუგდე! რა კარგი სიმღერაა და რა უცნაური! ეს სახლი ვისია?

ჯალათი (საიდუმლოებით აღსავსე ხმით). ჯადოქრისაა. სწორედ ამ სახლში ფარულად მოდის ხოლმე მეფე, რომ ჯადოქართან განმართოვდეს.

ყარიბი. ჯადოქართან? ქალწულის მამასთან?

ჯალათი. ასე ვფიქრობ.

ყარიბი (სიმღერას უსმენს და ილიმება). მგალობელ ჩიტუნას თქვენი ქალაქი მიუტოვებია.

ჯალათი (წასვლას აპირებს). ეინც ჩემს ხელთ გაივლის, ეშმაკის წილი ხდება.

ყარიბი. ერთ წუთს შეჩერდი არა მგონია, საჩქარო საქმე გქონდეს.

ჯალათი. ხო, რასაკვირველია. ჩემი წარმოსახვა წითელკანიანთა (არაბთა) ამბებს მკარნახობს.

ყარიბი (ხუმრობით). ის ხომ შეკვანიანი შენ წარმოსახვას ფერი აერი.

უცებ სახლის ფანჯრიდან ისმის უცნაური ხანგრძლივი ოხვრა, თუ კენესა.

ქალათი (ჩურჩულით). გაგონეთ?

ყარიბი. რა?

ქალათი. ბუს მსგავსი ხმა.

ყარიბი (ყურადღებით მიმოიხედა). სად? ეხლა? ბუს ვერ ვხედავ. ქვეყანა უბედურებით აღივსო, უსაქმურო ქალათო!

ქალათი (წასვლას აპირებს). სიცრუით დატყბი, სანამ არ ვესმის.

ყარიბი. სად მიდიხარ? შეჩერდი წამით! მომიახლოვდი და შპარაზადის სილამაზეზე მომიყევი!

ქალათი. რა გინდა გაგო შპარაზადზე იმაზე მეტი. რაც გუშინ შეიტყვე? ვფიქრობ, რომ ამ ქალაქში მხოლოდ მის სანახავად ჩამოხვედი.

ყარიბი (მოულოდნელად ყვირის და შორს ხელით მიანიშნებს). ქალათო! შეხედე. რა ელეარე სინათლეა. ცეცხლის წყაროს რომ წაავაგეს!

ქალათი (სინათლისაკენ იხედება). ეს მეფის განსასვენებელია.

ყარიბი. და დედოფლის?

ქალათი. დედოფლის ოთახი სასახლის სხვა მხარესაა.

ყარიბი. საკვირველია! განა დედოფალი ყოველ ღამეს მეფეს ზღაპრებს არ უყვება. ვიდრე არ შემოათენდება და შეწყვეტს ნებადართულ სიტყვებს?

ქალათი (იღუმალი ხმით). მეფე გაგიჟდა.

ყარიბი. სიყვარულმა გაახელა?

ქალათი. არა, შართლა გაგიჟდა.

ყარიბი. საიდან იცი?

ქალათი. ასე ამბობენ. და მერე... ახლოს მოდი და შეხედე.

ყარიბი. რას?

ქალათი (ყმას რამოდენიმე ნაბიჯით იახლოებს). იმ ჩაბნელებულ აივანს კარგად დააკვირდი. რას ხედავ იქ?

ყარიბი. არაფერს.

ქალათი. აივნის მარჯვენა კუთხეს გაჩედე!

ყარიბი. სხვა რა უნდა გაეყეთებინა იმაზე მეტი. რაც გააკეთა?

ქალათი. მაშ, მას გონება არ დაუქარვავს და კეთილად იქნება.

ყ ა რ ი ბ ი. მართალი ხარ. მაშინ რა საიდუმლოებას ინახავს?

ჯ ა ლ ა თ ი. შეხედე, აივნიდან გაუჩინარდა!

ყ ა რ ი ბ ი. დიახ, დიახ, და სინათლეც ჩააქრო.

ჯ ა ლ ა თ ი. ალბათ ჯადოქართან აპირებს წასვლას.

ყ ა რ ი ბ ი. აქ მოდის? ასეთ დროს?

ყარიბი ელვის სისწრაფით გაქრება.

ჯ ა ლ ა თ ი (ეძებს მას). სად წახვედი?

ჯ ა დ ო ქ ა რ ი (სახლიდან ფრთხილად გამოდის და ანახდეულად თავს წაადგება). ვინა ხარ?

ჯ ა ლ ა თ ი. ყარიბი.

ყ ა რ ი ბ ი. დიალ. დიალ. სვეტივით უძრავ ლანდს ვხედავ.

ჯ ა ლ ა თ ი. ეს ის არის.

ყ ა რ ი ბ ი (ყურადღებით ათვალეირებს). ვარსკვლავთმრიცხველი-
ვით ცას რატომ აკვირდება?

ჯ ა ლ ა თ ი. ყოველ ღამეს ამ დროს ასეთი საქმით არის გართული.
ზოგჯერ მთელ ღამეს ასე უძრავად და უძილოდ ათენებს.

ყ ა რ ი ბ ი. რა უცნაურია! რაშია მისი საიდუმლოება?

ჯ ა ლ ა თ ი. ვინმემ თუ იცის?

ყ ა რ ი ბ ი. ნუთუ არავინ არ იცის?

ჯ ა ლ ა თ ი. არავინ.

ყ ა რ ი ბ ი. ეს როდის დაემართა?

ჯ ა ლ ა თ ი. არ ვიცი. არა მგონია, რომ მსგავსი რამ ადრე მოსვლო-
და. ერთ დღეს თავის პირველ ცოლს უღირს შავ ყმასთან წაასწრო, ორი-
ვე დახოცა და ამის შემდეგ დაიფიცა, რომ ყოველ ღამეს ქალწულთან
გაატარებდა, მისი სხეულით დატკებებოდა, დილით კი სიცოცხლეს გა-
მოასალმებდა.

ჯ ა დ ო ქ ა რ ი (ანთებულ ლამპარს აქრობს). დალახვროს ეშმაკმა!
ღმერთმა გვაშოროს ეს ურწმუნო მათხოვარა.

ჯ ა ლ ა თ ი. ლამპარი რატომ ჩააქრე?

ჯ ა დ ო ქ ა რ ი. შენი რა საქმეა? შენ თვითონ ასეთ დროს აქ რა
გინდა?

ჯ ა ლ ა თ ი. მართალი ხარ, მე ამ ადგილს ვტოვებ.

ქალთი შიღ-ს, ქალთეჭი კი თვალს ახოლებს, ვიჯრე მის წასელში არ დარწმუნდება. შემდეგ სახლის კარებს ურდულით ატეხავს და ქალათს საწინააღმდეგო მკაპრთოლებით წინააღმდეგ უჩინარდება.

ყ ა რ ი ბ ი (ვაჰოლის). უფრთხილდი იმას, ვისთვისაც სიბნელეში სიარული მიუსჯიათ!

ხ მ ა (სახლის ფანჯრიდან, კვნესით). აააა!..

ყ ა რ ი ბ ი (შეშინებული). ეს ვინ არის?

ხ მ ა (ფანჯრიდან). აღაპიანი, რომელიც გხედავს და შენი თვალების ელვას ამჩნევს.

ყ ა რ ი ბ ი. ო. ნუთუ მიცნობ?

ხ მ ა. ვიცი, რომ დროზე აღრე მოხვედი და მზის დანახვა გწალია.

ყ ა რ ი ბ ი. განა მისი ნახვის დრო არ ღაღავა?

ხ მ ა. თუ სიცოცხლე გინდა, წყვიდიადს შეათარე თაეი და გაფრთხილდი.

ყ ა რ ი ბ ი. რატომ, ქალწულო?

ხ მ ა. ეს კაცი ბავშვივით ვუღუბრყვილოა! მას ვერ დაუჭერებია, რომ მეფე შეგვანანს დანახვისთანავე სიცოცხლეს გააოასალმებს.

ყ ა რ ი ბ ი. მაშ, ჩემს სიცოცხლეს საფრთხე ეუქქრება?

ქ ა ლ წ უ ლ ი. წადი, სანამ მეფემ თვალი არ მოგკრა. მეფეს არ დაიფეებია, რომ ერთ დღეს თავისი ცოლის მკლავებში მან შავი ყმა დანახა. თაეს უშეღლე, ყარობო! თაეი მიეცი წყვიდიადს!..

ყ ა რ ი ბ ი. ერთი სიტყვა, ქალწულო!

ქ ა ლ წ უ ლ ი. იჩქარე!..

ყ ა რ ი ბ ი. მისი ნახვა მწადია.

ქ ა ლ წ უ ლ ი. ამისათვის მოხვედი აქ?

ყ ა რ ი ბ ი. დიახ. მინდა გავიგო, ვინ არის იგი.

ქ ა ლ წ უ ლ ი. ის ყველაფერი და ის საიდუმლოებები არას მოცულო.

ყ ა რ ი ბ ი. შენ? არც შენ არ იცი?

ქ ა ლ წ უ ლ ი. არ ვიცი. სწორად მეკითხებიან მის შესახებ და მთხოვენ, მათი ცნობისმოყვარეობა დაეკმაყოფილო, მაგრამ მე არათფერი არ ვიცი. ჩემს მოყვეთილ თავს ჰკითხოს, ესეუ მან უპასუხოს რაიმე. წადი!..

ყ ა რ ი ბ ი. კიდევ ერთი სიტყვა!

ქ ა ლ წ უ ლ ი. არა, წადი! ხომ ვითხარი, წადი-მეთქი...

ყ ა რ ი ბ ი. ამ სასლში მარტო ხარ?

ქ ა ლ წ უ ლ ი. ჩემ გარდა აქ ერთი ცოცხალი არსებაცაა, რომელიც ორმოცი დღის განმავლობაში სეზამის ცხიმით სავსე გოდორშია ჩასმული. ჭადოქარი მას მხოლოდ ფინიქსა და ნიგოზს აქმევს, რათა ხორცი მონორდეს და მხოლოდ ძარღვები და თავილა შერჩეს. ღამით ჭადოქარს ცხიმიანი გოდრიდან ამოჰყავს და გარეთ ტოვებს. რათა ცხიმი შეამრეს.

ყ ა რ ი ბ ი. ამ ხერხს რისთვის მიმართავს?

ქ ა ლ წ უ ლ ი. რომ ამის შემდეგ ყველა შეკითხვაზე უპასუხოს.

ყ ა რ ი ბ ი. ვის უპასუხოს?

ქ ა ლ წ უ ლ ი. მეფის.

ყ ა რ ი ბ ი. და რა სურს მეფეს, რომ იცოდეს?

ქ ა ლ წ უ ლ ი. წადი, ყმაო. გაუჩინარდი! ამ ადგილს გაეცალე! ისინი ღამპარის ჩასაქრობად მოდიან!..

ყ ა რ ი ბ ი (წუხილით და შიშით). ღამპარის? მამაშენს ღამპარი არ ჩაუქრია? (სახლის ღამპარისაკენ უჩვენებს).

ქ ა ლ წ უ ლ ი (უცნაურად დაიკვნესებს). აააჰ..

ყ ა რ ი ბ ი. ამ უსიამოვნო ხმას რატომ იმეორებ?

ქ ა ლ წ უ ლ ი. სიბნელეში შენს თავზე მწვანე ღრუბელი ტრიალებს. მიჩნური ზაპიდა გახსოვდეს!

ყ ა რ ი ბ ი. ზაპიდა? შენ ზაპიდა გქვია?

ქ ა ლ წ უ ლ ი. წადი!..

ყ ა რ ი ბ ი (სიბნელეში ორ მომავალ ღანდს არჩევს და ჩურჩულებს). ვინ მოდის?

ყ ა რ ი ბ ი ნაპრილში იმალება. ორი კაცის ღანდი გამოჩნდება.

ჭ ა დ ო ქ ა რ ი. ჩემო მბრძანებლო! ამ ღამეს სული შეფოთავს და გონება არეულია. დააწყნარე შენი სული, ჩემო უფალო. ამჟერად ჩვენ შეეძლებოდა იმას, რისი გაკეთებაც აქამდე გვიძნელდებოდა.

მ ე ფ ე. კიდევ ერთხელ თვალი მოველოთ აქაურობას და შევიდეთ!

ჭ ა დ ო ქ ა რ ი. ვეზირის გარდა არავის არ მეშინია, ჩემო მეუფეო.

მ ე ფ ე. კამარი? კამარა შეამჩნიე? ნუთუ კამარა თვალი მოგვკრა?

ქ ა ლ ო ქ ა რ ი (შიშით). ჩემო მზრძანებელო...

მ ე ფ ე. მერე რა? რა მოხდა? რა ზიანს მოგვაყენებს კამარი, თუ გავიგებს და ამის შესახებ დედოფალს მოახსენებს? რას წარმოადგენს იგი? რა განსხვავებაა — ეცოდინება თუ არა.

ქ ა ლ ო ქ ა რ ი. დაწყნარდი, ჩემო მეფეო!

მ ე ფ ე. გზა მომეცი.

შედიან სახლში. მათ წინ კარები იღება. ერთი მხრიდან გამოდის ქალათი, ხოლო მეორე მხრიდან — ყარიბი. სიბნელეში ისინი მოულოდნელად შეეჯახებოან ერთმანეთს.

ქ ა ლ ა თ ი. როგორ შემაშინე! შენა ხარ!

ყ ა რ ი ბ ი. რატომ დაბრუნდი?

ქ ა ლ ა თ ი. შენს საქმენელად გამოვეშურე, რათა აბუ-მაისურის დუქანში ერთად წავიდეთ. შენ გგონია, მე შენთან ყოფნა მიმძიმს? და განა ამ ღამით მე არ მოგიხმე შენ ?

ყ ა რ ი ბ ი. მეფემ რომ ხმლის შესახებ იკითხოვს?

ქ ა ლ ა თ ი. არ მკითხავს.

ყ ა რ ი ბ ი. ქალათო, მომისმინე! შენი წარმოსახვა გაჰართლდა.

ქ ა ლ ა თ ი. რა წარმოსახვა?

ყ ა რ ი ბ ი. განა არაბთა ამბების შესახებ არ უამბნია? ამაღამ მას თავს მოკვებენ.

ქ ა ლ ა თ ი. ვის?

ყ ა რ ი ბ ი (ჩურჩულით). ვეზირს.

ქ ა ლ ა თ ი. კამარს? არ არსებობს ამქვეყნად ვეზირ კამარის თავზე უფრო უსაფრთხო და ხელუხლებელი თავი.

ყ ა რ ი ბ ი (გაოცებით). რატომ?

ქ ა ლ ა თ ი. მეფე ყველაფერზე მზად არის, ოღონდ თავის ვეზირს უბედურება არ შეამთხვიოს.

ყ ა რ ი ბ ი. საოცარია!

ქ ა ლ ა თ ი. წავიდეთ, დავტკბეთ დუქნის სურნელებით! დაივიწყე ხმლებისა და თავების არსებობა, რომელი ნორმალური ქალათია, თავს რომ სიბნელეში ჰკვეთდეს?!
ხ მ ა.

ისმის ეცნაური, ყრუ, გულისშემძვრელი გრძელი კვნესა, თითქოს საფლავის სიღრმედან გაწოდოდა.

აააა...

ყ ა რ ი ბ ი (შეშინებული ხმით). გაიგონე?

ჭ ა ლ ა თ ი რ ა?

ყ ა რ ი ბ ი. არ გაგიგონია?

ჭ ა ლ ა თ ი (ათრთოლებული ხმით). ეს უდავოდ ცუდი სიზმრებისა-
გან გამოღვიძებული მძინარე ადამიანის ხმაა. კანა სიბნელე მხოლოდ
სიზმრებისათვის არაა შექმნილი? წავიდეთ...

ყ ა რ ი ბ ი (სიბნელეს დაქინებით აკვირდება). არა, მოიცადე!

ჭ ა ლ ა თ ი (ოდნავ შეშინებული). ყარობო, რა მოგივიდა?

ყ ა რ ი ბ ი (თითით ანიშნებს). სიბნელეში სხვა რამ შევაჩნსე.

ჭ ა ლ ა თ ი. რა შეამჩნიე?

ყ ა რ ი ბ ი (ხმადაბლა ეუბნება). ვხედავ... იქ... შეხედე!

ჭ ა ლ ა თ ი (კანკალით). რა...

ყ ა რ ი ბ ი (შიშით). იქ... მწვანე ღრუბელი... ტრიალებს...

ჭ ა ლ ა თ ი (ჩურჩულით). ლქერთო ჩემო!..

ყ ა რ ი ბ ი (ხმადაბლა). დაინახე?

ჭ ა ლ ა თ ი (კანკალით). მოვშორდეთ ამ ადგრლს!

მოკმედეგა მემორა

სასახლში: დედოფლის დარბაზი, რომლის შუაგულში მარპარილოს აუზია.

ე ე ზ ი რ ი. ჩემო დედოფალო! თქვენ ჩემს სიტყვებს ყურს არ უგ-
ღებთ.

შ ა პ რ ა ზ ა დ ი (აუზის ზედაპირს დასყურებს). არა.

ე ე ზ ი რ ი. მე თქვენ გეუბნებოდით, რომ ლაპარაკი უნაყოფოა.

შ ა პ რ ა ზ ა დ ი (ღიმიება). არა.

ე ე ზ ი რ ი. ეს ღიმილი ჩემს წარმოდგენას არყევს. თქვენი ღიმილი
გაუგებარი და იღუმალებით აღისავსება. მისი მნიშვნელობა ვერ გამომიც-
ვნია. იგი დაცინვაა თუ გულისტკივილი?

შ ა პ რ ა ზ ა დ ი (მისიკენ ისედება). შენ ცდები, ეეზირო.

ე ე ზ ი რ ი. რა შემდეგ ასეთი გაუჩვეველი მხერა! მე ვამაგიყებთ,
ჩემო დედოფალო!

შ ა პ რ ა ზ ა დ ი (იყინის). რატომ?

ვ ე ზ ი რ ი (დარცხვენილი). იმიტომ, რომ მე...

შ ა პ რ ა ზ ა დ ი (ვნებიანად იღიმება). მივხვდი, რაც გინდა.

ვ ე ზ ი რ ი (აღელვებული). არა... არა... არ მინდა... ეს.

შ ა პ რ ა ზ ა დ ი (მომხიბვლელი ნაზი ხმით). გინდა.

ვ ე ზ ი რ ი. გეფიცები. ჩემო დედოფალო...

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. აღელდი?

ვ ე ზ ი რ ი. მე მხოლოდ და მხოლოდ მინდა ვიცოდე, თქვენ ვინა ხართ.

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. შენც?

ვ ე ზ ი რ ი. დიალ.

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. მე შენ უკეთესი მეგონე.

ვ ე ზ ი რ ი. ჩემს გონებას თქვენი მოქმედების ახსნა არ ძალუძს. მეფე ჭადოქრის სახლში რატომ გაუშვიტო? თქვენ ხომ იცით, რომ ის იქ სულის გასანადგურებლად წაეიდა. დედოფალო, ხომ არ დაგვიწყნიათ, რომ დღეს ქალწულთა დღესასწაულია და რომ ქალწულები ამ ზეიმს იმ საიდუმლოების თაყვანისსაცემად აწყობენ, რომელმაც ისინი სიკვდილს გადაარჩინა.

შ ა პ რ ა ზ ა დ ი (ტანის რხევით ეკითხება). კეშმარიტად, ჩემი სხეული ლამაზია! ხომ ლამაზი სხეული მაქვს?

ვ ე ზ ი რ ი (აღელვებისაგან თვალს ხრის). არა... სულაც არა...

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. ნუთუ ვერ ხედავ, რა მშვენიერია ჩემი სხეული?!

ვ ე ზ ი რ ი. რასაკვირველია. ჩემო მბრძანებლო. მაგრამ... გემუდარებით... (ვეზირი წასვლას აპირებს.)

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. სად მიდიხარ?

ვ ე ზ ი რ ი. ჩემს საძინებელში. თუ ნებას დამრთავთ, უკვე შუალამეა.

შ ა პ რ ა ზ ა დ ი (კეკლუცად). მარტო მტოვებ?

ვ ე ზ ი რ ი (ძირს იყურება). მხევალს დაუქმებ.

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. შენ ჩემზე არასოდეს არ ზრუნავ.

ვ ე ზ ი რ ი (დგება ისე, რომ მას არ უყურებს). ღამე მშვიდობისა, ჩემო დედოფალო...

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. ერთ წუთს შეჩერდი! მე მეჩვენება, რომ შენ არ გსურს, რომ დაბრუნებისას მეფემ აქ განახოს.

ვ ე ზ ი რ ი. თქვენ იცით, რომ მე გაცილებით მეტ რისხვას ვიწვევ-ვოდრე ვიშსახურებ.

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. ჩემს გამო?

ვ ე ზ ი რ ი. და აგრეთვე მის გამოც.

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. თ. მე უხედავ, რა უსაზღვროდ გიყვარს იგი!

ვ ე ზ ი რ ი. და აგრეთვე თქვენც, ჩემო დედოფალო!

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. და მეც? მართალს ამბობ? და მეც?..

ვ ე ზ ი რ ი (აღუღებთ). მე მინდა, რომ თქვენც გიყვარდეთ იგი.

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. შენ ასე თვლი?

ვ ე ზ ი რ ი (მტკიცედ). დიად.

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. და რა გაფიქრებინებს, რომ მე შაპრიარი მიყვარს?

ვ ე ზ ი რ ი (მალული სიმწრით). განა სიყვარულის დაფარვა შეიძ-ლებია?

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. საკვირველია! განა შენ იცი, რა არის სიყვარული?

ვ ე ზ ი რ ი. ჩემო დედოფალო...

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. მიპასუხე!

ვ ე ზ ი რ ი. თუ დედოფალი წასვლის ნებას დამრთავს...

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. კეთილი. დაეუბრუნდეთ ჩვენს წინა საუბარს იმის შესახებ, თუ რატომ ფიქრობ, რომ მე შაპრიარი მიყვარს? გინახავს, მის-თვის ოდესმე მეკოცნოს?..

ვ ე ზ ი რ ი (სიძლიერით, რომელსაც თან მღელვარება ახლავს). კეშ-მარტად, თქვენ ამაზე გაცილებით მეტი გააკეთეთ! თქვენ გააცოცხლეთ იგი!

შ ა პ რ ა ზ ა დ ი (ღიმილით). განა მკვდარი იყო?

ვ ე ზ ი რ ი. მკვდარზე უარესი: ის უგულო სხეული და უსულო ხორ-ცი იყო.

შ ა პ რ ა ზ ა დ ი (ღიმილით). შენი ჯზრით, რა გავაკეთე?

ვ ე ზ ი რ ი (მტკიცედ). ხელახლა შექმენით!

შ ა პ რ ა ზ ა დ ი (ხუმრობით). შვიდ დღეში?

“ ვ ე ზ ი რ ი (მტკიცედ). ათას ერთ ღამეში.

შ ა პ რ ა ზ ა დ ი (დაცინვით). ო! ეს ბევრია!

ვ ე ზ ი რ ი. განა შაპრაზადის ზღაპრებს ამ ბარბაროსისათვის არ გაუკეთებია იგივე, რაც წინასწარმეტყველთა წიგნებს აღრიხდელი კაცობრიობისათვის!

შ ა პ რ ა ზ ა დ ი (იღიმება).

ვ ე ზ ი რ ი. იღიმებით? დამცინით? არა უშავს.

შ ა პ რ ა ზ ა დ ი (ცბიერად). კამარ. შენ უზომოდ ქებას მასხამ და ამავდღეს ღროს შენი მეგობრის ღირსებას ამცირებ.

ვ ე ზ ი რ ი მე მის ღირსებას არ ვამცირებ.

შ ა პ რ ა ზ ა დ ი (ცბიერად). მე მეჩვენება, რომ შენ თქვენ ორს შორის უცნაური სიყვარულის არსებობა დაგავიწყდა.

ვ ე ზ ი რ ი (გზნებით). არაფერი არ დამავიწყდა.

შ ა პ რ ა ზ ა დ ი (ვერაგულად). რასაკვირველია, დაგავიწყდა.

ვ ე ზ ი რ ი (ბრმა გზნებით). მე არაფერი არ მავიწყდება. მე თქვენ მხოლოდ და მხოლოდ გიხსნით. უმაღლესი სიყვარულით რატომ გიყვართ იგი. და მეორედ ამაზე ნუ შემედავებით! მე ნამდვილად არ ვტყუი, არ ვტყუი, არ ვტყუი!

შ ა პ რ ა ზ ა დ ი (წყინარად). კამარ! რა მოგივიდა?!

ვ ე ზ ი რ ი (გონს მოვიდა). ჩემო დედოფალო, მაპატიეთ!.. მე...

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. ზოგჯერ შენ თავს ნამდვილად ვერ ეუფლები.

ვ ე ზ ი რ ი. მე... მე მინდოდა თქვენთვის მეთქვა, რომ თქვენ ის გარდაქმენით. და იმის შემდეგ, რაც თქვენ გაგიცნოთ, ახალ ადამიანად იქცა.

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. ის მე არ მიცნობს.

ვ ე ზ ი რ ი. მე ხომ აქამდეც გეუბნებოდით, რომ თქვენი წყალობით ჩემთვის მეფეც გაუგებარ და საიდუმლო ამოცანად იქცა. მისი გონება ნამდვილად ახალ უსაზღვრო სიღრმეებს ჩაწვდა, ის ყოველთვის ღრმად ჩაფიქრებული დადის, მუდამ რაღაცა შეუცნობელს ეძებს... ის ჩემს სიტყვებზე იცინის, მე კი მსურს დავიცვა იგი, რადგან მისი დაქანცული გონება მალეღებებს.

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. შენ ამას ღირსებას უწოდებ, კამარ?

ვ ე ზ ი რ ი. რომელ ღირსებას, ჩემო დედოფალო? მე იმ დამსახურებას ვგულისხმობ, რომლის წყალობით სათამაშოებით გართობიდან ბავშვი ფიქრზე გადავიდა.

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. რა დიდი ოსტატობით თხზავ სიტყვებს!

ვ ე ზ ი რ ი. ჩემო დედოფალო, რა გსურთ? მე ძალიან მინდა, ზოგჯერ მაინც მესმოდეს, რა გსურთ!..

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. შენთვის უკეთესი იქნება. რომ ამას არ შეეცადო.

ვ ე ზ ი რ ი. მე არაფერს არ ვცდილობ. მე მხოლოდ მსურს თქვენი სიყვარული მეფისადმი განვადიდო.

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. მართლა?

ვ ე ზ ი რ ი. დიახ.

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. შენ კიდევაც მადანაშაულებ მ-ს სიყვარულში?

ვ ე ზ ი რ ი. მე არ გადანაშაულებთ.

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. რა გულუბრყვილო ხარ, კამარ! შენ მიგაჩნია, რომ მეფისადმი სიყვარულმა გამაყვებინა ის, რაც გავაკეთე?

ვ ე ზ ი რ ი (აღღვებით). მაშინ ვისთვის გააკეთეთ?

შ ა პ რ ა ზ ა დ ი (ღიმილით). ჩემი თავისათვის.

ვ ე ზ ი რ ი. თქვენთვის? ამით რისი თქმა გსურთ?

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. ამით მინდა ვთქვა ის, რომ მე არაფერი გამოიკეთებია ვარდა იმისა, რომ ვართობდი მას, რათა მეცოცხლა.

ვ ე ზ ი რ ი. თქვენ გინდათ თქვათ, რომ მეფეს სულების შეცდენა გადაათქმევინეთ მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენი საკუთარი სული შეგნარჩუნებინათ?

შ ა პ რ ა ზ ა დ ი (ღიმილით). დიახ, ასეა.

ვ ე ზ ი რ ი (ფიქრის შემდეგ). ამას ვერ დავიჭერებ. ნუთუ თქვენ ეს ყველაფერი წინასწარ განსაჩეთ? არა, თქვენ სხვა არაფერი ხართ, გარდა დიდი გულისა!

შ ა პ რ ა ზ ა დ ი (ღიმილით). შენ შენი სულის სარკეში მხედავ.

ვ ე ზ ი რ ი. მე ჭეშმარიტებას ვხედავ.

შ ა პ რ ა ზ ა დ ი (გაურკვეველი ინტონაციით და უცნაური ღიმილით). ჭეშმარიტებას!!!

ვ ე ზ ი რ ი. ილიმებით?

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. მაშინ ამაღამ ქალწულ ზაპიდას თავის მოსაკვეთად ჭადუქრის სახლში რატომ გავუშვი?

ვეზირი. არ ვიცა. და ამავე დროს არ მჯერა. რომ თქვენ ამ უბედური გოგონას ბედი არ ვაღელვებდეთ. მე თქვენი სიბრძნე არ შესმის, და ზოგჯერ არ ვიცი რას გამოხატავენ და რა საიდუმლოებას ფარავენ ეს წყლიანი და ნათელი თვალები.

შაპრაზადი (იციინის).

ვეზირი. რა ვაძინებთ?

შაპრაზადი. მნიშვნელობა და საიდუმლოებანი! დიდება შაპრა-არს! ვხედავ. რომ ბევრი თავისი გამოთქმა უსწავლებია შენთვის.

ვეზირი. დიახ. ბევრი სიტყვა და ფიქრი მოვპარე იმ დღეებში, როცა ჩემთან ვანმარტოვდებოდა და თქვენზე მესაუბრებოდა.

შაპრაზადი. ჩემზე რას გეუბნებოდა, კამარ?

ვეზირი. ბევრი არაფერი მასსოვს იმის შესახებ. რააც მიაპობოდა.

შაპრაზადი (დგება). წადი, შე პატარა მელაგ!

ვეზირი. დედოფალო. თქვენ საქინებელში მიდიხართ?

შაპრაზადი. შაპრაირის დაბრუნებამდე არ დავიძინებ.

ვეზირი (სიმწროთ). ვხედავ, მის დაბრუნებამდე თვალს ვერ მოხუჭავთ. რა ბედნიერია მეფე. ასე ძლიერად რომ გიყვართ!

შაპრაზადი (ღმობით). შე საცოდაო. კამარ!

ვეზირი (სმენას ძაბავს). გასაღების ჭრიალი მესმის.

შაპრაზადი. ალბათ ეს მოწისქვეშა გასასვლელის კარებია. წადი და აქ მომიყვანე. მინდა ვნახო სანამ დაიძინებდეს.

ვეზირი. ნება თქვენია, დედოფალო. (ვეზირი სწრაფად გადის).

შაპრაზადი (კარებთან). იმღერეთ, მხეველნი! შაპრაირის თვალებში მინდა ჩავიხედო. მისი თვალები მის იმედის გაცრუებასა და დამარცხებას მაცნობენ. ამ დამეს, შაპრაირ. შენ დაბერებული, დაქანცული და სასოწარკვეთილი დამიბრუნდები. როგორც ყველა ძალას თავის დასასრულს, შენც სიკვდილის შეგრძნება დაგეუფლება.

ოთახის მიღმა ისმის მუსიკა

შაპრაირი (გარედან ყვირის). დასწყევლოს ღმერთმა ეს თავის ტყვივლი თქვე მეძავებო, ასეთ დროს ასეთი ყვირისლის უფლება ვინ მოგვათ?

შაპრაზადი (შეფარული დაცინვით). შაპრაირ. ნუ დაუშვებ, რომ სიბრაზე დ. გუუფლოს. სიბრაზე სომ სიბერის ნიშანია!

შ ა პ რ ი ა რ ი (გამოჩნდება). იმისათვის არ მოვსულვარ, რომ დამცინო... მე აქა ვარ, შენ წინაშე... რა გინდა ჩემგან?

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. მინდა, რომ დამცინო და თან შენი გამარჯვება მაცნობო.

შ ა პ რ ი ა რ ი. ნუთუ არ შეიძლება, შეხვედრისას ჩვენ ერთმანეთს არ დავცინოთ?

შ ა პ რ ა ზ ა დ ი (იციინს). ეს სიტყვები ჩემთვის ასალია, შაპრიარ. აქამდე შენგან მსგავსი რამ არ მსმენია. იცი, რატომ მოგიხმე? ძლიერი სურვილია მაქვს თვალებში ჩაგხედო. მომიახლოვდი, შაპრიარ!..

შ ა პ რ ი ა რ ი (ახლოს მიდის). რა გაცინებს?

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. მორჩილება, რომელიც შენ არ გჩვევია.

შ ა პ რ ი ა რ ი (უკან დაიხია). გამეცალე! მე ქალს არ ვემორჩილები.

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. ისევ!!!

შ ა პ რ ი ა რ ი. შენი სიციცხლე ჩემს ნება-სურვილზეა დამოკიდებული. მე ყველაფერი ვარ, შენ კი — არააოზა.

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. მე კი მგონა, რომ შენ ბავშვობის ხანას უკვე გადაბიჯე.

შ ა პ რ ი ა რ ი. მე ცოდნისა და სიბრძნის მწვერვალზე ვიშოფები.

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. შაპრიარ, ათას ერთი ლამის შემდეგ შენ არ გაზრდილხარ და არც გამოცვლილხარ.

შ ა პ რ ი ა რ ი. არა, მე გამოვიცვალე.

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. იმ დროს შენ სისხლს ღვრიდი და მოვა ის დღე, როცა შენ ამას ისევ გააკეთებ.

შ ა პ რ ი ა რ ი. მაშინ მე გართობის მიზნით ვკლავდი. დღეს კი ვკლავ იმისათვის, რომ შევიცნო.

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. მერე ამით რა ცოდნა შეიძინე? რა გითხრა ზაპიდას მოკვეთილმა თავმა და რა გაცნობა ცხიმიანი გოდრის მაცხოვრებელმა? ჯადოქრებმა და მღვდლებმა ერთი საიდუმლო მაინც თუ გაგიმზილეს იმ საიდუმლოებათაგან, რომელთა გაგება შენ ასე გწადია!

შ ა პ რ ი ა რ ი. შაპრაზად, გაჩუმდი!

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. მე შენ დაგტანჯე.

შ ა პ რ ი ა რ ი (დაღლილი ხმით). გვეედრები, თავი დამანებე!

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. ხომ ხედავ, ჯადოქრებთან და მღვდლებთან ურთიერთობას რა შედეგი მოჰყვება!

შ ა პ რ ი ა რ ი. რა გინდა, რომ გავაკეთო? შენი წყალობით იმედი დავკარგე და სასოწარკვეთილებას თავი მივეცე.

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. შენ კიდევ გაქვს იმის სურვილი, რომ ჩემი საიდუმლოება გაგიმელაფნო?

შ ა პ რ ი ა რ ი. შაპრაზად!...

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. ასე რატომ მიყურებ?

შ ა პ რ ი ა რ ი. მასხრად ნუ მიგდებ!

შ ა პ რ ა ზ ა დ ი (ავეირდება და ჩურჩულებს). შენ დაცინვის ღირსიცი კი აღარა ხარ.

შ ა პ რ ი ა რ ი. რას აპბობ?

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. რა გინდა ჩემზე გაიგო?

შ ა პ რ ი ა რ ი. შენ იცი, რაც.

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. შენ ვსურს იცოდე, შე ვინა ვარ?

შ ა პ რ ი ა რ ი. დიას.

შ ა პ რ ა ზ ა დ ი (ღიშება). შე ლამაზი სხეული ვარ. შე სხვა რა ვარ, თუ არა და ლამაზი სხეული!

შ ა პ რ ი ა რ ი (ყვირის). ლმერთო, მაშორე ლამაზი სხეული!

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. შე დიდი გული ვარ. შე სხვა რა ვარ, თუ არა და დიდი გული?

შ ა პ რ ი ა რ ი. ლმერთო, მაშორე დიდი გული!

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. ნუბუ იმაზე უარს ამბობ, რომ ერთ დღეს ჩემი სხეულით მოიხიბლე და მთელი გულით შემეყვარე?

შ ა პ რ ი ა რ ი. ყველაფერი ეს წარსულს ჩაბარდა. (თითქოს თავის თავს ეუბნება). დღესდღეობით კი შე უბედური კაცი ვარ.

შ ა პ რ ა ზ ა დ ი (შორდება მას). შაპრიარ, გულს ნუ გაიტეხ, ჩემო საყვარელო!

შ ა პ რ ი ა რ ი. შორს ჩემგან, შე მიტყუარავ! შენ შენი საკუთარი თავის გარდა არაფინ არ გიყვარს.

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. შენ ასე ფიქრობ?

შ ა პ რ ი ა რ ი. ვერაგო ქალო!

შ ა პ რ ა ზ ა დ ი (ღიმილით). მაშინ რატომ შემინდე?

შაპრიარი (თითქოს თავის თავს ეუბნება). ამ დროს აქ რა ეშმაკ-
მა მოგიყვანა?

შაპრაზადი. შენ მე შემოწყალე იმიტომ, რომ არ მიცნობ.

შაპრიარი (დაქანცული პირს იბრუნებს). უბრალოდ, ყურადღებას
არ გქაყევ. არც შენ და არც სხვას.

შაპრაზადი. პირს იბრუნებ, ბრმაო? ცოტა ხნით მაინც გაახილე
თვალები!...

შაპრიარი. მე უკვე გაცილებით მეტი მინახავს იმაზე, რაც უნდა
მენახა.

შაპრაზადი. შენ ბევრი რამ გამოგჩნა, შაპრიარი.

შაპრიარი (დაღლილობით). მე მხოლოდ ერთი სურვილია მაქვს.

შაპრაზადი. რა?

შაპრიარი. რომ მოკვდე.

შაპრაზადი. რატომ? რა დაგემართა?

შაპრიარი. ამ ცხოვრებაში ჩემთვის ახალი აღარაფერია. მე ყვე-
ლაფერი ამოვწურე.

შაპრაზადი. განა ბუნებაში არ არის ის სიამოვნება, რომელიც
მასთან დარჩენის სურვილს აღძრავს?

შაპრიარი. ბუნება სხვა არაფერია. გარდა სატუსალოს უენო ზე-
დამხედველისა, რომელიც მე ყელში მარყუქს მიკერს და ნელ-ნელა მახ-
რჩობს.

შაპრაზადი. შენ ნამდვილად გაგიყებულხარ! შენ იქამდე მიიყვან-
ე. შენი გონება, რომ ჰკურდან შეცდი. რა საიდუმლოს მიგნიბა გსურს,
სულელი? ნუთუ დარჩენილი წლების გატარებას ილუზიებით სავსე ცრუ
ცნობისმოყვარეობასთან პარალელში აპირებ?

შაპრიარი. რა ფასი აქვს ჩემს დარჩენილ წლებს? მე ყველაფერი
ვნახე, ყველაფრით ვისიამოვნე და ყველაფერმა თავი მომაბეზრა.

შაპრაზადი. და შენ ფიქრობ, რომ შენი მიზნების მისაღწევად
სწორი ვნა ავირჩევია? ვინ ვიფიქრა, რომ ის, რაც შენ გსურს, არსებობს?
ჩაიხედე ამ აუზის წყლებში! რას ხედავ მის სიღრმეში? სიწმინდეს. იმა-
ვე სიწმინდეს შენ ჩემს თვალებშიც დაინახავ. იქნებ ამ წყლების სიღრ-
მეში ერთ-ერთი საიდუმლოების პასუხი ამოიკითხო.

შაპრიარი. წყუღიმიც იყოს სიწმინდე და ყოველი წმინდა ყვე-
ლაზე მეტად წმინდა წყალს ეუფლებოდა. წყუღიმიც ის, ვინც წმინდა წყალ-
ში დაიხრჩობა.

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. დაგწყევლოს ალაჰმა, შაჰრიარ!

შ ა პ რ ი ა რ ი. სიწმინდე! სიწმინდე მისი ნილაბია.

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. ვისი ნილაბი?

შ ა პ რ ი ა რ ი. მისი ნილაბი. მისი, მისი, მისი...

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. შენი ამბავი მაშინებს.

შ ა პ რ ი ა რ ი. მისი ნილაბი ამ სიწმინდისაგან არის მოქსოვილი: ხის, თვალების, წყლის, ჰაერისა და სივრცის სიწმინდისაგან. ყველაფერი, რაც კი არსებობს, წმინდაა! სიწმინდის მიღმა თუ არსებობს რაიმე? უსქელესი ფარდაც კი სიწმინდეზე უფრო გამჭვირვალეა.

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. შაჰრიარ, მთელი უბედურება იმაშია, რომ შენ უიღბლო მეფე ხარ, რომელმაც თავისი ადამიანობაც დაკარგა და გულიც.

შ ა პ რ ი ა რ ი. მე ადამიანობასაც და გულსაც ბოლო მოვუღე. აღარ მინდა, რომ ვგრძნობდე, მინდა ვიცოდე.

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. ამქვეყნად არაფერი არ არსებობს ისეთი, რისი ცოდნაც ფასეულია.

შ ა პ რ ი ა რ ი. სიყალბე და ვერაგობა! მაშინ, მიპასუხე იმაზე, რასაც მულამ გეკითხები! ამჟამად ცხოვრებისაგან ესლა მინდა ვიცოდე.

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. შემეკითხე, რაც გასურს!

შ ა პ რ ი ა რ ი. ვინა ხარ შენ?

შ ა პ რ ა ზ ა დ ი (ღიმილით). შაჰრაზადი.

შ ა პ რ ი ა რ ი. ერთსა და იმავეს თავს ნუ მახვევ. მე ვიცი, რომ შენ შაჰრაზადი გქვია, მაგრამ ვინ არის შაჰრაზადი?

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. შენი ყოფილი ვეზირის ასული.

შ ა პ რ ი ა რ ი. ესეც ვიცი, რომ ჩემი ყოფილი ვეზირი შაჰრაზადის მამა იყო. ისევე, როგორც ვიცი, რომ ბუნება ღმერთმა შექმნა იმისათვის, რომ არ ეფიქრათ, რომ შაჰრაზადი მიგდებულნი ბავშვია, ბუნება კი შემთხვევის შვილია. შენ ხომ გესმის, რომ მე ასეთი ახსნა არ დამაკმაყოფილებს.

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. რატომ? რატომ არა გასურს სხვა ქალების მსგავსად ჩემში დაინახო ჩვეულებრივი ქალი, რომელსაც ჰყავს დედ-მამა და ამ ქვეყანაზე კანონიერი გზით არის მოსული?

შ ა პ რ ი ა რ ი. იმიტომ, რომ შენ სხვა ქალებს არ გავხარ.

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. მაქვს თუ მაძაგებ?

შ ა პ რ ი ა რ ი . არ ვიცი. მაგრამ შენ ქალი არა ხარ.

შ ა პ რ ა ზ ა დ ი . ხედავ, შენმა სიგოემ სადამდე მიგიყვანა!

შ ა პ რ ი ა რ ი . შეიძლება, ის ქალი არ არის. მაშინ ვინ არის იგი? მე შენ გეკითხები, ვინ არის იგი? მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ის თავის ოთახშია დამწყვდეული და ამავე დროს ყველაფერი ისე იცის დედამიწის ზურგზე, თითქოს თავად დედამიწა იყოს, ის თავისი ბაღის მიღმა არასოდეს არ გასულა, მაგრამ იცნობს ეგვიპტეს. ინდოეთსა უა ჩინეთს. ის ქალწული იყო და კაცებს ისე იცნობდა, თითქოს ათასი წელი კაცებს შორის გაეტარებინოს და კაცების ბუნება ზედმიწევნით შეესწავლოს. ის ახალგაზრდაა. მაგრამ დედამიწის ცოდნით არ სჭერდება. ამიტომ ცაში ავიდა და მისი მოწყობილობა და მომავალი შეგვატყობინა ისე, თითქოს ანგელოზთა აღზრდილი იყოს. ის მიწის სიღრმეებში დაეშვა და გვიამბო დევებზე, ეშმაკებზე და მარსსებზე უცნაურ სამეფოებზე ისე, თითქოს ჩინის ასული ყოფილიყოს. ვინ შეიძლება იყოს ის, ვინც ოცი წლისაც კი არ არის და მთელი თავისი სიცოცხლე ჩაბნელებულ ოთახში გაატარა, სადაც მისი ერთადერთი მეგობარი სქელი ფარდა იყო. რა არის მისი საიდუმლოება? ნუთუ ის ოცი წლისაა? ანდა ის უსააკოა? ის ერთ ადგილს მიეკუთვნება. თუ ბევრ ადგილებში ბინადრობს? გონება თავის ქალაში მდულარე წყლით სავსე თასს მიგავს. მას სწადია. რომ იტოდეს... შეიძლება ის ქალი იყოს, როდესაც ბუნებას ისე იცნობს, თითქოს თავად ბუნება იყოს?

შ ა პ რ ა ზ ა დ ი . შაპჩიარ, გაჩერდი! შენ ხელები გიკანკალებს და სახეზე საშინელი დაღლილობა გეტყობა.

შ ა პ რ ი ა რ ი . ხო, თავს დაქანცულად ვგრძნობ. მაგრამ ჩემი გონება არ დაწყნარდება, სანამ არ გაიგებს.

შ ა პ რ ა ზ ა დ ი . ხომ გითხარი, შეწყვიტე ამაზე ფიქრი. დარჩეს ყველაფერი ძველებურად.

შ ა პ რ ი ა რ ი . შენ ჩემი ცოლი ხარ, რომელიც მე მიყვარს. განა შენ ჩემი ცოლი არა ხარ? შენ გგონია, რომ მე დიდხანს შევძლებ ავიტანო ის შარდა, რომელიც ჩვენ ერთმანეთს გვაშორებს?

შ ა პ რ ა ზ ა დ ი (თითქოს თავის თავს ეუბნება). და შენ გგონია, რომ ამ ფარდის გარეშე ერთი წამითაც გაუძლებდი ჩემს დანახვას?

შ ა პ რ ი ა რ ი . რას ამბობ?

შ ა პ რ ა ზ ა დ ი . არაფერს.

შ ა პ რ ი ა რ ი . გეფიცები, რომ შენს შესახებ იმაზე მეტი უნდა ვიცოდე, ვიდრე ახლა ვიცი.

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. ეხლავე წადი დასაძიხებლად! შენ დასვენება გინდა.

შ ა პ რ ი ა რ ი (ყვირილით). არ წავალ. ახლავე უნდა ვიცოდე. უკვე საკმარისად მომითმენია.

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. ნუ ბავშვობ, შაპრიარ! შენ კარგად იცი, რომ ოცი საუკუნის მანძილზე რომ მეხვეწო, სიტყვასაც ვერ მათქმევენებ.

შ ა პ რ ი ა რ ი. რატომ?

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. იმიტომ, რომ შე იმ საიღუმლოებას არ ვფლობ, რომლის გაგებაც შენ გსურს. შენ შეუძლებელს ითხოვ. შენ ავადმყოფი ხარ.

შ ა პ რ ი ა რ ი. შენ იცი. შენ ყველაფერი იცი. შენ საოცარი კმნილება ხარ! წინასწარი გახზარახვის გარეშე შენ არაფერს არ ამბობ და არ აკეთებ. შემთხვევით არაფერი არ ხდება. შენი ცხოვრების ყოველი ნაბიჯი ზუსტად გაანგარიშებულია. ის ისეთივე ზუსტია, როგორც შიკ. მთვარე და ვარსკვლავები. შენ სხვა არაფერი ხარ, თუ არა უზარმაზარი გონება.

შ ა პ რ ა ზ ა დ ი (იღიმება). შენ, ჩემო შაპრიარ, შენი სულის სარკეში მხედავ.

შ ა პ რ ი ა რ ი. მე ჭეშმარიტებას ვხედავ.

შ ა პ რ ა ზ ა დ ი (შეთარული ირონიით). მუდამ ჭეშმარიტებას!!!

შ ა პ რ ი ა რ ი. არ მეთანხმები? არ მეტყვი?

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. შენთვის უკეთესი იქნება, წახვიდოდე და მოისვენებდე. ასე თუ არ მოიქცევი, დაუბრუნდი გონების დამტანჯავ ფიქრებს, ჯადოქრებსა და მღვდლებს!

შ ა პ რ ი ა რ ი (უყუარებს და ჩურჩულებს). დაწყევლოს ალაჰმა!

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. ასე რატომ მიყუარებ?

შ ა პ რ ი ა რ ი. მომიახლოვდი!

შ ა პ რ ა ზ ა დ ი (უახლოვდება). რა გსურს?

შ ა პ რ ი ა რ ი. მინდა გაცოცო... (შაპრაზადის თავს ხელებში მოიქცევს, მის შავ თმას ყილიდან გადაწევს და ქარქაშიდან ხანჯალს ამოიღებს).

შ ა პ რ ა ზ ა დ ი (უყვირის). ალაჰმა დაგიფაროს! რას შერები?

შ ა პ რ ი ა რ ი (უცნაური ხმით). ჭლარას ვხედავ, ვითარცა განთიადის პირველ სხივებს ამ მშვენიერ ღამეში...!

შაპრაზადი (მისი მკლავებისაგან თავს ითავისუფლებს და აუზისაკენ იხრება, რათა თავის გამოსახულებას შეხედოს). სად არის იგი? (თეთრ თმას გამოაძრობს).

შაპრიარი. რატომ გამოაძრე?

შაპრაზადი (მისკენ მიდის). ამის გაკეთება რამ მოგაფიქრა? ეს იმაზე მეტყველებს, რომ შენი სიგიჟე ნამდვილად სახიფათო გახდა! ნუთუ ჩემს დაქარგვას აიტანდი, შაპრიარ?

(თმას იწესრიგებს და სხეულის სილამაზეს აჩენს. შაპრიარი დაყინებით აკვირდება).

რატომ მიყურებ ისე, თითქოს პირველად მხედავდე?

შაპრძეარი (პირს იბრუნებს) არა... არ მინდა, რომ ასეთს გხედავდე.

შაპრაზადი. რას ამბობ?

შაპრიარი. ისიც ასევე იქცევა— თავის სიმშვენიერეს აჩენს, თავის საიდუმლოებას კი — ფარავს.

შაპრაზადი. ვინ არის იგი?

შაპრიარი (თითქოს თავის თავს ეუბნება). ბუნება.

შაპრაზადი (სიბრალოლით აღსაესე ხმით). საცოდავო!..

შაპრიარი. ო, შე მატყუარა!

შაპრაზადი (შაპრიარის თავს ხელებში იმწყვედევს). მე მეცოდება ეს დაქანცული და სნეული თავი, ფერმკრთალი შუბლი და დამუწული ტუჩები!..

შაპრიარი. ჩემი სახე მკვდრის ფერია.

შაპრაზადი. ამას ნუ ამბობ!

შაპრიარი. არა, შაპრაზად! მე მოვკვდები.

შაპრაზადი. ნუ დააძლევინებ თავს დაღლილობასა და სასოწარკვეთილებას; არა, შაპრიარ, შენ იცოცხლებ!

შაპრიარი. არ მინდა. არაფერი აღარ მინდა.

შაპრაზადი. დღეს შენ ამას ამბობ. ხვალ კი, შაპრიარ...

შაპრიარი. ხვალინდელი დღე არ მაწუხებს.

შაპრაზადი (თავის თმას თითებით ეთამაშება). შენ მოხუცი არა ხარ, შაპრიარ. შენი თმა ეხლაც კუპრივით შავია.

შაპრიარი. უწინდებურად მოუალერსე ჩემს თმას, გამაგონე შენი ნაზი და თანამგრძობელი ხმა!.. ასე ძლიერად არასდროს არ აღმიქვია

შენი სილამაზე. ნუთუ ეს შენი ბაგეებია, შაჰრაზად? ისინი მარგალიტებით სავსე ფიალას მაგონებს. ნუთუ ეს შენი თმია, შაჰრაზად? ის ხომ ვაზის მტეენებია!

შ ა ჰ რ ა ზ ა დ ი. ცოტათი მაინც დაასვენე შენი სხეული.

შ ა ჰ რ ი ა რ ი. ნება მომეცი თავი კალთაში ჩაგიდო, თითქოს მე შენი ბავშვი ან ქმარი ვიყო. მე ხომ ნამდვილად შენი ქმარი ვარ? ზოგჯერ მე არ მჯერა, რომ ეს ასეა. შემომხვევ კისერზე შენი ვერცხლისებრი მკლავები. მინდა ვიცოდე, რომ ეს გახში მოლიანად მე მეკუთვნის. ცოტა მაინც თუ გიყვარეარ, მიაშბე რამე შენი სიყვარულისა. მაგრამ შენ ჩემ მიმართ გრძნობა არ გაგაჩნია.

შ ა ჰ რ ა ზ ა დ ი (შეფარული ირონიით). ვხედავ, რომ ისევ გულსა და სიყვარულს უბრუნდები.

შ ა ჰ რ ი ა რ ი (ძიღმორეული ხმით). შაჰრაზად, ახლა თავს ბედნიერად ვგრძნობ. მაგრამ მინდა ვიცოდე, შეხს გულში მე რა ადგილი მიეკავია. ზოგჯერ მე წუხილი მეუფლება და მე ვგრძნობ, რომ შენ ღიღებულის ხარ... ღიღებულის... შენ ვერასოდეს ვერ შეიწყნარებ ჩემისთანა ადამიანის სიყვარულს... ჩვეულებრივი მოკვდავის სიყვარულს...

შ ა ჰ რ ა ზ ა დ ი (დაცრნვით). აღარ გსურს იცოდე, მე ვინა ვარ?

შ ა ჰ რ ი ა რ ი. მე მსურს შენი მშვენიერი ვერცხლისებრი სხეული დაგვოცნო.

შ ა ჰ რ ა ზ ა დ ი. ვხედავ, რომ შენ სხეულს უბრუნდები.

შ ა ჰ რ ი ა რ ი (ძიღს ებრძვის). შაჰრაზად, მინდა, რომ სიმღერა მიმღერო. მომიყევი შენი ერთ-ერთი ზღაპარი...

შ ა ჰ რ ა ზ ა დ ი (კარგებისაკენ მიტრიალდება). დაუკარით და იმღერეთ, მხეველნო! (ოთახის მიღმა ისმის წყნარი მუსიკის ჰანგები და ხმადაბალი სიმღერა).

შ ა ჰ რ ი ა რ ი (მძინარე). მიმღერე სიმღერა...

შ ა ჰ რ ა ზ ა დ ი (ხმადაბლა). შაჰრაზად...

შ ა ჰ რ ი ა რ ი (დაიძინა).

შ ა ჰ რ ა ზ ა დ ი (ღ.მილითა და ჩურჩულით) სიმღერა გინდა? (თითქოს თავის თავს ეუბნება). დაიძინე... დაიძინე... დაიძინე პატარა ბავშვო. თამაშით დაქანცულა.

მოქმედება მესამე

მეფის დარბაზი

ოთახ-ს მიღმა ხმადაბალი მუსიკის ჰანგები ისმის. დილის მზემ ოთახის კუთხეები გაანათა.

კამარი (ერთ-ერთ მონას ეუბნება). აქლემები შეკაზმულია?

ჯალოქარი. მაშ. ეს ამბავი მართალია?

კამარი. ჯალოქარო, აქ რამ მოგიყვანა? ხომ იცი, რომ ახლა მეფეს შენი დანახვა არ გაეხარდება.

ჯალოქარი. ალაპიმც შეიწყნარებს მეფეს! ქალაქში ხმა გავრცელდა, მეფე სამოგზაუროდ მიდისო.

კამარი. მერე, შენი რა საქმეა?

ჯალოქარი. იქნებ მეფეს შე დავეკირდე...

კამარი. მეფეს მოგზაურობაში თან არავინ არ მიჰყავს.

ჯალოქარი. საკვირველია! ეს რამ გადააწყვეტინა?

კამარი (კარებს უყურებს და ჩურჩულებს). გაჩუმდი მეფე!...

შაჰრიარი (საქმიანი გამოდის, ჯალოქარს დაინახავს და დაუყვირებს). აქ რას აკეთებ? ხომ ვითხარი, რომ შენი სიციოცხლე დირაჰმადაც არ ღირს. შენს მსგავსებთან დაბრუნდი... თქვე უზარმაზარო კიებო... თქვენ მხოლოდ იმისათვის ხართ დაბადებული, რომ თქვენივე მსგავსი პატარები შექამოთ...

ჯალოქარი (ჩურჩულით გადის). შენც ასეთი ხარ, მეფე... განა შენ შენს მსგავს პატარებს არ ჰამ?

მეფე. რას ამბობს ეს კაცი?

კამარი. არაფერს, ჩემო მბრძანებელო. ის მეფეს შეწყალებას სთხოვს.

შაჰრიარი (მუსიკის ჰანგებს ყურს უგდებს). ეს რა მელოდიაა? ის გულს მიწუხებს. გააჩუმე სიმღერა, კამარ! დაიკარგოს მისი ხმა უსასრულოებაში.

კამარი ერთ-ერთ მსახურს ანაშნებს, სიმღერა გააჩუმოს.

შაჰრიარი. მოგზაურობისათვის მზადა ხარ?

კამარი. დიახ, მაგრამ...

შ ა პ რ ი ა რ ი. მაგრამ რა, კამარ?

კ ა მ ა რ ი. მოგზაურობას მართლა აპირებთ?

შ ა პ რ ი ა რ ი. დიახ. ისევ გ'ნდა ჩემი გადაწყვეტილება შემაცკლევინო?

კ ა მ ა რ ი. ვერ გამოგია, სამოგზაუროდ წასვლა რამ გადაგაწყვეტიანათ?

შ ა პ რ ი ა რ ი. და რა მიიძულებს, რომ დავრჩე?

კ ა მ ა რ ი. მეფე ფიქრობს, რომ თუკი დედამიწას გარს შემოუვლის, გაცილებით მეტ ცოდნას შეიძენს, ვიდრე მაშინ, თუ თავის ოთახში დარჩება?

შ ა პ რ ი ა რ ი. ფანტაზიებს თავი დაანებე, კამარ! ყველა ოცნება და ფიქრი ჩემთვის უკვე ცნობილია. წარუ'და ის გულუბრყვილო დრო. დღეს ჩვენ ქეშმარიტება გვკვირდება, კამარ. გვკვირდება ფაქტები, მოვლენები. ჩვენი საკუთარი თვალებით უნდა დავინახოთ და ჩვენივე ყურით უნდა მოვისმინოთ.

კ ა მ ა რ ი. ჩვენ ამისათვის არ ვარსებობთ.

შ ა პ რ ი ა რ ი. თუ ჩვენ ამისათვის არ ვცხოვრობთ, რომ ვისწავლოთ, მაშინ, რა აზრი აქვს ჩვენს არსებობას, კამარ?

კ ა მ ა რ ი. ჩვენ ვცოცხლობთ ამისათვის, რომ ამქვეყნად არსებულ სილამაზეს თავყვანი ვცეთ.

შ ა პ რ ი ა რ ი. და რა არის ყველაზე ლამაზი ამქვეყნად?

კ ა მ ა რ ი. ქალის თვალები.

შ ა პ რ ი ა რ ი. ო, საცოდავო! ქალის თვალები! ამქვეყნად შენთვის ამით ამოიწურება ყველაფერი! მშვენიერო ყმაწვილო, შენი თვალების დასამშვიდებლად და დასატკობად შენ ყოველი ღამე ქალწულთან უნდა გაატარო.

კ ა მ ა რ ი. ნუ დამცინით! მერწმუნეთ, რომ ღამაზი ქალის პატრონი მთელი სამყაროს მფლობელია.

შ ა პ რ ი ა რ ი (ღიმილით). სასახლეში ხომ არ დარჩები ჰასთან ერთად?

კ ა მ ა რ ი. ვისთან ერთად?

შ ა პ რ ი ა რ ი. ღამაზი თვალების პატრონთან.

კ ა მ ა რ ი (იღუშება). რა გინდათ ამით თქვათ?

შ ა პ რ ი ა რ ი. შენ და შაჰ-აზალი აქ დარჩებით და ერთმანეთს უპატრონებთ, სანამ მე ხანგრძლივი მოგზაურობიდან არ დაებრუნდები.

კ ა მ ა რ ი (წინააღმდეგობით). თქვენ ცლებით.

შ ა პ რ ი ა რ ი. რას ამბობ?

კ ა მ ა რ ი (თვითდაჯერებებითა და დარწმუნებით). ვამბობ, რომ თქვენ ცლებით.

შ ა პ რ ი ა რ ი. შენ ჩემს ბრძანებას არ ემორჩილები?

კ ა მ ა რ ი. ამში არა. ათასჯერ არა!

შ ა პ რ ი ა რ ი. შენ თან არ წაგიყვან.

კ ა მ ა რ ი. მაშინ დედოფალი წამოგყვებათ.

შ ა პ რ ი ა რ ი. იგი? მაშინ რა აზრი აქვს მოგზაურობას.

კ ა მ ა რ ი. ნუთუ ცოლს განზრახ ტოვებთ?

შ ა პ რ ი ა რ ი. შენც ხომ იგივეს აკეთებ.

კ ა მ ა რ ი. თქვენ მას გაუბიხართ.

შ ა პ რ ი ა რ ი. და ამავე დროს საკუთარ თავსაც.

კ ა მ ა რ ი. ო. მოწყალე ალაჰო!..

შ ა პ რ ი ა რ ი. მინდა, რომ ეს ავხორცილა დავივიწყო, გავთავისუფლო და წავიდე... წავიდე.

კ ა მ ა რ ი. სად?

შ ა პ რ ი ა რ ი. უსასრულობისაკენ.

კ ა მ ა რ ი. თქვენი სიტყვების მნიშვნელობა არ მესმის.

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. დიახ. შენ ეხლა ჩემი სიტყვების აზრს ვერ ჩაწვდები.

კ ა მ ა რ ი. თქვენი სული მოუსვენრადია.

შ ა პ რ ი ა რ ი. და მით უფრო ჩემი სხეული.

კ ა მ ა რ ი. ნუთუ დედოფალთან განშორებას შიძლებთ?

შ ა პ რ ი ა რ ი. ისევე, როგორც თვითონ ატანს ჩემთან დაშორებას.

კ ა მ ა რ ი. და მე?

შ ა პ რ ი ა რ ი. შენ კი, ჩემო კამარ, უმზეოდ სიცოცხლე არ შეგიძლია. ამიტომ დარჩი, რათა მისი სხეულის შექმნის ისაზრდო.

კ ა მ ა რ ი. ჩემო მუუფყო!..

შ ა კ რ ი ა რ ი. კამარ, ნუ ლელავ! შენ აქ დარჩები. ამით შენ მუ ლოდ სამსახურს გაძინებ.

კ ა მ ა რ ი. და ლამით რომ ღავრჩე მასთან...

შ ა კ რ ი ა რ ი. შენ ამას არ გააკეთებ. შენ გარდა შაქრაზადს კერავის ვანდობ. აგერ, ისიც მოღის კაბით, რომლის მსგავსიც შე აქამდე არ მი-
ნახავს. შეხედუ, კამარ, რა ლამაზია!

კამარი სდუმს.

არ უყურებ? განა სილამაზეს თაყვანს არა სცემ?! აო, შაქრაზადი!
უღაგოდ იმისათვის მოხვედი, რომ თვალეში ჩამხედო.

შ ა კ რ ა ზ ა დ ი (გამოდის). დიახ. მოვედი, რომ გამგზავრების წინ
გნახო... სად მიემგზავრები, შაქრია?

შ ა კ რ ი ა რ ი. სად მიემგზავრები?

შ ა კ რ ა ზ ა დ ი. ხო, სად მიემგზავრები?

შ ა კ რ ი ა რ ი. ვაყ-ვაყის ქვეყანაში.

შ ა კ რ ა ზ ა დ ი. შენ ხუმრობ?

შ ა კ რ ი ა რ ი. შენ გგონია, რომ ეს ქვეყანა მხოლოდ შენს წარმო-
სახვაში არსებობს? შე მშვენიერო გაპომგონებლო!

შ ა კ რ ა ზ ა დ ი. როდის აპირებ დაბრუნებას?

შ ა კ რ ი ა რ ი. პირველი მოგზაურობიდან?

შ ა კ რ ა ზ ა დ ი. შენ სხვა მოგზაურობებსაც აპირებ?

შ ა კ რ ი ა რ ი. სინდბადი ხომ გახსოვს, შაქრაზად? შენს სინდბადს
ხომ შეიძვერ ზედიზედ უმოგზაურია.

შ ა კ რ ა ზ ა დ ი. დიახ. მოგზაურობის სენით იყო შეპყრობილი.

შ ა კ რ ი ა რ ი. მართალი ხარ. ის მოგზაურობით იყო დაავადებული.
როგორც შენ თქვი, ის, ვინც ერთხელ შეძლებს თავისი მიჯაჭვული სხე-
ულის გათავისუფლებას, მოგზაურობით სწეული ხდება და სიკვდილამდე
დედამიწის ზურგზე დაეხეტება.

შ ა კ რ ა ზ ა დ ი. საქმე გადაწყვეტილია, შენ სინდბადი გახდი!

შ ა კ რ ი ა რ ი. ჩემს დაკარგვას დარდობ?

შ ა კ რ ა ზ ა დ ი. რომ მცოდნოდა, ერთ დღეს მოხეტიალე ოცნებასა-
ვით რომ მიმატოვებდი, ამ ზღაპარს არასდროს ვიამბობდი.

შ ა კ რ ი ა რ ი. მოგზაურობა ამ ზღაპრებმა არ გადამაწყვეტინეს,

შ ა კ რ ა ზ ა დ ი. კი, გადაგაწყვეტინეს.

შ. პ. რ. ი. ა. რ. სივიწროვეა ამის მიზეზი: ჩემს ყელზე შენი ხელბის ბხუთაჲ მოხვევა.

შ. პ. რ. ა. დ. (ლიმლით). ჩემი ვერცხლისებრი ხელები! ნუთუ დღეს აჲ ძლიერია შენი სიძულვილი ჩემდამი?

შ. პ. რ. ი. ა. რ. განა ვინმეს ძალუძს შ. პ. რ. ა. დ. სიძულვილი? ნუთუ შეი ამის გჯერა? განა შე დამნაშავე ვარ იმაში, რომ ეს ადგილი ჩემს სულში ყველაფერ აღამიანურს კლავს?

შ. პ. რ. ა. დ. (ჩურჩულვებს). აღამიანის სული შეხდობას იმსახურებს.

შ. პ. რ. ი. ა. რ. რისი ოქმა ვსურს ამით. შ. პ. რ. ა. დ. ის, ვინც ამას ყუბაღლებას აქცევს. დაღუპულია.

შ. პ. რ. ა. დ. ამაზე რას იტყვი, კამარ? შენს მეგობარს მხარს უჭერ?

კამარ. მე ამა ველოდი. ასეც უნდა მომხდარიყო, ჩემო დედოფალ! რას უნდა მოელოდე იმ კაცისაგან, რომელიც ყოველ დამეს ქალწულთან ატარებდა.

შ. პ. რ. ი. ა. რ. შენ გინდა თქვა, რომ მე ქალები მომბეზრდა?

კამარ. გულქვა კაცი!

შ. პ. რ. ი. ა. რ. კამარი ჩემზე გაჯავრებულია. ო, მე უბედური! კამარის რისხვას კი მხოლოდ ერთი რამ აძლიერებს: თუ მოეჩვენება, რომ მე შ. პ. რ. ა. დ. სათანადოდ თაყვანს არ ვცემ.

შ. პ. რ. ა. დ. კამარი კაცია.

შ. პ. რ. ი. ა. რ. კამარი ჯერ კიდევ გულუბრყვილო ბავშვია.

შ. პ. რ. ა. დ. ბავშვი შენა ხარ, შ. პ. რ. ი. ა. რ.

შ. პ. რ. ი. ა. რ. მე შენთვის ყოველთვის ბავშვი ვარ. არა უშავს. მაშინ შენს ხელქვეითად კაცი დარჩება, ბავშვი კი სამოგზაუროდ წავა და მოივლის ქვეყანას კილით კიდემდე, რათა გონიერ ყმაწვილად დაგიბრუნდეს.

შ. პ. რ. ა. დ. ბიჭუნას მოგზაურობა სარგებლობას არ მოუტანს, სანამ მას გული არ ექნება.

შ. პ. რ. ი. ა. რ. (დაცინვით). და გულს რა ევალება? — სიყვარული?

შ. პ. რ. ა. დ. ვინ იცის.

შ. პ. რ. ი. ა. რ. სიყვარული! როგორ უღერს ეს სიტყვა! ის უდავოდ ძველი წარმოშობისაა, აღრინდელი საუკუნეების დანატოვარა.

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. არა, ვუშინდელი ღამის ნაშთია...

შ ა პ რ ი ა რ ი. მხოლოდ ვუშინდელი ღამის? შენ აზვიადებ! ამ სიტყვის მნიშვნელობა ასე სწრაფად როგორ დაგავიწყდა! მე შენი ნათქვამის მჯერა, მე ვწვდები მის არსს. ის მშვიდი მელოდია არის იმ გრძნობის ენა, რომელიც მე ახლა არ მესმის. ეინაიდან გრძნობა აღარ გამაჩნია. კამარ, მუსიკა გააჩუქე! ხომ გითხარი, გააჩუქე-მეთქი. ის მე მზლუდავს.

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. ყოველივე ამის მიუხედავად, შენს ბავშვობას მხოლოდ ერთი ნაბიჯი გამორებს.

შ ა პ რ ი ა რ ი. ამას არა აქვს მნიშვნელობა. მე შენს ლამაზ სხეულს აღარ დავუბრუნდები. შენი ბაგეების სიმშვენიერე. შენი თმის სურნელება და შენი ხელების მხურვალე მოხვევა აღარ დაკათრობს. სხეულეებით გამაძლარი ვარ... გამაძლარი ვარ... გამაძლარი ვარ!

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. შენ გრძნობის უნარი დაგიკარგავს!

შ ა პ რ ი ა რ ი. აღარ მინდა, რომ ვგრძნობდე. წინათ გრძნობები არ მდლიდა. ახლა კი მე ვიღლები და ვეღარ ვგრძნობ. დღეს ჩემი სული გადაღლილი და უგრძნობელია.

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. სული? სულს შენი სხეული მიუტოვებია! წამოდი, კამარ! ამ საწყაღს ჰგონია, რომ სიტყვები ყველაფერია.

შ ა პ რ ი ა რ ი (მოულოდნელად). შაპრაზად! გამგზავრების დრო დადგა. არ გესმით? ეს საშინელი ჰანგები მოგზაურობისაკენ მომიწოდებს.

შ ა პ რ ა ზ ა დ ი (კამარს ეჩურჩულება). შენ დარჩი, კამარ!

შ ა პ რ ი ა რ ი. რას გუბნება?

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. ვეუბნები, რომ დარჩეს. შენი კო წადი, სადაც გინდა.

შ ა პ რ ი ა რ ი. ამით რისი თქმა გასურს?

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. ამბობენ, რომ ერთ ადამიანს თავისი გულის კარნახით იმის მიწვდომა ძალუძს, რასაც სხვა გონებითაც ვერ აღწევს.

შ ა პ რ ი ა რ ი (თვალეებით ეძებს კამარს, რომელიც გარეთ გავიდა). შენ მას გაენდე?

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. არ ვიცი.

შ ა პ რ ი ა რ ი (შეწუხებული ხმით). შაპრაზად...

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. წადი!

შ ა პ რ ი ა რ ი. სიტრუე და ვერაგობა! მე შენ შენზე უკეთესად გცნობ. თანაც კამარი მე არაფერს არ მიმაღავს. შენი სიტყვები მე ვეღარ

შემაცდენს. მშვიდობით, ჩემო დედოფალო!.. არა, მოდი, შენი კოცნა და-
მავეიწუღა.

აჩქარებულად ჰკოცნის, მაგრამ შპარახადი აჩერებს და მის ბაგეს მხურვალედ და-
ეწაფება ამის შემდეგ შპარიარი ატეხვებული დგას.

შ ა პ რ ა ზ ა დ ი (დუმილით ტოვებს).

შ ა პ რ ი ა რ ი (თართოლევით). შპარახად...
შ ა პ რ ა ზ ა დ ი (პიუბრუხდება). რა მოგივიდა? შენ ცახცახებ.

შ ა პ რ ი ა რ ი. არა... ეს...

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. ეს განშორების ნიშანია, შპარიარი.

შ ა პ რ ი ა რ ი (რამდენიმე ნაბიჯს მტკიცედ გადადგამს). კამარი სად
არის? სად ხარ, კამარი? მოგზაურობა, მოგზაურობა, მოგზაურობა... (ნაჩ-
ქარევეად ტოვებს იქაურობას).

შ ა პ რ ა ზ ა დ ი (თავისთვის ჩაილაპარაკებს). საბრალო ადამიანი! რომ
იცოდეს, როგორ მეცოდება!..

მოკმელება მეოთხე

უღაბნო... უსაზღვრო სიერცე... შზის ჩასვლის დრო... მზე შორს
ქვიშაში ჩაესვენება...

კ ა მ ა რ ი (გაჯავრებული და გაღიზიანებული, დაცივნით). რა სიჩუმეა
და რა სასოწარკვეთილება! თქვენ თვლით, რომ ეს ყველაფერი შზის ჩას-
ვლამ დაამწუხრა?

შ ა პ რ ი ა რ ი. ჩემგან რა გინდა?

კ ა მ ა რ ი. ჩვენ უღაბნოს უსაზღვრო სიერცეში დაეწანწალებთ და
ისეთ ადგილებში დავეხეტებით, სადაც ცოცხალი არსება შემთხვევითაც
კი არ შეგვხვედრია და ჩვენი დაკარგული ხმების ექოს გარდა არაფერი
გვსმენია. თქვენ ამით ბედნიერი ხართ? ნუთუ სიამოვნებას განიკებთ
ყოველივე ის, რასაც ხედავთ!

შ ა პ რ ი ა რ ი. ვინ დაგართო ნება, რომ თან მხლებოდი?

კ ა მ ა რ ი. საოცარიია ნუთუ ჩემი ყოფნა მხოლოდ ახლა შეამჩნიეთ?

შ ა პ რ ი ა რ ი. შენი აქ ყოფნა!

კ ა მ ა რ ი. ჩემო მბრძანებელო!..

შ ა პ რ ი ა რ ი (დაღონებული და დამძიმებული ხმით). ჩემგან რა გინდა? რა გინდა ჩემგან?

კ ა მ ა რ ი. დღეს თქვენი სულგრძელობა მაოცებს!

შ ა პ რ ი ა რ ი. მე სულგრძელი ვარ თუ სულმოკლე, ეს შენ არ გეხება. თავი დაიანებე, ადამიანო!

კ ა მ ა რ ი (ცოტა ხნის შემდეგ). რჩევას თუ მიიღებთ ჩემგან?

შ ა პ რ ი ა რ ი (არ იძერის).

კ ა მ ა რ ი. მოლი, დაგბრუნდეთ.

შ ა პ რ ი ა რ ი (თავს სწევს). სად?

კ ა მ ა რ ი. საიდანაც წამოვედით.

შ ა პ რ ი ა რ ი (ყვიროს). იქ, სადაც შაპრაზაღია? შე საცოდავო! აი, შენი სისუსტეც გამოაშკარავდა! ჩვენი გამგზავრებიდან ერთ დღესაც კი არ გაუეღია!

კ ა მ ა რ ი. ჩემი სისუსტე!

შ ა პ რ ი ა რ ი (მოთმინებითა და ძალ-ღონით სავსე წამოდგება). აღეჭი, წამოდი, ადგილი დაუათვალიეროთ! ექვი არ არის, ეს უკაცრიელი უღაბნოა. შენ ხანგრძლივი მოგზაურობისათვის მზად არ ყოფილხარ. შენ ხომ აქამდე არასდროს გიმოგზაურია, კამარ...

კ ა მ ა რ ი. და არც თქვენ.

შ ა პ რ ი ა რ ი. არა, მე აქამდეც მიმოგზაურია.

კ ა მ ა რ ი. ბევრჯერ?

შ ა პ რ ი ა რ ი (თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკებს). მაგრამ... ისე არა, როგორც აჭერად.

კ ა მ ა რ ი. მაშინ, თქვენ უკვე გამოცდილი გექნებათ...

შ ა პ რ ი ა რ ი. რა გექნება გამოცდილი?

კ ა მ ა რ ი. ტყვილი.

შ ა პ რ ი ა რ ი. შენ ცდები, კამარ. მე ის არა ვარ, ვისაც მასთან განშორება ტყვილს მიაყენებს. მე სულ სხვა კაცი ვარ, რომელსაც მე შენ გაგაცნობ.

კ ა მ ა რ ი (შეწუხებული და გაბრაზებული). ეს რას ნიშნავს?

შ ა პ რ ი ა რ ი (თავშეკაფებით). არაფერს. ნუ გაჭავრდები. ჩემს სიტყვებს ყურადღებას ნუ მიაქცევ. ყმაწვილო...

კ ა მ ა რ ი (გაჩუმდება და თავის რისხვას მალავს).

შაპრიარი (უეცრად ჩამავალ მზეს შეხედავს). კამარ. შეხედე! მზესთან განშორება მართლაც რომ სევდისმომგვრელია.

კამარი (თავს სწევს და მზის ჩასვლას მდუმარედ შესცქერის).

შაპრიარი (წუთის შემდეგ). ისევე, როგორც ყველა განშორება. თუმცა, სევდა ალბათ მაინც სხვაა. მისი სხივების სისუსტესა და ფერების სიმკრთალეს ხომ ხედავ? მაგრამ ეს წუთიერი სევდაა, მხოლოდ განშორების წუთიერი სევდა.

კამარი (ხმადაბლა). აი, ის უკვე ჩაესვენა ქვიშებში.

შაპრიარი. დიახ. და სევდაც თან წაიღო. და თუ შენ ამ დროს ბელი გაგიღიმებს და მზის ახალ ადგილსამყოფელს დაინახავ, შენ მისი ნათელი სხივების კაშკაში გაგაოცებს.

კამარი. ასეთ დროს?

შაპრიარი. ამის მეტი მზისაგან რა გინდა? შენსავით გული და ოცნებები ხომ არ გააჩნია!

კამარი. შარტო ჩემსავით?

შაპრიარი (განაგრძობს). იგი უსხეულოა, მაგრამ თავისი წასვლით ჩვენ გვაღელვებს... თუმცა, მხოლოდ წასვლის უამს. ის ხომ უტყვია.

კამარი (მეფეს მდუმარედ შესცქერის).

შაპრიარი (უცებ გამხნევდება და წამოდგება). ჩვენც მისი მსგავსნი ვართ. წავიდეთ, კამარი განვაგრძოთ სვლა, სვლა, სვლა!

კამარი (გახედავს და სიმწრით გაიმეორებს). სვლა... სვლა... სვლა...

შაპრიარი (ვაჩერდება). ასე რატომ მიყურებ?

კამარი (გაჭავრებული დაცინვით). თქვენ მე შაოცებთ.

შაპრიარი. რატომ?

კამარი. იმიტომ, რომ თქვენ ფიქრობთ, ცარიელი სიტყვების სიმრავლით გულს გააჩუმებთ.

მოქმედება მესამე

მეფის ღარბაზი. ღამე ჩამოწვა.

შაპრიარი (წამოწოლილი ფიქრობს).

ყარბი (ფანჯრიდან გადმოძვრება).

შაპრიარი (შეკრთება). ეინ არის?

ყარიბი (მიუახლოვდება და ჩურჩულებს). ნუ შეშინდები ეს მე ვარ.

შაპრაზადი. ვინ შეგატყობინა, რომ მე აქა ვარ?

ყარიბი (მასთან ახლოს მიდის). შენმა სურნელებამ მაცნობა შენი აქ უოფნა. შემდეგ კი ამ ფანჯარამ მაუწყა, რომ მის მიღმა სხეულია, რომელიც უმაწვილ კაცს ელის.

შაპრაზადი. არ მომეკარო წადი აქედან...

ყარიბი (აკვირდება). რა მშვენიერი ხარი შენ სხვა არაფერი ხარ, თუ არა ლამაზი სხეული

შაპრაზადი (იღიმება). ნუთუ შენც შენი თავის სარკეში მხედავ?

ყარიბი. კეშმარიტად, მე სიმართლეს ვხედავ.

შაპრაზადი. სიმართლეს თავი დაანებე... წადი

ყარიბი. რატომ დატოვე ამ სალამოს შენი ოთახი და აქ წამოხვედი? ასეთი დაღვრემილი სახე რატომ გაქვს?

შაპრაზადი. ამ ოთახში შენთან ერთად დარჩენა არ შემიძლია.

ყარიბი. ვისი გეშინია?

შაპრაზადი. ჩემი საკუთარი თავის.

ყარიბი. შენ ხომ იცი, რომ ახლა ის ეგვიპტის ან ინდოეთის გზაზეა. როგორ ფიქრობ, რას იზამს, აქ რომ შემოვიდეს და დაგვიანახოს?

შაპრაზადი. ამას ნუ ამბობ!

ყარიბი. ნუთუ ვერ ასწავლე, რომ შავკანიანი დანახვისთანავე სიცოცხლეს არ უნდა გამოასალმოს?

შაპრაზადი. არა.

ყარიბი. იმიტომ, რომ შენ ეს არ გსურს, შე ცბიერო!

შაპრაზადი. მე არ მინდა, რომ შეგინდოს, თუკი ჩემთან განახავს? ნუთუ შენ ამის დაჭერება შეგიძლია, საყვარელო?

ყარიბი. მე შენი საყვარელი არა ვარ, შე ორგულო მოღალატე!

შაპრაზადი. მაშ, ვინა ხარ?

ყარიბი. საცოდავი შენ მას უღალატებ.

შაპრაზადი. კვლავში რა დაგიჭდა? ნუთუ ასეთი რამ ახლა მოგივიდა აზრად? მისი ღალატი რომ მდომოდა, ამისათვის შენ რატომ მოგიხმობდი?

ყ ა რ ი ბ ი. ჩემი წინათგარძნობა მეუბნება, რომ შენ მახეს მიგებ.

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. შენი წინათგარძნობა ტყუის.

ყ ა რ ი ბ ი. ნუთუ შეგიძლია, ჩემსავით სულმდაბალი ყმა შეიყვარო
შ ა პ რ ა ზ ა დ ი. განა შაპრიარის პირველი ცოლი ასე არ მოიქცა?

ყ ა რ ი ბ ი (მის სხეულზე და თავის სხეულზე უთითებს). ეს თეთრი
და რბილია... ეს კი — შავი და უხეში...

შ ა პ რ ა ზ ა დ ი (იღიმება). თეთრი ნაზი ყვავილი შავი და მკვრივი
მიწიდან იზრდება.

ყ ა რ ი ბ ი. და ჩემი სიმახინჯე და დაბალი წარმოშობა!..

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. შენ აუცილებლად შევკანიანი, მახინჯი და დაბალი
წარმოშობის უნდა იყო. ეს სწორედ ის უკვდავი ნიშნებია, რომლებიც
მე მიყვარს.

ყ ა რ ი ბ ი. ეს ვნების ნიშნებია.

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. მომიახლოვდი!

ყ ა რ ი ბ ი. მე ვფიქრობ, რომ შენ სხვა ქალების მსგავსი არა ხარ.
შენ არავის სიყვარული არ შეგიძლია.

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. ჩემი გულის ამბები შენ არ გეხება.

ყ ა რ ი ბ ი. შენ მე შეთამაშები. მე შენი მეშინია.

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. შენ გეჩვენება.

ყ ა რ ი ბ ი. და შენი ქმარი?

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. მისგან რა გინდა? ეს რა შენი საქმეა?

ყ ა რ ი ბ ი. ამ ოთახში ამაღამ რატომ მოხვედი? შენ მასზე ფიქრობ?

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. დიახ. მინდა რომ დაბრუნდეს.

ყ ა რ ი ბ ი. გინდა?

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. არ მინდა რომ დაბრუნდეს, ვიდრე შენ მე თავს არ
მომაბეზრებ.

ყ ა რ ი ბ ი. არ მესმის.

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. თუ შაპრიარი დაბრუნდება, სიბნელეში ვერ დაგი-
ნახავს.

ყ ა რ ი ბ ი. სიბნელე!..

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. დიახ. თუ სიცოცხლე გასურს, საყვარელო, გველი-
ვით სიბნელეს მიეცი თავი, დაიცადე, ვიდრე გათენდება და მოკალი იგი!..

ყ ა რ ი ბ ი. მეფე თუ დამინახავს?

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. არა, მე... ჩემი სიყვარული შენდამი მხოლოდ სიბნელეში იარსებებს.

ყ ა რ ი ბ ი. გასაგებია. შენი ტრფობა სიბრაღულს იმსახურებს. საჭაროობასა და სიცხადეს შენში ვნება მოუკლავთ, იმის მსგავსად, როგორც მზის შუქი ზოგიერთ თესლებს კლავს.

შ ა პ რ ა ზ ა დ ი (ხელს ჰკრავს, როდესაც შეამჩნევს, რომ ოდნავ დასციინის). ასე ნუ დამციინი!

ყ ა რ ი ბ ი. მე ჩემს დასასრულს ვგრძნობ და შენ ჩემი მკვლედი ხარ.

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. ასეთი აზრები საიდან მოგდის?

ყ ა რ ი ბ ი. განა ის შენ არ იყავი, მეფეს რომ უამბე იმ ყმის შესახებ, რომელსაც ქმარმა მისი მეუღლის საძინებელ ოთახში მიუღწრო? და განა შენ არ მიუხაჯე, რომ მოეკლათ ისე, როგორც სხეულის უბეში მყოფ გველს კლავენ.

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. დიახ. მე მივუხაჯე. მაგრამ ნუთუ კაცს ყმის მოკვლა აქამდე შეუძლია?

ყ ა რ ი ბ ი. ეს როგორ?

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. შენ თუ იცი, ყმას რითი კლავენ?

ყ ა რ ი ბ ი. რითი?

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. მისი გათავისუფლებით.

ყ ა რ ი ბ ი (იციინის).

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. შენ იციინი?

ყ ა რ ი ბ ი. რა გამჟრიახი ხარ!

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. მე არც ვხუმრობ და არც ვცბიერობ.

ყ ა რ ი ბ ი. შენ მართლა ასე მიგაჩნია?

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. დიახ. მაგრამ კაცი ხომ ბავშვია. მან არ იცის, ყმა როგორ უნდა მოკლას. თუ იცი, ინდოეთში მღვდლები გველებს როგორ კლავენ?.. ისინი მათ უშვებენ, რათა ტაძრის მიღმა ეზოში გავიდნენ.

ყ ა რ ი ბ ი. მაშინ მეფეს ეს რატომ არ მოუყევი?

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. მე ვთვლი, რომ ახლა მას ამის ცოდნა არ სჭირდება.

ყ ა რ ი ბ ი. განა მას თავისი პირველი ცოლი და მისი შავი სატრფო ლოგინში არ მოუკლავს?

შ ა ჰ რ ა ზ ა დ ი. ეს პირველი შაპრიარი იყო. ახლანდელი შაპრიარი კი სულ სხვა ადამიანია: ეს ის კაცია, რომელმაც სიცოცხლის დიდი ნაწილი ხორცისა და სისხლის სასახლეში გაატარა. ყოველ ღამეს მას ქალწული ჰყავდა, რომელსაც ყოველ დილას ის სიცოცხლეს ასალმებდა. ადამიანმა ამოწურა ყოველივე იმის ცნება, რასაც სიტყვა „სხეული“ და სიტყვა „მატერია“ შეიცავს. ეხლა კი ის ისეთ ადამიანად გადაიქცა, რომელიც გაურბის ყველაფერს, რაც მატერიასთან და სხეულთან არის დაკავშირებული...

ყ ა რ ი ბ ი (გაოცებით). სად გაურბის?

შ ა ჰ რ ა ზ ა დ ი. მან არ იცის, სად. და სწორედ ეს არის ამ საცოდავის ტანჯვის საიდუმლოება.

ყ ა რ ი ბ ი. ეხლა სად არის იგი?

შ ა ჰ რ ა ზ ა დ ი. მან დედამიწა მიატოვა, ცას კი ვერ შესწვდა. ის დედამიწასა და ცას შორის გამოკიდებული დარჩა.

მოჭმელება მემკვსმა

აბუ-მაისურის დუქანში.

ა ბ უ-მ ა ი ს უ რ ი (ლოგინზე წამოწოლილ ქალათს ელაპარაკება). ადექი, შე ჭაღატაკებულო ქალათო აქ შენი ადგილი არ არის. კარებთან მდიდარი ბასრელი ვაჭრები დგანან. ადექი და ადგილი გაათავისუფლე! ქ ა ლ ა თ ი (უძრავად). ვინ გითხრა, რომ მე აქა ვარ?

ა ბ უ-მ ა ი ს უ რ ი. შენ აქ არა ხარ?

ქ ა ლ ა თ ი. არა.

ა ბ უ-მ ა ი ს უ რ ი. მე კი მეგონა, რომ შენ აქ იყავი. (გადის შემდეგ შემოდის ორ ვაჭართან ერთად. ეს შაპრიარი და კამარი არიან). გზა მივციტ პატივცემულ ბატონებს!

კ ა მ ა რ ი (მეფეს ეჩურჩულება). მარტო ამ ბუნაგშილა გვაკლდა შე-მოსვლა ასეთი ხნგრძლივი მოგზაურობის შემდეგ.

შ ა ჰ რ ი ა რ ი. მომყევი და ხმა არ ამოიღო!..

კ ა მ ა რ ი. ჩვენისთანა ხალხს ასეთი სახლი არ შეეფერება.

შ ა ჰ რ ა ჟ ა რ ი. ჩემთან ერთად წამოსვლა რამ გაიძულა?

ა ბ უ-მ ა ი ს უ რ ი (ხალიჩის კიდზე მიჰყავს ისინი). ფრთხილად და-აბიჯეთ.

კამარი. ჩემო მბრძანებელო, შეხედეთ, როგორ იქცევა!
აბუ-მაისური. ნაპირს ფრთხილად მიჰყევით, ფეხსაცმელები რომ
არ დაგისველდეთ...

კამარი (ჩურჩულით). გასაოცარია! ხალიჩა ზღვა ჰგონია!..
შაპრიარი. კამარ, გაჩუმდი და დაემორჩილე! ეს შენზე ბევრს ხე-
დავს.

კამარი. თქვენ ხუმრობთ?
შაპრიარი. დუქნის პატრონო, დაგვეჩუქე!
აბუ-მაისური (რბილი ლოგინსაკენ ანიშნებს). გიხოვთ...
შაპრიარი (ქალათს შეამჩნევს). იქ მწოლიარე კაცი ვინ არის?
აბუ-მაისური. კაცი? სად?
შაპრიარი. ლოგინზე. ვერ ხედავ?
აბუ-მაისური. კაცს? კაცი ჩვენს საწოლში როგორ მოხედებო-
და? ჩენი საწოლი ყველაზე სუფთაა!

შაპრიარი (ფანჯრისაკენ უჩვენებს). ქართან ერთად ამ ფანჯრი-
დან ხომ არ შემოფრინდა?

(აბუ-მაისური ფეხზე იხდის) რას აკეთებ?
აბუ-მაისური. ფეხსაცმლით მინდა მოვეკლა.
შაპრიარი. არა. თითებით ასწიე და გარეთ გადაავლე.
აბუ-მაისური (ქალათისაკენ ხელს გაიწვდის). უცნაურია!..

შაპრიარი. რა?
აბუ-მაისური. მას ადამიანის მსგავსი ფეხი აქვს!
შაპრიარი. თქვენთან კაცი საიდან მოვიდოდა?
აბუ-მაისური (ქალათის ფეხს ათვალეირებს). მართალი ხარო.
მაშინ რა არის?

ქალათი (გაუნძრევლად). ხელი არ ახლო! მისი პატრონი წასულია.
კამარი (ჩურჩულებს). ჩემო მეფეო, ეს ხომ თქვენი ყოფილი ჯა-
ლათია!

შაპრიარი. სად არის წასული? თავისი ფეხი აქ რატომ დატოვა?
ქალათი. დატოვა მიწაში ჩარგული. ნუთუ ფეხი სასიარულოდ
არის შექმნილი?

შ ა პ რ ი ა რ ი. საკვირველია! მაშინ ფეხი რისთვისღა არსებობს?
ქ ა ლ ა თ ი. რათა მიწაში ჩარგული დარჩეს. და ტარი და ფოთლები
მოისხას.

ა ბ უ-მ ა ი ს უ რ ი. და ახლა ამ უნაყოფო ხის პატრონი სად არის?
ქ ა ლ ა თ ი. აი, საცაა შემოვა სხვა ოთახში და მეც ვდგები, რომ მას
შევეგებო.

ქალაქი წამოდგება და გადის.

ა ბ უ-მ ა ი ს უ რ ი (თავისუფალ საწოლზე მიუთითებს). აი, ამ ფრინ-
ველმაც ფრთები აისხა! (ისიც გადის).

ქ ა მ ა რ ი. ფრინველი? რომელი ფრინველი?

შ ა პ რ ი ა რ ი (ლოგინზე ჩამოჯდება). ფრინველი ზოხი...

ქ ა მ ა რ ი. თქვენ ხუმრობთ? თქვენ აქ სახუმაროდ არ მოსულხართ.
ანდა ამ კეკუნაკლული ხალხის სიტყვები ხომ არ გიზიდავთ? გადახედეთ
მეორე ოთახს. სახლის კედელი ასე რამ მოართვევინა? ალაპსა ვფიცავ,
ეს აღამიანები შიშველი პალმის ძირკვებს გვანან.

შ ა პ რ ი ა რ ი. ბედნიერები არიან ისინი, რომლებიც თავის ხორცი-
ელ სურვილებს გაექცნენ.

ქ ა მ ა რ ი. და ჩვენც ამიტომ მივატოვეთ ჩვენი კერიები და მსოფლი-
ოს ქვეყნები შემოვიარეთ! და ეს ყველაფერი იმისათვის, რომ ჩვენი მო-
გზაურობა აქ დაგვესრულებინა?!

შ ა პ რ ი ა რ ი. ჩვენი მოგზაურობა? გაჩუმდი, სულელო! ჩვენ ჯერ
აღდილიდან არ დაეძრულვართ.

ქ ა მ ა რ ი (შეშინებული უყურებს). ჩემო მეუფეო...

შ ა პ რ ი ა რ ი. ნუ გეშინია, კამარ. გიყი ხომ არ გგონივარ? არა, მე
გიყი არა ვარ. (თავისი ფეხისაკენ უჩვენებს). როგორც შენ ამბობ, ჩვენ
ვიმოგზაურეთ, ხოლო ამ ორმა სვეტმა დედამიწასთან დაგვაკავშირა.

ქ ა მ ა რ ი (დგება). ალაპის სახელით გემუდარებით, ასეთ სიტყვებს
ნუ გაიმეორებთ!

შ ა პ რ ი ა რ ი. დაჯეჟი.

ქ ა მ ა რ ი. აქ გაჩერება ერთი წამითაც აღარ შევიძლია. ამჯერად ამ
სიგიყეში მხარს აღარ დაგიჭერთ.

შ ა პ რ ი ა რ ი. მაშინ გამოტყედი, რომ მისი ნახვის სურვილით იწვი.

ქ ა მ ა რ ი. რას ამბობთ?

შაკრიარი. შეხი მოთმინების ფილა აივსო და რომ შეგეძლოს, ამ წუთსავე მისკენ გააქეოდი და საბოლოოდ დაუბრუნდებოდი იმ ადგილს, საიდანაც წამოსულხარ.

კამარი. მე?

შაკრიარი. რატომ უაჩყოფ, საცოდავო? მღელვარება გაშხელს. მე შენი მშურს, კამარი! ალბათ ჩემი სიმტკიცისათვის როგორ მკაცხავ!

კამარი. დიახ. თქვენი გულის ვაციებაზე უარესი არაფერია.

შაკრიარი. შენი ვაციცხვა ამით ამოიწურება?

კამარი. დიახ. ეს ცოტაა კაცსათვის. რომელმაც იცის, რომ ის და მისი ცოლი ხანგრძლივი განსორების შემდეგ ისევე ერთ ქვეყანაში არიან. ის კი ამისთანა ადგილას შეყვონდება!

შაკრიარი (იღიმება). და ამავე დროს მე ის შენზე უფრო მიყვარს.

კამარი (თრთის).

შაკრიარი. რისი თქმა გსურდა?

კამარი (ცდილობს დაწყინარდეს). ჩემო მბრძანებელო! წავიდეთ...

შაკრიარი. კამარი, ხომ გთხოვე, მას გვერდიდან არ მოცილებოდი. რატომ გამოექეცი და მე დამეწიე? რატომ არ დაჩჩი. და მორიდომე, მგზავრობის ტვირთი და ხიფათი ჩემთან ერთად გაგეზიარებინა?

კამარი. ასე რატომ მოვიქეცი, არ ვიცი.

შაკრიარი. ახლა ხომ არ ნანობ? მიხედი, რომ მოვზაურობას ის სასურველი შედეგი არ გამოუღია. როგორიც შენ გინდოდა?

კამარი (მღელვარებით). რა მინდოდა?

შაკრიარი. საცოდავი კამარი! მისი ჩადილი შენ ყველა ქვეყანაში თან დაგყვებოდა და მის სახეს ყველგან ცნობდი. ხომ გახსოვს, ეგვიპტეში შენმა წამოძახილმა იზისის სურათის დანახვისას ყველანი როგორ გააოცა?

კამარი. იზისი?

შაკრიარი. დაგავიწყდა?

კამარი. ეს ხომ თქვენ მითხარით, რომ იზისი მას გაგონებთ!

შაკრიარი. მე ამას არ უარყოფ. მაგრამ...

კამარი. ჩუთუ მიკრძალავთ ჩემი გაოცება ვამოვხატო მათი სიცილი-რი მსგავსებლს გამო?!

შ ა პ რ ი ა რ ი. და ინდოეთში ბაიდაბაც მას ასე ძალიან ჰგავდა, მისი სურათის დანახვამ ასე რომ აგაღელვა?

კ ა მ ა რ ი. ბაიდაბა? დიახ. ბაიდაბას თვალები თავისი საუცხოო სიწმინდით მისი ნათელი თვალების მსგავსია.

შ ა პ რ ი ა რ ი. ხომ ხედავ! შენ ყველგან შაჰრაზადი გელანდება. შე საცოდავო!

კ ა მ ა რ ი (აღელვებით). ჩემო მეფეო...

შ ა პ რ ი ა რ ი. გულწრფელობას ხომ არ ნანობ?

კ ა მ ა რ ი. ჩემო მბრძანებელო!..

შ ა პ რ ი ა რ ი. რას ნიშნავს ეს ფერმკრთალი სახე, კამარ? ისე კანკალებ, თითქოს ციებ-ცხელებით იყო შეპყრობილი.

კ ა მ ა რ ი (მღელვარებით). ჩემთან ასეთ ლაპარაკს უფრთხილდით. თქვენ არ გესმით... მე დედოფალს ეუყურობ ისევე, როგორც ცეცხლთაყვანისმცემლები ცეცხლის ალს შესცქევიან.

შ ა პ რ ი ა რ ი (წუნარი ღიმილით). მე ეს ვიცი. დაწყნარდი, ბავშვო, ვინ გითხრა, რომ მე სხვა რამეს ვგულისხმობ? სინამდვილეში შენ ისე ეტრფი მას, როგორც შეიძლება ლამაზი კაცი ლამაზ ქალს ეტრფოდეს.

კ ა მ ა რ ი. ჩემო მბრძანებელო... ჩემო მბრძანებელო...

შ ა პ რ ი ა რ ი. ნეტავ ეს ასე იყოს, შე სულელო!

კ ა მ ა რ ი. თქვენ არ იცით.

შ ა პ რ ი ა რ ი. ვიცი. ამ ცეცხლთაყვანისმცემელს მე კარგად ვიცნობ. ცეცხლის გარდა მას არაფრის დანახვა არ სურს. თვითონ კი ისე ძლიერად არის მას მიჯაჭვული, თითქოს მისი სხეულის ნაწილი იყოს. და ასე დარჩება, ვიდრე მისგან გათავისუფლების სურვილი არ დაუძლურებს და სიკვდილის პირას არ მიიყვანს.

კ ა მ ა რ ი. ნუ დამცინით!

შ ა პ რ ი ა რ ი. არ დაგცინი. პირიქით, — მიყვარხარ. იცი, კამარ, რატომ მიყვარხარ?

კ ა მ ა რ ი (გარინდებული უყურებს).

შ ა პ რ ი ა რ ი (განაგრძობს). იმიტომ, რომ არ შემიძლია, მიყვარდე და არ გაყოცო.

კ ა მ ა რ ი. რა აღმინანი ხართ?

შ ა პ რ ი ა რ ი (თავისი სხეულისაკენ უჩვენებს). აღმინანი, რომელიც ამას გაუქცა...

კამარი სისულელეა

შაპრიარი. მე შენ ყველაფერს გაპატიებ, იმით, რომ შენ წარმომავლობას არ მიგაკუთვნებ.

კამარი. ესეც სისულელეა.

შაპრიარი (მზერა კედელს მიაპყრო). არა უშავს. კამარ, კედელს შეხედე! რა ჰკიდია იქ? ეს ხომ ქალათის ხმალია!

კამარი (ხმალს ათვალეობს). ეს ბედისწერის ხმალია! რამდენი სხეული გაუპია და რამდენი სისხლი დაუღვრია.

აბუ-მაისური (გამოდის). ვერც კვამლსა ვხედავ და ვერც მწვევლებს!

შაპრიარი. ჩვენთვის თუ მოამზადე რაიმე?

აბუ-მაისური (თვალეობით ეძებს). ეშმაკმა დალახვროს ეს ღატაკი ქალათი! ამ წყეულმა ის იარაღები წაიღო, რომლებიც მდიდარი ვაჭრებისათვის მომომზადებია.

შაპრიარი (ჩამოკიდებული ხმლისაყენ მიუთითებს). აბუ-მაისურ! ეს ხმალი აქ ვინ მოგიტანა?

აბუ-მაისური. ეს ხმალი ქალათმა სესხად მომცა.

კამარი. რამდენი გამოართვი?

შაპრიარი. გინდა იყიდო, კამარ? რისთვის გამოიყენებ?

კამარი (აბუ-მაისურს ფულს აძლევს და ხმისამოუღებლად ხმალი იღებს).

შაპრიარი. აბუ-მაისურ! შენ ფიქრობ, რომ ჩვენ გავემგზავრებით მანამ, სანამ შენ ჩვენ თხოვნას შეასრულებ?

აბუ-მაისური (ყვირილით). ქალათო! შე დაჯარგულო სულო! შენზე უსინდისო კაცი არ მინახავს! ბატონთა იარაღებით ეწევი?

ქალათი (მეორე ოთახიდან). და განა ეს ცოდვაში ჩამეთვლება, სანამ მათ შორის ვაჟ?

აბუ-მაისური. ამას ვინ ამტკიცებს, შენ კი მიცვალებულ ინდოელებზე უფრო ღატაკი ხარ!

ქალათი. გინდა, შენი სახლი ოქროთი გაავსო?

აბუ-მაისური. როდის?

ქალათი. თუნდაც ამ ღამეს. ჰურჭელი მოამზადე. მე მას ინდოელი მკვდრების ფურთლიდან ამოღებული ოქროთი ავივსებ.

აბუ-მაისური. ეს სიმდიდრე სად იშოვე?

ჯალათი. ჩემი მეგობარი ყარბისაგან.

აბუ-მაისური. შენი მეგობარი ყარბისაგან? ის კიდევ ცოცხალია?

ჯალათი. საცაა შოვა.

აბუ-მაისური. მეფის ქალაქიდან ვაპგზაურების შემდეგ მის შესახებ არაფერი ვიცი.

ჯალათი. ამჟამად ის დედოფლის აბრეშუმის საწოლში წევს და ართობს მას.

კამარი (ადღეღებული და გაღიზიანებული ადგომას აპირებს).

შაჰრიარი (კამარის სურვილს ეწინააღმდეგება). კამარ, ჰკუა ხომ არ დაგიკარგავს?

აბუ-მაისური (ჯალათს). საკვირველია! ის ყარბია შენი მეგობარი, ზოგჯერ აქ რომ მოდიოდა და შენ რომ მას დაუზოგავად ფულს ახარჯავდი?

ჯალათი. ამჟამად ის შაჰრაზადის განებივრებული მიჯნურია.

კამარი (ყურმოკრულს ველარ აიტანს და ფეხზე წამოვარდება). თქვე ბინძურო ძალღებო! თქვე პირუტყვებო!

აბუ-მაისური (შეძრწუნებული მოუბრუნდება).

შაჰრიარი !კამარს აწყენარებს და აბუ-მაისურს დაელაპარაკება). ჩემმა თანამგზავრმა მოლოდინისაგან მოთმინება დაკარგა.

აბუ-მაისური. და ასეთი საშუალებით უნდა, რომ ამაჩქაროს? შიშისაგან ძლივს გონს მოვედი.

შაჰრიარი. ჩვენ მივდივართ.

აბუ-მაისური. ერთ წუთს მოითმინეთ და ჩინის სისწრაფით სხვა მოსაწევ იარაღებს მოგიტანთ. (სწრაფად გადის).

შაჰრიარი (თავის ვეზირს მიმართავს). რა მოგივიდა, კამარ? რა თავზარი დაგეცა?

კამარი (სდუმს).

შაჰრიარი. კამარ! ასე რატომ მიყურებ?

კამარი. თქვენ მე მებრალბით.

შაჰრიარი. დაწყენარდი, კამარ, და აღუშფოთებლად მელაპარაკე.

კამარი. არ მეგონა, თუ ამ ზომამდე უსუსური აყავია.

შ ა პ რ ი ა რ ი (იციანის). რა ზომამდე?

კ ა მ ა რ ი (აღმაყვრად უყურებს). თქვენ იცინით?

შ ა პ რ ი ა რ ი. და ამასთან ერთდ, კამარ, მე შენ მიყვარხარ!

კ ა მ ა რ ი. ადამიანის შემქმნელსა ვფიცავ. არასდროს ისე არ მძულ-
ღით და ისეთ არარაობად არ მიმაჩნდით, როგორც ეხლა.

შ ა პ რ ი ა რ ი. არა უშავს.

კ ა მ ა რ ი (აღელვებით). მე მესმის. რომ თქვენ მტკიცე ნებისყოფ-
ილადმიანად გსურთ მომაჩვენოთ თავი, ცდილობთ თქვენივე ბუნებისაგან
გათავისუფლდეთ და ადამიანობა უგულვებელყოთ. თქვენ უსაფუძვლო
ღებულებებს ამტკიცებთ და წარმოსახვებს ენდობით. მაგრამ თქვენ კაცი
ხართ, კაცი, საცოდავი და საძულველი... საძულველი...

შ ა პ რ ი ა რ ი. რა მნიშვნელობა აქვს.

კ ა მ ა რ ი. (თვალებიდან ცრემლები უხშოდ წამოუყვიადა). ჩემო მბრძა-
ნებელო...

შ ა პ რ ი ა რ ი. კამარ, ნუთუ შენ ტირი?

კ ა მ ა რ ი. ?

შ ა პ რ ი ა რ ი. ჩემო მეგობარო!

კ ა მ ა რ ი. ჩემო მეუფეო...

შ ა პ რ ი ა რ ი. ნუ წუხარ!

კ ა მ ა რ ი. ნუთუ მას ასეთი რამ შეუძლია! ნუთუ ასეთი რამ ვაბედა?
კეშმარიტად, ეს ცილისწამებაა. ეს ცილისწამებაა.

შ ა პ რ ი ა რ ი. ჭერ ცრემლები შეიმშრალე. შენც საძულველი კაცი
ნუ გახდები! ამოიშრე თვალები!

კ ა მ ა რ ი. თქვენ დამცინით?

შ ა პ რ ი ა რ ი. ღმერთმა დამიფაროს! ნუთუ გგონია, რომ ადამიანის
გულისტკივილს შემძლია დავცინო?!

კ ა მ ა რ ი (უეცრად). ჩემო მეუფეო, სიმართლე რომ აღმოჩნდეს ის.
რასაც ყური მოვკარით?

შ ა პ რ ი ა რ ი. ასეთ სიტყვებს ნუ ამბობ, კამარ! ნუთუ შენ გონებას
ძალუძს შაპრაზადი შავი ყმის მკლავებში წარმოიდგინოს? არა ცეცხლ-
თაყვანისმცემლის, არამედ საზიზღარი შავი ყმის მკლავებში!

კ ა მ ა რ ი. ეს ამბავი რომ ვამართლდეს. მაშინ ხომ აუცილებლად შე-
ასრულებთ თქვენს მოვალეობას ჩემო მეუფეო!

შ ა კ რ ი ა რ ი. რომელ მოვალეობას?

კ ა მ ა რ ი (ქალათის ხმლისაყენ მიუთითებს). რაც თქვენ პირველ ცოლს გაუყეთეთ...

შ ა კ რ ი ა რ ი. ნუთუ ფიქრობ, რომ შენი მსგავსი ვარ?

კ ა მ ა რ ი. რას ამბობთ?

შ ა კ რ ი ა რ ი. კამარ! შენ ის მართლა გიყვარს? შენ ცდები, საცოდავო! შენ არ გიყვარს იგი...

კ ა მ ა რ ი. ჩემო მეფეო...

შ ა კ რ ი ა რ ი (კამარს მისი სხეულისაყენ მიუთითებს). აი, ამას უყვარს იგი.

მოკმედეგა მეზვიდე

შპრაზადის განსასვენებელი.

შ ა კ რ ა ზ ა დ ი (მის ახლოს მკდომარე ყარიბს ეუბნება). რა მოგივიდა? რატომ სდუმხარ?

ყ ა რ ი ბ ი. ამ ღამეს რატომ მომიხმე?

შ ა კ რ ა ზ ა დ ი (ილიმება). შპრიარმა რომ აქ ვნახოს.

ყ ა რ ი ბ ი. და მომკლას ისე, როგორც უბეში მოხვედრილ გველს კლავენ.

შ ა კ რ ა ზ ა დ ი. არა. ის შენ არ მოგკლავს.

ყ ა რ ი ბ ი. რა ქალი ხარ! რატომ მეთამაშები?

შ ა კ რ ა ზ ა დ ი. დაწყინარდი. შენ განსაცდელი არ გელის.

ყ ა რ ი ბ ი. ჩემი გონება მკარნახობს, რომ შენ უკვე დიდი ხანია, რაც უბედურების განახლებას ცდილობ. და ეს მართლაც ასეა.

შ ა კ რ ა ზ ა დ ი. რომელი უბედურების?

ყ ა რ ი ბ ი. ყმის სიკვდილი შპრიარის ცოლის განსასვენებელში. შენ მე ამისათვის მომიხმე და ამ ქვეყანაში სწორედ ამისათვის შემომიტყუე.

შ ა კ რ ა ზ ა დ ი. დიახ. მინდა ვნახო, თუ რამდენად შეიცვალა შპრიარი.

ყ ა რ ი ბ ი. და შენ სულაც არ გადარდებს, რომ მე ამ ცდის მსხვერპლი უნდა გავხდე?

შაპრაზადი. და მეც აგრეთვე...

ყარიბი. და შენც?

შაპრაზადი. შე სულელო! თუ მოკვლას დააპირებს, ორივეს ერთად მოგვკლავს.

ყარიბი. და თუ დაგეინდობს — მხოლოდ შენი

შაპრაზადი. მან თავისი პირველი ცოლი არ დაინდო.

ყარიბი (ცოტა ხნის შემდეგ). მაშ, ჩვენ მომავლადენი ვართ.

შაპრაზადი. იმ შემთხვევაში, თუ მოგვკლა.

ყარიბი. შენ ეჭვი გეპარება, რომ ამას გააკეთებს?

შაპრაზადი. თუ იგი ასე არ მოიქცევა, ის დალუპულია.

ყარიბი. არ მესმის.

შაპრაზადი (სმენას დაძაბავს). გაჩუმდი! კარის ხმა მომესმა...

ყარიბი (სწრაფად წამოდგება). ეს ის არის. დასასრულიც მოვიდა.

შაპრაზადი. ნუ გეშინია! ფარდის უკან დაიმაღე... (შავი ფარდისაკენ უჩვენებს).

ყარიბი (ფარდას შეხედავს და შეკრთება). მისი ფერი ცუდის მანიშნებელია. წინათგრძნობა მეუბნება, რომ ღღეს ვილაცას თავს ჰოკვეთენ.

შაპრაზადი. იჩქარე! (ყარიბი ფარდის უკან დაიმაღება. შაპრაზადი აღდება და კარებს გააღებს.) ვინ არის? შაპრიარ, შენა ხარ?

შაპრიარი (მთრთოლვარე ხმით). დიახ.

შაპრაზადი. რა მოგივიდა? მეფე თრთის?

შაპრიარი. ეს... დამქანცველი გზის შედეგია.

შაპრაზადი (იღიმება). არა. ამის მიზეზი შეხვედრაა. ისევე, როგორც განშორების დროს იყო, გახსოვს?

შაპრიარი (უიმედოდ). მახსოვს, შაპრაზად.

შაპრაზადი (ბალიშებისაკენ მიჰყავს იგი). წამოდი...

შაპრიარი. შენი მხრიდან უცნაურია ეს სიმშვიდე და ეს სიწმინდეც. რომ შემეძლოს ამის ნაწილისათვის მაინც მიმელწა...

შაპრაზადი. როგორც არ უნდა გემოგზაურა, ხომ ბევრი ჰხარე მოიარე?

შაპრიარი. მე არ მიმოგზაურია. ადგილიდან არ დაეძრულვარ.

შაპრაზადი. შენ ასე გგონია?

შ ა პ რ ი ა რ ი (ოთახს თვალს შემოაქვს). აი, მე ისევ სასახლეში ვარ. და დასასრულს სად მოვედი? იქ, საიდანაც დავიწყე. მსგავსად თვალახვეული წისქვილის ხარისა, რომელიც ტრიალებს, ტრიალებს და კვონა, რომ სწორ გზაზე მიდის.

შ ა პ რ ა ზ ა დ ი (ცოტა ხნის შემდეგ). და კამარი?

შ ა პ რ ი ა რ ი (კარებისაკენ მიბრუნდება). მისი არსებობა კინაღამ დამავიწყდა. მომიახლოვდი, კამარ! ოთახის ყოველ კუთხეს ასე რატომ ათვალეობ? ხომ არ იპოვე ვინმე?

კ ა მ ა რ ი. ჩემო მეფეო...

შ ა პ რ ი ა რ ი. აი, ამ ოთახის პატრონი შენ წინაშეა. ჩვენ მასთან მოვლოდნელად შემოვიპყრით. შევი ყმა ხომ არ აღმოაჩინე მასთან?

კ ა მ ა რ ი. ჩემო მეუფეო, გემუდარებით...

შ ა პ რ ი ა რ ი. კამარ, გული დაიწყნარე! შევი ყმა შაპრაზადის სხეულს არ დაუფლებია. კეშმარიტად, შაპრაზადი ყველაზე კეთილშობილია კერპებს შორის. იგი ცეცხლზე უფრო უმანკოა. ხომ ასეა, შაპრაზად?

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. შაპრიარ, შემოსვლისას შენი კოცნა დამავიწყდა.

შ ა პ რ ი ა რ ი. კოცნას მაჩუქებ?

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. დიახ.

შ ა პ რ ი ა რ ი. კამარი დაასაჩუქრე.

კ ა მ ა რ ი (გაკიცხვით). ჩემო მეფეო... ჩემო მეფეო.

შ ა პ რ ი ა რ ი. მიიღე კოცნა, შე სულელო! შაპრაზადის კოცნაზე უარს ვინ ამბობს!

კ ა მ ა რ ი (მაშინვე გადის).

შ ა პ რ ი ა რ ი. გაიქცა ეს სულელი.

შ ა პ რ ა ზ ა დ ი (ქმარს დიდხანს უყურებს). შაპრიარ, შენ რაღაცას მიძალავ.

შ ა პ რ ი ა რ ი. მე ის არა ვარ. ვინც რაღაცას ძალავს.

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. კი. ახლა შენ შიშის მომგვრელად გამოიყურები.

შ ა პ რ ი ა რ ი. უწინდელთან შედარებით ახლა მე გაცილებით უფრო წყნარად ვარ. ნუთუ შენ ამას ვერ ამჩნევ?

შ ა პ რ ა ზ ა დ ი (ეჭვით). შესაძლებელია.

შ ა პ რ ი ა რ ი. შენ გგონია, რომ მე მშვიდად არა ვარ?

შ ა ჯ რ ა ზ ა დ ი. მოგზაურობის დროს თუ გახსენდებოდი?

შ ა ჯ რ ი ა რ ი. მხოლოდ გამგზავრებისა და დაბრუნების ეამს გაშახსენდი. ხოლო დანარჩენ დროს კი ვეცხოვრობდი მხოლოდ იმ დროისა და ადგილების შეგრძნებით, რომლებიც მე გარს მერტყა.

შ ა ჯ რ ა ზ ა დ ი. შენ მე დამივიწყე?

შ ა ჯ რ ი ა რ ი. მთელი ჩემი წარსული დავევიწყე. იგი სიზმარივით მესახება, რომელსაც განსორციელება არ უწერია. ძალიან მალე ჩემი სიცოცხლე ისეთ კალაპოტში ჩადგება, როგორსაც მას სხეულ დრო და ეამის გავლენით უკარნახებს.

შ ა ჯ რ ა ზ ა დ ი. მსგავსად იმისა. თუ როგორ ღებულობს წყალი ქურკლის ფორმას.

შ ა ჯ რ ი ა რ ი (სასოწარკვეთით). განა მე წყალივით არა ვარ. შაჰრაზად? წყალივით მუდამ სატუსალოში დამწყვედელი? დიალ. ჩვენ სხვა არაფერი ვართ, თუ არა წყალი და განა ჩემს სულს შეუძლია იარსებოს იმ ფარგლებს გარეთ, რომლებშიც ჩემი სხეული იმყოფება? მოგზაურობაც და მოძრაობაც სხვა არაფერია, გარდა ერთი ქურკლის მეორეთი შეცვლისა. ქურკლის გამოცვლა კი წყალს ვერ გაათავისუფლებს!

შ ა ჯ რ ა ზ ა დ ი. მოგზაურობას შენი სხეული ვერ გაუთავისუფლებია.

შ ა ჯ რ ი ა რ ი. მართალი ხარ.

შ ა ჯ რ ა ზ ა დ ი (ცოტა ხნის შემდეგ). რატომ არ მეკითხები, შენს არყოფნაში რას ვაკეთებდი?

შ ა ჯ რ ი ა რ ი. ამის ცოდნა მე რას მომცემს?

შ ა ჯ რ ა ზ ა დ ი. შენ აღარ გინდა იცოდე, მუ ვინა ვარ?

შ ა ჯ რ ი ა რ ი. შენ მშვენიერად სხეული ხარ.

შ ა ჯ რ ა ზ ა დ ი. არა. შენ ტყუი.

შ ა ჯ რ ი ა რ ი. შენ დიდი გული ხარ.

შ ა ჯ რ ა ზ ა დ ი. არა.

შ ა ჯ რ ი ა რ ი. შენ უზარმაზარი გონება ხარ.

შ ა ჯ რ ა ზ ა დ ი. სულაც არა.

შ ა ჯ რ ი ა რ ი. შენ ჩემში ხარ. და ჩვენ ერთნი ვართ. ერთმანეთს გარეშე ჩვენ არ ვარსებობთ. სადაც არ უნდა წავიდეთ. ყველგან ჩვენ თავს ვხვდებით. ჩვენი აჩრდილი და წარმოსახვა ყველგან თან გვსდევს. მთელი სამყარო ჩვენა ვართ. სხვა არაფერი არსებობს, გარდა ჩვენი გა-

მოსახულებისა იმ უზარმაზარ სარკეში, რომელიც ჩვენ ყოველი მხრიდან გარს გვარტყია. ამ ბროლის ციხემ შე თავი მომაბეზრა.

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. ეს არ არის გზა ხსნისაკენ.

შ ა პ რ ი ა რ ი. რომელი გზა?

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. არ ვიცი.

შ ა პ რ ი ა რ ი. ახ... შენ მუდამ შენა ხარ, შენ არ იცვლები.

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. შენ კი ყოველთვის შენა ხარ. შენც არ იცვლები.

შ ა პ რ ი ა რ ი (დუმბილის შემდეგ). შაპრაზად, აღიარე, რომ ასეთ აღსასრულამდე შენ მიმიყვანე.

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. არა. ასეთია ბუნების არსი.

შ ა პ რ ი ა რ ი (ამოიოხრავს). შაპრაზად! ვგრძნობ, რომ სიცივე ძვლებამდე ატანს.

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. დაჯექი, შაპრაზად!

შ ა პ რ ი ა რ ი. ა.ა. დაჯდომა არ მინდა. ამ მიწაზე დაჯდომა არ მსურს... ყველგან ეს მიწაა! მიწის გარდა არაფერიც ეს მბრუნავი საპყრობილეა. ჩვენ ვმოდრობთ, არც წინ არ მივიწევთ და არც უკან ვიხევთ, არც მალლა ავდივართ და არც დაბლა ვეშვებით. ჩვენ მხოლოდ ვბრუნავთ. ამქვეყნად ყველაფერი ბრუნავს. ეს არის მარადისობა. ო, რა ძაბუაა იგი! როცა ბუნებას მის საიდუმლოებას ვეკითხებით, ის ჩვენ ეშმაკობითა და ხრიკებით გვკასუხობს.

შ ა პ რ ა ზ ა დ ი (ღიმილით). დიახ. შენ ბრუნავ და ახლა შენ ბრუნვის დასასრულს მიაღწიე.

შ ა პ რ ი ა რ ი. სიკვდილს მოსდევს უსასრულოება, რომელიც მარადისობისა და ბრუნვის კანონს ემორჩილება.

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. აქამდე ეს თუ იცოდი?

შ ა პ რ ი ა რ ი. შე ბუნება ამაზე უფრო მოქნილი მეგონა.

შ ა პ რ ა ზ ა დ ი (ღიმილით). ნუთუ ბუნებას ასეთ ზომამდე ადანაშაულებ?

შ ა პ რ ი ა რ ი. ის სიბერის იარაღით მამარცხებს: საპყრობილე, რომლის შიგნით ბრუნავ.

შ ა პ რ ა ზ ა დ ი (ღიმილით). არა მეგონია, რომ ის შენ გებრძოდეს და შენით თავს იტვირთავდეს. შენ ბუნების თმის მხოლოდ ერთი ღერი ხარ.

შ ა პ რ ი ა რ ი. მაშინ, როცა მას ჰქვია ერევა.

შ ა პ რ ა ზ ა დ ი . მას სძულს სიბერე.

შ ა პ რ ი ა რ ი (უჩვენებს სივრცისაკენ. შემდეგ კი — თავისი სხეულისაკენ). ამ ადგილმა და ამ სხეულმა თავი მომბეზვრა. ადგილის შექმნა წყლიანი კურკლის შექმნის მსგავსია.

შ ა პ რ ა ზ ა დ ი . შაპრიარ! რა უბადრუკია ახლა შენი სიცოცხლე! ნუთუ შენთვის ეს სულ ერთია?

შენ არაფერი არ გაღელვებს?

შ ა პ რ ი ა რ ი . ყველაფერი წარსულს ჩაბარდა.

შ ა პ რ ა ზ ა დ ი . შენ შემდეგ რაიმე თუ დატოვე ცხოვრებაში? თავი დაანებე შენი გავლილი ცხოვრების ანალიზს. მოსასხამის არსს ჩაუფიქრდი. მას საჩხული რომ მოაშორო, მხოლოდ ნართილა დარჩება...

შ ა პ რ ი ა რ ი . ყველა მოსასხამი ასეთი ძაფებითაა შეკერილი.

შ ა პ რ ა ზ ა დ ი . ამ მოსასხამის ამბავი არაფერს არ გეუბნება?

შ ა პ რ ი ა რ ი (შავ ფარდას გულგრილად შეხედავს). და ის, რაც ამ ფარდის უკან იმალება შე არაფერს მეუბნება!

შ ა პ რ ა ზ ა დ ი . ეს ფარდა? ამ ფარდას ასე რატომ უყურებ?

შ ა პ რ ი ა რ ი . შავი ფარდა! შავი!

შ ა პ რ ა ზ ა დ ი . დიახ, შავი.

შ ა პ რ ი ა რ ი . წყვიდადის ფერი! ო, როგორ მძულს ეს ფერი!

შ ა პ რ ა ზ ა დ ი . მის მოკვლაში ხელს რა გიშლის?

ყ ა რ ი ბ ი (მოულოდნელად გასწევს ფარდას და ყვირილით გამოდის). ო, შე ვერაგო! და ჩემთან ერთად შენს მოკვლაშიც!

შ ა პ რ ი ა რ ი (მშვიდად). შაპრაზადს უპატივცემულოდ ნუ მიმართავი მე არ მიყვარს ის, ვინც შაპრაზადს არ ეთაყვანება.

ყ ა რ ი ბ ი (შიშით). ჩემო მეფეო...

შ ა პ რ ი ა რ ი (ყარიბს მიმართავს). წადი!

შ ა პ რ ა ზ ა დ ი . განა ჩვენ ერთად არ დავვბოცავ?

შ ა პ რ ი ა რ ი . არა.

ყ ა რ ი ბ ი (ვადარჩენით გახარებული გადის).

შ ა პ რ ა ზ ა დ ი . შაპრიარ!

შ ა პ რ ი ა რ ი . ასე რატომ მიყურებ?

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. შენ დაღუპული კაცი ხარ.

შ ა პ რ ი ა რ ი. ნუთუ ეს ადრე არ იცოდნი?

უეცრად გარედან ისმის შეზნარაფი ყვირილი, შემდეგ ხმა, რომელიც დახმარებას
ლოხვს. გამოდის ყარაბი, რომელიც უხეზს უსწავრად ადგამს და ენჯალებს.

ყ ა რ ი ბ ი. უშველეთ! უშველეთ! ვეზირი...

შ ა პ რ ი ა რ ი. ვეზირი? კამარი? რა არის მის თავს?

ყ ა რ ი ბ ი. ჭალათის ხმალი! ოთახიდან გამოსული დამინახა თუ არა,
ჭალათის ხმლით თავი მოიკვეთა.

შ ა პ რ ი ა რ ი. მოკვდა კამარი!..

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. ნუ წუხხარ, შაპრიარ!

შ ა პ რ ი ა რ ი. ჩაქრა კამარის სიკოცხლე...

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. და მისი სევდაც.

შ ა პ რ ი ა რ ი (ცოტა ხნის შემდეგ). კამარი მზის სხივებით ველარ
ისაზრდოებს!

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. იმიტომ, რომ მისდამი რწმენა არასდროს დაუკარ-
გავს.

შ ა პ რ ი ა რ ი. რწმენა!

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. ის კაცი იყო.

შ ა პ რ ი ა რ ი. დიახ, ის ნამდვილად კაცი იყო.

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. შენ კი, შაპრიარ...

შ ა პ რ ი ა რ ი. მე? შე ვინა ვარ?

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. შენ ცასა და დედამიწას შორის ჩამოკიდებული კა-
ცი ხარ, რომელსაც წუხილი ღრღნის. მე შენ დედამიწაზე დაბრუნებას
ვცდილობდი, მაგრამ ჩემმა ცდამ წარმატებას ვერ მიაღწია.

შ ა პ რ ი ა რ ი. დედამიწაზე დაბრუნება აღარ მინდა.

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. მე მას ასე ვუთხარი, შაპრიარ. მაგრამ დედამიწის
გარდა არაფერი არ არსებობს.

შ ა პ რ ი ა რ ი. მაშინ მშვიდობით, შაპრაზად!

შ ა პ რ ა ზ ა დ ი. მიდინხარ? ნება მომეცი, კიდევ ერთხელ ვცადო...

შ ა პ რ ი ა რ ი (დუმლით გადის).

ყ ა რ ი ბ ი (უყუარებს, ვიდრე თვალს არ მიეფარება). ის წავიდა.

შ ა პ რ ა ზ ა დ ი . თავს მაინც ვერ გადაირჩენს.

ყ ა რ ი ზ ი . ვფიქვ, რომ ეს მისი ცოლების სისხლია! სისხლის ღერის
ხანა დამთავრდა! მაგრამ ეს მას კაცად ვეღარ აქცევს.

შ ა პ რ ა ზ ა დ ი (თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკებს). იტრიალა, იბ-
რუნა და დასასრულსაც მიაღწია.

ყ ა რ ი ბ ი (მოულოდნელად ამოძრავდება). მე შემძლია ის დაგი-
ბრუნო.

შ ა პ რ ა ზ ა დ ი . ეს ოცნებაა! სხვა შაპრიარი, რომელიც დაბრუნდება,
ხვალ ახლად მოველონება ქვეყანას. თუთრა თმის ღერი კი უკვე აღარ
არსებობს.

ღიბდა 1900 წელს ქ. ტუნისში. მისი ოჯახი წვრილბერკეუხიული კლასის წარმომადგენელი იყო. გარდაიცვალა 1949 წელს ტუბერკულოზით. მღერობში ითვლება ერთ-ერთ კარგ ნოველისტად. 1981 წელს გამოიცა მისი ნაწარმოებების კრებული, რომლიდანაც აღებულია წინამდებარე ნოველა.

ღატაკის ბანძი

ერთ ქვეყანაში ცხოვრობდა ღატაკი ცოლ-ქმარი. არაფერი ებადათ: არც პური ჰქონდათ, რომ კალათაში ჩაედოთ, არც კალათა და არც სახლი, რომ კალათა დაედგათ.

ღადიოდნენ და მათხოვრობდნენ. ღამე საღმე ცეცხლს დაანთებდნენ, შემოუსხდებოდნენ და ლაპარაკობდნენ უსახლკარო ადამიანის უბედურებაზე.

შობის ღამე იდგა. მათთვის ეს ღამეც უსიხარულო იყო. გზაზე მიდიოდნენ. შიოდან, სციოდან... თავშესაფარს ეძებდნენ. უცებ კაცს რაღაცა მოედო ფეხზე. დაიხედა... კატა იყო, მათსავით უსახლკარო და უპატრონო. თავისი გაქუცული ტყავისა და შიგ გამოკრული ძველების მეტი მასაც არაფერი ებადა.

უველა ღატაკს, უსახლკაროს და უქონელს რაღაცა აერთიანებს... უბედურება ძალას აძლევს, რომ ერთმანეთს დაეხმარონ...

კაცმა ხელში აიყვანა კატა და თავის დაგლეჯილ პალტოში შეახვია. ქალს პურის ნატეხი აღმოაჩნდა და ეს ძვირფასი საკმელიც კატას მიეკუთვნა.

შეკვამა პური კატამ, ჩამოხტა მიწაზე და წინ გაუძღვა თავის მფარველებს.

ერთ მიტოვებულ ქოსთან მივიდნენ. ქოსში მთვარის მკრთალი სხივების მეტი არაფერი იყო.

მთვარესაც ღრუბელი ჩამოეფარა და გაქრა სხივებიც. სხივებთან ერთად კატაც საღლაც დაიკარგა.

ერთი უბრალო ფიჩხიც კი არ იყო, რომ ცეცხლი დაენთოთ. ის იყო, ქოხიდან წასვლას აპირებდნენ, რომ ერთ კუთხეში კაცმა ორი ნაკვერჩხალი დაინახა. შემოუსხდნენ, როგორც სჩვეოდათ, და გააბეს ლაპარაკი. ლაპარაკობდნენ ამ ნაკვერჩხლების სასიამოვნო სითბოზე, იმაზე,

თუ გასძლებდნენ დილამდე ეს მუგუზლები... მათთვის რომ ვინმეს მოესმინა, იფიქრებდა, ამაზე მეტი სადარდებელი არაფერი აქვთო. ასეთები არიან ლატაკნი -- ცოტაც ჰყოფნით ბედნიერებისათვის.

გავიდა ღამე ლაპარაკში და ამ ორი ნაკვერჩხლით თბობაში. გათენდა და ცისკრის პირველ შუქზე ლატაკებმა იმ კუთხეში, სადაც ნაკვერჩხლები ეგულებოდათ, კატა დაინახეს...

მთელი ღამე კატის თვალებით თბებოდნენ თურმე...

კატა იჯდა და ფიქრობდა; ესეც ლატაკები და მათი განძი...

დაბადა 1927 წ. თანამედროვე ეგვიპტელი მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, არაბული რევოლუტური აკოლის ერთ-ერთი თვალსაზრისით წარმომადგენელია მისი შემოქმედება, ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული და მის წიაღში ნასახროდები, გაქვნილია სამშობლოსა და მშობლიური ხალხისადმი ზრუნვითა და თანაგრძნობით. პროფესიით ექიმი, იგი ჩეხოსლოვაკიაში მოგვაგონებს, რომ მის ადრინდელ ნაწარმოებებში — პატარა მოთხრობებსა და ნოველებში. ამაღლებელი უშუალოდითა და გულწრფელობითაა გადმოცემული უბრალო ადამიანის განცდები, მისი ყოველდღიური გასაქირი თუ პატარა სევდანარევი სიხარული. იბრისის გვიანდელ თხზულებებში — მოთხრობებსა და პიესებში, უკვე მძაფრი სოციალური თემებიც ჩნდება.

გ ა ნ ძ ი

აბდელ ალი პოლიციის აგენტია, წარმოსადგეი, შავგვრემანი, მარჯვენა ხელის ზურგზე პირდაღებული და კუდმაკრატელა თევზი მოუსვირინგებია, რომელსაც თვალის ნაცვლად წერტილი აქვს.

აბდელ ალი აგენტია. ამასთან, აქვს ოჯახი, ჰყავს ცოლი, რომელიც ხანდახან ეჩხუბება, ხანდახან კი — მისი კმაყოფილია. ქმარს ზოგჯერ გაყრის ფიციც წამოსცდება ხოლმე, მაგრამ არ ყოფილა შემთხვევა, რომ იგი შეესრულებინოს.

აბდელ ალის ჯამაგირი ათი გინეაა: ამაში შედის ყველაფერი: ისიც, რასაც აძლევენ და ისიც, რასაც უკავებენ.

აბდელ ალი ძალიან კმაყოფილია თავისი აგენტობით. აეტობუსით მგზავრობისას, როცა კონდუქტორი მიუახლოვდება და ეტყვის: „პოლიცია“, თავის სიდიადეს მთლიანად გრძნობს. „პოლიცია“, წარმოთქვამს თუ არა, ხედავს, რომ ხალხი მორიდებით აპარებს თვალს მისკენ და თავისი მზერით მიესალმება.

აბდელ ალი, ისევე, როგორც ყოველი ადმიანი, ოცნებობს მომავალზე. მაგრამ ის არ ოცნებობს ჩვეულებრივ — ვთქვათ, რომ გახდეს ოფიცერი ან პოლიციის უფროსის თანაშემწე. არა! მისი ოცნებაა, რომ იყოს შინაგან საქმეთა მინისტრი! პოი, საოცრებავ! გაიღვიძებს ერთ მშვენიერ დღეს და პოეებს საკუთარ თავს მინისტრად, რომელსაც აქვს მანქანა, ჰყავს შვეიცარი და მისი სახლის წინ, სულ ცოტა, ორმანტიანი ჯარისკაცი დგას. უბრალო რამაა! სულ არაა შეუძლებელი ალაპისათვის, რომელმაც არაფრისგან ცა და დედამიწა შექმნა. განა არ ძალუძს, რომ ჯარისკაცი მინისტრად გადააქციოს?! პოდა, რატომ ვერ გარდაქმნის მინისტრად! ვითომ ნაკლებია თავის მეგობრებზე?! მათზე უკეთესად იცის წერა-კითხვა; ლაპარაკისას, ხანდახან ინგლისურ სიტყვებსაც გა-

ურევს ხოლმე; გადაღეკილი აქვს პრესა, იცის, რა არის კორფა და შე-
უძლია, სახელი ჰამარშელს... სწორად გამოთქვას.

რახანია აბდელ ალის თანდასწრებით ატარებენ გამოძიებასა და და-
კითხვას. ერთხელ მოხაწილებდა გამოძიებაში და ხელმოწერით ჩაიბა-
რა ნივთიერი მტკიცებახი. რამდენიმე დღის შემდეგ გადასინჯეს საბუ-
თები და აღმოაჩინეს, რომ ერთ-ერთი აკლდა. მოიყვანეს აბდელ ალი და
დაკითხეს. არ ვიცო, მოუგო მან, მაგრამ არ მოეშენენ და დაიბნა. აგენტს
ენა დაება, ოფიცერი დაეკვდა და განხრეკით დაემუქრა. ჰიხვდა აბდელ
ალი, რომ ნამდვილად უპირებდნენ განხრეკას; ამიტომ, მაშინვე წაიღო
ხელი ჭიბისაკენ და ამოიღო დაკარგული საბუთი, რომელიც საქმის ნივ-
თიერ მტკიცებას წარმოადგენდა. ეს იყო შესანიშნავად გაკეთებული
ყალბი ჩეკი ასი ათასი კინეისა. გაიკდა ოფიცერი. აქტი შეადგინა და
დაიწყო დაკითხვა. შეჩერდა კითხვაზე: რატომ შეინახე ქეთარი? აბდელ
ალიმ ვერ შეძლო ეთქვა ნამდვილი მიზეზი. იბუტბუტა, ილულულა,
ბევრი ილაპარაკა უგერგილოდ, მაგრამ ვერც ოფიცერს აკერებდა და
ვერც თვითონ ვერმუნა ვერაფერი.

დღის ბოლოს, აბდელ ალი განყოფილებიდან დადლილი და ძალ-
ღონეგამოლეული დაბრუნდა. ხელფასის ნახევარი დაუკავეს. სამძებრო-
დან გადაიყვანეს და დაემუქრნენ, რომ სულაც მოხსნიდნენ. შინ დაბ-
რუნდა ნაწყენი და გაბოროტებული, მაგრამ მისი სულის სიღრმეში
რალაც სიახლეს, კმაყოფილებასა და ბედნიერებას დაესადგურებინა.
ვერაგინ მიხვდა, რომ ყალბი ჩეკი ფორთაისის გადასაღებად შეინახა.
თვით სურათი ბევრის მომცველი იყო, მის დამწავლებაში კი სულ რალაც
თხუთმეტიოდე ყურუში გადაიხადა.

განვლო ერთმა დღემ, მიჰყვენენ სხვა დღეებიც. გაქრა აბდელ ალის
მწუხარება და თვითონაც გამოიკვალა, მაგრამ დარჩა ყალბი ჩეკის სუ-
რათი.

ამ ხნის მანძილზე აბდელ ალის მუდამ ჰქონდა ბედნიერი წუთები:
გაურბის ხალხის ბრბოს, განმარტოვდება და როცა დარწმუნდება, რომ
არავის შეუნიშნავს და არავის დაუნახავს, სათუთად ამოიღებს საფუ-
ლეს... ესმის მეხის ხმა ყურებში, გრძობს კილურების დადამბლავე-
ბას... და აი, ხედავს ბანკის სახელწოდებას, ამოტვიფრულ ასოებს...
მერე კი კითხულობს უკვდავ წინადადებას და ხელს უსვამს მას: „გადა-
ეხადოს ამის მფლობელს 100 000 ეგვიპტული გირვანქა“. თვალს არ
ამორებს ჩეკს, ვიდრე შინაგანი ღელვა არ დაუცხრება. შემდეგ ისევ
სათუთად ახვევს და საფულის ცალკეგამოყოფილ ჭიბეში ინახავს. ერთს
ამოიხვნეშებს, თითქოს ახლახანს დაამთავრა აღსაბრუნებელი ან ლოცვაო.
მერე კი ისევ უბრუნდება ნელ-ნელა ხალხს. უბრუნდება ისეთივე, რო-

გორიც იყო — მაღალი, შავგვრემანი ჯარისკაცი, რომელსაც ხელის ზურგზე სვირინგი აქვს — პირდაღებული და კუდმაკრატელა თყეზი თყალზე წერტილით.

გამიზნი ასიუტში...

— ბატონო ჩემო... ვფიცავ წინასწარმეტყველს, ბატონო... ო, ხალხო... ხალხო, გრცხვენოდეთ... ასიუტიდანა ვარ ჩამოსული... ფეხით, ხალხო... ორი ფეხით... ერთი კვირაა, აქა ვარ... შვიდი ღამეა, ქვაფენილზე მძინავს საავადმყოფოს წინ... ავადმყოფი ვარ... ავადმყოფი, ხალხო... გაუბედურებულ... მიღება ფეხი, სუნს ველარ ვუძღებ... ჩირქი თეძომდე ამივიდა... ცოდვა-მაღლი აღარა გწამთ?.. ვფიცავ წინასწარმეტყველს და მის გამჩენს, საშველი არაა...

ვიდრე სანიტრის ძლიერი მკლავები მის ჩაბლუჯვას მოასწრებდა, რომ იქაურობისათვის მოეშორებინა, უკმაყოფილოდ შეირხა ექიმი თავის სავარძელში, საუბარი შეწყვიტა კოლეგასთან და მოსულისაკენ მიბრუნდა.

ექიმმა თვალი შეავლო მის წინ მყოფ ჩაქანებულ სახეს, რომელიც თმასა და ნაოკებს დაეფარა... გაღიზიანება და მოუთმენლობა იგრძნობოდა ამ თვალის შევლებაში... ყველა აქ მოსულს სახეზე ეწერა გაკირვება და ავადმყოფობა. მაგრამ ექიმმა მცირე ხანს შეაჩერა მზერა მოშავო-მოყვითალო ფერის, დალაქულსა და დახეულ ზეწარზე, რომელიც ჩალმად შემოესხვია კაცს თავზე და რომლის ერთი ბოლო გვერდიდან ისე ჩამოაჰკიდებოდა. სახეზე, როგორც ბებერი ძაღლის გატალახიანებული კუდი.

ექიმი მერა ყურადღებით დააცქერდა ნაირ-ნაირი თასმებრთა და წინდებრთ შეხვეულ ფეხს, რომელიც, ფრჩხილიდან თეძომდე შეფუთულია, იმ ზომამდე გამსხვილებულიყო და გადიდებულიყო, რომ შეკრულ ჩვილ ბავშვს წააგავდა. ამ ფეხს ეყრდნობოდა კაცი ერთ მხარეს, მეორე მხარეს კი — მსხვილ გაუთლელ ჯოხს.

ერთ წაშში მოათავა ექიმმა „გასინჯვა“, მაგრამ უცებ მისი ყურადღება მიიპყრო საავადმყოფოს ფურცელმა, რომელიც, დაკმუჭნული და კუჭკიანი, მუჭში მოემწყვდია კაცს. მაშინვე გამოგლიჯა ხელიდან ქალაქი და ზიზღით გადააბრუნა, აქ კი აღევსო მოთმინების ფილა და უღრიალა:

— ო, ადამის მოდგმავ, განა ერთი კვირის წინ მე არ მოგეცი ეს მიმართვა ქირურგიულ კლინიკაში? რატომ მოხვედი ისევ? აქ პოლიკლინიკაა მხოლოდ. სულელო... გასაგებია?

მოვარდა სანიტარი და იმანაც მხარი აუბა ექიმს:

— ავი დავუწერეთ და მანქანითაც გავისტუმროთ. ო, რა ხალხია, საშველი არაა მათგან...

გალიძება სცადა მოსულმა, მაგრამ ვერ შესძლო და გაუგებრად აბუტბუტდა:

— ჩემო ძმაო, მოწყალეო ხელმწიფე... ქირურგიულიდან შინაგანში გამიშვეს... შინაგანიდან — ვენერიულში... ვენერიულიდან — კანის სნეულებებში და, აი, ისევ აქ მოვედი... ერთი კვირაა, ბატონო, ქვაფენილზე მძინავს...

სწრაფად მიუტრიალდა ექიმი და გაბრაზებით უთხრა:

— კარგი, მაგრამ მე რა ვაგვიყვით? რა ჩემი საქმეა, ჩემო ძმაო? რა მოვალე ვარ? აქ რა, თავშესაფარი მაქვს თუ სასტუმრო?.. ეი, მომისმინე... საჭირო არ არის აურსაურის ატენვა... ახლა ხელშეორედ გაგიშვებ ქირურგიულში... მანქანით ისევ... მხოლოდ, ვფიცავ სინდისს, თუ კიდევ დაგინახე აქ მოსული...

კაცმა მალლა ასწია თავისუფალი ხელი, მთელი ტანით გზდაიხარა წინ, თითქმის შეეხო შავიდას, რომელთანაც ექიმი იჭდა და ისე აღაპარაკდა, რომ ვერაფერი გააჩერებდა:

— არა... არა... არა... ვფიცავ წინასწარმეტყველს, ბეი, აღარ მინდა მკურნალობა... ვფიცავ წინასწარმეტყველს, ო, ბეი...

ვულკანივით ამოხეთქა ექიმმა:

— აბა, რა გინდა?!

ექიმის რისხვა ნიშნავდა, რომ სანიტარს უნდა ემოქმედა. მან ორივე ხელი მძლავრად შემოხვია კაცს და ცდილობდა ოთახიდან გაეთრია. კაცი მთელი ძალით ეწინააღმდეგებოდა, რომ თავი დაეხსნა მისგან და თან უსუსურად, საწყალობლად გაიძახოდა:

— ვფიცავ წინასწარმეტყველს... ბეი... ვფიცავ წინასწარმეტყველს... შენი გამჩენის სიცოცხლეს ვფიცავ... არ მინდა ქირურგიულში... გამიშვი შინ... გამიშვი ასიუტში...

ხელოვნის ქებნაში

აბდოს ფული უჭირდა.

უფულობა უცხო არ იყო მისთვის. მთელი ცხოვრება ორიოდ ვროშის შოვნაში გალია.

აბდო შზარეული იყო. ეს ხელობა მას სირიელმა ოსტატმა, ფაილმა ასწავლა. აბდო ისე კარგად დაეუფლა ამ საქმეს, რომ მისი ხელიდან გამოსული გემრავლი საწებელი მასწავლებლის ვაოცებსაც კი იწვევდა.

მაგრამ ცხოვრება ცვალებადია. ყმაწვილობაში აბდო სასადილოს მეზობლად მდებარე სახელოსნოში მუშაობდა. მერე, სახელოსნოს პატ-

რონმა ვააგდო და ერთხანს ღარაჯად დადგა ათსართულიან სახლში. შემდეგ, დიდმა სხეულმა და ძლიერმა მკლავმა მას მტკირთაობა დააწყებინა, იქამდე იმუშავა, სანამ თიაქარი არ გაუჩნდა.

აბდოს არც ისე ლამაზი, მაგრამ ძლიერი ხმა ჰქონდა. როცა გასაყიდად კატრს, ნესესა და ყურძენს ჩამოატარებდა, ერთი შემახილით მთელი ქუჩის ყურადღებას მიიქცევდა ხოლმე.

აბდო ერთ დროს შუამავალიც ყოფილა. დღედაღამ ქუჩებში დაძრწოდა თავისუფალი ოთახის საძებრად. გამოჩნახავდა ოთახს და ათ პიასტრსაც იშოვიდა ხოლმე. მერე მან შუამავალთა „უფროსობაში“ მოახერხა შეღწევა. თავახიანად ართმევდა მუშტარს, ათ პიასტრს. აღარც ქუჩებში წაწალი უხდებოდა და აღარც თავისუფალი ოთახის ძებნა.

საოცარია და, აბდოს მიმტანდაც უმუშავია ყავახანაში. ეს იყო დიდებული დღეები. სადღესასწაულო საღამოს ისე მოემსახურებოდა ყავახანაში მყოფთ, რომ არავის დაალოდინებდა და ჰქიპაც კი არ გაუტყდებოდა.

აბდო ცოლთან ერთად ცხოვრობდა მეზობლებით გარშემორტყმულ ოთახში. მიუხედავად იმისა, რომ ქალები ხანდახან წაქინკლავდებოდნენ ხოლმე, ერთმანეთის მიმართ მაინც კეთილგანწყობილებას იჩენდნენ. მეზობლები თანაუგრძნობდნენ უმუშევარ აბდოს, სესხად აძლევდნენ ფულს; ხან კი მისგანაც სესხულობდნენ, როცა ის საქმეს გამოჩნახავდა. ერთი სიტყვით, ბედი არასოდეს ანებივრებდა ამ სახლის ბინადართ და ბოლომდეც არ სწირავდა...

აბდოს ფული უჭირდა...

ამჯერად უფულობამ დიდხანს გასტანა. იმედი კი არსაიდან ჩანდა. აბდოს არაქათი გამოელია ძველ ნაცნობებთან სიარულით. დაღვრემილი და ხელმოცარული შინ ბრუნდებოდა. კარს ცოლი უღებდა, ერთმანეთს არც კი ესალმებოდნენ, ისევ წვებოდა ჰილობზე, ყურებს იცობდა, ნაფისას ქოთქოთი რომ არ გავგო, და იძინებდა... ნაფისა კი მოსთქვამდა, რომ სახლის პატრონი მათ გაგდებით ემუქრება, რომ მეზობლებმა მას პურის ნატეხი უწყალობეს, რომ დღესასწაული ახლოვდება. მოაგონდებოდა გარდაცვლილი ქალიშვილი და ისიც, რომ ფეხმძიმედაა, მიზეზობს და სული მისდის ატმისათვის.

ამჯერად აღარ მოათავა ნაფისამ წუწუნი, ხმას აუწია. ამის ატანა კი აღარ შეეძლო აბდოს. თვალს ვერ უსწორებდა მეზობლებს, რომლებიც სინანულით თავს აქნევდნენ. ეცოდებოდათ ახალგაზრდა და უიღბლო აბდო. ვეღარ იტანდა იმათ თანაგრძნობას, რომლითაც ვერც გამოიკვებებოდა და ვერც ნაფისას შემოსავდა.

ერთ დღეს, როცა აბდო შინ დაბრუნდა, ცოლმა უთხრა, ტალბამ გიკითხათ. აბდომ გაიხარა, იმედი მიეცა, გაცრუებული იმედი ეკრჩია ასეთ ყოფას.

აბდო იმწამსვე ტალბასკენ გაემართა. ტალბა სანიტრად მუშაობდა საავადმყოფოში და სახლის ბინადართა შორის პატივისცემით სარგებლობდა.

ტალბა მიესალმა. აბდომ მორიდებული ღიმილით უპასუხა. ის იყო, ტალბამ კითხვა დააპირა, როგორ ხარო, რომ აბდომ არ აცალა და თავისი ამბის მოყოლა დაიწყო. სიამოვნებით იგონებდა საუკეთესო დროს და კმაყოფილებას განიცდიდა. როცა შეამჩნია, როგორ შეავლო თვალი ტალბამ მის გაცვეთილ ტანსაცმელს, მყისვე საუბარი გადაიტანა თავის ხელობაზე, ხალხზე, ვისთანაც უმუშავია. ამით თითქოს ძონძების დაფარვას ლამობდა. აბდო იხსენებდა გარდასულ დღეებს, ხმას რიხი ემატებოდა და გული სიამაყით ვესებოდა — ისიც ხომ ოდესღაც კაცი იყო!

მერე კი ლაპარაკს უკლო, წყრომა გადმოანთხია წუთისოფელზე, სადაც სიკეთე გამქრალა, ხალხის გულები კი ბოროტებით აღვსილა.

ბოლოს ხმა შეუსუსტდა, საცოდავი ღიმილით ახედა ტალბას და დახმარება სთხოვა.

ტალბამ ბოლომდე მოუსმინა და უთხრა. სამუშაო მაქვს შენთვისო.

გახარებული აბდო შინ დაბრუნდა. ალაჰმა შეისმინა მისი ლოცვა. დაწვრილებით უამბო ნათისას ტალბასთან შეხვედრა და უბრძანა, ხვალ, სტუდენტების სარეცხის რეცხვას რომ მოათავებდა, წასულიყო და ტალბას ცოლს მიხმარებოდა შინაურ საქმეებში.

მზე არც კი იყო ამოსული, აბდომ და ტალბამ უთენია რომ მიაშურეს საავადმყოფოს სისხლის გადასხმის განყოფილებას. აქ უკვე ხალხი შეკრებილიყო. კარი ათ საათზე გაიღო. ყველა ოთახში შეიყვანეს. აბდომ მყუდრო ადგილი მონახა და დაჯდა. ოთახში კარბოლმჭეავას სუნი ტრიალებდა. აბდოს ყელში რაღაც მოებჯინა. ხალხი რიგში ჩააყენეს. აბდო დაბნეული იდგა. მას მშობლების სახელები და ნათესავების გარდაცვალების მიზეზები გამოჰკითხეს. ბოლოს ფოტოსურათიც მოსთხოვეს. აბდოს პირადობის მოწმობაში ჩაკრული სურათი აღმოაჩნდა, რომელსაც სულ თან ატარებდა პოლიციის შიშით.

მედღამ აბდოს ნემსი უჩნვლიტა. შუშა წითელი სისხლით აივსო. მერე კი უთხრა, ერთი კვირის შემდეგ მოხვალო.

მთელი კვირის მანძილზე აბდოს ისევ არ ჰქონდა ფული, ლუქმაპური გამოელა.

ზუსტად დანიშნულ დროს, ერთი კვირის შემდეგ, აბდო ისევ სისხლის გადასხმის განყოფილებას მიადგა. ათ საათზე კარი გაიღო. ბევრი, მის წინ რიგში მდგომი, უარით გაისტუმრეს იმ მიზეზით, რომ მათი სისხლი უვარგისი გამოდგა.

აბდოს გულა შეეკუმშა, მაგრამ დამშვიდდა, როცა დაუძახეს შემოდრო.

ხელი რაღაც ხვრელში შეაყოფინეს. აბღო შიშმა აიტანა, მაგრამ მალე დამშვიდდა, როცა აქეთ-იქით მსხდომთ თვალი შეაქლო. უცებ მკლავში სიცივე იგრძნო, თითქოს ყინული დაადესო, მერე მახათივით ნემსი შეურქვეს. აბღოს კვნესა აღმოხდა, ძალ-ღონე გამოელია და მიჩუმდა. როცა ირგვლივ მიმოხედვა შესძლო, თავი ასწია, წამოიწია და შუშის ტიხარიდან შეპარვით დაუწყო ცქერა ვარდისფეროვება მედღებს, რომლებიც ჩუმად მიდი-მოდოდნენ და სულაც არ ჰგავდნენ მის ყაყანა ცოლს. აბღომ შენიშნა, რომ ქალების გარდა, აქ მამაკაცებიც იყვნენ. მაგრამ მათ სხვანაირი — ბამბასავით თეთრი და აბრეშუმისვით პრიალა სახეები ჰქონდათ.

აბღომ ინატრა, ნეტავ ხელი დამიგრძელდეს, ერთ ქალიშვილს მაინც მოვხსნა დოღბანდი და მის შშენიერ სახეს თითუბით შევეხოო. მერე სახეები აერია ერთმანეთში, თვალწინ შუშის ტიხარმა ციმციმი დაუწყო. იგრძნო, რომ მოიქანცა.

მკლავი ხან უცივდებოდა, ხან კი ისევ უთბებოდა.

მარჯვნივ მჭდომმა იკითხა: — „სისხლი რამდენი უნდა აგვიღონ?“ ვილაკამ უპასუხა: — „ამბობენ, ნახევარი ლიტრი“.

ამით საუბარი შეწყდა.

ბოლოს აბღოს ხელი წაუთაქეს და გამოუცხადეს: „მორჩა!“

აბღო წამოდგა და გაუბედავად მოიკითხა ფული. მას მოცდა უბრძანეს და ისიც იცდიდა.

გადაუხადეს ერთი ფუნტი და ოცდაათი პიასტრიც ზედ დაუმატეს, დიდსულოვნად საკმლითაც გაუმასპინძლდნენ, მერე კი ეს თანხა გასამრჯელოდან გამოუქვითეს.

სანამ აბღო შინ მივიდოდა, ყასაბთან გაიარა და ხორცი იყიდა, მემწვანილეს კი კარტოფილი გამოართვა.

კარზე ღიმილით დააკაკუნა.

როცა ნაფისამ კარი გააღო და დატვირთული აბღო დაინახა, შეეგება მას, მკვირცხლად გამოართვა ნავაჭრი და სირცხვილი რომ არა, ეტყოდა: „მიყვარხარ და მზად ვარ შენთვის მოგვედეთ“.

ნაფისა საკმლის მზადებას შეუდგა. ოთახში წვნიანი კერძის სურნელი დატრიალდა, მთელს სახლს მოედო და მეზობლებამდეც მიაღწია. ზოგს ეღიმებოდა, ზოგსაც შურდა.

აბღო კარგად დანაყრდა, შემდეგ სულ აიწყვიტა და სასამთროც კი იყიდა.

იმ საღამოს აბღოს არ გაუგია ცოლის წუწუნი. მათი საუბარი შეყვარებულთა ჩუოხულს წააგავდა.

კვირა ჯერ არ მიღუელიყო, აბღოს ფული შემოიხარჯა. დანიშნულ დროს მან საავადმყოფოსაკენ გასწია. ისევ აულეს სისხლი, გადაუხადეს გასამრჯელო და აქამეს კიდევ.

აბდოს მოსწონდა ახალი სამუშაო. მას აღარც ოსტატის ბრძანებები აწუხებდა და არც ხელოსნის შეყვირება. ყოველ კვირას მიდიოდა სუფთა, გაქათქათებულ საავადმყოფოში, ტოვებდა იქ ნახევარ ლიტრ სისხლს, იღებდა გასამრჯელოს და ამით ცხოვრობდა.

ბევრს შურდა აბდოსი.

ცოლი მას უჩვეულოდ ექცეოდა. ნავაჭრით შინ დაბრუნებულს ღიმილით ეგებებოდა და სიხარულისაგან ლამის ყვიროდა. ის ძილს არ აცლიდა აბდოსს, სულ იმას ჩიოდა. გასდი და ფერი დაეკარგეო. შეძდეგ მოჰყვებოდა, რას ჭორაობდნენ მასზე მესობლის ქალები, როგორ წამოაძახა ჰამილამ ჩხუბის დროს: „შენი ქმარი საკუთარ სისხლს ჰყიდისო“.

ხანდახან ნათისა ისე ელოლიაებოდა აბდოსს. როგორც დედა-შვილს. ღამით თბილ საბანს აფარებდა, ღღისით ადგილიდან განძრევას უშლიდა და როგორც ავადმყოფ ბავშვს, ისე უსრულებდა ნებისმიერ სურვილს.

აბდო ყველაფერს კარგად ამჩნევდა, გული სტიოდა, მაგრამ რა ექნა...

მართალი იყო, რასაც ხალხი მასზე ლაპარაკობდა.

ისიც მართალი იყო, რომ ყოველთვის, სისხლის ჩაბარების შემდეგ, აბდოს თავბრუ ესხმოდა, იქვე ჩაიკეცებოდა საავადმყოფოს კედელთან და საღამომდე ეძინა.

სამაგიეროდ, ახლა მათ კერაში ცეცხლი ენთო, ბინის ქირაც გადასდილი იყო, და თუ ვინმეს რამე არ მოსწონდა, თავშიც ქვა ესალა.

ერთ დღეს აბდომ ჩვეულებისამებრ საავადმყოფოს მიაკითხა. ის არც კი შეუშვეს, ისე გამოუცხადეს, არაო.

— რატომ?

— ანემია...

— ანემია რაღაა?

— სისხლნაკლებობა.

— შერე და რა?

— არ შეიძლება...

— ახლა რაღა ექნა?

— როცა მომაგრდები...

— ძალიანაც ღონიერი ვარ, კედელსაც კი გავანგრევი!

— გულის მუშაობა დაქვეითებული გაქვს.

— არა უშავს, ყველაფერს ჩემს თავზე ვიღებ!

— მოკვდები...

— თანახმა ვარ.

— ეს ხომ ადამიანობა არაა!

— ხალხო. აბა ეს არის ადამიანობა?!

— არ შეიძლება!

-- მამ, საშველი არაა?

-- არა.

იმ დღეს დაავიწყდათ და არც კი აქამეს...

ანდოს ისევე აღარ ჰქონდა ფული...

წ ა დ ი ლ ი

იმ დღით მოულოდნელი ბედნიერებისაგან განცვიფრებულ და დაბნეულ ბურყის ვერ დაეჭვებინა. რომ დაუდგა ნანატრი წუთი და ასე უბრალოდ უსრულდებოდა საწადელი.

ოთახში, სადაც ტელეფონი ეკიდა, არავინ იყო, მამასახლისის ეზოშიც კაცი არ ჰქანებდა, დარაჯი კი პურის საკმელად წავიდა და ოთახში ბურყი დატოვა. მაინც შეეშინდა, არავის დაენახა. კარებში თავი გაჰყო, გაიხედ-გამოიხედა. მხოლოდ იხვებისა და ბატების გუნდმა ჩაიქროლა უიყინითა და ქოთქოთით ვიწრო შუკაში, ორი გაფოფრილი მამალი ერთმანეთს ეძიძგილავენბოდა, მისი ბიძაშვილის ქეცინანი ძალლი კი გაწოლილიყო და ზანჯად იგერიებდა ბუხებს.

ოთახში შებრუნდა, შემოუარა მელნით მოთხერილ დიდ, დამსკდარ მაგიდას და დასკუბდა ძველ ჩაგლეჯილ წნულ სკამზე. მოუხერხებლად იჯდა. ვიდრე სკამს არ მიეყრდნო, შიშველი ფეხები კი მაგიდის ქვეშ გაქიმა.

ასე დიდებულად მოკალათებულმა წარმოიდგინა ტელეფონისტი შეიხი აბდ ელ-მუატი, სკამზე რომ დაბრძანდებოდა ფეხიფეხგადადებულნი, მოიხდიდა ჩალმას მელოტი, კიტრივით პრიალა თავიდან და დადებდა ტყავის უდამოფლეთილ ჩაყვითლებულფურცლებიან დაეთარზე.

ფიქრებს დიდხანს არ გაჰყოლია. სურვილი ჰქვავდა; მის წინ, კედელზე ჩამოკიდებული ტელეფონის ყუთი მაგნიტრივით იზიდავდა და ამ ძალას წინ ვერაფერი დაუდგებოდა. ბურყიმ ნეტარებით გააქნია თავი; ახლა აღარაფერი იდგა მასა და მის საწადელს შორის. მთელ ქვეყანაზე არავინ იყო მასა და ტელეფონს გარდა.

გასწორდა, წამოდგა და მიუახლოვდა. ერთხანს გაშტერებული შესცქეროდა გრძელ მავთულს; რომლის ბოლოები რაღაც უცნაურ შუშებთან იყო მიერთებული, მერე ფრთხილად გაიშვირა ხელი და ყუთზე დააკაკუნა. კინალამ სიცილი წასკდა: ეგონა. შვნიდან ვიღაც შეენხიანებოდა: „გისმენთ!“ ლიმილით მოავონდა: ბალღობაში ტლუ ბიჭი „ლიფლიფონს“ ეძახდა და სჯეროდა. რომ უფროსებმა შიგ პატარა კაცუნები ჩასვეს და ხალხთან ლაპარაკი დაავალეს მათ. მაგრამ რა დროს სასაცილო მოგონებები იყავი!

ხელმა ყუთი რბილად შეიგრძნო. ბერკეტი მოსინჯა, შავ-ჰასანის ტუჩებივით რომ გამოჩრილიყო. თითები ზანზალაკებს მოუთათუნა — ეტლის ზანზალაკებს მიახვეწა და ფრჩხილებით ააწკარუნა. იქიდან ხელი ყუთის გვერდზე დაკიდებულ ყურმილზე გადააკურა, შეათამაშა, ჩამოშვებულ მათეულს ხელი დაუსვა. ბოლოს მიბეზრდა ყველაფერი ეს, მეორე ბოლოზე გადავიდა და ტელეფონის სახელურს სწვდა. სახელური რკინისა იყო, შავი. დატრიალება მოუნდა. მაგრამ ვიდრე კიდევ რაიმეს მოიმოქმედებდა, კარისკენ გატრიალდა. კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ ქუჩაში არავინ იყო. მხოლოდ ამის შემდეგ მიუბრუნდა ტელეფონს, დასტაცა ხელი ყურმილს და დიდი სიფრთხილით ოდნავ ასწია. გაუკვირდა. ყურმილი რკინის გირივით მძიმე იყო. გული აუძგერდა, ხელისგულები ოფლმა დაუნამა. ღიმილი, ახლახან სახეზე რომ დასთამაშებდა, ზედ შეეყინა. ბოლოს ყურმილი ყუთისაგან მოშორებით, მის ხელში აღმოჩნდა. დაუწყო ტრიალი, თვალვებთან ახლოს მიიტანა და ალტაცებული ჩააცქერდა ნასვრეტებს. ცხვირიც დაადო, დაყნოსა და შეიხ აბდ ელმუატის ოფლის სუნი ეცა. ამ სუნს ისიც და მთელი მათი სოფელი — მით ღუნაიმიც კარვად იცნობდნენ. შემდეგ... შემდეგ მთელი ძალით მიიჭრა ყურმილი ყურზე, მიაშტერდა საღებავჩამოცილ კედელს და სმენად იქცა. სადღაც შორიდან უჩვეულო ხმაური აღწევდა, თითქოს ტრაქტორი გუგუნებდა და რაბრახებდა. როდესაც პირველმა ელდამ გაუარა, ამ გუგუნში მის ყურთასმენას მისწვდა ბაყაყების ყიყინის მსგავსი ხმები. ბურყიმ კბილი კბილს მაგრად დააჭირა, სწრაფად გადაიტანა ყურმილი მეორე ყურზე და სუნთქვაშეკრულმა მიაყურადა, რომ არაფერი გამოჩინდა.

ბურანში იყო...

ძლივძლივობით გამოარჩია ერთი ხმა: „გისმენთ, ბატონო!“ მას უამრავი სხვა ხმა რაღაცას პასუხობდა. შემდეგ ყველაფერი მიჩუმდა. შორეულმა გუგუნმა თავბრუ დაახვია. მხოლოდ ხმამალა და გაბმულმა „გისმენ, მეგობარო, გისმენ!“ გამოაფხიზლა. რის ვაივაგლახით მოითქვა სული და გაიგონა, ვიღაცამ ძალიან შორიდან დაიყიყინა: „რაიონო!“, მას მეორემ უპასუხა მიხრწნილი უმ სლიმანის ხრინწიანი ხმით.

ცხოვრებაში ისე არაფერი ეწადა ბურყის, როგორც ყველაფრის გაგება, რასაც ტელეფონში ლაპარაკობდნენ. უფრო ძლიერ ჩაბლუჯა ყურმილი და მაგრად მიიჭირა ყურზე. იქ ხმები უღიტინებდნენ და გაეცინა. თავს ბედნიერად გრძნობდა, რომ ახლა ყველაფერი მის ხელთ იყო. შეეძლო კისერი წაეგრძელებინა, ხმა დაეწვრილებინა და დაეძახა: „რაიონო!“

მართლაც დაიძახა, მაგრამ ჯერ თავის გულში, მერე ჩურჩულით, ისე, როგორც ყურანის პირველ სურას კითხულობენ, და როცა შეატყო. რომ

ამ ჩურჩულს არაფერი მოჰყვებ, ბრაზი მოერიო, გული მოეცა და დაიყვირა:

— ეი, რაიონო, გეყურება, რაიონო?

თითქოს დოღს შემოჰკრესო რამადანის გარეგარეზე, ჯერ ყური გაუხვრიტა საშინელმა სმაურმა, მერე კი გააჩია სიტყვები:

— გისმენ, მით ლუნაიმ!

იგრძნო, რომ ფეხქვეშ მიწა გამოეცალა, გული კი სადღაც გაეპარა. ქუდი გადაჰვრა, მაგრამ არც კი შეუმჩნევია. რაღაცას ლულულულებდა და ბლუქუნებდა, ყურს კი ყურმილი მიკვდომოდა და განუწყვეტლივ ჩასახოდა:

— გისმენ, მით ლუნაიმ...

არც თავში მოსდიოდა სხვა რაიმე, აღარც ენაზე აღგებოდა და ისევ და ისევ იმეორებდა:

— რაიონო, რაიონო...

უკვე ბრაზით უბასუხეს:

— გისმენ, შე კაი კაცო!

— რაიონო...

— გისმენ, მით ლუნაიმ, შე დასაწყვავო!

— წაწყდეს... მამაშენის სულიმც წაწყდეს, რაიონო! — ჩასძახა და ახეტა ყურმილი და შევებით ამოისუნთქა. მერე შურდულივით გაიჭრა გარეთ.

ზოჯა ნასრედინის ანეკდოტები

ზოჯა ნასრედინის ანეკდოტები საერთო აღმოსავლური მოვლენაა. იგი იქმნებოდა საუკუნეების მანძილზე, იქმნება დღესაც.

ზოჯას ანეკდოტების პირველი შემკრები, ცნობილი თურქი პოეტი და განმანათლებელი მექმედ თევდიკი (1844—1898) ისე გაუტაცია ანეკდოტებს, რომ მათ თარგზე თავადაც შეუთხზავს ანეკდოტები, ზოგი გადმოუღია და გადაუმუშაებია და გაუერთიანებია ისინი გამოგონილი პერსონაჟის — ბუ აღამის (სიტყვ. „ეს კაც“) გარშემო.

• • •

თემურ ლენგი ძალიან მახინჯი კაცი იყო — ცალთვალას ერთი ფეხი რკინისა ჰქონდა. ერთხელ ის და ზოჯა ნასრედინი ისხდნენ და საუბრობდნენ. თემურმა თავზე ხელი გადაისვა და ნახა, რომ თმა გასაკრევი ჰქონდა. ბრძანა და მოჰგვარეს დალაქი. დალაქმა თემურ ლენგს ხელში სარკე მისცა. თემურმა სარკეში ჩაიხედა და თავისი მახინჯი სახე რომ დაინახა, ტირილი მორთო. ზოჯაც აპყვა. იტირეს, იტირეს, თითქმის ორ საათს ტიროდნენ. ხუმარებმა, როგორც იქნა, დაამშვიდეს თემური, საკვირველი ამბებით გაართეს და საწუხარი დაავიწყეს. თემურ ლენგმა შეწყვიტა ტირილი. ზოჯა კი ასევე ტიროდა, გული ამოუქდა.

— მე იმიტომ ვტიროდი, რომ სარკეში ჩაიხედე და ჩემი სიმახინჯე დავიჩახე. იმანაც შემაწუხა, რომ მეფე ვარ, დიდი სიმიდრისა და ქონების პატრონი, მხევალი ბევრი მყავს და ასეთი მახინჯი კი ვარ, მაგრამ შენ რა გატირებს, რომ ველარ ჩუმდები? — ჰკითხა თემურ ლენგმა ზოჯას.

— ეჰ, შენ ერთხელ ჩაიხედე სარკეში. ვერ გაუძელი შენი სახის ყურებას და ატირდი. ჩვენ კი დღედაღამ შენი მაყურებლები ვართ და როგორ არ უნდა ვიტიროთ?!

ამის გაგონებაზე თემურმა გულიანად იცინა.

* * *

ნასრედინ ხოჯას ჰკითხეს:

— ხოჯა, ყადი რომ ყოფილიყავი, როგორ გადაჰკრიდი სამართალს?

— რა საკითხავია? მართალს გავამართლებდი, მტყუანს გავამტყუნებდი.

— ორივე რომ მართალი ყოფილიყო?

— ღმერთმანი, აჰ ხნის კაცი ვარ და ჯერ ორი მართალი ადამიანი არ მინახავს.

* * *

ხოჯამ ცოლი შეირთო. სამი თვის შემდეგ შვილიც შეეძინა.

— გამიგია, ქალი ცხრა თვის შემდეგ შობსო, შენ სამ თვეში როგორ შობე?

— გეტყობა, თვლა არ გეხერხება, — უპასუხა ქალმა. — სამი თვე ხომ არის, რაც მე შენი ცოლი ვარ?

— არის.

— სამი თვე ხომ არის, რაც შენ ჩემი ქმარი ხარ?

— არის.

— ხომ გამოვიდა ექვსი თვე. ის სამი თვეც მიამატე, რაც ფეხმძიმე ვიყავი და, ეგეც შენი ცხრა თვე.

— მართალი ხარ, ეგ ვეღარ ვიანგარიშე, — უპასუხა ხოჯამ.

* * *

ხოჯას ორი ცოლი ჰყავდა. ერთხელ ორივენი ჩააცივდნენ:

— რომელი უფრო გიყვარვართ?

— ორივე მიყვარხართ, — მოუქრა ხოჯამ. ქალები არ დაეხსნენ:

— ვთქვათ. სამივენი ნაეში ვსხედვართ და ჩვენს ტბაზე დავსეირნობთ. ერთბაშად ნავი გადაგვიბრუნდა, რომელს გადაგვარჩენ? — ჰკითხა უმცროსმა ცოლმა.

— ქალო, შენ, მგონი, ცოტათი იცი არა ცურვა? — მიუბრუნდა ხოჯა უფროს ცოლს.

* * *

ბუ ადამი ძალიან შეუხედავი იყო.

— ამქვეყნად ყველაზე უფრო შენი ცოლი მეცოდება, — გაეხუმრა ვილაც.

— ძმაო, შენ რომ ჩემი ცოლი ვანახა, მე შეეცოდებოდი, — უპასუხა ბუ ადამმა.

* * *

ერთხელ ბუ ადამს მეველე მიადგა. კარი ბუ ადამის ცოლმა გაუღო და ჰკითხა:

— რა გინდა?

მეველემ ფული მოსთხოვა.

— ჩემი ქმარი ადანაში წავიდა. გზაზე ნარ-ეკალს დარგავს. ეკალი გაიზრდება და ბამბის საპალნეებით დატვირთულ აქლემებს რომ გაატარებენ, გამოედება. ჩემი ქმარი ეკალზე შერჩენილ ბამბას მოაგროვებს. მე დავართავ, მიტკალს მოვქსოვ, გავყიდით და ვალს გადაგიხდით.

ამის გაგონებაზე მეველეს სიცილი აუტყდა. ბუ ადამმა ფანჯრიდან თავი გამოჰყო და თქვა:

— დახეთ, როგორ უხარია, ფული რომ გაინაღდა?!-

* * *

ბუ ადამი ბრძოლაში იყო. ბრძოლის შემდეგ ყველას წამოეგო შუბზე მოკლული მტრის თავები და მოჰქონდა. ბუ ადამსაც წამოეცვა შუბზე ერთი ფეხი.

— ამ ფეხის პატრონი შენ მოჰკალი? — ჰკითხეს.

— დიახ.

— რატომ თავი არ მოაჭერი?

— თავი უკვე მოჭრილი ჰქონდა.

* * *

ნასრედინ ეფენდის მეზობელმა თოკი სთხოვა.

ხოჯა შინ შევიდა, ცოტა ხნის მერე დაბრუნდა და უთხრა:

— თოკს არა სცალია, ქალებს ზედ ფქვილი გაუფენიათ.

— რა ბრძანებაა, ეფენდი, თოკზე ფქვილი როგორ გაიფინება? — გაუბედა სიტყვის შებრუნება მეზობელმა.

— როცა თხოვება არ მინდა, დიალაც რომ გაიფინება, — უპასუხა ხოჯამ.

* * *

ერთხელ ხოჯა ბაზარში წავიდა. იყიდა ბოსტნეული, გაავსო ხურჯინი. გადაიყიდა მხარზე. შეჯდა თავის სახეღარზე და შინისაკენ გასწია. გზად ვილაც კაცი შეხვდა.

— ეფენდი, ხურჯინი სახედარს გადაჰკიდე და შენ თავისუფლად წა-
და! — ურჩია.

— ეს რა სამართალია! საწყალ პირუტყვს ის არ ეყოფა, რომ მიწა-
ზე ფეხს არ მადგმეფინებს. ახლა ჩემი ტვირთიც მაგას ავკიდო?

• • •

— ხოჯა ეფენდი, ორმოცწლიანი ძმარი ხომ არა გაქვთ, წამლად გვინ-
და? — ჰკითხა ხოჯას შეზობელმა.

— როგორ არა მაქვს.

— თუ შეიძლება, ცოტა მომეცი.

— ვერ მოგცემ.

— რატომ?

— ასე რომ მერიგებინა, ორმოც წელს გაძლებდა?

• • •

ვილაცამ ხოჯას სახედარი სთხოვა.

— აქ მომიტადე, ვკითხო ერთი, თუ წამოგყვებათ, — უთხრა ხოჯამ
და შინ შევიდა. ცოტა ხნის შემდეგ გამოვიდა და ამბავი გამოიტანა:

— სახედარი უარზეა. ასე ამბობს: არ მიმცე, თორემ, ხომ მირტყა-
ვენ და მირტყამენ, თანაც პატრონის ცოლს მაგინებენ ხლმეო.

გამოჩენილი თურქი მწერალია, დაიბადა 1889 წ. ლიტერატურულ ასპარეზზე გამოვიდა პირველი მსოფლიო ომის დროს. ეწეოდა პოლიტიკურ მოღვაწეობასაც. იყო მეფლისის დეპუტატი. თურქეთსა და მის ფარგლებს გარეთ დიდი პოპულარობით სარგებლობს მისი რომანები, მოთხრობები და ნოველები. რამდენიმე შთაგანი თარგმნილია ქართულად. გარდაიცვალა 1956 წ.

მ შ ჯ ა რ ა

— ველოდები თქვენს საბოლოო პასუხს. ვადა — ათი წუთი! თუ ათი წუთის შემდეგ უარს მეტყვიან, რაც მოხდება, საკუთარ თავს დააბრალეთ! — თქვა მუვაფაქ ბეიმ და დონიჩი შემოიყარა, თავი ასწია, მარში დაუსტინა, ამინდს დააკვირდა, თითქოს სადღაც წასვლა დააპირაო.

— უარი რომ ვთქვა, რა მოხდება ვითომ?

ახალგაზრდა კაცმა პასუხის გაცემა ზედმეტად ჩათვალა. მხრები აიჩეჩა. მერე გულზე ხელი მიიღო, ვითომ რევოლვერიაო, თითი გამოჰკრა ჩახმახს, შემდეგ ორივე ხელი ჰაერში ასწია და გაასავსავა, ქუსლებზე შემოტრიალდა და მკვდარივით დაეცა.

ეს გახლდათ როლი, რომელსაც იგი წლების განმავლობაში თამაშობდა ქალებისა თუ კაცების წინაშე.

ამ შანტაჟით მთასავით ბიჭები დამარცხებულან და თვით ამ დამარცხების მნახველებსაც კი ის უკეთებიან, რაც მას სურდა.

ბავშვობიდანვე უცნაური ჩვეულება ჰქონდა — გარშემო მყოფთ ერთთავად თავის მოკვლით ემუქრებოდა. როცა პეტიამის ტკბილი სიტყვითა და მოფერებით ფულს ვერ გამოსტყუებდა, ან ფანჯრის ლაგვარდანზე, ან ბაღში რომ ჰა იყო, იმის თავზე ჩამოჯდებოდა და ყვიროდა:

— ღმერთმანი, გადმოვხტები, თავს მოვიკლავ! — მერე ტირილს იწყებდა.

საწყალი ცხონებული ბეტიამისი ერთ ხელს თვალებზე იფარებდა, მეორეთი კი კაბის ქვეშ წელზე შემორტყმულ წითელ ქამარზე დაკიდებული ქისიდან ფულს იღებდა და შვილიშვილს აძლევდა.

ამ შანტაჟის წყალობით სკოლაშიც მშვენიერ დროს ატარებდა. ამხანაგებსა და მასწავლებლებს შორის გავრცელებული იყო აზრი, რომ იგი „მეტად ნერვიული ბავშვია... ყოველი წვრილმანისათვის თავს იკლავს...“ და ა. შ. ვგონებ, რამდენჯერმე მოკვდა და გაცოცხლდა კიდევ.

მაგალითად, როცა ბაღში კოჭობდა და აგებდა, სახეზე მაშინვე საავდრო ღრუბლები გადაეფარებოდა. ბავშვებს ხუთი კოჭისათვის შეგობრის სისხლის დაღვრის ეშინოდათ და ამიტომ მოგებულს ისევე უკან უბრუნებდნენ.

ზოგიერთი გულჩვილი და ლმობიერი მასწავლებლის გაკვეთილებზე მთელი წელი ცულლუტობდა და არაფერს არ აკეთებდა. როცა გამოცდების დრო დადგებოდა, ორმოცი ლირის დარიშხანს ჯიბეში ჩაიდებდა (მაშინ იოდი მოღაში არ იყო შემოსული) და მასწავლებელს ემათხოვრებოდა:

— ეფენდი, კლასიდან კლასში ვერ გადავალ. თავი მომეჭრება. წუხელ სიზმარში ცხონებული ბაბუაჩემი ვნახე. „ჩემო შვილო, მოდი ჩემთანო!“—დამიძახა. ყურში ილაპიების ხმები მედგა, ცხვირში კი საკმევლის სუნი მცემდა. მეხუთე ბილეთი, თქვენი ჭირიმე! ერთ კაცს გადაარჩენთ, სიცოცხლეს აჩუქებთ... ჩხუბითა და აყალ-მაყალით — მიზნის მიღწევის რჩეული საშუალებით — ყოველთვის თავისი გაჰქონდა.

როცა დაეჯეკაცდა, ამ ეშმაკობას ხშირად იყენებდა სასიყვარულო თავგადასავლებში. მეზობელ გოგონებს რომ წერილებს წერდა, სულ იმას ემუქრებოდა, თავს მოვიკლავო. იმ ბარათებში სწორედ ეს ადგილები იყო ყველაზე მწველი და მგზნებარე.

სამსახურშიც, სადაც ფული გაფლანგა და ამიტომ მოხსნის საშიშროება ელოდა, ნაცადი ხერხი გამოიყენა.

კანტორის გამგე ერთი საწყალი, მიხრწნილი ბერიკაცი იყო, ოღონდაც მას თავი არ მოეკლა, ხელიდან გამოგლიჯა საფეთქელთან მიტანილი უნივერსალში ნაყიდი სათამაშო რევოლვერი და დანაკლისი თავისი ქისიდან შეავსო.

საბრალო მოხუცი მერე ტრაბახობდა: „ჩემი კანტორის არსებობის მთელ მანძილზე, ერთხელ დავიბრმავე თვალი და არ შევიმჩინე უკანონობა. ჩემი ქისიდან გავიღე ფული. და განა ტყუილად? ადამიანი გადავარჩინე... წამიც და ღვთის შექმნილი ჩემ თვალწინ ბათქა-ბუთქით გაგორდებოდა... რაც ალალი ფული მქონდა, ასეთ სამადლო საქმეს მოვხებარე!..“

• • •

უკვე სამი თვე იყო, რაც მუუვაფაქ ბეი მშვენიერი ნაჯიე ხანუმის დაპყრობას ცდილობდა. სამწუხაროდ, მთელი შრომა წყალში გადაეყარა: ახალგაზრდა ქალი მის გადაპრანჭულ სასიყვარულო ახსნა-განმარტებებს, ფიცსა და ცრემლებს ყურადღებას არ აქცევდა. თუმცა მუუვაფაქ ბეი დარწმუნებული იყო „საბოლოო განარჯვებაში“. განა არ გააჩნდა ყველაზე უფრო მოქმედი იარაღი? მას იგი არასოდეს არ აუცილებია მიზნისათვის. როცა საჭირო იქნება, ამ იარაღს მოიმარჯვებს და ნაჯიე ხანუმსაც ნანადირევი გნოლივით ჩაიგდებს ხელში. თანაც, ძალიან იოლად!

თვითმკვლევლობის სიყენის გათამაშებისას იგი მოელოდა, რომ ქალი შეჰყვირებდა: „ღვთის გულსათვის, ნუ იზამთ ამას!“ ჩამოეკიდებოდა ხელზე, რომელშიც ნამდვილი იარაღით ეჭირა რაღაც: ბოლოს, ისტერიკამდე მისული და თვალცრემლიანი მკლავებში ჩაუვარდებოდა ამ კეთილშობილ და სულგრძელ ადამიანს, რომელიც მზად იყო მისი სიყვარულისათვის თავი მოეკლა.

მაგრამ მოსალოდნელი შეშფოთების, აღლევებული შეყვირებისა და ცრემლების ღვრის ნაცვლად ქალმა გულისგამგმირავე და საშინელი ხარხარი არ მორთო? იმ წუთში ყურთან ნამდვილი რევოლვერი რომ დაეცალათ, ალბათ, ასე არ შეაძრწუნებდა.

ნაჭიე ხანუმი ისე იცინოდა, რომ მუცელი ხელით ეჭირა და თვალეზიდან ცრემლები სცვიოდა:

— ღმერთო, რა სასაცილოა... იქით, მუვაფაქ ბეი, იმ კარისაკენ!..

ამ ხმაურზე ოთხი-ხუთი კაცი მოგროვდა. როცა იკითხეს, რა მოხდაო, ნაჭიემ განუმარტა:

— მუვაფაქ ბეის თურმე ვყვარებოვარ და ათ წუთში პასუხს თუ არ გავცემ...

ახლაგაზრდა ქალის ხარხარი კვილში გადავიდა. ყველაზე საშინელი ის იყო, რომ იგი დანარჩენებსაც გადაედო.

მუვაფაქ ბეის ყურებმა წივილი დაუწყო: ცას ისე ახედა, როგორც მოგზაურმა, რომელიც ჰორიზონტს დაჟინებით უყურებს და მერე, ამ ხანგრძლივი დაკვირვების ვამო, ჰგონია, რომ ცა მის თავზე ციბრუტით ტრიალებს.

ისე გაშეშებულიყო, კაცს ეგონებოდა. თავი რაღაცას მაგრად დაარტყაო. საშიშროება მთელი სიცხადითა და სისასტიკით წარმოუდგა.

იგი ერთ წუთში ამხილეს. თავი მოეჭრა. ტურფა ნაჭიე ხანუმს რომ დაქარგავდა. ეს არაფერი. მის ამბავს მთელი ქვეყანა გაიგებდა!

ვისაც აქამდე მისი მუქარისა სჭეროდა, ახლა გაიცინებს, იქნებ გაბრაზდეს კიდევ.

სტამბოლის ტრაბახა მატყუარათა შორის სახელი გაუვარდება: ყველა ისტორიას, რომელიც კი თავს გადახდენია, მის მიერვე შეთხზულად ჩათვლიან. თვითმკვლევლობაზე კი არა და, შემთხვევით, სიკვდილზე რომ ჩამოვარდეს მათთან ლაპარაკი, სიცილით დაიხოცებიან. მუვაფაქ ბეი საზრიანი კაცი იყო. იცოდა, ტყუილითა და რეკლამით - მოპოვებულ დაუმსახურებელი სახელი საშინელი სასჯელი იქნებოდა მისთვის. ერთი სიტყვაც არ დასცდენია, სტუმრებს მოშორდა და ბაღში ჩავიდა.

მაგრამ ნაჭიე ხანუმი არ მოეშვა. ვადმოდგებოდა ტერასის ნაპირზე და ეძახდა:

— სამი წუთი გავიდა მუვაფაქ ბეი...

— მეოთხეც...

— ხუთი წუთი დარჩა...

მთელი ღამე ისმოდა ნერვების მომშლელი კისკ-სი და როხროხი.

მუვაფაქ ბეის თავეზა აებნა.

მართლაც, ხუთ წუთზე მეტი დრო არ დარჩენოდა. ამ ხუთ წუთში ხორცი თუ მოკვდა, სულიც მოკვდება და სახელიც.

ცხოვრებაში პირველად იფიქრა გულწრფელად სიკვდილზე. მაგრამ დიდი ხნით არა... დარწმუნებული იყო, რომ, რაც არ უნდა მომხდარიყო, ამას ვერ გაბედავდა. გადაწყვიტა, ბრძოლის ფორმა შეეცვალა: თვითმკვლელობის სცენის გათამაშებას აპირებდა.

იქვე ახლოს, რაღაც პატარა მდინარის მსგავსი რამ იყო, მაშინვე იქითკენ გავარდა. რაღაც არ უნდა დასჯდომოდა. სიკვდილისაგან თავი უნდა ეხსნა. მართალია, ეზოში ჰაც იყო, მაგრამ ის უფრო სახიფათო ეჩვენა, რადგან არც სიგანე იცოდა მისი და არც სიგრძე. როცა ჩავარდებოდა, ამ ნაძირებზე გამოშვებულ ქვეებს დაახლის და გაიტეხს თავს, ან ფსკერზე, ტალახში ჩაეფლობა ღამურასავით — თავი ქვევით, ფეხები ზევით, ჰაერში, და ჩარჩება. ამის წარმოდგენაზე კანკალი დააწყებინა.

— ოთხი წუთი დარჩა, მუვაფაქ ბეი!

ზევით ყველანი ტერასაზე შეკრებილიყვნენ. ისეთი სახეებით აკვირდებოდნენ, თითქოს თეატრში, ლოჯიაში სხედან და სპექტაკლს უყურებენო. აუცილებლად რამე უნდა ეღონა. ბაღში სარეცხის თოკი იყო გაბმული. ჭიბიდან ჭაყვა ამოიღო, თოკი მოჭრა, მკლავზე დაიხვია და ჩუმად თავის ოთახში გავიდა.

ტუჩებზე ცბიერი ღიმილი დასთამაშებდა. სჯეროდა, რომ გამარჯვებას იზეიმებდა.

ოთახში შევიდა, კარი დაკეტა. შუქი აანთო და მიაყურადა. მისი გეგმა ძალიან მარტივი იყო: თოკს აიღებდა და ოთახში შემოსულები რომ დაინახავდნენ... უქველად მოვლენ, უქმად არ გაჩერდებიან, კარის კუჭრუტანიდან უთვალთვალებენ. მართლაც, ვესტიბულიდან მსუბუქი შრიალისა და ჩურჩულის სმა მოისმა. აჰა, შემოსასვლელი კარიც კრიალებს. მაშასადამე, გარეთ გადიან, რომ უკეთ დაინახონ გადებული ფანჯრიდან

ჰადის ჩამოსაკიდებელ კაუქს, რომელიც ჰერის შუა ადგილას იყო დამაგრებული, მუვაფაქ ბეიმ თოკი ჩამოაცვა. მისი ბოლოსაგან სუსტი, მოშვებული ყულფი გააკეთა. მერე სკამი მოიტანა და კაუქსის ქვეშ დადო. პიჯაკი გაიხადა. სჯრკის წინ ფეხზე მდგომმა გამოსამშვიდობებელი ბა-

რათი დაწერა — რამდენიმე სტრიქონი. სარკეში დაინახა, რომ მისი ვა-
რაუდი სწორი გამოდვა.

ფანჯარა, რომელიც აივანზე ვადიოდა, ღია იყო; ქაღალტები ჩამოეშ-
ვათ. იქიდან გამზიარულებული კომპანიის სიცილ-კისკისი იქმოდა, მერე
წაბლისფერთმიანი თავიც გამოჩნდა ორი მზრწყინავი თვალით.

მაშასადამე, ნაჭიე ხანუმი თვითონ უთვალთვალეზს. დანარჩენები კი
კართან ჩამწყრივდნენ.

როცა ახალგაზრდა ქალი მას სკამზე ასულს ნახავს, აუცილებლად
შეაკივლებს და ოთახში შევარდება. ასე, რომ. მუვაფაქ ბეი სინდისსაც
გადიარჩენს და მიზანსაც მიალწევს.

ვესტიბულში შრიალი და ჩურჩული გრძელდებოდა. ქაღალტებს შო-
რის მოძრავი წაბლისფერთმიანი თავის თვალეზი ელავდნენ. მუვაფაქ
ბეი დაძაბულობისაგან კანკალებდა, ნელ-ნელა, მძიმედ აღიოდა სკამზე,
ყულფს ასწორებდა.

ნაჭიე ხანუმი კი ხმას არ იღებდა, თითქოს არც სჯეროდა, რომ საქმე
ასე სერიოზულად წარიმართებოდა. საშველი აღარ იყო, ყულფი კისერ-
ზე ჩამოიკვა. მკერდზე დაიხედა, თვალეზი უბრწყინავდა, მაგრამ ხმას არ
იღებდა. ფეხებით მსუბუქად შეარყია სკამი. „ღმერთო, რა საშინელეზა
იქნება, თუ დროზე არ მომისწრეს!“ გაიფიქრა მან. ვერაფრით ვერ გა-
ბედა სკამის წაქცევა. რა ექნა? კისრიდან ყულფის მოხსნასა და ჩამოს-
ვლას რომ შეეცადა, მაშინვე გამაყრუებელი ხარხარი ატუდა.

განერვიულებულმა სკამს ცოტა უფრო მეტად დაუწყო ნჯღრევა.
უცბად სკამი ფეხებიდან გაუცურდა და წაიქცა. ყრულ დაიყვირა სწო-
რედ იმ წუთში, როცა ფანჯრისაკენ გაიხედა.

• • •

ქარმა ქაღალტები გააღო. კრელმა კატამ, რომელიც ცოტა ხნის წინ
სამზარეულოდან მოპარული ხორცის დიდი ნაჭრის შესაკუმელად ოთახში
შემოხტა, შემზარავად დაიჩხავლა.

როგორ ეცანა ალაშიანი

ხელში ჯოხით, მედიდური და თვითდაჯერებულნი. როლში ვიყავი შეჭ-
რილი და მისკენ მივემართებოდი. ზურგიდან ხმა მომესმა:

— ღმერთმა ხელი მოგიმართოს, მეკმედ ალი ბეი, აქეთ საით? —
მოვიხედე და შიშისაგან თმები ყალყზე დამიდგა: უკან კაცო იდგა, თეთ-
რი შარვალი და წელზე ქამარშემორტყმული სერთუი ეცვა. თავზე

კილოფის ქული ეხურა. აბურძგნული წვერი თოვლისაგან ერთიანად გასთეთრებოდა. თავი ისე აეწია, გეგონებოდათ პოეტია და ციდან იასამნების ცვენას უყურებსო.

— რა სანახაობაა, რა სანახაობა!.. — ამბობდა. ეს კაცი თავის დროზე სოიუქნიშუმეს სკოლაში ჩვენი კლასის პირველი მოსწავლე იყო. სახელად მუფთავაქ ბაპთიარი ერქვა. მა.წავლებლები ერთთავად ჩაგვჩიჩინებდნენ:

— უქნარებო, ზარმაცებო, მიბაძეთ ბაპთიარს! მის კარზე წყლის ზიდვა თუ გელირსათ, ისიც ღიღია თქვენთვის, სხვაში ვერაფერში გამოდგებთ. ის კი ბედნიერი იქნება, ტყუილად როდი ჰქვია ბაპთიარი.

მაგონდებოდა ცხონებული ჩვენი მასწავლებლების სიტყვები და ვფიქრობდი, როგორ უკლმა შეტრიალდა ცხოვრებაში! ბაპთიარიც ამ დროს სკოლას იხსენებდა:

— ეეჰ, გახსოვს? სკოლიდან რომ ვბრუნდებოდით ხოლმე, ვგუნდაობდით... ჰაი, ვიდი, როგორ გაფრინდა! რა დრო იყო!.. თუმცა მე ახლაც მზად ვარ გეთამაშო, შენ? შეგიძლია?

ბევრი ამგვარი გავიხსენეთ, მერმე კი მითხრა: — აბა, მიდი, მოწყალება გაიღე და ბედს ეწიე! — ასე მთხოვდა ფულს წლების მანძილზე.

სხვა მახთოვრებივით არც თავი ჰქონდა მოდრეკილი, არც ხმა უთრთოდა და არც შინ დაეიწყებულ საფულეს ახსენებდა. ასეთი რამ არ სჩვეოდა. „აბა, ერთი, მოიტა ფული!“ — იტყოდა და ხიდზე მდგარი მებაჟესავით გზას გადაგიჰკრიდა. არასოდეს მიმიქცევია ყურადღება მისი ქცევისათვის, ისე ვაძლეედი სამ, ხუთ ყურუშს და ჩემს გზაზე მივდიოდი. მაგრამ დღეს უკვე გავბეზრდი. შინ შევა გამომლეოდა. ფული კი ჰქონდა, მაგრამ ურმის დაქირავება ვერ მოვახერხე, რომ შეშის გამყიდველამდე მიმეღწია; გზაც არ ჩანდა — ერთიანად დაეთოვლა თანაც მუნიციპალიტეტის თანამშრომლებთან პატარა უსიამოვნება შემხვდა. ასეთ ხასიათზე არ გინდა ჯიბიდან ფული ამოიღო და ვიდაცას მისცე?

— ფული არა მაქვს! — ეუთხარი მოღუშულმა. მან ზურგზე ფრთხილად შემახო ხელი და მითხრა:

— შეუძლებელია! გადასახადი მინდა!

პირიდან და ცხვირიდან გამოსულმა ოხშივარმა ჰაერი არყის სუნით აავსო. ამ საშინელმა მდგომარეობამ გამაცოფა:

— აბა, აბა, კკულით! წესიერად იარე! — და გზა განვაგრძე. პასუხი არ გამცა, მაგრამ უკან გამომყვა. ორმოცი-ორმოცდაათოდე ნაბიჯი გავიარე. აღმართის თავში შევჩერდი.

— მისმინე, — ეუთხარი. — შენ ბეჭითი, ზრდილი და განათლებული ადამიანი ხარ. ეს რა ჰქენი? როგორ მოახერხე, ასეთ დღეში რაწაირად ჩავარდი?

— აბა, მე რა ვიცი? — მიპასუხა მან და მხრები აიჩეჩა.

— სწორედ რომ თავი მიუშვი, მოდუნდი. ასლა მოვიდნენ და მოგხედონ ძველმა მეგობრებმა!..

დიდი სიფრთხილით დავეშვი დაღმართზე. არ ვიცი, როგორ მოხდა, უცბად წაიფიქრობილე. სანამ გონზე მოვედი, მანამ დავგორდი... ვილაყამ ხელი ჩამავლო და ამაყენა. მოვიხედე, ისევ ის... თოვლი ჩამომბერტყა:

— რა იყო, კაცო? ნელა, ფრთხილად მოდიოდი, რა მოგივიდა?

— არ ვიცი, ვერ გავიგე. სანამ მოვიხედე, კიდევ დავგორდი...

სიცვიისაგან გალურჯებულ და ლოთობისაგან გადაგვარებულ სახეზე ერთი წამით თითქოს ძველმა საზრიანობამ გაიფლავა. უსიხარულოდ და გესლიანად მითხრა:

— აი, მეც ასე მომივიდა. წელან რომ გითხარი. არ ვ... რა, როგორ დავეცი-მეთქი, კი არ მომიტყუებინარ. რა გიხდა, ბატონო, რას მეკითხები, წერილ-წერილად მიზეხს? ის ხუთი ყურუში, მე რომ მინდა, თუ გაქვს, მომეცი. თუ არა და, კარგად იყავი! რა გაეწყობა, სხვა დროს იყოს...

„კონტრაბანდისტი“

ეს ამბავი ამ ორიოდ წლის წინ ერთმა ამხანაგმა მიაშხო:

საფრანგეთში მივდიოდი, ხელში ჩემოდანი და სპარსული ხალიჩა მეჭირა. ხალიჩას ერთი ნაცნობი მატანდა თავის მეგობართან მარსელში. აბა, რა ვიცოდი, რომ თურმე საფრანგეთში ხალიჩების შეტანა სასტიკად ყოფილა აკრძალული.

საბაჟოში დამაკავეს. კინალამ გადავირიე. ჩემი რომ ყოფილიყო, დავტოვებდი, მაგრამ რა მექნა, სხვისი იყო. გავიწივდი მქონდა, რომ საფრანგეთში მცხოვრებ მუსლიმებს მთავრობა სალოცავ ნივთებზე ბაჟს არ ახდევინებდა. „ერთი ეცდი-მეთქი“, გავიფიქრე და სუფთა ფრანგულით მივმართე საბაჟოს მოხელეს:

— მუსიე, მე ცნობილი კაცი ვარ, ამ ხალიჩას სეჭადეს ვეძახით, ჩვენ, მუსლიმები, ნამაზს ამაზე ვასრულებთ... მორწმუნე ვარ და სალოცავად საჭირო ნივთებს სულ თან დავატარებ.

მოხელე წესიერ, პატიოსან კაცს ჰგავდა. ნიკაპი მოისრისა, დაფიქრდა, „სეჭადე“ და „ნამაზი“ გამამეორებინა, ჩაიწერა, მერე სადღაც დარეკა:

— მუსიე ართინ სერგიზიან?.. თქვენა ხართ? თქვენ სტამბოლელი ხართ, არა? თურქები და თურქული ალბათ კარგად იცით. რას ნიშნავს სეჭადე?.. სეჭადე, დიან, სეჭადე. მერსი. ნამაზი?.. მუსლიმების ლოცვა? ძალიან კარგი. ერთი თხოვნა მაქვს. მნახეთ, თუ შეიძლება. ისეთი საქმეა, რომ თქვენ თუ გვიშველით.

ყურმილი დადო და მომიბრუნდა:

— ეს ხალიჩა ნამდვილად სეჩადეა? ამის გასარკვევად ერთი სომეხი დავიბარე. რამდენიმე წლის წინ ჩამოვიდა მარსელში. სტამბოლელია. ალბათ მაპატიებთ, მოგეხსენებათ, მოვალეობა.

ცოტა არ შესიაშოვნა ეს ამბავი, მაგრამ რას ვიზამდი.

— რა თქმა უნდა, მოვალეობა უპირველეს ყოვლისა! შეგიძლიათ გამოარკვიოთ.

რამდენიმე წუთში მუსიე ართინ სერგიზიანი საბაჟოში მოვიდა. ტიპური სტამბოლელი სომეხი იყო. ჩვენი თანამემამულე სომხები ხშირად გვემდურებიან, მაგრამ სხვაგან, უცხო ქვეყანაში, რატომღაც ძალზე თბილად გვექცევიან.

სერგიზიან ეფენდი გულწრფელად, ძმურად მომესალმა, მაშინვე მივხვდი, რომ დამეხმარებოდა.

მებაჟემ ხალიჩა ძირს გაშალა. ჩემს ჭინაზე, დიდი უფორმო რამე იყო. სიგანე ერთი მეტრიც არ ექნებოდა, სიგრძე კი ორნახევარი, სამი მეტრი ჰქონდა.

— მუსლიმები რომ ნამაზს ასრულებენ, ეს არის?

სომეხმა უყოყმანოდ დაუდასტურა.

— დიახ, სწორედ ეს არის.

— სალოცავად ცოტა გრძელი ხომ არ არის?

შეკითხვა მართლაც რომ მართებული იყო. მე თავი დავხარე. მაგრამ ართინ ეფენდი არ დაიბნა და მაშინვე მიაძიბად უპასუხა:

— არა! ოდნავ პატარაც კია.

მებაჟე მაინც ყოყმანობდა, ფიქრობდა.

— უკანასკნელი თხოვნა მაქვს. თუ შეიძლება, შეასრულოს ეფენდიმ ნამაზი აქ. ჩვენ თვალწინ.

მე და ართინ ეფენდიმ ერთმანეთს გადავხედეთ.

— სხვა გზა არ არის, უნდა შეასრულოთ ნამაზი, — მითხრა თურქულად.

საქმისათვის სერიოზული სახე რომ მიმეცა, ფეხთ გავიხადე, ფანჯარაში გადავიხედე, ყიბლა დავაზუსტე, ხელები ყურებთან მივიდე და — „ალლაჰუ აქბერ“ — ით დავიწყე ნამაზი. თვალის ასახვევად რაიმე ლოცვა უნდა წამეკითხა, მაგრამ ჭიბრზე არაფერი მასხენდებოდა. ბოლოს, ბავშვობაში ნასწავლი ცხონებული მუალიმ ნაჯის ერთი ლექსი გამახსენდა და დავიწყე ბუტბუტი:

„ნეტავ ბეკეა რამ დააღონა?

ყოველი კენესა გულში, დაღია...“

შემდეგ მუხლი მოვიყარე სეჩადეზე. მაგრამ ვაი, რომ თავს ველარა ვწიე. ართინ ეფენდი მიხვდა, რომ ძალიან გამიბრძელდა ნამაზი და წამჩლარა უღა.

— ჰო, გეყო ახლა... ადექი!

— როგორ აედგეე!.. ნახე, რამდენი ადგილი დარჩა ხალიჩაზე! რისთვისაო, რომ მკითხოს, რა ვუპასუხოო? — გავაბი ლოცვის მოტივზე ართინ ეფნდი დაფიქრდა და ხმადაბლა ჩამილაპარაკა.

— ყირაზე გადადი!..

ამ სიტყვამ წამალივით იმოქმედა. თავი ჯერ კიდევ სეჯადეზე მქონდა, როცა ნელ-ნელა უკანა ფეხებზე დავიწყე წამოწევა. კარგად რომ გავსწორდი, „ამინ“ დავიძახე და მალაყზე გადავედი. ფეხებით ხალიჩის კიდეს მივწვლი! — საქმე გაკეთებულია.

ცოტა ხნის შემდეგ, ხალიჩით ხელში საბაყოდან კავდიოდი.

ცნობილი თურქი კომენსტი მწერალია. დაბადა 1907 წ. მის თითქმის ყველა ნაწარმოებში ნაჩვენებია დღივალურ-ბურჟუაზიული წყობის მიერ ცხოვრების სობინძურეში ჩაყრილი ადამიანების მორალური სიწმინდე. გარდაიცვალა 1948 წ.

ცხელი წყალი

სალამოს ბინდში სოფლის განაპირას ორი ქანდარმი ცხენიდან ჩამოტა. აღვირი ყავახანიდან შემოგებებულ მსახურს მიაჩჩეს და მუხლი გაშალეს. სოფელში არავინ ჩანდა. შორიდან მხოლოდ ძროხის გულსაკლავი ბლავილი მოისმოდა. ქარი მსუბუქად დაშრიალებდა ტირიფის ტოტებზე. სოფლის დასავლეთ ფერდობზე დაფენილი ტყე მასზე ჩამოწოლილი ღრუბლებივით ირხეოდა.

ქანდარმები ყავახანაში შევიდნენ. მეყავახანეს ხმადაბლა გაესაუბრნენ და მერე სოფლისაკენ გასწიეს. სახლები უკვე წყვილიაღში იყო ჩაფლული. მივიდნენ ერთ პატარა სახლთან, რომელიც სოფლის მეორე მხარეს, ტყის პირას იდგა. ფრთხილობდნენ, ეტყობოდა, ხმაურს ერიდებოდნენ. სახლის ღობესთან ფეხის წვერებზე შედგნენ და განათებულ ფანჯარაში ჩაიხედეს. შინ ერთ ქალს მუხლი მოეყარა და წვნიანს შეექცეოდა. ზურგს დალაღებად დაწული თმა უმშვევებდა. დროდადრო თვალს ფანჯრისკენ აპარებდა.

— კაცო, ეს ღორის ცოლი, ისე იქცევა, თითქოსდა არაფერი იცისო, -- ჩაიბუზღუნა ერთ-ერთმა ქანდარმმა.

— ეს მეოთხედ მოვდივართ და ისმაილი ვერც ერთხელ ვერ მოვიხელთეთ. არც დღეს უნდა იყოს აქ, მაგრამ ვნახოთ! — თქვა მეორემ.

ღობის კარი შეაღეს, შევიდნენ, ერთმა ქანდარმმა ბაღს შემოუარა, მეორემ კარებზე დააკაკუნა. შინიდან არავითარი ფუსფუსი და ფაციფუც არ იგრძნობოდა. მხოლოდ ქალის სამკალთიანი კაბის მოახლოებული შრიალი ისმოდა, შემდეგ კარს იქით ქალის ნორჩი ხმაც გაისმა:

— ვინ არის?

— გააღე, ისმაილს ვეძებთ!

ქალმა ურდული გასწია, კარი გამოაღო.

— მობრძანდით და დამებნეთ, ისმაილი აქ არ არის. წინა მოსვლაზეც გითხარით, გაზაფხულს აქეთ აღარ გამოჩენილა. ასე, ოთხი თვე შესრულდა თუ რამდენი?..

— ხმა ჩაიწყვიტე, ქალო, ორი დღის წინ აქ არ იყო?! შენ თუ გგონია. არ გვაცნობეს?! — შეუღრიალა ქანდარმმა.

— ტუფილია, ჩემო პატონო, ტუფილი! ისმაილი, რაც ის საქმე ჩაი-
იდინა, აქაურობას აღარ გაჰკარებია. ვინ იცის, რომელ მხარეს გაუა-
იკარგა? იქნებ, მთებშიაც ჩაკვდა სადმე! — თქვა ქალმა თეინიერად.

ქანდარმმა კარადა გამოალო, ლოგინი გადმოაქოთა, ირგვლივ თვალი
მოავლო. სახლი ამ ერთი ოთახისა და ტალანისაგან შედგებოდა. ტალან-
ში ზეითუნის ზეთის დოქი, პურის ფიცარი და კიდევ რაღაცები იწყო.
ტალანზე ოდნავ ფართო ოთახის ერთ კუთხეში დაგებული იყო ლეიბი
და ზედ გადაშლილი ყურანი ესვენა. ქანდარმს ეწადა საქმე ტუბილი
სიტყვით მოეგვარებია და ქალს მიმართა:

— გამიგონე, ემინე, უარს თავი დაანებე! გაიგე, რომ ამ ბიჭისგან
მეტ სიკეთეს ვეღარ ნახავ, სახელმწიფო მის თავს არ შეგარჩენს. ანდა
რამი გებრალეზა მხეცა და კაცისმკვლეელი?! ახლა ძეგუეცა, თავ-
დაცვის მიზნით მოკლაო კაცი. კი, მაგრამ ტყეში რომ გაიქრა? მერე რა,
რომ მოკლული აღას ვაეი იყო? განა ამისთვის შესჯამდნენ? დაჭდებოდა
იმდენს, რამდენიც ეკუთვნოდა და გამოვიდოდა. გეუბნები, მოეწვი და
გვითხარი, სად არის, საით გაიქცა ამ საღამოს. ახლაგაზრდა ხარ, შეიბ-
რალე შენი თავი!.. შოღი, ემინე, გვითხარი, განა აქ არ იყო ისმაილი
ცოტა ხნის წინ? ვინ შეატყობინა, რომ ჩვენ მოვდიოდით?

— წელანაც გითხარით და რაღას მაცივლებით? ოთხი თვეა, ისმა-
ილისთვის თვალი არ მომიკრავს!..

— ემინე, იცოდე, ამას ცული ბოლო ექნება! ჩვენ აქ ჩვენი ნებით
კი არ დავდივართ, ასისთავს უთქმელი გინება აღარ დაუტოვებია. ახლაც
თუ უისმაილოდ მივედით, დედას გვიტირებს. ვინ იცის, სად ვეიკრას
თავი!

ქალი წინ იყურებოდა და დუმდა.

ქანდარმებმა ერთმანეთს გადახედეს, მერე ჩურჩული დაიწყეს.

— ნეტავ, მართლა თუ აცნობეს რამე? — იკითხა ერთმა, მეორემ
ეშმაკური ღიმილით მიუგო: — მაგას ახლავე გავიგებთ! — და ქალს მი-
უბრუნდა:

— ეს გააღე! — შეუყვირა და მიუთითა პატარა ხის კარზე, ოთახის
ერთ-ერთ კუთხეში რომ იყო. ქალი მცირე ყოყმანის შემდეგ კართან მი-
ვიდა, ხის ურდული გამოსწია და კარი თავისით გაიღო. ეს იყო პატარა
სათავსი განზანდისათვის. შიგ არავინ იყო. მეორე ქანდარმმა ნიშნის
მოგებით შეხედა ამხანაგს:

— აბა?! — ჩაიბურტყუნა.

— ჩუმათ, მაცალე!

სათავსში იდგა პატარა ხის სკამი და ვამურული თუნუქის ჭურჭელი.
ქანდარმი მივიდა, ხელი ჩაპყო მასში, მაგრამ, თითქოს თითები დაეწვაო,
სწრაფად უკანვე ამოიღო.

— ეს ცხელი წყალი რაღას ნიშნავს?

— არათერს!

— განა „არათერი“ არსებობს? — თქვა და მიხედვრილივთ გაიღრიჯა.

ქალი გაწითლდა და ჩაიბუტბუტა.

— წყალი უნდა ვადამეველო.

— ვის ატყუებ, ქალო, ვისა?! ქმარი აქ არ გყავს და ამ ლამეში რისთვის იმზადებ ცხელ წყალს?

მერე უცებ ქალს მკლავში ჩაათრინდა, მოქაჩა და უყვირა.

— კაპიკია უკვე შენი უარის ფასი გეითხარი ერთი, სად არის ის-მაილი აქედან, ალბათ, ახლახან გაიქცა, რაკი წყალი ისე ძალიან ცხელია. შორს არც იქნება წასული. თუ არ იტყვი, რაც მოგივია, თავს დააბრალებ!

გადაყვითლებული ქალი მკლავის გაათვისუფლებას ცდილობდა და აკანკალებული ხმით გაიძახოდა „არ ვიცის!“ მაშინ ჟანდარმმა ხელი გაუშვა და ოთახში დაიწყო ბოლთის ცემა. მისი ამხანაგი კედელს მიყრდნობოდა და თვალს არ აშორებდა ქალის მკერდს, აჩქარებული რომ ადი-ჩადიოდა.

ბოლთისმცემელი ჟანდარმი უცებ შეჩერდა, ამხანაგი თითით მოიხმო და ჩუმათ, მაგრამ ისე კი, რომ ქალს გაეგონა, უთხრა: — ისმაილი შორს არ იქნება წასული. თავისი ნებით არ გამოვა და არ ჩაგებარდება, მაგრამ არც ცოლის ნამუსის გადასარჩენად მოვა?

მერე უფრო ხმადაბლა დასძინა:

— მე ახლა ემინეს ლეიბზე წამოვაქცევ, თუ იყვირა, ისმაილი ვერ აიტანს და ნამდვილად მოვარდება. შენ კარებთან ჩაუსაფრდი, უნდა შეიპყრო ცოცხალი ან მკვდარი... თუ არ იყვირა, მაშინ?.. ერთიც შენა თქვი რამე, მაშინ რაღა ვქნათ?..

ქალს ზაფრანისფერი დასდებოდა, ერთიანად ცახცახებდა. ქვედა ტურჩს იკვნეტდა, სისხლი სდიოდა. მიმოიხედა, ოთხი კედლისა და ორი ჟანდარმის მეტი არათერი ჩანდა.

ცოტა ხნის წინ რომ ცხელი წყალი გასინჯა, იმ ჟანდარმმა, თვალეზანთებულმა, ქალს მაჯაში სტაცა ხელი და გაშლილ ლეიბისკენ წაათრია, მეორე ჟანდარმმა იარაღი აიღო და გარეთ გავიდა...

მაგრამ ვერც ამან და ვერც მეორე ჟანდარმმა ყვირილი კი არა, სიტყვაც კი ვერ ამოაცდენინეს ემინეს, ყველაფრისდა მიუხედავად, ერთხელაც კი არ წამოიყვირა, არავინ ისმო საშველად.

ცოტა ხნის შემდეგ ჟანდარმებმა იარაღი წელზე შემოირტყეს და სიამოვნებისგან სახემოთენთილებმა სახლი დატოვეს.

მათ შემდეგ ემინეც მალულად გავიდა გარეთ და ღობეს ამოთარებულმა ტყეს მისცა ათვი.

ისმაილი გათენებამდე მოშორებით, ბუჩქებში იყო შეფარებული. როცა ინათა, ქურდულად მიხიხდა სახლთან, სადაც ჭერ კიდევ ენთო სინათლე, და უცნაურად გულდამძიმებული შევიდა შინ.

ოთახი არეულ-დარეული დაუხვდა. კრაქში ქონი ილეოდა და ტკაცატკუცი გაუდიოდა. ირგვლივ არავინ ჩანდა.

კარში გამოვიდა. დაუსტვინა. სოფლიდან 14 წლის ბიჭი გამოიქცა, მობროდა და თან აქეთ-იქით იყურებოდა. ისმაილმა იგი მაშინვე ქვევით ყავახანისაკენ აფრინა, ფიქრობდა, მაშინ რაღა ვქნა, თუ ემინე ჟანდარმებმა თან წაიყვანესო. ბიჭი მალევე დაბრუნდა და უთხრა ჟანდარმები შუალამეს შემსხდარან ცხენებზე, წასულან და თან არავინ წააფრინათო.

ისმაილმა ამის შემდეგ თანასოფლელებთან ერთად დაუწყო ძებნა ემინეს. ყველა სახლში მოიკითხეს, ტყე-ტყე დადიოდნენ და გაჰყვიროდნენ: „ემინე, სადა ხარ, ქალო!“ მაგრამ არც ამ ღლუს და არც მას შემდეგ ემინეს შესახებ ვერა გაიგეს რა...

თერქი მწერალი და ჟურნალისტი. დაიბადა 1916 წ. ცნობილი, როგორც იუმორისტული მოთხრობებისა და ანეკდოტების ავტორი. წერდა აგრეთვე რეპორტაჟის ხასიათის ნარკვევებს. გარდაიცვალა 1972 წ.

მალალი საზოგადოება

— ალო... ალო.. დიახ, გახლავართ. დიახ, მე ვარ. ჯანიმ. აკი გეუბნებით. მე ვარ, ლიმან ჩილიემეზი გელაპარაკებით... დიახ... ბრძანეთ!

უკაცრავად, რა ბრძანეთ? ვინ ვარო? ვერ გიცანით, ეფენდი. საბაპათინ ბეი? რომელი საბაპათინ ბეი? ვერ გიხსენებთ... დიახ, დიახ, ბატონო... ჯავიდანის ქორწილში ვიყავი... დიახ, ქმართან ერთად. იქ შეგხვდით? თქვენ შეგხვდით? ვინ გახლდათ-თან? ვერ გავიგე. ჰა, დიახ, ნუვეირეს ვიცნობ? — რა თქმა უნდა, ჯანიმ, ჩემი კარგი მეგობარია... კარგა ხანია... მაგრამ რაღაც ვერ გიხსენებთ.

აღბათ, ყურადღება არ მოგაქციეთ. კარგით, ასე იყოს. დიახ... რა გნებავთ? ვერ გავიგე. ჩემთან შეხვედრა და საუბარი გსურთ?... რის შესახებ? დიახ, დიახ, ბეიეფენდი. აჰ, ამ საკითხზე? კი, მაგრამ იცით, რაშია საქმე? ... ვალაპი, მინც კარგად ვერ გავიგე, ვინ ბრძანდებით.

ცოტა რაბ მითხარი თქვენ შესახებ, თუ შეიძლება. გისმენთ, ეფენდი... რაო, ვინაო? არა, ვერ გავიგე, ვისი ნათესავი ბრძანდებით. ახ, ჟურნალი წერდა თქვენ შესახებ? რაო, რაო? ძალიან მდიდარიაო? მაპატიეთ. ერთხელ კიდევ ვერ შეტყუვით, ვისი ნათესავი ბრძანდებით? აჰ, მივხვდი, დიახ, დიახ... ძალიან პატივსა ვცემ, ეფენდი ძალიან პატივსაცემი პიროვნებაა. რა თქმა უნდა, დიდი ხანია, ვიცნობთ ერთმანეთს. კაცის სახელი ასეთ უბრალო კორებში არ უნდა გაესვიოს, მაგრამ რას იზამ, ხდება... კეთილი, ბეიეფენდი, დავანებოთ ამას თავი. თქვენ შესახებ მომიყუევით ცოტა რაბ... არა, პირიქით, ყურადღებით გისმენთ. იმპორტიორი ბრძანეთ, არა? რა შემოგაქვთ? გასაგებია, რკინა-კავეყული... დიახ. დიახ, რა თქმა უნდა. უდავოდ ძალიან სარფიანი საქმეა. რატომ დანებეთ თავი? აა, ზეთისხილის შემოტანა უფრო მომგებიანია? შესაძლოა, ბატონო. ესე იგი... ახ, რა თქმა უნდა. არა, მაგის თქმა არ მინდოდა... ისპანახიო?... დიახ, არც ეს არის ურიგო საქმე. რასაკვირველია, მესძის, რომ სარფიანია. აა, დიდი საქმე გაქვთ წამოწყებული... არა, არ გაწყვეტინებთ სიტყვას, გისმენთ, გისმენთ, ბატონო. იმ კადილაკზე ზრძანებთ, ამ უკანასკნელად რომ მოვიდა საბაქოში? ექვი არ არის, ბატონო. გაზეთი კი ბევრს არაფერს ნიშნავს. რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა... სწორი ბრძანდებით! ადვილი საქმეა... გააკეთებენ ბატონო. რატომ არ უნდა გააკეთონ? უნდა უთხრათ... რა ბრძანებაა! პარტიისტვის თავ-

დადებულ მუშაკს ვრთხელ საქმე გამოუჩნდა... თანაც იმდენად უმნიშვნელო, რომ... დიახ... ძალიან კარგი... ვალაჰი, ვერ გავიგე. დიახ, ცხადია, ძალიან სწორია... ამ წარმავალ ქვეყანაში... რასაკვირველია... ეგვიპტი არ არის, ბეიფენდი. გისმენთ... პირიქით, ძალიან კარვად გისმენთ. დიახ. შეგიძლიათ მითხრათ. არა, რას ბრძანებთ, ნუ გერიდებთ! ყველას აქვს სურვილის გამოთქმის უფლება. ბრძანეთ! კმ... სიყვარულის შესახებ გსურთ გაიგოთ ჩემი აზრი? არ ვიცი, აბა რა გითხრათ: ეს შეკითხვა ჩემთვის მოულოდნელია. არა, კი არ მერიდება... ალბათ იცით, რომ მე გათხოვილი ვარ... აქაოდა, ქმარი გერმანიაში წავიდაო. არა, არა, ცუდად არ მესმის. გთხოვთ, ერთ წუთს ნუ შემაწყვეტინებთ სიტყვას... დიახ... გერმანიაში ათ დღეს დარჩება. ვფიქრობ, თებერვლის დასაწყისში ჩამოვა...

კეთილი, რატომ გინდათ გაიგოთ ჩემი აზრი სიყვარულის შესახებ? აპ, საერთოდ?

ალო, ალო! ოი, ალაპ, კვლავ გაითიშა. ღმერთმანი, გადარევენ აქცს ეს ტელეფონები!.. ალო... ალო... საბაჰათინ ბეი გაითიშა. ალო. კეს-მით? არაფერი ეშველა ამ სტამბოლის ტელეფონებს. ნერვიულობის მეტი არაფერი სარგებლობა არ მოაქვს. დიახ, ხო, რას ვამბობდი? ეფენდი, სიყვარულის შესახებ, არა? ღმერთმანი, მე რომ მკითხოთ, სიყვარული სკოლის მერხზეა კარგი და სასიამოვნო, თორემ ისე ცარიელი. უცნაური გრძნობაა და მეტი არაფერი. უფრო სწორად, როგორ ვითხრათ, არ ვიცი... იცით, ბევრი ამხანაგი მყავს. თითქმის ყველა სიყვარულით გათხოვდა, არავინ კი ბედნიერი არ არის. მაშინ, როცა მე უსიყვარულოდ გათხოვდი და დღეს ძალიან ბედნიერი ვარ. ალო, მისმენთ? რას ვამბობდი? დიახ, აი, ასეა... რა თქმა უნდა, ეკვი არ არის. თქვენც შეიძლება გქონდეთ თქვენი აზრი სიყვარულის შესახებ. მასაც პატივს ვცემ... ვერ გავიგე. უკაცრავად, სიტყვებს ვერ ვარჩევ. შეგიძლიათ ცოტა ნელა ილაპარაკოთ? სადაური ბრძანდებით? გაზიანთეფელი? დიახ, გეტყობათ. თქვენს მეტყველებაში რაღაც მეუცხოვება, მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს. დიახ, გისმენთ, რა თქმა უნდა, რა მნიშვნელობა აქვს! რას ბრძანებთ, ბატონო, ყურადღებით გისმენთ. ესე იგი, საშუალო ტანისა ხართ. რამდენი კილოა? 104? არა. აოც ძალიან ბევრია. მა-მაკაცისთვის ეს წონა არც თუ ისე ბევრია... არა, პირიქით. კაცს ძეწკვი უხდება. საათის ძეწკვზე არ ბრძანებთ? დიახ, რა თქმა უნდა, ვცა... კბილები? ზედა კბილები სულ ოქროსი გაქვთ?.. ვალაჰი, რომ არ ვიცი! ნეტავ, რომ იცინით, როგორ მოჩანს? ცხადია, ეს თქვენი ნებაა... საღ გინდათ იყიდოთ ბინა? შიშლიში? აა, მივხვდი. ტრამვაის გაჩერებასთან რომ გრძელი შენობაა, ალბათ ის, არა?... მშვიდობაში შოინხარეთ. ბატონო! გარაყი აქვს თუ არა, არ ვიცი, მაგრამ ასლომახლო ბევრი გარაყია. რატომ უხდა შემეპაროს ეკვი. ვისაც პირის გემო აქვს, რა თქმა

უნდა, ვისკის დაღევს. ძალიან ხუმარა ყოფილობათ, ბატონო, მესმის, რა თქმა უნდა, მესმის. რა ვიცი, რატომ არ მოღვაწეობთ პოლიტიკაში? რა ბრძანებაა, ბატონო. სამშობლოს სამსახური ძალიანაც მომქანცველი რომ იყოს, კაცისთვის საპატიოა... არა, ცუდად ნუ გამიგებთ, არ ემსახურებითო, კი არ ვამბობ. მე მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ თქვენს მოღვაწეობას მართო ვაქრობით ნუ შემოფარგლავთ! ოპოზიციამაც უნდა ისარგებლოს თქვენით. 1958 წელს იქნება, ალბათ... დიახ, ორი წელი კიდევ წინ არის. დარწმუნებული ვარ, რომ გაიმარჯვებთ. რაიონში ასე თუ უყვარხართ ყველას... რაო, რა თქვით? წყალი არ გაუვაო? მართლა? ესე იგი, თქვენი სიტყვა და საქმე ერთია, რა თქმა უნდა, რა უფლება მაქვს არ დავიჯერო მისი ყველა ნათქვამი, როგორც წესი, ახდება ხოლმე. ძალიან გავლენიანი კაცია. ოპ, ოპ, როგორ არ ვიცი, ბატონო! ისინი დღე და ღამეს რომ არ ასწორებდნენ მუშაობაში, ვალაპი, დღეს ამდენი სიკეთე არ გვექნებოდა. რამდენიც არ უნდა ვილოცოთ მათთვის, ცოტაა... რა თქმა უნდა, თქვენც გიხილავთ მათ შორის. ეს კემშარიტებაა... მთელი სულით და გულით ვისურვებდი, ბატონო... შეხვედრა? ჩემთან შეხვედრა გასურთ? ვალაპი, არ ვიცი, როცა ჩემი ქმარი შინ არ არის, როგორც წესი, გარეთ არ გავდივარ. რა თქმა უნდა.. ჭორებს ვერიდები. ჩემ შესახებ ბევრს ვერაფერს იტყვიან, მაგრამ მაინც ვერიდები. არ გავდივარ, ბატონო, გარეთ არ გავდივარ. თქვენ გნებავთ მოსვლა? კი მაგრამ, როგორ იქნება?! როცა ქმარი შინ არ არის, ჩემი ამხანაგი მამაკაცების სიარული ჩემს სახლში პრინციპულად არ არის გამართლებული. არა, თქვენს გულწრფელობაში ვის ეპარება ექვი, გეთაყვათ, რა თქმა უნდა... ორი-სამი სიტყვით არაფერი დაშავდება, მაგრამ, ვალაპი, არ ვიცი...

ორკილოგრამიანი ყუთით ზეთისხილი უნდა მოიტანოთ? ოპ, რა შესანიშნავია, საბაპათინ ბეი... ამისთვის კი დიდი მადლობელი ვარ. ნუ შეწუხდებით... ბრილიანტის საყურე დღეს ძალიან ძვირია... არა, ძალიან გთხოვთ, ასე ნუ დაინარჩევით... რა გითხრათ, არ ვიცი. არ მსურს თქვენს თავაზიანობას უხეშობით ვუპასუხო. დიახ, მეც მინდა კოქტეილის დაღევა, მაგრამ აკი მოვახსენეთ, ჭორებისა მეშინია-მეთქი. არა, არა, ეგრე არ არის... მაგ საკითხში ცდებით! ვიცი, ასე ნახევარი საათით გასურთ მოსვლა, არა? როგორ მოვიქცეთ ნეტავ!? გაოგნებული ვარ პირდაპირ. თქვენი წყენინებაც არ მინდა. კეთილი, რადგან ასე დაჟინებით მთხოვთ, დაგელოდებით. ჩემს სილამაზეზე ბრძანებთ? არა, გეთაყვა, მე არ გეთანხმებით. განა ჩემი თავი მე უკეთ არ ვიცი? ამხანაგებს ნუ უსმენთ.

ისინი ყოველთვის მელაქუცებიან. ასე მეუბნებიან, თითქოს თითზე ჩამოსათვლელია შენისთანა ლამაზი ქალიო! მე კი ამას ყოველთვის ქათინაურად ვღებულობ. ხომ გითხარით, რომ თანახმა ვარ... მაგრამ არა,

მოიცადეთ, საღამოს 6 საათზე არ მოხერხდება. არა, არა, შვილის ნახე-
ვარზეც არ იქნება. შვილზე... დიახ, შვილზე შეიძლება... იმიტომ. რომ
ეჭვს საათზე აბაზანა უნდა მივიღო. ამ ჩვევას არასოდეს ვლალატიბ. აბა-
ზანიდან შეიღს რომ თხუთმეტი დააკლდება, მაშინ გამოვდივარ ხოლმე.
დიახ ორმოცდახუთ წუთს ვანდომებ. ზუსტად შვილზე მობრძანლებით
და ერთ-ორ ჰიქას დავლევთ. კეთილი, საბაჰათთინ ბეი, კეთილი... ძა-
ლიან კი გაირჩებით... გელოდებით... არაფერს, ბატონო. რა ბრძანებაა!
დიახ, შვიდ საათზე გელოდებით. ძალიან თავაზიანი ბრძანდებით. ზედ-
მეტადაც ნუ გაირჩებით მაინცდამაინც... გთხოვთ. ნახვამდის, ძვირფა-
სო... მეც ასევე.

მოკვეთილი მარჯვენა

ერთ მშვენიერ დღეს ღმერთმა ადამიანი გააჩინა. ურთაში, პარანის ველზე ახლად მომკილი პურის ყანაში თავთავებს შორის იშვა იგი დედის მუცლიდან. ზღვად გადაქიმულ ველზე ხარივთ რეკდა მაშინ ქალსა ხმა. კაცი სირბილით მივარდა ცოლთან და დაუყვირა:

— რა გაყმუილებს, ქალო, ძალივით!

ქალი გავაზე წამომჯდარიყო. ორივე ხელი ზურგის ქვეშ ამოედო საყრდენებად. პასუხად მხოლოდ ეს წაიკენესა:

— მგონი ნიფხავში ბავშვი ჩამვარდა მუცლიდან.

— მერე რა გაყვირებს, დედაკაცო! ასე მეგონა, ნამუსსა გხდიდნენ. შენც ნიფხვის ზორტი შეიხსენი, ვნახო ერთი, ბიჭი თუ არის.

ხელი შეაშველმა კაცმა ცოლს. მაგრად შეკრული გრძელტოტიანი ნიფხვის ხვანჯარი წვალეზით გახსნეს. ცოლის საცულიდან ახალშობილი ამოიყვანა კაცმა. შეათვალიერა და წინ რომ ვერა დაუნახა რა, ცოლს მტრულად დაუბრიალა თვალები:

— ფუი შენს ქალობას, გოგო გაგიგდია! — უთხრა.

ქალმა დაიმორცხვა:

— რა ჩემი ბრალია, — თქვა. — აბა, ყოველთვის ბიჭი ხომ ვერ იქნება!?

— უნდა იყოს, მაშ როგორ გინდა! თავი მომჭერი სოფელ ქვეყანაში. თუ შობაა, ბიჭი უნდა შობო, აბა გოგო რის მაქნისია. რა გვეშველება ახლა, ეს რა ჭირს გადავეყარეთ!..

ველზე კი ამ დროს ტირილით აკატებოდა მცხუნეარე მზის ქვეშ ღმერთის მიერ ნაწყალობევი... არას დაგიდევდათ. ბიჭი იყო თუ გოგო, სიცოცხლისათვის მოვლენოდა იგი ქვეყანას პარანის ველზე...

იზრდებოდა ბავშვი ზაფხულის მტვერსა და ზამთრის ტალახში. თავს ობლად გრძნობდა ორ ძმას შორის საწყალი გოგო. ერთადერთი დანაშაული მიუძღოდა მხოლოდ: ქალად იყო დაბადებული.

მამამ არ იცოდა გოგოს ასაკი. დედა კი ძლივს-ძლივს ანგარიშობდა:

— ალბათ, მას შემდეგ ცამეტი წელი კი გავიდოდა, რაც საცვალში ჩაივარდა, — ამბობდა იგი.

ფადიმე იმ დღეს ყანაში წასასვლელად ემზადებოდა: მამისა და უფროსი ძმისთვის საგზალი ჰქონდა წასაღები.

დედა გადაუდგა წინ:

— მოიცადე, — უთხრა. — მაგ კაბით სიარული აღარ შეიძლება უკვე. ეს ჩემი ძველი აჯილა ჩაიცვი.

— კი მაგრამ, დედა, ჯერ ჩემს ტოლებს რომ არ ჩაუცვამთ?! — გაიკვირვა გოგომ.

— დღეის ამას იქით იმათ ნუ უყურებ შენ! ჯერ შენ ჩაიცვი. ვინც ნამუსში მეწინავეობს, ის საქმეშიაც წინ არის მუდამ. ჩვენ ვიყოთ პირველები, ვითომ რა უშავს?!

ფადიმემ უხალისოდ ჩაიცვა დედის აჯილა. დიდი მოუვიდა.

— ძალზე დიდი მაქვს, დედა, აჯილა. — ცრემლნარევი ხმითა თქვა გოგომ.

— პირველად რომ ჩამაცვეს, მეც დიდი მქონდა. ასეა მუდამ: შვილები დედის ნაკვალევს მიჰყვებიან ნამუსის გზაზე. შენ გეგონა, ჩემოდენა რომ გახდებოდი, მაშინ ჩაგაცმევი, შე დასამიწებელი, შენა! მე ვიცი შენი!..

დედამ აჯილის კალთები ქამარში შეუკეცა ფადიმეს.

— აი ასე, სიგრძეს კი ეშველება, სიგანეს რა ვუყო, თორემ. მოიცა ცოტა, სახეც უნდა დაიფარო. ჩამოიწიე ერთი ეგ ჩადრი.

ფადიმემ ჩადრით დაიფარა სახე. უცებ წყვლიადი ჩამოწვა თვალწინ. დედის საშოზე უფრო ბნელოდა ახლა მის ირგვლივ.

— დედა, კარგად რომ ველარა ვხედავ. ასე როგორ უნდა გავიდე ხალხში

— აჯილის ჩაცმა დიდი ბედნიერებაა, შე სულამოსახდელი, შენა! თუ ქალი ვარგა, სხვებს არც დაუწყებს ცქერას.

წაიღო ფადიმემ საგზალი და გაუდგა გზას. სიცხით დახეთქილ მიწაზე აგორებულ ქვასავით მიდიოდა. გოგოს შავი ჩრდილი ეცემოდა ახლა იმ ადგილს, სადაც გუშინ სცილ-თამაშით მიაბიჯებდა. პაწაწა ქალის მქრქალი აჩრდილი ძუკში გამოჰყვლებილი ხახვას თავივით სიფრითფანად ეფინა გზაზე.

ერთ დღეს ფადიმეს შავი ჩადრის ქვეშ ციმციმით მოთამაშე თვალებს შვის შუქთან ერთად ოსმანის სახეცაე მინათა. გოგო კარგად ვერც კი ცნობდა ოსმანის ნაკეთებს. არც ის ახსოვდა, სად ენახა პირველად ახალგაზრდა ოსმანის სახე: კიდან წყალს რომ იღებდა, თუ მეზობლისგან რომ ბრუნდებოდა. მოსახდენი კი უკვე მომხდარიყო: თვალში მოხვედრილი ოსმანის სახე მერე გულში ჩაუვარდა ფადიმეს. ოსმანის სიყვარულმა შეიპყრო იგი...

სოფლის მოედანზე გადადიოდა ფადიმე ბაირამის დღეს. ოსმანი შე-
მოხვდა წინ. ერთმანეთს ჩაუარეს. ხუთიოდე ნაბიჯის შემდეგ ეშმაკმა
აცდუნა ფადიმე და უკან მოაბრუნა. ოსმანიც უკან მობრუნდა რატომ-
ღაც. ვაჟი ვერ მიხვდა, ვისი რა იყო ეს გოგო, მაგრამ თვალი გააყოლა
ფადიმეს. და როცა გოგო თავის სახლში შევიდა, ენიშნა მაშინ: „ფადი-
მე ყოფილა“, ჩაილაპარაკა თავისთვის ჩუმად. მერე გაიღო მისი გულიც
სიყვარულისთვის...

რამდენიმე თვის შემდეგ ოსმანი ჯარში გამოიძახეს. წავიდა იგი ფა-
დიმეზე შეყვარებული, მისი ეშხით სულაწეწილი...

ჯერ სოფელს ოსმანის წერილიც კი არ ჰქონდა მიღებული, — და-
ნიშნულების ადგილზე ჩავედიო, რომ ფადიმე მამამ მურთაზას მი-
ათხოვა.

ერთ დღეს დედამ ჩამოუარაკა:

— გაიგე, გოგო, მალე მურთაზას უნდა მიგათხოვოთ.

ფადიმეს ტუჩები აუქანკალდა; გულმა ძალუმად დაუწყა ძგერა:

— მურთაზა ვინ არის?

— მაგას რასა კითხულობ, გოგო! ჩვენ დროში რომ გვეტყოდნენ,
მაგანს უნდა მიგათხოვოთო, სირცხვილისაგან მიწაში ჩასაძრომ ადგილს
ვეძებდით. მურთაზა ვინ არისო, რომ შეკითხები, ვინ უნდა იყოს, კაცია
ერთი.

— კი მაგრამ, დედა...

დედამ რომ დაინახა, გოგო სირცხვილისაგან გაქცევის არ აპირებდა
და მის წინ სარიეთ დაბრუნდებოდა, გაბრაზებით მუშტი უთქა:

— ერთი კიდეც ამოვიღია ხმა და მაგ ენაზე მატლებს დავასხამ...

ფადიმემ თავი ჩაღუნა და ახორს მიაშურა. იქ ერთ კუთხეში ჩამოჯ-
და და თავის შავ ბედზე მწარედ ატირდა. რა იქნება, ახლა ოსმანი მო-
ვარდეს უცბად, დააძროს ჯარისკაცის მაუზერი და გაიტაცოს ქალი სოფ-
ლიდან...

ამ ფიქრში რომ იყო, რაღაც ფაჩუნის შემოესმა. გოგო წამოხტა.
ცოტა ხანს ყური მიუგდო: თითქოს მორიელები და გველები დასრი-
ალებდნენ. გულში გაივლო: „მოდით, დამგესლეთ, ჩავძალღვე ბარემ,
ამომხდეს სული!“

ადგილსამყოფელს დაუბრუნდა ისევ. მუხლებზე დაიჩოქა. მცირე
ხნით გაყურდა. ველარ ტიროდა, მაგრამ არც ფიქრი შეეძლო...

პატარძალი გახდა ფადიმე...

ჯერ ერთი კვირაც არ გასულიყო, რაც მურთაზას გაჰყვა ცოლად.

ერთ საღამოს, როცა მზემ ჰარჩანის ველზე გამოგზავნილი სხივები
ისევ აჩრდიდა, მურთაზამ ცოლს დაუძახა:

— ცხენი მომიშადეთ! — უთხრა.

— სად მიდიხარ ამ უდროო დროს? — ჰკითხა ფადიმემ.

— მისმინე, ქალო, ერთი საიდუმლო უნდა გაგიზილო: ჩემი ლუკმა-ბური სირიაშია. ასე ვთქვათ, კონტრაბანდისტი ვარ. სიკვდილი ახრდილივით სულ თან დამდევს. დაიმახსოვრე შენც — დღესდღეობით კონტრაბანდისტის ცოლი ხარ. უნდა ივთქვას: თუ აქ მოვლენ და მე მიკითხავენ, „ქალოზე წავიდა-თქო“, ეტყვი. „რა ქალოზეო“, თუ გკითხავენ, „ცოლმა რა იცის, რა ქალოზე დადის ქმარი-თქო“. გაიკე, ასე ეტყვი და მოიშორებ თავიდან. შენ კი ყოველ ჩემს წასვლაზე იცოდე: მხე ორჯერ რომ ამოვა, მეც აქ გავჩნდები. თუ არ დაებრუნდი, იფიქრე, რიამ სადმე ამოხდა სული ნახევრად...

ფადიმე პირგამშრალი იდგა. ხმას ეერ ილებდა. მერე გონს მოეგო და ქმარს შეეკითხა:

— ნახევრად სიკვდილი რას ნიშნავს, ალა?

— კონტრაბანდისტს ორმოცი სიცოცხლე აქვს. სული ადვილად არ ამოგვდის ჩვენ. ხშირად გვეკრიან, მაგრამ იოლად ვერა გვკლავენ. ნახევრად სიკვდილი დაქრასა ნიშნავს. თუ დაქრილი სადმე გავგორდი, ჩემს ცხენს დაელოდე, ის უსათუოდ მოაგნებს სახლს...

მურთაზა ცხენს მოახტა და სიბნელეში გაუჩინარდა. ფადიმე დიდხანს გაჰყურებდა მიმავალ ქმარს.

ჯერ კარგად არ გათენებულოყო, მამალმა რომ იყვილა. პარანის გზაზე მიმავალი ვირების ყროყინზე გამოედვიდა ფადიმეს. მხე ორი კაცს სიმაღლეზე აზიდულოყო, ვილაკამ კარზე დააკაქუნა.

ფადიმემ შიშით იკითხა:

— ვინ არის მანდ? რა გინდა?

— მე ვარ, გამიღე, ოსმანი ვარ...

ფადიმეს გული გადაუბრუნდა. დაუფიქრებლად გაალო კარი. თითქოს შემოცურდა შიგნით ოსმანი. ფადიმე შიშისაგან კანკალებდა:

— კი მაგრამ, შენ ჯარში არა ხარ წასული?! — ძლივს იკითხა ქალმა.

— გუშინ ჩამოვედი. შენთვის ორი სიტყვა მაქვს სათქმელი. ეს უნდა გითხრა: თუ შენი ქმარი მოკვდება... გაგებული მაქვს, კონტრაბანდისტი ყოფილა თურმე. მაგათი სიცოცხლე კი მუდამ ბეწვზე ჰკილია, გესმის?

უეცრად კარზე მაგრად დააბრაზუნეს.

ფადიმეს შიშით გული გაუსკდა:

— ვაიმე, ეს მურთაზაა. დადგა ჩემი აღსასრულის დღე და ეს არის ოსმანიც დაიბნა:

— დამმალე სადმე, დამმალე, — წაიღუღლულა.

ოთახში შევიდნენ. ოსმანი ძირს გაფენილ ქილოფში გაეხვია. სიკე-
დრის შიშით შეპყრობილმა ფადიმემ გადახვეული ქილოფი კედლის
ერთ კუთხეში დააყუდა ხმის ამოუღებლად. შემდეგ ქარზე უსწრაფესად
კართან მიიბრინა და გააღო.

მურთაზამ შემოსვლისთანავე გამოცრა კბილებიდან:

— საზღვარი დანაღმული ყოფილა. ჩაგვამწარეს ლუქმაპური, ასე
ვთქვით...

ფადიმე უსიტყვოდ იდგა გაფითრებული. ოთახში შეუძღვა ქმარს.
მურთაზამ იატაკზე დაგებული ქილოფი რომ ვერ დაინახა, ოთახს მო-
აელო თვალი. ერთ კუთხეში კედელზე მიყუდებულ ქილოფს ესროლა
მზერა. უცებ სახე შეეცვალა: ქილოფის ძირში გარეთ დარჩენილი ორი
ფეხი დაინახა.

— ვინ არის ეს, დედაკაცო, შე ვიაურის ნაშიერო, შენა!

ფადიმე ცახცახებდა:

— შენ შემოგველოს ჩემი სიცოცხლე, არავითარი ბოროტება არა
გვექონია გულში, არავითარი ბოროტება!..

მურთაზამ სიტყვის დამთავრება აღარ აცალა ქალს. მხარზე გადაკი-
დებული მაუზერი დაუმიზნა ქილოფს და თავიდან ბოლომდე ტყვიებით
დაცხრილა. ფადიმეს კივილმა ძირფესვიანად შეძრა სოფელი.

ქილოფში გახვეულმა ოსმანმა უხმოდ დალია სული. ქილოფი გაშა-
ლეს და სისხლში ამოსვრილი ოსმანის გვაში უსულოდ გაგორდა მიწაზე.

ფადიმეს კივილსა და სროლის ხმაზე მოვიარდნილი მეზობლები კიშ-
კარს მოაწყდნენ და ეზოში შემოცვივდნენ. კარის ზღურბლზე ხელში
მაუზერშემპართული მურთაზა დაინახეს. მურთაზამ მეზობლებს სიტყვა
არ ათქმევინა, ცოფიანივით ღრიალებდა:

— ჯერ ერთი წელიც არ გასულა და სახლში კურო მომითრია ამ
კახპის შვილმა... ჩემს სინდის-ნამუსს არავის წავაბილწვინებ. ის ვაება-
ტონი ხომ მოკვალი, ახლა ამისი რიგია, ამ ბოზების დედოფლისა. ჩემი
ხელის შემშლელის ცოლიც და დედაც...

ხალხს ერთი კაცი გამოეყო. მურთაზას მიექრა და თხოვნით მიმართა:

— ეს საქმე მე მადევს ვალად. სინდის-ნამუსში შენ ვერ ჩაგრევე. თუ
ამ ნაბიჯების ძმა ვარ, მისი თავი მე უნდა მომცე!

უფროსი ძმა ხალხში მიმალულ ფადიმეს სწედა და სახლისაკენ წა-
ათრია. ხალხს ჯერ კიდევ ფადიმეს კივილი უწიოდა ყურებში, რომ ახლა
ფადიმეს დედის კივილმა შეძრა სოფელი.

უფროსმა ძმამ სახლის ეზოში შეათრია ფადიმე. ჯერ დანით დაკლა იგი
და მერე ძირში მოკვეთა მარჯვენა ხელი, რომლითაც ქალმა თავის მე-
გობარს გაუღო კარი. ეს საქმე მოათავა და დამშვიდებით გაიარა ეზო
უფროსმა ძმამ. ოთახიდან თავის ტომის შუბი გამოიტანა და სახლის წინ
ეზოში ჩაარქო. მერე დის მოკრილი მარჯვენა ჩამოაცვა ზედ. და ეს სა-

გვარტომო შუბი ახლა ფადიმეს ძმისთვის ბრძოლით ალებულ მტრის სან-
ჯაუზე ძვირად ფასობდა...

და მოხდა ასე: ფადიმეს ოჯახს მისმა სიკვდილმა უფრო გაუთქვა სა-
ხელი სოფლად, ვიდრე ამქვეყნად მისმა გაჩენამ..

შამჩაღრიანი პატარძალი

გარეთ გაიხედა შარამ. წუხანდელზე ნათელი იყო ეს ღამე. ასეთი
ღამე იცის ტრამალზე, როცა მთვარეს მზე დაჰკრავს ხოლმე.

უცბად ფანჯრის ცოტა მოშორებით რაღაცა ლაქა შენიშნა შარამ.
მისი ქმრის მიერ მოკლული კაცის სისხლი იყო ეს. მოწმენდილ ღამით
თითქოს სისხლი სდიოდა მიწას.

„ახ!“ აღმოხდა გულიდან შარას.

უმწეო იყო ყველა ძალა იმედებისთვის, რადგან ღმერთს ზურგი შე-
ეკცია შარასათვის გუშინდელს აქეთ; სული წაართვა მისმა ქმარმა
ღვთის მიერ შექმნილს შემქმნელზე უმაღლეს.

ქმრის ცოდვის თანამოსაქმე თავი ფანჯრის გისოსებს მიაყრდნო შა-
რამ. მისი თვალები კვლავ სისხლიან მიწას ზვერავენ. ჯერ როგორც
ლანდი, აღიმართა მიწიდან სისხლი. მერე ის ლანდი გამოცოცხლდა და
ამოძრავდა. შარას ქმარი დაედევნა უკან იმ აჩრდილს. გამოიყვითა მო-
სისხარი ხელში დამბაჩით. სწრაფად და გზნებით რაღაცას ბჭობდნენ
მეზობელი და მისი ქმარი. მერე დამბაჩა დაახალა მეზობელს ქმარმა.

ტრამალის თავზე ფეხადგმულ ლამპას ჩამოჰგავდა მთვარე იმ ღამით.
სახურავეებზე ნება-ნება დასეირნობდა. ამ დროს ნიავემა წამოუქროლა.
ჯერ სული გაქრა, ლანდში მოსახლე, მერე ის ლანდი გაიშორა იქვე უსუ-
ლოდ. გაწითლებულ მიწასთან დარჩა შარა პირისპირ. „ახ!“ აღმოხდა
ისევ გულიდან, „ჩვენი მეზობლის სისხლია ეს“.

გული შიშით აეცსო პირამდე. ფანჯარა დაეცა შარამ. მცირე ხნით
თითქოს გონიც წაერთვა. გიჟივით დატრიალდა ოთახში. იატაკზე მიწო-
ლილ ბავშვებს წამოსდო ფეხი. მერე დაეცა და ქალიშვილის ფეხის
წვერებთან ამოყო თავი.

ამასობაში გლოვის ზარი იდგა ტრამალზე, თითქოს მას თავზე მთვ-
რის შუქი არ დაჰნათოდა.

„მითხარი, დედა, საზვარაყე ბატყანი ვარ მე?“ — ჰკითხა გენზუმ.

ზღურბლზე ისხდნენ დედა და შვილი. დილით ადრე კი იალალზე
აპირებდა წასვლას ოჯახი. შარამ ქალიშვილის თმებში შეაეცურა ხელი.

„მეა რომ მოგიკლან, ის აჯობებს, შვილო?“ ჰკითხა დედა.

„კი მაგრამ, ის ხომ პატარაა. თითისტოლა ბაღს ვინ მოკლავს, დედა?!” გაიოცა ქალიშვილმა.

„აქლიან გაზრდას, შემოგვევლოს ჩემი სიცოცხლე. ობალის გვარი შურისგებას არ დაივიწყებს“.

„ვთა ჩემს თავს!“ თქვა გენზუამ, ცამეტ წელსაც არმიღწეულმა; „მეც პატარა ვარ, დედაჩემო, ნუ გამიმეტებთ. სხვა არაფერი ეშველება ნუთუ-ამ საქმეს?!”

„მაშინ მიწას წაგვართმევს მოკლულის სახლი. მამაშენი რომ ციხეში არ იქდეს. კირსაც წაუღია ჩვენი მიწა!“ უთხრა შარამ.

გენზუამ თვალეები დაბლა დახარა. მიხვდა, ამოა იყო ყოველი. ღრმად ჩაისუნთქა.

„უბედურ დღეზე დავბადებულვარ. გინდა მიყიდეთ, გინდა გამყიდეთ, რა გაეწყობა!“

შარამ ტუჩზე იქბინა. შვილის სიყვარული მოეძალა უცბად.

„დედა ენაცვალოს, შვილო, შენს სიცოცხლეს, ჩვენი ოჯახის ფარად აღმართულს ადექი, დროა, ტანსაცმელი გამოიცვალე!“

გენზუა შიშით მოიკრუნჩხა.

„დღეს უნდა მოხდეს სისხლის ზღვევა?“ ჰკითხა მან დედას.

„ჰო“, უთხრა შარამ, „მოკლულის სახლი დაუღვრელ სისხლზეც თანახმაა, ოღონდ გვაჩქარებს“.

ცამეტი წლისა იყო მხოლოდ გენზუა. ტანს კიდევ აიყრიდა წლითი-წლობით, ძვლები გაუმაგრდებოდა. მამის ოჯახში ან ბედნიერად ან უბედურად გაატარებდა სიცოცხლის დღეებს. ასე ფიქრობდა იგი აქამდე. ახლა კი მამის ხელით დაღვრილი სისხლი საკუთარი სისხლით უნდა გამოესყიდა. მიხვდა, ვიწრო და ბნელი იყო აწ მისი სავალი გზა. ასე პატარა დარჩებოდა სამარადეამოდ, დედას ჩაეკონა, ოღონდ არ უტირია. ნება კი ჰქონდა ტირილისა, მაგრამ ტირილი აღარ ახსოვდა ახლა უბედურს.

შარამ ხელი ჩასჰიდა გოგოს. ბავშვის აქამდე მსუბუქი ტანი ახლა ემძიმა რატომღაც დედას. გენზუა ისე გაძალიანდა, როგორც გაჯიუტებულმა ზვარაკმა იცის, დანის დანახვაზე აბღავლებულმა.

„ზვილ გამისტუმრე, დედა“, თხოვა ქალმა. „ამალამ აქ დაერჩები, ერთად დავწვეთ, ერთ მხარეს შენ მომიწეკი, მეორე მხარეს ჩემი ძმა დიწვეს“.

„შენს თვალებს ვენაცვალე, შვილო“, სასომიხილი ხმით უთხრა შარამ: „მოკლულის სახლი სისხლის გაციებას არ გვაპატრებს... ისინი დღესვე მთხოვენ შენს თავს. უნდა შევასრულო მათი ნათქვამი“

ოთახში შევიდნენ. წალოდან ლეიბ-საბანი ჩამოიღო შარამ. გენზუას სკივრსაც ახადა თავი. მწვანე ფერისა იყო სკივრი, გარშემო შემოწნული...

„გაიხადე!“ უთხრა შარამ.

გენზუამ თავახდომილ სკივრს დახედა. ზოგი ბებიის დანატოვარი, ზოგი დედის ნაჩუქარი, ზოგიც საკუთარი ხელით მოქარგული ცოტაოდენი მზითვეი ეწყო შიგ. გული გაუხალისდა ოდნავ.

„ესენი?“ იკითხა გენზუამ და ალუბოური აბრეშუმით ამოქარგულ ბალიშის პირებზე ანიშნა დედას.

„ეს ყველაფერი აქ უნდა დატოვო. ქორწილი არ გექნება შენ“, უთხრა შარამ

გენზუა ფეხებზე შემოეხვია დედას. ტირილი ახლა თაფლზე ტყბილი იყო გოგოსთვის.

„ვისზე უნდა გავთხოვდე, დედა“, კითხა ბოლოს, „ასე ექორწილოდ, ლხინის გარეშე“.

შარამ თავი ჩარგო შვილის იწით ოდნავ შეღებულ თმაში. სიცილზე მეტად ეამა მასაც ტირილი.

„რა ვიცი, გენზუა, ან მოკლულის რომელიმე ვაჟი შეგიერთავს, ან სხვა ვინმეს მიგყიდიან. უპირთ ახლა მაგათ“.

რაც უფრო მალა მიიწყედა მზე, მით უფრო პატარავდებოდა ველზე ჩრდილები. გრილობმა საგრძნობლად იკლო. მხოლოდ საპყარი მოხუცებილა დარჩნენ სახლებში...

შარამ კიშკარი გამოაღო. არავინ ჩანდა ახლა გარეთ. მცვალებულის სახლის პირდაპირ იდგნენ ისინი. სახლის სიღრმიდან გლოვის ზარი გამოდიოდა. ხნიერი ქალი იყო ზარით მოტირალი. მკვერი სიტყვებით ამკობდა მოკლულ ვაჟიშვილს.

გენზუა დედას მიჰყვებოდა სულგანაბული. ცოტა ხნის შემდეგ შევიდოდა იგი იმ სახლში, რომლის კედლებიც გლოვით ტრროდნენ.

„ნუ გეშინია“, უთხრა შარამ, „ღმერთი დიდია. ჩვენ ოღონდ წესი არ დაეარღვიოთ...“

„ახლა კი ვხედები, პირობა გაქვთ თქვენ მიცემული: მოკლულის სახლში საპატარძლო თეთრი კაბის მაგივრად შავი ჩადრით უნდა შევიდე“.

გაჩუმდა გენზუა. ძმა გაახსენდა ანაზღად. კარგა ხანს იდგნენ დედა და შვილი ღია კარებთან.

„კი მაგრამ, ჩემი ძმა? ის როგორღა უნდა ვნახო? დღეს მაინც არ წასულიყო ცხვარში“, თქვა ბოლოს გენზუამ.

„თუ გიწერია, იმასაც ნახავ როდისმე“, უთხრა დედამ.

იმედი მთაზე უფრო მიუწვდომელი ეჩვენა გენზუას.

„ეპ, — ამოიოხრა გოგომ, — თვალებს ვუქოცნი ჩემს ძმას. მამასაც

შეუთვალე, შენი ქალიშვილი ხელებს გიკოცნიდა-თქო სახლიდან წასვლის წინ“.

ერთხელ კიდევ გადაეხვიენენ ერთმანეთს. თითქოს უკანასკნელი იყო მათი შეხვედრა. მაგრად ჩაეკრა დედა შვილს.

განშორებისას შარა ძირს დაიხარა და კენჭი აიღო მიწიდან. მიცვალებულის სახლს დაუმიზნა. არ უსროლია ოლონდ. ვერ შეძლო სროლა. ქალიშვილს მიუბრუნდა:

„მისმინე, შვილო, თუ შორს სადმე გაგყიდონ, წასვლის წინ სახურავზე ადი, იცოდე, კენჭი ესროლე ჩვენს ფანჯარას. წასვლამდე, მინდა ერთხელ მაინც შეგავლო თვალი“.

„ეჰ! — ამოიკენესა გენზუამ. შეეცოდა საბრალო დედა. — სიტყვას გაძღვევ, არ წავალ შორს შენს უნახავად“.

ისევ დაუბერა ნელმა სიომ. მტვერი ავარდა მიწიდან. მოკლულის სახლში ისევ გაისმა გლოვის ზარი. ზეაჟრილი ხმა შავ ვარსკვლავებად მიმოიბნა ცის კამარაზე.

ახლა კი ესროლა შარამ კენჭი მოკლულის სახლის კარს. არ გაღებულა კარი. რამდენჯერმე ესროლა შარამ და ბოლოს შეწყდა მოთქმა მიცვალებულთან. მერე ნელ-ნელა კარიც გაიღო. არ გამოჩენილა ოლონდ არავინ. თითქოს მაგიური ძალა აღებდა კარს. გენზუამ ფეხი გადგა წინ. ცამეტი წლისას სიბერისაგან დაჩიავებული მკვდარი ბებუის ჩადრი უფარავდა ტანს. მერე გენზუამ მამისეულ კერას შეუხედო ყველა ნაბიჯი, რომლის გადადგმა იქ არ დასცალდა, და გაემართა მკვდრის სახლისაკენ.

უზეგბაიჯანული ღიფეკაფერა

ნიზამი ბანჯეალი

ნიზამი განჯელი დაბადებული უნდა იყოს დაახლოებით 1141 წ. ცხოვრობდა განჯაში (აწინდელი ქ. კიროვადი), სადაც გარდაიცვალა 1209 წ. დასაფლავებულია იქვე. დაგვიტოვა ლირიკული ლექსები და ხუთი პოემა: „საიდუმლოებათა საგანძურის“, „ხოსროვი და შირინი“, „ლეილი და მაჯნუნი“, „შეიდი შთიები“ („ბაქრამ-გური“) და „ოსქანდერ-ნამე“. უდიდესი გავლენა მოახდინა აღმოსავლეთის ხალხთა ლიტერატურაზე.

ბაქრამ-გური

აბაავი დასანუნი

საიდუმლოთა საგანძურის
პატრონმა განძით
გამოძეგილი სახლის კარი
ასე გაგვიღო:
ზეცის ყაფანზე ორი ჯამი
ჰკიდია თურმე.
ერთზე გირი ძევს, მეორეზე —
თვალ-მარგალიტი.
ინ ჯამებდან ეს საწუთრო
ორსასოვანი
ხან სულ ძვირუას ქვებს გვაყრის თავზე,
ხან კი ქვებს გვიშენს.
მეფეთა თესლიც ვერ ამცდარა
ზეცის ამ კანონს,

ან ქვაა მისი ნაშიერი,
ან ძვირფასი ქვა.
ხან ქვას მოავლენს ქვეყანაზე
მისი ჯილაგი,
სან კიდევ ლალის ხასხასა ქვას
გამოაბრწყინებს.
სახელითა და წარმოშობით
ქვას და ძვირფას ქვას
იაზდიგარდის და ბაპრამის
ემგვანა საქმე.
მამა თრგუნავდა ხალხს, შვილი კი
მტლედ ედებოდა.
ნუ გიკვირთ: ლალს ქვა ახლავს, ინდის
ხურმას კი — ქაცვი.
ვისაც კრილობა მიაყენა
ურჯუმა მამამ,
მას ქველმა შვილმა იარაზე
მალამო ადო.

იმ დღეს კი, როცა გარიტრაჟზე
ბაპრამის დილამ
კუნაბეტ ლამეს უკუნეთი
გამოაცალა.
ცის სასწაულის საქმეებში
გასულმა მეფის
კაცებმა, მზის და მთვარის ზნეს და
ნიშანს რომ ჩხრეკენ,
ზეციის განაგის გასაგები
სასწორის ჯამზე
დადეს ბაპრამის ბედისწერა
გასასინჯაუად.
დაბალი სინჯის ვერცხლს ელოდნენ
ვარსკვლავთმრიცხველნი,
ხელში კი შერჩათ ოქრო, ისიც
მაღალი სინჯის.
ზღვით მარგალიტი ამოვიდა,
ქვით — იაგუნდი, —
თურმე მორკმული და სვიანი
მეფის ძე იშგა!
იღბალი მისი თევზის ბურჯი
იყო მუშთარი,

იდგა შიგ და მხარს უმშვენებდა
მას ასპიროზი.
შიგ კუროს ბურჯში იდგა მთვარე,
ხოლო მარიხი
მის ბედზე იჯდა სწორედ ღომის
ზოდიაქოში.
კრონოსს კი მისას ნებისაგან
ძალამოცემულს,
მერწყულისაგან სულ კინწისკერით
გაეგდო მტერი.
მის ზანაბს პირი კრონოსისკენ
მიეპყრო, ხოლო
მზე ჩავარდნილი იყო ვერძის
ზოდიაქოში.
ყველა ვარსკვლავი მოწმედ ჰყავდა
გამოყვანილი,
როგორც მუშთარი თვისი ბედის
კვერის დამკვრელი.
აი, ასეთი სვე-სუიანი,
ვით მოვახსენოთ,
იშვა ბაპრამი, ძე ზელმწიფე
იაზდიგარდის.
მამამ იმდენი კი იხმარა
გამჭირიანობა,
თავისი ვაჟის მომავალზე
მყისვე ეზრუნა.
შიშობდა მეფე, არასოდეს
არ უმართლებდა
და ავი ნერგი არ ისხამდა
სიკეთის ნაყოფს:
ეს თცი წელი იყო, შვილი
რაც კი გაუჩნდა,
ერთიე არ შერჩა, სათითაოდ
გამოეცალა.

სასახლის ვარსკვლავთმრიცხველებმა
ურჩიეს მეფეს,
ხელმწიფის შვილი, თვალადი და
ამოდ საკვრეტი,
ირანის ქვეყნით გაეხიზნა
არაბთ მხარეში

და გაეზარდა იქ სამშობლოს
მოშორებულნი,
ვინძლო იემენს წეოდა ის
ბედნიერებას⁶⁸,
ამ ქვეყნად ყველას თავისი აქვს
სავეანე ბედის,
რომ მეფეს იმ თემს მიეღწია
საწადელისთვის.
თუმცა კი თქმულა: „საწადელი
მეფით აქვს თემსო“.
ოლონდ ძე შემრჩეს, ოლონდ ბავშვი
კარგად მყავდესო,
დათმო მშობელმა შვილთან ყოფნის
სიამოვნებ^ა.
თავის სამშობლოს მოაშორა
ახალშობილი
და იემენში დაავანა
სოჰაილივით.

არაბთა მეფე, თავისი ყმა
ნოყმანი იხმო
და ჩააბარა ლალისფერი
ტიტა ყვავილნარს.
გადაშლილიყო ვინძლო მისი
შვილი ნოყმანის
ბაღში ხასხასა და კიტი
ყვავილის პირად.
თან ხელმწიფური შეესწავლა
მეფის ძეს ზნენი
და შეეძინა, რაც სიქველე
მეფეს სჭირდება.
წამოიყვანა სასახლიდან
ნოყმანმა ჩვილი
და მკერდი თვისი სავსე მთვარის
აკენად იქცია.
ციცქნა წყაროსთვალს ზღვაზე მეტი
სახელის მქონეს
უფრთხილდებოდა თვალის ჩინზე
უფრო არაბი.
ამასობაში ოთხი წელი
გავიდა და ყრმა

იქცა მსტუნვარე კანჯრად, გახდა
მძვინვარე ლომი.
ერთ დღეს ნოყმანმა, იემენის
მეფემ, თავის შვილს,
მონზერს მიმართა: „ეს მათექრებს
და უნდა გითხრა.
მშრალია ჩვენი ჰავა, ხოლო
მიწა ცხელია,
ხელმწიფის შვილი კი აზიზი
და სათუთი გეყავს.
იქნება სჯობდეს, გაეზარდოთ ის
ისეთ მხარეში,
ზეგანი იყოს და თავი რომ
ცას უწვდებოდეს,
იქ გაიწაფოს. შენ რას იტყვი?
შაჰის ძემ ფრთები,
სადაც ნიავე ჩრდილოეთის
ქრის საამური.
გულის გასაწყო უნდა იყოს
იქაურობა,
ბავშვს ნიადაგი შეება ჰქონდეს
და ტკბილი ძილი.
ვინძლო ხალასად მოყოლილი
შერჩეს ბუნება
და არ შეურყენას ზნე ხვატმა და
პაპანებამო“.

სამნარის აღწერა. სასახლის აშენება
სამპარნაუში

ადგა მონზერი და თავისი
მამის სურვილის
შესასრულებლად წელზე ქამრის
შეკვრას შეუდგა.
ერთი მაღალი და გაშლილი
მხარე მონახა,
ხვატის და ხაშმის რომ არ ჰქონოდა
შიში, ისეთი.
უკეთეს ადგილს ვერ ნახავდით
ციხე-სიმაგრის

ასაშენებლად იმ მხარეში,
ბევრიც რომ გველოთ.
ახლა ოსტატთა მოძიება
დაიწყო მეფემ.
მშენებლობისთვის მოამზადეს
ის არე-მარე.
ვინ არ მონახეს, არ სინჯეს და
არ მოიყვანეს,
მაგრამ ვერავის ვერ მიანდევს
ეს დიდი საქმე.
ბოლოს კი, როგორც იქნა,
უთხრეს ნოყმანს: „ბატონო,
შენ რომ დაეძებ, იმისთანა
სწორედ ოსტატი
რუმის მხარეში ცხოვრობს ერთი,
ხელობას ისე
უქებენ, ტინის ქვაც ცვილივით
ემორჩილება.
ქკუით სავსეა, საქმე იცის,
ოქროს ხელი აქვს.
სემნარს უხმობენ იმ კაცს მოდგმით
სემის ნაშიერს.
მთელს დუნიახე განთქმულია
დიდება მისი,
ქვეყანა უქებს ნამუშევარს
და ნამოღვაწარს.
აგებული აქვს უამრავი
ციხე და კოშკი
შაშში და მისრში, ყველა თითოთ
საჩვენებელი.
ბერძნებიც თურმე ვერ მოდიან
ხელობით მასთან.
გაკვირვებულან ჩინელები,
მისი კვერის კვრით.
თუღც უპირველეს ხუროთმოძღვრად
იხსენიება,
ხატვაც ისეთი იცის, კაცს რომ
გაუკვირდება.
ეს ყველაფერი ხომ იცის და
იცის მან, ახლა

იმას არ გვკითხავთ, როგორია
ვარსკვლავთმრიცხველი?
აბლაბუდების ქსელებს აბამს
ცაზე, როდესაც
დაიჭერს თურმე ასტროლაბის
ობობას ხელში⁶⁶.
სულ ბალინოსი გეგონება,
ბერძენი ბრძენი,
ისე მკითხაობს ვარსკვლავებზე,
ჯადოს ისე ჰკრავს.
აქედან იცნობს ცის თავდაცულ
მზეთუნახაეებს.
იცი, ვის ებრძვის მთვარე ღამით,
ხოლო მზე — დღისით.
ვინმე თუ შესძლებს, იგი შესძლებს
მას, რაც შენ გინდა,
ამ საქმეს ვინმე თუ მოაბამს
თავს, ის მოაბამს.
თიხისგან ისეთ მაღალ გუმბათს
წამოგიჭიმავს,
ცაზე რომ ვარსკვლავს ხელიდან სულ
ჩრაქვს სტაცებდესო!“

ნოყმანიც სწორედ ამისთანა
ოსტატს ეძებდა.
სემნარის ქება მოეფონა
საამოდ გულზე.
გაგზავნა კაცი საბერძნეთს და
ბერძნული ფულით
გამოიტყუა ბერძენთ ბრძენი
საბერძნეთიდან.
სემნარსაც, ნოყმანს საწადელი
რომ მოუსმინა,
შემოეყარა ციხე-კოშკის
ციებ-ცხელება.
სახლს რაც მასალა სჭირდებოდა,
ჩამოუთვალა
და მშენებლობის თადარიგის
დაკერა იწყო.
იარაღები და ხელსაწყო
გამართა ჭერე,

მერე კი მიჰყო ხელი ციხე —
კოშკის შენებას.
ოსტატმა რკინა ტყვიასავით
დამორჩილა
და წამოკიმა ციხე იგი
ღუთ წელიწადში.
ოქროს ხელები რომ ჰქონოდა,
იქიდან ჩანდა,
ვერცხლის სასახლე ქვით და თიხით
რომ ააშენა.
მთვარეს სწვდებოდა ქონგურებით
სემნარის კოშკი,
იმ არე-მარეს მზერა მხოლოდ
მისკენ მიეპყრო.
ოქროთი იყო მოოქვილი
მთელი სასახლე,
სულ მოხატული, მოკიქული
და მონაყშული.
იყო ისეთი თვალწარმტაცი
და მომხიბვლელი,
ცის ცხრავე სფერო მოწიწებით
თავს ევლებოდა.
ის იყო ჭიბი თუ სამხრეთის,
თუ ჩრდილოეთის,
ასიათასი საოცრების
გახლდათ თანგლუშა.
დაღლილი მას რომ შეხედავდა,
სულს მოითქვამდა,
მწყურვალს წყურვილი გაუვლიდა,
მას თუ უჭვრეტდა.
როცა მზის შუჭი ადგებოდა,
კედლის კიატი
ისე უჭვრეტდა, ჰურიას თვალს
ახუჭვინებდა.
შიგნით სამოთხის ბადალი ხომ
იყო და იყო,
გარედან კიდევ კიაფობდა
ვარსკვლავეთივით.
ისე კრიალა ჰქონდა ქერი,
ისე პრიალა,

სამყარო მასში სარკესავით
ირეკლებოდა.
თვითონ განსაჯეთ: დღე და ღამის
განმელობაში
პატარძალივით სამჭერ მაინც
ფერს შეიცვლიდა.
ხან ცისფრად ჩანდა კოშკის ტანი
ცად აზიდული,
ხან ელვარებდა თეთრად: ხან კი
ყვითლად ბზინავდა.
დილით, როდესაც ზეცა ცისფრად
იმოსებოდა,
ის კოშკიც ცისფერს მოივდებდა
მხრებზე მოსასხამს.
შემდეგ კი, როცა ყვითელი მზე
წამოპყოფდა თავს,
ყვითელი ფერით შეიმკობდა
ტანს ციხე-კოშკი.
ხოლო როდესაც ღრუბლის ქულა
მზეს დაჩრდილავდა,
თეთრად იწყებდა ნახელავი
სემნარის ქათქათს.
იმ ფერს იღებდა, იმ დღეს პაერს
რა ფერიც ჰქონდა:
ხან იკრძენივით თეთრი, ხან კი —
ზანგივით შავი.

როდესაც ოსტატს უკეთესი
გამოუფიდა
სახლი, პატრონი სახლის ვიდრე
ამას ელოდა;
ცის ბრწყინვალებას ბრწყინვალება
ჩრდილავდა მისი
და სესხულობდა მზე შუქს ციხის
სხივებისაგან,
მეფემ სემნარი ისე უხვად
დაასაჩუქრა,
ოსტატი იმის ნახევარსაც
არ მოელოდა.
ერთ ჯამა აქლემს ძლივს აკვიდა
ოქროს ფულეები,

ძვირფასი თვლები, მუშვი და სხვა
ნელსაცხებელი.
იმდენი იყო საზღაური,
აღწერა მისი
არვის შეეძლო. და მოიგო
ოსტატის გული.
თუ მწვადის შეწვა გინდა, შეშას
ნუ დაიშურებ,
ან შეშა უნდა წვა, ან უმ მწვადს
უნდა შეეჭყე.
ფულის მფანტველი ხელი კია
ჭონების მტერი,
მაგრამ სიქველის სასახლეში
ვეზირად ის ზის.

სუროთმოდღვარმა ამნაირი
პატეისცემა
რომ დაინახა და მოპყრობა.
ამგვარი იგრძნო,
თქვა: „თავიდანვე რომ მცოდნოდა,
არაბთა მეფე
ასე გულუხვი იქნებოდა
და გულკეთილი,
სასლს უფრო კარგად დავგეგმავდი
აშენებამდე

და ჩინურ ნაყშსაც უკეთესად
გამოვიყვანდი.
გავირჩებოდი უფრო მარჯვედ,
უფრო გულდინჯად
და საზღაურსაც კიდევ უფრო
მეტს მივიღებდი.
კოშკს ავაგებდი ისეთსა, ღრო რღც
მეტს დააცლიდა,
: მომატებოდა ელვარება
უფრო მეტიო“.

ამაზე მეფემ ყური ცქვიტა:
„მაშ, უფრო მეტი
რომ მოგცენ ფული, უკეთეს სახლს
ააშენებო?“

.. სუროთმოდღვარმა უპასუხა:
- ღრო დამინიშნე

და სახლს ავიგებ, ამას ზეერად
რომ სჯობდეს, ისეთს.
ეს სამ ფერს იცვლის, ის ასფერად
შეიცვლის იერს.
ეს ქვით ავაგე, მას აღმართავ
იაგუნდებით.
ამას თუ ერთი ვუმზათი აქვს
მხოლოდ და მხოლოდ,
იმას შვილ ვუმბათს დაუდგამ თავს
ზეცის მსგავსადო“.

ეს რომ ისმინა, შემოენთო
ხელმწიფეს ცეცხლი
და დაეპუგა ნამუსიც და
კაცობაც ერთად.
მეფე, ხომ ვიცით, ხანძარია,
რომლისგან დაწვას
ის გადაურჩა, ვინც მის ახლო-მახლო
არ იდგა.
მეფე ვაზის ლერწს ჰგავს, რაც მასთან
არ არის ახლოს,
იმას ვერ სწვდება და პწკალით ვერ
ებლაუქება,
თორემ რაც ახლოს უდგას, ვაი
იმისი ბრალი,
ჩაავლებს ხელებს მაშინათვე
და გამოგუდავს.
მეფემ იფიქრა: თუ ამ ოსტატს
ცოცხალს გაუშვებ,
წავა და სხვაგან ააშენებს
უკეთეს ციხეს.
ჩემი სახელი და დიდება
განიორწყლდება
და გაშავდება კიდევ მისი
ანაწერიო!
და მაშინათვე თავის ერთგულ
მსახურთ უბრძანა,
კოშკის ბანიდან გაღმოეგლოთ
კოშკის ოსტატი!
შეხედე. როგორ წაუვიდა
ხელოვანს საქმე,

როგორ ისროლეს კისრით მისივ
ნახელავიდან.
რამდენი წელი ვით აკუყვდა
ის კოშკი მალლა
და ბედმა წამში კოშკიდან ძირს
ვით ჩამოავდო!
თავის ანთებულ ცეცხლში ბოლოს
ჩავარდა თვითონ,
გვიან ავიდა ბანზე, აღრე
კი ჩამოვარდა.
მაგ საცოდავმა რა იცოდა,
იმ ას წყრთა ციხეს
რომ აშენებდა, იქიდან ძირს
გადეშვებოდა,
თორემ თავიდან რომ სცოდნოდა,
რაც მოელოდა,
იმ ციხის კედელს ერთ წყრთას როგორ
ააცილებდა!
იმ სიმაღლეზე დაუყენო
ტახტს უნდა ფეხი,
რომ ჩამოვარდე, არაფერი
არ დაგიშავდეს.
იმ კოშკმა ისე აღუშალლა
ნოყმანს სახელი,
მთვარეს ესროდა ქამანდს ცაში
აღზევებული.
უკვირდა ყველას მისი საქმე,
მთელი ქვეყანა
იემენის შაჰს ხავარნაყის
მეფეს ეძახდა.

**ხავარნაყის აღწერა. ნოყმანის
გაუჩინარება**

რა ხავარნაყი ბაჰრამ მეფის
ბედით და ფარრით
სამოთხედ იქცა და ედემის
ბაღს დაემსგავსა,
ზეცა მას მთელი დედამიწის
ყიბლას უხმოზდა,

ხალხი აშკობდა, ეს ჩინეთის
ბიპარიაო.
მთელს დღესიაზე სავარნაყის
ქება ისმოდა,
მოაწყდა ციხეს სანახაუად
მიღეთის ხალხი.
ყველა მათკანი ციხე-კოშკის
აშბობდა ქებას
და მოწიწებით ზღურბლს უწმენდა
სახელოებით.
ლექსებს და ხოტბას აღაველენდა
მთელი ქვეყანა
იმ ციხე-კოშკის შესასხმელად
და სადიდებლად.
მას აქეთ, რაც კი სოპაილი
შუქს ჰფენს იემენს,
არც მზეს, არც მთვარეს ასე ქება
არ ღირსება.
იემენს მისგან გაუვარდა
სახელი ქვეყნად:
ედემის ბაღად მიიჩნია,
ვინც ერთხელ ნახა.
ვერძის ბურჯივით დაამშვენა
იქაურობა.
ხუმრობა ხომ არ იყო, ბაპრამს
აქ ელო ბინა!
როცა ბაპრამი ციხე-კოშკის
ბანზე ავიდა,
ნიშატის ჯამი აუწია
ქველს ასპიროზმა.
კოშკი იხილა, ცარგვალივით
ამაღლებული.
მზეს დაევიანა შიგნით, გარეთ
კი მთვარე ედგა.
მზე ციხე-კოშკის ტალანებში
აფრქვევდა სხივებს,
მთვარე კი გარეთ ანათებდა
მისადგომელ გზას.
თავზე ნიავი ევლებოდა
აღერსით ციხეს,

განა ხატრავდა წემოდგომის
აშარი ქარი.
გადმოიხედა ძირს ბანიდან
ციხის პატრონმა,
თვალის საამო დაინახა
ირგვლივ მიდამო.
ცალ მხარეს ციხე-კოშკს ეფრავტი
ჩაუდიოდა,
ვით უკვდავების წყალი, ცივი
და სააშური.
მეორე მხარეს კი კოპწია
სოფლები ჩანდა
სულ ერთიანად ერბოთი და
რძით გაელენთილი.
წინ ჭალა იყო ატეხილი,
უკან კი — ველი.
დამატრობელი მუშკის სუნი
მოჰქონდა ნიავეს.
იღვა ნოყმანი ხელმწიფის ძე
ბაჰრამთან ერთად
და გადაშლილი არე-მარის
ჭერეტით ტკებებოდა.
გაფენილიყო კოშკის ირგვლივ
ედემის ბალი.
წითელი ტიტა კიაფობდა
მწვანე ბალასში.
იქაურობა სულ შუშოარულ
ხალიჩას ჰგავდა.
აქეთ ხოხბები გოგმანობდნენ,
იქით — კაკბები.

ალტაცებულმა ნოყმან მეფემ
წამოიძახა:

„რა უნდა იყოს ქვეყნად, ამას
რომ აჯობოსო!“

ვეზირი ახლდა იემენის
მეფეს იმ ბანზე,
მისანი კაცი და მესიის
რჯულის მესაჯი.

მან ასე უთხრა: „ქეშმარიტი
უფლის შეცნობა

მთელს შენს სამეფოს და სიმდიდრეს
ბეგრად სჯობს, მეფევ,
შენ რომ იცოდე უფლის არსის
ფასი, ახლავე
ამ სურნელოვან და ჭრელ სოფელს
ზურგს აქცევდიო“.
ვეზირის ცეცხლის ნაპერწყალი
მოხვდა იმ მეფეს,
მოენთო ალი და გაულღვა
უხეში გული.
რაც შეიდი სფერო გადმოსცქერის
ციტ დედამიწას,
ჭერ არაფერი ნიშანს ასე
არ მოხვედრია.
როგორც კი ქვევით ჩამოვიდა
ბანიდან მეფე,
მაშინვე თავი დააღირა
უდაბნოსაკენ.
დააგდო ტახტი, დაგმო თავი,
დათმო ქონება.
რწმენა და ლხენა ვერ გულობენ
ერთიმეორეს.
აიკრა სოფლით მაშინათვე
გულა-ნაბადი
და განერიდა ხალხს დამფრთხალი
ფერიის მსგავსად.
ის დღე იყო და ის დღე, მერე
არვის უნახავს,
გაუჩინარდა, როგორც ერთ დროს
ქაიხოსროვი.
ბევრი ეძია შეილმა მამა,
მაგრამ ცამ უქნა
პირი თუ მიწამ ჩაყლაპა, მას
ვერ მიაკვლია.
როგორც წესია, იტირა და
იგლოვა მამა,
დღე რამდენიმე გაილია
მწუხარებაში.
ბევრი იდარდა და შართებდა
ღარდი კიდევაც,

ვამოუქვერტლა სახლი მაჰის
სიყვდილ-ს კვამლმა.

მაგრამ გვირგვინი გვირგვინია,

ტახტი ტახტია,
და კვლავ სამეფო საქმეებით
გაერთო იგი.
უსამართლობა სამართალზე
არ გაახარა
და დააწყნარა აწეწილი
საბრძანებელი.

ქვეყნის და ჭარის მართვისა და
გაძლოლისათვის
შაჰისგან ჭილდო და მადლობა
დაიმსახურა.

უფროთხილდებოდა ბაჰრამს სულზე
უფრო მონსერი,
უყვარდა იგი და საკუთარ
მამას ერჩია.

ერთი ძე ესვა მონზერს, მასაც
ნოყმანი ერქვა.

ბაჰრამს და იმ ყრმას ერთ ძიძასთან
ეწოვათ ძუძუ.

შაჰის ძის კბილა და ძმასავით
მასთან შეზრდილი,

სულ ბაჰრამს ახლდა და ნაბიჯზე
არ შორდებოდა.

ერთად სწავლობდნენ წერა-კითხვას
და მარგალიტებს

ერთად აფრქვევდნენ პირით, ტკბილად
მოსაუბრენი.

როგორც მზეს და მზის სხივს ერთმანეთს
ვერ მოაცილებ,
ერთიმეორეს მათ ვერაფრით
მოაშორებდით.

ვიდოდნენ წლები და მეფის ძე
იმ ციხე-კოშკში
ცხოვრობდა მშვიდად, იზრდებოდა
და იწვრთნებოდა.
სწავლის თვინიერ არ ჰქონია
სხვა გატაცება,

ეტანებოდა მხოლოდ ცოდნას
გონება მისი.
მასწავლებელმა მისმა, მოგვმა,
ყრმას არაბულთან
ერთად სპარსული და ბერძნული
ენაც ასწავლა.
თავად მონაზერი სიბრძნით იყო
სახელგანთქმული,
ვარსკვლავთმრიცხველი გახლდათ ქვეყნად
სწორობოვარი.
შვიდი ვარსკვლავის და თორმეტი
ბურჯის ამბავი
იკოდა მჭევრ სულ თავისი
ხუთი თითივით.
გეომეტრიას ისე კარგად
დაუფლებოდა,
ათას ალ-მაჯესტს ჩაისევამდა
ერთად ჯიბეში.
ჩასათრებული ჰყავდა ცის თაღს
და მისხალ-მისხალ
გამოკვლეული ჰქონდა მისი
ზნე და თვისება.
რა საიდუმლო ჰქონოდა ცას
უნდა ისეთი,
მონაზერს რომ მისთვის პირით ფარდა
არ აეხადა.

სწავლულმა როცა დაინახა,
შეგირდი მისი,
ჰკვიანი იყო, ნიკიერი
და გულმოდგინე,
გამოუტანა კალამი და
სასწავლო დაფა
და აზიარა ყრმა სხვა და სხვა
მეცნიერებას.
რაც საიდუმლო ჰქონდა ცის თაღს
ან დედამიწას,
უფლისწულს წვრილად ვანუმარტა
და შეასწავლა.
დაუკავშირა ეს დარგები
ერთიმეორეს

და ერთნაირად გაუყენა
მათ მოთმინებით.

და განისწავლა ხელმწიფის ძე
და განიწათა
და დაეუფლა ყოველ სიბრძნეს
სათუძელიანად.
ასტროლაბის და ზიჯის ცხრილის
მოშველიებით
საბურველს ხდიდა ნებისმიერ
ცის საიდუმლოს.
როცა ბაჰრამი დაეუფლა
მეცნიერებას,
ყრმას იარაღის დაუფლების
ჭერი დაუდგა.
ცხენოსნობაში, იარაღის
ცქაფ ხმარებაში
ტოლი არ ჰყავდა, ბურთს სტაცებდა
ჩოგნით სფეროსაც.
როცა ამაშიც დახელოვნდა
და გაიწათა,
ლომს თათებს გლეჯდა ხელით, მგელს კი
კისერს უმსხვრევდა.
ისე ისროდა მოედანზე
გასული ჰოროლს,
დილის მახვილი ფარ-ხმალს ჰყრიდა
იმის წინაშე.
ისე კერაედა პიტალო ქვას
ისარი მისი,
ასე ადვილად აბრეშუმსაც.
ვერ შეკერავენ.
როცა ნიშანში ისროდა ის,
ისე ისროდა,
ისარს ისარში სვამდა, კაპარჰს
ასე დაცლიდა.
ბასრა მახვილი ლოდისთვისაც
რომ მოექნია,
ლოდს დაადნობდა და ალასფერ
ფაფად აქცევდა.
ასე ურტყამდა შუბს, მიწაზე
ფეტვის მარცვალსაც

რომ ვდებელიყო, შუბს შიგ გულში
მოაბვედრებდა.
გაწონილ შუბით ლომს აცლიდა
რკინის საყელოს,
მოქნეული ხმლით ვანძის რკინის
კარებს კაფავდა.
სანამდის თვალი გაწვდებოდა,
ხელს მიაწვდენდა,
გინა თუ ჩრდილი ყოფილიყო,
გინა თუ სხივი.
ხოლო მას, რასაც ვერ წვდებოდა
ბაჰრამის თვალი,
ბედი სწვდებოდა მისი, თუკი
საჭიროდ ცნობდა.
მკრჩხალი ძე მეფის
ზოგჯერ ვეფხვებს მიუხტებოდა.
ზოგჯერ კი თამაშს უმართავდა
მძვინვარე ლომებს.
და ამის გამო იყო, მთელი
იემენი რომ
მას მეტსახელად იემენის
ვარსკვლავს უხმობდა.

**ბაჰრამის ნაღირობა. აანჯრამის
დაღვა**

როცა ბაჰრამის ჯავარის და
წყლის სოჰაილმა
ააფერადა იემენი
ადიშის მსგავსად;
მონზერის სახე ნიშატისგან
ისე გაბრწყინდა,
როგორც ადიში იგივე იმავ
სოჰაილისგან.
მამა და შვილი ბაჰრამს მამად
და ძმად გაუხდნენ,
ერთი ძმად ხმობდა ირანის შაჰს,
შეორე — შვილად.
თუმც, კაცმა რომ თქვას, რა ძმობა და

რისი მამობა, —
ერთი მსახურად ედგა მეფეს,
მეორე — მონად.
ერთი სულ წვრთნიდა უფლისწულს და
ცოდნას აწვდიდა,
ხოლო მეორე მასთან ლაღად
შეეპყვოდა.
ერთი უფლისწულს გონს უწრთობდა
მეცნიერებით,
ხოლო მეორე მხარს უბამდა
ცხენოსნობაში.

და ასე დღე-დღე, ნაბიჯ-ნაბიჯ
დიდება მისი
აღზევდა ცამდე და სახელი
შორს გაუყარდა.
ნადირობას და ნადიმობას
მისდევდა მხოლოდ,
სხვა არაფერი აღადრებდა
ამ ქვეყანაზე.
სულ კანჯარის კვალზე იყო კაცი
თავგადაკლული,
უყვარდა კანჯარის კვლა და კაცი
მოკალი ახლა!
არ გაისროდა ისარს ისე,
ისარი მისი
მაინცდამაინც ისევ კანჯარს
არ მოხვედროდა.
ერთი ქურანი ცხენი ჰყავდა
ქარივით მალი,
არ შეარხევდა ტანს, ოთხახმით
ისე გარბოდა.
თითქოს და ფრთები გამოესხა
იმ ცხენის ფეხებს,
გადაემსხვრია კარგვალისთვის
ფოლებით ხელი.
ისე მიჰქროდა, არვინ იყო
მისი დამწვევი,
ცაზე მზეს ხელით ბურთს სტაცებდა,
მთვარეს კი — ბადროს
ისე გარბოდა, ცარგვლის მოდგმის

გეგონებოდა.
ქარს გაუშვიებდა წინ და წუთში
დაეწვოდა.
იკლაკნებოდა მის ძუებში
ათასი გველი.
ფლოქვით თქერავდა კანჯრის საფლავს
და სახსენებელს.
მეფის ძე როცა ნადირობდა,
იმ ცხენზე იჯდა,
სხვა ცხენზე ჯდომა არასოდეს
არ უფიქრია.
კანჯრისფლოქვება ქურანს შაპი
რომ შეკაზმავდა,
ხოტბას ასხამდა მოწიწებით
კანჯარი ქურანს.
მოიტოვებდა ჭენების დროს
სხვა ცხენებს უკან.
გავას უპობდა წინ წაგდებულ
კანჯარს ფლოქვებით.
მისი ქურანის ფოლები ქვეშ
ტრამალი ველი
სულ ოღრო-ჩოდროდ ქცეულიყო
კანჯარებისაგან.
მეფე ბაჰრამი ოღრო-ჩოდრო
ველის მლახველზე
რომლის ჭენების დროს მტერის ბულში
კაცი არ ჩანდა,
რომ შეჯდებოდა და გასწევდა
ნადირისაკენ,
ისროდა ქამანდს და იჭერდა
კანჯარებს ხელდახელ.
რამდენიც უნდა დაეჭირა
კანჯარი ბაჰრამს,
არ მოკლავდა მას, თუ ოთხი წლის
არ იქნებოდა.
არამად ჰქონდა კანჯრის სისხლი
დაწესებული,
შესრულებული თუ არ ჰქონდა
ის ოთხი წელი.
გავაზე დალად დასვაძდა

მას თავის სახელს
და გაუშვებდა ველზე ნადირთ
წინამძღოლივით.
შემდეგ თუ ვინმე დაიჭერდა
იმ უდაბნოში
კანჯარს, გავაზე ბაპრამ მეფის
დამლა დაქდეულს,
რომ უნახავდა ნიშანს, ცივად
უშვებდა ხელებს
დაჭერილ ნადირს თავზე ბუხსაც
ვერ აუფრენდა,
ერთს მოწინებით აკოცებდა
იმ დალზე კანჯარს
და გაუშვებდა უდაბნოში
თავის ნებაზე.

ხედავთ? გავაზე მეფის დალი
თუ ჰქონდა კანჯარს,
მას ხიფათის და შიშის დალი
გულზე არ ექლო,
დღეს კი ვერ ნახავ ჭიანჭველას
ამ ქვეყანაზე,
ძალმომრეობის დალი გულ-ღვიძლს
არ უდაგავდეს.

ბაპრამი ერთი ისრით კლავს ღოგასა
და კანჯარს

ერთ დღეს ბაპრამი იემენელ
მთავრებთან ერთად
გასული იყო სანადიროდ
ტრიაშელ ველზე.
კაცი, რომელსაც სახელადაც
ბაპრამი ერქვა,
ბაპრამს (ცის მარიხს) სტაცებდა ბურთს
ხელიდან ხელად.
გაერთო მეფე: ვით ჩვეოდა,
ნადირობაზე,
მონხური ველა წინ, ნოყმანი
უკან მოსდევდა.

ვერ აცილებდნენ თვალს ტანად და
თვალად უფლისწულს
აღტაცებულნი მისი მიხვრა-
მიხვრილ შეყურით.

უცხად ტრამპალზე მტვერი ადგა
ისე ძალალი.

მიწა და ზეცა გადააბა
ერთიმეორეს.

დენი ჰკრა შაჰმა მაშინათვე
თავის ქურაჲ კეფის

და კრიგალივით გაექანა
მტერის ბუღისაკენ.

ნახა, მძვინვარე ლომს ბრჭყალები
გამოეწვავდა

და ერთ გათქვირულ კანჯარს ზურგზე
შემოხტომოდა.

ტორავდა ნადირს, ძირს დამხოზა
ეწავდა მისი.

ირანის მეფემ მოიმარჯვა
მაშინვე მწყილდი.

ამოიწვავდა კაპარკიდან
ბასრი ისარი.

დადო ზედ ლარზე, გამოსწია
და ლომს ესროლა.

ქედს განეწონა ლომს და კანჯარს
ისარი მისი.

ორ ნადირს ტანში გაუარა
ერთმა ისარმა

და გამოსული ძირს მიწაში
ჩაესო იქვე.

რა დაუდგება ასეთ ისარს,
ფარი თუ თორი?!

ერთ მხარეს ლომი და კანჯარი
ეუარნენ ველზე.

მეორე მხარეს ფრთამდე ესო
შაჰის ისარი.

რომ დაინახეს უფლისწულის
ნამოქმედარი,

ცნეს არაბებმა ის ირანის
მეფობის ღირსად.

ვინც მის გმირობას ასეთნაირს
შეესწრო ველზე,
მოვიდა ახლოს და ხელმწიფეს
ხელზე ემთხვია.
ლომის ძალიან კაცს უსმობდნენ
მას ამის შემდეგ
და მეტსახელად ბაპრამ-გური
შეარქვეს მეფეს.

როცა ქალაქში შემობრუნდნენ
მონადირენი.

კანჯრის და ლომის ამბავს კიდევ
დიდხანს არჩევდნენ.

უბრძანა თავის სახლთუხუცესს
მეფე მონზერმა.

კარგი მხატვარი მოეყვანა
სამეფო სახლში.

რომ მიეხატა ხვეარნაყის
კედელზე მხატვარს,

როგორ მოახტა მხტუნავ კანჯარს
ქეჩოზე ლომი,

როგორ ესროლა ლომს და კანჯარს
ისარი მეფემ

და ერთი ისრით ორი მხეცი
როგორ განგმირა.

ისეთი კარგი გამოვიდა
სურათი, რაც შიგ

ეხატა, მართლა კაცს ცოცხალი
ეგონებოდა.

ილოცებოდა იმ სურათის
შემყურე ხალხი:

„ღმერთო, უკურთხე ამის ჩამდენ
შაჰს სარკვენაო!“

ბაპრამის მიერ გველუშაპის მოკვლა.

ბანძის კონა

ერთ დღეს ბაპრამი ბალში იჯდა
და ვით ჩვეოდა.
ღვინოს წრუპავდა და ილხენდა
გულის ნებაზე.

ერთიმეორის მოყოლებით
ჯერ რამდენიმე
თასი გადაჰკრა და მერე კი
ველს მიაშურა.
მიაქროლებდა ცხენს ოთხახმით,
ისარს ისროდა
და სრავდა კანჯარს, ახლო-მახლო
თუ შეხვდებოდა.
იმდენი იყო, უნდა გითხრათ,
ნანადირევი,
ველი მოკლული კანჯარის ძვლებით
მოიკირწყლა სულ.

უცბად ერთ ფაშატ კანჯარს ბულში
დაადგეს თვალი.
დარბოდა ველზე და იკლებდა
იქაურობას.
რას ინატრებდა კაცის გული
მასზე უკეთესს,
თვალს ვერ მოსწყვეტი ტანწერწერას
და გალაღებულს.
ულივლიყებდა ოქროსფერად
პრიალა ზურგი,
მუცელი ჩაით და შაქრით ჰქონდა
ამოგლესილი.
თავით კუდამდე მუშკის შავი
ზოლი გასდევდა,
თხემით ტერფამდე შავად იყო
სულ დასერილი.
ზონარის ნაცვლად მოსასხამი
ებურა ოლონდ,
ვით აბრეშუმში, ბროწეულის
ყვავილის ფერი.
თავის ჭილაგში თვითონ იყო
გამორჩეული,
ხოლო მის ტანზე გავა იყო
თვალს რომ გტაცებდა.
დამოყვრებოდნენ ვითომ ერთურთს
ცეცხლი და თივა? —
გახვეულიყო ვარდის პირი
კლახაკის ფლასში.

ფეხებზე იდგა მოსხლეტილი
ისრების მსგავსად,
ხოლო ყურები, დატვეტილი,
ხანჯლებს უგავდა.

... კანჯარმა ბაპრამს თვალი მოკრა
თუ არა, დაფრთხა,
თავი უდაბნოს მისცა, შაჰმა
მსდიოს უკანო!
მიქროდა ველზე ისარივით
სწრაფი კანჯარი,
უკან კი ცხენით ლომის მსგავსი
შაჰი მისდევდა.
მოკიდებული დილიდან მზის
ჩასვლის უამამდე.
რბოდა ნადირი და მისდევდა
ლომი კვალდაკვალ.
არ დაინება კანჯარის დევნას
ბაპრამმა თავი.

ნეტარებაზე ადვილია
ხელის აღება?!.
წინ ის კანჯარი მიფრინავდა
დაფეთებული,
უკან — ბაპრამი, სხვა არავინ
არ ჩანდა ირგვლივ.
ასე ირბინეს მანამ, სანამ
ბოლოს და ბოლოს
ერთ უკაცრიელ გამოქვაბულს
არ მიატანეს.

ის იყო, ბაპრამს კანჯარისათვის
ესროლა უნდა,
ქვაბის წინ განრთხმულ გველშაპს რომ
წააწყდა უცებ.
კუპრივით შავი, სახლის ხელა
და დაგრეხილი
გამოქვაბულის შესასვლელთან
იწვა და თვლემდა.
უნაყოფო და უფოთლო ხეს
ქგავდა, სიკვდილის
მოციქულის და ჭოჭოხეთის
მაშხალის მსგავსი.

დაელო ხახა, როგორც პირი
გამოქვაბულის, —
გამოიაროს იქნებ ვინმემ
და ჩაველაპოო.
ერთი კანჯარი გადესანსლა
და არ შიოდა,
მაგრამ არც ახალ ულუფაზე
იტყოდა უარს.
ამ მოულოდნელ განსაცდელს რომ
წააწყდა შაპი,
ვეშაპად იქცა გველეშაპის
მოპირისპირე,
ახლა კანჯარი ვის ახსოვდა,
როცა არჯალი
სიკვდილი ედგა წინ. და იწყო
მეფემ მზადება.

ერთი უკვირდა: ეს კანჯარი
რა იყო ნეტა,
ამ გველეშაპთან ანდა რატომ
მომიყვანაო?!
მაგრამ მიუხვდა: ის უმწეო
კანჯარი ალბათ
ამ გველეშაპს ძყეა დამფრთხალი და
დამონებული.
მე ამ ქებასიკენ იმისათვის
გამომიტყუა,
რომ ჩემი ხელით გაუსწორდეს
თავის საშიშ მტერს.
მართლაცდა ხომ ვერ ვიტყვი, მე აქ
კანჯარს მოვსდევდი
და არაფერი მესაქმება
ვეშაპთან-მეთქი!
რაც არის, არის, აჰა მე დე
აჰა ვეშაპი!
გამოვესარჩლო უნდა კანჯარს,
თუნდაც მოგვედგო!“
ჩაიყო ხელი საისრეში
და კაპარჭიდან
ერთი ისარი ამოაძრო
ორწვერიანი.

მეთრი თუზის ხის მშვილდზე დაღო
ისარი მეფემ
და დაუმიზნა იმ გველეშაპს
მის წინ დახვიულს.
სწორედ შაპისკენ ჰქონდა რისხვით
ნასროლი მზერა,
როცა ორწვერა ქეიბური
ესროლა შაჰმა.

ორსავე თვალში ჩაუსვა შიგ
ორივე წვერი
და სამუდამოდ დღის სინათლეს
წამოასალმა.

როგორც კი შორჩა ისრის სროლას,
მეფე გველეშაპს
ეკვეთა ჭიქურ ნიანგივით
ფიცხი და მკრჩხალი
და შმაგი ლომი კანჯარს ბრქუალს რომ
გაუყრის, ისე
გამოულადრა ბასრი რკინით
გველეშაპს ყელი.

ნაჯახი ურტყა ურჩხულს მკრელი
თავსა და პირში

და დაუჩეჩქვა ცულის პირით
აშკმული პირი.

ამოიგნინა გველეშაპმა
საზარლად ერთი
და მოადინა ძირს ზღართანი
ძელის ბოძივით.

არ შედრკა მეფე, უხსენებელს

არ შეუშინდა

ღრუბელს სად იყო კიუხების
რომ ეშინოდა!

იძრო მახვილი და მოაჭრა

აპრიმანს თავი

მტერი ყოველთვის მოკლული სჯობს
და თავმოჭრილი..

მერე გაფატრა გველეშაპი
პირით ქუდამდე

და კანჯრის კვიცი უნახა შიგ
გადაულაპული.
აშკარა იყო. შუროსგება
ქსურდა იმ კანჯარს,
ვეშაპისაკენ ბაპრამი რომ
გამოიტყუა.

უფალს შესწირა გულმხურვალედ
მადლობა შაჰმა,
რომ მას ვეშაპის დამარცხება
შეაძლებინა.
მერე წამოდგა ფეხზე, ცხენზე
რომ შემჯდარიყო. —
კანჯრების დევნა ააშურდა კიდევ
თავისი რაშით.
როდესაც შაჰი უამავალი
ნახა კანჯარმა,
გამოხტა ისევ და შევარდა
გამოქვაბულში.
შაჰმაც იმ კანჯარს ისევ თვალი
მოჰკრა თუ არა,
გამოეკიდა კვლავ. ძლივს შეძვრა
იმ ქვაბის პირში.
ბიჭი რომ წადგა წინ, უთვლელი
განძი იპოვა.
სიხარულისგან გაუბრწყინდა
თვალი თვალივით.
შიგ რამდენიმე სახელმწიფო
იღვა ხალამი,
ფერიის მსგავსად თავგაქრული
და თავდაცული.
კანჯარმა შაჰი მიიყვანა
განძთან თუ არა,
თვალს მოეფარა ისე, კვალიც
არ დარჩენია.
ბაპრამმა ასეთ ზღვა სიმდიდრეს
რომ მიაკვლია
და მისი მტველი გველეშაპიც
რომ მოიშორა,
ქვაბიდან გარეთ გამოვიდა
გახარებული

და გზას დაუწყო ძებნა უკან
დასაბრუნებლად.
მაგრამ გაშოსდა ცოტა ხანი
და მოატანა
მისმა ამაღამ, მეფის ძებნა-
ძებნით მავალმა.

როდესაც შაპთან მოიყარა
სუყველამ თავი
და პატრონის წინ მორჩილებით
თავი დახარა,
ბრძანება გასცა უყლისწულმა:
„უველანი, ვინც ხართ,
ხელქვეითთაგან ჭანიანი
და ღონიერი,
იმ გამოქვამულს მიაშურეთ,
ეგერ რომ მოხანს,
და შიგ რაც განძი ნახოთ, გარეთ
გამოზიდეთო!“
სამასი კარგი წვივმაგარი
აქლემის ტვირთი
გამოდგა იმ დღეს შაპის მიერ
ნაპოვნი განძი.
ასეა, როცა შაპი საფრთხეს
არ ეპუება,
წინ გველეშაპი გადაუდგეს
თუნდაც მრისხანე,
მისი ასეთი გარჯის ფასი
დიდია მუდამ
და ღვაწლი მისი მძიმე განძით
ნაზღაურდება.

როცა დაბრუნდა ხავეარნაყში
ბაპრამი მორკმით,
იმ განძის ხარჯვას მიჰყო ხელი
და დროს ტარებას.
დაატვირთვინა მძიმედ ათი
აქლემი განძით
და გაუგზავნა თავის მამას,
ირანის მეფეს.
ათი აქლემი კი მონზერს და
ხოყმანს უბოძა

კიდევ სხვა მრავალ საჩუქართან
ერთად გულუბნემა.
ეს ამოდენა სიმღიდრე და
ავლადიდება
დახარჯა ისე, ანგარიშშიც
კი არ ჩაავდო.
ისეთი მძიმე და ძვირფასი
იპოვა ვანძი,
მაგრამ გაფლანგა ისე, არც კი
დანანებია.

ბრძანა მონზერმა, მოეყვანათ
მხატვარი კვლავ და
კოშკის კედელზე მიეხატათ
სურათი ისევე.
კალმის ოსტატმა კვლავ აიღო
კალამი ხელში
და შაჰის ბრძოლა გამოხატა
შავ გველეშაბთან.
და იქცა ასე წესად, რასაც
იქმოდა შაჰი,
კოშკის კედელზე მხატვრის მიერ
ინახებოდა.

ბაჰრამი ხაჰარნაყში უვიღ ხატებას აოუღრობს

ერთ დღეს ბაჰრამი ველ-მინდვრიდან
შემოქცეული
გზას მიჰყვებოდა ხაეარნაყის
ციხე-ქალაქში.
ერთი შენობა წახა ისეთ
მყუდროში მდგარი,
რომ თვითონ მისი მცველიც ალბათ
ვერ მიაგნებდა.
აქ, ეტყობოდა, არ დაედგა
ფეხი არც მეფეს,
არც ხაზინის მცველს და არც კარის
კაცს არასოდეს.
იკითხა: „რატომ დაუკეტავთ

ეს სახლი ასე,
სად არის მისი მცველი, კლიტე
მისი ვის აქვსო?“
მოვიდა მცველი და მოართვა
შაპს სახლის კლიტე.
შევიდა შიგ და ნახა, მაგრამ
რა ნახა მეფემ!
განძის საცავეი სახლის მსგავსი
იყო დარბაზი,
თვალ-მარგალიტი ბრჭყვიალებდა
თვალის მომჭრელად.
ვის დაქარგვია სასურათო
სახლი ჩინეთის 70,
იმგეარად იყო მოხატული
მისი კედლები.
თუ რამ ფაქიზი ძალუძს შექმნას
კაცის გონებას,
იმ ნახატებში იყო სრულად
გამოვლენილი.

გამოსახული იყო ერთად
შვიდი ხატება,
შვიდი სამეფოს შვიდი მეფის
შვიდი ასულის:
ინდოთა რაჯის ქალიშვილი,
ქორთა ფურაქი,
მთვარეზე უფრო ქათქათა და
შუქის მთოველი.
ჩინის ხაყანის ქალიშვილი
იაღმა-ნაზი,
მთელი ჩინეთის და თერაზის
ჯადო და ეშხი.
ხორეზმის შაჰის ქალიშვილი
ნაზ-ფერი, ტანად
ფერდობში ნაზად მოგოგმანე
კლდის კაკბის მსგავსი;
სლავების მეფის ქალიშვილი
ნასრინ-ნუში, ვინც
ჩინურ კერპს ჰგავდა და ბერძნული
კაბა ემოსა.

მალრიბის მეფის ქალიშვილი
 აზარიუნი,
 იმ მოვარის მსგავსი ჰა და ჰა რომ
 უნდა გაივსოს.
 რუმის კეისრის ქალიშვილი,
 ვისაც ჰომაი
 ერქვა სახელად სახელოვან
 არსებად შობილს,
 ირანის შაჰის ქალიშვილი,
 ქეი-ქაუსის
 ჩამომავალი, ფარშავანგის
 მსგავსი დორსათი.
 ერთიმეორეს მიყოლებით
 ერთ დიდ კედელზე
 შვიდივე ქალი ერთად იყო
 გამოსახული.
 ყოველ ქალიშვილს ამშვენებდა
 ათასი ეშხი
 და ციმციმებდა, ვით ძვირფასი
 ქვა თვითეული.
 ამ ქალთა შუა გულში, როგორ,
 ნაქუქში გული,
 გამოსახული იყო ერთი
 ხატება კიდევ.
 ყმაწვილი გაზღდათ იგი
 ახალწვერამოსული
 მუშკსა და ამბარს მოეხატათ
 სულ მისი სახე.
 ყრმას პირი კალმით ნახატი ხომ
 ჰქონდა და ჰქონდა,
 ტანად წერწვეტა იყო, როგორც
 კენარი სარო.
 ამ ყმაწვილისთვის მიეპყროთ იმ
 ქალწულებს მხერა,
 გულს უჩქროლებდა ყველას, ჩანდა,
 მისი ტრფიალი.
 ილიმებოდა უღვაშების
 ქეშ ის ყმაწვილი,
 ხოლო ქალები სასოებით
 მას შექყურებდნენ.

ვაჟის სურათის თავზე ახლოს,
კი „ბაჰრამ-გური“
იყო ლამაზი ასოებით
ვაშოყვანილი.
იქვე ეწერა: „ასეთია
განგების ნება,
როცა ეს ვაჟი წამოჰყოფს თავს,
ქვეყნის მპყრობელი,
შვიდი სამეფოს შვიდი მეფის.
შვიდ ლამაზ ასულს
გულში ჩაიკრავს ის ობოლი
მარგალიტივით.
რაც გვიწერია, ჩვენი ნებით
არ გვიწერია,
ჩვენ ის დავწერეთ, ვარსკვლავებმა.
რაც გვიკარნახეს.
რაც მოგახსენეთ, იყო ჩვენი
მოვალეობა,
თქმა ჩვენი საქმე არის, ქმნა კი
უფლის ნებაა“.

როცა ბაჰრამმა წაიციოთხა
კედლის წარწერა,
გაკვირვებული დარჩა კაცი
განგების საქმით.
იმ ქალთა ნდომის ცეცხლი ტანზე
ისე მოედო,
ერთი მტკაველი ადგილიც რომ
არ დაუტოვა.
არ მოგწონთ? იქით — ატეხილი
შვიდი ფაშატი
და აქეთ კიდევ — ეს ულაცი
ახურებულის
როგორ გინდოდა, ტანში ვნება
არ აღძრულიყო
ან გულის ნება ახალგაზრდა
კაცს მოგეთოკა!
თუმცა ახალი საზრუნავი
ემატებოდა,
ცას ეწეოდა უფლისწული
სიხარულისგან.

ვინც მიანიჭა ძლიერება
სიცოცხლეს მისას,
ბაჰრამს სურვილის ასრულების
იმედიც მისცა.

როდესაც გარეთ გამოვიდა
ირანის შაჰი,
კვლავ ზედამხედველს ჩააბარა
იმ სახლის კლიტე
და გაათრთხილა: „ქვეყანაზე
ვინმე სულიერს
თუ ამ კლიტის და ამ კარისთვის
უხლია ხელი,

ამავე სახლის წინ მე თვითონ
დავღერი იმის სისხლს
და თავს ავაცლი ჩემივე ხელით
მხრებიდან მასო!“

მართლაც, ვის ჰქონდა ასი თავი
და ძე ხორციელს
არ შიუხედავს ამის შემდეგ
იმ სახლისაკენ.

თავად ბაჰრამი კი დროდადრო,
როცა დაღევდა,
მიადგებოდა ხელში კლიტით
იმ სახლის კარებს.

კარს ვააღებდა და სამოთხის
კარს შეაღებდა;
ველარ ძღებოდა იმ ლამაზი
ქალების ცქერით.

წყლის შემხედვარე მწყურვალავით
უპკერეტდა ნახატს
და ეძლეოდა ძილს ოცნებით
მათთან წასული.

რომ აღგებოდა. სანადიროდ

ქასწევდა ისევ.

მობრუნებული კვლავ იმ სახლში
გულს იქარვებდა.

ბაქრაშხა შაშის სიკვდილის
აშხავი ჰაიგო

ბაქრამის მამას, იეზდიგარდს,
კარისკაცებმა
მის შვილზე წვრილად ჩაუკაკლეს,
რაც კი უწყოდნენ:
„შენი მემკვიდრე უკვე ხელით
იპერს ხვად ლომებს,
ისე დასრულდა, გაძლიერდა
და დავაუკაცდა.
რა ლომთან ბრძოლა იმისთვის და
რა ძაღლთან შებმა,
ვეშაპებს ჩეხავს კაცი, ლომი
ვის დაქარგვია!
ქამანდის ყულფი დევეებისთვის
გადუცვამს ყელში,
მთა-ბარს ასწორებს ტოროთ მისი
ქორანა ცხენი.
აღმასი მისი რკინას აქცევს
აბრეშუმით
და რკინა მისი ქვას არბილებს
ცომის მსგავსადო!“

მამას ძის თვისის მომწიფება
არ ეკაშნიკა.
ეს მიმავალი იყო, იგრძნო,
ის — მომავალი.
იმ ლელიანის ლომის შიში
უქანებდა გულს
ისე, ვით ლომებს ლელში ცეცხლის
შიში აფეთებთ.
და მოიშორა შაჰმა დვიძლი
შვილი თვალთავან,
თუმცა სინათლე თუ აკლია
თვალს, რა თვალთა!

ნადირობაზე ატარებდა
ღროს ყრმა დღე და ღამ,
ხან მშვილდი ეპყრა ხელში, ხან კი
თასი ექირა.

სულ ნადირობა ჰქონდა წესად,
და ნადირობა.
და კაშკაშებდა იემენში
სოჰაილივით.
უყვარდა იგი იემენის
მეფეს ძალიან,
ბაჰრამის სიტყვა ზეცის ნების
სწორად მიაჩნდა.
გონიერების და ღირსების
თვისის კარნახით
ამეფა იგი იემენის
მეფემ ნებაზე.
ძვირფასი თვლები აჩუქა მას,
ძვირფასი ხმლები.
ისე უყვარდა, მისთვის სულსაც
გაიმეტებდა.
ყელამდე იჭდა სიკეთეში
ხელმწიფის შვილი,
სუყველაფერი ჰქონდა ქვეყნად
ნალევლის გარდა.
უცხო მხარეში ისე გრძნობდა
თავს შინაურად,
მამის ქვეყანა ერთხელაც არ
გახსენებია.

და კვლავ ბრუნავდა ერთხანს ასე
წუთისოფელი,
სანამ ცარგვალმა კვლავ თამაში
არ მოინდომა.
გაძღა სამეფო ტახტზე ჯდომით
იაზდიგარდი,
ზეობა მისი ძირს დაემხო
აღზევებული.
ტახტმა და თაჯმა, რაც მამისგან
მიეღო, მეფეს
ის გაუკეთეს, რაც სხვებისათვის
უკეთებია.
როცა დაქვრივდა ხელმწიფეზე
სამეფო ტახტი,
ჯარმა და ხალხმა მოიყარა
თღთბირად თავი.

მხრებზე ეშმაკი არ შეგვაჯდეს,
არ შეგვაჯდინოს
და ვინმე ავფის თესლის კაცი
არ გამოგვრჩესო.
თუმცა ბაპრამი უკვე იყო
სახელგანთქმული,
გონება ჰქონდა გამპრიახი,
ხმალიც უჭრიდა,
მაგრამ იმდენი ჰქონდა მამას
დანაშაული,
რომ მისი შვილის ღირსებები
ვერვინ შენიშნა.
დაასვენეს ერთხმად: „არ ვცნობთ ბაპრამს
მეფობის ღირსად
და ამის გამო არც ვაცნობთ
შაპის სიკვდილი.
ყრმა უღაბნოში გამოზრდილი
არაბთა მიერ
როგორ გაართმევს თავს ირანის
სამეფო საქმეს!
მთელს ჩვენ ქვეყანას ბედუინებს
ჩაუგდებს ხელში
და განსაცდელში ჩავცვივიდებით
სპარსელებიო“.
არვის უნდოდა გამხდარიყო
ბაპრამი მეფე,
მაგრამ უფალმა მას გვირგვინი
დაადგა მაინც.

ერთი დროული და ჰკვიანი
კაცი მონახეს,
მას ჩააბარეს მორჩილებით
ირანის მიწა.
გვირგვინოსანთა კაცი იგი
არ იყო პირმშო,
მაგრამ ირანის მეფეთა გვარს
კი ეკუთვნოდა.
დაარქვეს იმ კაცს თავზე შაპის
სამეფო თაჯი,
მეფის ქამარი შემოარტყეს
წელზე შეიღთვალა.

ბაპრამმა კარგად გაიგო, რაც
მოხდა ირანში,
ესმა თუ როგორ შებრუნდა მათ
თავზე სარგვალი;
როგორ იცვალა ამ საწუთრომ
ირანში სახე
და საქმე ისე არ წავიდა,
ვით მას ეწადა:
როგორ დაცალა მამამ მისმა
სამეფო ტახტი
და მერე იმ ტახტს პატრონი ვით
არ გამოუჩნდა;
როგორ გამოტყვრა საიდანღაც
უცხო მოცილე,
ვით აირია ამის გამო
მათი ქვეყანა.

უპირველესად ყოვლის მამის
გლოვა მართებდა.
და უფლისწულმა იაგუნდი
ფირუზით მორთო.
ამის შემდეგ კი მოიცალა
ლომმა საბრძოლოდ
და გადასწევიტა თავის რაყიფს
გასწორებოდა;
ვინძლო მტრებისთვის მიეწვდინა
მახვილის წვერი,
განეხენა კარნი ომისა და
შურისგებისთვის.
მაგრამ იფიქრა: „ნადირივით
რატომ მოვიქცე?
პირველად ჰკუთ ვიმოქმედო,
ის მირჩეენია.
მართალი არის, მწარედ შეცდნენ
დიდებულები,
გულიდან ჩემი მოწიწება
რომ ამოიგდეს,
მანც მათ თავზე შრისხანების
არ მმართვეს ნთხევა.
საჯობს, მოვაგვარო საქმე ისევ
მშვიდობიანად.

თუმც ძაღლის გული აქვთ, ალაგმვა
არ მიჭირს მათი,
ჩემს საძოვარზე ვადმოსულ ცხერებს
ჰგვანან ისინი(?).
თუმც საკუთარი მატყლით არის
ყველა მოსილი,
ჩემს შაბიანში წვანან მაინც,
ეს არ იციან(?).
ისინი ფიცის გამტეხნი რომ
იყვნენ, მე მიჯობს,
ვინძლო სირცხვილით თვალი შემდეგ
ვერ გამისწორონ.
ღალატი არის კაცის თავზე
ლაფის დამსხმელი
და სირცხვილია ის, რაც გეტანჯავს
და არ გვასვენებს,
თორემ სხვა ყველა დამდაბლება,
რაც უნდა იყოს,
ძალდატანება არის მხოლოდ
და ურჯულობა.
თუ თავიანთი უჭკუობით
გამიდგნენ განზე,
მე ჩემი ჭკუით ვაიძულებ,
პატრონად მიცნონ.
თუ მონადირეს სული წაძლევს
და აჩქარდება,
ვერ მოახვედრებს, ტყუილია,
ნადირს ისარსო“.

ბაზრამის ირანში ლაშქრობა

გეყოფა ახლა, ჯადოქარო,
ლექსების მთხზველო;
სანამდის გინდა იმეორო
სხვისი ნათქვამი?!
სუნთქვით საამო სურნელს აფრქვევ,
სხვა რალა გინდა?
მაშ კვლავ ვარდივით საკუთარი
პირით ისუნთქე!

თავში ასეთი პირობა მაქვს
 მე დადებული
 (ვისთვის? იმისთვის, ვინც პირველი
 პირიანია),
 რომ მას, რაც ერთხელ უკვე უთქვამს
 აშშ-ის სხვა მარბობელს,
 რომელსაც სძინავს უკვე (ჩვენ კი
 აგერ ვსვამთ ღვინოს),
 ჩემ საკუთრებად არ მივითვლი,
 არ ვიზამ ამას.
 აუცილებელია ამ საქმეს, აუცილებელია
 კი ვერ ავუყვები.
 სახანძრის შევქმნებ, ვით ნოვარუხის
 ვიქნები ქარი(?)
 და ძველმანების გამოკონკრეტს
 არ შევუდგები.
 თუმცა უხვრეტი მარგალიტის
 გახვრეტას ვარჩევ
 და ერთხელ თქმულის არ მიტაცებს
 განმეორება,
 საგანძურისკენ სავალი გზა
 რადგან ერთია
 და ყველა მსროლელს რადგან ერთი
 უდგას საგანი,
 განმეორების გარდა სხვა გზა
 არ გაქვს, მით უფრო,
 როდესაც ძალგდის ფლასი ფარჩად
 ვადააქციო.
 ორმა თილისმის მქონემ, ლექსის
 ქიმიის მცოდნემ
 როდის მოჭრილი განაახლა
 ისევ ეს ფული.
 ერთმა სპილენძი მისი ვერცხლად
 გადააქცია⁷¹,
 მეორე ახლა აქცევს იმ ვერცხლს
 ბაჭალო ოქროდ.
 სპილენძის ვერცხლად ქცევა თუ არ
 ახვეირდება,
 იმ ვერცხლის ოქროდ გადააქცევა
 არ გაგივირდეს.

... როცა ბაქრამმა გაიგო, თუ
როგორ მოსტაცა
სამეფო ტახტი ვილაც ტახტის
მიმთვისებელმა,
ქაიანების გვირგვინის კვლავ
დასაბრუნებლად
მზადება იწყო შურისგების
გზაზე შემდგარმა.
ნოყმანი, შვილი იემენის
მეფის მონზერის,
ტახტისთვის მებრძოლს ამოუდგა
ბაქრამ-გურს გვერდში.
მიაართვა ბაქრამს ლაშქრობისთვის
ურციცხვი განძი
იმდენი იყო მარგალიტი,
ვინ გახვრეტდა მათი
შეიყარა ჯარი უთვალავი
რისხვის მნთხეველმა.
სამაგიერო უნდა ეხლო
ზღვა ჯარით მტრისთვის.
იემენიდან აღენამდე
შაჰის ძახილზე
ასიათასმა მოიყარა
მებრძოლმა თავი.
ფოლადი ეცვათ ტანზე, მოდგნენ
რკინისმკვნიტელნი,
შურისმგებელნი, დევთ მძლეველნი,
ციხის მღეწელნი.
ყველა მათგანი ლომი იყო
ომში ფიცხელი,
ქვეყნის დამცველი, ბურჯი მისი
და ძლიერება.

დაიძრა ჯარი ძვარა-ძგურით
ირანისაკენ,
წყალმა ლაშქრისამ თევზს უწია,
მტვერმა კი — მთვარეს.
აქეთ ბუკის ხმას, იქით კიდევ
ნალარის ცემას
ისე მიჰქონდა ყური, მსმენელს
ნაღველს უქცევდა.

სპილენძის ქოსებს ბაგა-ბუვი
გაჰქონდათ ირგვლივ,
არ იზოგავდნენ ხელებს წინწილთ
ხელი დამკვრელნი.
იძროდა ირგვლივ მთა და ველი
დაფით, ნალარით
და ხმა მიწიდან ავარდნილი
ზეცას სწედებოდა.
ჯოჯოხეთივით გიზგიზებდა
შურის საგებად
ჯარი ჭინჭველზე უფრო მეტი
და კალიაზე.
სამეფო ტახტის პატრონისთვის
დასაბრუნებლად
გაიქრა ჯარი წინ, სატახტო
ქალაქისაკენ.

იქით გვირგვინის მიმტაცებელს
ამბავი ამცნეს:
„გიახლოვდება პირაშემოელი
ვეშაპი, მეფევე,
ცარგვალს სწადია, დედამიწას
რომ შეუერთდეს,
და წამომდგარა სოპაილი
იემენიდან;
გამოუწვდია ხანჯალივით
მკრელი ბრჭყალები
ხვად ლომს, რომ მტერი კანჯარევით
შუა გააპოს.
აეიდეს ტახტზე, თავს სამეფო
გვირგვინი ირქვას,
იმეფოს მორკმით და დაწყნარდეს
სახელმწიფოთო“.

დიდებულები და სამეფო
სპის მობედები
მოგროვდნენ სწრაფად სათათბიროდ
ტახტის მპყრობელთან.
შეიქნა ბჭობა, ვით ეშველათ
საქმისთვის. ახლა
ამპარტავენობის და განდგომის
დრო აღარ იყო.

იმსჯელა საბჭომ და ბოლოს კი
ესე დაასკენა:
ბაპრამისათვის გაეგზავნათ
უნდა წერილი,
ისე დაწერეს იგი, ჭკუამ
ვით უკარნახა.
გაურჩეველი თესლი თესეს
გაურკვევლებმა.
დასვეს მწერალი და მწერალმაც,
როგორც შეეძლო,
ვრცლად აღუწერა ვითარება
საქმის უფლისწულს.
რა დაასრულეს მისი წერა,
იქვე დახვიეს
და ბაპრამ-გურთან გასაგზავნად
მზადება იწყეს.

როცა ბაპრამთან მიატანეს
და ძირს ჩამოხდნენ,
ახალ ხელმწიფეს თაყვანი სცა
საწუთრომ თვითონ.
გულით მიიღეს ეჭიბებმა
შაჰის კაცები
ბაპრამის ნახვის და თაყვანის
ცემის მსურველნი.
ბრძანა თანხმობა ბაპრამ-შაჰმა,
მოციქულები
მოეშვათ მასთან შორიასლო
დასანახავად.
ირანელები შემოვიდნენ
შიშით და ძრწოლით.
ჯერ თაყვანი სცეს მეფეს, შემდეგ
მადლობა უთხრეს.
მათ შორის ერთმა, ჩანდა, ცოდნით
გამორჩეულმა,
აკოცა წერილს და გაღასცა
შაჰს მოწიწებით.
შაჰის მდივანმა იქვე ახსნა
ბეჭედი წერილს
და წაუკითხა იგი ქვეყნის
მპყრობელ ხელმწიფეს.

ირანის მეფის წერილი
ბაბრამ-გურისადმი

წერილის თავში ნახსენები
იყო უფალი,
გზასაცდენილთა მფარველი და
გზის გამკვალავი;
დიდის და მცირის შემოქმედი
ამ ქვეყანაზე,
არყოფნას ვისი ძალით ქვეყნად
ყოფნა ეღირსა;
ადამიანით დაწყებული
ცხოველებამდე,
ვეება ცამდე მალალი მთით
მოკიდებული

ყველაფერს თავის გულუხვობის
საგანგოში
ვისმა ძალამაც მიანიჭა
თავისი სახე;
არც არავისთვის ქვეყანაზე
და არაფრისთვის
რომლის თვინიერ სხეა ღეთაება
რომ არ არსებობს,
არ არის კვანძი ვისი ძალით
რომ არ გაიხსნას

და ვის მიმართაც გემართებს ყველას
ლოცვა-ვედრება;
ვინც არის ოდენ დროისა და
სივრცის მფლობელი
და ვის ნებასაც ყველაფერი
ემორჩილება.

როდესაც მორჩა მაქებარი
შემქმნელის ქებას,
მეფეს და მეფის მიესალმა
ქვს მოწიწებით:

„ჰოი ზუნ, ვისაც თავი ცისთვის
მიგვიწვდენია,
მეფის შვილი ხარ და სამეფო
გამშვენებს ფარარი.

გულადიც ხარ და გულჩვილიც ხარ
კეთილშობილი.
მე, ვინც ირანის მეფეთა ვარ
ჩამომავალი,
როგორ მძლევს ჭერეთ უმწითარი
შენსავით მტერი?!

მე ქველი მეფე ვარ, საქმეში
გამობრძმედილი
და ამის გამო მთელს ქვეყანას
უუყვარვარ გულით.
ბედი რომ მწყალობს, რისთვის მწყალობს?
ჩემი სიქველის
გამოა ის რომ მწყალობს, თორემ
ტახტს ვინ მომცემდა!
მორქმით ვ:ი მეფედ, ტახტი მაქვს და
გვირგვინი მადგას,
ასე მორქმული კაცი როგორ
უნდა დაკნინდეს!

მაგრამ რომ გითხრა, თუმც შაჰი ვარ
და ვფლობ სამეფოს,
თუმც ფერიათა და ადამის
ქეთა თავი ვარ,
მაინდამაინც კმაყოფილი
არ ვარ მეფობით,
რადგან მეფობა თაფლი არის
შხამში კაქნილი.

მქონდა ყოველი თუ ქონება
თუ ძლიერება,
ბედის ვარსკვლავი ჩემი მუდამ
ქაბუჯი იყო.
მერჩია ისე ვყოფილიყავ,
როგორც ვიყავი, —
ხიფათი ახლავს რადგან მაღალ
თანამდებობას, —
მაგრამ არ მომცეს გასაქანი
ირანელებმა,
მუქარით იყო თუ მუდარით,
დამიყოლიეს
და მაიძულეს მათ, შაჰი
გავმხდარიყავი,

დაემკდარიყავი ტახტზე; თავზე
თაჯი დამედგა,
ვინძლო დამეცვა მე ისინი
განსაცდლისაგან.
რა მეფობაა ეს? მცველი ვარ,
მეფე კი არა.
რა კარგადაა ანდაზაში
ამაზე თქმული:
„ვისაც ქვეყანა უყვარს, შვებას
იძულებს ისო“.
შენ არც კი იცი, სამეფოს რომ
ასეთი ზნე სჭირს,
რა გენადვლება შენ, მრავალი
სიკეთის პატრონს!
კანჯარის მწვადები გირჩევენია
ათასჯერ უფრო
ასეთ უგემურ შაჰობას და
სამეფოს მართვას.
საყრავის ხმაზე ნება-ნება
სასმელის წრუპვას
ამ ქვეყანაზე კიდევ რამე
თუ შეედრება!
ნადირობის და ნადიმობის
გარდა სხვა საქმე
შენ არ გაქვს, სოფლის ჰირ-ვარამი
შენ არ გაწუხებს.
შენ ჩაატანე, მე თუ მკითხავ,
ცხოვრებას გემო,
რომ სახელმწიფო საქმეებით
თავს არ იცხელებ.
დღეა თუ ღამე, ან ღვინოს სვამ,
ან ნადირს დასდევ,
შენს გემოზე ჰამ, გემოზე სვამ,
გემოზე გძინავს.
აბა, ჩემსავეთ კი არ გიკრავს
შვებისთვის ხელი
და სხვაზე ზრუნვა არ გიწამლავს
ამ წუთისოფელს.
მე აქეთ დარდი მეგობრების
არ მაძლევს საშველს

და იქით კიდევ მტრების შიშით
არ შეძინება,
თავად განსაჯე, ესეც საქმე
არის თუ არა,
ღლეს უნთან მიწევს შეტაკება
გვირგვინის გამო.
ნეტავე შენ, რომ შენს გემოზე
ცხოვრობ ამ ქვეყნად
და ამისთანა საფიქრალი
არ გიშფოთებს სულს!
რა იქნებოდა, მეც მეცხოვრა
შენსავეთ ტკბილად
და ამეცდინა ამისთანა
დავიდარაბა.
მივეცემოდი განცხრომას და
შვებას გულისას,
ღვინის სმითა და ჩანგის სმენით
სულს დავიტკობდო.
მეფობის რიგი შენ ოღონდაც
რომ ვაგეგება.
გაქვს წარმოდგენა რჯულზე, ქვეყნის
მართვასაც შეძლებ,
ტახტის მემკვიდრეც, კაცმა რომ თქვას,
ერთაი შენ ხარ
და ამის გამო შენ გეკუთვნის
ეს სახელმწიფო,
მაგრამ ეს არის, მამაშენის
სიავის გამო
გადაგეცალა თავზე მის შვილს
გრძილი შუაგი.
რაც მან ქვეყანას მიაყენა
უკეთურება,
მისი აღრიცხვა და ჩამოთვლა
ვის შეუძლია
იმდენი ბრალი მიუძღვის მას,
ქვეყანას უკვირს.
იმდენი ჰქონდა ცოდვა, ცოდვილის
ეძახდა ხალხი.
რისხვის მნთხვეული იყო იგი
და სისხლის მსმელი,

რა ცოფებს ჰყრიდა და რა ცოდვას
ატრიალებდა!
ამის გამოა, რომ მის მოდგმას
არავინ ჰგუობს
და თესლსაც მისას ჩვენს მიწაზე
არვინ დათესავს.
რადგან შენ, მისი ძე, არავის
უნდიხარ მეფედ,
არ ვიჭობს თვითონ უარი თქვა
სამეფო ტახტზე!
თუ აღუდღები, წყალი ცივი
გაგიცხელდება,
წყალს რატომ ნაყავ და ცივ რკინას
რად ჰედავ ფუჰად!
მე კი აი, რას ვიზამ და შენ
რას გეუბნები:
რაც კი ვანიძი მაქვს დამალული,
სულ შენი იყოს.
რამდენიც გსურდეს საქონელი
და რაც კი გსურდეს,
იყიდე მით და მოიხმარე
სურვილისამებრ.
ცლას არ დაეაკლებ შენს საზრუნავს
და მას არ ვიზამ,
შენ გჰირდებოდეს რამე და მე
არ გავიმეტო.
შენ იქმ შაჰობას, მე ნაცვალნი
ვიქნები შენი
და შეეასრულებ მორჩილებით,
რასაც მიბრძანებ.
ხოლო მე როცა ამოუვალ
ერთ დღეს ხალხს ყელში.
ომის გარეშე სახელმწიფო
შენ დაგრჩებაო“.

ბაჰრამის ბაჰუმი

როდესაც მორჩა წამკითხველი
წერილის კითხვას,
სიბრაზისაგან ბაჰრამს ვულზე
ცეცხლი მოენტო,
მაგრამ თავს ძალა დაატანა

და ვით შექაფერის
ბრძენს, ფიცხმა თაჲ შეიკავა
გაცეცხლებისგან,
არ დაანება ვნებას თაჲი,
აწონ-დაწონა
გულში სათქმელი და მოციქულს
ასე მიმართა:

„იგი, რაც მწერალს ამ წერილში
დაუწერია,
მე მოვისმინე გულისუჲრით,
აი ეს არის.
თუმცა მწერალი გაწაფული
არა გყოლიათ,
თავად წერილის მოკარნახე
უჭკუო არ ჩანს.
რაც ამ წერილში ნათქვამია,
საზრიანობით
მოსაწონია და ამიტომ
მეც მომეწონა.
ჩემთვის ვერცხლსა და ნაგავს ერთი
ფასი აქვს, შვიდი
სამეფოც მომცენ, ერთ მადლობას
არ გადავიხდი.
მაგრამ სამეფო, მამა-პაპის
დანატოვარი
სხვას ჰქონდეს ხელში ჩაგდებული,
სამარცხვინოა.
თუ მამას ჰსურდა ყოფილიყო
ყოვლის უფალი
მე ყოვლის უფლის მცნება მიდევს
გულში და შიში.
დიდი სხვაობა ძევს ძარღესა და
კანს შორის, სხვაა
უფლის მოყვარე და უფლების
მოყვარე სხვაა.
რაც არ ჰაქვს ცოდვა ჩადენილი,
როგორ უნდა ეზღო,
მე შორს ვარ მამის ჩემის ყველა
შეტოდებისგან.
მამა სხვა იყო და მე სხვა ვარ,

ნუ გვრევთ ერთურთში,
მამა ქვა იყო ნასი, მე კო
ძვირფასი ქვა ვარ.
გაკვირთ? ნათელი დღე ხომ ბნელი
ლამის შვილია,
ლალი რომ ლალი არის, ქვაში
იშვება იგი.
მოეშვით მამას, კარგი იყო
იგი თუ ავი;
ასე იყო თუ ისე, ღმერთმა
ხომ მოგაშორათ!
სიავე გიქნათ? მიიძინა
აკი სიკეთით!
მიცვალებულზე არ ეგების
ძვირის თქმა, იცით.

კარგად თუ განსჯი ავის თქმის და
მოსმენის საქმეს,
ავის სმენისგან მოდის ავის
მთქმელის სიავე.
ავის ხელობა ავი იყო
და არის მუდამ,
ავის მოსმენა ავის თქმაზე
უარესია.
ანებეთ თავი იმას, მამამ
რაც ავი გიქნათ,
რაც მე არ ვიცი, იმის ახსნას
ნუ ითხოვთ ჩემგან!
თუ ავი თვალი არ მეცა მე,
პირობას გაძლევთ,
პასუხი ვაგო იმ ცოდვაზე,
რაც თავად მაწევს.
და დღემდე ყურზე თუ მეძინა
დაუღვერობით,
აი, ხომ ხედავთ, სწორედ დროზე
გამოვიღვიძე.
ასე უმართლებს მუდამ ყოველ
სვებედნიერ კაცს,
მანამდე სძინავს, სანამ საქმეს
ის არ სჭირდება.
ამიტომ უჯოხს, ტყვილა ძილს არ

წაართვას თავი,
იძინოს ტკბილად, სანამ თვითონ
არ გაიღვიძებს.
შერთალი არის, მე მაგარი
ძილით მეძინა,
მაგრამ ელვიძა ჩემს სვიან ბედს
და სულ ვახსოვდი.
ბედმა სვიანმა გამიწია
ამხანაგობა
და ძილისაგან სწორედ დროზე
გამომადვიძა.
სიკეთისაყენ მაქვს ნაქნარი
დღეიდან პირი
და შევაქციე ზურგი ჩემს ძველ
ბედოვლათობას.
თავი ვანებე თავნებობას,
თავის აწყვეტას;
უკეთურობას აღარ ვთესავ,
სიკეთეს ვთესავ.
ვინც მომიდგება, შევიტყობ მას
და შევითვისებ,
მის კეთილ რჩევას ყურად ვიღებ
მადლიერებით.
პასუხს არ მოვთხოვ არავის ძველ
დანაშაულზე;
არ დავხარბდები სხვის ქონებას,
და არვის დავსჯი.
არ გავუხსენებ არვის ძველ მანკს
და შეცოდებას.
და მით ვიქნები კმაყოფილი,
რაც თავს მეწვეა.
თქვენც ყველას ისე მოგექცევით,
როგორც ეგების
და ჩემთვის მხოლოდ მას მოვითხოვ,
რაც საჭიროა.
არვის ქონებას და ხაზინას
არ ხელვყოფ არსად.
ქტერს რომ მტერს ვუხმობთ, იმ მტრის გულსაც
მოვიხადირებ.

პირობას გაძლევთ, კარგის მზრახველს
არა ვკრა ხელი,
ხოლო დავთრგუნო სიავის და
ავის ჩამდენი.
მხოლოდ სიკეთის მთესველისკენ
მივაპყრა მზერა;
დახშული მქონდეს ბოროტების
სასმენად ყური.
მართლმსაჯულებას მოვაშორო
ლმობიერება(?)
და ვქნა ის, რაიც ღეთისმოშიშ შაჰს
მოეთხოვება.
თქვენი მამული, თქვენი ცოლი
და თქვენი შვილი
ისე დავიცვა, როგორც მწყემსი
თავის ცხვარს იცავს.
პური . არავის არ წავართვა
არასდროს ძალით,
პირიქით, პურზე მივუმატო
პურიანს პური.
გულის აყოლის არ შემიჯდეს
აროდეს ეშმა.
რადგან ცოდვაა ხელმწიფისთვის
გულის აყოლა.
არასდროს ნახოს არვინ ჩემგან
ისეთი საქმე,
რაც არ მოუვა არსის შემქმნელ
უფალს თვალშიო!“
როდესაც ასე დაასრულა
შაჰმა სათქმელი,
წამოდგა მის წინ წინამდგომი
მოციქულების
და მოახსენა: „მეფურობით
შენ შენით, მეფევ,
სიბრძნეს ღალადებ და ამეღავნებ
გონიერებას.
რაც აქ გვითხარი სათნოებით
მოსილმა შაჰმა,
გულის ბეჰედზე დაიწერა
გონებამ ჩვენმა.

ხამს, შენ მოგწონდეს თავი მხოლოდ,
ყოველთა თავო,
ამ სამწყსოს მწყემსი შესაფერი
შენა ხარ მხოლოდ.
მეფის გვირგვინი ქვეყანაზე
შენ გფერობს ოდენ.
ის ჩვენთან არის, მაგრამ, ვიცით,
შენ გადვას თავზე.
გოშთასბის „ზენდი“ სხვას ვის ძალუძს,
რომ წაიკითხოს⁷²,
ვის ეთვისება სხვას ქაიანთ
გვარის ზეობა?
სხვას ვის ეტყობა ასე ცხადად,
რომ დარიოსის
ნაშიერია და ბაჰმანის
ჩამომავალი?
დღეს სიამაქის ხის ახალი
ნაყოფი შენ ხარ
და იადგარი არდაშირის,
ბაბაქის ძისა.
სულ შაჰი გყავდა მამა-პაპა
და ძირისძირი
და წინაპარი იყო შენი
ქაიუმარსი.
ეს სახელმწიფო ახირებით
ქი არ გრგებია, —
შენია იგი, არავინ გყავს
ტახტის მოცილე.
ეს რომ ასეა, არვინ დაობს
ამაზე ახლა,
ყველა მობედი შეფედ შენ გცნობს
ულაპარაკოდ.
მაგრამ ეს გვიშლის ხელს, მობედებს,
დიდს თუ პატარას,
ვინც შეფედ გვიზის, მისთვის სიტყვა
გვაქვს მიცემული.
მივეცი თიცი ერთგულების
შაჰად რომ დავსვით
და ამ ფიცით გვაქვს დღეს 'მეგრული
ხელი' და ფეხი.

ჰვენ მას დაეპირდით, რომ ირანის
ხელმწიფედ ვცნობდით
და სანამ ვცოცხლობთ, ზურგს არასდროს
არ შევაქცევდით.

ასლა მიზეზი უნდა გვეკონდეს
გვერდაუვლელი
რომ ამ ფიცისგან გაგვხსნას, ვისაც
ფიცი მივეცი,
ვინძლო არ შეგვერცხვეს ჩვენ ჩვენივე
ნამოქმედარის,
ფიცის გამტეხის სასელი რომ
არ დაგვედოსო".

ბაჰრამში როცა მოისმინა
მობელთ პასუხი,
ისე მიუგო, ვით მათ ნათქვამს
ეფერებოდა.
თქვა: „არა, თქვენი გამტყუნება
არ შეიძლება;
იმ ჰქვიანს ვაქებ, ვინც ლალატი
არ იცის კაცის.
მოცილე ჩემი, ტახტი თქვენი
ვინც მიიტაცა,
მხცოვანი თქვენთვის არის, თორემ
ჩემთვის ლლაპია.

ისე ლამაზად ავართვა მას
თავიდან თაჯი,
ვერც კი გაიგოს, თავზე თაჯი
ადგას თუ არა.
მეფობას ჩემსას ნურეინ ჰგონებს
დამოკიდებულს
ჩემს ბოდიშებზე და ქცევაზე
თავაზიანზე(?)

არა, შაჰი ვარ მე, ჯამშიდის
ტახტის მემკვიდრე
და ყველაფერი ჩემია, რაც
ირანში არის!
ტახტის და თაჯის რა მცოდნია,
გინდა მგდებია
ტახტი და თაჯი სახლში ნიკთად
და გინდა, არა.

მთავარი არის, მეფე იყო
სისხლით და ტახტად
თვით დედამიწა გაგიხდება,
თაჯად კი — ზეცა.
ჯამშიდის თაჯი და ფრილონის
ტახტი მტერიანი
ჩვენამდე ვერც კი მოატანდნენ
ამდენი ხანი.
ვისაც ღიღება ეკუთვნოდა,
ისეც აღზვედა,
ტახტიც დაიდგა და გვირგვინიც
დაიხურა თავს.
მე კარგად ვიცი, ჩემი ტახტი
და თაჯი სად ძევს,
მახვილი მაქვს და მათ მახვილით
დავეუფლები.
მოსისხლე მტერმა დაიკავე
ადგილი ჩემი
და აბლაბუდით ამობლანდა
ობობამ ქვაბი.
გველემშაპია მოვარდნილი
იმ ქვაბის პირთან
და ქვაბში შესვლის ნება ახლა
ობობას თხოვოს?
ან ჭიანჭველა როგორ გასწევს
ჯიბრაილობას,
ან კიაყელა რას გახდება
სპილოს ფეხებთან!
ეს მანამდეა, რომ ჭიხვინებს
კანჯარი ველზე,
სანამდის ლომის ღრიალი არ
გაუგონია.
მზის წინ, და ისიც ლომის ბურჯში
შესული მზის წინ⁷³,
კრაქის ადგილი რომ არ არის,
ეს არ იციან?
მე გაჭირვებით სხვის სახლსა ვარ
შეკედლებული,
ხოლო ჩემს სახლში პარპაშებენ
ავაზაკებო.

თაფლსა და შაქარს ჰკამს გემოზე
რაციფი ჩემი,
მე კი ფიქრმა და საზრუნავმა
დამკამოს ლამის.
ირანში მიძევს მუქთად სარჩო —
საცხოვრებელი,
ხოლო ოჯახი არაბეთში
მყავს გახიზნული.
ზოგჯერ მონზერი მომიკითხავს
საქმელ-სასმელით,
ზოგჯერ კი ჩემთვის შვილი მისი
გამოიდებს თავს.
ჩემს მარჩენალებს თავი ასე
აქვთ აწეული,
ჩემს სარჩენალებს კი ცოდვაში
უდგათ ფეხები(?)
მე ხეადი ლომი ვარ სამეფოს
დააპრობის მდომი.
ბეხრეკ მელიას შევარჩინო
გვირგვინი ჩემი?
ქაის მემკვიდრეს ქაის გვირგვინს
ვინ მეცილება,
ქაის მოდგმის მეტს ვის ერგება
ქაის გვირგვინი?!
შაჰი ჩვენა ვართ, მსახურია
სხვა ყველა ჩვენი,
სავსე ჩვენა ვართ, სხვა სუყველა
ცარიელია.
ლაშქარი შაჰმა უნდა დაძრას
დიდი და მძიმე,
ერთი კინკილა მხედარი რა
მტვერს ააყენებს?!
ღვინო, რომელიც სამიკიტნოს
პატრონმა დადგა,
იმ სამიკიტნოს პატრონის შვილს
ეკუთვნის მხოლოდ(?).
თქვენ კარგად იცით, მართალს ვამბობ,
მე რასაც ვამბობ,
სამართლის მქნელი და სამართლის
მძებნელი ვარ მე.

მავრამ იმიტომ, რომ პატრის ვსცემ
პირობას კაცის
და არა შიტომ, ქედმაღლობა
მქონდეს ხელმწიფის (?),
ვიზამ მე ამას, რაც თქვენ გინდათ
და რასაც არჩევთ,
თქვენთან თანხმობა რადგანაც მაქვს
მეც განზრახული.

თქვენ მეუბნებით, მიზეზია
მისთვის საჭირო,
რომ მიცემული ფიცი ხელ-ფეხს
არ გვიკრავდესო.
აჰა მიზეზიც: ორ ლომს შორის
დავდოთ გვირგვინი
და იმას დარჩეს ის, ვინც უფრო
ლომგული იყოს.
რომ გათენდება, ორი ლომი
ვიშოვოთ სადმე,
შიმშილისაგან ქვეყანას რომ
აქცევდნენ ღრენით:
მძვინვარე იყვნენ, გამახული
ჰქონდეთ ბწყალები,
ცეცხლს ჰყრიდნენ პირით, ისე იყვნენ
გაფიცხებული.
ლომების მცველმა მოედანზე
გამოიყვანოს
ლომები იგი მეომრებით
შეკრულ დიდ წრეში.
შემდეგ მოხადონ გვირგვინი მას,
ვისაც ახურავს
და დადონ იგი ძირს იმ ორი
მხეცის შუაში.
ვინც გაბედულად მივა და იმ
გვირგვინს აიღებს,
ირანის ქვეყნის მბრძანებელად
ხალხმა ის სცნოსო“.

როცა ბაპრამმა დაასრულა
თავისი სიტყვა
ყველასთვის ასე მომხიბლავი
და საამური,

წერილს დაასვა სახელმწიფო
ბეჭედი იქვე
და განმარტება დამატებად
მისად ინება.
გამოგზავნილებს ჩააბარა
შემდეგ წერილი
და ბრძანა, ისე, ვით წესია,
წაეღოთ იგი.

მოციქულებმა შაჰის ბეჭედს
რომ მოჰკრეს თვალი
და ბაჰრამისგან რა ასეთი
სიტყვა მოესმათ,
გახარებულნი გამობრუნდნენ
თავიანთ სახლში,
ყრმა მეფის სახე თვალწინ ისევ
რომ ედგათ, ისე.
აღტაცებულნი იყვნენ მეფით
მოციქულები
და ფარრით მისით მოხიბლული
შინ იჩქაროდნენ.
ასე ამბობდნენ: „ბაჰრამია
ირანის მეფე, —
სისხლი ხომ მოდგამს, ქვეყანაზე
სახელიც უქუხს.
როგორ იქნება, წინ აღუდგეს
მას ახლა ვინმე
ან როგორ გინდა, ჩახჩახა მზე
ლაფით გაღესო?!
მკრჩხალი ლომია საბრძოლველად
ვაფიცებულო,
ისრით ვეშაჰსაც წააქცევს, წინ
თუ შეეყარა.
ის რომ ლომივით ბრძოლის ველზე
გამოვარდება,
თავის მოძულე ვინ იქნება,
წინ რომ დაუდგეს!
ხელში ჩაიგდებს მკლავის ძალით
ტახტსა და გვირგვინს
და დიდებულებს გადათქერავს
ცხენის ფლოქვებით.

ჩვენი ტყავისთვის გვიჯობს, ეს ყრმა
არ გავახლოთ
და არ აღუვანოთ ისევ ცეცხლი
მინავლებული.
ლომის ამბავი და გვირგვინის
ხელთ ისე გდება
სასაცილოა ამ საქმეში,
აშკარა არის.
მაგრამ ეს ლომიც საქიროა
ახლა იმისთვის,
რომ ცხადი გახდეს, ვინ მგელია
და ვინ — მელიო“.
სასახლისაკენ გაემართნენ
მოციქულები
და მოახსენეს ტახტის მპყრობელს
შაჰის პირობა.
მისცეს წერილი და უამბეს,
რაც გაეგონათ,
არ დაუკლიათ რამე და არც
ზედმეტი უთქვამთ.
ტახტის მპყრობელმა და ირანის
შაჰად დასმულმა
თავზე გვირგვინი დაიხურა
და ტახტზე დაჯდა.
თქვა: „ამისთანა გვირგვინს აბა
რა თავში ვიხლი,
ლომის ხახაში თუ ვვარდები
მისი გულისთვის!
არ მირჩევნია, რომ ცოცხალი
ვიყო უტახტოდ,
ვიდრე ტახტისთვის მოედანზე
ლომმა გამგლიჯოს?!
... ხომ ვიცი თუ ყველამ, რომ ირანის
ტახტის მემკვიდრე
არავინ არის სხვა თვინიერ
ბაჰრამ-შაჰისა.
მაშ რას აყოვნებთ, ტახტის პატრონს!
მიეცით ტახტი!
მოხუცზე უფრო ახალგაზრდას
შეენის გვირგვინი.

მე ამ საქმეზე ამილია
დღეიდან ხელი,
აღარ ვარ შაჰი, მხოლოდ შაჰის
მსახური ვარო“.

ამაზე ასე უპასუხეს
დიდებულებმა:
„ჰე წინამდგომო მეფეთა და
გვირგვინოსანთა,
ჩვენი პირობა შენს ხელმწიფედ
დასმის საქმეში
ასეთ გონიერულ აზრზე იყო
დაფუძნებული.
ჩვენი ბრძანებით რადგან ახველ
სამეფო ტახტზე,
იქიდან ჩვენი ბრძანებითვე
უნდა ჩამოხდეს.
სულაც არ არის, თქმა რად უნდა,
სახუმრო საქმე
ლომის ფეხებთან დადებული,
თაჯის ალება.
ჩვენ შეევასრულებთ იმ პირობას,
რასაც ის გვიდებს,
ლომებს დავაბამთ და სამეფო
თაჯს გამოვიტანთ.
თუ შეეშინდა ბაჰრამს, ტახტი
ხომ შენ დაგრჩება,
ხოლო თუ მოკლეს, ხომ შენია
ტახტი და შენი!
თუ გაიმარჯვებს და გვირგვინის
ალებას შეძლებს,
ხარაჯას მისცემს სახელმწიფო
ახალ ხელმწიფეს.
ყოფილა ღირსი ტახტისა და
ქება-დიდების.
მაგრამ ეს საქმე ასე მოხდეს,
ღმერთმა ნუ ქნასო!“

დიდებულებმა ბოლოს მაინც
ასე არჩიეს,
პოქცეულიყვნენ უფლისწულის
პირობისამებრ.

გათენდებოდა ხვალინდელი
დილა თუ არა,
შაპი ლომებთან შესაბამელად
გამოსულიყო.

ბაპრამი გვირგვინს დაეუფლება

გათენებულზე დილამ ოქროს
გვირგვინოსანმა
როცა სპილოსძელის ტახტი დადგა
და ოქროს სკამი,
ვინმე თავკაცი და რჩეული
კაცი თუ იყო,
გინა გონებით თუ ხარისხით
აღმატებული
არაბეთიდან ირანამდე,
ამხედრდა ყველა
და გაეშურნენ, ეხილათ ეს
სანახაობა.

ლომის მცველებმა ორი
კაციჟამია ლომი
გაძოიყვანეს მოედანზე
გავეშებული.
წაასისინეს ერთი მხეცი
მეორე მხეცზე,
გახელებულეებს დაეხიათ
ახლოს მისული.
ერთმა გულადმა ლომის მცველმა
მეფის გვირგვინი
დადვა იმ ორი ლომის, სისხლის
მდომის, ფეხებთან.
ბრწყინავდა ორი ბნელი ლომის
შუა გვირგვინი,
ვით ერთი მთვარე ორი
გველეშაპის ხახაში.
თუ მთვარეს ტაშტის ხმით იხსნიან
ღრუბლებისაგან ⁷⁴,
ბაპრამს გვირგვინი ლომებისგან
ხმლით უნდა ეხსნა.

იფოფრებოდნენ შოედანზე
ლომები და კუდს
აწყვეტდნენ მიწას სიბრაზისგან
გველეშაპივით.
ო.ითქოს ამბობდნენ: „ეის მოსძულდა
თავი ნეტავი,
ეის უნდა, ლომს და ვეშაპს თაჭი
რომ წაართვასო!“

მაგრამ ლომებმა რა იცოდნენ,
რომ მოსულიყო
ფოლადის კაცი ლომთ მმუსვრელი
და ვეშაპთ მკვლელი.
შორით უმზერდა ხალხი სეირს,
ვინ მიბედავდა
იმ განრისხებულ და მძვინვარე
ლომებთან ახლოს.
ასე გადაწყდა: შაპის თაჭის
დასაუფლებლად
მეფე ბაპრამი გასულიყო
უნდა პირველი.
თუ აიღებდა გვირგვინს, მისი
იყო გვირგვინი,
სპილოსძვლის ტახტიც მას რჩებოდა
და ოქროს ფარიც
და თუ არა და, ტახტზე უნდა
აეღო ხელი
და წასულიყო, საიდანაც
მოვიდა, იქით.

არ დაიხია ამაზედაც
ბაპრამმა უკან
და დაალირა თავი ჭიქურ
ლომებისაკენ.
იმ სანახებში ახლო-მახლო
არ იყო ველი
ლომებულ უფლისწულს რომ ლომებზე
არ ენადირა.
მანამდე ასი დაეხოცა
ლომი ბაპრამ-შაპს
თავად კი ჭერე ოცდაორი
წლის იყო მხოლოდ.

იმისთვის, ვისაც ასი ლომი
ჰყავდა მოკლული,
ორ ლომს, თუნდ ისე გახელგებულს,
რა უნდა ექნა!
ამოიკეცა კაბის კალთა
ვაჟკაცმა მყისვე
და გრიგალივით გაექანა
ლომებისაკენ,
დასცა ყიჟინა საშინელი
პირაშემულ მხეცებს
და აიტაცა დადებული
მათ წინ გვირგვინი.
როცა ლომებმა ვაჟკაცობა
იხილეს მისი,
მეფის გმირობა გაიცადეს
და ლომგულობა,
ღრიალი მორთეს და უნდოდათ,
ცემოდნენ მომხვდურს
შპრელი ბრკყალების დაშნით, ბასრი
კბილების ხანჯლით,
ხელში ჩაეგდოთ მათზე ხელის
ამპყრობი ვინძლო
და გაეგლიჯათ იქვე მეფე
ქვეყნის მპყრობელი.
მაგრამ ბაჰრამმა არ აცალა
მხეცებს ამდენი,
იშიშვლა ხმალი და ორივეს
თავები დასჭრა.
მხეცებს კბილები ჩაუღეწა,
წასჭრა თათები
და იხსნა თავიც და გვირგვინიც
განსაცდელისგან...

ბაჰრამის ტახტზე ასვლა

მისი მეფობის და სამეფო
ტახტის იღბალი
კარგი გამოდგო მისი კარგი
ბუნების გამო.

ბაქრამის ბედის მოდარაჯე
ვარსკვლავთმრიცხველი
მანამდე იყო ცის მნათობებს
ჩასაფრებული.
იღბალმა მისმა ლომის ბურჯში
დაიდგა ტახტი.
ეს კი ნიშნავდა: მკვიდრი ქქონდა
ბედნიერება.
ტატნობზე იყო აღმხდარი სედ
მზე იმ დროს სწორად
და ოტარიდთან ერთად იდგა
ზოდიაქოში.
ხარიპარია ხარის ბურჯში
იდგა, მუშთარი
მშვილდოსნის ბურჯით უქადიდა
ბაქრამს სიკეთეს.
მეათე ბურჯში იდგა მთვარე,
ხოლო მეექვსე
ბურჯში მჯდარ მარისხს ხმლით და ჯანით
მოერთო მიწა.
სასწორი ეპყრა ხელში ზუალს
და ზედ წონიდა,
რაც განძი იყო დედამიწას
და ზუალს შუა.
აი, ასეთი ცარე ბედის
მაუწყებელი
ცის განლაგების დროს ავიდა
ბაქრამი ტახტზე.
ლალი იმდენი აყარეს თავს
და მარგალიტი,
რომ ბედის მისის აივსო სულ
ზღვასავით გემი.
ვერ აუვიდნენ განძის დათვლას
მეგანძურენი
და განძს ერთ ადგილს დახვავებულ
განძზე აყრიდნენ.
მაშინ მან, ვისაც ბაქრამამდე
ეკირა ტახტი,
ვინც იყო შაჰი მანამ და სპა
ვისაც მონებდა,

როდესაც ნახა მორკმელება
მეფე ბაპრამის,
მისი შაპობით აღზევება
და განდიდება,
დიდებულთაგან პირველმა სცნო
ბაპრამი მეფედ
და აღიარა ის ხელმწიფედ
მთელი ხმელეთის.
ქვეყნის პატრონი უწოდეს მას
მობედებმა კვლავ
და მეფეებმა სცნეს ბაპრამის
მეფეთმეფობა.
ყველა ასხამდა ახალგაზრდა
ხელმწიფეს ხოტბას,
ზოგი ამკარად აქებდა მას,
ზოგი — ფარულად.

როცა მოედო მთელ ქვეყანას
მეფის სახელი
და ცად აღზევდა ბაპრამ-შაპის
ქება-დიდება,
ინება მეფემ თვისი
სეფესიტყვის წარმოთქმა,
მარგალიტები გადმოჰყარა
იაცუთიდან.

ბაპრამის საფასიბაჟა

და თქვა ბაპრამმა: „მე უფალმა
მიბოძა ტახტი.
საბედნიერო იყო ჩემთვის
ღვთის ეს წყალობა!
უფალს მივუძღვნა უნდა ახლა
ქებათა ქება
დე კურთხეული იყოს იგი,
ვინც უფალს ესაგს!
ზურგს არ შევაქცევ ირასოდეს
წყალობას უფლის,
მოვიხსენიებ მის სიკეთეს
მუდამ მადლობით.

პირაშემულ ლომებს მე გვირგვინი
რომ გამოვსტაცე.
უფალს ვუმაღლი ამას მხოლოდ.
ჩემს ხმაღს კი არა.
რადგანაც გვირგვინს დავეუფლე
და ტახტზე დავექე.
უფლის საამო საქმეები
უნდა ვაკეთო.
თუ უფლის ნება იქნა, ისე
უნდა მოვიქცე.
სახელმწიფოში დაჩაგრული
არაეინ მყავდეს.
მოგმართავთ, ვინც ხართ დიდებული
სასახლის ჩემის,
იყავით ჩემთან ისე ქველი,
ვით ჩემი გზაა.
ეს ვირჩევნიათ, აარიდოთ
სიმრუდეს თავი
და სამართალში სათნოება
იპოვოთ თქვენი.
გორჩევთ, მარჯვენა ყური გქონდეთ
სარწმუნოდ, თორემ
ბევრს აეხევა, ეს იცოდეთ,
მარცხენა ყური!
ახლა მე უნდა დავისვენო
რამდენიმე დღე,
შემდეგ კი ფართოდ გავუღებ ხალხს
კანონის კარებს.
ეს არის ჩვენი მიზანი და
დანიშნულება,
კეთილს სოკეთით რომ მიუუზღათ,
ავს კი — სიავით.
სანამდის ჰგოეს სამყაროში
ცისფერი ჩარხი,
კურთხევა გქონდეთ საუკუნოდ
მიძინებულებს.
ცოცხლებს კი, სანამ თეთრი ფერი
და შავი ფერი
ერთმანეთს ცვლიან, მშვიდობას და
იმედს ვპირდები.

არაფერს ვიზამ სიკეთის და
სამართლის იქით.

ნუ გაიხაროს, ვისაც ეს არ
უხაროდეს!“

როდესაც მეფემ საჩინო ქნა
მართლმსაჯულება.

ვინც მოისმინა, მადლობელმა
თაყვანი სცა მას.

ორიოდ საათს იჯდა შაჰი

სამეფო ტახტზე,

შემდეგ კი აღგა და საწოლში

გაიხალვათა.

ესავედა უფალს და თესავდა

მართლმსაჯულებას.

ხალხი გულსავესე ჰყავდა, ღმერთი

კი — მადლიერი.

დიდებულთაგან სათათბირო

შექმნა კრებული

და დასაყრდენად გაიხალა

გულმტკიცე ხალხი.

ბაჰრამ-ვურის მეფობა

როცა დამშვენდა გვირგვინი და

ტახტი ბაჰრამ-გურს

და მორკმული და ღირსეული

მეფე შეიქნა,

წელზე შვიდთვალა შემოირტყა

წესით ჭამარი,

შვიდფეხა ტახტზე ნებიერად

აბრძანდა შემდეგ.

ესურა ქორის მკერდის ფერი

ჩინური თაჯი,

ტანზე კი ეცვა სამოსელი

ბერძნული სტაფრის.

მშვენიერებით ბაქს ართმევედა

ბაჰრამი ბერძნებს

და სილაშაზით დახარკული

ჰყავდა ჩინეთი 24.

ოთხი ბალიში ედო ტახტზე
ჯამშიდის დარად
და მზეს სწვდებოდა დღეში ხუთჯერ
ბუკის ხმა მისი 76.
მართლმსაჯულება გაავრცელა
მთელს სამეფოში
და ზეცად აღხდა სამართალი
მიწით აღმდგარი.
მას მეგობრობდა, ვინც სიკეთეს
ესავედა მხოლოდ,
ხოლო მას მტრობდა, ვინც სიავეს
თესავედა ხოლმე.
მწუხარების და ჭირის კარის
ის იყო კლიტე,
სადაც ის იდგა, იქ სუფევდა
ბედნიერება.
ისევ აყვავდა მეოხებით
მისით ქვეყანა,
ამოისუნთქა, როგორც იქნა,
ირანმა შვეებით.
ბერწმა ძროხებმა დამაკება
დაიწყეს ისევ
და წყლით გაივსო ამომშრალი
ნამდინარევი.
ისევ მოისხეს უნაყოფო
ხეებმა ხილი
და კვლავ მოიჭრა მეფის სიჭით
ფული — დირემი.
მართლმსაჯულება გაბატონდა
კვლავ ქვეყანაზე
და აღიკვეთა ორპირობა
მიწის პიროდან.
მის მაგალითზე ყველა კუთხის
უფლისწულებმა
კვლავ დაიბრუნეს ხალხის ნდობა
და პირისწყალი.
ქვეყნის სხვა და სხვა მხარეს მჭდარმა
მოხელეებმა
აავსეს ბაჰრამ-გურის კარი
გადასახდელით.

ციხისთავებმა მძიმე განძი
მოართვეს მეფეს
და ჩააბარეს სათითაოდ
ციხის კლიტენი.
ყველა ცდილობდა განახლებას
ძველი ფირმანის,
სულს არ ზოგავდნენ, ოლონდ ხელში
ჩაეგდოთ იგი.

როცა ბაჰრამმა თავ საქმეებს
მოაბა თავი,
მოქალაქეთა სარჩელების
გარჩევა იწყო.
ღარიბ-ღატაკთა გაქირვებას
მიხედა ჯერე,
მერე აყრილნი დააბრუნა
მამულში უკან.
ისე მეფობდა, მგელი ცხვარს არ
ეტანებოდა,
ქორი და მტრედი დაუმოყვრა
ერთიმეორეს.
გამოურეკა თავით ქარი
თავქარიანებს
და დაუმოკლა სხვის ქონების
ხელმყოფთ ხელები.
მტერსა და დუშმანს მოუშალა
ბინა და ბუდე,
მომგეს და მოყვასს მოუშართა
ყველაფრით ხელი.
კაცობა იყო, რაც მეფობის
ღროს ქნა ბაჰრამმა;
განა კაცობა არ სჯობს კაცის
მიმართ მკაცრობას?
უსწორდებოდა მოსისხლე მტერს,
როგორც ეგების,
მრავალს ხოცავდა, მაგრამ ერთს არ
შეურაცხყოფდა,
რადგან იცოდა, ღირსებაზე
თუ მიდგა საქმე,
შეურაცხყოფის მიყენებას
მოკვლა სჯობს კაცის.

კაცი იყო და განზე მდგარი
არ ჰყავდა კაცი
და კაციშვილი არ იყო მის
თემში მშოიერი.
ჯარგად იცოდა. რომ ამ მიწის
სადგურს კაცთათვის
მხოლოდ და მხოლოდ მწუხარების
მტვერი მოჰქონდა.
იშვებდა ნებით ამის გამო
ქალებში ვნებით
და ატარებდა დროს, როგორც მას
სიამოვნებდა.
ვერ ენდობოდა ამ ქვეყანას,
ესეც იცოდა,
ამიტომ ტუჩით აღნებოდა
ღაცთა ტუჩებს.
კვირაში ერთი დღე იცლიდა
ქვეყნის საქმისთვის,
დანარჩენ ექვს დღეს არ იცვლიდა
ფეხს ჰარემიდან.
სიყვარულისგან ერთი წუთით
არ ჰქონდა მოცლა.
სულ მის კარებთან იდგა (რა ცუდ
კარებთან მდგარა!).
ვინ არის, გულს რომ სიყვარული
არ უქანებდეს,
ცოცხალი იყო და არ იყო
შეყვარებული?!
ბუნება მისი სიყვარულის
დაღმა დადალა
და მხოლოდ ტურფა ასულები
ეხვია ირგვლივ.
ბაჰრამის ქება და დიდება
ზეცამდე აღხდა
და დაემონა მის ბრძანებას
მთელი ქვეყანა.
ცხოვრობდა ასე ნებიერი
და კმაყოფილი,
მოდამ სამართალს უჭერდა მხარს
და ხალხს აღზენდდა.

ემატებოდა საგანძურში
შაჰს განძზე განძი
და კლებულობდა ქვეყანაზე
ძალმობრეობა.
სამეფოს ნერგი გაახარა
და ააყვავა
და ხალხს სიკეთეს, ვით მზე — სხივებს,
ისე აფრქვევდა.

ამასობაში გაზულუქდა
მაძლარი ხალხი,
წლიური სარჩო სულ იოლად
მოჰყავდა ყველას.
გადაივიწყეს იაზდანის
თაყვანისცემა
და სათნოება გულებიდან
გამოიძევეს.
ასეა, როცა უფლის მიერ
შექმნილი ხაიხი
ალარ დაგიდევს შემოკმედის
თაყვანისცემას,
გადაექცევა სატანჯველად
სიამოვნება
და ძლივს ნაშოვნი ლუკმაპური
გაუმწარდება.

გვალვა. ხაზრათის აველფოქშიღება

ერთ წელს ისეთი გვალვა დადგა,
ნათესი გახმა,
მთელს ქვეყანაში არ მოსულა
პური მარცვალიც.
ისე გაჭირდა საქმლის შოვნა,
შიმშილისაგან
ადამიანი ბალახს ჭამდა
საქონელივით.
ისე შეწუხდა უპურობით
მთელი ქვეყანა,
რომ პურის მარცვალს ძვირფასი თვლის
ფასი დაედო.

ირანის მეფეს მოახსენეს
კარისკაცებმა,
რა დღეშიც იყო ჩაეარდნილი
მისი სამეფო.
ადამის მოდგმა მგლის მოდგმას ვით
დამგვანებოდა, —
ზოგი მკვლარს ჭამდა, ზოგმა კიდევ
კაცი შეჭამა.
მეფემ რომ ნახა, პურის ფასს რა
ცეცხლიც ეკიდა,
ბრძანა, განეხნათ სახელმწიფო
ბედლის კარები.
ყოველ ქალაქში გააგზავნა
ბრძანება ფიცხლად,
პურის მარაგი სადაც თვითონ
ეგულებოდა:
მოგროვილიყვენ მყისვე თემის
მოხელეები,
ბედლის კარები დაკეტილი
განეხნათ ყველგან.
შეძლებულთათვის, თუ შეეძლოთ,
დაეცვათ ნიხრი,
ლარიბებისთვის მუჭთად უნდა
მიეცათ პური.
რაც უვარგისი დარჩებოდა
ხორბლის მარცვალი,
გადაენახათ ფრინველების
დასაპურებლად.
ეინძლო ბაჰრამის ზეობის დროს
შიმშილით კაცი
არ მომკვდარიყო (ვიშ, მეფობაც
ასეთი უნდა!).

აი ამგვარად გაიტანა
მწიერმა ხალხმა
მეფის ბედლიდან პური, თავი
მით გაიტანა.
მარტო თავის ხალხს არ აკმევდა.
მეზობელ თემსაც
მიჰქონდათ პური მისგან და მით
თავი გაჰქონდათ.

არ დაუკლია ცდა, ხაზინა
არ დაუზოგავს, —
ვინმე უმწეოდ და უპუროდ
არ დამირჩესო!
ოთხს წელს გაგრძელდა შიმშილი და
გვალვა და მეფეც
არჩენდა მშვიერთ იმ ოთხი წლის
განმავლობაში.
ეს იყო მისი მორკმულობის
თავი და თავი,
ამიტომ იყო, მან დიდება
რომ მოიპოვა.
დაიხსნა ხალხი საშინელი
სიკვდილისაგან.
ეს იყო მხოლოდ, ერთი კაცი
მანც მოუყვდა.

 შიმშილისაგან იმ საბრალო
კაცის სიკვდილმა
ქველი ხელმწიფე შეაწუხა
ზომაზე მეტად.
დაღონებულმა პირი გამჩენს
მიაპყრო თვისას
და შეეხვეწა, მძიმე ცოდვა
შეენდო მისთვის.
მიმართა: „პოი, სულიერთა
სარჩოს გამჩენო,
სარჩო შენს მიერ გაჩენილი
არა ჰგავს სხვისას.
შენ, შენი ძლევა მოსილებით
ყოელის მძლეველი,
პატარას დიდად აქცევ, დიდს კი
პატარად გახდი.
არ შემიძლია მე, რაც უნდა
გულით ვცადო,
ველზე შიმშილი მოვუკლა თუნდ
ერთ მშვიერ ირემს.
ეს შენ ხარ მხოლოდ, ვინც განგებით
უზენაესით
ყოველ სულიერს პირის ლუკმა
რომ გაუჩინე.

ამ გვალებების დროს ერთი კაცი
თუ ღაიღუპა,
მისი დაღუპვა ჩემი ზრალი
არ არის. ღმერთო,
სანამ უჭირდა, არ ვიცოდი,
მას რომ უჭირდა,
რომ მოკვდა, მერე გინდ მცოდნოდა,
გინდა არაო“.

როცა ბაჰრამმა გულმხურვალედ
ილოცა ღვთის წინ,
ხმამ იღუმალმა ამოსძახა
თავის გულიდან:
„ღვთისნიერებას შენსას ღმერთი
ანგარიშს უწევს
და ამის გამო ხალხი სიკვდილს
გადაგირჩინა.
რადგან შენ ქვეყნის (ამ ოთხი წლის
განსაცდლისაგან
ხსნილის) ხელმწიფე შიმშილით მკვდარ
ერთ კაცს მისტირი,
ნაბრძანებია უფლის მიერ:
შენს სამეფოში
არ მოკვდეს კაცი ღვთის იქით
ოთხი წელიო!“.
გამიგონია, რომ ოთხი წლის
მანძილზე მართლაც
არვინ მომკვდარა ბაჰრამ-გურის
სახელმწიფოში.
კურთხეულია მეფე, ვისი
სიკეთის ჯილდოდ
მის ქვეყანაში ოთხი წელი
არვინ მოკვდება.
ყველა ცოცხალი იყო, ვინც კი
იზადებოდა.
დახლი იყო და ხარჯი — არა.
რამე სჯობს ამას?!
ისე მომრავლდა ხალხი, მთა და
ბარი არ დარჩა,
არ ყოფილიყო ნაშენი და
დასახლებული.

გამიგონია, ისპანით
მოკიდებული
რეიმლე სახლი სახლს ეკვროდა
ლელიანივით.
ბრმას რომ ეარა იმ სახლების
ბანიდან ბანზე,
რეიდან მშვიდად ჩაღწედა
ისპანამდე.
თუ ეს ამბავი არ გჯერა შენ,
მასზე პასუხი
იმას მოკითხე, ვინც გადმოგვცა,
ჩემთან რა გინდა?!
საწყალობელი ხალხიც იყო,
რა სათქმელია,
მაგრამ წყალობა მეტი იყო
საწყალობელზე.
სუყველას გული სავსე ჰქონდა
მთასა თუ ბარში,
ყველგან სიახე იყო, ყველა
დროს ატარებდა.
მოსაკრავენი ორი ეჭის
სიგრძეზე ისხდნენ.
ისმოდა ჩანგის, რობაბის და
ბარბითის ჰანგი.
ღვინის ტბა იღვა საქეიფო
წყაროს ნაპირას,
ქუჩიდან ქუჩას გადაბმოდა
სმა და ქეიფო.
ხალხი ხმაღს ყიდდა და იმ ფულით
ღვინოს ასხამდა,
ჯავშანს იმსხერედა და იცვამდა
ფარჩას მის ნაცვლად.
ყველამ დაჰყარა საომარი
იარაღები,
ხმალი და მშვილდი ბუნდოვნად თუ
ახსოვდა ვინმეს.
ვისაც შეძლება ჰქონდა ამის
და თავიც ჰქონდა,
ის ნეტარებას არ იკლებდა
და დროს ტარებას,

ხოლო, რომელსაც არ გააჩნდა
ამის სახსარი,
შაპი აძლედა ნებიერი
კეთილი ბედის,
ყველას თავისი მიუჩინა
საქმე ბაპრამმა
და განუწესა ხალხს ბაზრის დღე
სასიამოვნოდ.
თავად დღე, ბრძანა, ორ ნაწილად
გაეყო ყველას,
ჭერ ემუშავათ, ხოლო შემდეგ
კი ექეიფათ.
შეიდ წელს ხარაჯა არავისგან
არ აუღია.
ხალხს გაუნელა მწუხარება
შეიდჯერ ათი წლის.
ექვს ათასამდე მოუყარა
თავი ხელოვანს,
მუტრიბი იყო, მოცეკვავე
თუ მეთოჯინე,
სხვადასხვა კუთხით მოყვანილნი
დაპყო ჯგუფებად
და შიამაგრა სათამაშოდ
სხვადასხვა მხარეს,
რათა სუყველგან მისულიყვნენ
მის ქვეყანაში,
გაერთოთ ხალხი და თვითონაც
გართობილიყვნენ.

ბაპრამის ხარვის ამბავი

ერთ დღეს ხელმწიფეს ნადირობა
მოუწდა ისევ,
ტრამალ მინდორში მოენატრა
ნადირის დევნა.
კანჯრის ფოთლების შქონე ქურანს
მოახტა მარდად,
გავიდა ველზე და კანჯრების
ხოცვა დაიწყო. —

მშვილდოსნის ბურჯი თქმულა მუდამ
მუშთარის ვანად.
აქ კი მშვილდოსანს მუშთარისთვის
დაეწყო სროლა.
შემოუარეს მარეკებმა
კანჯრების რემას
და ბაპრამისკენ აქნევენეს
ერთ მხარეს პირი.
მეფე საფარში იცდიდა ვით
შამბნარში -- ლომი,
ქურანი მისი კი ადგილზე
ვერ ჩერდებოდა,
... როცა გაქვს კანჯრის ფეხი, გიდგას
კამკამა ღვინო,
ცეცხლია მწვადის შესაწვავი
საქირო მაშინ.
არ გაუშვია, ახლომანლო
თუ გაიარა
კანჯარმა, ბაპრამს ისრით ის რომ
არ გაეგმიროს.

ერთი მხევალი ჰყავდა მეფეს
მთვარის სადარი.
ჩაუქი იყო და უბადლო
მხედარი გახლდათ.
ფითნე ერქვა და კაცს ფეთებას
შეჰყრიდა მართლაც.
ლატყვევებული ჰყავდა მეფე
ვშის თილისმით.
სამოთხის ბალის მსგავსი ჰქონდა
სახე ქალიშვილს
და ირწეოდა, ვით ნიაფზე
მწვანე ჯეჯილი.
თაფლში გაქნილი ერბოს გემო
ჰქონდა მაგ წყეულს,
ტკბილისკვერივით ამო იყო
ჰა გემრიელი.
ყველა სიკეთით შემკულს და ტკბილს
ხმაც ტკბილი ჰქონდა,
უკრავდა რუღზე და ცეკვავდა,
ნუ მკითხავთ, ისე.

როცა ის ხელში რუდს იღებდა
და ზედ დამღერდა,
ცის ფრინველები ძირს მის სმენად
ჩამოდიოდნენ.
მეფე ბაპრამიც, ნადირობდა
თუ ნადიმობდა,
ამღერებდა და უსმენდა მას
სხვებზე უფრო მეტს.
ქალს იარაღად საზი ჰქონდა,
ბაპრამს — ისარი.
ეს ჩანგს უკრავდა, ის კი ნადირს
ქეიბურს ჰკრავდა.
იმ დღესაც ბაპრამს ველზე ბლომად
შეხვდა კანჯარი,
ნადირის დევნით მეფემ ქურანს
ხვითქი ადინა.
ველზე ქარივით მქროლავ ნადირს
დაეწეოდა
მძვინვარე ლომის მსგავსი მეფე
ხელმშვილდიანი.
ჩადებდა ისარს ფიცხლად მშვილდის
ნახევარწრეში.
მოსწევდა მშვილდის ლარს და ისარს
ნადირს ესროდა.
ისარი მისი აუცდენლად
ხვდებოდა კანჯარს,
ხოლო კანჯარი ბაპრამის წინ
მიწას კოცნიდა.
სულ ცოტა ხანში საოცარი
საქმე ქნა მეფემ:
ბევრი კანჯარი დახოცა და
ბევრიც შეიპყრო.
თავისი თვალით ნახა ხარკვამ
ეს ყველაფერი,
მაგრამ ქებისგან შეიკავა
რატომღაც თავი.
მეფემ უთმინა ხარკვას კიდევ
ერთი საათი,
სანამდის ისევ არ გამოჩნდა
ველზე კანჯარი.

მაშინ კი უთხრა: „თათრის ვიწრო
თვალების მქონე 77,
ჩვენს ნანადირევს რატომ არის,
თვალს რომ ჯრ ადვამ?
იმდენი ვზოცე დღეს კანჯარი,
ნანადირევი
ვიწრო თვალებში არ გეტევა
განა? რად ღუმხარ?
აი, კანჯარი, მოდის აგერ,
თქვი, როგორ მოგვკლა,
ისარი ტანის რა ადგილზე
მოეახვედროო?“

ხარკამ, რომელიც ქალი იყო
და ქალის ჰქონდა
ზნე და ბუნება, მეფეს ასე
გასცა პასუხი:

„თუ გინდა, იყო გამარჯვებით
გახარებული,
თავი და ფლოქვი კანჯარს ისრით
შეუტყუებო!“

მეფემ შეატყო, შარზე იყო
ეს დედაკაცი,
მაგრამ რა ექნა, რამე ღონე
უნდა ეძია.

მოატანინა მყისვე მშვილდი
კონდახიანი,

იმ კონდახიან მშვილდზე დადო
რკინის ბურთულა,
ესროლა კანჯარს და მოარტყა
ბურთულა ყურში.

ბურთულამ ნადირს აუდღულა
თავი და ტვინი.

და ფლოქვი ყურთან მიიტანა
გაჭირვებულმა,
ვითომ მას, ყური რომ მატკინა,
მოვიშორებო.

ამასობაში დაიწვილა

შაჰის ისარმა

და მიუყერა კანჯარს ცალი
ფლოქვი ცალ ყურზე.

ნიშნის მოგებით გადმოსძახა
მეფემ ქალიშვილს:
„ჰა, როგორ მოგწონს ჩვენი სროლის
ხელოვნებაო?“
ხარკამ მიუვლო: „ნასწავლი გაქვს
ეგ საქმე. შედეგ.
ნასწავლი საქმის შესრულებას,
აბა, რა უნდა?
როდესაც კაცი ბევრს ვარჯიშობს
რამე საქმეში,
მერე იმისი შესრულება
სულ ადვილია.
მეფის ისარი კანჯარს ყურში
რომ განეწონა,
ვარჯიშის საქმე გასლავთ, განა
ვაქკაცობისო?“

ქალის ნათქვამი გულში მოხვდა
თავმომწონე ვაქს,
მჭრელი ნაჯახი სცეს თითქოსდა
ფეხზე მდგარ ხესო.
განრისხდა ბაჰრამ-გური თავის
უკმეხ ხარკაზე
და გულისწყრომა რისხვით იქვე
გადმოანთხია.
მეფეთა წინ ხომ ასეთია,
რომ ბრაზდებიან,
ისე დაღვრიან სისხლს, თითქოსდა
არაფერიო.
არ პატიობენ არავითარ
დანაშაულს სხვას
და კაცის დასჯის დროს არაფერს
ეპუებიან.
გულში თქვა: „ეს თუ ირ დავსაჭე,
უარესს მიზამს,
მაგრამ რომ მოვკლა, ესეც ცოტა
უხერხულია.
ღიაცის სისხლში გასვრა ვაქკაცს
არ გკადრება.
ორთაბრძოლაში კაცი ქალთან
ხომ არ ვაგაოქ?“

ერთი სარდალი ჰყავდა მეფეს
დიდგვაროვანი,
ლომეით მკრჩხალი და მგელივით
დაუდგრომელი.
იხმო ბაჰრამმა ეს სარდალი
და ასე უთხრა:
„ეს დედაკაცი მომავლორე
ახლავ აქედანი
ჩვენი სასახლის ამრევია,
ამას რომ ხედავ
და მოკვლა მისი ჩვენი მხრიდან
აღალაო“.

მოჰკიდა ხელი განსჯილ ხარჰას
მეფის სარდალმა
და თავის სახლში წაიყვანა.
მთვარე მიჰყავდა.
უნდოდა საქმის გათავება
და გადასწყვეტა,
როგორც სანთლისთვის, წაეცალა
ქალისთვის თავი.
მაშინ იმ ქალმა უთხრა სარდალს
თვალცრემლიანმა:
„გირჩევ, უღირსი საქციელი
არ ჩაიდინო!

ნუ იზამ ამას, შენი თავის
თუ არ ხარ მტერი
და თუ არ გინდა, ჩემი ცოდვა
შენ მოგეკითხოს!
არ იცი განა, რომ მე მეფის
ვარ გულის სწორი,
ყველა ხარჰაში მეფის მიერ
გამორჩეული?
მეფეს ხომ, გინდა ნადიმობდეს,
გინდ ნადირობდეს,
მხოლოდ მე ვყავარ გვერდით ქალი,
სხვები კი არა.
ზურგზე ეშმაკი შემაჯდა დღეს
და ამის გამო

ცოტა უხეშად მოვექეცი.
 მართალი არის.
 ხელმწიფემ ჩემი დასჯა ბრძანა
 ცხელ გულზე მყოფმა,
 მაგრამ ჩემს დასჯას, გირჩევ ჰაინც
 ნუ დაუჩქარებ.
 ერთი-ორი დღით გადადევნი
 ჩემი სიკვდილი,
 შაჰს კი უთხარი: მოვკალი-თქო, —
 ტყუილი ჰკადრე.
 თუ გაახარა ამ ამბავმა
 ხელმწიფე, მაშინ
 მომკალი, ჩემი სისხლიც შენზე
 ალალი იყოს!
 ხოლო თუ იგი დააღონა,
 შენმა ნათქვამმა,
 მაშინ რას შერჩი, აქ ხორცი გაქვს
 ხსნილი, იქ — სული.
 შენ იქ განკითხვას გადაურჩები,
 მე კი აქ — სიკვდილს.
 ჩემი კენარი საროც ცუდად
 არ წაიქცევა.
 დადგება ერთი დღე, თუმცა დღეს
 არაფერი ვარ,
 და შენს სიკეთეს მეც სიკეთით
 ვადავიხდიო!“
 ეს რომ თქვა ქალმა, ყელსაბამი
 შეიხსნა მძიმე
 და შვიდი დიდი ლალი სარდალს
 დაუწყო იქვე.
 თითო მათგანი იყო თითო
 იკლიმის ფასი,
 ომანის ორი წლის ხარკს თითო
 აიწონიდა.
 სარდალმაც მძიმე საქმე კარგად
 აწონ-დაწონა
 და შეიკავა თავი ქალის
 თავის წაქრისგან.
 უთხრა: „კეთილი, მაგრამ რასაც
 გეტყვი, ის ქენი:

არსად. არვისთან არ წაშოგცდეს
მეფის სახელი
ჯველას უთხარი: ვარ-აქო
შინამოსამსახურე.

შენც იტროლე სახლში. ხალხმა
რომ შემოგხედოს.

მე ჩემლათავად შეეცცლებო,
გიშველო რამე,
თუკი საშველი დაკვაყენა
შემოქმედმაო“.

დაადგნენ ამ აზრს და ასეთი
დადგეს პირობა, —
ერთმა სასჯელი აიცილინა,
მეორემ — ცოდვა.

როდესაც კვირის თავს სარდალი
ეახლა მეფეს,
მეფემ მაშინვე სარდალს ქალის
ამბავი ჰკითხა.

სარდალმა უთხრა: „მთვარე ვეშაპს
ჩაეუგდე პირში.

მოკვალი იგი და ცრემლით ვზღე
სისხლი მისიო“.

ცრემლი მოადგა მეფეს თვალზე,
ეს რომ ისინა,

ხოლო მის სარდალს საგულეში
ჩაუდგა გული.

სოფელი ჰქონდა სარდალს ერთი
მოსავლიანი,

მოფარებული გამგლელის და
გამომგლელის თვალს.

ერთი სასახლე ედგა მასში
ისე მალალი,

რომ ცის ტატრობზე ვარსკვლავებთან
მასლაათობდა.

ამ სახლის თავზე ზედ ლამაზი
კოშკი დაედგა,

სამოცი ჰქონდა საფეხური
ამ სახლის კიბეს.

ის კოშკი ჰქონდა დათმობილი
ხელაწიფას ბარკას.

ასეა, რჩეულს მუდამ რჩეულ
ადგილს უთმობენ.
სწორედ იმ ხანად, ქალი კოშკში
რომ დაბინავდა,
ნახირში ძროხამ ხბო მოიგო
თვალად ხატულა.
ქვეყნის მნათობი ის პირმთვარე
ხელმწიფის ხარკა
იმ პატარა ხბოს შეისუამდა
ყოველდღე ზურგზე,
შეუდგებოდა იმ ბოჩოლას
იმ კიბეებზე
და ნება-ნება აიყვანდა
თავის კოშკამდე.
მზე გაზაფხულზე ხარს რომ ათრევს,
ეს ყველამ ვიციით რა,
მაგრამ რომ მთვარეს ის ეთრიოს,
გინახავთ ვინმეს?
და იმ ნიამორს, მეფის ხარკას
ვერცხლისტანიანს,
აჰყავდა ის ხბო იმ სიმაღლე
კოშკზე ყოველდღე.
ვიდოდა ხანი და ხელმწიფის
ხარკას ხბო იგი
აჰყავდა ასე კოშკზე ზურგით
და ჩამოჰყავდა.
ამასობაში გაიზარდა
ხბო იგი ისე,
დადგა ექვსი წლის ხარი ტანით
დასრულებული.
მაგრამ ხელმწიფის ხარკა მანინ
არ უხვევდა წესს,
მოიკიდებდა იმ ხარს და ზედ
კოშკზე აჰყავდა.
არ აწუხებდა მას სიმძიმე
ამხელა ხარის,
რადგან მის ზიდვას შეჩვეული
იყო თავიდან.
რამდენაც იმ ხარს ეზრდებოდა

დღითი დღე ტანი.
ემატებოდა მის მზიდავ ქალს
დღითი დღე ძალა.

ხარბა სარდალს ურჩევს.
მეფე ანაატონი

ერთ დღეს ის ქალი მეტის დარღობ
შექირებული
სარდალოან იჭდა მარტოდმარტო
მის სასახლეში.
მოიხსნა ოთხი მარგალიტი
მარგალიტების
მატარებელი სადაფის მსგავს
ყურთაგან ქალმა
და სარდალს უთხრა: „წაიღე ეს
მარგალიტები
და როგორც გაიყიდებოდეს,
ისე გაყიდე.
იყიდე: ცხვრება, ტკბილეული,
სანთელი, ღვინო
და რაც საჭირო იყოს კიდევ
კარგი სუფრისთვის.
ერთი ქეიფი გამართე ღვთის
მეფონებელი
თავისი ღვინით, მწვადებით და
სანელებლებით.
როდესაც მეფე სანადიროდ
წამოვა ჩვენსკენ,
შენ თან ეახელ, აუყანდს მისას
არ უშვა ხელი
მომსახურება არ მოაკლო,
რაც შეგეძლება,
ეცადე ცხენის დაიჭირო
მისის აღვირი.
კეთილშობილი კაცი არის
მეფე ბაპრაში,
ლოი ბუნება აქვს და ჩვილი,
დაბუკლი გული.

შენ რომ მუღარას; დაუწყებ მას
და თითო ხეწინას,
ხათრს არ გაგიტეხს და სუფრაზე
წიხლსაც არ გიკრავს.
სტუმრად რომ მოვა, მოვექიწოთ
ხელმწიფეს თავი,
აქეთ რძე ვასვათ, იქით ტბილი
თაფლი ვაჭამოთ.
ოღ ჩვენს ხრახვამ გამოიღო
ნაყოფი, შამინ
შენ აღგაშალე მუფე, მე კი
შემივრდომებსო“.

მეფის სარდალმა ის ლალები
იქით გასწია
(ამოსთანები ღმერთს ხომ მისთვის
ბევრი მიეცა!),
გამოალაგა საოჯახო
საკუქნაოდან
გამსაპინძლებას ხელმწიფისას
რაც სკირდებოდა.
საკმელ-სასმელი იყო იგი
მეფის საფერი.
ქათამი იყო, თუ ბატკანი,
თევზი თუ ცხვარი.
ნაირ-ნაირი მოატანა
სუფრის მწვანილი,
სასმელი მეფის შესაფერი
და ტბილულო.
მოიხაზირა ყველაფერი
ეს და დაიწყო
ლოდინი, მეფე სანადიროდ
როდის წავაო.

**სარდალს ბაპრამი სტუმრად
მიუბავს**

ერთ დღეს ბაპრამი აიყარა
სრა-სასახლიდან
და სანადიროდ მიმავალი

ველზე გავიდა.
მანამდის, სანამ მეფე რამეს
ინადირებდა,
დახეთ, სარდალმა იგი როგორ
მოინადირა.
ბაპრამს გზად სწორედ ის სოფელი
უნდა გაველო,
სადაც მის სარდალს ის მაღალი
სასახლე ედგა.
გულის გასაწყოს ვერ ნახავდით
უკეთეს ადგილს,
ხე ხეზე იყო გადაბმული
და ჩრდილი-ჩრდილზე.
მეფემ იკითხა: „ეს მდიდარი
და თვალწარმტაცი
ადგილ-მამული და წყალ-ჭალა
ვისი არისო?“
სარდალი მეფის ახლოს იდგა,
როდესაც მეფემ
თავის ამალის წევრთ ასეთი
ამბავი ჰკითხა.
დაემხო მის წინ, ჯერ დალოცა
და მერე ჰკადრა:
„ეჲ მეფეო, ჰვეშევრდომთა
შემწყალებელო,
მე ეფლობ ამ სოფელს, შენი მონა.
ის შენ მიბოძე,
ვით ერთი წვეთი მოწყალეების
შენის ჯამიდან.
თუ ეს ადგილი მოეწონა
ჩვენს დიდ ხელმწიფეს
და მე, მის მონას, ბედს მწევ მეფე
აჲ ჩამოხდომით,
ვით მას სჩვევია სადად,
ჰაი-ჰუის გარეშე
დიდების მისის და ღირსების
შესაბამისად,
თუ ჩვენი მეფე, თავს შემოჰყოფს
ჩემს ვიწრო კარში,
სიამაყისგან ცას მიაწვდენს

თავს მისი მონა.
თქვენი წყალობით ერთი კოშკი
მიდგას აქ ახლოს.
ისე მაღალი არის, თავი
მთვარეს უწვდება.
ირგვლივ ისეთი ბალი აკრავს
იმ კოშკს, მეფეო,
ედემი მასთან, რომ შეხედო,
მონაგონია.
მეფე იმ კოშკის აივანზე
ღვინოს თუ დაღევს,
ვარსკვლავი მისი ზღურბლის მიწას
ეამბორება.
ჩემს სახლში მეფის ფეხის მტვერი
მუშკის ფხენილს მოფენს,
ფუტკარი მომცემს მეფის მადლით
თაფლს, ძროხა — რძესო“.
როცა ბაპრამმა დაინახა,
მისი სარდალი
რასაც ამბობდა, სულითა და
გულით ამბობდა,
მისცა თანხმობა: „ისე იყოს,
როგორც შენ ვინდა.
ნადირობიდან მოვბრუნდებით
და გეწვევითო“.
სარდალმა მეფის წინ მორჩილად
აკოცა მიწას,
შემდეგ წავიდა და თადარიგს
შეუდგა სახლში.
იქაურობა სულ ნოხით და
ხალით მოფინა
და ედემის ბაღს დაამგვანა
ეზო და კარი.
როცა დაბრუნდა შაპინშაპი
ნადირობიდან
და შუგის მისის შევეარდენმა
მთვარეს უწია,
მტვერი იყარა მასპინძელმა, —
ირგვლივ კაცის თვალს
ბერძნული ხალი და ჩინური

ჰერპელი სკრიდა.
ჰრელი ნოხები ხასხასებდა
სახლში თუ კარში.
შათი ყურებოთ კაცის ოვალი
ვერ გაძლებოდა.
ქვეშ დაუფინეს ფიანღაზი
ხელმწიფის ჰუნეს.
მეფეს კი თავზე მარგალიტი
გადააყარეს.
ამოიარა მეფემ სახლის
სამოცი კიბე
და გამოვიდა კოშკზე, ქვეყნის
გადასახედოდ.
სულ ხავარნაყის ალი-კვალი
ოყო სასახლე.
მისი მიბაძვით ჰქონდა პატრონს
ანენებული.

გაუქმსპინძლდა შაჰს სარდალი,
ვით ეგებოდა,
კარგად აჭამა, ძვირფას სტუმარს
და კარგად ასვა.
როდესაც ჰამას მორჩა მეფე
და ვარდისწყლის და
შარბათის ნაცვლად წრეში ღვინო
ჩამოატარეს,
დაცალა მეფემ ღვინის თასი
ორი თუ სამი
და სახის ვარდი დაეცვარა
ოფლის ნამებით.
შემდეგ იკითხა: „მისპინძლო,
ოქროს სასახლე
გიდგას, სულ დულს და სულ გოდმოდულს
აქაურობა,
მაგრამ სამოცი საფეხურის
მქონე სასახლე,
რომლის გალავანს ცა ჰამანდით
თუ მოეველება,
შენ რისთვის გინდა სამოცი წლის
კაცს, ეს შითხარი;
როგორ აღიხარ ამ სიმძალე

კოშკის თავზეო?“

ჰკადრა სარდალმა: „ღაე, მუღამ
ცოცხლობდეს მეფე,
ქაესარი მისი ღვინო იყოს,
ჰურიი კი — მწდე!
მამაკაცი ვარ მე, მეფეო,
და საკვირველი
არა არის რა, ასეთ კიბეს
რომ ავდიოდე.

მაგრამ ეს არის საოცარო,
რომ დედაკაცი
მთვარის სადარი სახით, ტანად
კი საროს მსგავსი,
წამოიკიდებს ზურგზე ერთ ხარს
ვეებერთელას
და აქ ამოჰყავს კიბეებით
თივის საკმელად.
ამ სამოც კიბეს, ისე მარდაღ
აივლის ხოლმე,
არაფერიო თითქოს, გრჯასაც
არ შეისვენებს:

ხარი ვთქვო, თორემ სპილო არის,
ხარი კი არა.

ისე გასუქდა, რომ თავის თავს
ქლივს ეზიდება.

ქუფაცაე უფალს. მთელს ლაშქარში
ვერაეინ შეძლებს,

ის ხარი მიწას ააცილოს
თუნდ ერთ მტკაველზე.

როგორ არ არის საკვირველი,
დიდო მეფეო,

რომ ნახ ქალს ხარი ამ სიმაღლე
კოშკზე აჰყავსო?!“

ესმა თუ არა ეს ამბავი
აარდლისგან მეფეს,
ჰირში ჩაიდო თითი მეტად
საკვირვებულმა.

იქვა: „არ იქნება, ამისთანა
იაქმე ხდებოდეს

და თუ ეს ხდება, ალბათ რაღაც
ჯადო მოქმედებს.
რაც შენ მითხარი, არ მჯერა და
არც დავიჯერებ,
სანამდის ამას ჩემი თვალით
არ 'შევხედავო'.
ეს რომ ისმინა, მასპინძელი
ძირს ჩამოვიდა
და ხარის მთრეველ ქალს უამბო
ლომის ამბავი.

ქალს კი აეწონ-დაეწონა
თავისი საქმე,
გამზადებული იყო, სანამ
მეფე უხმობდა.
მორთული იყო ჩინის ფარჩით
და მოკაზმული.
მთვრალი ნარგიზი უტოკავდა
წითელ ვარდებში.
მთვარისთვის ბლომად მოეყარა
სახეზე მუშკი,
თვალის ჩაკერისთვის კიდევ მეტი
ჯადო მიეცა.
თვალეები სურმით მოეხატა,
მისი მნახველი
ვინძლო მაშინვე წასულიყო
კაცი ხელიდან.
საროს ხისათვის ქალს არღავნანს
მიეცა ფერი
და ლერწმის ტანზე შემოესვა
ტიტველი ტიტა.
მარგალიტებით დაეტვირთა
ვერცხლის აღვისხე,
ხოლო მსაყარისთვის ყელზე ხომლის
მძივი შეება.
ამბრის გვირგვინი დაეხურა
ზურგის თავისთვის (?)
და აქეთ-იქით ყურებამდე
ჰქონდა დაბაბი.
...თხემი მოერთო სულ წმინდა წყლის
მარგალიტებით.

ვარსკვლავები რომ ცაზე მთვარეს
შორთავენ ისე,
მარგალიტებით დატვირთული
ყურის სადაფებს
ბაზარი ჰქონდა მიწნურების
გახურებულო.
ქაფურის ფარდით დაეფარა
იმგვარად მთვარე,
უცვეთელაში მჭდარი ვარდი
გეგონებოდათ.
ორჯერ შვედი დღის მოქცეული
ღამის მნათობი
მორთული იყო შვედი კალმით
და მოხატული.

აღგა ის მთვარე და მივიდა
ვეება ხართან.
მთვარე, ხომ ვიცი, ხარის ბურჯში
არის, რაც არის.
დალუნა თავი და ის ხარი
ზე აიტაცა
(ხარი უთხარი 'შენ, ამნაირ
მარგალიტს ფლობდა).
სირბილ-სირბილით ხარაიანად
ავიდა ბანზე
და სადაც ბაპრამ-გური იჭდა,
ზედ იქ შეჩერდა.
ეს რომ იხილა, სახტად დარჩა
ირანის მეფე.
„ეს რა ვნახეო?!“ თქვა ნახულით
გაოგნებულმა.
ამასობაში ქალიშვილმაც
ძირს დასვა ხარი,
ხელმწიფეს თვალი მიუნაბა
და ასე უთხრა:
„ის, რაც მე მარტომ შენს წინაშე
ამოვათრიე
და აქ მოგართვი, ხელმწიფეო,
შენმა მორჩილმა,
იცი კი ვინმე, ამოყვანას
ვინ ჩივის, თუნდაც

ჩაღვანით იგი კოშკით ძირს რომ
ჩაიყვანოსო?“

მეფემ მიუგო: „ლონიერი
შენ არ ხარ, მხოლოდ
ნავარჯიშევი ხარ დიდი ხნის
ხარის თრევაში.

როცა ხბო იყო, ალბათ მაშინ
ამოიყვანე

და იმ დღეს აქეთ ეზიდები
ყოველდღე კოშკზე.

ვარჯიშმა ასე გაგაჩვია
ყოველდღიურმა,
ამხელა ხარი კიბით აგყავს
და ჩამოგყავსო“.

თაყვანი სცა შაჰს ვერცხლისტანა
ასულმა მაშინ,

ვით თავად ჰქონდა წესად და შაჰს
ეკადრებოდა:

„ეგ როგორ მოხდა, ხელმწიფეო,
რომ ხარის თრევა

ვარჯიშით არის, კანჯრის მოკვლა
კი — უვარჯიშოდ?

მე რომ ამხელა ხარი კოშკში
ამოვიყვანე,

ეგ არაფერი, ის ვარჯიშით
უნდა აიხსნას,

მამ რატომ არის, შენ პატარა
კანჯარს რომ მოკლავ,

კაცი ვერ გეტყვის, ეს ვარჯიშის
საქმე არისო?!“

ამ საყვედურით იცნო მეფემ
თავისი ხარჰა,

წამოხტა და ქალს ყაჩაღივით
თავზე დაეცა,

შემოაცალა პირს რიდე და
ფითნე რომ ნახა,

ქალს დააყარა ცხარე ცრემლის
მარგალიტები.

გულში ჩაიკრა დევნილი და
შენდობა თხოვა,

ვარდმაც დაიწყო ნარგისთაგან
ვარდის წყლის წვიმა.
შაპს დაავიწყდა ყველაფერი
ამ ქვეყანაზე
და გულიანი მასლაითი
გაუბა ხარკას.
უთხრა მტირალმა: „სარდლის სახლი
ციხედ რომ გექცა,
ჩემი ბრაღია, ბოდის გიხდი
და მაპატიე!
სიფიცხით ჩემით მე დავანთე
ცეცხლი, რომელმაც
მე დამწვა, მაგრამ შენ, მადლობა ღმერთს,
გადაურჩიო.“

როცა ღარბაზი დაიკალა
უცხო ხალხისგან,
მეფემ ხარკასთან საბაასოდ
გაიხალეთა.
დაჰდა მეფის წინ ფითნე და ვაჟს
ასე მიმართა:
„ჰოი მეფეო, ვინც ამყარებ
ქვეყნად სიმშვიდეს;
ვინც ჯერ დიდი ხნის მოშორებით
მომკალი შენით,
შემდეგ კი სახის შენის ხილვით
კვლავ გამაცოცხლე.
ჩემზე ნალველი შენ ნურმც და ნურმც
ნუ შეგაჭირვებს,
მთა რომ მთა არის, უთქვამთ, ნალველი
მთაც ვერ უძლებსო.
... დიდმა ხელმწიფემ იმ დღეს კანჯარს
იმ ერთი ისრით
რომ მიუღურსმნა ერთმანეთზე
ფლოქვი და ყური,
ცაც გიკოცნიდა, დედამიწა
მარტო კი არა
ხელებს, მეფეო, ამისთანა
ხელოვნებისთვის,
მაგრამ მე თავი შევიკავე
ალტაეებისგან,

ვითომ ამ ქცევით მეფეს ავ თვალს
დავეუფრთხობ-მეთქი.
ყოველი კარგი, რასაც თვალი
ხვდება თვალთვალში,
თავადაც იცი, ითვლება
ავი თვალისგან,
მაგრამ განზრახვა გამიცუდდა
და ცის განგებამ
ცილისწამების ბრალი ალალს
თავს დამადრო“.

სარკის ნათქვამი რომ ისმინა,
შეწუხდა მეფე,
სიბრალულისგან შეუღონდა
სული და გული.
უთხრა ქალს: „მართალს ლაპარაკობ,
განა არ ვიცი,
შენს სასარგებლოდ მეტყველებენ
ეგ საბუთებიც.
პირველი ის, რომ ამნაირად
გიყვარდი მე შენ,
მეორე — შენ რომ პატიებას
ამგვარად ითხოვ.
ქებათა ქება უნდა ეუძღვნა
შენს ჭიშს და მოდგმას,
რომელიც კაცში ამისთანა
ღირსებას ბადებს.
დაიმსხვრეოდა აქობამღე
ეს მარგალიტი,
მას რომ მფარველად სარდალი არ
მოვლენოდანო“.
თქვა ეს თუ არა, მან მასპინძელს
თავისთან უხმო,
მოხვია მხარზე ხელი სარდალს
ყაწიმის მსგავსად.
დაასაჩუქრა ქვეშევერდომი
მეფემ გულუხვად
და ერთი ასად გადუხხადა
სამაგიერო.
ნიჭი ხომ ბლომად მიანიჭა
და მიანიჭა,

სართალ ზედ რეიც ჰიიყოლა
სარდლის საუფლოდ.
თავის ქალაქში გავშართა
შეების მთესველო,
გამართა ლხინი და შაქარი
გულუხვად ჰყარა.
შემდეგ მობედნი დაბარა
ბაჰრამ ხელმწიფემ
და იქორწინა იმ მთვარეზე,
ვით წესი იყო.
ცხოვრობდა მასთან ნეტარებით
და ბედნიერად,
სანამ მრავალი არ გამოხდა
უამი მას შემდეგ.

**ნინეთის ხაზანი ააარამთან
საოჰრალ მოჰმართება**

როდესაც ბაჰრამს გაუვარდა
მორქმით სახელი
ზეცის თალამდე მიწის პირით
მოკიდებული,
გული მიეცათ ძველებერად
დიდებულთ ისევ
და კვლავ გაცოცხლდა სახელოვანთ
სახელი ძველი.
მეფის ორგულთ კი დაეკოდათ
დარდისგან გული.
მიეცნენ ურუას და სულ ცხარე
ცრემლით იტირეს.
ერთი მოხუცი კაცი იყო.
სახელად ნერსეს
უხმობდნენ იმ კაცს, ბაჰრამის ძმის
სეხნიად ცნობილს.
გონება ჰქონდა გამჭირიანი,
ქკუა კი — ბასრი,
უწყოდა საქმის ასავალი
და დასავალი.
ჩამომავლობით დარიოსის

მოდგამი იყო,
მთელმა ქვეყანამ იცოდა ეს
და პატრის სცემდა.
არ იშორებდა მას თავიდან
ბაპრაში წუთით,
ვაზირიც იყო მეფის იგი
და მეგობარიც.
ამ ნერსეს სამი ვაჟიშვილი
ჰყავდა, სამივე
ღირსებით სავსე, ერთმანეთზე
საუკეთესო.
იმ სამი ძმისგან, სულ უფროსი
რომელიც იყო,
იმას ზარავანდს უწოდებდა
სახელად მამა.
დაფასებული ჰყავდა შაჰს ის
ზომაზე შეტად,
მიეცა მისთვის ქვეყნის ქურუმთ
უხუცესობა.
შორსმკვრეტელი და საზრიანი
იყო ეს კაცი,
არ ჰქონდა ზღვარი მის სიჭკველეს
და სათნოებას.
მეორე ვაჟიც სამსახურში
იღვა ბაპრაში,
გადასახლის აკრეფის რიგს
ის განაგებდა.
კალმის სიმართლეს იფასებდა
ხელმწიფე მისას
და ის აჯამის გამგებელად
ჰყვა დანიშნული.
ქალაქს და ლაშქარს განაგებდა
მესამე ვაჟი.
ეპირა მეფის ნაიბობა
(ნაცვალი იყო).
შაჰს მათთვის ჰქონდა მინდობილი
სამეფოს მართვა,
მათ შორისილებდნენ სახელმწიფო
მოხელეები.
თვით მთელი ღამე ქვიფობდა .

და ლეინოს სეაქდა,
მსახურნი მისნი კი მთელი დღე
საქშიანობდნენ.
წისქვილის მსგავსად თავის თავის
ირველივ ბრუნაედა
და რასაც ქვეყნად იშოვიდა,
იქვე ხარჯაედა.
მეფის ასეთი საქციელი
იცოდა ყველამ.
და იწყეს ქუხის მოსაჭრელად
ცულების ლესვა.
ასე ამბობდნენ: „ლოთი არის
მეფე ბაქრამი,
რკული დინარში აქვს გაცვლილი,
ხმალი კი — ჯაშუი.
ზის ამფსონებში და ნებივრობს
გულის ნებაზე,
მისი სამკალი ქარია და
ს:რჩო — ლეინო“.
იმედოვნებდა, ახლო-მახლო
ვინც იყო მეფე,
ეგებ ბაქრამის სახელმწიფო
ხელში ვიგდოო!

ჩინეთის ხანთა ხანიც ამგვარ
ოცნებას აქევა
და წამოვიდა დაიაპურობად
ბაქრამის ქვეყნის.
სამას ათას კაცს მოუყარა
საომრად თავი,
გველშაპივით მძვინვარეთ და
მარჯვე ჰოისართ.
მოჰყევა და მოჰყევა და ზედიზედ
ძლია და ძლია
შაჰის ნაცულები და დაიპურო
მავერანნაპრი.
ჯეონის წყალი გადმოლახა
ქალიკონივით
და დააყინა ხორსანში
მეორედ მოსეღა,
თათართა ლაშქრის შემოსევა

როცა გაიგო,
არ ამჯობინა მეფემ თავის
ჯარის მინდობა.
გაამცონარა ფუფუნებამ
მისი ლაშქარი,
დავიწყებული ჰქონდა ომი
და ბრძოლის წესი.
ეს ჯარი. ახლა ჯარის უფროსთ
რაც შეეხება:
მეფის ერთგული არ აღმოჩნდა
მათში სუყველა.
ხოლო ხელმწიფის ორგულნი და
ქვეგამხედვარნი
კაცს უგზავნიდნენ ჩაყანს: „შენი
ერთგული ვართო“.
ქვეყნის პატრონი გაეწირათ,
ვინძლო თავისი
ადგილ-მამული და ქონება
გადაერჩინათ.

წერდნენ ხანს: „შენი მონები ვართ,
კეთილს მღვდნი,
თუ ჩვენთან მოხვალ, დაგეგებით
ფიანდაზივით.
ჩვენი მკუფე შენ ხარ, მოდი
და გვეპატრონე,
ბაჰრამს მეფობა არ შეფერის
და არც ვიშეფებთ.
თუ ომიდ გვაწვევ, ხმალს ვიშიშვლებთ
შენთვის, თუ არა —
ჩაეაგებთ ხმალს და მორჩილად შენ
ჩაგაბარებთო“.

ერთმა მსტოვარმა, ვისაც წიგნის
კითხვა შეეძლო,
შაჰის ყურამდე მიიტანა
მათი განზრახვა.
ბაჰრამმაც გული აიყარა
ირანელებზე,
თავის ნაიბებს შეატოვა
საბრძინებელი,
თვითონ კი სადღაც მიიმალა,

რადგან იცოდა,
არ ეგებოდა ამისთანა
საქურველით ბრძოლა.

და მოეფინა მთელ ქვეყანას
ამბავი: „შაჰმა
დაავდო ტახტი უპატრონოდ
და თავს უშველა.
ხაყანის სწორი არ იყო ის
და ამის გამო
იყო, ლაშქარმა მას რომ ზურგი
შეაქციაო“.

ხაყანს კი ამ დროს
მოუვიდა მახარობელი:
„ირანის მეფე ძირს ჩამოხდა
თავის ტახტიდან,
ბედმა შენ მოგცა ქამარი და
გვარგვინი მისა.
დაჯექ ტახტზე და გვირგვინი
თავზე ირქვიო!“

ხოლო, როდესაც კვლავ ახარეს
ჩინეთის ხაყანს,
გადაიკარგა ირანიდან
ბაჰრამ-შაჰიო,
ჩაავო ხანმა მაშინათვე
ქარქაშში ხმალი
და ლხინს მიეცა გამარჯვებით
გახარებული.
მტრის შიშს არ ჰამდა, ჭეიფობდა,
სევამდა და ჰამდა
და აკეთებდა მას, რაც წესით
არ უნდა ექნა.
რაც არ მოსწონდა თავისი მტრის,
იმას იქმოდა,
თითქოს ეწადა, გამხდარიყო
მტრის დასაცინი.

მეფე ბაჰრამი ნადირობდა
კვლავ ძველებურად,
ხოლო მსტოვრები მისი კვალში
ედგნენ ჩინელებს.
შაჰს ჩინთა სარდლის საიღუმლოს

გაეება ჰსურდა
და მოუტანეს ერთ დღეს კიდევ
მსტოვრებმა იგი:
„ჩინის ხაყანი ხათრიჯამალ
არის შენზეო“.
ბაპრამ-შაას გულზე მოუფინა
მსტოვრების ცნობამ.
ომში ნაწვევი უთვალავი
ლაშქრიდან მეფეს
მხოლოდ სამასი ცხენოსანი
შემორჩენოდა.
სუყველა ბრძოლის ცეცხლში იყო
გამოწრთობილი,
ხმელზე ურჩხულის მსგავსი, ხოლო
წყალში ვეშაპის.
შეკრული იყვნენ ბროწეულის
მარცვლების მსგავსად, —
ერთ კანში რომ ძვეს მისი ასი
მარცვალი, ისე.

შაჰმა ხაყანი გააცურა
და მშრალზე დასვა,
უქნარა ვარო, რომ უთხრა და
ოინი უქნა.
ცეცხლს დაეძებდა მტერი, მან კი
კვამლი უჩვენა,
ელვიძა, მტერს კი, სძინავს შაჰსო,
აფიქრებინა.
ხაყანს ნიშანში განუწონა
ისარი, რადგან
იყოდა მისი ასავალი
და დასავალი.
დაესხა მომხდურ ჯარს ბაპრამი
უეცრად ლამით
და ჩინელთ ბანაკს ცის თალამდე
ბული აღინა.
ლამე კი იყო ისე ბნელი
და კუნაბეტი,
რომ შავ გველზედაც უფრო შავად
უჩენდა თვალებს (?).
არ ციმციმებდა ცაზე წამლად

ვარსკვლავი ერთიც
და მთა და ველი შავი იყო
ყორნის ფრთასავით.
ასიათასი მთვრალი ზანგი
ხმალამოწვდილი
აქეთ და იქით ეხეთქება
თითქოს ველზეო.
თვალეზი შუბლზე ასვლოდა კაცს
ზანგების შიშით,
მაგრამ ვერაფერს ვერ ხედავდა,
ისე ბნელოდა.
თავი შავებში გაეხვია
გულნათელ ზეცას
(ოქროს ხალაში შავი ფისით
შემოგლუნილი).
ჯერ ისევ სველი ამბრის ფერი
ლამის წყვედიადში
იბრძოდა მეფე, ვით მარიხი
ძლევა მოსილი.
სადაც უშვა ქურანს ჭიქურ
ჩინელებისკენ,
ბან მშვილდს ჭიმაედა ომში, ხან კი
ხელშუბს იქნევდა.
ვისაც ესროდა ისარს მკერდში,
ზურგში ატანდა,
მკედარი აქ ეგდო, ისარი კი
სადღაც იქ ერჭო.
ტინის მხვრეტელი ქეიბური
ვისაც ესროლა,
სამარადეამოდ დაუხუჭა
ფხიზელი თვალი.
ჭრილობა სადაც იყო, ისარს
იქ ვერ ნახავდით,
ხოლო სადაც მას ნახავდით, იქ
მკედარი არ ეგდო.
უკვირდით ისრის გარეშე ეს
ისრის ჭრილობა,
ხოლო ისარი ის, ჭრილობის
იმის გარეშე.
ისრის ჭრილობას უუურებდნენ

ისრის თვინიერ,
ხოლო მის დამჭრელ ისარს კრეფდნენ
ჭრილობიდან შორს.
ისე წავიდა ომას საქმე,
ერთი ეჯითაც
ვერ შეძლო ხანმა შაპის ჯართან
მიახლოება.
ვით ქარბორბალამ, გადუარა
ბრძოლის ველს შაჰმა
და მთად აღმართა ბარი, მთა კი
ბარად აქცია.
იმდენი ხოცა ბასრი ისრით
ხაყანის ჯარი,
ვით ცომი, იყო მიწა სისხლით
დარბილებული.
ვისაც მოარტყა ქეიბური,
იმის ტანიდან
სულმა აიკრა მაშინათვე
გუდა-ნაბადი.
როდესაც დილამ მზის მახვილი
ამოიწვავდა,
ცის კაბადონზე სისხლიანი
გამოჩნდა ტაშტი.
ხმალი უსისხლოდ და უტაშტოდ
სად გაგონილა,
სადაც ხმალი და ტაშტი არის,
სისხლიც იღვრება⁷⁹.
დახოცილების სისხლი ველზე
დიოდა ღვარად
და მოჭრალ თავებს ბურთებივით
მიაგორებდა.
...ისევ ცეკვავდნენ ბრძოლის ველზე
ისრის გველები
გველების ცეკვა კი არ არის
კარგის ნიშანი.
და კვლავ ბრუნავდა გახურებულ
ომში ბაჰრამი,
თმა რომ თმა არის, თმას შუაში
აპობდა ისრით.
რომ გადაჰკრავდა თავის ფხიან

ხმალს თათარს ოსკემზე,
წელამდე ისე გააპობდა,
ვითომ კიტრს კრისო.
...ასეთი ხმლის და ამისთანა
ისრის პატრონი
დასცემდა შიშის ზარს მტერს, აბა
რა იქნებოდა!

თათრებმა მეფის უეცარი
თავდასხმის გამო
და იმის გამო, რაც ბაპრამმა
ქათ დააწია,
გაქცევა სცადეს — ომში ხმალი
დაუჩლუნგდა მათ,
თორემ თავის ხსნის ფიქრი სულ არ
დაჩლუნგებიათ.
გახურდა ბრძოლა. გამარჯვება
რჩებოდა ბაპრამს,
ხოლო ხაყანი მარცხდებოდა,
აშკარა იყო.
და მაშინ მეფეს კიდევ უფრო
მოეცა გული,
ატრიალებდა შუბს, მტერს ისრით
ატრიალებდა.
იქნედა ხმალს და მილაღავდა
დამფრთხალ ჩინელებს,
თითქოს ქარია. ის, მტერი კი
ლრუბელიაო.

და შეუძახა მაშინ შაკმა.
მეომრებს მჭახედ:
„ერთ დღეს შობილი კაცი ერთ დღეს
კვდება. მომეყვით!
ვეკვეთოთ მომხედურთ, დავუღწოთ
მტრის ლაშქარს გული.
კიდევ ცოტაც და გამარჯვება
ჩვენი არისო!“
და გადაეშვნენ ერთმანეთის
მხარდამხარ ომში.
ლომებზე ისხდნენ და ურჩხული
ხელში ეკირათ.
ქვიმაზე უფრო უთვალავი

ხაყანის ჯარი
იეჟუებოდა, აირია
და დაირია.
ლაშქრის მარჯვენა ფრთა: გაიქცა,
მარცხენა — გადგა,
ლაშქრის გული კი შეწინავეს
ფერხითი განერთხო.
ღრო ნახა მეფემ წარმატებით
გულმოცემულმა,
დალეწა გული მტრის ლაშქრის და
გულის სარდალიც.
ძლევა მოსილი შაჰის შავმა
ლომებმა მაშინ
ტორების ცემით დაუნაყეს
მტრის მხედრებს თავი.
ბევრათვის მსარზე ამოსულ გველს
ჰვავდა ისარი მ.
ძირს ეცემოდა კაცი, ხოლო
ცხენი გარბოდა.

თათრის ლაშქარი უკუიქცა
დაფეთებული,
აშლილი მტვერი ჯეონამდე
გაიყოლია.
იმდენი იგდეს ხელთ განძი და
თვალ-მარგალიტი,
ქანცი გაუწყდა მეფის მწერალს
მისი აღწერით.
ძლევა მოსილი გამობრუნდა
ხელმწიფე უკან
ხალხს მოწყალებით ეპყრობოდა
და ყურადღებით.
აბრძანდა ტახტზე ბაჰრამ-შაჰი
გამარჯვებული
და გაუთენა ხალხს ნოვრუზის
დღესასწაული.
მიწას ხეცაედა კოცნით მის წინ
განრთხმული ხალხი
და გამარჯვებას ულოცავდა
ქება-დიდებოდა.

ირანელები ფალაურად
ასხმდნენ სოტბას
და ჩანგის სმაზე ადიდებდნენ
მის ვაჟკაცობას,
ხოლო არაბი მოლექსენი
რობაბის ჰანგზე
ლექსებს აფრქვევდნენ, ვით მარგალიტს,
შაჰის შესაისხმელს.
ჩუქემ იცოდა ჩანგის, ჰანგის
და ლექსის ყადრი,
დაასაჩუქრა მადლიერმა
მგოსნები უხვად.

იმ დიდი დაელის და ალაფის
მთიდან ათასი
აქლემის ტვირთი მეფემ ცეცხლის
ტაძარს შესწირა.
კალთებით ჰყრიდა მარგალიტებს
და ქუდით — ოქროს
უფლის მესაფი მეფე ტაძრის
ქურუმთა თავზე.
იმდენი გასცა საჩუქარი
და საბოძვარი,
არაფინ დარჩა ღარიბი და
გაჭირებულო.

ბაჰრამის მიერ დიდგვულთა გაპიცხვა

ერთ დღეს ბედნიერ და სვესუვან
ფეხზე ამდგარი
მეფე დაბრძანდა დიდებულად
სამეფო ტახტზე.
სადაც კი იყო ქვეყანაზე
ტახტისმპყრობელი
მეფე, თუ ქვეყნის გაჩეხელი
გვირგვინოსანი,
სუყველა მოდგა ბაჰრამ-შაჰის
ტახტის ფეხებთან
და იდგნენ მის წინ, როგორც მთვარის
წინ ვარსკვლავები.

ბაპრამმა ენა მახვილივით
ამოიწვია და
და მიმართა მათ: „ერის თავნო
და დიდებულნო!
ჯარი ომისთვის სჭირდება ხალხს
და მშვიდობისთვის,
თორემ რა კაცი ყოფილა და
რა ქვა გდებულა.
ვინ არის თქვენში თუნდაც ერთი,
რომ მას შეეძლოს,
თქვას: ვისახელე ომში თავი
მამაცობითო?!
თქვენგან, ვინც ასე აღგაზევეთ
და განგადიდეთ,
აბა თუ ვინმე მინახავს მე
ფიცხელ ბრძოლაში?!
ისეთი რამე თუ გიქნიათ
ვინმეს, რომ თქვენი
საქციელისთვის ვაჟკაცობა
გვეწოდებინა?!
აბა თუ ვინმეს გიშიშვლიათ
ბრძოლაში ხმალი
და ერთი კაცი თუ მოგიკლავთ
მანც ამ ომში?!
აბა თუ არის თქვენში ვინმე,
მტერს რომ შებმოდეს,
ომში ეძლიოს და მამული
დაეპყროს მისი?!
ერთი ტრაბახობს: „მე ირაჯის
გვარს ვეკუთვნიო!“
მეორე იქებს თავს: „არეშის
მოდგმის ვარ მეო!“
ერთი წინაპრად გივს იჩემებს,
მეორე — როსტომს,
ერთ მფროხალს ვეფხვი აქვს მტისახელ
მეორეს — ლომი,
მავრამ ომის და ბრძოლის ნდომის
დრო რომ მოვიდა,
ვერავინ ვნახეთ ბრძოლის ცეცხლში
გადაშვებული.

ნაცვლად იმისა, რომ ეკვეთოთ
 მტერს. ენაკაქლონათ:
 „უაი სირცხვილო, ჩვენს ხელმწიფეს
 ყურზე სძინავსო!
 ღვინის სმის მეტი არაფერი
 არ ახსოვს ქვეყნად.
 რა გვეშველება ამისთანა
 მეფის ხელშიო!“
 მე ღვინოს თუ ვსვამ ხამუშ-ხამუშ,
 განა ისე ვსვამ,
 ფეხებზე მქონდეს ქვეყნის საქმე
 დაკიდებული.
 ერთი აუზიც რომ შემასვას
 მწდემ ღვინო, მაინც
 მახვილი ჩემი სისხლის რუებს
 არ დასცილდება.
 მე ელქექს ვგავარ დელგმით მოსულს,
 ცალ ხელში ღვინო
 მიჭირავს, ხოლო მეორეთი
 ხმალი მიპყრია.
 ქეიფებს ვმართავ, მართალია,
 და ღვინოს ვსვამ ბევრს,
 მაგრამ არც ხმალი მყავს უსისხლო,
 მოწყურებული.
 მხოლოდ მტრის თვალის ასახვევად
 ვარჩევ კურდღლის ძილს⁸¹,
 მტერს კარგად ვხედავ, თუმც ყასიდად
 თავს ვიმძინარებ.
 ნუ მოგატყუებთ სიმთვრალე და
 ღიმილი ჩემი,
 სპილოს სიმთვრალე არის ეს და
 ლომის ღიმილი.
 ღიმილით იცის ლომმა ხოლმე
 სისხლის დანთხვევა,
 ხოლო მთვრალ სპილოს გაურბიან
 გულგახეთქილი.
 ეს რეგვენია, ღვინით მალე
 რომ ითიშება,
 თორემ ბრძენკაცი ღვინის მსმელი
 სულ სხვა ვინმეა.

რადგან მაღალი აქვს გონება,
მსმელი ბრძენკაცი
ღვინოს ბევრს დაღვეს, მაგრამ თრობით
როდი დააუერება.
ღვინოს რომ დავლევ, მემატება
გონება უფრო,
ისე ვფხიზლდები, ფეხით ვისვრი
კეისრის გვირგვინს.
როდესაც ღვინით თავში აზრი
დამეწმინდება,
ჯამში ჩარჩენილ ყლუპს მოსისხლე
მტერს თავზე ვაქცევ.
როცა სუფრაზე მეგობრებთან
შევზარხოშდები,
ისე ვულუბვი ვხდები, ჭიბით
ყარუნის განძს ვყრი,
ხოლო როდესაც მტრის ფესვს ვძირკვავ
შურისმგებელი,
შამფურზე ვაგებ მის გულ-ღვიძლს და
მწვადს ვაწვევინებ.
რატომ ჰგონიათ, არ ვიცი, ჩემს
კეთილისმყოფელთ,
რომ ბედის ჩემის ვარსკვლავს ჩემთან
ერთად ეძინოს?!
როცა მე მძინავს, იცოდეთ, ან
როცა მთვრალი ვარ,
ჩემს ყისმათს ღვიძავს და ხიფათში
ის მენხმარება.
ხომ ოვითონ თქვენი თვალით ნახეთ,
მე ვით მძინა,
მაგრამ ხაყანი ძილით ჩემით
როგორ დავძლიე.
ანდა ვერ ნახეთ, ჩემს მტერს ხერხით
როგორ ვაჯობე
და ვით წავართვი ყაჩაღს იქით,
რაც კი ებადა?
ძალდია იგი, ვისაც თავის
უთაურობით
არ შეუძლია დარაჯობის
დროს დაშინება.

თუმცა გველშავს ტკბილად ძინავს
გამოქვაბულში,
მავრამ ბიჭია ხვალი ლომი
და თათს წაჰკრავსო!"

როდესაც შაჰმა დაამთავრა
თვისი სათქმელი,
სახეზე ვარდი აუყვავდა
კეთილშობილებს.
მეფის წინ უშბლი მოწიწებით
ამთხვიეს მიწას
და ნირწამხდრებმა მას ასეთი
პასუხი გასცეს:
„რაც შაჰმა მისთვის ქამარშეკრულ
მონებს უბრძანა,
ბრძენთა გონების და ზნის არის
შესაფერისი.
სულის თილისმად დავიკიდეთ
ჩვენ მისი სიტყვა
და გავიყარეთ, ვით მონობის
საყურე, ყურში.
თავად უფალმა არქვა მეფეს
გვირგვინი თავზე
და კაცის შვილი მას ამ გვირგვინს
როგორ წაართმევს?!
ერის თავები შფოთის თავად
რომ გამოვიდნენ
და გაგიბედეს თავხედურად
გატოლება შენ,
ვერვინ შეიძლო, გამხდარიყო
ბადალი შენი,
დაჰკარგეს თავი. გვირგვინი კი
ვერ ირქვეს თავზე.
ის, რაც მეფისგან ჩვენ, ხელმწიფის
მონებმა, ვნახეთ,
არვის უნახავს არასოდეს
ამ ქვეყანაზე.
დევი შებოჭა, გველშავი
ცეცხლით დაბუგა,
სპილო ძირს დასცა და მარტორქა
ძსრით განგმირა.

ლომი რას ქვია, ან კანჯარი
ვის დაჰკარგვია!
ნადირია და მხეცი მისი
ისრის საგანი.
აბა ვინ არის მეფის მეტი
ამ ქვეყანაზე,
კანჯარს სწუდეს ხელით და კისერი
რომ მოუგრინოს?
ისრის სამიზნედ დღეს რომ ვეფხვის
ხალს ამოიღებს,
ხვალ კბილებს აძრობს ღერა-ღერა
პირაშემულ ნიანგს.
ჰინდოს თვალის ჩინს უქრობს, როცა
სჭირს მისი ჭინი,
ხოლო ჰინდური ხმლით ჰყავს ჩინი
დამონებული.
აქეთ ფაღფური ძლიერებით
ჰყავს დახარკული,
იქით კეისარს ახდევინებს
მძიმე ხარაჯას.
ლომის მძლეველი ქვეყანაზე
ბევრი ყოფილა,
ლომისთვის ტვინი ხახიდან რომ
ამოეწვადოს,
მაგრამ ლომკაცი ქვეყანაზე
ის არის მხოლოდ,
სამასი კაცით სამასათას
მხედარს ვინც სძლია.
გარდასულ დროთა ხელმწიფეთა
სასიყვარულო
და საომარი ამბავი ჩვენ
ბევრი გვსმენია,
მაგრამ სუყველამ რომ წამოჰყოს
დღეს მკედრეთით თავი
და ხელმეორედ წარუძღვნენ წინ
თავიანთ ჯარებს,
რაც ჩვენმა შაჰმა ჩაიდინა
დღეს ბრძოლის ველზე,
მათგან ვერც ერთი ვერ ჩაიდენს
მის ნახევარს.

როცა განსხვრევენ, ვინ როგორი
ხელმწიფე იყო,
მასზე იტყვიან, ათას მეფეს
სჯობდა იგიო.
თითო ღირსება ჰქონია და
აქვს ქვეყნად ყველას,
იგია, მხოლოდ იგი, მთელი
ქვეყნის ბადალი.
ვისაც უსწორა ლახტი თავში,
ორად გაუბო
ორსაგდულიან კართა დაჩად
ხელმწიფემ თავი.
ისარი თვისი მან რომ ტინის
ქეას განუწონოს,
ტინის ქეა იგი ქვიშასავით
დაიფშენეს უნდა.
გველის ხვითთა შუბი მისი
კაცთა მოდგმისთვის,
ხოლო ვეშაპი მისი ჭიქურ
გველეშაპს თქერავს.
ვინც უნდა იყოს, ყველას, ვინც კი
წინ აღუდგება,
საწუთრო ისე დაადნობს მას,
როგორც კელაპტარს.
ყველა ერის თავს, ვინც კი იმის
ხმალს განუდგება,
მოეკვეთება იმავე ხმლით
უთუოდ თავი.
მისი სიმთვრალე ნიშანია
ქკუის სიფხიზლის
და ძილი მისი ღვიძილია,
ძილი კი არა.
და მაშინ, როცა ქეიფობს ის
და დროს ატარებს,
თვითონ რომ ღვინოს სვამს აქ, მტერი
მისი იქ თერება.
ამ ქვეყანაზე იგი არის
ყველაზე ბრძენი
და იგი არის მხოლოდ მეფე
ძლევაგამოსილა.

ჩვენს დროში მასთან ვერვინ მოვა
გაპქრიახობით,
ამიტომ სხვისგან არ სჭირდება
ქკუის სწავლება.
სანაჲდის ცის ქვეშ დედამიწა
დგას შეურყევლად,
მიწიდან ცამდე დე განიერცოს
ზეობა მისი
დაე ფარავდეს მიწას იგი
თავისი ჩრდილით.
ხოლო ცარგვალზე იდგეს მულამ
მისი ტახტიო“

დიდებულეებმა როცა ასე
მიმართეს მეფეს
ძვირფას იავუნდს შეუღარეს
იფი ქარვა,
წამოდგა ზეზე მათთან მჯღარი
მეფე ნოყმანი
და შაჰის ხოტბით დაამშვენა
იქაურობა.
უთხრა: „სამყარო გემონება,
დიდო მეფეო,
ზეცის თალამდე მიწის გულით
მოკიდებულნი.
ვინ არის კაცი მისთანა
დედამიწაზე,
შენ რომ გვირგვინი ვადგას, მასზე
შემოგედაოს.
გვირგვინი ღმერთმა დაგახურა
თავისი ნებით
და დაე იგი ელვარებდეს
შენს თავზე მარად!
ჩვენ, ვინც მონები ვართ მორჩილი
სასახლის შენის,
თუკი რამე ვართ, ვართ გვირგვინის
შენის წყალობით.
შენგან გვაქვს, თუ გვაქვს რამე, რამე
თუ გვაბადია,
შენია, არა ჩვენი ჩვენი
მიწა და წყალი.

არაბეთიდან აჯამდღე
ვინც კი ვართ, ყველა
ერთ დღეს გავწყდებით შენთვის, შენ თუ
ამას ინებებ.

დიდი ხანია, ხელმწიფეო,
მე, მონა შენი,
მეფის კარზე ვარ და, ვით ძალშიც,
გემსახურები.
შენს სასახლემო აღზევება
შელირსა ისე
რომ გაერჩინე ლეკმაპური
უყვედრებელი.
თუ ნებას დამრთავ და თუ ყურად
იღებ ჩემს თხოვნას,
ნება შიბოძე, შინ დაებრუნდე
ჩემს სამეფოში.
მოვითქვამ ცოტას სულს სულ მუდამ
გზაში გაბმული
და როცა უკან მიხმობ, მყისუე
კვლავ გეახლები.
და თუ არა და, სანამ ვცოცხლობ,
შენს სამსახურში
მეფის სასახლის ერთგული და
მორჩილი ვარო“.

უბრძანა შაჰმა ხაზინის მცველს:
თავისი ხელით
ამოერჩია საგანძურში
თვალ-მარგალიტი;
მოელო მეფის საკადრისი
სხვა საბოძვარი,
მისრული იყო, მალრიბული,
თუ ომანური
მოდგნენ და მოდგნენ და შეუდგნენ
ტვირთის მოღებას,
ვაშქარანები დააზვინეს
ვაშქარანებზე.
ოქრო საპალნით გადმოზიდეს,
მუშკი — ქილებით,
მონებს და მხევლებს ხომ არ ჰქონდა
თვლა და არ ჰქონდა.

ზენებელ ეწყო ნოყმანისთვის
გამსაღებელი
ტანისამონი კაცის ენით
აუწუბელი.

გამოიყვანეს არაბული
ცხენები, სიარსელთ
მიერ გაზრდილი, ზღვის ვაშპობი,
კლდე-ღრის მლახველი.
პინდური ხმალი მოიტანეს,
დავითის თორი
და დააყენეს გულუბნობის
თქორი მეფის წინ.
იმდენი იყო ლალის თვალი
და მარგალიტი,
თვალ-მარგალიტის ოსტატი რომ
ფასს ვერ დადებდა.
ძვირფასი ქეუბით მოჰყელილი
სამეფო თაჯი
ბაპრამმა თაყით მოიხადა
და ნოყმანს უძღვნა.
ტანზე ჩააცვა თვისი კაბა
ქალაქის ფასი,
იემენიდან აღენამდე
სამეფო მისცა.
ასე, პატივით და საჩუქრით
საესე დაშორდა
ბაპრამს ნოყმანი, როგორც მთვარეს
ციცქრის ვარსკვლავი.

**ბაპრამი თხოვლობს შვილი კვანის
მეფეთა ქალიშვილს**

მეფე განცხრომას მიეცა კვლავ
და ნებელობას
ხაყანთან ომით და ლაშქრობით
გაბეზრებული.
რაკე განაგო სხვათა საქმე,
ვით ეგებოდა,
მოსყენების და გელის მკვების
საქმეს მიხედა.

დაჭდა ხალვათად, როგორც იქნა,
თავის ნებაზე.
ფეხქვეშ დუშმანი ჰყავდა, ხელში
ღვინო ეჭირა.

და მოაგონდა იმ ოსტატის
ამბავი მაშინ,
რომლის შესახებ მკითხველს თავში
ველაპარაკეთ.

თვალწინ დაუდგა ის დარბაზი
არუანგის მსგავსი,
რომლის კედელზე შვიდი ტურფა
ქალი ეხატა.

ჰურიის მსგავსი ქალწულების
ხატებამ მეფეს

სასიყვარულო ჩაუთესა

გულში მარცვალი.

შვიდჯერ დუღილი გულის ქურამ
მაშინ შეწყვიტა,
როცა ბაჰრამი იმ შვიდ ნექტარს
დაეპატრონა.

პირველი ქალი ქაიანთა

გვარს ეკუთვნოდა,

მამა არ ჰყავდა ბატონიშვილს

ოდონდ ცოცხალი.

ითხოვა იგი, მის უამრავ

მზითევთან ერთად

და ხელათ ხელში იგდო მათი

გვარის გუარი.

ჩინეთის ხაყანს გაუგზავნა

მას უკან კაცი,

თან ტკბილი სიტყუეზა მიმართავდა,

თან აშინებდა:

„გამომიგზავნე ქალი და თან

გამოატანე

ხაზინა, თაჯი და შვიდი წლის

საურავიო!“

მისცა ხაყანმა, რასაც თხოვდნენ:

ხარაჯაც, ქალიც,

ურიცხვი ოქრო და ძვირფასი

თვალ-პარგალიტი.

ბაპრამმა რუმი ამოიღო
ნიშანში ახლა
და შეესია ცეცხლითა და
მახვილით ბერძნებს.
კეისარს კრინტიც არ დაუძრავს
ნირწამხდარს შიშით,
ქალი ხომ მისცა, ბოდისებრიც
ბევრი უხადა.
მალრიბის მეფეს გაუგზავნა
ტახტი და თაჯი,
თან მალრიბული მიაყოლა
საჩუქრად ოქრო.
გულში ჩაიკრა მისი გოგო
მზეთუნახავი.
აი. რას იზამს კაცის ქეუა
და მოხერხება
როცა იმ ბალის დაეუფლა
წერწეტა საროს,
ადგა მეფე და გაემართა
ინდოეთისკენ.
ხარჯის გარეშე ხელში იგდო
რაჯის ასული
და ზღვარს გასული გულის ვნება
მასთან დაიცხრო.
ხორეზმის მეფეს გაუგზავნა
ბაპრამმა კაცი
და მისი ტურფა ქალიშვილიც
ცოლად შეირთო.
შემდეგ წერილი მიაწვდინა
სლავების მეფეს
და მის ცვარივით ციმციმა ქალს
დაეპატრონა.
როდესაც შვიდი ქვეყნის შვიდი
მეფის ასული
ჩაიგდო ხელში შაჰმა შვიდი
მარგალიტივით,
მოეშვა ქვეყნის უსიამო
საქმეთა დევნას
და იმ ქალებთან შეებასა და
ვნებას მიეცა.

გაგრაჲის ქიჲში ზამთარში.
შვიდი კოზაის აზენება

ერთ მშენიერ დღეს, როცა ახალ
გათენებულზე
ცარგვალმა შუბლი დაიმშვენა
დილის სხივებით.
მიწას სინათლე მოეფინა.
ხალხს კი — სიკეთე
(კურთხეულ იყო-ს ის დღე, ამ დღეს —
არდავიწყება!).
მეფე ბაჰრამმა. თვალწარმტაცმა
და ნებიერმა,
ლანი გამართა და ქვეანი
ხალხი აწვია.
შინ ჯდომის ჟამი იდგა, ბალში
ჯდომის კი არა,
რადგან ზამთარი ის-ის იყო
შემოსულიყო.
ჩამქრალი იყო ბალის ყველა
ჩრაქვი და ქალი,
ხოლო მებაღეს აეკრიფა
გუდა-ნაბადი.
ყვავს მოეპარა ბულბულისთვის
საამო ჰანგი
და თავად ქურდი ყრანტალებდა
სხვაზე: „ქურდიო!“
ყვავი ინდოელს ხომ იმითაც
ჰგავს, რომ ქურდია,
ხოლო ქურდობით ინდოელი
ვის გააკვირვებს!
დარჩენილიყო უბუღბულოდ
წალკოტში ყვავი,
ეკალი ჩანდა მხოლოდ ვარდის
მოსაგონარად.
ნიაქჩრის მხატვარს, მთელი დამე
ველზე რომ ქროდა,
ვერცხლის ჯაჭვები მოეხატა
წყლოს ზედაპირზე.
ისე აქვრდა ყინვა, სითბოს

უკარგავდა ცეცხლს,
ხანჯლად აქცევდა წყალს, ხანჯალს კი
წყალს ამსგავსებდა.
სუსხს წამახული ქეიბური
ეპირა ხელში.
კაცს თვალში ჩხელეტდა, წყაროსთვალს კი
ხელ-ფეხს უკრავდა.
მთას ტანთ ყარყუმში მოეხურა,
მიწას — ბუმბული,
ზეცა კი ციყვის ბეწვში იყო
გამოზვეული.
ოვინიერ ცხოველს იყო მხეცი
ჩასაფრებული
და მის ტყავისგან თავისთვის თბილ
ქურქს იკერავდა.
ჩაპალულიყო მიწის გულში
მცენარე მცირე,
ვით მწირი საწყლად მოკუნტული
თავის სენაკში.

...ასეთ ყინვაში ბაჰრამ-შაჰის
სასახლის სათბურს
ოთხი დრო ჰქონდა წელიწადის
დაყენებული.
ირგვლივ იმდენი იკმეოდა
ნელსურნელება,
ზამთრის მსუსხავი ქარი ზეფირს
დამგვანებოდა.
ნაირი ხილი და სასმელი
ამო და ტკბილი
ტვინს აძინებდა კაცის, ხოლო
გულს აფხიზლებდა.
ისე ხრჩოლავდა ირგვლივ უდი
და სანდალოზი,
სასახლე ცეცხლის მსახურთ სახლი
გეგონებოდათ.
...კანჯრისთვალემა დიაცები
წრუპავდნენ ღვინოს
და შემოჰქონდათ კანჯრის მწვადი
და შემოჰქონდათ.

უჭდა ბაჰრამი გამლილ სუფრას
გალაღებული,
და მწდას მორთმეულ ღვინის თასებს
ზედიზედ ცლიდა.
შევების და ლხენის გზაზე იდგა
ჰკვიანი ხალხი
და საუბრობდნენ ერთმანეთში
სასიამოვნოდ.

სუფრაზე ყველა დიდებულმა
რიგის მიხედვით
წარმოსთქვა სიტყვა თვისი ჰკუის
შესაფერისი.

ასე გაგრძელდა მანამ, სანამ
ბოლოს და ბოლოს
მეფის წინ სიტყვა არ იახოვა
ერთმა მესიტყვემ:

„ვარსკვლავთა გუნდი, შაჰის ცარგვალს
რომელიც ნათობს,
და წუთი იგი, რომელიც მას
უკავშირდება,
არც ერთ მეფესთან, ჰკეყანაზე
ვინც კი მეფობდა,
კაცს არ უნახავს არც აშკარად
და არც ფარულად.
ხელმწიფის ფარის და სიქველის
მისის წყალობით
ჩვენ არაფერი არ გვაკლია,
რაც კი გვჭირდება.
გვაქვს უშიშარი ყოფა, ტანად
ჯანმრთელები ვართ,
დათრგუნულია მტერი, ჩვენ კი
სებვირად ვცნობრობთ.
უშიშრად ყოფნა, ჯანმრთელობა
და ლუკმაპური
არის მთავარი, დანარჩენი
არაფერია.

მძღარი თუ გაქვს კუჭი და თან
გაცვია ტანზე,
ნურმც ძვირფასი ჰვა გინდა და ნურმც —
თვალ-მარგალიტი.

ჩვენ; ვისაც ტახტზე შენისთანა
ხელმწიფე გვიზის,
ყულამდე სავსე ვართ ყველაფრით,
როცა შენ გვყავხარ.
ნეტავი იმის გვეკონდეს ოლონდ
საშუალება,
ავ თვალს რომ ვიყოთ საიმედოდ
მოფარებული.
ბედის ვარსკვლავის ჩვენის სვლა ცად
და ცარგვლის მაცნე
ჩვენს სიკეთეზე მეტყველებდეს
ვინძლო ყოველთვის;
არ გადუხვიოს გზას სიკეთის
ჩვენის განაგმა
და ნექტრის გემო ოლონდ ნეტართ
არ ჩაამწარდეთ;
ოლონდ ხელმწიფე იყოს ჩვენი
გულმხიარული,
ნიშატიხს ხეავი ოლონდ ქარმა
არ გაუფანტოს;
ოლონდ ხელმწიფის ჩვენის სული
იშვებდეს ქვეყნად
და მის სიცოცხლეს ჩვენ ზვარაკად
შევწირავთ თავსო!“
როცა მესიტყვემ ამისთანა
წარმოთქვა სიტყვა,
დაადასტურა გულით ყველამ
ნათქვამი მისი.
გამოაძევა თბილმა სიტყვამ
სახლიდან სუსხი
და იქ დამსწრეთა აღტაცება
დაიმსახურა.
მათ შორის იყო ერთი კაცი
კეთილშობილი,
დიდბუნოვანი, მაღალი ზნის
და გვარის მქონე.
შიდა ერქვა მას და მზესავით
სხივს შლიდა მართლაც.
ფერთა მწერალი იყო ენით
აღუწერელი.

მხატვარი გახლდათ ყველგან თითოთ
 საჩვენებელი
 და ხუროთმოძღვრის სახელიც მას
 უქუხნა ქვეყნად.
 ბუნებისმეტყველს, ვარსკვლავთმრიცხველს
 და ხუროთმოძღვარს
 ყოველი დარგი მოჰყვებოდა
 ხელში ცვილივით.
 სახლებს აგებდა იმისთანას,
 თვალს ვერ მოსწყვეტდით,
 გაოცდებოდით, ისეთ ნაყშებს
 გამოიყვანდა.
 როდესაც ხელში იღებდა
 ყალამს ან წერაქვს,
 მანი კედებოდა, ფარპაღი კი
 გულზე სკდებოდა.
 ზედ ეტყობოდა, სიბრძნის იყო
 ნაშეგირდალი.
 სემნარს ამბობდნენ ხუროთმოძღვარს,
 შიდას ოსტატად.
 როცა ხაეარხაყს აშენებდა
 მასწავლებელი,
 მისი შეგირდი შიდა ოსტატს
 ეშველებოდა.
 იმ ლხინში მეფე რომ იხილა
 გალაღებული,
 პირში ჩანჩქერი რომ უნახა,
 გულში კი — ცეცხლი,
 ეახლა მეფეს, მის წინაშე
 აკოცა მიწას,
 აღიღა ჯერე, მერე თავის
 აღგიღზე დაჯდა
 და მოახსენა: „თუ ხელმწიფე
 ნებას მიბოძებს,
 მის სახელმწიფოს ავ სვალს ახლოს
 არ გაეკარებ.
 ვარსკვლავთმრიცხველი ვარ მე, იცით,
 და ცის მჩხრეკელი,
 აქედან ვიგებ, ვარსკლავები
 რას წყვეტენ ცაში.

მხატვრობაში და, თუ გსურთ, ნაყშის
გამოყვანაში
ბოძებული მაქვს განგებინგან
ზეგარდმო ნიჭი.
ცის მალალ სფეროს, შექიძლია,
აკულო გეში,
ვინძლო ვერასდროს შაჰს ზიანი
ვერ მიაყენოს.
რათა ამ ქვეყნად არ მოაკლდეს
ნიშატი მეფეს
და ვარსკვლავების არასოდეს
არ ეშინოდეს.
განსაცდელისგან სულ დაცული
ექნება სული,
მიწაზე მყოფი შეიქნება
ცის გაშგებელი.
ისე იქნება, როგორც ვამბობ:
შვიდ სრა-სასახლეს
ცამდე აღმართავ შვიდი ციხე —
სიმაგრის მსგავსად.
ყველას ფერადაც საკუთარი
ექნება ფერი
და იხასხასებს ასი კერპის
გუშბათზე უფრო.
ხელმწიფეს შვიდი კერპი ჰყავს შინ,
თითოეული
თავისი ქვეყნის და მიწა-წყლის
ნიშანს ატარებს,
ხოლო ყოველი ქვეყანა ხომ
თვისი ბუნებით
ერთ რომელსაჲე ციურ ცთომილს
უკავშირდება.
ასეა კვირაჲე. კვირასაც ხომ
შვიდი დღე აქვს და
შვიდივეს შვიდი ცის ცთომილის
სახელი ჰქვია.
შვიდ სასახლეში შვიდ დღეს შვიდჯერ
გამართავ ქეიფს
ისე, რომ ყოველ დღეს სხვა და სხვა
ქალთან იქნები.

იმ სახლის ფერი ტანსაცმელი
გაცმევა ტანსე
და ღვინოს დაღვე, სადაც დაჰყოფ,
იმ სახლის სძალოან.
თუ აქას იხამს მეფე, რაც მე
ახლა ვურჩიე,
ცამდე აიწევს სახელი და
დიდება მისი.
და სანამ ქვეყნად უწერია
ხელმწიფეს ყოფნა,
სიტყობებაში გავა მისი
სიცოცხლე სულა“.

მეფემ მოუგო: „ვთქვათ და რასაც
შენ შირჩევ, ვქენი,
ავაგე ოქროს სახლი, რკინის
კარი შევუბი.
მაგრამ თუ ბოლოს მელოდება
სიკვდილი მაინც,
რად ავიტეხო ამისთანა
დავიდარაბა?
შენ მეუბნები: აგიშენებ
ცათამბჯენ სრა-სახლს,
ასე მოგიწყობ და იმგვარად
მოგიერთავ მასო,
ის სახლი ფუჭი ვნების ჩემის
სახლი იქნება,
მაგრამ ამ სახლის შემოქმედას
სახლი სადაა?
შენს ნამოქმედარს შევხედავ და
შეგიქებ. მაგრამ
თვითონ სამყაროს შემოქმედი
სად ვეძებო?“
კვლავ უთხრა: „სწორად ვერ გითხარი
სათქმელი, რომ ვთქვი,
თვითონ სამყაროს შემქმნელი სად
ვეძებო-მეთქი.
რასაც ვერ ნახავ ერთგან, გწამდეს.
ადგილი მისი
ძალგის სუყველგან იკითხო და
მოიძიო!“

უთხრა თუ არა ეს ბაპრამმა
შიდას, დადუმდა,
ენებათაღელვამ მეფეს ტვინში
დუღილი უწყო.
რადგან სემნარის ნახელავში
კარგად ახსოვდა
მზეთუნახავის შვილის ახსნა
და განმარტება.
იმ შვიდი ქვეყნის შვილი შვიდი
მზეთუნახავი,
ვით მარგალიტი ზარღახშაში,
ხომ ჰყავდა უკვე.
ბაპრამზე მეტად იმოქმედა
შიდას ნათქვამმა,
რადგან განგების საიდუმლო
უკვე იცოდა.

მაგრამ პასუხი მაშინათვე
მაინც არ გასცა,
დღე რამდენიმე არაფერი
უპასუხია.
ბოლოს კი, როცა ცოტა კიდევ
გამოხდა ხანი,
მეფე ბაპრამმა დაიბარა
ხუროთმოძღვარი
და დაავალა შედგომოდა
შენების საქმეს.
შეუქმნა შიდას პირობები
შესაფერისი,
მისცა მას ფული, მშენებლობას
რაც სჭირდებოდა.
ახლა ოსტატზე იყო მხოლოდ
საქმე მიმდგარი.
შილამ კი ერთ დღეს, იმ დიდ საქმეს
რომ შედგომოდა,
ჯანსაზღვრა ცაზე ვარსკვლავების
მდგომარეობა.
ვარსკვლავთ მჩხრეკელი იყო რადგან,
ამოარჩია
დღე ბედნიერი და საქმისთვის
ფარსავიანო.

როცა ასეთი ხელსაყრელი
დაიცა ქამი,
შვიდი სასახლის საძირკველის
გათხრა დაიწყო.
ორ წელიწადში იმისთანა
სახლი აღმართა,
სამოთხისაგან კაცი რომ ვერ
კამოარჩევდა.
ხოლო როდესაც ზე აღმართა
შვიდი სასახლე
მან, სასახლეთა შშენებელმა
ხუროთმოძღვარმა,
როგორც თავიდან დათქმული და
ნათქვამი ჰქონდა,
ნიშანი მისცა რომელიმე
ცთომილის ყველას.
როცა მოვიდა და იხილა
შვიდი სასახლე
ერთ მოედანზე ერთურთს ლაღად
გადახვეული,
შაჰს მოაგონდა, რომ ქვეყანას
პირზე ეკერა
ის, რაც ნოყმანმა მაშინ საწყალ
სემნარს დამართა;
რომ პატროსან და გონიერ
ხალხს არ მოსწონდა
ისეთი დიდი ხუროთმოძღვრის
ისე სიკვდილი.
და მეფემ შიდას გაუხარა
საჩუქრით გული,
მთელი ამოლი გასამრჯელოდ
უბოძა ოსტატს.
თქვა: „თუ ნოყმანმა ჩაიღინა
დანაშაული,
ისე სასტიკად რომ მოექცა
კეთილისმყოფელს,
ჩემმა სიკეთემ ცოდვა მისი
გამო-სყიდოს.
იგი სიძუნწე არ იყო, ეს —
გულუხვობაო“.

ასეა თურმე მოწყობილი
ცხოვრება ჩვენი,
ზოგს ზიანი აქვს მისგან, ხოლო
ზოგს — სარგებელი.
ისე სწყურია ერთს, რომ კაცი
მწვადივით იწვის,
ხოლო მეორეს იმდენი აქვს
წყალი, ისრაობა.
გაოგნებული არის მინც
ესეც და ისიც
და გაჩუმების გარდა საშველს
ვერ პოულობენ.

შვიდი სასახლის აღწერა

როცა ბაპრამა, მქონემ თაჯის
ქაიყობადის,
მეფე ხოსროვის აღამალა
გვირგვანი ცამდე,
ერთი ისეთი ბისოთუნი
აღმართა ველზე,
რომ გაუხუნა ნახელავი
ფარჰადს ხელობით.
იმ შვიდ დიდ ბოძზე
დაყრდნობილი
ბისოთუნის თავს
შვიდი სასახლე წამოკიმა
ცამდე მაღალი.

როცა ავოდა ცას მიბჯენილ
თარჯზე ბაპრამი,
ჯარგვალი ნახა ისე ახლოს,
ხელით შეეხო.
შვიდი სასახლე დიდებული
იმ მაღალ თარჯში
განლაგებული იყო შვიდი
ვარსკვლავის მსგავსად.
ვარსკვლავთმრიცხველმა თითოეულ
სრა-სახლს ის ფერი
მისცა, რა ფერად იმ სასახლის
ცთომილი კრთოდა.
ერთი სასახლე, აგებული

კრონისის წილად,
შე ფერში იყო მუშკის მსგავსად
გამოხვეული.
სრა-სახლს. მეშთარის სახელზე რომ
აეგო ოსტატს,
მეშთარის მსგავსად სანდალოზის
ფერი დაქრავდა.
ხილო მარხისის წილხედობილი
რომელიც იყო,
სასახლე იგი ხასხასებლა
შორიდან წითლად.
მზის შესაბამის სასახლე კი
ყვითლად ელავდა.
რისგან ელავდა ყვითლად? რისგან
და ყაწიმისგან.
ერთი სასახლეც ასპიროზის
ნიშნით ნაგები,
თეთრად, სულ თეთრად ქათქათებდა
და ქათქათებდა.
სრა-სახლს, რომელსაც ოტარიდის
ნიშანი ერგო,
თვალად საამო უბრწყინავდა
ფირუზის ფერი.
სასახლე, მთვარეს რამლოსთვისაც
ძიეპურო მზერა,
მოჩანდა მწვანედ თვითონ ბაპრამ
შაპის ბედივით.
აი, ამგვარად, ზეცის შვიდი
ცთომილის ნიშნით
აღმართულიყო თვალწარმტაცი
შვიდი სასახლე
შეადი ქვეყანა შეიდ სასახლეს
დამოყრებოდა, —
იმ შვიდი ქვეყნის შვიდ ასულს ხომ
იქ ედო ბინა!
თავისი ფერის და ბუნების
შესაბამისად
თითო სრა-სახლში იდგა თითო
მეფის ასული.
სასახლის ფერად გაწყობილი

იყო შიგ სახლიც
ნონების ჩათყლით ავეჯიდან
მოკიდებულნი.
დაუყვებოდა რიგ-რიგობით
შაჰი სასახლეთ,
დღეს ერთ მათგანში ნებივრობდა,
ხეალ — მეორეში.
ორშაბათს იყო იქ, ორშაბათს
რისი დღეც ერქვა,
სამშაბათს კიდევ სხვაგან იჭდა
და ასე შემდეგ.
და ასე, როგორც თავიდანვე
ურჩია ბრძენმა,
რომელ სახლშიაც იყო მეფე
გაჩერებული,
იმ სასახლის ფერს ჩაიცვამდა
ტანზე ტანსაცმელს
და იტარებდა დროს განცხრომით
მასპინძელ ქალთან.
დიაცი იგი ბაჰრამ-შაჰს წინ
დაუჯდებოდა,
გამოუჩინდა ვაჟს, რაც ეშხი
და ჯადო ჰქონდა.
ოღონდ როგორმე ხელში ვგდო
ხელმწიფის გული,
ოღონდ როგორმე ჰალვა მისი
ბაჰრამს ეწვნია,
სასიყვარულოს უამბობდა
რაიმე ამბავს,
რომ აღეტყინა დიაცს კაცის
ვნებათა ღელვა.

შემოიზღუდა თუმც ასეთი
გალავნით თავი,
ბაჰრამმა სული ტკბილი მიიხც
ვერ შეირჩინა.
ჰეი ნიზამი, გაიქეცი
ამ წალკოტიდან,
განა ვერ ხედავ, ვარდი მისა
ქაცვად ქცეულია!

შეხედე ბაქრამს, იპოდენა
აელა-დიდების
პატრონმა მაინც ეს სოფელი
როგორ დატოვი!

გაპარპის დაჯდომა შაგათ დღეს
მავ სასახლეში და აიკრავლი იალიმის
მავის ძალიწვილის მიერ
ამის მოყოლა

ნიშატისა და ნეტარების
გეშზე გასული
ბაქრამი შეიდი სასახლის შეიდ
ასულს შეერთო.
შაბათს შამასის მზის სასახლე
დააგდო მეფემ
და აბასიანთ შაე მხარეში
ქარავე დასცა.
ნელსურნელებით ფშვიერი და
ცად აზიდული
სახლის მასპინძელს, ინდოთ მეფის
ასულს, ეწვია.
შელამებამდე იქ იშვებდა
და ნეტარებდა
უდის სურნელით და სუნამოს
ფშვინით დაშტკბარი.
როდესაც ღამემ ბაქრამ-შაპის
რიგის მიხედვით
თეთრ აბრეშუმზე შაეი მუშეი
გადმოაფრქვია,
გაზაფხულივით გულვათქვირულ
ქაშმირელ ასულს
შაქმა ზეფირის ფშვინვის მსგავსი
სურნელი თხოვა, —
გადმოეყარა ზარდანშიდან
ეინძლო ყანდი და
მოეთბრო რამე დაცუბის
შესაპამისა, -

...თვალეზგვრილა ინდოელმა.
ქურციკის მსგაჲსმა,
ბაბრამის ცხვირწინ მუშკის პარკუქს
შაუხსნა თავი.
უთხრა: „ხმა ბუკის, შენ რომ ღღეში
ხუთაჯერ სცემ, მეფვე.
და, უფრო მალლა აღხდეს, ვიდრე
შოჲარეა ცაზე!
სახაშდის ჰგიეს ეს ქვეყანა,
სუფვედეს შაჰი,
მის კარის ხელურბოზე შებლი მიწ-ს
ახუთქონ კრძალვით.
რაც კი ისურვოს მისმა გულმა,
ლაჲ განგებამ
არ დაუყოვნოს იმ სურვილის
ასრულებამ!“
როდესაც მორჩა ქალაშვილი
მეთის დალოცვას,
თაყვანი სცა მას და შაჰარი
გადმოათრქეია.

ა მ ა ა ვ ი

თაჲ დახარა და მოუყვა
მორცხვად ამბავი,
არვის რომ ეთქვა ჯერ და არვის
რომ არ ესმინა.
უკვლავების წყლის საძებნელად
მკუდონელთან
ერთად წყელიადის გავეჲგზავრე
სამფლობელოში.
... მთვარე ხომ შავი ცის პირზეა
დრადი ასე,
ამიტომ არის შავი ფერის
სულთნის შუაგი.
ქვეყნად შავ ფერზე უკეთესი
არ არის ფერი.
თევზის მუცელი განა თევზის
ხურგს შეედრება!

ანალგაზრდობამ (ნეტავ იმ დროს!)
იცის შავი თმა,
შავი ფერია კაცს ჭაბუკურ
იერს რომ აძლევს.
შავი გუგაა მხედველობას
რომ ანიჭებს თვალს;
შავ ფერს არც ჭუჭყი ეკიდება
ისე ადვილად,
ტანზე რომ შავი მოსასხამი
არ მოეხურა,
ელირსებოდა განა ღამეს
მთვარის აკვანი!
შვიდი მთების ქვეშ თუმცა შვილი
არსებობს ფერი,
მათ შორის შავ ფერს ვერც ერთი ვერ
შეედრებაო“.

რომ დაამთავრა ინდოეთის
მეფის ასულმა
შაჰისთვის შავით შემოსილთა
ამბის მოყოლა,
ქება შეასხა შაჰმა ამბავს,
მისი მთხრობელი
ქალი კი გულში ჩაიხურტა
და დაიძინა.

**ბაჰრამის დაჯდომა კვირა ღღეს
ხვითელ სასახლეში და მათრე იალიმის
მეფის ქალიშვილის მიერ
ამის მოხორლა**

ბოლო როდესაც დააყარა
დილის ყაფანმა
ოქრო გულუხვად მთის საყელოს
და ველის კალთას,
კვირა ღღეს მეფე, მთელი ქვეყნის
მანათობელი,
ოქროს ტანსაცმლით შეიმოსა
მზის პირის მსგავსად.

აილო ხელში ჯამშვიდღივით
ოქროს სასმისი
და ისე, ვით მზემ, თავზე ოქროს
თაჯი დაიდგა.

... ყვითელ სასახლეს მიაშურა
გზად ოქროს ფრქვევით.
სიამოვნება ერთი ჰქონდა,
ასი უნდოდა.
იმ სასახლეში ნეტარებას
დაუდო ბინა
სასიამოვნო ღვინის სმით და
მუსიკის სმენით.

როცა დადამდა და ქალის და
კაცის შესაყრელ
ბინას საქმისთვის ხელსაყრელი
ჟამი დაუდგა,
პირად კანდელს და ენად შაქარს
თხოვა ბაპრამმა:

„ლალი და ყანდი ერთმანეთთან
დააწყვილეო!“
მეფის ბრძანებას ვინ გადაეა!
ვერა მიზეზით
ხელმწიფის ნებას თავს ვერა და
ვერ აარიდებ.

მიუგო ბაპრამ-მეფეს რუმის
მეფის ასულმა:
„ჰეი თერაზის, ჩინეთის და
რუმის მპყრობელო,
შენა ხარ იგი, ვისით უდგა
მეფეებს სული,
ქვეყნიერების ხელთმპყრობელო
ძლევაშოსილი.
ვინც აარიდებს თავს მონობას
შენსას, ახია,
მტვერში ვაგლახად რომ გორავდეს
მისი თავიო!“

ეს თქვა და ამბის მოსაყოლად
მეფის ასულმა

საკმეველივით მუჯამარზე
დაყარა სიტყვა.
სუფრა იპოვა თუთიყუშმა
ყანდით აღსავეს
და დაეუფლა მას (ბუზები
არ აწუხებდა).
ჩაუშვა თევზი გუბურაში
მაშინვე ვაჟმა,
რძეში ჩააგდო ინდისხურმა
გულის ნებაზე.
აღუწერელი იყო მისი
სიტყვო და სიტკბო
და გადაედო ინდისხურმის
ტკბილი გემო რძეს.
როცა ხატებას აბრეშუმი
ახადა მეფემ
და ყანდის ქურქელს როცა ოქროს
მოქლონი ახსნა,
იხილა თვალით თვისით ოქროს
ლირსი განჯინა
და გააყვითლა იგი ოქროს
ნახელავეებით (?)

ყვითელი ფერი ის ფერია,
სიხარულს რომ გვგვრის.
ზაფრანიანი ჰალვის გემო
ყვითელ ფერს ახლავს.
იმას რას ეძებ შენ, ზაფრანი
რომ ყვითელია,
იმ კაცს შეხედე, ვინც ზაფრანს ჰამს
და ილიმება! ⁸³

...ოქრო ყვითელი ფერის არის
და მიტომ გვალხენს,
ყვითელი ფერის უფრო ფასობს
აბანოს თინა“.

როდესაც ქალმა დაამთავრა
ამ ამბის თხრობა,
მეფემ ის გულში ჩაიხუტა
და დაიძინა.

გაპრამის დაჯდომა ორშაბათ დღეს
მწიანე სასახლეში და მისამე იკლიმის
მეფის ვალიშვილის მიერ
ამის მოხორლა

როდესაც დადგა ორშაბათი,
დიღმა ხელმწიფემ
მთვარეს უწედინა ცაში მწვანე
ფერის შუაგი.
ბრწყინავდა, როგორც ანგელოზი,
და ელვარებდა,
როგორც ჩირალი ანთებული
მწვანე წალკოტში.
მწვანე სასახლეს მიაშურა
ირანის მეფემ
და იქ მიეცა გულის შეებას
და ნეტარებას.
როცა ზურმუხტის ფერად გაშლილ
ცარგვალის ველზე
ვარსკვლავთა ბაღმა გაზაფხული
ააფერადა,
იმ გონიერ ქალს, ტანი საროს
რომ მიუგავდა,
თხოვა ბაპრამმა: „შაქრის შეკვრა
გამიხსენიო!“

ჯერე ილოცა ქალიშვილმა,
ახსენა ღმერთი,
მერე კი მეფის წინ ხვაშიაღს
ფარდა ახადა.
უთხრა: „ჰე, ვისი სულით ხარობს
დღეს ჩვენი სული,
სუყველა სული ქვეყნად შენი
სანაცვლო იყოს!“

...შენი თავია, დიდებას რომ
ანიჭებს გვირგვინს,
ტახტს კი სიმყარე მიუღია
შენს სასახლეში.
შენა ხარ იგი, ვინც სამეფოს
ფარღულს ამშვენებს,
შენი სასახლის იმედი აქვს
მთელ სამყაროსო“.

როცა აეურთხა ბაქრამ-შაპის
მაღალი ტახტი,
იაცუთიღან ყანდის წყარო
გადმოადინა,
ფერიის სახის მქონე ქალოან
იკლავდა წყურვილს
და ულოცავდა თავს, არ მეცეს
ავი თვლიო!
დაისხნა შაპი, როგორც იქნა,
ურიისაგან

და საესე მთვარე დაბნელებას
გადარჩინა.

ჩამოაშორა მის აბრეშუმს
ყვითელი მტვერი.
სოსანი იხსნა ეკალ-ბარდის
ბრქეალებისაგან.

ვერ ვანასხვავა მან სამოთხის
მკვიდრთაგან ქალი,
მწვანით შემოსა ის სამოთხის
ჭურიისავეით,

ხოლო სამოსი მწვანე ბევრად
სჯობს ყვითელ სამოსს,
თორემ წალკოტში მოხასხასე
საროს შეხედე.

მწვანე ფერია, რომ ამშვენებს
ნაშენს და ნათესს.

და ანგელოზსაც მწვანე ფერის
კაბა აცვია⁸⁴.

მწვანე ახარებს სულსა და გულს
სხვა ფერზე უფრო,
ყველაზე მეტად სიამოვნებს
თვალს მწვანე ფერი.

ყველა მცენარის ოცნებაც ხომ
სიმწვანე არის
და სანამ ცოცხლობს ის, მწვანეა
შესახედავად“.

როდესაც მთვარე, შექცევის და
ლხინის მშვენება,
ამ ამბავს ჰორჩა, მეფემ ქალი
გულში ჩაიკრა.

ბაპრამის დაჯდომა სამხაათ დღეს
წითელ სასახლეში და მართხა იალიმის
მეფის ქალიშვილის მიერ
აგვის მოხალა

და ერთ მშენიერ დღეს დღის თვის
ზამთრის დღეთაგან,
უფრო რომ იყო მოკლე, ვიდრე
თირის თვის ღამე;
იმის რომ სჯობდა ის დღე კვირის
სხვა დღეთ, რომ კვირის
ქიპი ის იყო, სამშაბათად
სახელდებული,
იყო ბაპრამი ბაპრამის დღეს
ბაპრამის ფერი
(ერთის სეხნიაც იყო იგი
და მეორისაც).
ტანზე წითელი ტანსაცმელი
ჩაიცვა მეფემ
და დილიდანვე მიაშურა
წითელ სასახლეს.

სლავთა ხელმწიფის ქალიშვილმა
სახეყვრმიზამ,
სახით რომ ცეცხლის მსგავსი იყო,
სიკეთით — წყალის,
მეფე ბაპრამის სამსახურად
შეიკრა წელა —
მზეს რომ თაყვანს სცემს მოვარე, იმის
ყურებდას რა სჯობს!
როდესაც ღამემ შავი თული
აღმართა მალა
და დაუხია, აბრეშუმში
რაც კჳონდა მზის თაღს,
მეფემ იმ წითელ ვაშლს, ბაგით რომ
თაფლს აწვეთებდა,
თხოვა რაიმე შესაქცევი
ამბის მოყოლა.
ლამაზი ქალი მეფის სურვილს
არ გადაუდგა
და დაუყარა წინ აყიყით
მარგალიტები:

„...ცაზე აქვს ზღურბლი, ხელმწიფეო,
სასახლეს შენსას,
ხოლო მზის დისკო შენს დიდ კარავს
მოვარედ ჰკილია.
რა უნდა იყოს მარგალიტი,
შენ რომ არ სჯობდე,
რა უნდა იყოს სიტყვა, შენ რომ
გუკადრებოდეს.
არავის ძალუძს შენთა ფეხთა
მტვერს შეეღაროს;
ვინც შენ ვერ გხედავს, სახედველი
დაეეოსოს მასო!“

როდესაც ქალი მორჩა მეფის
თაყვანისცემას,
წიაღის ლალი ლალის წიაღს
გამოუტანა.
მკლავზე უნახა უფლისწულმა
ქალს ის მძივები,
მის მთვრალ თვალებში კი ტრფიალი
ამოიკითხა,
აღარ დატოვა დაბეჭდილი
კვლავ მარგალიტი
და ქალწულობის განძს ყმაწვილმა
ბეჭედი ახსნა.
ცხოვრობდა მასთან ნეტარებით
და სიტკბოებით,
ტანზე კი ეცვა კაბა ქალის
ლაწვების ფერი.
მან ხომ თავიდან, როცა ედგა
საბედოს კეალში,
წითელი ფერის ტანსაცმელი
ამოირჩია.
აკი წითელმა ფერმა შავი
დღე ააშორა, —
მიუზლო წითელ ფერს ყმაწვილმა
სამაგაერო.
რადგან წითელი ფერი იყო
ნიშანი მისი,
წითლად მოსილი უფლისწული
შეარქვა ხალხმა.

წითელი ფერის სამკაული
ახლებურია,
ამის გამოა, წითელი ქვა
ძვირად რომ ფასობს.
„წითელ გოგირდად“ მონათლული
რომ არის ოქრო,
როგორ გგონია, რა მიზეზით
მონათლე ასე?
სისხლი, რაზედაც სიცოცხლეა
დამყარებული,
იმიტომ არის წითელი, რომ
სული წყალობს მას.
წითელი ვარდი ბალის მეფე
რას გახდებოდა,
თვალად საამო სიწითლე რომ
არ ჰქონოდაო!“

როცა დასრულდა ეს ამბავი
თავშესაქცევი,
ვარდის სურნელით გაიედინთა
იქაურობა.
წითელი ღვინის ფერად მეტი
სიხარულისგან
აუღაყღაყდა მეფე ბაჰრამს
ღაწვისთავები.
ხელი წაიღო იმ წითელ
ვარდის წელისკენ.
ჩაიკრა გულში დიაცი და
ტკბილ ძილს მიეცა.

**ბაჰრამის დაჯდომა ოთხშაბათ ღამეს
ფირაზისფარ ხასანლევში და მინათში იკლინის
მეფის ქალიშვილის მიერ
ამის მთავრად**

ოთხშაბათს, როცა მზე აყვავდა
და გაიფურჩქნა
და ცას მოედო თვალსაამო
ფირაზის ფერი,
მეფე ბაჰრამმა, მთელი ქვეყნის
მანათობელმა,

ფირუზისფერად ჩაიცვა ტანთ
და დაიხურა.
ფირუზისფერი სასახლისკენ
აიღო გეზი.
დღე მოკლე იყო, ამბავი კი
გრძელია მისი.
როდესაც ღამემ ზილფ-კავები
ძუშკივით შავი
გადააფარა არემარეს,
დიდმა ხელმწიფემ
თხოვა იმ სახლის დიასახლისს,
ამბის მომთხრობელს,
მოეთხრო მისთვის რამე, როგორც
წესი ოთხოვდა.
გულის საამოდ რადგან ჰყავდა,
ეამბა რამე
მეფისთვის თავის შესაქცევად
სასიამოვნო.

წერწეტა სარომ ვარდის ტურფა
ბუტკო გაშალა
და დააყარა ვარდის ფურცელს
(ბაჰრამ-შაჰს) ყანდი.
უთხრა: „მეფეო, ვისაც გმონებს
თვით ზეცის ჩარხი.
ბედის ვარსკვლავი ვისაც გასხამს
ქება-დიდებას,
მე ვინ ვაგდივარ, ჩემისთანა
ათასი ხარჭა
ნატერფლის შენის კოცნით არის,
თავს რომ იწონებს.
როგორ იქნება, წყაროსთვალის
პირზე, მეფეო,
ძმრის გამყიდველმა ძმრის სავაპრო
ლუქანი გახსნას!
მაგრამ რადგანაც ვერ გადავალ
შაჰის ბრძანებას,
მოყვები ამბავს, მეფეს თავს თუ
არ ავატყენო“.
გააღო ბაღის მაშინათვე

კარი მაჰანმა
და უღაბნოდან ეგვიპტეში
გამოემართა.
ნახა თავისი მეგობრები
კრიქაშეკრულნი,
ცისფერი კაბა რომ ჩაეცვათ
ტანთ გლოვის ნიშნად.
დაჭდა და წერილად მოუყვა მათ,
ქირგადახდილმა
რა განსაცდელი და ხიფათი
გამოიარა,
და როცა ნახა, ჰყვარებოდა
მეგობრებს ისე,
რომ შემოსილი იყვნენ მისთვის
ცისფერი ძაძით,
მართებდა, მათთვის თავადაც რომ
აება მხარი
და ამის გამო შეიკვრა
ცისფერი კაბა.
ცისფერი გახდა ფერი მისი
ამერიდან
და ცარგვალივით ამ საწუთროს
ფერი მიიღო.

ხოლო ცისფერი ის ფერია,
ყველა სხვა ფერში
რომ აირჩია ზეცამ თავის
აბრეშუმისთვის.
და ყველას, ვინც კი ქვეყანაზე
ცის ფერს მიიღებს,
მზე ლავაშივით მოერთმევა
ცისფერ სუფრაზე (?)
იცის ცისფერმა მზესუმზირამ
ეს და ამიტომ
ერთი წუთითაც არ ამორებს
ხოლმე მზეს მზერას.
ამის გამოა სწორედ, რომ მზის
თაყვანისმცემად
იხსენიებენ ცისფერ ყვავილს
ანდოეთშიო.

რა დაამთავრა ეს ამბავი
ლაშაშმა მთვარემ,
გულში ჩაიკრა სიყვარულით
ბაპრაშმა იგი.

ბაპრაშის დაჯდომა ხუთშაბათ ღღას
სანდალოზისფერ სასახლეში და მთავრად იკლინის
მეფის ქალიშვილის მიერ
ამის მოყოლა

ხუთშაბათი დღე კარგი დღეა,
სიკეთის გამო
მუშთარით არის ხუთშაბათი
ნიშნდებული.
როცა ცისკარმა თეთრი უპე
გამოაჩინა
და სანდალოზის ფერმა მიწამ
უდი აკმია,
იმ სანდალოზის ფერი მიწის
შესაბამისად
ჩაიკვა მეფემ სანდალოზის
ფერი სამოსი.
ფირუზისფერი სრა-სასახლე
დააგდო დილით
და მთაშურა სანდალოზის
ფერ სრა-სასახლეს.
ისე უსხამდა ღვინოს ჩინთა
მეფის ასული,
თითქოს ვდემის წყალს ასმევდა
(ქაფსარს) ჰურია.
ცლიდა და ცლიდა ნება-ნება
ბაპრაში თასებს
და ნელა, ნელა, გრძნობდა, ღვინო
ეკიდებოდა.
როდესაც ლურჯი ოკეანის
(ზეცის) სადაფმა
ამოუტენა ვეშაპს პირი
მარგალიტებით⁸⁵.
ბაპრაშმა უთხრა ჩინთა მეფის

წერილთვალა ასულს:
„მენსიერებას მოაცილო,
მინდა, მტვერიო“.

ჩინეთის მეფის ქალიშვილმა
გაშალა შუბლი
და ინდისხურმის ბაგეთაგან
თაფლი აწვეთა.
უთხრა: „ჰე, ვისგან ცოცხლობს მხოლოდ
მსოფლიოს სული,
მეფობით თვისით ყველა მეფეს
ვინც აღემატა;
უღაბნოში რომ ჰყრია წვრილი
ქვიშის მარცვალი,
მთაში რომ ქვაა და ზღვაში რომ
წყლის წვეთებია,
იმათზე მეტი იყოს შენი
სიცოცხლის რიცხვი;
ბედი შენ გწყალობს, მამ იცოცხლე
და ინეტარე!
ეჰა მზის მსგავსად ჩვენთვის შუქის
მამუქებელო,
მეფეო, მაგრამ მჩუქებელო
მეფობის თავად,
მე უხერხულად ვგრძნობ თავს, რადგან
საუბედუროდ,
ენა არ მიჰრის, არ მაქვს ნიჭი
მჭევრმეტყველების.
...მაგრამ რადგანაც გართობა ჰსურს
მეფეს და რადგან,
ოღონდ იცინოს, არ თავილობს
ზაფრანის ჰამას,
მოვხსნი თავს ენის ბლუკუნის და
ბორძიკის გუდას
და შევეცდები, შაჰს ხალისი
გავუცხოველო.
იქნება იყოს მოსაწონი,
რასაც მოვყვები
და მეფის გულში ეგებ ფეხი
მოიკიდოსო“.

რა შორჩა მოეარე მზის მესავი
სკლმწითის ხოტბას,
აკოცა ბაპრამს შოწიწებო
სკლის თითებზე.
თქვა: „თუ ხეირის მომტანია
ხეირი ჩენი,
შენ შარი ხარ და ხამს, მხოლოდ შარს
შეეყარაო!“

მერე განხრიკა და უნახა
ის ორი თვალი
(ქამარში ჰქონდა დამალული
საგულდაგულოდ).
ხეირს დაუწყო ისინი წინ:
„პატროსან კაცს
პატროსანი თვალი უკან
დაუბრუნდაო“,
ხეირმა სიმამრს დაუმაღლა,
აკოცა იმ თვლებს
და მერე ისევ დაუბრუნა
ისინი უკან.
თვალეებზე ხელი მიიღო და
ასე უთხრა ქურთს:
„შენი წყალობით მაქვს ეს ორი
ძვირფასი თვალი.
იმიტომ გჩუქნი თმ ორ ძვირფას
თვალს უშურველოდ,
ეს ორი თვალი მე რომ ასე
მიხილუო“.

და წარიმართა ნებესამებრ
ხეირის სიქმე,
ხეირი ჰქონდა ხალსს ხეირის
მეფობისაგან.
როცა ჰკვიანი წინამძღოლი
ჰყავს სახელმწიფოს,
ეკალი ხურმად გადემქევა,
რიყის ქვა-ოქროდ,
როდესაც ხეირს ტახტი მისცა
სუბანსა ბედმა,
რკინა გაღიქცა ვერცხლად, ფლასი
— აბრეშუმი.

სამართალი და სათნოება
განავრცო ქვეყნად
და განიმტკიცა სახელმწიფო
ხელისუფლება.
ხოლო ფოთლებით, იმ ჯადოქარ
სეს რომ მოსწყვიტა,
კიდევ მრავალი ავადმყოფი
იხსნა კირისგან.
დრო და დრო ისევ ეწვეოდა
იმ ხეს ხეირი
გაჭირვებაში ჩაეარდნილთა
წამლის გულისთვის.
ჩამოხდებოდა იმ მაღალი
ხის ძირს ცხენიდან
და თაყვანს სცემდა ფესვებს მისას.
და აღიდებდა.
იმ სანდალოზის სურნელების
მქონე ხის ხათრით
ტანზე ემოსა სანდალოზის
ფერი სამოსი.
და იყო მეფე სანდალოზის
ყიდვაში მუდამ,
ტანთ სანდალოზის ფერი ეცვა.
რაც ეცვა, მხოლოდ.
სანდალოზის ხე შვებას აძლევს
კაცის სულს და გულს,
ხოლო სურნელი მისი სულის
ნიშანი არის.
სანდალოზის ხეს წამლად ხმობენ
თავის ტკივილის.
ციებ-ცხელებას შველის გულის
და ჯივრისასო".
როდესაც მორჩა აშბავს ჩინთა
მეფის ასული
და ჩიქორთული ენით კარგად
მოჰყვა სათქმელი,
მეფეს იმგვარად მოეწონა
სულში ჩაისვა.
და დიდგარა ქალი ავი
ფუალის ცემისჯან.

ბაქრაშის დაჯდომა პარასკევ დღეს
თეთრ სასახლეში და მეზინდე იკლიშის
მეფის ქალიშვილის შინა
ამგის მთაოლა

ხოლო პარასკევს, როს მტირალმა
ტირიფმა დილით
მზის სხივებიდან სახლი თეთრად
ააფერადა,
მეფემ ჩაიკვა ტანზე თეთრი
შესამოსელი
და გაემართა თავის თეთრი
სასახლისაკენ.
მეხუთე ბურჯში გადამდგარმა
ციცკრის ვარსკვლავმა
ხუთჯერ ჰკრა ბუქს და მიესალმა
ბაქრამ-შაჰს ისე.
სანამდე ხოთანს არ დაესხა
თავს ზანგის ჯარი⁸⁵,
მანამ ბაქრამი იშვებდა იქ
და ნებიერობდა.
როდესაც ღამემ სურმით, ცაში
დამზადებულთ,
თვალში სინათლე მოუმატა⁸⁷
მთვარეს და ვარსკვლავთ,
მეფემ მოთხოვა იმ თვალწარმტაც
და გულსაამო
თანამესუფერეს, განთიადზე
მოსულს ამ ქვეყნად,
ამ სასახლეში, როგორც იყო
დაწესებული
დაეტეხო მისი სასმენელი
საამო ჰანგით.

ქალმა ბაქრამ-შაჰს ჯერ შეასხა
ქება-დიდება,
აკურთხა მისი გვირგვინი და
მაღალი ტახტი,
ბოლოს, როდესაც დაასრულა
მეფის დალოცვა,
მისი ტახტის და მისი თავის
შესაფერისად,

სიკეთე: „რადგან უნდა დიდებულ შაჰს
გული საამო
მოვუყუე რაჟი, მეც თავს ზემოთ
ძალა არა მიაქვს.
დედამ მიაბო (დედა მყავდა
მე ლეთისმოსავი.
მონუსტი ქალი მგელია, ის
ბატკანი იყო):
ერთმა ნაცხოზმა ჩემმა კბილამ
სტუმრად მაწვია,
სავსე ოჯახი ჰქონდა, ღულდა
და გადმოდულდა.
გაგვიმასპინძლდა ისე კარგად,
ქნაო არ ითქმის.
ჩიტის რაჟი ჩიტის რაჟი რომ არის,
არ აკლდა ხუფრას,
რა ქათმის ხორცე არ გვაქვამა,
რა ბატკნის მწვადი,
რა ლავაშები არ მოგვაოხვია.
რა კულიჩები.
ტკბილედობა მოიტანა
ხარ-ხაირი,
ზოგი ფუსტულით გამოძეგვარი,
ზოგი კი — ნუშით.
პიროში დნებოდა, იმისთანა
დაგვიდგა ხილი,
თუ რეის ვაშლი. თუ ყურძენი
ისპანური.
ბროწეულიო? სად ეცალო
ბროწეულისთვის
ბროწეულების მკერდის მქონე
ქალთა შემხედვართ.
როდესაც შოვრით ვახშამს, საკულით
გული ვიჭერეთ,
შემოიტანეს ღვინო და ჩვენც
ღვინის სმა ვიწყეთ.
და ავირიეთ ერთმანეთში
სიცილ-კისკისით
ოქ მოქეიფე რამდენიმე
მესლაპრე ქალი.

ზოგმა ასეთი ამბავი თქვა,
ზოგმა ისეთი,
ზოგმა საამო, ზოგმა კიდევ
საფაურაკო.
ბოლოს კი ერთი ქორთა ქალის
მოვიდა ჭერი.
ქალი კი არა, თაფლი იყო
რძეში გაქნილი.
როცა ჰყვებოდა რამეს, ისე
ტყბილად ჰყვებოდა,
ცაში ფრინველი იძინებდა,
წყალში — კი თევზი.
იაგუნდიდან მოგვასხურა
შარბათის წყარო
და წამოიწყო, ვით შეჭფერის
შეყვარებულებს.

ქალის ტოლებმა როცა ვაჟის
საქმეს შეხედეს,
ლეთისმომიშობა გადმოედოთ
ლეთისნიერი ყრმის.
თაყვანისცემად მის წინ მიწას
ამთხვიეს შუბლი:
ჩუბრთხეულ იყოს ამისთანა
ლეთისმოსაობა,
რომლის ნიადაცს აბარებენ
თესლს სიკეთისას
და ყანას მისას ღვარძლისაგან
იფარავენო!"

ო, რამდენია ტანჯვა, რომლის
გვემა და ვება
ვნება გვეგონა, მაგრამ შვება
აღმოჩნდა ბოლოს!
ო, რამდენი აქვს სატკივარი
კაციშვილს ქვეყნად.
წარწყმედისაგან კაცის სულს რომ
იხსნის, ისეთი

როდესაც მთიდან შუქის წყარო
გადმოიღვარა
და მოაშორა ავი თვალი
ცის ტატნობს როცა,

დილის ნიაკი გამოიქრა
ჩირაღდნით ხელში
და წაიყვანა წალკოტიდან
მებაღე სახლში.
ბალის პატრონმა გამარჯვების
აღმართა დროშა, —
აკი გადურჩა იმ განსაცდელს
და დამცირებას,
პასიყვარულო ცეცხლისაგან,
წუხელ რომ ენთო,
ქვაბივით დუღდა მოწიფული
კაცის სხეული.
როგორც კი ქალაქს მიატანა,
სიტყვის პატრონმა
გვირგვინი ისვენა თავის გულის
სასურველ ქალთან.
...გახვრიტა მარჯნით მარგალიტი
გაუხვრეტელი.
თევზმა ჩათვლიმა, როცა ჩიტმა
გამოიღვიძა.

ამ ქვეყანაზე ფრინველიდან
მოკიდებული
თევზამდე ყოველ სულდგმულს გულში
ეს ვნება უდუღს.
რა ბედნიერი აღმოჩნდა ეს
კაცი, შეხედეთ,
ნება დაერთო, წმინდა წყაროს
დაწაფებოდა!
მწყურვალე იყო და მიაგნო
კიდევ წყაროს წყალს
სპეტაკს, ვით ყვავილს უცვეთელის,
და თეთრს ვერცხლივით.

სითეთრეშია დღის სინათლე
გაცხადებული,
სითეთრით არის, რომ ანათებს
მთა და ბარს მთვარე.
ყოველი ფერი რიოშია
ამ ქვეყანაზე
თვინიერ თეთრის, შეურყვნელი
მხოლოდ თეთრია.

და ყველაფერი. არა სცხია
რასაც სხვა ფერი,
სიწმინდის მისის გამო თეთრად
იხსენიება.

ამიტომ არის, სალოცავად
როდესაც დგანან,
თეთრი აცვიათ და ღმერთს ასე
სცემენ თაყვანსო“⁸⁸.

რა დაამთავრა თხრობა ქალმა
მკერდგათქვირულმა,
ხელმწიფემ გულში ჩაიხუტა
ამბის მთხრობელი.

აი, ასე და ამნაირად
ირანის მეფე
ღროს ატარებდა შეიდ სხვადასხვა
ფერ სასახლეში.

ჩინეთის ხაჰანის მეორედი უაზონება

როცა მუშოართან და ზუალთან
პირისპირ მდგარმა
ცის მნათობთ მეფემ თევზი დათმო
და თხის რქას ერთო⁸⁹,
ბუნება, ხიზრის ზიარი, კვლავ
ქორთა შეიქნა
და უკვდავების წყლით ხელახლა
ჩაიდგა სული.
ნილოსად იქცა ნაკადული,
ისე ადიდდა.
ქალაში ფშანი სალსაბილის
წყაროს ემსგავსა.
უღით მონილი მიწა მუშკის
ფშეინეთ ტკებოდა.
იქით მიჰქონდა ქარს. სურნელის
მომტანს სურნელი.
გულის საამო გაზაფხულის
იდგა ამინდი
და ახარებდა კაცის სულს და
გულს არემარე.
ნოვრუხის ნიავს სხვა კაბალა

შემოეწერა,
გირაოდ მისცა ტბილი სული
მინდერის ყვავილებს.
მიწის გულიდან ზე წამოჰყო
ნიავეთა თავი
და განეწმინდა სარკეს მზისას
პირიდან ჟარგი.
მიწის პირს ნამი მოასხურა
ეთერის კალთამ.
სითბომ სახსრები დაუმსხვრია
სუსხსა და ყინვას.
ქიუხებიდან ჩამოსულმა
ქაფურის თოვლმა
იმდენი ღვარა ცრემლი, ღელე
აფოფინა.
მწვანის ყურებით დაეწმინდა
კაცს ხედვა თვალის
და მიმკვდარებულ არემარეს
სული ჩაუდგა.
ქორფა ნარგიზმა კი თავისი
მთვრალი თვალებით
ვისაც თვალები ესხა, ტბილი
ძილი წაართვა.
დილის ნიავეთა მოიტანა
ზეფირის ფშვინვა
და იის სევდას თავზე მუშკი
გადმოაფრქვია.
სარომ აუშვა იალქანი
თავისი ჩრდილის
და დაუვარცხნა საგანგებოდ
ბზას კულულები.

...ტოტზე ახალი ბუტკოები
იმგვარად ისხდნენ,
ეგონებოდა კაცს შორიდან
მარგალიტები.
მთვრალი ნარგის გვირგვინისთვის
გამოსადეკი
ხელთ ეპყრა სოსანს (მის პეზობელს)
ოქროს ფურცელი.
აფეთქებული ტოტებიდან

კი ვაზაფხული
 ვარსკვლავებს ჰყრიდა, თუმც არ იღვა
 მეორედ მოსვლა,
 და შაშბალოდი, თვალი ცრემლით
 რომ ევსებოდა,
 ზაფხრანს ჰამდა და უტყდებოდა
 სიცილი ისევ.
 ხარცისის ფოთოლს აეკინძა
 მარგალიტები.
 სონის ტოტები კი თუთიის
 ხეხვაში იყენენ.
 დალალი დალალს გადაბოდა
 ზურგზე თავშავას,
 მხრებზე ეფინა თმები ძსგავსად
 დეილემელის ⁹⁰.
 ...სუმბული მუშკის მტვერს აყრიდა
 ცხვირ-პირში მიხაკს,
 აცემინებდა მიხაკს ცხვირს და
 აცემინებდა.
 მიეცა ფიცი მათიოლას
 უცვეთელასთვის,
 ჩემი მემკვიდრე უსათუოდ
 შენ იქნებიო.
 ხოლო სუსამბრის სურნელებას
 თავის აღმურით
 გაედნო შაშრის საწრეტელი
 ღრიანკალისთვის.
 ვარდი ქაფურის სუნს აფრქვევდა
 და მუშკებრ ფშვენდა,
 ოქრო და ვერცხლი ესხა სატრფოს
 ყურისძირივით.
 მუშკის ტირიფი უღის მსგავსი
 ხის ტოტებიდან
 ძირს ხან თეთრ ქაფურს ჰყრიდა, ხან კი
 შავ მუშკს აფრქვევდა.
 ტირიფის ახლოს კი არღავანს
 და უცვეთელას
 ზე აღემართა წითელი და
 თეთრი ალაში.

...ვარდს წელით ქამარი შემოერთყა
მეფეთა მეფის
და ნიავს ჰგავდა მიწა ვნებით
აღტყინებულს.
თითქოს ქოსს სცემდა, ისე ჰყეფდა
ბალში ბულბული
შებინდებიდან ვიდრე მამლის
ახშირებამდე.
მწვანე წალკოტში, ბალის მეფის
სასახლის კართან,
ხუთჯერ უკრავდა იგი სულთნის
სადიდებელ ჰიმნს.
საროს თავზე კი ღუღუნებდა
ქედანი ისე,
შეყვარებული, იფქრებდით,
რუდს ამღერებსო.
როდესაც გურიტმა სალამურზე
დაუკრა დილით,
კაკაბს კრიახი და კისკისი
შეაწვეტინა.
ღურაჭი ისე ხშიანობდა
ყანის ბოლოში,
კაცი იტყოდა თუ, ლიღონით
კითხულობს ლექსსო.
...იადონის ხმა იყო ისე
გულში ჩამწვდომი
და ისე წერილი, ჩანგის ლარა
გეგონებოდა.
წამლების დაფას გაზაფხულის
მოჰგავდა ბალი,
ილხენდა თევზი წყალში, ცაში
ჩიტი იშვებდა.
აი, ასეთ დღეს გაემართა
ბაპრამ-შაჰს ლხინი,
გამლილი იყო სუფრა გრძელი
და დიდებული.
შვიდი სხვადასხვა ფერის შვიდი
სასახლის მსგავსად
ერთი სასახლეც აევო შაჰს
ცამდის მაღალი (?).

და სწორედ ამ დროს მოუვიდა
ხელწიფეს მაცნე,
მოაგლო ცხენი ექვსთაღიან
სამეფო საწლთან.
როცა შეხედა იმ სამოაზის
მსვავს სრა-სასახლეს,
გულში ნიშატი გაეშალა
სამოთხესავით.

დიდხანს ასხამდა მოცოქული
ბაპრამ-შაჰს ხოტბას,
შემდეგ დალოცა, ვით ეგების,
და მოახსენა:
„ჩინთა მხარეში, ხელწიფეო,
ისევ აზვიროდა
ლაშქრის მდინარე და წალეკა
ისევ ხმელეთი.
ჩინის ფაღფურმა დაგვირღვია,
მეფევე, პირობა,
გვიშალა პირი და საზავო
სიტყვა გატეხა.
ჩინელის ნდობა არ იქნება,
ჩინელი თაფლად
გარედან მოჩანს, თორემ შიგნით
გესლის ბუდეა.
ვეება ლაშქარს უშიშვლია
საომრად ხმალი
და ჭეონამდე, ვით ამბობენ,
მოზღვავებულა.
და წაულეკავს მთა და ველი
მოვარდნილ ლაშქარს.
მეომრები ჰყავთ, გველუშაპი
ეგონება კაცს.
მეფე თუ ახლავ არ აღგება
და არ წამოვა,
ჩვენს სისხლს თასებით დაღვევენ სულ
ჩინელებით“.

როდესაც ბაპრამს ამისთანა
ამბავი ესმა,
მიუხედა, იყო განსაცდელში
ქვეყანა მისი.

არ გაეყარა ვინმელო ყულფში
თავისი თავი,
პურის კმა და ხარ-ხეიმი
გაყარა შეფემ.
იშახე ფიქრი იწყო ახლა,
თუ ვით და რა გზით
ედღია მტერი მის ქვეყანას
შემოსეული.
სხეას ვერ ხედავდა ხაზინის და
სპის გარდა საშველს, —
სპა და ხაზინა გამარჯვების
საწინდარია.
სპა მოიკითხა, — ხუთი კაცი
არ შერჩა ხელში,
ხაზინა ნახა, — შიგ შაური
არ აღმოაჩნდა,
დაცლილი დახვდა დატენილი
ერთ დროს ხაზინა,
დაფანტულიყო მეფის ჯარიც
და იარაღიც.
დარჩა უმწეოდ, როგორც ლომი —
უკბილოდ, მეფე,
ტყავი ბორკილად ექცა, ხოლო
სამეფო — ციხედ.

ამ დროისათვის ბაპრამს ერთი
ვეზირი ჰყავდა,
ერთი უღმერთო ვინმე, ღრძო და
ღვთის გარეგანი.
რასთ-როშევანს ხმობდა თავს („მართალს და
ნათელს“) ის, მაგრამ
მეტად შორს იდგა სიმართლის და
სინათლისაგან.
რისი სიმართლე, რა სინათლე!
იმ გულხენეშის
სიმართლე მრუდი იყო, ხოლო
სინათლე — ბნელი.
თავი მოჰქონდა: კარგი მქვია
მე სახელიო!
კარგ სახელთან კი არაფერი
ჰქონდა საერთო.

სანამდის ნერსე განაგებდა
მის საეპიროსს,
ღვთისმოსაობა სუფთეველა სულ
საეპიროსში.
რაც რასთ-როვეშანმა საეპირო
ვადმოიბარა,
სიმართლე მოსპო და სინათლეს
ბოლო მოუღო.
სანამდე მეფე ქეიფობდა
და ღვინოს სვაჲდა,
უსამართლობას მიჰყო ხელი
მისმა ვეზირმა.
შფოთს აღვივებდა, სპობდა
კეთილგონიერებას,
თავად კი ძალას იმატებდა
და მდიდრდებოდა.
შაჰის ნაიბს მოისყიდა
ფულით და ქრთამით,
თავის მხარეზე შეძლო მისი
გადმობირება.
უთხრა: „ძალიან გაზულუქდა,
თუ ატყობ, ხალხი,
თავხედი გახდა, უტიფარე
და მედიდური,
ჩვენი წყალობით რაკი გაჟდა,
თავსაც გავიდა,
დიდ გულზე დადგა და არაკეს
არ გვეპუება.
ყურები თუ არ აუწიეთ,
სანამდის დროა,
ნახავთ, სამეფოს საქმე როგორ
აგვეწიწება.
სულ გათაეხედდა, სულ წავიდა
ხალხი ხელიდან,
ბატკნებს რომ ჰგავდნენ ადრე, ახლა
მგლებს დაემსგავსნენ.
მგელს კი მოვექცეთ უნდა ისე,
ვით ეკადრება,
მელიის მსგავსად მის წინ სანამ
უნდა ვიცავოთ?!“

ტურტლიანები არიან კა
მიწის შვილები,
თუმც კაცის სახე აძევთ, მხეცად
რჩებიან მაინც.
ხოლო მხეცების ერთგულება
სად გაგონილა!
მხეცებს მხოლოდ და მხოლოდ ხმლით თუ
დაიმორჩილებ.
წაქითხული გაქვს და ალბათ ის
ამბავიც გახსოვს,
მხეცებისაგან თუ სიაუშს
რა დაემართა;
იცი ჯამშიდის დიდება მათ
ვით ღააკნინეს,
ან დარიოსი ვით დაჰკიდეს
სახრჩობელაზე ⁹¹.
ქონება აუზს უგავთ, თავად
მაძღრად არიან;
წყალი ყროლდება, თუ აუზში
დიდხანს დადგება.
წყალი, რომელიც მიწისაგან
ამღვრეულია,
დაიწმინდება იმავე მიწის
საშუალებით.
როცა მთვრალია მეფე, მტერი
არის ფხიზელი.
როს ქალაქისთავს ძინავს, ქურდი
მღვიძარე არის.
ხალხის დასჯაზე თუ აილო
ხელმწიფემ ხელი,
ხელით წაუვა სახელმწიფო
გვირგვინი ხელად.
ხოლო იმ მეფეს, ხალხის დასჯას
ვინც არ თაკილობს,
მტრები კი არა, აღქაჯებიც
კი გაუბრძიან.
ხომ იცი, ურჩი ქვეშევრდომი
აღქაქს ამეტებს, —
წამოგაჯდება თავზე, ერთხელ
ხელი თუ უშვი.

უნდა ეცადო, მკაცრი იყო
რომ გულჩვილობით
შენს ძლიერებას საფუძველი
არ შეერყიოს.
თავს ნუ იტყუებ, ერთგული მყავს
ქვეყნად ბევრიო,
კაცის ერთგული ქვეყანაზე
მხოლოდ ხმალია.
ხელმწიფეს ჩვენი იმედი აქვს,
სმას გადაყოლილს,
მე კალაში მაქვს ხელში, შენ კი
ხმალი გოჭირავს.
შენ რისხვის ნთხევა გმართებს, მე კი
საქმის გარჩევა.
მე გეტყვი, თუ ვინ დაიჭირო,
მერე შენ იცი
მდიდრებს წაგლიჯე ყველაფერი,
რაც აბადიათ,
ხოლო უქონელთ სისხლი ღვარე
შეუბრალებლად.
არ გაარჩიო, ავი არის
კაცი თუ კარგი,
ავს ამოხადე სული, კარგს კი
ფული წაართვი.
დათრგუნე ხალხი დიდებით და
ქონებით შენით,
თუ გინდა ჰქონდეს ხალხს სულ შენი
პატივისცემა.
სულ დაჩაგრული და ქენჯნილი
თუ არ გყავს ხალხი,
სამეფო მტკიცე და ძლიერი
არ გექნებაო“.

ეკეთა ბილწი კაცის რჩევა
ხელმწიფის ნაიბს
და მიჰყო ხელი მტარვალობას
ვეზირთან ერთად.
ძალმომრეობას გეზს აძლევდა
ვეზირი, ხოლო
თავად იკლებდა ხალხს, ქვეყანას
აჩანაგებდა.

ისე აიშვა თავი, გააცდა
ყოველგვარ საზღვარს,
აღამიანად არ მიაჩნდა
აღამიანი.

ისე გამხეცდა გულბოროტი
მეფის ნაიბი,
ტყუილუბრალოდ იქერდა კაცს,
ხალხს სახლს ართმევდა.
მხოლოდ გოდების ზრუნი იდგა
სოფლად თუ დაბად,
მხოლოდ „წაართვის“ და „მოიტა“
ისმოდა ირგვლივ,
ისე წავიდა ხალხის საქმე,
რომ ცოტა ხანში
არავის დარჩა არც მამული,
არც საქონელი.

სუყველაფერი რასთ-როვშანმა
(მართალს და ხათელს
რომ უწოდებდა თავს) სულ ძალით
მიისაკუთრა.

არც ოქრო შერჩა აღარავის,
არც — მარგალიტი,
არც ვინმეს ხარჭა დაუტოვეს,
არც ვინმეს — მონა.

გაოხრდა შაპის სახელმწიფო
და გატიალდა,
ბოგანოდ იყო მემამულე
გადაქცეული.
სულ ერთი არის, წაგვართმევენ
მაინც ძალითო,

სხვებს უტოვებდნენ სახლ-კარს სახლ-კართ
მეპატრონენი.

სული ძვრებოდა მოქალაქეს
და მოლაშქრესაც,
აყრილი იყვნენ და კლდე და ღრე
ეხეტებოდნენ.

მოცდა მიწები, მოიშალა
ბაზრებში საქმე,
არავინ წერდა შემოსავლის
წიგნში „სულ ჯამი“-ს

როცა ქვეყანა გავერანდა
და გაპარტახდა,
ღაცარიელდა მაშინათვე
შაჰის ხასიხაც.
ვესირის გარდა (ვისაც სახლიც
ქქონდა და განძიც)
არვის ებადა რამე ურვის
და ტანჯვის გარდა.
როდესაც ბაქრამს ჩინთან ოპის

საწარმოებლად
არ აღმოაჩნდა არც ლაშქარი
და არც ხაზიხა,
შეწუჭდა მეტად, უხმო თავის
ზედასუდეულებს,
უბრძანა, ეთქვათ თუ რა იყო
ამის მიზეზი.
მაგრამ იმღენი იყო ხალხში.

ვესირის შიში,
სუყველას პირში წყალი ქქონდა
ჩაგუბებული.

მიკიბული და მოკიბული
უიხრეს ხელმწიფეს:
„ეს და ეს კაცი გადარიბდა,
ის — გაიქცაო“.

ასეც იცრუეს: „არ მოვიდა
წელს მოსავალი
და ხაზინასაც დაეტყო ეს,
რა თქმა უნდაო“.

„არავინ დარჩა გადამხდელი
გადასახადის,
ამიტომ ქვეყნის ძლიერება
წელში გიტყდაო“.

„შაჰი თუ ბრძანებს, დაბრუნდება
სუყველა ისევ
და ძველებურად თავის საქმეს
მოჰკიდებს ხელსო“.

მიუხედა შეფე, არ ამბობდნენ
მართალს ისინი,
მაგრამ ჯერ ლომს რომ კერ ალევდა, ეს
კარგად იცოდა.

ცარგელის, სიავის მქნელის, ასე
ახირებაზე
ღოდხასს ფიქრობდა და ეძებდა
გამოსავალ გზას.
მავრამ ვერა და ვერ იპოვა
გამოსავალი.
რას გახდებოდა საწუთროსთან
ადამის შვილი.

გაგრაჲის ღამომღვრა მუხამისის შიარ

შაჰს ჩვევად აჰქონდა, უგუნებოდ
როდესაც იყო,
მოახტებოდა ცხენს და მარტო
გასწევდა ველად.
ინადირებდა, მოდგებოდა
კვლავ სასიათზე
და მერე უკან ბრუნდებოდა
გალაღებული.
იმ დღესაც, როცა საფიქრალი
მოაწვა მამიე,
ველ-მინდვრად გასვლა გადაწყვიტა
და ნადირობა.
დააგდო სრა და მარტომ ტრამალს
დაადო თავი,
ნადირის სისხლით გულის სისხლი
რომ მოებანა.
იყო ველზე და ნადირობდა
ერთხანს ნებაზე,
სევლას ხელები გაუთოკა,
წუხილის — ფეხები.
ლომები ხოცა, ვეფხვები სრა,
ტახები ელიტა
და ახლა უკან გადაწყვიტა
გამობრუნება.
მავრამ ამდენ ხანს ტრიოლსა და
ნადირთ დევნაში
მოსწყურდა მეფეს და მოუნდა
წყურვილის მოკვლა.
ბევრი იარა აქეთ-იქით

და იწრიალა,
მაგრამ ვერა და ვერ იპოვა
ვერსად ზინულო.
უეტრად კვამლი დაინახა,
გველუშაპივით
იგრიხებოდა და ცად მთვარეს
ეტანებოდა,
გადადიოდა შავად ჭერე
ქედლიან ქედზე,
შერე კი ცისკენ მიიწევდა
და მიიწევდა.
თქვა მეფემ: „კვამლი თუმც ცეცხლიდან
არის აღმღგარი,
იმ ცეცხლის დამნთებს, შეიძლება,
წყალი ჰქონდესო“.
რომ გაიარა იმ კვამლისკენ
ცოტა მანძილი,
ერთი კარავი დაინახა
წამომართული,
ველზე ცხვრის ფარა იმ თაკარა
სიცხეში იდგა,
თითქოს დიდ ქვაბში ცხვრისგან იახნს
აკეთებენო.
კარვის ახლოს კი ხეზე ერთი
ძალი ეკიდა,
ცოცხალი იყო და ფეხები
ჰქონდა შეკრული.
მყისვე კარვისკენ აქნევიანა
მეფემ ცხენს პირი.
მოხუცი ნახა ცისკარივით
პირმომცინარე.
წამობტა ზეზე მწყემსი, სტუმარს
თვალი რომ მოჰკრა,
თავაზით დახვდა და მიიღო
კეთილი გულით.
ფეხქვეშ გაეგო უცხო სტუმარს,
ვით დედამიწა
და ჩამოართვა ცისებრ მაღალ
მხედარს ლაგამი.
ჭერ მიესალმა მასპინძელი

სტუმრს თაემდობლად,
შემდეგ უმველა, ვით წესია,
ჩამოსდომავი.
რაც კი საქმელი და სასმელი
ქჷონდა, მოარაგა,
თან უბოდიშა, შემინდე, რომ
ცუდად გხედებო.
უთხრა: „მეც ვიცი, ბატონო, რომ
ასე ღარბი
სუფრა შესავეით უცხო სტუმარს
არ ეკადრება.
მაგრამ რას ვიზამ, ბინა გვიდევის
გადაკარგულში,
სოფელი შორს გვაქვს და სირცხვილი
ვქამო უნდაო“.

წყალს დაეწაფა ბაპრამ-შაჰი
და თუმცა ხონზე
პურებიც ეწყო, საქმელს ღელი
არ დააკარა.
უთხრა მწყემსს: „შენთან პურს მე მხოლოდ
მაშინ გავტეხავ,
როცა, რასაც მე გკითხავ, იმის
სწორ პასუხს მომცემ:
ეს საცოდავი ძაღლი ასე
რატომ შეგიკრავს,
ლომია სახლის და მგელივით
რად ექცევიო?“
მოსუცმა ასე უპასუხა:
„ლამაზო ბიჭო,
გეტყვი, რასაც მოხოვ, მოგიყვები
ამ ამბავს წერილად.
ერთი დრო იყო, ეს ძაღლი ჩემს
ფარას მწყემსაჲდა,
იმხელა ცხვარი მისთვის მყავდა
მიზარებული.
ისე ერთგული იყო იგი,
ისე მისანდო,
რომ, როგორ ვითხრა, ხათრიჯამად
ვიყავი მუდამ.
გული საგულეს მქონდა, რადგან

ქალი ცხვრის ახლოს
ქურდს არ უშვებდა, ირგვლივ მგელს არ
აჭაჭანებდა.
აქი გითხარი, მას მივანდე,
რაც კი მებარა.
ჩობანს ვეძახდი ჩემსას ამ ძაღლს,
ქოფაქს კი არა.
ალმაში კბილით და ბრკყალეზით
ფარას მიცავდა,
მართალი გითხრა, იყო ჩემი
მარჯვენა ხელი.
როცა ქალაქში წავიდოდი
რამე საქმეზე,
ცხვარს არხეინად ანაბარა
ვტოვებდი ძაღლის.
თუ უკან დროზე მობრუნებას
ვერ მოვასწრებდი,
ფარას ბინამდე თვითონ ძაღლი
გამორეკავდა.
ასე მწვემსავდა ჩემს ცხვრის ფარას
მრავალ წელს ძაღლი,
ჩემი ერთგული და საქმისთვის
თავდადებული
მანამდის, სანამ ერთ მშვენიერ
დღეს არ მომინდა
გადამეთვალა, ვით წესია,
ფარაში ცხვარი.
როცა დაეთვალე, შეიდი სული
ცხვარი დამაკლდა.
ვერ დავეთვალე ალბათ
კარგად-მეთქი, ვეპეობდი.
მეორე კვირას კვლავ დაეთვალე
ცხვარი, კვლავ აკლდა.
მაგრამ არვისთან არ დამოძრავს
ამაზე კრინტი.
ასი ყური და ასი თვალი
მეჭირა ცხვარზე,
საექვო მაინც ვერაფერი
აღმოვაჩინე.
ლამე ვფხიზლობდი, ფარას ქუთით

არ ვშორდებოდი,
ხოლო ცხვრის ქურდი არა და არ
გამოჩნდა მაინც.
ძაღვმა ცხვრის საქმე ჩემზე უფრო
კარგად იცოდა,
ჩემზე ათასჯერ უფრო მეტად
ფხიზლობდა იგი.
ცოტა ხნის შემდეგ ერთხელ კიდევ
დაუთვალე ცხვარი.
ისევ დამაყლდა, თუ არადა
თელა არ შემშლია.
ჯავრისგან ლამე არ მეძინა,
ან დაძინებას
როგორ შევძლებდი! ფარა თვალწინ
მითხელდებოდა.
ხან ათი სული მაკლდა ცხვარი,
ხან ხუთი სული.
დნებოდა ჩემი ფარა, როგორც
ყინული მზეზე.
ბოლოს იქამდის მივედი, რომ
რაც დამჩნა ცხვარი,
ძლივს მეყო შვილო, ძლივს, ზაქათის
გადასახდელად.
უდაბნოს მკვიდრი, ერთ ღროს დიდი
ფარის პატრონი,
ახლა უბრალო ჩობანი ვარ,
სხვა არაფერი.
ამ მძიმე დარდმა მომიწენლა,
ალარ ვარ მეტი,
გული და ღვიძლი დამიგლიჯა
და გამათავა.
შემდეგ ვთქვა: „რაც მჭირს, ვიცი, ავი
თვალისგან რომ მჭირს,
მაგრამ რომელი ნადირია
მაინც, რომ მღუპავს?
რა მხეცი არის ის, ამნაირ
საქმეს რომ ბედავს
ასეთ, ლომივით შეუპოვარ,
ქოფაკთან-მეფეში“

ერთხელ წყლის პირას მოვატყუე
ცოტა ნანს თვალი.
შემდეგ, არ ვიცი, რისგან, უცბად
გამომელვინა.
არ წამომდგარეარ, ჭოხზე მედო
თავი ჯერ კიდევ,
ვიწეკ დაღლილი და მუხლებით
ქარებს ვიღებდი.
უცებ, სად იყო და სად არა,
ერთი ძუ მგელი
მოადგა კარავს ტანის ვრეხით
და კუდის ქნევით.
ძალღური ენით დაუძახა
ჩემს ძალღს რაღაცა
და ისიც მოსულს შეეგება
პრანჭვით და წმახნით.
უვლიდა ძუ მგელს ირგვლივ, ტორით
მიწას ფხოჭნიდა,
აქიცინებდა კუდს ძუქნაზე
ამძუნებულო.
ბოლოს შეახტა ყურდაწურულ
ძუ მგელს გავაზე
და შეისრულა, როგორც ჰსურდა,
გულის წადილი.
საქმე რომ მორჩა, კმაყოფილი
მობრუნდა უკან,
წამოწვა იქვე და მაშინვე
ტყბილ ძიღს მიეცა.
მგელს ქრთამი ჰქონდა გაღებულო
და ამის გამო
დიდ გულზე მდგარი მოითხოვდა
სამაგვიროს:
ერთი მოზრდილი ცხვარი, სხეებში
გამორჩეული,
ისე მსუქანი, მძიმე ღუქას
ძლივს რომ ათრევედა,
გამოიყვანა და შექამა
ისე, ვით ალბათ
მანამდე ბევრი შექამა
ამ წესით ცხვარი.

გაოხრებულმა ძაღლმა უინის
პოკლის გულისთვის
ეს ამოდენა ფარა თურმე
მგელს შეაჰამა!
ამდენი ხანი უვლიდა ცხვარს
თვალის ჩინივით,
ბოლოს კი მაინც ანაცვალა
ის ქვენა გრძნობას.
ერთ ხანს ვუთმენდი,
ვაპატიე ეს საქციელი,
თავს გადიოდა იგი, მე კი
თვალებს ვებუჰავდი.
ბოლოს კი ძალლიც დავიჰიკრე
და შისი მგელიც.
ამით დავსაჯე, შევუქარი
ფეხები თოკით.
პატიმარეყავი და წამება
გადავუწვიტე-
იყოს შეკრული და მე ისე
მომემსახუროს.
ფარის დარაჯი ძალლი ფარას
შგლად გადაექცა,
ყასაბი გახდა საცოდავი
ფარისთვის იგი.
პატივისცემა მან ღალატით
გაღამიხადა
და მინდობილი სხვას მიჰყიდა
მუხანათურად.
სანამდის სული არ გაძვრება
ამ სატანჯველში,
იქნება ასე შეკრული და
ხეს ეკიდება.
ვინც დამნაშავეს ამნაირად
არ მოექცევა,
მის ნამოქმედარს ქვეყნად არვინ
მოიწონებსო“.

ჰქვიანს მწყემსის ამ სიტყვებში
მეფემ თავისთვის
ყურად საღები გაკვეთილი
ამოიკითხა

მიუსვდა მეფე, ნართაული
 იყო ეს მისთვის.
 ვატეხა პური და მაშინვე
 შინ წამოვიდა.
 თქვა გულში შაჰმა: „ამ მოხუცი
 ჩობანისაგან
 ვისწავლე, თუ ვით უნდა მართოს
 ქვეყანა მეფემ.
 გონების თვალთ რომ განსაჯოს
 ეს საქმე კაცმა,
 ხალხი ცხვარია, ხოლო მე კი —
 ცხვრის პატრონი ვარ.
 ფიზელი უვალი უნდა ჰქონდეს
 ჩემს ვეზირს, რადგან
 მინდობილი მაქვს სამწყსოს მწყემსება
 ვეზირისათვის.
 რაკი სამეფოს საძირკველი
 შემერყა ასე,
 ვისაც დავენდე, ხამს, პირველად
 ის შევამოწმო.
 პასუხი გამცეს, ამ დაცემის
 მიზეზი რაა,
 ნგრევის ფუძე და საძირკველი
 თუ ვინ არისო“.
 დაბრუნებულმა მეფემ იხმო
 კარისკაცები
 და მოითხოვა პატიმართა
 დავთრის ჩვენება.
 როცა ბაჰრამმა ჩაიხეილა
 იმ ქალღმერთში,
 თვალთ დაუბნელდა კაცს, ნათელი
 დღე დაუღამდა.
 ნახა, ქვეყანა თუ ვით იყო
 იაფარქმნილი (?)
 იმის მიხედვით, რაც ამ წიგნში
 იკითხებოდა,
 შაჰის სახელით დაესაჯათ
 სიკვდილით ხალხი,
 პატიება კი მიეწერათ
 ვეზირისათვის.

ვეზირს სახელი დაეარდნოდა
კეთილშობილის,
ხოლო ბაჰრამ-შაჰს ჩირქი ეცხო
მტარვალ მეთვის.
მიუხედა შაჰი, რაც ხდებოდა
მის სამეფოში.
როგორ უნდოდა შემოჩეეულ
ქურდს სახლის გაცლა
იმ ძაოლის მსეავსად, ფარა ძუ მგელს
რომ შეაჭამა
და აზარალა ცხერის პატრონი
მუხანათურად.
...და გადასწყვიტა. დაეჭირა
ხვალვე ვეზირი,
ერთი ათი დღე ბნელ დილეგში
გამომწყვდია.
„თავისუფალი თუ დავტოვე
სავეზიროში,
ვერვინ გაბედავს ძველი შიშით
მასზე ძვირის თქმას.
ძალაუფლება მოვაშორო
ჯერ ვეზირს უნდა, —
სინათლის შუქი ბნელ ღამეში
უფრო ელავსო“.

**ბაჰრამის მინა მტარვალ ვეზირის
განსჯა**

ხოლო მეორე დღეს, როდესაც
ქარვად ინათა
და როცა ღამემ აიკრიფა
გუდა-ნაბადი;
როდესაც დილამ ერთი დაკვრით
ორი მახვილის
მოუარე დაკოდა და ცის პირი
სიხსლით შეღება.
სააჯო სახლი ცას უწვდინა
მეფე ბაჰრამმა
და გაემზადა მომჩივართა
საქმის სარჩევად.

დიდებულება შემოვიდნენ
 თანამედევრობით
 და დაიკავეს თავ-თავისი
 ადგილი ირგვლივ.
 ბოლოს ვეზირიც გამოცხადდა
 და წესისაქებრ
 იქ დაჯდა. სადაც საპატიო
 ადგილი ჰქონდა.

• მეფემ რასთ-როშანს გადასედა
 რისხვით და მქახედ
 უყვირა ისე, გაათავა
 ადგილზე კაცი:
 „ეი შენ, ვინც მე ამოხსრე
 სამეფო მთელი,
 ვისი სიბილწით ჩემს მეფობას
 ნირი წაერთვა.
 გამოიტენე სასლი შენი
 განძით თა ლარით,
 ხოლო განძი და ლარი ჩემი
 ქარს გაატანე.
 გამოაკალე ჩემს ქარს ბარგი
 და იარაღი
 და დარჩა ქარი უბარგოდ და
 უიარალოდ.
 ჩემს ქვეწევრობებს, სადაც მისწვდი,
 წააროვი სახლი.
 მუხლამდე ხალხის სისხლში დგასარ,
 შე სისხლის მსმელო.
 ნაცულად იმისა, აგეკრიფა
 გადასახადი,
 ზოგს ქამარს თხოვდი და ზოგს კიდევ
 გვირგვინს აწერდი.
 უმადური ხარ. დაივიწყე
 წყალობა ჩემი,
 მაგრამ ამისი არც გრცხეენია.
 ნამუსგარეცხილს.
 ვისაც არ ჰკითხავ, ყველა გეტყვის,
 უმადურობის
 ცოდვა რომ მეტობს ბევრად ცოდვას
 ურწმუნოების.

მაჲ, ვინც სიკეთეს დაუფასებს
კეთილისმყოფელს,
იმ სიკეთეზე სხვა სიკეთეც
მოემატება.
შენ რასო-როეშანი, მართალი და
ნათელი, გქვია,
მაგრამ სადი გაქვს ან სიმართლე,
ანდა სინათლე?
ჯარს და ხაზინას მიაყენე
ზიანი ისე,
რომ აღარც ჯარი არის სადმე,
აღარც ხაზინა.
შენ ალბით ასე ფიქრობდი, მე
ლვინოს რომ ვსვამდი,
მომერეოდა უდარდელს და
ბედოვლათს ძილი.
გადაგეგრიხა მთვრალეებისთვის,
გინდოდა, ხელი
და დაგემსხვრია წვივი ჩემთა
ხელქვეითთათვის (?).
მიწამც დაჰყრია მაშინ ბაჰრამსი,
ბაჰრამი როცა
ხელში ჯაშს იჭერს. ხმლის დაჰერა
ავიწყდებოდეს!
როცა ვქეიფობ, ფიქრი არ მაქვს
თავისი თავის,
თორემ განგების განაჩუნზე
მუდამ ვფიქრობო“.

დაგრიხა თოკი ამ სიტყვებით
ასიათასი

და გადააცვა შაჰმა ყულფად
ვეზირის კისერს.
შემდეგ კი ბრძანა, ჯოჯონეთის
მეუფეს იგი
გადაეყვანა სამოთხიდან
გეჰენიაში.
მისივე ჩალმა ქამანდივით
მოაბეს ყელზე

და ჩათრეს მაშინათვე
საპატიმროში.
ფეხზე დაადვეს ხუნდი, ხოლო
ხელი შეუკრეს.
აწ სადღა იყო ეეზირობა
იმ გარეწარის?!
როცა ეს ჩენი ფალავანი
ასე გაკოჭეს,
შაჰმა შულტები გააგზავნა
დედაქალაქში:
თუ ვინმე სადმე უკანონოდ
იყო დევნილი.
ხლებოდა მეფეს საქმის თვისის
გასარიგებლად!
ხალხმა და ჭარმა ეს ამბავი
რომ გაიგონა,
დაადო თავი და მიაწყდა
მეფის სასახლეს.
შაჰმა უბრძანა დილეგებში
მგმინავ პატიმართ:
თქვით. თუ გეწვებათ უსამართლოდ
სული და გული.
თქვით გულახდილად. თუ ვის რაში
გედებათ ბრალი
და თქვენაც ხელით აიხსენით
ფეხზე ხუნდიო!“
დანაშაულის უქონელი
ათასზე მეტი
მოადგა მეფეს პატიმარი
სააჯო კარზე.
მათში ხელმწიფემ შეიღო ქაჯი
გამოარჩია
და გამოჰკითხა დაწერილებიო
მათი ამბავი.
თვითონ ჰკითხავდა. რაში დებდნენ
ბრალს მსჯავრდადებულს,
რა გვარის იყო პატიმარი
და სადაური?

ბაპრამს პირველმა პატიმარმა
 მიუგო ასე:
 „დაე, მტერს შენსას მუდამ მტრობდეს
 სურვილი თვისი!
 ღვთის გარეგანმა რასთ-როვშანმა
 მე ძმა მომიკლა,
 ქენჯნით და გვემით ამოხადა
 მართალ კაცს სული.
 რაც მას ქონება ღარჩა, თვიოონ
 მიისაკეთრა,
 სახლი იყო თუ ბალი, ცხენი
 თუ საქონელი.
 ვინც კი იცნობდა, იწვებოდა
 ჩემი ძმის ცოდვით.
 ენანებოდათ მისი სიყრმე
 და სილამაზე.
 მე რომ ხმამაღლა დავუწყე მკვლელს
 წყევლა და კრულვა.
 დანაშაულად ჩამითვალა
 ეს და შემიპყრო.
 „ესო — ჩემზე თქვა — ჩვენი მტრების
 მომხრე არისო!“
 „შენც იმისთანა ხარო, შენი
 ძმა რომ იყოო!“
 გამომიგზავნა ერთი მისი
 მსახური სახლში
 და სულის მეტი არაფერი
 არ შემარჩინა.
 დამაპატიმრა, ბორკილები
 დამადო ფეხზე
 და საფლაგვიით ბნელ დილეგში
 გამომამწყვდია.
 ერთ ძმას წამებით ამოხადა
 მანამდე სული,
 ახლა მეორე ძმას ციხეში
 ცოცხლად ალპობდა.
 ერთი წელია. ვიტანჯები
 საკანში, მეფეც

და მხოლოდ შენ ხარ ქვეყნად ახლა
ჩემი მხსნელიო“.

როდესაც მეფე ბაპრაშ-გურმა
კარგად გაიგო,
რაც ექნა ვეზირს ასე
აღალმართალ კაცისთვის,
მოატანიხა უკან, მისთვის
რაც წაერთმიათ,
ძმის სისხლის ფასიც ზედ დაურთო
დაზარალებულს.
ტუსალი იქვე გამოუშვა
საპატიმროდან
და დაუბრუნა ისევ თავის
საქმიანობას.

მეორე ჩაგრულის საჩივარი

ახლა მეორე პატიმარი
წარუდგა მეფეს,
აკოცა მის წინ მიწას და შაჰს
ლოცვა დაუწყო.
მოუყვა: „ერთი ბალი მქონდა,
ბაღს ვამბობ. თორემ
ერთ ბალად მართო მისი ერთი
შეხედვა ღირდა.
ისე ჰყვოდა, კაცს ედემი
ეგონებოდა,
იმდენი ესხა ხილი, ტოტი
უტყდებოდა ხეს.
შემოდგომის სუსხს გაზაფხულის
სიოდ მიქცევდა.
მამისეული იყო, მამას
ოფლით მორწყული.“

ერთ დღეს სად იყო და სად არა,
ეს მოძალადე
და სისხლისმსმელი იმ ჩემს ბაღში
შემოეხეტა.
გაეუმასპინძლდი, რაც შემეძლო,
ხილით და ღვინით,

ვით მის ღირსებას და დიდებას
 ეკადრებოდა.
 რაც ბაღში ამყვა ხელთ ან სახლში
 მეპოვებოდა,
 არ დამიზოგავს, ყველაფერი
 მივართვი გულთ.
 ჭამა, სვა, გაძდა, დრო ატარა
 და დაისვენა.
 რამდენიც ჰსურდა და რაც ჰსურდა,
 დალია ღვინო.
 როდესაც ბაღში გაიარა,
 გადაირია,
 ის ბალი ისე მოეწონა
 აყვავებული.
 მე მომიბრუნდა და ეს მითხრა:
 „უნდა მომყიდო
 ეს შენი ბალი, თუ გინდა, რომ
 ბაღს გაწიო“.
 მე ვუპასუხე: „ეს ბალია
 სიცოცხლე ჩემი.
 როგორ გავყიდო იგი. რითაც
 კაცს სული მიდგას.
 ამ ქვეყანაზე ყველა რაღაც
 ნიშატით ცოცხლობს,
 ჩემი სიცოცხლის ნიშატი კი
 ეს წალკოტია.
 ისე ჩათვალე, რომ ეს ბალი
 შენი ბალია,
 ხალხო მე ვითომ ვარ მორჩილი
 მებაღე შენი.
 ყოველთვის, როცა მოგესურვოს.
 მობრძანდი ბაღში,
 დაჭექი წყლის პირს, ღვინო სვი და
 ხილი იხილე.
 და თუ მოგშივდეს, ჭამა გასურდეს,
 ვინიცობაა,
 ლამაზი ქალის ხელით საკმელს
 მოგაროშევ-მეთქი“.
 მიყვირა: „ბალი მე მომყიდე,
 შენ კი ახლავე

გუდა-ნაბადი აიყარო
ამ ბალიდანო!”

ბევრი შექუქრა, ბევრი მლანძღა,
ბევრი შიყვირა,
მაგრამ არა და არ მიყვიდე
არაფრით ბალი.
ბოლოს კი ისე გაბორბტდა,
ქეუა დაჰკარგა,
ცირლი დაშწამა რალაც შქამე
დანაშაულში
და სასლათურად ბრალის, მე რომ
შიშიძღვის ვითომ,
ბალი წამართვა გაქარეუბულ
კაცს ძალადობით
სოლო იმ მახსათ, ჩემი ასე
დაბეჩაეების
ამბავი მეფის ყურამდე რომ
არ მიმეტანა,
ცისეში შიყრა თაეი, მცემსა,
შქენჯნა და შვეემა.
ორი წელია, რაც ამ ღლეში
ვიმყოფებიო”.

ბრძანება გასცა ბაქრამ-შაჰმა
და დაუბრუნეს
ბოლახის მსგავსი ბალი იგი
ბალის ძველ პატრონს.

მესამე ნაგრულის საინჰარი

ბაქრამს მესამე პატიმარმა
ასე შიშართა:
„დაე ყოველი შეგისრულდეს,
რაც კი ინატრო!
მე, შენი მონა, ზღვის ვაჭარი
გახლდი, სავაჭროდ
გზაზე ვიყავი გაბმული და
პურს ამით ვჭამდი.
ღრო და ღრო ზღვაზე გაუდიოდი,
იქ ვივაჭრებდი

ღა ებრუნდებოდა შინ სარგებლით
გახარებული.
როს გამოცდილის გამოვიარდა
კაცის სახელი,
ვაჭრის, რომელმაც ზღვის ავიც და
კარგიც იცოდა,
ხელთ რამდენიმე მარგალიტი
ჩაივადე ძვირი,
შაბჩერალივით არემარის
მანათობელი.

დავბრუნდი სახლში მოგებულნი
და კმაყოფილი,
გაბრწყინებული მქონდა მძივით
ჩემით თვალბი.
და ვადავწყვიტე, გამეყიდა
ის ყელსაბამი, —
უნდა მერჩინა თავი, ტანზე
უნდა ჩამეცვა.

თურმე გაიგო ეს ამბავი
ჩვენმა ვეზირმა
(მარგალიტების მძივს ფლობს ეს და
ეს ვაჭარიო),
მიხმო და მძივზე შემევაქრა
რილით და კდემით.
ვეზირი იყო და იათად
დაუეთმე განძი.
ვალის გადახდის დრო რომ დადგა
და ფული ვთხოვე.
ნაირ და ნაირ ოინებს და
ხრიკებს მიმართა.
მე შორიღებით რომ ვთხოვედი მას
ჩემს კუთვნილ თანხას,
იგი უტიფრად სულ რალაცას
იმიზეზებდა.
ასე მატარა და მაწვალა.
იმედი მქონდა
მაინც. ვფიქრობდი: დღეს ვერ მომცა,
ხვალ მომცემს-მეთქი.
ხოლო, კი ჩემად დამიბარა,
შემიპყრო იქვე.

და კაცის მკვლელებს გამატანა
საპატიმროში.
ბრალსა მდებს, თვითონ არ ვიცი, რა
დანაშაულში.
რათა როგორმე შეიჩინოს
ჩემი ქონება.
იმ მძივის ნაცვლად, ხელიდან რომ
გამომაცალა,
ხელზე და ფეხზე ბორკილები
დამადო მძიმე.
უმარგალიტოდ დამტოვა მე,
სამაგიეროდ
ტანჯვა და გვემა მომაყენა
უმ.გალითო.
ის გაჯგმული იარება
გამარჯყებული,
მე კი ჯერღმულში
ჩაძირული ვარ სადაფიკით.
გავიდა სამი წელი, რაც მე
ციხეში ვკდივარ.
დღეს კი შენ განახე, მეფეო, და
გავისარეო“.

მარგალიტები დაუბრუნეს
მაშინვე ვაჭარს
და სართად ოქროც ბევრი მისცეს,
ვეზირის ფული.

მეოთხე ნაბრუნის ხანიპარი

მეოთხემ ასე შემოსჩივლა
შაჰს შიშნეულმა:
„ჰოი, ღირსი ხარ ვინც მადლობის
ჩვენის ათასის,
ერიოი ყარბი მუტრიბი ვარ
მე, ხელმწიფეო,
ბარბითზე ეუკრავ. გეგონება
მდინარე წყალი.
შეყვარებული მყავდა ერთი
კალშით ნასატი.“

ის იყო ჩემი სუნთქვა, ჩემი
სული და გული.
მთვარის ნათელი დაეჩრდილა
მისი პირის შუქს,
აღე ღამის მსგავსად ბნელდებოდა,
მის წინ თუ იღვავა.
ნულისთვის ეთქვა (გეგმით?) ჩემი
ტუჩი ხარ შენო,
ხოლო ღიმილი ყანდის წუწუნად
გადაექცია.
სიტურფე მისი თავს დასხმოდა
ქორფა გაზაფხულს
და გაეძარცვა გაზაფხულის
სახლი და ბაღი.
კოქებს უწევდა ნაწნავები
წვრილად დაწნული,
წერწეტა საროს წელის რწვევა
მისგან ესწავლა.
თუმცა მი თვითონ ფულით მყავდა
ნაყიდი იგი,
მისი წყალობით მიდგა. ტანში
რომ მეღვა სული.
იმის ზილფ-კეებს წაეხდინათ
უღვთოდ ბაზარი
თათრის მუშქისთვის თუ სიშავით,
თუ სურნელებით,
თვითონ ეასწავლე სახის დაკვრა.
ის რომ უკრავდა,
ქანკით კაცის ვულს იტაცებდა
და სულს აღბენდა.
ერთ სახლში გვედო ბანა კანდელს
და მის ფარკანას,
ერთად ვიყავით ერთმანეთის
ცეცხლი და თოვსა.
მე მ-სით მედგა სული, როგორც
ღამეს -- ჩირაღით.
ის კი იშვებდა ჩემით, როგორც
ბ-ლით -- შრომანი.
ბილწმა ვეზირმა დაადგა ქალს
თვალი თუ არა,

წამართვა ხელად, არც აცივა
 და არც აცხელა.
 ააკიაფა თავის სახლში
 კანდელი ჩემი,
 ხოლო ფარვანა მისი ფაცხი
 ცეცხლით დამთუთქა.
 როცა აღეშფოთდი ამისთანა
 უსამართლობით
 და წავიწიე წინ იმ ჩემი
 კანდლის შუქისკენ.
 სიცილ-კისკისით ბორკილები
 დამადო ფეხზე, —
 წესია, გიყვებს ბორკილები
 უნდა ედოსო.
 ახლა ვეზირი იქ ნებევრობს
 ჩემს პატარძალთან,
 მუ კი დილეგში ვაგდივარ აქ
 და ვიტანჯები.
 ოთხი წელია, ყოველგვარი
 დანაშაულას
 გარეშე მტარვალ ვეზირს მე ამ
 დღეში ვყავარო“.

ბრძანა მეფემ და დაუბრუნეს
 კაცს მისი ხარჭა
 თავის ბარგით, ჩასაცმელით
 და დასახურით,
 არ დავიწყინია მეფე ბაჰრამს
 პატარძლის მარიც.
 და გაისტუმრა კმაყოფილი
 ქალი და კაცი.

მეხუთე ჩაგრულის საჩივარი

მეხუთე კაცმა მოახსენა
 ხელმწიფეს ასე:
 „პოი შენ, ვისაც სრა-სასახლე
 ცარგვალს გიწვდება,
 მე ვარ უფროსი ამა და ამ
 სახარკო სახლის,

ვემსახურებო მეფის ჩეენის
ხელსუფლებას.
ქვეყნისთვის ზრუნვა იყო ჩემი
საქმიანობა,
მეფის მონობის რგოლი მქონდა
ყურში გაყრილი.
მეფის დაულათით მე იზადმა
მიმალწეეინა
დიდი სიმდიდრის და მალაღი
ხარისხისათვის.
მაშროყის შაჰის ზეობის და
ზანჯრძლიგობისთვის
ზეცის ტატნობი ჩაძირული
მყავდა ნაშატში (?).
საიმქვეყნიო საგზალს ლოცვიით
ეზახირებდი
და ვაკეთებდი სულ სიკეთეს
შაჰის გულისთვის.
მე გაეახარე ჩეენი მხარე
და ავაყვავე.
ვინც საქმის მცოდნე იყო, ჩემთან
მოჰქონდა თავი.
წელგამართული კაცი ვიყავ
და ხარჯი: ჩემი
ხელს ვუმართავდი ხალხს, არსობის
პურს ეუნიშნავდი.
ღარიბს და ლატაკს ვამდიდრებდი
ქველმოქმედებით,
ხოლო ქვრივ-ობლებს ვაფარავდა
და ვაპურებდი.
ოქროს ვინც მთხოვდა, იმ კაცს ოქროს
არ ვუკავებდი,
დაცემულს ფეხზე ვაყენებდი
და ხელს ვუწვდიდი.
ერთი შემთხვევა რა ყოფილა,
გაჭირებაში
ჩავარდნილიყოს ვინმე და არ
მეშველოს მისთვის.
თუ რამე მქონდა გლეხებისგან

შემოსავალი,
სტუმრების გამასპინძლებაში
მეხარჯებოდა.
შემოსავალიც რიგის მქონდა
და გასავალი;
ხალხი გულსავსე მყავდა. ღმერთი
კი — მადლიერი.
როცა ვეზირმა ამისთანა
მინახა საქმე,
უსამართლობის აუდუღდა
გულში კოჭობი.
გამომაცალა. რაც სახელო
მქონდა, ხელიდან.
ხელი დაადო ჩემს მამულს და
ავლა-დიდებას.
მე შარი მომდო: „გარჯით არ გაქვს
ნაშოვნი. რაც გაქვს.
რასაც ახარჯავ ხალხს, ქონებას
არ ფლობ შენ იმდენს.
ან ჯადოქრობ და აღქამიით
ღებულობ ოქროს,
ან დიდი განძი გაქვს ნაპოვნი
და ჩვენ გვიმალავ.
ჩქარა მომეცი. რაც მე წილი
მეკუთვნის შენგან,
თორემ საკუთარ თავს მოკითხე,
რაც მოგიუაო!“
აი, ასეთი ახირებით
და ცრუ საბაბით
რაც კი მეზადა. ყველაფერი
წამართვა ერთად.
და მე, ვინც მუდამ გულუბნობას
მონა ვიყავი,
ბორკილებს მიმცა მონაპოვით
სიავის მქნელმა.
ხუთი წელია, რაც ვაგდივარ
ამ ბნელ საკანში
მოშორებული ოჯახს, ცოლ-შვილს
მოწყვეტილია“.

ბრძანა ბაჰრამმა, პატრიოთ ღა
ღირსებით ისევ
მიეცათ მისთვის, რაც მანამდე
სიკეთე ჰქონდა.

მემაკვსე ჩაბრუნის საჩივარი

როცა მეექვსე დაჩაგრულის
მივიდა რიგი.
გაქოაფთიხლა ბედი თვისი
სიძთეზლის ძილით.
დალოცა შაჰი. გამარჯვება
უსურვა და რქვა:
„ჰოი ბენ, ვისი ხალხს აპურებს
კეთილი გული!
მე ერთი ქურთი მოლაშქრე ვარ,
ლიტონი კაცი,
მამა-პაპისგან ვაქყაცობა
მომდგამს და ეს ვარ.
მე, შენი შონა, ჭარისკაცი
ვიყავი შაჰის
და მამაჩემიც ჭარისკაცი
იყო უბრალო.
შაჰს მსახურობდა მამაჩემი,
რაც კი შეეძლო
და მეც ერთგულად ჩვენს ხელმწიფეს
ვემსახურები.
მეფის შტრებს დავსდევ, ხელთ შიშველი
ხმალი მიპყრია.
ხოლო საკუთარ თავზე ხელი
მაქვს აღებული.
ხელმწიფეს თავის მოწყალებით
და გულუხეობით
მცირე მამული ჰქონდა ჩემთვის
გამწესებული.
იმით ვამქონდა თავი, ცოლ-მეილს
იმით ვარჩენდი
და ვმსახურობდი ხათრიჯამად
მყოფი ხელმწიფეს.

ადგა ვეზირი და წამართვა
მამული იგი.
ძალდატანებას წინ ვერავინ
გადაუდგება.
მე ოჯახი მაქვს, ქონება კი
არ გამაჩნია,
მხოლოდ მამულის შემოსავლით
გაგვექონდა თავი.
ვეზირს ვედრებით ევახელი
რამდენიმეჯერ,
გაელო იქნებ მიწყალება
უფლის სახელით.
გამოეჩინა სამართალი
და ლუკმა-პური
არ წაერთმია ეგებ ჩემი
ცოლ-შვილისათვის.
ანდა იქნება ჩემთვის, როგორც
ჯარისკაცისთვის,
ახალი სარჩო გაეჩინა
სამეფო დივანს.
პასუხად ასე მიღრიალა:
„ჩუმიდ იყავი,
შენ თავს შენ თვითონ მოუარე,
როგორც შეგეძლოს!
მეფეს არა აქვს არავისთან
უთანხმოება,
რომ მასთან ბრძოლა უხდებოდეს
და რისხვის ნთხევა.
არ მოდგომია კარზე მტერი
ჩვენს სახელმწიფოს,
ომი არ არის და მებრძოლიც
რაშე სჭირდება.
წადი და ხელი გამოიღე,
ნუკი ზარმაცობ,
მიწას მოჰკიდე (?) ხელი, ჯანა
მოგვეატება.
თუ ლუკმაპური გივირს, ამბავს
რატომ ტეხ ამდენს,
ცხენ-უნაგირი გაყიდე და
მარაღიო!“

მე ვუბასუხე: „ნუ მიპყალი
სულს სულ სათაელს.
ღმერთი აწამე, შემოხედე
ჩემს გაქორეებს;
ნუ შემაქორეებ კაცს ჩავარდნილს
ამ განსაცდელში,
მიშველე რამე და მიხსენი
ამ ქირისაგან!
შენ ნებიურად გძინავს ღამე
შინ, თბილ ლოგინში.
მე კი ბრძოლებში ხელთ მიშველა
ხმალი მიპყრია.
შენ, მშვილად მყოფი, კალმით მართავ
ჭვეყნის სწამეებს,
მე კი საყალი გზა მახვილით
უნდა გავკაფო,
შენ ლაშქრის სისხლში გაქვს კალამი
ამოვლებული,
მე კი ხმლით შაჰის მტრების სისხლი
უნდა ვანთხოო.
ნუ მართმევე იმას, მეფემ ჩვენმა
რაც მიწყალობა,
თორემ ავდგები და შეეჩივლებ
თვითონ შაჰს-მეთქი!“
გაცოფდა, ჩემგან ეს სიტყვები
რომ მოისმინა.
ხელში სამელნე მოჰყვა და მას
დაავლო ხელი.
ასე მიყვრია: „ჩერჩეტი ხარ
და უმეტარი.
ტყვილა გგონია, თუ გგონია,
რომ შევწინდები.
ხან ლოქნით გინდა დამატებე და
მომიღბო გული,
ხან შემუჭრები და მაშინებ
შაჰის სახელით.
შაჰი ვინ ვდია! შაჰი ტახტზე
მე თვითონ დავსვი.
ამ საბეჭოში ყველაფერი
მე შეკითხება.

არ შემაშანა შაპით! ხელში
მაქვს შაპის სულს.
რასაც ვურბანებ შაპებს, იმას
ვაკეთებინებ.
აქეთ მეხვეწოს შაპი, თავი
რომ გავუყაღრო,
უჩუქოდ ყვაფი დაუჩოკენის
თავს საცოდავსო“.

მითხრა თუ არა ეს, სამელნე
მესროლა თავში.
ცხენიც წამართვა, უნაგირიც
და იარაღიც.
შემდეგ გადაშტა თავს ჯალათ
კარის მსახურებს
მათ კი კანწისკვრით წაშიგდეს წინ
დილეგისაკენ.
უკვე გავიდა ექვსი წელი
და ცოტა მეტიც,
რაც გული ბოლმით მაქვს სავსე და
სული — სევდითო“.

შაპმა ხალათიც უბოძა ქურთს
და იარაღიც.
მარად ცოცხლობდეს ქვეშევრდომის
მოწყალე მეფე!
უხვი წყალობით გაუბრწყინა
წამებულს თვალი,
აჩუქა მიწა ორჯერ მეტი,
აღრე რომ ჰქონდა.

მეშვიდე ნაპოვლის საჩივარი

ახლა მეშვიდე პატარაი
წარუდგა შაპს და
მეფეს მადლობას ნიშნად პავე
აამეტყველა.
უთხრა: „მე ხელი ქვეყანაზე
მაქვს აღებული.
მოხეტიალე განდევილი
ვარ, ღვთისმოსავი.“

თუმც ვიწროდ ვცხოვრობ, სანთელივით
ფართო მაქვს თვალი
და კანდელივით ხალხის თვალწინ
ვიღწვი და ვიწვი.
წაკითხული მაქვს დასასრულის
ჩვენის დაეთარი,
აღებული მაქვს ამქვეყნიურ
საქმეზე ხელი.
ძილი არ არის, ხელმწიფეო,
ჩემთვის და ქამა,
მარხულობაა და სიფხიზლე
ნიშატი ჩემი.

დღისით ვმარხულობ, რადგან არ მაქვს
პური და წყალი,
ღამე კი მღვიძავს, რადგან ქერი
არ გამაჩნია.

ღვთისსიყვარულის ადგილზე ვარ
დაყუდებული
და არ მაქვს ქვეყნად საქმე გარდა
ღვთისმოსაობის.
ვინც უნდა შემხედდეს, შევითვისებ
და შევიყვარებ,
ლოცვა-კურთხევას ვუთვლი ყველას,
ვისაც ვახსენებ.

მეფის ვეზირმა ერთ დღეს კაცი
გამოპიგზავნა.
მიხმო, ვეახელ, „შორს დაჯექო!“ —
თქვა, შორს დავჯექი.

შემომიბღვირა: „არ მომწონხარ
მე შენ. იცოდე.
ახი იქნება, შენზე ჯავრო
რომ ვიყარო!“
მე ვუპასუხე: „რამი მღებ ბრალს,
ბატონო ჩემო?
მიბრძანე და ვით შენ გსურს, ისე
ვიცხოვრებ-მეთქი“.
ამიხსნა საქმე: „მე შიში მაქვს
შენი ლოცვების
(ღმერთს ამის გამო დღე და ღამე
შენს სიკვდილს შევთხოვ),“

რადგან შენ, ჩემზე გულმოსული
და დაბოღმილი,
იმ შენს ლოცვებში, ვიცი, ცუდად
მომიხსენიებ.

ვარ თუ ლოცვად მდგარს უფალმა
შართლა გისმინოს
და მომივიდეს შენი წყევლა
და შეჩვენება.

ამიტომ მიჯობს. სანამ შენი
რისხვის ხანძარი

მე მომაყრიდეს წყევლის შენის
ცეცხლის ნაპერწკლებს,
შეგიკრა ხელი სალოცავად
აღსამართავი,

რათა ვერასდროს ღეთის ვედრება
ვერ შეიძლოო“.

თქვა და შემიკრა ბორკილებით
ხელები მართლაც,
არც ცოდვის შიშმა გაკკრა და არც
მე შევეცოდე.

შვიდი წელია, რაც ვუბნევარ
ამ ვირის წისქვილს,
ფეხები ხუნდში მაქვს გაყრილი,
ხელთ ჭაჭვი მადევს.

...მან მე შემიკრა ხელი, ლოცვა
რომ ვერ შევიძლო,
მე კი მას ხელი სახელოზე
ავალებინე.

თავისი ჭკუით მან ციხეში
მიკრა მე თავი,

ნაცვლად მე თავზე დავაქციე
ციხე-სიმაგრე.

დღეს, როცა ღმერთმა მეუფის ჩვენის
ნახვა მაღირსა,

ველარაფერი ჩამამწარებს
ამ სიხარულსო“.

ბაქრამმა გულში ჩაიხუტა
დევნილი მწირი,
რჭელის მოყვარე, ურწმუნოთა
მმუხერელი ლომი.

თქვა: „რასთ-როშენი თუმცა მართალს
და ნათელს ნიშნავს,
ლეთის შიშის მეტი მას მართალი
არა უთქვამს რა.

მაგრამ წყევლისგან ამნაირად
არ იცავენ თავს
და განდგილებს ვით ყიჩალებს
არ ექცევიან.

ეს უკეთური ამ სიავეს
რომ ჩადიოდა,
კი არ იცოდა. თავის თავს რომ
წყველიდა ამით.

ხოლო ამ წყევლამ მტარვალ ვეზირს
ბოლოს და ბოლოს
მოულო ბოლო და სიცოცხლეც
მოუსწრაფაო“.

რაც კი ნებავდა ვეზირს
სარჩო-საბადებელი,
მეფემ განდგილს შეაძლია:
„შენი იყოსო!“

უარი უთხრა წყალობაზე
განდევალმა შაჰს,
შემოტრიალდა და საჩუქარს
ზურგი აქცია.

„სოფლის ნივთთაგან, — თქვა. — მსურს ვიყო
თავისუფალი.

მე შენ ამაზე უკეთესი
რამ მოგეციო (?“.

დაიწყო როცა უსიმღეროდ
და უსაყრავოდ
და დაიკარგა ისე, კაცს რომ
არ დაუნახავს.

იმ დროს ასეთნი იყვნენ უფლის
გზაზე მავალნი,
ცის თაღს უწვდენდნენ თავს, მიწაზე
ფეხი რომ ედგათ.

დღეს კი ესენი, თუმცა ადამის
მოდგმის არიან,
ავი სულია ყველა, ეშმა
და სათაელი.

დღეს ერთი თასი სუფთა ღვინო
რომ მოიპოვო,
უნდა გასინჯო მჟავე ღვინო
ათასი თასი.
ჰკვიანი კაცი ის კაცია,
ვინც ამ გარეწრებს
არ უხსნის ქისას და ახლოსაც
არ გაიკარებს.

ბაჰრამი ალავს მბარვალ ვეზირს

როდესაც მიწამ მტვრით დათხვრილი
თავისი ნახი
გადააფერთხა თავზე შზეს და
ცა გააშაფა,
მეფე ბაჰრამი ამ მიწურში
გამომწყვდეული
მწუხარებამდე მიეწურა
მწარე საფიქრალს.
იმას არჩევდა გულში. ნეტა
რა უნდა ექნა,
რათა ეკლისგან გამოეხსნა
როგორმე ვარდი.
კარგად ხედავდა ამ საწუთროს
ძალმომრეობას,
საკეთით ჰსურდა მოენახა
გამოსავალი.
როცა ვეზირის მოაგონდა
ნამოქმედარი,
ჩაფიქრდა მეფე, საფეთქელზე
მიიღო ხელი:
არ დააძინა ამ სირცხვილმა
დიდი ხელმწიფე,
გულდამძიმებულს თვალი ერთხელ
არ მოუხუჭავს.
ბოლოს, როდესაც, როგორც იქნა
თიხის ქოთანში
მზის თვალმა თვალად საამური
რეჰანი ჩარგო.

...ბრძანა ბაპრამმა სამსჯავროზე
დაედგათ ტახტი
და აღემართათ სახრჩობელა
ტახტის პირდაპირ.
მოიხმო ხალხი, თავად თავის
ტახტზე დაბრძანდა,
ხმალამოწვდილი ერტყნენ ირგვლივ
ჯაროსკაცები.
დიდებულები რიგისამებრ
მოისხა ახლოს
და გააჰენა ჰუნე გზაზე
მართლმსაჯულების.
მილეთის ხალხმა მოიყარა
მეფის წინ თავი
(ყველა სეირის საყურებლად
იყო მოსული),
გამოათრიეს ის მტარვალი
ვეზირი ციხით
ბორკილგაყრილი და ჯაჭვებით
ხელებშეკრული.
ბრძანა ბაპრამმა და დაჰკიდეს
სახრჩობელაზე.
ასე ქურდივით სამარცხვინოდ
დასაჯეს ბილწი.

და ბრძანა მაშინ ბაპრამ-შაჰმა:
„ის, ვინც თავს გავა,
იცოდეს, ასე დაასრულებს
თავის სიციოცხლეს!
ლალათით არის. კაცს სახელი
რომ უფუჭდება
და ბოროტების დასასრული
სიკვდილი არის.
მტარვალს, რომელიც ამისთანა
საქმეებს ჩადის,
მართლმსაჯულები აი, ასე
მოაკვდინებენ,
ნურავინ ჰგონებს, რომ სამართალს
პატრონი არ ჰყავს,
მოწა დამცველი არის მისი
და ცა — მფარველი —“

ის, ვინც სამკვილად და ურთოთ
სხვას აწმებდა.

იმას ფეხებზე მკიოე ბორკილს
დაადებენო.

ამა! რომ მოიჩინა მართლმსაჯული
ხელმწიფე ქვეყნის.

ქუროთ! ამბავი გაახსენდა
(ძალდა და მტელი).

გამოიბარა ი ჩობანი,
მეფობა მისცა,

გაუტება გულით, ბედს აწია
და გაახარა,

თუ განსაცდელი აქონდა რაჟე
სამეფოს, მოსპო.

ალარ შეეძლო დიდის პატარა
რომ დაეჩაგრა.

არ გაუვლია ბევრ ხახს და მის
საბრძანებელში

რკინა გადიქვა ოქროდ, ფლასი
კი — აბრეშუმად.

აურაცხელი ძოვიდა
ჯარიც და განძიც.

ჯარი ზღუასავით ქეავდა, განძი
მთასავით ეღვა.

ჩინის სახანი ბაჰრამს პატივგას თხოვნს

როდესაც ხაყანს მოუვიდა
მეფის ამბავი,

პირი იბრუნა, შარში თავი
არ გაიხვია.

ბაჰრამ-შაჰს კაცო მოუვზავნა:
„მაპატიეო!“

მისი ნებაროვის გარეშე თითს
ველარ ანძრევდა.

უთვლიდა ბაჰრამს: „კაცი იგი,
ვინც შაჰმა მოკლა,

უბედ ურების თელლი იყო
და შეფოთის ძირი:

გამომიგზავნა მე წერილი
და ჭარით მიხმო,
საკაუუნებელს დაპირებით
გამომიტყუა.
იმდენი ლიქნა და ლაქარდი
ვაპოყენა.
შაცდუნა ბოლ-ის გულუბრყვილო
და მიმნლო კაცი.
მწერდა: „ქანები ოქროებით
გვქვეს დატენილი,
გზა გახსნილი მაქვს, ნუ აყოვნებ.
ჩქარა წამოდი!
მეფე ლოთი გეყავს, სულ მთვრალია
და ვალეშილი,
პირში შეისხას წყალო, ისიც
არ შეუძლია,
მე მზად ვარ შენთან სამეგობროდ.
ჩვენს წინააღმდეგ
ხმალი იშიშვლე და მე კაცი
დანარჩენიო!“
ამასობაში მოვივიდა
შენი ამბები.
ვეზირის ცნობას რომელიც არ
ეთანხმებოდა:
შაჰი ომის და მშვიდობის დროს
ისე იქცევა,
როგორც მას მართებს ზა ვთა საქმეს
ეფერებაო.
მე, მეფე, ისევ ყურმოჭრილი
მონა ვარ შენი.
აქ ვარ ჩინელი, თორემ შენთან
ჰაბაშელი ვარ.
ჩემი ასული, თუ გასურს, შენი
ხარკა იქნება,
ხოლო გვარგვინი ჩემი ფერხთა
შენთა მტკერიო“.

ის წერილები, ქვეგამხედვარ
და ვერაგ ვეზირს
რომ მიეწერა ჩუმად ჩინის
ხაყანასათვის,

დახვია მეტემ ჩინეთისაჲ,
შეირიკს ვადასკა
და ვაუგზაენა ბაჰრამი თავის
წერილთან ერთად.
შაჰმა ვეზირის წერილები
რომ წაიკითხა,
ისე გაფიცნდა, დაეშვავსა
წამახულ კალამს.
მადლობა უძღვნა ღმერთს, ვეზირი
რომ მოაშორა
და იხსნა მისი სახელმწიფო
განსაცდელისგან.

როდესაც ბაჰრამ-შაჰის თვალში
სიმართლის ხატმა
დაისადგურა ასე მშვიდად
და ასე მკვიდრად,
სიკეთით თვისით დააჩუყევა
იმგვარად მეფე,
მსხვერპლად შესწირა მას შეიდივე
მზეთუნახაეი.
ამოიძირკვა სხვა წადილი
გულის ძირიდან,
მიენდო მას და ნეტარება
იპოვა სულის.

**ბაჰრამის საფიქრთა დანახული და
მისი განუჩინარებაჲ გაფრთხილებული**

ამ მარგალიტის მძივს ეინც თხზავდა,
იმისმა ლალმა
(რომელმაც მანგით გამოჰქედა
ქვეყნის კუნჭული)
გეითხრა: მას შემდეგ, რაც ბაჰრამ-შაჰს
სასახლემ შეიდმა
შეიდი ზღაპარი უამრო მთვრალს,
ახლა თავისი
თავის გუმბაჰმა. ქვეყნად ყველა
გუმბათს რომ მეტობს,

მას სრწნადი ქვეყნის უსანობის
 ააააა. იმსოა:
 „აა მიწიერთ კერპთ თაყვანის
 საცემი სახლი
 დაადე, თუ გსურს, რომ წარწყმედას
 ვადაურჩეო!“
 დღილი იწყო მაშინ მეფის
 ტენის გუმბათმა
 და შეაქცია ზურგი ზღაპრებს
 და ცრუ ქიშერებს.
 მიუხედა მეფე, რომ სასახლე
 უხენაესი
 ყველა სასახლეს იავარპყოფს
 ამ ქვეყანაზე.
 დაადო ცამდე აზიდული
 შვიდი სასახლე
 და გაემართა მეფე სულ სხვა
 სასახლისაკენ.
 სასახლისაკენ, დაქცევა რომ
 არ ეშუქრება
 და სად მეორედ მოსვლამდე კაცს
 ტბილადაც მიხავს.
 შვიდი მობედი დაიბარა,
 მობედთა შვილი.
 და იმ შვიდ მობედს აჩუქა ის
 შვიდი სასახლე.
 ცეცხლს მისცა ასე შვიდი იგი
 სასახლე მეფემ, —
 ცეცხლის თაყვანისსაცემ სახლად
 გადააქცია.
 როდესაც სამოცს შიალწია
 წელს ბაჰრამ-შაჰმა,
 რაც ია ჰქონდა, უცვეთელად
 ეცვალა მხტოვანს⁹¹.
 გულით და სულით გახდა უფლის
 თაყვანის მცემი,
 ანება თავი თავის თავის
 თაყვანისცემას.
 ერთ დღეს დაადო გვირგვინი და
 სამეფო ტახტი

და გაემართა სანადიროდ
მხლებლებთან ერთად.
მაგრამ შეექმნა ისე საქმე,
რომ მონადირემ
თვითონ იქცია სანადიროდ
თავისი თავი.
მეფის ამაღა დაიფანტა
აქეთ და იქით,
ზოგი ჭეირანს გაეკიდა,
ზოგი კი — კანჯარს.
თუ სხვები კანჯარის მოხელთებას
ცდილობდნენ ველზე,
ბაპრამი საფლავს დაეძებდა
განსასვენებლად.
სხვებმა ნადირის მოინდომეს
იქ ძლევა, მან კი
ძლია ის მანკი, რაც თავიდან
გამოჰყვა მუცლით.
უცბად კანჯარი გამოჩნდა იმ
ველზე შორიდან,
წინ გაურბინა ბაპრამს და გზა
განაგრძო თვისი. .
მიუხედა მეფე, ანგელოზი
იყო ის მხსნელი
და სამოთხისკენ მიუძლოდა
ახლა ხელმწიფეს.
და გამოუდგა ბაპრამ-შაჰიც
კანჯარს მაშინვე, —
ქუსლი ჰკრა ქურანს და კვალდაკვალ
გამოეკიდა.
მისდევდა უკან გამალებულ
ნადირს მხედარი
იმ ტიალ ველზე. ქვა-ღორღებში
და კლდე-ღრეებში.
შესხმული ჰქონდა თითქოს ფროები
ბაპრამის ქურანს,
ორი თანმხლები ყრმა ცხენდაცხენ
უკან მოსდევდა.
იმ უდაბნოში იყო ერთი
გამოქვაბული,

საყინულე ჭას ზაფხულში რომ
სჯობდა, ისეთი.
იმ ქებას ქასავეით ღრმა და ფართო
ნაპრალი პქონდა,
ისეთი, შიგ რომ კაცის შვილი
ვერ ჩააღწევდა.
კანჯარი ჯიქურ გადაფრინდა
სწორედ იმ ქებაში,
ბაპრამიც მიჰყვა, როგორც ლომი
გულუშიშარი,
უქირო წრამში გადაუშვა
ბაპრამმაც ცხენი
და ქებას საჩუქრად უძღვნა განძი
ქაიხოსროვის.
გამოქვებული გახდა შაპის
მეხვაშიადე, —
მან სატრფოს მსგავსად ჩაიხუტა
ბაპრამი გულში.

უზბეკური ღივჩაგურა

ერკინ აჯამოვი
თანამედროვე უზბეკი მწერალი

ზ ლ უ რ ბ ლ ი

მოთხრობა ჩემს „ლარიბ“ პაპაზე,
უღარდელ ბავშვობაზე და ხატურა კატაზე.

— აცხა, შე ამოსაგდებო ჭრელო კატავ!..

როგორც კი თვალები გაუახილე და ძილიდან გამოვერკვიე, მაშინვე ზღურბლს იქით, აივნის კუთხეში, ორი ნესვი შევნიშნე. სული შემეხუთა. სასთუმალთან დედა მეჭდა და ხალათს ალიანდაგებდა.

— პაპაჩემი? — გულისფანქალით შევეკითხე.

— ჰო, შვილო, პაპაშენი. შემეცოდე, ვერ გაგაღვიძე. არც თვითონ მომცა ნება, აქ არა ხართ. კაცო, კიდევ მოვალ. ახლა მაინც არა მცალია, ქარიშთან მივდივარ, უნდა მივხედო, კედელი აქვს შესაღესიო, — შითხრა და ოხვრა-ხენეშით წავიდა. ეჰ, საცოდავი მამაჩემი! — ამოიკენესა დედამ, — ფეხებს ძლივს დაათრევს ბერიკაცი და ამ სიშორეს ჩამოვიდა. მოენატრე, შვილო, შენს სანახავად ჩამოვიდა. შენ კი...

— ჩვენ კი...

ქვეყანა უნდა დაიქცეს, რომ წელიწადში ერთხელ მაინც ვესტუმროთ ჩვენს მშობლიურს სოფელს. ფიქრები მომეძალა. ოთხმოცდაათ წელს გადაცილებული პაპაჩემი შორს, ძალიან შორს ცხოვრობს. იქით წასვლა არც ისე იოლი საქმეა. ახლა, ალბათ, შაქალათიც აღარ ექნება, სამაგიეროდ ჰყავს ერთი ნებიერი კატა, რომელიც მძულს და თანაც მეშინია მისა.

უცხო მხარეში გადახვეწილ ჩემს შვილოშვილს -- ასე, დღეში ხუთ-ჯერ, ყოველი ნამაზის წინ იწყებდა ხოლმე პაპაჩემი ლოცვას: სანთელივით მიმჭრალი ერთი პაპალა დაგრჩენია, ბიჭო! არც კი გონდა სოფელში ჩამოხვიდე. ჩვენ აღარც „შაქალათი“ გვაქვს. არა? ღარიბები ვართ, არა? გგონია, შენმა „შაქალათ“ ბებომ ყველაფერი თან წაიღო? კარგი. შეილო, კარგი. სადაცა ხარ, იქ იყავი დღეგრძელი და ბედნიერი. მე კი ლოცვის მეტი აღარაფერი დამრჩენია. ეჰ, შენ კარგად მყავდე, გენაცვალოს პაპა, და ვილოცებ. სულ შენთვის ვილოცებ. ისევ გეშინია, ბიჭო, კატისა? აღარა გვყავს ის წყეული. საყვარელი შვილიშვილი გამიბრახა და აბა, შინ გაგაჩერებდი?! სულ გავაგდე სახლიდან, მამ!

ბებიაჩემი ძალიან მიყვარდა, ისიც ცივ ნიაფს არ მაქარებდა.

— ენაცვალოს ბებო ჩემს ბიჭსა, გაიზრდება და დიდი კაცი დადგება. — ხმაშალა ოცნებობდა მოხუცი და თან შოკოლადს მაჩეჩებდა.

— ჩემს „შაქალათ“ ბებოს ვენაცვალე, მისი დაუვიწყარი ხმის ჭირიმე, — ისევ ფიქრებს მივეცი თავი.

გავიდა თხუთმეტოდე წელი, რაც ბებიაჩემი უეცრად გარდაიცვალა. მას მერე იქით აღარც გაჩხედავს...

ერთხანს მე და დედა პაპასთან სოფელში ვცხოვრობდით. ჯერ დედაჩემის საფლავი არ გაციებულა. სად წავიდეო, — მოთქვამდა ხოლმე დედა და გულში მიკრავდა. მეც გული ფოთოლივით მიკანკალებდა. ერთ საღამოსაც პაპამ ახალი მაკსიები ჩაიცვა და საღაღაც წავიდა.

— შეხე, შეხე. პაპაშენი პატარძლის სახლისაკენ გაეშურა, — ჩამესმა ყურში დედის გაბოროტებული ხმა. არ ვიცი, მაშინ დედაჩემი მართალი იყო თუ არა, მაგრამ გავიდა სულ რაღაც სამი თუ ოთხი თვე და პაპაჩემის სახლში ერთი დუღლუნა დედაბერი გამოჩნდა.

— დღიდან მე შენი ბებია ვიქნები, შვილო, — მითხრა ქალმა ეროსელაც.

— ჩემი ბებია არა ხართ. თქვენ დუღლუნებთ. — მოვიღღუშე და ხელიდან გაუქსლტდი.

დედა კარგა ხანს ებუზღუნებოდა პაპაჩემის, გავიდა დრო და ისიც შოლბა.

— ეს რა ჩაიდინა საცოდავმა ამ სიბერეში?! მე და დედაშენი ცივ ნიაფს არ მივაქარებდით, რიგ-რიგობით მასთან ვიქნებოდით. რა ექნა, ამ ობლებს რაღა ეშველებათ, ჯერ პატარები არიან. ეჰ, სიბერემდე სიქანღეო, — ბოლოს ესლა თქვა და სხვა გამოსაჯავალი რომ ვერ ნახა, გაჩუმდა.

პაპაჩემის სახლში დუღლუნა დედაბერთან ერთად ბოროტვალება ჭრელი კატაც გაჩნდა. კატა ნებივრად დაიარებოდა პაპაჩემის ოჯახში. დღედაღამ ამ საძაგელ კატაზე ვფიქრობდი, შეშინოდა დ. გაუფრბოდა.

დედაბერი კი მუდამ ეფერებოდა, ხელიდან არ უშვებდა. ცალკე დედაჩემი თავისთვის ბუზღუნებდა.

— ჩემმა მზემ, თვალებსაც მოუსურმავს ალბაო?!

კატა ყველგან თვალეში მეჩხირებოდა. პაპასთან მივირბენდი თუ ქურთაჩაზე ავძვრებოდი, სითბოსაგან მოთენთილი კატა ოკალების ბრილიანტით შემომხედავდა და ამოიკნაელებდა ხოლმე — მიაუ. ჰაჰის მადაც დამეკარგა. ყურებში მხოლოდ ამზარზენი ჩხავილი შესმოდა. ამას ისიც დაემატა, რომ, როგორც კი ჩამოეჯდებოდი საღმე, ბიძაჩემი ქარიში მომეპარებოდა ხოლმე და კატასავით წამოიკნაელებდა — მიაუუ. მე შინისაგან ფერი მიმდიოდა და გულგახეთქილი ლობე-ყორეს ვაწყებოდი. პაპაჩემი კი უქნიდან ხარხარით მომძახოდა, არიქა, თავს უშველე, კატა შოვიდაო. ეს სიცილ-ხარხარი უფრო მახელებდა, მწყინდა. პაპაჩე გული ავიყარე. ქარიშს კი საეროოდ ველარ ვიტანდი, დავინახავდი თუ არა, მაშინვე ის წყეული კატა მახსენდებოდა. ასე გადაეთარა ნისლი ჩემს უღარდელ ბავშვობას. მე და დედაჩემს ერთადერთი გამოსაჯალია დაგვრჩენოდა — პაპას სახლიდან წავსულიყავით. ამას შემდეგ სხვა მიზეზებიც დაემატა და აი, უკვე თხუთმეტი წელი გახდა, რაც ჩვენს სოფელში ფეხი არ ჩამიდგამს.

... ეეჰ, კატაე. შე ამოსაგდებო. კრელო კატაე!..

წელს, იენისის ერთ კვირადღეს, უცერად კარებზე ზარის გაუბედავი წკარუნი მომესმა. ორი აყლაყულა ბიჭი კარებს აკვროდა და შეცბუნებული აქეთ-იქით იყურებოდა. თავში გამიელვავა, ალბათ ბიჭებმა ხუმრობით ზარი დარეკეს და გაქცევა ველარ მოასწრეს-მეთქი. ცოტა შეეყოვნედი, მომეჩვენა, რომ ერთმა მათგანმა საოცრად თბილად შემომხედა. დიდხანს ვაკვირდებოდი, მაგრამ ვერც ერთი ვერ ვიცანი. გულს ბაგაბუვი გაუღიოდა.

— ღმერთო ჩემო, ეს ბიჭი ხომ სოფელში მინახავს!

შეეცბი. შერე გონს მოვედი, ყმაწვილები შინ შევიპატიე. ამ დროს ოთახში ჩემი პატარა გოგონაც შემოეარდა. მოულოდნელად სტუმრებმა ბავშვს ფული მიაჩეჩეს. ჩემი გაოცებული მხერა შეამჩნიეს და ღიმილით თავის მართლება დაიწყეს, არ გეწყინოთ, ეს ისე — საჩუქრად. პირდაპირ მატარებლიდან მოვდივართ. მაღაზიებში შესევენება იყო. ხელცარიელნი მოვედითო.

ცოლს გადავხედე. თავი ჩაელუნა, იღიმებოდა. ახალგაზრდებმა ჩვეულებისამებრ ძოგვიკითხეს. სტუმრებს აიენისაკენ გავუძეხი, მაგიდასთან მივიპატიე.

განცვიფრებულმა დავიწყე: — ტაშკენტში ძალიან ცხელა, არა?

ვწვალობდი, მინდოდა აღმედგინა მოსულთა ვინაობა, თან მეშინოდა. არ მიხვედრილიყვნენ, რომ ვერ ვიცანი. როგორც იქნა ერთ-ერთმა ხმა ამოიღო:

— გახსოვთ, ნაბი აქითან ერთად კაკლობანას რომ თამაშობდით? ისიც თუ გახსოვთ, როცა წააგებდით, ტირილით და აყალმაყალს ტუხდით. — ცოტა შეყოვნდა. ოპოო, რა შინაურულად იქცევა ეს სოფლელი ბიჭი! — გამიელვა თავში, ერთი ამას დამიხედეთ, ჩემი წაგებაც კი ახსოვს! ნაბი!.. ჰო, ნაბი!.. როგორც იქნა, გამახსენდა. ერთი დიდცხვირა სუსტი ბიჭი იყო. ისეთი გამსდარი, რომ გეგონებოდათ, საცაა ძვლები გადაუტყდებო. ნეტავი ჩემი რა ნათესავია? მაინც ვერ აღვიდგინე. ზოლოსდამოლოს, ახლა ამას არავითარი აზრიც არა აქვს. ამასობაში ჩემმა ნათესავმა დინჯად დაიწყო:

— ეეჰ, ასე არ ვარგა, ჩემო ძმავ, ზოგჯერ სოფელშიაც უნდა ჩამოსულიყნოთ, ნუთუ იქაურობა არ გეჩატრებათ? თქვენი ბუდე, ხალხი, ნათესაობა?! დაბრუნებას ხომ არ აპირებთ? კარგი კი იქნებოდა! თქვენისთანა კაცისათვის საქმის მეტი რა მოიძებნება! უშალლესიც დაგიმთავრებიათ. ისე, ჩვენ, უსწავლულებსაც არა გვიშავს რა, იმ ჩვენს სოფელში. ამას წინათ „ვიგული“ გამოვიყვანე, ცოტა ნაბიც წამეხმარა და... ორიოდ ცხვარიც გამაჩნია. ჰო, მართლა, თქვენთან მოპატიუდ მოვედი, პაპათქვენი ვაჟს აქორწინებს, აი, ქარიშხლის! თქვენთანაც ამიტომ გამოგვზავნა. შეატყობინე. უსათუოდ ჩამობრძანდენო...

ესე იგი, ბიძაჩემი ქარიშხვი ცოლს ირთავს, სწორედ ის ქარიშხვი, რომელიც კატით მაშინებდა. გამეცინა.

— ვეცლები ჩამოვიდე, დღეს კი ჩემი სტუმრები ხართ. ვერსადაც ვერ წახვალთ, აქ დარჩებით!

— გმადლობთ, მეგრამ სხვა გადაუდებელი საქმეებიც გვაქვს, — წამოიწყო ისევ იმ ყმაწვილმა და თავის თანამგზავრსაც რალაცა ანიშნა, — დიახ, აუცილებელი საქმეებია.

ვერანაირად ვერ დავითანხმე, რომ დარჩენილიყვნენ. სიხარულით აღარ ვიყავი. მეორე ოთახში გავედი და ცოლს გავძახე:

— ქალო, გადმოიღე ის ლამაზი ცხვირსახოცები, მოსკოვიდან რომ ჩამოვიტანე!

— რად გინდა? — გაუკვირდა ცოლს.

— რით ვერ გაიგე, ქორწილში დაგვპატყეს, მოპატყეები მოვიდნენ! — შეეძახე და უფრო მეტად გადავირე ქალი. ამასობაში სტუმრებმა ცხვირსახოცებს თვალი მოჰკრეს, დაიპორცხვეს. შემდეგ კი, ჩვეულები-სამებრ, სახეზე მოისიეს და ჭიბეში ჩაიდეს. დაღონებულმა გავაცილე სტუმრები. თვალწინ პაპაჩემი მედგა.

ერთ დღესაც, სისხამ დილით გამომეღვიძა. უეცრად თავში გამიელვა:

„მოპატიყეებმა ხომ გუშინდელი დღე დაგვითქვეს, როგორ გადამავიწყდა! ქორწილიც ხომ გუშინ იყო!“ — შემფოთებული წამოვხტი, ცოლმა ერთი კი შემომხედა, მერე რალაც გაახსენდა და გადაიხარხარა.

— ჰა, ჰა, ჰა, ცხვირსახოცები ხომ აჩუქე!

ისევე ფიქრების ბადეში გავეხლართე: ბერიკაცმა თავისი მოხეტიალე შევილოშვილი როდი დაიღიწყა, ამ სიშორეს მოპატიულებიც კი გამოუვ-
ზავნა, საბრალო პაპაჩემი!

— ალექი, ქალო, წაყიდეთ!

— საღ, პაპაშენთან? ვაიმე, მართალს ამბობ?!

— ჰო, დიას! ქარიშხლის უნდა მიეულოცო.

— ჩხირი კედელს! — მომესმა დედაჩემის ხმა. ქალს სინარულით
ნემსი გაუშეშდა, შერე ცოტა ხანს შეეკვნა და „ჩხირი კედელსო“ —
აწოიკენესა.

პაპაჩემის სახლ-კარი სოფლის განაპირას, მდინარე შურსოის ახლოს
მდებარეობს, იმ შურსოის ნაპირზე, სადაც ბავშვობა გამიტარებია, სა-
დაც არაერთხელ ჩილიკაჭოხი მითამაშია.

აი, ეს ჩვენი ეზო, ეს დიდი ძირ-ტოტიანი თუთის ხეც. აგერ დაქანე-
ბაზე ფშატრსა და ატმის ხეებიც გამოჩნდნენ. ესეც ალბათ ქარიშის მან-
ქანაა — გვერდზე ჩაუტარე და რკინის ქიშკარი შევადრე. სახლი, რომელ-
შიაც პაპაჩემი და დედულსა დედამბერი ცხოვრობდნენ, ოდნავ განზე
დარჩენილიყო; ის ძველი ეზო მთლიანად ერთ დიდ შემოღობილ ეზოში
მოქცეულიყო, შუაში თუნუქ-სასახურავიანი სასახლე აღმართულიყო.
კბეებზე თავიდან ფეხებამდე ალისფერ სამოსელში შორთული პატარ-
ძალი ჩამოდიოდა. მსურა ვერ მოვაცილე. შემოვტრიალდი და ისევე ჩვენი
სახლისავე გავეშურე.

— პაპა, პაპა, იქით გაიხედეთ! — ერთი წამოიკივლა პატარძალმა,
თავსაფრის ბოლო სახეზე წამოიფარა და სახლში შევიარდა.

დიახ, ბიკოლანემი გახლდათ, ქარიშის ცოლი. სასაცილოა, ქარიში
ჩემსე უმცროსია, რას იზამ, ბიძაა.

ეზოში ერთი აურზაური ატყდა. პაპაჩემს ქარიშის ხალათი მოესხა
და ჩემკენ გაიორბოდა. დედაბერიც ფეხდაფეხ მოჰყვებოდა. ახალი შე-
ნობის მხრიდან ჩემკენ ქარიშა მოიჩქაროდა და თან შარვალს ისწორებ-
და. ქალმა შვერდზე მიმოკრა და დუღულენით ჩემი ცოლშვილი მოიკითხა:

— ისინი რატომ არ წამოიყვანე, შვილო! — წყენით მიიხრა.

პაპაჩემს ჩავეხუტე. განიერ ბეჭებზე ხელი მოვხვიე და მის აშოლტილ
ტანს ერთხანს ავეკარი. თავს ძლივს ვიკაეუპდი, რომ არ ავტირებულ-
ყავ. პაპამ ქარიშს გასძახა:

— ერთი, ამ ბიჭს „შაქალათი“ გამოუტანე, პატარძალს კი უთხარი,
ლაზათიანად მოიროს!

— შამავ. თქვენი შევილოშვილი ჩამობრძანდა, ჩხირი უნდა გავტეხოთ.
ჩხირი! — საყვარულით შესძახა ქარიშმა და ისე გადამხვია. რომ წყ-
ნებმა ლაწალუწი ატეხეს.

— ჩხირს კი არა, შვილო, ხეს გავჩეხავ! — სინარულით აღარ იყო
მოხუცი.

ფშატის ქვეშ, — სუფაზე, ცალკე სუყრა გამართეს. მრგვალი დას-
თარსანი დაედგათ. გაქცეული პატარძალიც გამოჩნდა, მოგვიახლოვდა
და მორცხვად მომესალმა. დედაჩემის არჩეული საჩუქარი გაეუწოდე.
პაპამ ქალაქელი რძალი და შვილიშვილი მოიკითხა.

— შეილო, ერთი ისინიც მომგვარე! — მერე ვვერდით მომიჯდა და
ყურადღებით შემათვალისწინა:

— თმები, ნახეთ. ხალხო, თმები! ბიჭო, შენ კი გენაცვალე. შენა
ახლა რაღა მომკლავს, ბიჭო! შენ ჩამოსვლას ველირსე და... უყვდავი ვარ,
ჩაშა!

— მიმსახურეთ, პაპავე!

— ერიპაა, ეს რა მესმის?! ბიჭო, ქარიმ! თოხი გამოუტანე ბიჭსა,
თოხი! პა-პა-პა! ერთი ამას დამიხედეთ, მიმსახურეთ!

— აი, თურმე რისთვის ჩამოსულა! — მორთო სიცილი ქარიმმაც.
მერე ერთბაშად ბალისაყენ გაემართა და თვალის დახამხამებაზე ისევ
გამოჩნდა, თან ცხვარს მოათრევდა. როგორც კი სუფრას მოუახლოვდა.
პაპაჩემს შეხედა:

— დავიწყოთ?

— მოიცა, ქარიმ, მოიცა! მე თვითონ! ჩემი ხელით დაკლული ცხვრის
ხორცი უნდა იგემოს ბიჭმა! ასე არ არის, პატონო ჩემო?!

დაბნეული და შეცბუნებული მხოლოდ თავს ვიქნევედი. ამასობაში
მამა-შვილმა ცხვარი განზე გაიყვანეს.

პაპა მყისვე მორჩა საქმეს.

— შეხე. პაპაშენი ჭერ კიდევ ჩვენა გვჯობია, — თვალი ჩამიკრა
ქარიმმა.

— სანამ ყაურმას მოხარშავენ, მოღით, თითო გადავკრათ, — შემო-
გვთავაზა ბიძაჩემმა.

— შეილო, ერთი ეგ ფილა მეც მომაწოდე, რაღაც ყელი გამიშრა!

— არა, შამაჩემო, შენ ეს გარგებს! თუმცა, ერთი ფილა რას დაგაჯ-
ლებს! მით უმეტეს, შვილიშვილი გესტუმრა. მიირთვი, მამავ! ჩვენ ვი-
თომ ვერც კი ვხედავთ! — ჩაისითხითა ქარიმმა.

პაპაჩემსაც ჩაეცინა, მეც იმ ხუთი მელოტი ძმის ამბავი არ გადამხდეს
თავსაო. ამასობაში ყაურმაც შემოიტანეს. ქარიმმა გადმომხედა და სი-
ცილით „შიაუ“ დაძახა.

— აცხა, შე სასიკვდილევ. ნუ აშინებ ჩემს ბიჭსა. — გაუჭაერდა პაპა.
დედაბერმაც რაღაცა წაიდუღლუნა. ყველას გაგვეცინა. საუზმის
შემდეგ მე და ქარიმმა ბაღში გავისეირნეთ. მოპირდაპირე ეზოში თელ-
ფაქიან კაცს მოვეჯარი თვალი. მეცნო:

— ქარიმ, ის კაცი ვინ არის?

— გახსოვს, ხუთი მელოტი ძმა რომ იყო... ეგ უფროსია. ყვითელი
„ეჩიგულიც“ მაგისია, სულ ახლახან იყიდა.

— გამახსენდა, როგორ არა, გამახსენდა. ქუჩასაც კი. სადაც ძმები ცხოვრობდნენ, „ხუთი მელოტის“ ქუჩას ვეძახდით. საღამოობით ხუთივე ძმა — აპმადქალი, რაპმათქალი, სამადქალი. ნორმათქალი და იორმათქალი რიგ-რიგობით თვრებოდნენ და ისეთ აყალმაყალს ტეხდნენ, რომ ჩვენ, ბავშვები, ხეზე ავდიოდით და სულგანაბულნი სეირს ვუყურებდით. ამ სანახაობას კინოს ვეძახდით, სახელიც კი შევარქვით — „ხუთ-მელოტფილმი“.

— ახლა თუ კიდევ გადის ის ფილმი?

— არა, ახლა... სამაღი წავიდა და ყველა დაშოშმინდა.

— სად წავიდა?

— კაციშვილმა არ იცის მისი ასავალ-დასავალი, დიდი ხანია უკვე. ერთი ასეთი ჩხუბის შემდეგ გავიდა სახლიდან და უკვლოდ გაქრა. მას შემდეგ მამამისი ლოგინად ჩავარდა.

— ნეტავი რა აჩხუბებდათ? ქონება ვერ გაიყვეს?

— არა, კაცო, ისე, ალბათ გველობით მოსდიოდათ. თან სასმელიც არ ასვენებდათ. — ჩაფიქრდა ქარიმი.

— შინ შევბრუნდეთ! — ვთხოვე ქარიმს.

ეზოში, სუფრასთან, პაპაჩემი აღარ ჩანდა. მოვიციოხე.

— ალბათ კოჭლ ფარმონთან გადავიდა. — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა დედაბერმა. უიმისოდ პირში ლუქმას არ იღებს, ხომ იცო, შვილო, ძველი მეგობრები არიან!

ქარიმი ბოსელში გავიდა, საქონლისათვის უნდა მიეხედა. მე უნიჭურად დაბალი კარისაკენ გავემართე, იმ კარისაკენ, რომელიც ბაღში გადიოდა. აი, ჩემი კომშის ხეები, ფშატის ხეც. აქ არიან. აქ ხართუთას-თანაც იყო ერთი კარი, საიდანაც პარასკევობით კარაქის შესადღვევად გადიოდნენ.

ფიქრებში წავედი... კარში თმაგაწეწილი ცქრიალა გოგო გამოჩნდა.

— ქალო, ხათჩია! ეს შენი გოგო ჩემს შვილიშვილს შევრთოო, აი, ამ ლამაზ ბიჭსა!

— კარგი, კარგი, ოი ოფა, თქვენს შვილიშვილზე უკეთეს სიძეს ვის ვინატრებ?! — შეხშიანა ბებიას ხათიჯა დეიდა.

— არა, არა, თქვენს ქალიშვილს მე არ შევირთავ! — შეეძახე ხათიჯა დეიდას და გავიქეცი.

ის თმაგაწეწილი პატარა გოგო გაიზარდა. მოუარის სადარი ქალი დადგა, მაგრამ, ბებო, შენ აღარ იყავი და პირობაც გადაავიწყდათ... ასეთი ყოფილა, ჩემო ბებო, ცხოვრება... იქვე, ზღურბლზე ჩამოვჯექი. უეცრად ისევ ის საზიზღარი ბორტთვალევა კატა მომელანდა. დმერთო, ნუ მოუშვეს ჩემთან ახლოს — შევევედრე უფალს.

გვრდიდან სინათლე მოეფრქვია ეზო-ყურეს. სიბნელეში ორივე ზელით ჯონს დაყრდნობილი და თავდახრილი პაპაჩემი მძიმედ მოაბიჯებდა.

— პაპა, შენა ხარ?

— ჰო, შეილო! შენ აქ რა გინდა? ვერ ვიციანი, ეს. რა ვქნა. თვალთ დამაკლდა. აქ რას აკეთებ, ბიჭო?

— თქვენ საიდან მოპრძანდებით, პაპავ?

— სასაფლაოდან!

— სასაფლაოდან?!

— ჰო, ბებიაშენთან ვიყავი. შენი ჩამოსვლა ვახარე, შეილო. რაც შენ აქედან წახვედი, ჩვენს ბიჭს ზღურბლზე ფეხიც არ დაუდგამს-მეტქი. დღეს კი დაგვიბრუნდა ბიჭი, დაგვიბრუნდა. ბებიაშენის სულის კენესა მომესმა, შეილო. მისი სულის ჭირიმე!

ყელში რაღაცა მომაწვა, თავს ძლივს ვაკავებდი, რომ არ აეტრიებულეყავ.

— ადუ, შეალო, აქ ნუ ზიხარ. ზღურბლზე ჯდომა კარგის მომტანი არ არის.

ჩუმად, ისე. რომ პაპას არ შეემჩნია, ცრემლები მოვიწმინდე. ირგვლივ ველარაფერს ვხედავდი. მართალია, პაპაჩემის ეზო-ყურე ჩემთვის დიდი ხნის მიგდებულ. ცალკე რაღაც სხეულად ქცეულიყო, მაგრამ იქ, შორეულ ქალაქშიაც არ მასვენებდა, მიყიოდა. ირგვლივ სურმის ფერი ბატონობდა.

ჩაქუფრულ ცას შევხედე და მალულად თვალები მოვიწმინდე.

აცხა, შე ამოსაგდებო, კრელო კატავ!

კ მ ე ნ ტ ა რ ე ბ ი *

ეს ძველი სხვადასხვა ხასიათის ცნობების შემცველი უნიკალური წყაროა. რიგვედის ჩვენებათა გარეშე წარმოდგენილია არა მარტო ინდური და ინდოევროპული კულტურის, არამედ წინა და მცირე აზიის ცივილიზაციათა ისტორიაც. რიგვედა ერთ-ერთი პირველი ლიტერატურული ნაწარმოებია ძველი ინდოევროპული ტრადიციისა; იგი ნიშნულია ე. წ. იერატიული-საკულტო პოეზიის მაღალი სტილისა, რომლის ხასიათი აგრეთვე ვლინდება პომეროსის პოემებსა და ძველ გერმანიკულ ედაში. ძველი ინდური ენის შესწავლასთან დაკავშირებულია, როგორც ვიციო, ჩამოყალიბება ინდოევროპულ ენათა შედარებითი გრამატიკისა. ხოლო ედუარი მითოლოგიის გათვალისწინებას ფუძემდებლური მნიშვნელობა ჰქონდა შედარებითი მითოლოგიის შექმნისათვის. რიგვედა შეიქმნა არიელების ინდოეთში მოსვლის შემდეგ. არიელები იბრძოდნენ ცხენებშებმული საომარი ეტლებით, მათი მთავარი ღვთაება იყო ომის ღმერთი ინდრა. რიგვედაში ხშირად არის საუბარი არიელთა მკერდასათა დაპყრობაზე, რომელთაც ისინი უწოდებდნენ დაბლებს. უცხვიროებს, უღმერთოებსა და უცნაურ ენაზე მოლაპარაკეთ. არიელების შემოსვლას ინდოეთში ჩვეულებრივ უკავშირებენ მოქენჯოდაროსა და ჰარაპაში აღმოჩენილი ცივილიზაციების დაღუპვას. არიელებმა შეითვისეს მათი მაღალი ცივილიზაციის ზოგი მონაწილე, მათ შორის მითოლოგიური წარმოდგენები, რომლებიც ედებში აისახა. რიგვედა ედათა შორის პირველია, იგი ეყრდნობა ადგილობრივ ტრადიციას, ე. წ. შრუტის („ვაგონილს“), რაც ღვთაებრივი გამოცხადების საშუალებით აღიქმება. ღმერთი ამ ცოდნას იძლევა ჩვენებათა მეოხებით, რომელთა შიღება ნათელხილვით დაჯილდოებულ ღვთიურ ბრძანებას და მომღერალთ, ე. წ. რიშიებს ძალეში. შრუტის ტრადიციას უპირისპირდება ტრადიციის სმარტიცა („გესხენება“, ე. ი. ცოდნა, რომელიც გადაეცემა ხსოვნით და მიეწერება სხვადასხვა ავტორიტეტულ პიროვნებებს). არსებობს ოთხი ვედა: რიგვედა ანუ ლექსთა ვედა, იაჯურვედა ანუ სამსხვერპლო ფორმულათა ვედა, სამვედა — მანგთა ვედა და ათპარავედა — შელოცვა-წყევლათა პაგიური ფორმულების ვედა.

რიგვედაში 1028 ჰიმნია. იგი იყოფა 10 მანდალად ანუ ციკლად. ზუსტი თარიღი ედების კოდიფიკაციისა ცნობილი არ არის. დიდი ხნის განმავლობაში ჰიმნთა გარკვეული ჯგუფები დაკუთვნილი იყო ქურუშთა წრეში მომღერალ მგოსიანთა, ე. წ. რიშითა გვარებში და თანამედროვე თაობაში ზეპირი ვხით გადაეცემოდა. რიგვედას წერილობრივი ტრადიციის არ გააჩნია, ორი ათასი წლის განმავლობაში ეს უზარმაზარი კრებული ვრცელდებოდა ზეპირად, ლექსები დაისწავლებოდნენ აბსოლუტური სიზუსტით, წარმოთქმისა და რიტმის უველა ნიუანსის დაცვით, სწორედ ამის წყალობით არსებობს მხოლოდ ერთი ტექსტი. რომელსაც არა აქვს სხვადასხვა წაკითხვა.

პირველი ცნობა რიგვედის ჩაწერის შესახებ ქაშმირში ეუთენის მე-11 საუკუნის ავტორის აბუ ლ-რეიჰან მუჰამად ბირჰენის, მაგარამ ჩაწერის შემდგომად

* კომენტარები ეკუთვნით მთარგმნელთ.

რიგვედა ზეპირად გადაიკუმოდა. ამის მიზეზი ის არის, რომ ძველ ინდოეთში ლიტერატურა და მეცნიერება პირველ რიგში ბრალმანის სიტყვა და არა ხელნაწერი. ზეენ დროშიც პანდიტები თავის მოწაფეებს რიგვედასა და სხვა წმინდა წიგნებს მხოლოდ ზეპირად ასწავლიან. მრავალი ქურთში მსხვერპლშეწირვის დროს ზუსტად გადმოსცემს რიგვედის ლექსებს ან სხვა ვედებს, თუმც სწირად მათი შინაარსი არ ესმის.

რიგვედის გაცნობას დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული უძველესი კულტურის, რელიგიისა და მითოლოგიის შესასწავლად.

2. ჰიმნი ეძღვნება ინდრას, ღმერთთა მთავარს. ქექა-ქუხილის ღმერთს, რომელიც სამხედრო ძალასაც განასახიერებს და გვევლინება რიგვედის ყველაზე პოპულარულ პერსონაჟად. რიგვედაში მისადმი მიძღვნილია 250 ჰიმნი. ინდრას ხელთ უყურა ქექა-ქუხილის იარაღი — გურზი, რითაც ანადგურებს მრავალრიცხოვან მტრებს დემონებს, რომლებიც განასახიერებენ აუამიანისადმი მტრულად განწყობილ ბუნების ძალებს (მაგ. გულისას) და აგრეთვე არიელთა მტრებს — არაარიელ ტომებს. სომის წყენთა შეზარბოშებული ინდრა სწადის მრავალრიცხოვან საგმირო საქმეებს. მტრუების ქარიშხალია და საავდრო ღრუბლების ღვთაებაც) თანსწრებო. მისი მთავარი გმირობა დემონი ვრიტრას მოკვლა, რომელმაც გადაკეტა მდინარეთა დინება. ინდრას ეს გმირობა კოსმოგონიურ ასნას იღებს. ვრიტრას მოკვლით ინდრამ გადააკეთა მსოფლიო და დაამყარა მასში წესრიგი. ინდრას ეპითეტებია: ბრძენი, უხვი, ვრიტრას მკვლელი, მამაცი და სხვ. მას ეველრებიან გამარჯვებას, დიდებას, ომის მოგებას და ა. შ.

3. ჰიმნი ეძღვნება სურიას, მზის ღმერთს, ღვთაებას, რომელიც რიგვედაში ყველაზე კონკრეტულად განასახიერებს მზეს (შეადარეთ საღერარი, რომელიც აგნის ციურ ფორმას). მას რიგვედაში ათი ჰიმნი ეძღვნება, მაგრამ ყველგან არ ჩანს ნათლად, საქმე მზეს ეხება თუ მის პერსონიფიკაციას ღვთაება სურიას, რომელიც ნაყლებად ანტროპომორფულია. იგი ღმერთთა ყოვლის მხედველი თვალია, პირველ რიგში მტრთა-ჯარუნასი. თავის ნათელს ის ყველას თანაბრად უნაწილებს. სურიას სწივებს წარმოსახევენ შვილი ტაჟის სახით. რომელთაც მისი ეტლი მიჰყავთ. სურია აკავებს ზეცს და იწოდება ბურჯად ზეცისა. იგი დაკავშირებულია ე. წ. მად-ჰეილიდთან, თ-ფლით. შემსაწინააღმდეგო თერაპიასთან; თავისი სხივებით იგი განაუენის სიბრუნესა და სწივლებათ. ხშირად სურია წარმოდგენილია ფრინველის ან მფრინავი ზღარბის სახით.

ჰირითადი ნაწილი ჰიმნისა წარმოადგენს სურიას ქებას (1—10), უკანასკნელი სტროფები კი (11—13) შელოცეა. სადაც მაქვებარნი მას შესთხოვენ გულის სენისა და სივეთლისაგან განკურნებას და მტერთაგან მოუხელთებლობას.

4. ყოველი სურია აგნის მუდმივი ეპითეტია, მაგრამ აქ სურიას მიმართ არის ნაშარი.

5. ვარუდნას თვალი — მზე ვედური მითოლოგიით ვარუნას თვალია, რომლითაც ის განჰქრეტს კაცთა საქმეებს და განსჯის ცოდვით.

6. შეიღოტაჰ — ეტლთა ასულნი, მზის სხივები, რომელთაც სურიას ეტლი მიჰყავთ.

7. ცეცხლის გზებისას — გათენებისას, როცა კერაზე ცეცხლს ანთებენ.

8. მანუს მოდგმა — მანუს, პირველი ადამიანის, შთამომავლობა.

9. უპირველესმა კვლავ მოსულთ შორის — პირველი კონკრეტული მოთები, რომელსაც მიმართავს პოეტი და სუვეთესოდ აცხადებს, ერთმანეთს შეიშველელ ცისკრის ვარსკვლავთა მწყრავში (ინდური მითოლოგიით არსებობს ურუ-მანეთის მორიგეობით მკვლელი მოთებთა წყება).

10. ასუღა ცისა — უმასის მუდმივი ეპითეტია.

- 11 ზროხის გამჩენი — უშასის ეპიტიტი.
- 12 ღროშა ან ალამი — უშასის მუცლით ატარებულ, ედუარი წარმოდგენით, მისი ამოსვლა არის გამოიხსნა მშვენიერი დემონქალის უშასისა, რომელიც შლის თავის დროშას.
- 13 და ამოაგოს წიადი მშობლის — ე. ი. მამა უყენია და დედაშიწის.
- 14 უქმო ასეღი — ვისაც არა ჰყავს დამცველი მამაკეთა შემოტყენისაგან.
- 15 აღისფერი ფურები — შეებმა — მოთების სხივებით ღრუბულითა წივლად შედებდა
- 16 ვიწმულადმი მიძღვნულ ჰიმნებში სიტყვითა თამაშის სახით სმირად მგორდება მისი სახელის თავიღური მარცერი, რომელიც თავისთავად უმისწრის წარმოდგენს. ზენა სამყოფი ან ზენა კეალი, რომელშიც ვიწმუ, ინდრა და სხვა ღმერთები ტყებიან, ბრწყინავს, და ელავს, და მოკლავთათვის მიღწეველია.
- სამი საბერით მადალი ვიწმუს მდინერი ეპითეტია: ისე, როგორც ფართო დამავალი.
- 17 მხეცებ საშიში, მთებში მოსახლე — ეპითეტები, რომლებიც ვიწმუსა და ინდრას მიმართ იხმარება.
- 18 სასატრელი სადგური — იგულისხმება ვიწმუს მესამე საბეგი (პრია პათო).
- 19 მრავალრქიანი უშმაგო სარნი — ვარსკვლავები.
- 20 აღნიშნული ჰიმნი ერთადერთი რიგედაში, რომელიც სპეციალურად მიტრასადმი განკუთვნილი. ჩვეულებრივ მას ვარუნასთან ერთად მიმართავენ. მიტრა ნიშნავს შევობარს, მოყვასს და ედუთინის ედუთი ბანთიონის, კრთვითა ყველაზე სინტერესო პერსონაჟების რიგს. ვარუნასთან ერთად ის განასხვავებს მადიურ-იურადიულ ფუნქციას და მთელს რიგს ჰიმნებში უპირისპირდება მას (კეთილი რაკიანი, ახლოველი — შორეული, დღისეული — ღამისეული, მუსთან დაკავშირებული — მთავრისთან დაკავშირებული, ცეცხლთან დაკავშირებული — წყალთან დაკავშირებული, კოლიქტური — ინდივიდუალური, იურიდიული — მაგიური).
- მიტრას ყველაზე არსებითი დამახასიათებელი ნიშანია ამ ჰიმნში ორჯერ ნახივები მოქმედება მიმართული ხალხის გაერთიანებისადმი და მათი განაწილება სოციალური სტრუქტურის საფუძვლებზე, მისი სივით ხალხის მიმართ, მიტრას სოციალურმა ფუნქციამ აშკარა დადსტურება მიიღო სლავერი თემის აღმნიშვნელ სახელში „მირა“. ჰიმნის ფორმალური თავისებურებებიდან აღინიშნავია მიტრას სახელის გამეორება მადიური მნიშვნელობით, მისი სახელით იწყება ყოველი სტრიქონი პირველი სტროფისა და სხვადასხვა ბრუნვის ფორმით გვხვდება ყველა სტროფში. მას ისე, როგორც მთელ მესამე მ. ნადავს, მიმართენ პოეტ ვიწმამიტრას.
- 21 და სეზღა მიტრას ხეთივე ხალხი — იგულისხმება არიელი ტომები.
- 22 ჰიმნი ეძღვნება ლეოთაგას საეიტრას, რომლის სახელი სიტყვასიტყვით ნიშნავს გ. შინს, დაშლადებულს, საეიტარი აფხის (იხ.) ზეციური ფორმისა. იგი მთლიანად ოქროსია, ბრწყინავს და თავისი კანონით ვანაგებს სამყაროს, ყველა ქმნილება ებრძოლება მის ალთქმას (ე. წ. ვრატას). ის ძალიან ახლოა შშის ლეოთაგა სერასთან, რომელსაც ზოგჯერ ენაცვლება კიდევ. ზოგიერთ ჰიმნში იგი წარმოდგინილია სერას მამადს საეიტარი შშის ცხოველყოფელ ძალას განსახიერებს. ისევე ტრადიციის მიხედვით იგი ამომავალი და ჩამავალი მზეა. საეიტარი ადგილობრივ ინდურ ნიდაგზე აღმოცენებული ლეოთაგაა.
- 23 მჭდარი და მდგარი — ცოცხალი და არაცოცხალი ზღუება.
- 24 ედუარი მითოლოგიის მიხედვით ცა და მიწა თავდაპირველად განუყოფელი იყვნენ. მათი გათიშვა და ცალ-ცალკე განმტკიცება შეეწინააღმდეგა ღმერთებს. ცა და რუნას, ამასთან ზეცა წარმოვედგება როგორც მშრლობით, სოლო მიწა, როგორც

მღვდრობითი საწყისი. მამა ზეცა და დედა მიწა ცოლქმრული წყვილია. რივედამი ხშირად ზეცა წარმოსახულია ხარის ან ულყაის სახით.

გ.ღმერთება მამა ზეცის და დედა მიწის, რომლებიც ყოველი ცოცხალის მშობლებად წარმოადგენიან, განეუფვნენ, ინდოევროპული ერთიანობის ეპოქას, ამახ მოწმობს ლათ. დეუსი პატერ, იუპიტერ და სხვა. მათოლოგური გათიშვა თავდაპირველად შერწყმული ცა და მიწისა მრავალ ტიპოლოგიურ პარალელს ქოვებს ავრეთვე სხვადასხვა მოღვმის ხალხების მითოლოგიურ წარმოდგენებში.

25 ვარუნას წყისით — კოსმოური რიგის (კანონის) მიხედვით, რომლის დამკვიდრებად ვარუნა გვევლინება.

26 რივედის IX მანდალის ჰიმნები ეძღვნება სომა-პავამანას, ღვთაებას, რომლის კულტი ცნობილია ინდო-ირანულ ტრადიციაში და დაკავშირებულია მცენარე სომასთან. ეს მცენარე — დამალი, უცხოელ პლენარი წინააღიერებთ — გაერტილებული იყო მაღალ მთიან რაიონებში, კერძოდ ირანში, ავღანეთსა და ჰიმალაის მთებში.

სომას წვეს სწირავენ მსხვერპლად ღმერთებს. რივედის ჰიმნები, მიძღვნილი სომასადმი, გვიჩვენებს ვარვეულ წარმოდგენას მისი მომზადების რიტუალზე. სომას ღვრთებს აღმობაღსენ წყალში. შემდეგ ვალეიკებულ ღვრთებს ჰყვლედნენ. საწინააღმდეგობა მწერადნენ ცხვრის მატყლის საწურში, შეურევედნენ წყალს, ან უმეტესად რძეს. მაწიას, ან ჭერის საყენს და ასსამუნენ სს კურქელში, სადაც ის უნდა დაჯიუტებულიყო.

მთლი ეს რიტუალი სრულდებოდა ჰიმნების გალობის თანხლებით.

27 ოქროს ცხენება — ინდოას ცნობილი ეპითეტი. მამებო — მიმართვა შინაპრებისადმი.

28 სამი სამყარო — მიწა, ზეცა და ციური სივრცე. საერთოდ, რიცხვი სამი, შეიძლება ერთად, საკრძოვრი რიცხვია ვედებში.

29 იველისხება სომა. სომას ჩშირად ადარებენ ოქროსფერ თუ წითურ ცხენს (სომას წვეცი მოყავისფრო-მოწითალო ფერისაა).

30 იველისხება ის, ვინც სწირავს მსხვერპლს.

31 ორივე ქვეყანა — ცა და მიწა.

32 სომას დმი მიძღვნილი ჰიმნი ავესტის იაშტის რიგით IX ქებაა და სპარსულ ტრადიციაში ცნობილია ჰომიაშტის სახელწოდებით. სახელწოდება ჰომიათი ავესტაში იველისხება მკენარე, რომლისგანაც ინდოელები და ირანელები სწურავენ წვესს სამსხვერპლო სამიელის დასამზადებლად და რაქში და წყალში გახავებულს წერავენ. ამ ქმრთებს, თვით სამიელი და მისი სული პერსონიფიციკრებული და წარმოადგენილი ღვთაების სახით. მოცემულ ჰიმნში წარმოდგენილია გასაუბრება ზარათუშტრასა ვა ღვთაება ჰომას შორის, რომელიც მას გამოეცხადა სამსხვერპლო სამიელის წვრების დროს.

33 ჰიმნი წარმოადგენს ავესტას ძირითადი და თავისი შინაარსით უძველესი ნაწილის იაშტის ერთ-ერთ ქებას, რომელიც ეძღვნება ღვთაების სახით წარმოდგენილ ვარსკვლავს — სირენსს. მისი ძირითადი თემატიკაა წვიმის მოყვანა. იგი ებრძვის და ამარცხებს გვალვის დემონს აპაომას. მოწინააღმდეგეები ერთმანეთს ებრძვიან ცხენების სახით. — ტრისტრია გამოლის თეთრი ოქროსლაგმინი, ცხენის იერით, ხოლო დევი აპაომა — შავი ქეციანი ჭავლაგის სახით. სასტიკი ბრძოლის შემდეგ ტრისტრია იმარცხებს ამერამზადას ლოცვების შედეგად მიხიკებული აალით და ხელს უწყობს სანატრული წვიმის მოსულას.

24 პირველსა და ღამეს — იველისხმაგა ზორბასტრულ კლენარის მწიფიანი თვის პირველი მესამედი (ათლიერი), რომელსაც ტრეპტრია ვაბევის სახით ცხდობდა. ასევე უნდა გავყოთ გამოთქმებში შეიკრ ათ ღამეს და შესამდე ათ ღამეს — ე. ი. მეორე და მესამე ათლიერიშო თვისა.

25 ცრუ ღმერთები — ძე. სპარს. და იკეები. ქვერქეს წარწერაში — აქიმენიდა იმპერიის ტერიტორიაზე არსებული სხვა რელიგიური კულტების და დოკუმენტების საერთო სახელწოდება, რომლებიც ოფიციალური რელიგიის მიმართ გამოცხადებულია წარპართულად და კერპთაყვანისმცემლურად. იგივე ძირი დეკრიფტრში აღნიშნავს ქვეშაობრტ ღმერთს, პირველ რიგში — უედების მრავალრიცხოვან ღმერთებს. ამგვარი ბიპოლარული ომონიშია ახსნება საერთო არული ტრეპტრის ვახყოფთ (ძე. წ-ით II ათასწლ.) და შესაბამისად ინლერი და არახელი რელიგიურ-კულტურული თვალსაზრისების დამარსპირებით. ძველრანული რელიგიის რეფორმატორის ზარათუშტრას ქმნილებებში და იკეები უთანაბრდება ბირბრტ სულეს, დემონებს. საშუალო სპარსულ, ზორბასტრულ თხზულებებში დევეები ბირბრტი აპრიმასის ვაქიჩრლი არიან, ისევე როგორც უკუაფი წმინდა სულეები — ორმუხდისა. შემდგომ, ახალსპარსულ ეპოსში, დევეები ცნობილი არიან როგორც ძლიერი აესულები (შდრ. ქარიული ფოლკლორის დევი).

დასათაურება მთარგმნელისა. ძველი სავლდისხმა იმით, რომ სავმაოდ სრულ წარმოდგენას იძლევა აქიმენიდა რელიგიურ შეხედულებებზე. თუ დარისის წარწერა მოგვიხსრობს უსურპატორების და ურჩი თვითმარქვია მთავრების დამორჩილებაზე, ქვერქეს უკვე სასულწიფო რელიგიის ვანმტრეკებაზე ზრუნავს. ძველის ძირითადი იდეა აქურამახდას ეროსდერო ქვეშაობრტ ღმერთად აღიარება და მრავალეროვანი იმპერიის ტერიტორიაზე არსებული სხვა რელიგიური კულტების, და იკეების უარყოფა. თარგმანის ორგანო, ისევე როგორც აქიმენიდა სხვა ძველსპარსული თხზულებანი, დაწერილია რიტმული პროზით და ავრებელია სწორად გამოკრებული, სტრუქტურულ ვამოთქმებზე. ეს ფრანუები თუ ლექსიერი ერთეულები კონტრასტურად სხვადასხვა სემანტიური ელემენტის შემკველნი არიან და გვეყვინებანი სტრლის თვისებურებს მახასიათებლებად.

26 შანი და სანი — შესი.

27 ტექსტში მოხსენებული გეოგრაფიული სახელები მიუთითებს იმ ქვეყნებზე, რომლებთანაც ირანს მქონდა საეკრო ურთიერთობანი. ფალურ ტექსტში ვავის საერთარი სახელი არ ჩახს, არაბულ ვერსიაში შან მქვია ხვე შარხუ („თავის ვნებათა პატრონი“), ეს არის მოქმედი ვმირის ხასიათის თვისება, რომელიც ღაფასა მეფემ.

ამ ნაწარმებში მოთხრობილი ფაქტები მოქცევის, თავის დაქერის შესახებ და მისთ. დასტურდება სხვა წყაროებითაც.

მოთხრობაში მოცემულია ქალის იდეალური პორტრეტ და მისი მთავარი თვისება — იყის ქმრის შორჩლი. ეს არ არის მხოლოდ ამ ნაწარმოებისთვის დამახასიათებელი და არც მარტოოდენ ამ ყაის შეხედულებების გამომხატველი თვისება. ესაა სასანელთა მთელი საზოგადოების მკაცრი და აუცილებელი პირობა. ქალი ქმრის ერთგულია, მას შორიდებით ექცევა და მას არ აყარებს სიტყვის შებრუნებასაც კი. არდა ურდუმა იმქვეყნად მოვსაურობის დროს გოგობთმ სანსულ ბორბტმოქმედთა ვერდით ნახა ქალები. რომლებიც ქმრებს არ უყერებდნენ და უხეშად მიმართაუდნენ (იხ.: „არმაღანი“, II, გვ. 106—110).

28 იველისხმება არაბულ პოეზიაში ფართოდ გავრცელებული თემა — მომთხარე ტომის შიკრ მიტოვებული ნასხარის გამო ვილდება. აბუ ნუვასი საერთოდ ეროვარი ირანიით უყვრობა ამ თემას.

39. შესაბამისად აქ იყოფა შინაშენება იმასზე, რომ ჰარუნ არ ჩაშიდს ჰყავდა ორი ვაჟი: ალ-ამინი და ალ-მამუნი. სიტყვის ერთი ძირიდან ნაწარმოები ორივე ეს სახელი ნიშნავს: ერთგული, პატიოსანი, სიძულე.
40. ალ-ამინის ერთ-ერთი გეპი. გადმოცემით, სომალდი ძალაან ლამაზი იყო და ღელ-ფინს ჰყავდა.
41. არაბულ პოეზიაში ზადრი მთვარე ლამაზი ქალის სიმბოლოა. მაგრამ აქ იგუ-ლისხმება ალ-ამინი, რომელიც თურქე მეტად ლამაზი იყო და სათუთადაც უწოდდა თავის თავს.
42. პოეტის თქმით, არწივი იმდენად ბოროტი ბუნებისაა, რომ შვილს საკმელს ემა-ლაეს.
43. ალ-ხასიბი არაბულად ნიშნავს: ნაყოფიერი.
44. „მამა გამარჯვებისა“ — ის, ვისაც გამარჯვება ახასიათებს, ვინც მძლეველია. „მ.მ.ა“ (არაბ. აბუ) ამ შემთხვევაში ნიშნავს რაიმე თვისების, ნიშნის მქონეს.
45. მომდევნო ცხრა სტროფში (ბეითში) პოეტი აღწერს თავის მოკვლარობას ბაღდა-დიდან კაიროში (იმდრო-ნდელ ფელსტატში).
46. დიდგში მყოფი პოეტი ქებას უძღვნის ჰარუნ არ-რამიდს, პატიებას და განთავი-სუფლებას თხოვს.
47. ქ. ბასრის უბნები. ალ-მირბალში იმართებოდა ბაზრობა და პოეტთა პაექრობები. ამ თვლსაზრისით იგი ისლამმდელი ქ. უქანის როლს თამაშობდა.
48. არაბულ პოეზიაში მტრედის ღელუნი მტაფორულად გამოხატავს გმინვას, მწუნა-რებას, კავშანს.
49. „უახის ქალიშვილი“ ღვინის მტაფორაა. ღვინის ქურკელს კუპრს ასხამდნენ, ამის გამო საუირო ხდებოდა მისი ვახსნა მახათით.
50. აბუ ნუვასის ეს ვახშაურებული ლექსი დაწერილია იბრაჰიმ ან-ნაზამის პასუხად. იბრაჰიმში, აბუ ნუვასის სიყრმის მეგობარი, მუთაზილიტების (სსკეტური მიმდინა-რების) ერთ-ერთი სექტის მეთაური იყო.
51. ამ დროს ხალხის კარზე ისე მოიკიდა ფეხი მამათმავლობამ, რომ უფლისწულები ქალებს აღარ ეტანებოდნენ. დედოფალმა ხერხს მიმართა: სასახლის ქალებს ვაჟუ-რად ჩააცვა.
52. აქ: მამათმავალი.
53. წყალგარეული ღვინო არაბთა სასიამოვნო სასმელი იყო.
54. ჰარბი განთქმული იყო კარგი ღვინოებით.
55. არაბი კომენტატორების აზრით, ძველი ღვინო მოცულობაში დაკლებულია და და-საღევად საამოა.
56. იგულისხმება აბასიანი ხალიფა მუჰამად ალ-ამინი.
57. ირონიული ქარაგმა ისლამმდელი არაბული პოეზიის კანონიზირებელ თემანზე.
58. არაბულ ლექსს ღვინით ასრულებენ.
59. იგულისხმება რიტუალური განზანაღა ლოცვის წინ.
60. იგულისხმება მუჰამადი. ისლამის რელიგიის დამაარსებელი, რომელიც მექის კუ-რანშიანთა ტომისა იყო.
61. ე. ი. ისლამმდელ პოეტთა მსგავსად არ დავაწყებ ნაბინავარის აღწერას და გო-დებს სატრეოს ნასახლართან (ასეთი იყო ისლამმდელი კასიდის ტრადიციული დასაწყისი).
62. აქ პოეტს ნახმარი აქვს ორმაგი მტაფორა: მარგალიტები არაბულ პოეზიაში ს.ტრეოს ლამაზი კბილების მტაფორაა. კბილებთან კი აქ შედარებულია ბეშტები, რომლებიც წარმოიქმნებიან ღვინის წყალთან გაზავების შედეგად.
63. ეს ლექსი პოეტმა ეძღვნა მომღერალ მონა-ქალს, სახელად ღინანს. რომელიც უყვარდა. პოეტს აგი ზასრაში დაუნახავს სამგლოვიარო პარტესიაში მონა-ღი.

- 64 ნეკლევი მიკნერი — კისი, იგივე მაქნენი, რომელსაც უყვარდა ლეილი. უზრკლი ურვა — ურვა იბნ ჰიზამი, აფრას მიკნერი. ლეილისა და კისის სიყვარულის ღეგნდა დაუდრო საფუძვლად ნიზამი განაქლმა (1141--1209) თავის პოემას „ლეილი და მაქნენს“, რომელსაც უამრავი მიმბაძველი გამოუჩნდა აღმოსავლურ ლიტერატურაში. უზრას ტომის პოეტები ცნობილი იყვნენ უზომო, პლატონური სიყვარულით (მდრ. პ. ჰინეს ლექსი „აზრა“).
- 65 იბნ მუელას აბასიანთა სახალიფოში ვაზირის პოსტი ეკავა 928-930, 932-933 და 934-936 წლებში. სიცოცხლე დაასრულა 940 წ. საპყრობილეში.
- 66 აბუ მუჰამედ იაჰია... აღ-აზდი იყო ათ-თანუხის ერთ-ერთი ინფორმატორი.
- 67 აბუ აჰმად აღ-ფაღლ ამ-შირაზი იყო იბნ მუელას მდივანი. შემდეგ მსახურობდა ხალიფა აღ-მუსთაქფის (944-946) კარზე და წერდა ხალიფას განსაკუთრებულ ბრძანებებს.
- 68 სპარსულ პოეზიაში იემენი მიჩნეული იყო ქვეყნად, სადაც ბედნიერება სუფევდა, ამიტომაც მას იხსენიებდნენ როგორც ბედნიერ იემენს.
- 69 იგულისხმება ასტროლაბინ, შუა საუკუნეებში ციურ სხეულთა განლაგების განმსაზღვრელი იარაღის, ცხრილი.
- 70 პოეტი მხედველობაში აქვთ ჩინეთში (ხოლო ჩინეთი მის წარმოდგენაში შეიცავს დღევანდელი შუა აზიის აღმოსავლურ პროვინციებსაც) დატული ბუდისტური კერბები (ქანდაკებები).
- 71 იგულისხმება ირანელი პოეტი ფირდოუსი (X—XI სს.), რომელმაც თავის „შამსამეში“ პირველად გალექსა ბაჰრამ გურის ამბავი.
- 72 ტრადიციის მიხედვით, მეფე გოშთასბის (ეიშტასპის) მეფობის დროს VII საუკუნეში ჩნდება ზორასტრიული რელიგია, რომელიც ესაყს აქურამზადსა--სინათლისა და სიკეთის მეფეს. „ზენდი“ ამ რელიგიის საღვთო წიგნის „ავესტის“ კომენტარს წარმოადგენდა, უფრო გვიან კი ეს ტერმინი თვითონ „ავესტასთან“ იყო გაიგივებული.
- 73 ლომის ბურჯში მზე ივლისშია.
- 74 ძველი ირანული წარმოდგენით, მთიარის დაბნელება გამოწვეული იყო იმით, რომ მას ნთქავდა ურჩხული. როგორც კომენტატორები აღნიშნავენ, ხალხი ამ დროს ლითონის ტაშტს ურტყამდა ურჩხულის დასაფრთხობად.
- 75 მეტაფორულად თქმულია, რომ ბაჰრამი სილამაზით ჯაბნიდა რუმელებსაც (იხ. რუმი) და ჩინელებსაც.
- 76 ნიზამის ბაჰრამის დროისთვის მიწერილი აქვს გვიანდელი აღმოსავლეთის თურქ მკვრობელთა ჩვევა: სასახლიდან დღე-ღამეში სუოჭერ ბუკის დაკრეუვინება.
- 77 ბაჰრამი ქალს ქათინაურსაც ეუბნება. უკავშირებს რა მას თათარს, სილამაზით განთქმულ მზარეს (აღბათ იმიტომ, რომ იქ ეგულვებოდათ ბუდისტური კერბები) და ნართაულად საყვედურობს კიდევაც, ვიწრო თვალებიდან დიდსაც პატარად ხედავ, ჩემი საგმირო საქმე მცირედ გეჩვენებაო.
- 78 ხარის ზოდიამოში მზე გაზაფხულზე დგას (აპრილ-მაისი).
- 79 იგულისხმება ძველი აღმოსავლური წესი სიკვდილით დასჯისა.
- 80 ირანული მითის მიხედვით, ირანის ტახტის მიმტაცებელს ბუკრასდს (ზააქს) მზრებზე ამოუვიდა ორი გველი. რომელთაც ადამიანის ტვინით კვებავდნენ.
- 81 იგულისხმება ფიზიკური ძილი.
- 82 აღმოსავლური თქმულების მიხედვით, ალექსანდრე მაკედონელი ჩავიდა წყვდიადის საუფლოში უკვდავების წყლის საძებნელად.
- 83 როგორც ნიზამის კომენტატორები აღნიშნავენ, მუსულმანური ქვეყნების ძველი მედიცინის მიხედვით ზაფრანის ქამა იწვევს სიცილს.

- ⁸⁴ აღმოსავლეთში შექმნილი წარმოდგენით, ზესტუნებრივი ძაღვის მქონეთ. გრძელვლით ეცვათ მწვანე საშოსი (მდრ. „ეფთხისტუაოსანში“ ფატმანის გრძელვლი მონა, რომელმაც „მოლი რამე წამოისხა ზედა ტანსა“).
- ⁸⁵ ე. ი. როცა დაღამდა და ცა ვარსკვლავებით მოიქედა.
- ⁸⁶ როცა თეთრ ფერზე შეემა ფერმა გაიშარქვა, ე. ი. როცა დაღამდა.
- ⁸⁷ აღმოსავლეთში სურმა იყო თვალის სამკურნალო საშუალება.
- ⁸⁸ მუსულმანთა უწმინდეს ტაძარში, ქაბაში, ლოცუად მღვარ პირგრომებს ტახზე მოხურული აქვთ თეთრი მოსასხამი, იპრამი.
- ⁸⁹ როცა მზემ, მუშთარმა და ზუალმა შეკრა სამკუთხედი და მზე თევზის ბურჯიდან (22. 11—22. 111) თხის რქის ბურჯში (22. 111—22. 114) გადავიდა. დაღმა ბედნიერების მანუწყებელი გაზაფხული.
- ⁹⁰ დეილაშის (იხ.) მცხოვრებნი გრძელ თმას ატარებდნენ.
- ⁹¹ ივლისსმემოან ირანის მითიური გმირები: უფლისწული სიაუში (იხ.), მეფე ჯამშიდი (იხ.) და ისტორიული პირი, ირანის მეფე დარიოს III კოდომანი (33-330) (იხ.). მათი აღსასრულის ამბავი პოემის გმირს. ეფზარ რასთ-როფშანს, ამავე პოემა. კომენტარების აზრით, საგანგებოდა აქვს დამახინჯებული. მაგრამ ხომ არა გვაქვს აქ საქმე ამ გმირთა ამბების აპოკრიფულ წყაროებთან?
- ⁹² გვირგვინი და ქამარი დიდებულთა და მეფეთა საგანგებო რეგალია იყო.
- ⁹³ ე. ი. როცა გათენდა.
- ⁹⁴ ე. ი. თმა გაუთეთრდა.

ლ ე მ ს ი კ ო ნ ი

ა ბ ა — ლაბადის მსგავსი შავი ტანსაცმელი.

ა გ ნ ი — რივედის პანთონის ერთ-ერთი ცენტრალური ღვთაება, რომელსაც ორასი ჰინი ეძღვნება. იგი ცეცხლის, ოჯახური ცერის, სამსხვერპლო კოცობის ღმერთია. აგნი განეკუთვნება ინდოარახელი ერთიანობის პერიოდს (მისი კულტი დადასტურებულია ავესტაშიც, თუმც იქ ის სხვა სახელით არის ცნობილი). შესაძლებელია, მიჩნეულ იქნეს საერთო ინდოევროპულ კულტადაც. რივედისათვის ყველაზე არაბითია აგნის რიტუალური ასპექტი -- სამსხვერპლო ცეცხლი, რომელშიც ასხურებენ სამსხვერპლო ხასმელს და რომელსაც თავისი ალის ენებით იგი ღმერთებთან შიამქს. აგნის უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა, იყოს შეამაული ღმერთებსა და ადამიანებს შორის, ე. ი. შეასრულოს ღვთაებრივი ქურუმის როლი. მისი მითოლოგიური ასპექტი რიტუალურთან შედარებით სუსტია. რივედის მითოლოგიით იგი თუმც მაწიერი ღვთაებაა, მას მრავალი ჰიპოსტასი აქვს: არის ცეცხლი ზეცაზე (ზუგ), გაიგივებულია სოლარულ ღვთაებებთან: სურიასთან, მირტასთან, ვარუნასთან (იხ.) და სხვ.

ა გ ნ ი დ ჰ ი — ცეცხლის დამნთვი ქურუმი (იხ. აგნა).

ა დ ი მ ი — „ოქროსი ნაყრი დიბა“.

ა დ ი ტ ი — კოსმოგონიასთან დაკავშირებული ქალღმერთი, დედა რიგი ღვთაებების, ე. წ. ადიტიებისა (მირტა, ვარუნა, ბჰაჯა (იხ.) და სხვ.).

ა დ ი ტ ი ა — ადიტის (იხ.) შამამოშავალი, სურია, ვარუნა, მირტა (იხ.) და ზოგიერთი სხვა ღმერთები ადიტის შვილებად ითვლებიან.

ა დ ჰ ვ ა რ ი ე უ — ერთ-ერთი ქურუმი, რომელიც მონაწილეობს სომას (იხ.) მსხვერპლად შეწირვის რიტუალში.

ა თ ვ ი ა — თრაეტონასი (იხ.) მამა („შაპ-ნამეს“ აბთინი).

ა ი ნ უ ბ ა ლ ა — ხევი მღ. ევფრატის გაყოლებით. ზოგი მეცნიერის აზრით -- წყარო სირიის უდაბნოში.

ა ი უ — მითიური პერსონაჟი, ინდრას მომხრე, აიუს შამამოშავალი განსახიერებენ სასიცოცხლო ძალას.

ა კ ა — კაცისადმი თავაზიანი მიმართვის ფორმა.

ა კ ა უ ფ ა კ ა -- („მთიანეთი“) აქემენიანთა იმპერიის ერთ-ერთი პროვინცია.

ა კ რ ა კ უ ფ ი -- სოფელი ბაღდადიდან ოციოდე კილომეტრის დაშორებით.

„ა ლ მ ა ჭ ე ს ტ ი“ — „ალ-მაჯისტი“, კლავდიოს პტოლემეს (II ს) ასტრონომიული ნაშრომი, რომელშიც ავტორმა შეაჯამა მანამდე არსებული ცოდნა ამ დარგში.

ა ლ მ უ დ ა ზ ა ნ ი — მთა სირიაში დამასკოს ახლოს.

ა ლ ფ ა რ ა მ ა — ეგვიპტის ქალაქი სირიის საზღვართან.

ა ლ ლ ე ტ ა — დამასკოს სანახები, მდიდარი თავისი საძოვრებით.

ა ლ ჭ ა ვ ლ ა ნ ი — ალ-ჰავრანის (სირიაშია) ერთ-ერთი მხარე.

ა მ ო ლ ი — ქალაქი ჩრდ. ირანში.

ა ნ ნ უ კ ა ი ბ ი — არაბი კომენტატორების აზრით, ეს უნდა იყოს წყალი (წყარო, ოაზისი) თადმორის გზაზე.

ა ნ ს ა ო ი — („თანაშემწყ“) მუჰამედის მიმდევრებმა შედინაში

ან ყა — ზღაპრული ფრინველი, რომელიც აღმოსავლური თქმულებების მიხედვით ცხოვრობს კავკასიის (ყაფის) მთებში (მდრ. სიმურღრ).

ან შა -- („წილი“, „ხვედრი“) ღმერთი, რომლის ფენქციები საესებით ნათელი არ არის.

აპამ ნაპატ -- („წყალთა პირშმო“) ერთ-ერთი ლეოთაბა.

არანგე — ოლქი ზარაყშანის მიდამოებში (შუა აზიაში).

არღაშირ პაპაკის ძე — ირანის მეფე (180 -- 239), სასანიანთა დინასტიის (226 -- 651) დამაარსებელი.

არეში — ირანელი შიურთა ფალავანი, უბადლო მშველდოსანი.

არეანი — ოლქი ისპანში.

ართა -- („სიმართლე“; „სამართალი“; „კანონი“; „სჯელი“) იხსენიება აქესტაშიც და უპირისპიოდება სიცრუეს (დრაუგას, საშუალო სპარს. დრუგს). ქსერქეს წარწერაში წარმოდგენილია აპურამაზდას თანმხლებ ლეოთაბად: აპურამაზდა გვევლინება ართას დამკველთა მეოხედ-და შეშწენდ. ქართული ძირი სიტყვებში „მართალი“, „სამართლე“, „სამართალი“ სწორედ „ართა“--თან მომდინარეობს.

არიაშანი — სიეთის მომკემი და ქორწინების მფარველი ღმერთი.

არიელი, არიელინი — ინდოელებისა და ირანელების უძველესი საერთო სახელწოდება. ინდოევროპული ხალხების ამ დიდი ჯგუფის განყოფილება ივარაუდება ! I ათასწლეულის შუა წლებისათვის. I ათასწლეულისთვის ინდოელები ჩნდებიან მდ. ინდოს აუზში, ხოლო ირანელები — ირანის ზეგანზე. აქემენიდები თავიანთ წარწერებში ხაზს უსვამენ არიულ წარმოშობას, თავს უწოდებენ არიელს ანუ კეთილშობილს. სახელწოდება ირანი ამ ტერმინიდან მომდინარეობს. იგი შეეკუთვნა ერთ-ერთ ეპოქისა, რომელიც შიანივეს თავის ახალ სამშობლოს მოსულმა ირანელებმა (პარსიანა კეთილშობილ კვეენანა).

არეანგი — იგივე ართანი. მანიქეელთა ფარწერული საკულტო გამოსახულებათა კრებულში, რომელიც, ლეგენდის მიხედვით, ვითომ ამ მოძღვრების დამაარსებელს, მანის (იხ.) უნდა შეეკმნა.

ასაჯი — ბანე ასადი, ერთ-ერთი დიდი არაბული საგვარეულო.

ასიუტი — ქალაქი გეოპტეში.

ასპირიზი — ცისკრის ვარსკვლავი.

აქამანიანთა გეგარი -- დინასტიის სახელწოდება, რომელიც მეფობდა ირანში 550--330 წლებში. მომდინარეობს პახამანის (იხ.), იმ პიროვნების სახელსაგანს. რომლისგანაც ითვლიან აქემენიდები თავის ჩამომავლობას.

აღლაგანი — მადლი, ზამთარ-ზაფხულ ნისლიანი მთა, ბორჩალო-ყაზახის თურქმენთა სიბაღალი.

აშუაპიშტა — ერთ-ერთი უკუდავ სულთაგანი. პერსონიფიკირებული აბსტრაქცია „საუკეთესო სამართალი“, მართლწესრიგი. რომელიც მსოფლიოს მოიცავს.

აშაველი -- „მართალი“. „მართლმორწმუნე“.

აშაველი ფრავაშეიბი -- მართალი, წმინდა, გაღმერთებული მკვდართა სულები.

აშვინები -- ლეოთაბრივი ტყუპი ძმები. განეკუთვნებიან ციურ ღმერთებს და უკავშირებული არიან დილის რიკრაცსა და საღამოს ბინდთან. უშასის (იხ.) მიერ გაღვივებულნი, ისინი ფრინველებზე მყოფი ან ცხენებზე მყოფი ოქროს ეტლით (მათი სახელი სწორედ ცხენოსანს ნიშნავს) დაჰქრიან ეთერში და დღის განმავლობაში მთელ სამყაროს დაივლიან. დამახასიათებელი სამწევრიანი დაყოფა მათი ეტლისა -- სამკარიანი, სამბორბლიანი და სხვა ასახავს წარმოდგენას სამყაროს სამაწვლიანი სტრუქტურის შესახებ, რაც აშვინებს ეიშნუსთან (იხ.) აახლოებს. აშვინები გვევლინებიან სწრაფ და მზებრწყულ მსხველევად ხეფათისაგან, სიცოცხლის დამბრუნებელ ღვთაებრივ

შეურაცხებად. მათ გარკვეული დამოკიდებულება აქვთ თავლთან: ისინი აღნიშნავენ ფუნქციონარს თავლს, თავლი მოაქვს მათ ეტლს, თავლია მათ კვერთხი, მათი ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი არის წყვილობა; მათი ეპითეტი ნასატო (ქაშან-ჭყურნებელი) ორობითი რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი. შესაძლებელია, აქ გვეპოვდეს ინდოევროპულ ტყუპთა კულტას გამოვლინება (მდრ. ბერან. დიოსკურარი - - "ზენის შვილები". ამინებეც ხომ დიაუნის, ცის შვილებად ითვლებოდათ და დიაკემირებული არიან გათენებასა და დღე-ღამის ცვლასთან. პარალელები ლატვიურ ფოლკ ორშიც მოიპოვება).

აჭა — უშობელი (იველისხმება ვიშვაკარმანი).

აჭამი — არაარაბი; ირანელი.

აქუნა ვაირია — ზოროსტრელთა უწმინდესი ლოცვა.

აქურამაზდა — საერთო ირანული პანთეონის უზენაესი ღვთაება, საშუალო სპარსული ორშეხდი. განსახიერებს კეთილსა და ნათელის საწყისს. იგი არის ცოდნო, სიბრძნითა და ქველმოქმედებით აღჭურვილი. აქურამაზდა არ წარმოშობა ბოროტს. ქსერქსეს წარწერაში წარმოდგენილია როგორც ერთადერთი, კემშარტი, შემქმნელი და განყენებული ღმერთი (მას არ ჰქონდა გამოსახულება), კეთილ საქმეებში აღამიანის შემწე, კეთილდღობისა და ნეტარების მომპოვებელი. ავსტის მიხედვით ბოროტი სული (აპრა-მანიუ) აქურამაზდასთან შედარებით უფრო დაბალ საფეხურზე დგას წმინდა სულის (სპარტა-მანიუს) თანაბრად. საშუალო სპარსულ რელიგიურ თხზულებებში ბოროტი და დამანგრეველი აპრიმანი ქვესკნელში, ბნელეთში იმყოფება, ხოლო ორშეხდი — მაღლა, სინათლეში. თანამედროვე ელტროლოგიურ-ლინგვისტური კვლეობებიც ცხადყოფს, რომ ამ ირანულმა ღვთაებამ წარმოშვა თავის დროს სპარსეთელითა არამანის კულტი, რომლის სახელწოდებამაც სწორედ ძველსპარსული ფორმადან, აქურამაზდასგან, ენდა მომდინარეობდა.

ბაისანი — ქალაქი იორდანიის, ტაბარიასა და იერუსალიმს შორის.

ბაკურა — ტყე. რომლისგან აწხადებდნენ ტყეებს და გუდასტვირს.

ბალინოსი — ბუღინასი, ანტიკური ხანის ცნობილი ფილოსოფოსი და მათემატიკოსი (I ს.). აღმოსავლეთში განთქმული იყო როგორც გრძნეულების ოსტადი.

ბაქმავერდი — სანდვილის მსგავსი საკმელო. ნაჭრებად დაჭრილ პერზე ფენებად დალაგებულია ბორბი, მწვანელი, კვერცხი.

ბარბითი — ერთგვარი სიმებიანი საყრავი.

ბამაქიანე ბე — ეგვიპტის საგარეულო სახალაფოში, ამონივერტა პარენ არაშიღმა.

ბარპი — რიტუალური, ღმერთებისთვის დასაფენი თივა. „ბარპის დამფენი“ — მსხვერპლის მწირველი.

ბახთიარი — ბედნიერი.

ბაქმანი — ირანელი მითური გმირი, ისფანდარიის შვილი.

ბაქრამი — შარხი

ბეიოლღუ — უბანი სტამბოლში.

ბეიეღენდი — მოწიწებით მიმართვის ფორმა: ბატონო.

ბინთუ — ოცი ფრანკის ღირებულების ეგვიპტური მონეტა.

ბისოთენი — ბეპისთენი, მთა (ელდე) ირანში, ჰამადანის მახლობლად, რომელზედაც ამოკვეთილია ირანის მეფის დარიოს I (522 — 486) ღერსმული წარწერები. ეს მთა ირანულ მითოლოგიაში უკავშირდება ფარპადის (იხ.) ლეგენდას.

ბიპარი — ისლამურ ლიტერატურაში: ყრუებითა და ფრესკებით შემკობილი ბუღისტური ტაძარი.

ბრაქმა — ღმერთი; შემოქმედი, არსთა შემქმნელი.

ბრაქმან სპატი — ლოცვა და მსხვერპლშეწირვის მფარველი ღმერთი.

ბუკაუღა — ეხმეი ეოელი ესპანელი.

ბესტი — ქალაქი სსრკ-ში.
ბაგა — ლმურთი, რომლის სახელი დაკავშირებულია სიყეთისა და მადლის განა-
წრლებასთან, ბონებასთან.

ბაბატი — მერველებისა და ვალოზის ქალღმერთი.

ბაქციუ — კაცი, რომელიც აშენებდა (იხ.) გამოსტაყეს ოღრებელ წყლებს.

ბახოი — ხაში ქსოვილის გამოფრებული ხელისანი.

ბავი — ირანელი მითური გმირი, გოდერძის ძეგლ და ბეჟანის მამა „შამ-ნამეს“
მისეღვით.

ბაგჩის მთები — ახ. ლტოხის ცხაზე, ჩილდირის ტბასთან მდებარე მთა.

ბური — კანქარი.

ბავთი — იგულისხმება ბიბლიური მეფე დავითი, (ძვ. წ. X ს.), ლეკენდით,
გოლიათის მძღველი.

ბანიკი — იხ. დირპაში.

ბანუ — ღმონ ვრიტრას (იხ.) ღვლა

ბარბაჯაქ — დაროს დიდი. ქსერქსე I მამა. აქამანანთა დინასტიის (იხ.)
აღმდგენელი და იმპერიის განამტკიცებელი (521—486).

ბარბანი — „ქარის მცველი“.

ბარბოსი — იგულისხმება ირანის მეფე დაროს III კოდომანი (336—330). უკო-
ნასკენელი აქემინდი, რომელიც დაამარცხა ალექსანდრე მაკედონელი.

ბარულა — ქალაქის პოლიციის უფროსი.

ბასტარბანი — მკურნე ზომის სახელდახელო სურა.

ბასტური — რელიგიის საკითხებში კომპეტენტური პიროვნება სასანერ ირანში.
ზოგჯერ — ზორიასტრული სამღვდელთა წარმომადგენელი.

ბასკა — ურჩხულის სახელი („შამ-ნამეს“ ზაქაქი).

ბასნი — დამას მცხოვრებნი. დამა — აქამანიანთა (იხ.) იმპერიის ერთ-ერთი პრო-
ვინცია.

ბეი — ირანული მზის კალენდრის მეათე თვე (ძვ. X II—21. I).

ბეილაში — ქალაქი იყო ღვინდელ გილანში.

ბეშაქენდი — მთა ირანში.

ბეჰბატი — პროვინციის გამგებელი.

ბეჰანი I — სამეფო კანცლარი; სამმართველო.

ბეჰანი II — კრებელი, რომელმაც ანბანზეა განლაგებული რომელმე პოეტის
მონორეზული ლირიული ლექსები.

ბენარი — იქროს ფელა ქველ ირანში.

ბერპაში — ვერცხლის მინერტი, რომელიც საშუალო საეკუენების არაბულ სამ-
ყაროში იწონიდა 2,77 გრამს. ბერპაში უდრდა 6 დანკს, 48 ფელსს.

ბეღა — მღ. ტვროსი.

ბეღეი — „სრუ“; „ბორბტი“; „ურჯელი“.

ბეშანი — („ათათასი“) ტექსტში დანარაქო საქართველოს გარკვეულ ადმინის-
ტრულ რაიონებად დაყოფილი. მხ. ბერად მხსნულობაში ასახული ეს მოვლენა ფაქ-
ტობრივად დადასტურებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში.

ბეჰა — არაბ. ღვინათ (მარგალიტი) არაბულ პოეზიაში იხმარება ღვინის მებრ-
ღორად.

ბეჰათა — („სევედლის ამშორებელი“) ჰომოს მედმოე ეპითეტა.

ბეჰათი — ერთი; კომიური ჩანასახი, რალა უცნობი, რომლისგანაც წარმოიშვა
სამყარო.

ბეინონუ — ებანი ტემბილში.

ერამი — ზღაპრული ბაღი ე. წ. ბუნდოვანი არაბეთში; ამქვეყნიერი სამოთხე.

ეფენდი — უფროსისაღმის ზრდილობის მიმართვის ფორმა.

ეჭიბი — სამეფო კარის მოხელე. „წინამძღვენი შეფეთა“ (საბა).

ეარენა — სიმათლოს, შორალური კანონის ცნობა.

ეიდექლავი — „ლევთ სწინაღმდეგო კანონი“ აფეტის ნაწილი. შეჯგება 22 თავისგან, შეიცავს ირანის ლევენდარულ. იტორიის ნაწილს, აგრეთვე, მორწმუნე მახლათელის ქვეის წესებს.

ეივაქვანტი — იამა-ხმეტას (ქიმშიდის) შამა.

ეიშენე — არაბული, ავღალბრთვი ღვთაებათაგანი (ენდა ნიშნადეს „ყოველის მომცველს, ყოველი მხრით გავრცობილს“). მისი დამახასიათებელი კოსმოლოგიური მოქმედება სამი ნაბიჯით მთელი სამყაროს გულა და გაზომვა, სამყაროს საზღვრების დადგენა, მისი დანაწევრება და სოვრის ამოკსება. განსაკუთრებით საზგასმულია მისი უმალესი ნაბიჯის („ზენა კელის“) შიშქელობა, რომელიც ხალხისთვის დაფაოელია და ზეცაში იმყოფება. ეს ნიშანი ვიშნუს ქვეოთრად განსხვავებს ვედური პანთეონის ყველა ღმარნენი ღმეროებისაგან. გარდა ამისა, ის დაკუშირებულია სიხეხესთან, ნყოფიერებასთან და შამატურ ძალასთან (შდრ. უფრო გვიანელი ეროტიკული ენდტები დაკუშირებული ვიშნეიხთან). ამასთან ვიშნე ხალხის დამცველი და კეთილსწყოველი ღმერთია.

ტრადიციის თანახმად ვიშნე სიღარული ღვთაებაა და განსახიერებს ძხის წრულ მორბობას, რაც მტკიცდება მთელი რიგი აღწერლობებითაც (მაგ. ვიშნეს მოჭრილი თავი, რომელიც მხელ გადაეკა).

ბრამანთა მითოლოგიაში ვიშნე ხდება ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურა და მას შემდეგ ჩვენს დრომდე ინდუიზმის მითოლოგიაში პირველხარისხოვან როლს ასრულებს.

ეორუ-კაშა — მითოლოგიური ზღვის სახელი.

ერიტრა — („ჩმკეტი“) ვინე წყალთა დინება გადაეკა.

ზარი-გაენა — („ოქროსფერი“) კაომის (იხ.) ეპითეტი.

ზამბი — თამაში დაფაზე განლაგებული ფიგურებით. თითოეული მოთამაშე ცდილობს მოწინაღმდეგის ფიგურების განადგურების მეშვეობით ეჭრო ადრე მიადნოს დაფის ნაპირს. შესაძლოა, თანამედროვე შაშის წინამორბედი იყოს.

ზანდი — აფეტის კომენტარი, დაწერილი სამ. სპარსულ ენაზე.

ზაქათი — ქონებაზე შეწერილი გადასასადი განკუთვნილი ღარიბთა დასახმარებლად მესლმობრ ქვეყნებში.

ზელიხა — ავღალბრთვი ოქროსფერების გმირი ქალი, -ოსების (იხ.) სატრფო.

ზიქი — ასტრონომიული ტაბულები.

ზეალი — იხ. კრონოსი.

თანგლუშა... იხ. ღუმე.

თანდუბი — არაბიის ნახევარკუნძულზე გავრცელებული ერთგვარი კაშის ხე.

თაქი — დიდებულთა და მდიდრთა კვირგვინი.

თეთრი ვაკუშმანი — მკენარე, რომელიც ყვავის ზამთარში, ვაკუშმანის თვეში, აქვს წითელი და თეთრი ვეილი.

თელუაქი — აღმოსავლური თავსაბურავი.

თერაზი — ქ. თალასი. თურქესტანის ეს ქალაქი განთქმული იყო ინდოურ სამყაროში თავისი ბუდისტური კერებით, რომელთაც სპარსულ პოეზიაში ღამაზი ქალის მტეფორად ხმარობდნენ.

თრატონა — აფროდისი (ქართ. ფრიდონი). ერჩხელ დამასს (იხ.) მკელელი, ათეის (იხ.) შვილი.

თირი — ირანული მზის კლდეზრის მეოთხე თვე (22.VI—23.VII).

თ რ ი ა — თავვის მსგავსი მღრღნელი.

თ რ ი ტ ა — მითური ბრძენი, ვისთან ერთადაც ინდრა (იხ.) სვაშდა სომის (იხ.) წევს. თ რ ი ტ ის ც ო ლ ე ბ ა — იველიხმება ათი თითი, რომლებიც სწურავენ წვენს.

თ რ ი ტ ა ს ა მ ა ნ ის გ ვ ა რ ის ა — ურევანშიას და კარსასას (იხ.) შამა.

თ უ ზ ი — თეთრი ალვის ხის ქერქი, რომელიც შემოხვეული ჰქონდა შვილს.

თ ი ზ დ ა ნ ი — იგივე იზალი, უზენაესი ღმერთი (არას.).

თ ა ს ნ ა — („ლოცვა“) ავესტის ლიტურგიული ნაწილი, შეიცავს 72 თავს.

თ ა შ ტ ი — („თაყვანისცემა“) ზორასტრიელთა სიღვთო წიგნის ავესტის ნაწილი, შეიცავს 22 პიმნს.

თ ბ ნ ა თ -თ ა ვ ა მ ი — ამ პირის ვიხაობა უცხოთა იმასაც ფიქრობენ, შეიძლება ეს ეპისტოლე ილ-ჭაპიზს ეკუთვნოდეს და არასებელი პირისთვის ჰქონდეს მიწერილი.

თ ბ ნ ა ფ ლ ა ნ ი — ერ-თ-ერთი ისლამადელი არაბი პოეტი. ჰყავდა ცოლი, სახელად ჰინდი, რომელსაც გაეყარა და გადაჰყვა მასზე დარდს.

ი ღ ა — ლოცვისა და მსხვერპლშეწირვის ქალღმერთი.

ი ე ლ ე თ მ ე — ლექსი, რომელიც აღაგზნებს და საბრძოლველად განაწყობს ილა-მანს.

ი ზ ო დ ი — იხ. იზდანი.

ი კ ლ ი მ ი — არაბ გეოგრაფებს ქვეყანა შეიღ იკლიმად (იელიმად) ჰქონდათ დაყოფილი.

ი მ ა მ ა — სასულიერო პირი, რომელიც წინა დგას მუსულმანთა ნამაზის დროს და უძღვება ლოცვას.

ი ნ შ ა ლ ა მ — (ინშა ილამ) — „ალაჰი თე ინებებს“; „ღმერთმაჰ ქნას“

ი რ ა ჟ ი — ირანელი მითური უფლისწული, რომელიც მოკლეს საყუთარმა ძმებმა: სალმა და თურმა. ირაქის შთამომავლები ირანელთა წინაპრები გახდნენ, თურისა—თურ-იანელების (თურქების).

ი ო ს ე ბ ი — ბიბლიისა და აღმოსავლური თქმულებების გმირი იოსებ მშვენიერი. რუსულმანური სამყაროში იოსებისა და ზელისას (იხ.) სიყვარული მრავალ პოემაშია ასახული.

ი ო ლ ა მ ი — „ღმერთმანი“.

ი ო ნ დ რ ა — უზენაესი ღვთაება, ქვეა-ქეხილისა და ომის ღმერთი.

ი ო ნ დ უ — წვეთი, სომის (იხ.) ზშირი ეპითეტია რიგველაში.

ი ა დ ა რ ი ტ ი — მიმართულება ისლამში, რომელიც მოითხოვდა ადამიანის ნების თავისუფლებას.

ი ა რ კ ა ნ ი — კარკას მცხოვრებნი (კარკა — იმპერიის პროვინცია).

ი ა რ ს ა ნ ა — ერთ-ერთი მეფის სახელი.

ი ა რ ს ა ს პ ა — ურჩხული სრვარას მკვლელი („შამ-ნამეს“ გერშასპი).

ი რ შ ა ნ უ — გმ-რა. რომელმაც, გადმოცემით, ისრით ფრთა მოაგლიჯა არწივს.

ი რ ო ნ ო ს ი — ზუალი (სატურანი).

ი უ რ ა ი მ ე — არაბული ტომი, რომელსაც ეკუთვნოდა მუჰამედი.

ი უ ტ რ ა ბ უ ლ ი — ღვინით განთქმული სოფელი ქ. ბაღდადის ახლოს.

ლ ა ვ ზ ნ ა ყ ე — ნუშისა და ფსტიგან დამზავებული ტუბილეული.

ლ უ შ ა — იგივე თანგლუშა, ბაბილონელი ასტრონომი ტეჰქარი (I ს.).

მ ა მ ა ძ ე — ინდრას (იხ.) ეპითეტი.

მ ა ვ ე რ ა ნ ა ნ ა მ ა რ ა — შუა აზიის ის ნაწილი, რაც ამუ-დარაის ვალმა (აღმოსავლეთით) მდებარეობს.

მ ი ზ დ ა ი ა მ უ რ ა — აჰურამაზდა (იხ.) ავესტაში ასეთი შებრუნებული წყობითაც იხმარება.

მაზდიანელი — მზლას მოძღვრების მიმდევარი. ზორასტრელი.

მაკა — პროფეტია აფრიკაში.

მანთა — მაგიური, ლეთაბრივი სიტყვა, ლოცვა.

მანი — მანიქური რელიგიის მამამთავარი (გ. 244 წ.). სპარსულ პოეზიაში ცნობილი იყო როგორც შეუღღარებელი მხატვარი (როგორც ფიქრობენ, ალბათ იმის გამო, რომ მანიქური საკულტო სახლები მლიღრულად იყო მოხატული).

მანიქეელიზმი — ირანული რელიგია, რომელიც შექმნა პართული არისტოკრატიული ოჯახის შვილმა მანიმ (III საუკ.), მას სწამდა სამყაროს ერთიანი ღმერთი, რომლის წინასწარმეტყველადაც აცხადებდა თავს. მანის მიმდევრები გამოირჩეოდა უბრალოებით, ამიტომ მანს კპოვა ფართო გავრცელება როგორც თვით ირანის მოსახლეობაში, ისე მის საზღვრებს გარეთაც, ჩრდილო აფრიკიდან ჩინეთამდე. მანის მიმდევრები ეყვნენ ფაქტურად. თავდაპირველად მანის რელიგიას მფარველობდა ირანის შაჰინშაჰიც. მაგრამ ზორასტრიზმის გამორეცხვასთან ერთად იწყება მანისა და მისი მიმდევრების სასტიკი დევნა.

ამ მოძღვრებისთვის დამახასიათებელია დუალიზმი, აღიარება ორი საწყისი ერთი-ერთდამირისპირებული ძალისა: სიკეთის და სიკვდილის, სიკეთისა და ბოროტების, სინათლისა და სიბნელის... ხასიათდება უციღურესი ასკეტურ-მთა და პესიმიზმით.

ბუნებრივია, რადგან მანიქეიზმი გავრცელებული იყო უზარმაზარ ტერიტორიაზე, იგი სახეს იცვლიდა სხვადასხვა ქვეყნებში და განიცდიდა ადგილობრივი რელიგიების იდენტობის, ქრისტიანობის, ბუდიზმის გავლენას. მაგრამ მაინც იგი ირანული რელიგიაა.

ჩვენამდე მოაღწია მანიქური საკულტო ლირიკის ნიმუშებმა, რომლებიც ვამსკველულია გნოსტიკური სულით და აშკარად განიცდიან ქრისტიანული საკულტო ლირიკის გავლენას. ზოგიერთი მათგანი ეძღვნება მანიქური პანთეონის სხვადასხვა ღმერთებს, უზენაეს ღმერთს — ზერვანს, განთიადის ქალღმერთს, მზის ღმერთს. მრავლად გვხვდება ჰიმნები, მიძღვნილი იესოსადმი, აგრეთვე თვით მანისა და მისი მოწაფეებისადმი.

მანუ — მითური ადამიანი, რომელმაც პირველად აღაგზნო ცეცხლი და დააწესა მსხვირპლმეფირა.

მარე-არდაშირ — ერთგვიარ სურნელოვანი მცენარე.

მარტები — ქარიშხლის ღმერთებია კლასი, რომელიც ვლინდება ელვა-ქუხილის, ქარისა და წვიმის სახით.

მარსია — ენმეს; დასატრებლად დაწერილი სამგლოვიარო ლექსი ისლამურ ლიტერატურაში.

მაქა (მექა) — მუსულმანთა წმინდა ქალაქი საუდის არაბეთში. მუჰამედის სამშობლო. აქ იქადაგა მან პირველად ისლამი.

მალრიბი — დასავლეთი; ისლამური სამყაროს უციღურესი დასავლეთი ქვეყნები (ტუნისი, ალჟირი, მაროკო).

მაშრიფი — აღმოსავლეთი.

მაქსიები — რბილძირიანი უქუსლო ჩექმები.

მინარეთი — მეჩეთის კოშკი, რომელზედაც გამოდგება მუჰამინი და ნამაზზე უხმობს მრევლს.

მინბარი — ათედრა მეჩეთში.

მისრი — ეგვიპტე.

მიტრა — სოლარული ღმერთი, ღმერთი თანხმობისა და სათნოებისა კაცთა შორის.

მობედა — ზორასტრიანული ძოგვი.

მურაკაჯე — იგულისხმება მურაკაშ უდროსი, ისლამადელი არაბი პოეტი, რომელიც უყვარდა ასმა. ქალაქშილი სხვის გაპოლოა და პოეტი დარღით მომკედარა.

მუსაფი — „ყურანი“.

მურტიბი — დამკრელი; მომღერალი.

მურაშაი — საეცხლერი.

ნაპრ. ბუტრუსი — ადგილი პალესტინაში ქ. ირ-რამლის ახლოს.

ნეშტარი — („მიმუყანი“) ქერუმი, რომელსაც მსხვერპლშეწირვაზე მიჰყავს შემწირველის ცოლი.

ნიზარი — ბანუ ნიზარი, ერთ-ერთი არაბული ტომი.

ნოვრუზი — წლის პირველი დღე ირანული შზის კალენდრის მიხედვით (მოც. 21 მარტს).

ოიოფა — ქალისადმი თავზიანი მიმართვის ფორმა.

ოშარი — არაბთა მეორე ხალიფა (634—644).

ოსმანი — არაბთა მესამე ხალიფა. (644—656). მუჰამედის სიძე და მდივანი. მას მიეწერება მოციქულის ქადაგებთა ჩაწერა.

პანის ირონები — დემონ პანის მიერ დატყვევებული და გამოქვაბულში დამწყვდეული ღერები, რომლებიც ინდრამ (იხ.) გაათავისუფლა.

პოეტარი — („განწმენდილი“) ქერუმი, რომელიც სომის (იხ.) წვეხს წმენდს.

პრამასტარი — პოტ.არის (იხ.) პირველი თანაშემწე ე. წ. „დამმოდერელი“.

პოურუშასპა — ზარათუშტრას შამა.

პურშადპი — („მომბეჭელი“) ღმერთი, რომელიც წარმოგვიდგება, როგორც სიუხვის, სისრულისა და სურვილთა აღსრულების პერსონიფიკაცია.

პუშანი — აღორობების, აუვაების ღვთაება.

რამადანი — („რამაზანი“) — მუსულმანური მითარის კალენდრის მეცხრე თვე. ამ თვეს მუსულმანები მარტულობენ.

რეი — ქალაქი ირანში თეირანის ახლოს (დღეს უკვე თეირანის გარეუბანი).

რიბჰუ — ნახეკრადღმერთთა კლასი; ხელმარჩევე ოსტატები, რომლებსაც მოაქვთ ნაყოფიერება და სიმდიდრე.

რობაბი — ერთგვარი აღმოსავლური სიმებიანი საყრავი.

რუდრი — ერთგვარი აღმოსავლური სიმებიანი საყრავი.

რუდრა — ქარიშხლის ღმერთი.

საბეჯი — იგულისხმება იემენის ერთ-ერთი ტომი, საბა, რომელიც გაიზნა ქენიზის გარღვევისა გამო.

საეიტარი — შზის ღმერთის (მისი ცხოველყოფელი ძალის) პერსონიფიკაცია.

სალსაბილი — მუსულმანური სამოთხის წყარო.

სარასფატი — ლოყვის ქალღმერთი.

სატაევასა — („ასქიზიანი“, „ასსიხიანი“) ვარსკვლავი, რომელიც ტიშტრასს ეწმარება წვიმის გამოწვევაში.

სეფევიდები — ირანის სამეფო დინასტია, მართავდა ქვეყანას 1501—1732 წლებში.

სეფადე — მუსულმანთა სალოცავი ხალიჩა.

სიამაჭი — ირანელი მითური გმირის, ქაუშარასის, შვილი.

სიაუში — ირანის მითური მეფის ქაუშუსის შვილი, მოაკვლევინა თურანის მეფე აფრასიაბმა, რომლის ქალიშვილი (ფარანგისი) მას ცოლად ჰყავდა.

სიმერდი — ირანული მითოლოგიის ზღაპრული ფრინველი (შდრ. ანუა).

სკუდრი — შეესაბამება თრაქიას და მაკედონიას.

სომა — სამსხვერპლო სასმელი, ექსტატიური საშუალება (შდრ. პაომა). (იხ. კოშენტარი 2ს).

სოკარლი — ეარსკვლავი კონოპუსი. როგორც აღნიშნავენ. ეს ვარსკვლავი
ჯდ წაბს იემენში.

სპარადა — სარდი, აქამანიანთა (იხ.) იმპერიის ერთ-ერთი პროვინცია.

სპიტამა — ზართუშტრას გვარსახელი.

სრვარა — ერთგვარი მითოლოგიური ურჩხული.

სურია — მზის ღმერთი, რომელსაც უშასი (იხ.) გზას უბხნის.

სუფა — თიხისგან გაკეთებული ერთგვარი შემადღება, რომელსაც ტახტად ეხმა-
რობენ შუა აზიაში.

ტალპი — უდაბნოს მცენარე.

ტვამტარი — („ოსტატი“) ღმერთი შემოქმედელი.

ტიზანაბადი — დაბა ქუფსა და კადისიას შორის, განთქმული იყო თავისი სე-
უცხორი მდებარეობით, ღვინითა და სამიკოტეობით.

ტრივადრუკა — სომის (იხ.) კელტან დაკავშირებული დღესასწაული.

უდი — ერთგვარი სურნელოვანი მცენარე.

ურვახშაია — („რჭელის მცოდნე და კანონმდებელი“) კარსასას (იხ.) ეფრო-
სი ძმა.

უშარი — უდაბნოს მცენარე.

უშასი — განთიადის ღვთაება, ცისკრის ვარსკვლავი, რიგვედაში მას ოცე კომნი
ედღენება და სხვა კიმენბში ხშირად მოიხსენება. უშასი წარმოდგენილია ბრწყინვალე
სამოსით შემოსილი მშვენიერი ქალწულის სახით. იგი მზის ამოსვლამდე გამოდის
აღმოსავლეთის მხრიდან მოვლავარ ეტლით. აღებს სიბნელის ბქეთ და აღვიძებს მჭი-
ნარეთ. უშასთან დაკავშირებულია ციურ მოვლენათა გარკვეული რეგულირება, იგი
ცხოვრობს მყარ მთაზე. ზრუნავს გზებზე, მფარველობს მომღერლებს; ცის ასვლია,
დღდაა ღმერთთა და გამჩენი ძროხათა. უშასი მკიდროდ არის დაკავშირებული სოლა-
რულ ღმერთებთან — სურასთან (იხ.), — ერთსა და იმავე დროს მისი ასულიც არის
და მეუღლე. — აშინებთან (იხ.), რომელთა დედაა. აგნისთან (იხ.) და ინდრასთან
(იხ.) მას აკავშირებს რთული დამოკიდებულება. იგი მათი მსგავსია, ამავე დროს ინდრა
მას უბტრევს ეტლს. უშასი წარმოადგენს რიგვედის პოეზიის ერთ-ერთ ყველაზე
სრულყოფილ სახეს, მისაღმი მიძღვნილ კიმენებს ახასიათებს სავალდ მარტივი ენა,
ეპითეტების სიუხვე და პოეტურობა. ვედური პერიოდის შემდეგ უშასი ქრება ინ-
დუისტური პანთეონიდან, თუმცა მისი კვალი იკონორაფიაში კიდევ დღესას ჩრება.

უხეი — ინდრას (იხ.) ერთ-ერთი ეპითეტი.

ფალანგმუშკი — სურნელოვანი მცენარე, რომლის ყვავილი ვეფხვს (ფალანგს)
ქვავს. სურნელი კი მუშკისებური აქვს.

ფალაური ენა — საშუალო სპარსული ენა (დაახლ. III—VII სს.).

ფარრი — ღვთაებრივი ნიკი და მადლი რომელიც, ძველი წარმოდგენით, კონდა
ირანელ მეფეებს და უფლისწულებს.

ფარპადი — ირანული ლეგენდარული გმირი, შირინზე გამოჩნებული. იყო
შუელარებელი ისტატი, დაიღუპა ტრაგიკულად.

ფადღური — ჩინეთის სამეფო ტიტული სპარსული პოეზიის მიხედვით.

ფერიდუნი — განმათავისუფლებელი მითური მეფე, რომელმაც ირანელი ხალხი
იხსნა უბოროტესი მხავერდის ზოპაქის ბატონობისაგან.

ფრაშმი — ღვთაება ჰაომას (იხ.) ეპითეტი.

ფრიდონი — ირანის მითური მეფე.

ფუსტატი — ძველი ეგვიპტის დედაქალაქი, დღევანდელი კაიროს ფარგლებში.

ქავი — ქაიანთა დინასტიის დამაარსებელი მეფე. ერთ-ერთი ძველი ირანული
ტრადიციის მიხედვით, ესენი აყვნიან აღმოსავლური რეგიონის გამოგებლები. ერთ-ერთ

ქვერსთან, ვიშტასპასთან, დაკავშირებულია თვით ზორიასტრის მოღვაწეობა. შექმნილია ქვერსის ეპოსმა დიდი პოპულარობა მოიპოვა დასავლეთ ირანში და საბოლოოდ ჩამო-
ყალიბდა სასანელების ხანაში. ქვიანელია დინასტიას ეკუთვნოდა რვა მეფე, მოხსენი-
ებულია ავესტაში.

ქ ა ე ს ა რ ი — სამოთხის წყარო „ყურანის“ მიხედვით.

ქ ა თ ი ბ ი — მდივანი.

ქ ა ი ა ნ თ ა გ ე ა რ ი — იხ. ქაევი.

ქ ა ი ე მ ა რ ს ი — იხ. სიამაქი.

ქ ა ი ქ ა უ ს ი — ირანის მითური მეფე.

ქ ა ი ყ ო ბ ა დ ი — ირანის მითური მეფე, იყო დროისტარებისა და მოლხების მო-
წყობა.

ქ ა ი ხ ო ს რ ო ვ ი — ირანის მითური მორკმული მეფე, თავისი ნებით უარყო
ტახტი და გადაიქარგა.

ქ ა ლ ი — მელოტი.

ქ ა რ ხ ი — ბაღდადის გარეუბანა.

ქ ს ე რ ქ ს ე — ქსერქსე I, დარიოს I-ის ძე, აქამანიანთა ირანის მეფე (486—465).

ქ უ რ ფ ა ჩ ა — თხელი დაღიანდაგებული საბანი.

ღ ა ზ ა — ქალაქი სირიისა და ეგვიპტის საზღვარზე, აქაა მუჰამადის პაპის, ჰაშიმის,
სადგავი.

უ ა ზ ი (ღ ა ზ ი) — რწმენისა და რჯულისათვის მებრძოლი. საპატიო ტიტული ამ
ბრძოლაში თავდადებული გმირისა.

ყ ა რ უ ნ ი — ლეგენდარული ძენწი და მდიდარი ისლამურ ლიტერატურაში.

ყ ი ბ ლ ა — ნიში მუგდარში, რომელიც ჭაბისაყენ (მუსულმანთა წმინდა სალოცავი-
საყენ) მიმართულებას მიანიშნებს მლოცველთ.

შ ა ბ უ რ ი — ალბათ იგულისხმება სასანიანთა ირანის მეფე შაფურ I (241—272).

შ ა მ პ ს ი — შხის ქურუმი.

შ ა ჰ ა ბ ა ს ი — იგულისხმება სეფიანთა (იხ. სეფევიდები) მეფე შაჰ-აბას I (1588—
1629).

შ ა ჰ რ ი ა რ ი, შ ა თ რ ე დ ა რ ი — ოქჯის მმართველი, დიდმოხელე სასანურ
ირანში.

შ ი რ ი ნ ი — აღმოსავლური სამიჯნურო რომანის გმირი ქალი. მისი სიყვარულის ამ-
ბავს ნიზამიმ მიუძღვება პოემა „ხოსროვი და შირინი“.

შ ი შ ლ ი — მდიდრების უბანი სტამბოლში.

შ ე ა გ ი — სამეფო საჩრდილობელი, შუგა.

შ უ გ ა — იხ. შუაგი.

ჩ ა რ ხ ი — საუათი.

ჩ ა უ შ ი — ქარაენის მცველთა უფროსი.

ხ ი ზ რ ი — ეღაბზოში უწყალოდ შთენილთა და გზააბნეულთა შემწე სული; მან
მიაჯხო უკედლებს წყაროს.

ხ ო ს რ ო — სასანიანთა ირანის მეფე ხოსრო ანუ შირვანი (531—578), აღმოსავლური
პოეზიის მიხედვით, მორკმული ხელმწიფე.

ხ უ ს ო ა ე ყ ვ ა ე ი ლ ი — იგივე შაჰ-სპარჰამი; რეჰანი. ლეგენდა მას უკავშირებს
ირანის მეფე ხოსრო ანუ შირვანს (531—579) თითქოს გველმა შიართვა მას ამ მცე-
ხარის თესლი.

ხ წ ა ი ა რ შ ა — ქსერქსეს (იხ.) ძველსპარსული ფორმა.

ჩ ა მ შ ი დ ი — ირანის მითური მეფე. რომლის ქველი მეფობის დროს, ლეგენდო-
ბის მიხედვით, ხალხს სრული ნეტარება ჰქონდა, მის სახელმწიფოში არავინ უჩიოდა
გაჭირვებასა და ავადმყოფობას.

ჯანიძე — „ქირაფას“.

ჯარდაკი — პერის ერთი სახეობა.

ჯაქილის პერიოდი — ასე უწოდებენ არაბები მათი ისტორიის ისტორიულ ხანას.

ჯეონი — შვ. აშუ-ღარია.

ჯიბრაილი — მთავარსახელწოდებული გებრიელი, იყურანის მხედრით აღაძის ქ. ცნე.

ჯილბაბა — კაცის გრძელი პერანგი.

ჯიბაშელი — ეთიოპელი.

ჯიბაბა — მტრე მოჩურა, მისხლის მესამოცედი.

ჯადისი — გადმოცემა მუჰამედის ცხოვრებისა და მოქმედების შესახებ.

ჯადოსტი — ზარკვეული ტყისტივი, უმეტესად რელიგიური შინაარსისა.

ჯათიში — ლეგენდარული გელეხვი და სტუმართმოყვარე არაბი, ეკვთვხის თან (ჯათის) ტომს.

ჯალილაკი — ერთგვარი მკნარე, რომელიც გამოიყენება კულ-სარასა მე- დი-ნაში.

ჯარაივა ანუ არია — აქამანიანთა (იხ.) იმპერიის ერთ-ერთი პროვინციის სახელწოდება.

ჯარაქუეატი — სარავსტი, ანუ არაბი. პროვინცია ინდოეთში.

ჯარიღრავა და როჰანაკა — ყვითელი ფერის ღრინველები.

ჯასანი და ჰუსეინი — არაბთა მეოთხე ხალაფის, აღს. (651 - 661) ვაჟები, შიიტთა წმინდა მოწამეები (გ. 680 წ.).

ჯაშიტიები — ყურეთის ტომის (იხ.) ჰაშიმის გვარის წარმომადგენლები. ამ გვარს ეკუთვნოდა მუჰამედი.

ჯაომა — 1. ეს ლეოგმა ირანული წმინდა წიგნის — ავესტოს და ინდოეთის რიგვე- დის საერთო ეპოქების წარმომადგენს. 2. ამავე სიტყვით აღინიშნება მცენარეული მარობელა რატულური სახელი (ვეღებში — სომა ჰაომა არის განმარტობის, დღევანდელი მომსახურება, სიკვდილისაგან დამსხნელი).

ჯასამანი — დაროს I-ის წარწერაში მეყედ ისწინება, მაგრამ ამ დინასტიის ნამდვილი აღზევება იწყება დაროს II-ის, დიდარ წოდებულის, ხელმწიფობის, რომ- დესაც აქამანიანთა (იხ.) იმპერიამ შეცვალა უფრო აღიზნული — შიიტთა სახელ- მწიფო და შიიტთა ტომის საცელად დაწინაურა საშოკეთ-დასაეღური ირანული ტომი — სპარსელები და მათი პროვინცია — ფარსი ანუ სპარსეთი. — ქსერქსეს (იხ.) წარწერაში სპარსელებს უპირატესობის და სპარსეთის მფინაეობისათვის ეძებება ხანა. აქამანიანთა- ბა შექმნეს უსარმზარი მრავალეროვანი იმპერია, რომლის ელტერული ზეგავლენა, როგორც ჩანს, ყველაზემდე აღწევდა.

ჯარეთი, მარეთი — მუსულმანური დემონოლოგიის ჯალაქი ანგელოზი.

ჯაკი — პილგრიმი. მუსულმანი მექას რომ მოილოცეს, ღებულობს ჰაკის სპა- ტო წოდებას.

ჯერპატი — აქ სასწავლებელში მასწავლებლის რიგების დოგმათი მსწავლებელი.

ჯერიკი — სურნელოვანი ყვავილა სკანდალზე ფერისა, ყვითელი წითელი ყვ- ვილებით; იის ჩარისახეობა.

ჯინდავა — მხარისა და მათის სახელი (შესაძლოა ინდოეთი ან პანდუ, ეში).

ჯოტარი — („მსხერებელი“). პ. ა. რიქტუში.

ჯოტრა — მოწოდების ქალღმერთი.

ს ა რ ჩ ე ბ ი

ინდური ლიტერატურა

ჩიკუელა

ინდრას — სანსკრიტული თარგმანი მზია ინდრონიკაშვილმა	4
ჰიმნი სურას — თარგმანი მისივე	5
უშასს — თარგმანი მისივე	6
ჰიმნი ვიშნუს — თარგმანი მისივე	8
ჰიმნი აშვინებს — თარგმანი მისივე	9
ჰიმნი აგნის — თარგმანი მისივე	10
მეტრასადმი — თარგმანი მისივე	14
სავიტარს — თარგმანი მისივე	15
ჰიმნი ცასა და მ.წას — თარგმანი მისივე	16
ჰიმნები სომას — სანსკრიტული თარგმანი ეთერ ალექსიძემ	16

სპარსული ლიტერატურა

ჰიმნი ჰომას — სამუდამო სპარსულიდან თარგმანი მზია ინდრონიკაშვილმა	25
ტიშტროასადმი — თარგმანი მისივე	31
ქსერქსესგან ცრულმერთთა გამობა — ძე. სპარსულიდან თარგმანი მზია ინდრონიკაშვილმა	34
მანჩეური ჰიმნი — სამუდამო სპარსულიდან თარგმანი მისივე	37
„შეხედე, განახლებულა...“ — თარგმანი მისივე	38
„ელვარე მზე და კაშკაშა მთვარე“ — თარგმანი მისივე	39
ხოსროვ კავადის ძე და ყრმა — თარგმანი მისივე	39
ღრო — სამუდამო სპარსულიდან თარგმანი კოსტანტინე გამსახურდიამ	44

ზაზა თაქრ ურიანი

დუბე-აუბი — სპარსულიდან თარგმანი ლია ასათიანმა	45
------------------------------------------------	----

არაბული ლიტერატურა

ხანსა

ძმაზე ნათქვამი მარცები — არაბულიდან თარგმანი მზია ბოლქვაძემ	47
„ო თვალთ ჩემო“	49
„არ მასვენებენ მოგონებები“	50

ომარ იბნ აბუ რაბია

„არა ვიცი რა, ვით ვაქცხო...“ თარგმანი მისივე	51
„გული თვესას მანც არ იშლის...“ თარგმანი მისივე	51

445

„ადორაქინენ ჩემი ლექსები“ — თარგმანი მისივე	52
„ტრობორო სნეული“	52
„შემოშუყარა ქერციკთა გუნდი...“ — არაბულიდან თარგმნა ზ.ზა სიხარულიძემ	52
„ნეტოჲ კარვის წინ გინ ეჭდა...“ — თარგმანი მისივე	53
„ჩემს სსოვსას შერხა...“ — თარგმანი მისივე	53
„ძვირდავო, ვისაც სიკვდილამდე...“ — თარგმანი მისივე	53
„თვალუცბერმლიანს შემეყოთხა დღეს მკობარაი“ — თარგმანი მისივე	53
„მინც ქოცტად...“ — თარგმანი მისივე	54
„დაღვა ღრთ“ — თარგმანი მისივე	55
„გავვხანენ მასთან მოცქულად...“ — თარგმანი მისივე	55

ანონიმი პედიონი

კოლის სიკვდილზე — არაბულიდან თარგმნა მზია ზოლქიანემ	56
-----------------------------------------------------	----

ჟენობი ავტორი

სატარღოზე თქმული მარსია — თარგმანი მისივე	57
-------------------------------------------	----

აბუ ლ-ათაია

„ძმავაქმი მეთხა“ — არაბულიდან თარგმნა ზ.ზა სიხარულიძემ	58
„სიკვდილი კარებს ჰგავს“ — თარგმანი მისივე	58
„უინც იბადება“ — თარგმანი მისივე	58

აბუ ნუვასი

სოტბა ხალიფა ქარუნ არ-რაშიდს — არაბულიდან თარგმნეს თინათონ მარკველა-შვილმა და გივი ციციშვილმა	59
-----------------------------------------------------------------------------------------------	----

სოტბა ხალიფა ალ-ამინს — თარგმანი მათივე	60
-----------------------------------------	----

სოტბა ევგატიუს განმეგებელს ალ-ხაიბს — თარგმანი მათივე	61
-------------------------------------------------------	----

თქმული ხალიფა მუჰამად ალ-ამინზე — თარგმანი მათივე	68
---------------------------------------------------	----

„მე პატრებს არ ვითხოვ, არა“ — თარგმანი მათივე	66
-----------------------------------------------	----

თქმული ვალიბა იბნ ალ-ჰუბაჰზე — თარგმანი მათივე	67
------------------------------------------------	----

თაგის თავზე დაწერილი ავადმყოფობისას — თარგმანი მათივე	68
-------------------------------------------------------	----

თქმული ბარმაქიანებზე — თარგმანი მათივე	69
----------------------------------------	----

თაგის თავზე დაწერილი ავადმყოფობისას (ეცოცხალი სიტყვა...) — თარგმანი მათივე	69
----------------------------------------------------------------------------	----

თქმული ხალიფა მუჰამად ალ-ამინზე — თარგმანი მათივე	69
---------------------------------------------------	----

„ღის ნოაღუნს ეს ქვეყანა“ — თარგმანი მათივე	70
--------------------------------------------	----

„ეს სიკვდილი ყურის ძირში სახლობს“ — თარგმანი მათივე	70
-----------------------------------------------------	----

„ქე მოკვდაენო მიწის შვილნო“ — თარგმანი მათივე	71
-----------------------------------------------	----

პოეტ არ-რაჰაშის სიმუნწის გამო — თარგმანი მათივე	71
-------------------------------------------------	----

„არ-რაჰაშის კარდალა“ — თარგმანი მათივე	73
----------------------------------------	----

ისმაილ იბნ ნაჰუბანთის სიმუნწის გამო — თარგმანი მათივე	73
-------------------------------------------------------	----

„გაუდაბურდა ალ-მუსალა“ — თარგმანი მათივე	75
------------------------------------------	----

„ო, ნუ გამკიცხავ“ — თარგმანი მათივე	77
-------------------------------------	----

„ღეინო აქე, ადიდე“ — თარგმანი მათივე	78
--------------------------------------	----

„ზოგ-ზოგე თანამესუფრე“ — თარგმანი მათივე	79
------------------------------------------	----

„დაღვა-დაღვე ერაჰრთა მტროსენ“ — თარგმანი მათივე	80
-------------------------------------------------	----

„ოცი რატომ ვეხუტება თვალში?“ — თარგმანი მათივე	81
„მეგობრობა ცუდსამა...“ — თარგმანი	82
„ამ ცხოვრებას მშინა აქვს დასი“ — თარგმანი მათივე	82
„ტოპის დაეცევი“ — თარგმანი მათივე	83
„ღვინის და პინდის სუ გაცეს დარდი“ — თარგმანი მათივე	83
„ღეს სო რომ ყოფილყო“ — თარგმანი მათივე	84
„საბრძანებელი დიად“ — თარგმანი მათივე	84
„მომეწოდე, ყომაო, თანა“ — თარგმანი მათივე	85
„მომეძაღღრადა“ — თარგმანი მათივე	86
„თავი ანებე იმ კარვის ნაშთებს“ — თარგმანი მათივე	86
„საბრძანებელი რეკე შინ, მუქამა“ — თარგმანი მათივე	86
„ნაშთისხი, იესუესად“ — თარგმანი მათივე	91
„ამაოა სუცლა“ — თარგმანი მათივე	93
„სამელოვიარო მჭკრიშა“ — თარგმანი მათივე	94
„სიმი გული დაეგრა“ — თარგმანი მათივე	94
„ღვინის ნამომ მამდნეს“ — თარგმანი მათივე	95
„რამდენს უკითხავს“ — თარგმანი მათივე	85
„ურთმა ქალმა“ — თარგმანი მათივე	96
„მეცადე კარის მსეთესახეს“ — თარგმანი მათივე	97
„ღმერთო ვინე რკინას...“ — თარგმანი მათივე	97
„სატრფომ მინსრა უარა“ — თარგმანი მათივე	99
„როცა დამით ოცნებას...“ — თარგმანი მათივე	100
„ტანის საბანად...“ — თარგმანი მათივე	101

მუთანაბბი

„ტანს ვინე მირსევს...“ — არაბულიდან თარგმანი ზაზა სიხარულიძემ	102
---------------------------------------------------------------	-----

იხუ ალი იზნ ალი აღ-მუჰასინ ათ-თანუზი

ყაზირი იზნ მუკლა და ქათიბი იხუ აჰმად აღ-ფადლ აშ-შირაზი — თარგმანი გონა ჯაფარიძემ	104
----------------------------------------------------------------------------------	-----

თაუფეე აღ-მაქიმი

კრიტიკული მდგომარეობა — არაბულიდან თარგმანი დიკო გონილოვიშვილმა	106
-----------------------------------------------------------------	-----

სასამართლოში — თარგმანი მისივე	110
--------------------------------	-----

შარაზადი — არაბულიდან თარგმანი ლალი ცოცხაძემ	123
----------------------------------------------	-----

ალი ღუაჭი

ღატაკის განსი — არაბულიდან თარგმანი ზაზა კოტეტიშვილმა	172
-------------------------------------------------------	-----

იუსუფ იღრისი

განი — არაბულიდან თარგმანი სენო ბეროზაშვილმა	174
----------------------------------------------	-----

გამეზვი ასიურტმა... — არაბულიდან თარგმანი იზოლდა გომეზიძემ	176
------------------------------------------------------------	-----

ხალიზის ძებნაში — არაბულიდან თარგმანი რუსუდან კვიციანიძემ	177
-----------------------------------------------------------	-----

წაღალი — არაბულიდან თარგმანი ლალი რუხაძემ	182
-------------------------------------------	-----

თურქული ლიტერატურა

ხოქა ნახრედინის ანეკდოტები — თურქულიდან თარგმნეს სერგეი ჩიქიამ (პირველი ანეკდოტი) და ლია ჩლაიძემ 185

რეზად ნურის ვიუნთეჟინი

მუქარა — თურქულიდან თარგმნა მკაა შონიამ 189

როგორ ეცემა ადამიანი — თარგმანი მისივე 191

„კონტრადანდისტ“ — თურქულიდან თარგმნა ვიქტორ ჩიკაიძემ 195

საბაშათინ ალი

ცხელი წყალი — თურქულიდან თარგმნა ვენერა ჭანგიძემ 199

ანდან ველი ქანიჯი

მალალი საზოგადოება — თურქულიდან თარგმნა მზია გურგენიძემ 207

ბეჟირ ილდიზი

მოკვეთილი მარჯვენა — თურქულიდან თარგმნა ირინე გოცირიძემ 205

შაჰზადრიანი პატარძალი — თარგმანი მისივე 211

აზირბაიჯანული ლიტერატურა

ნიჰამი განქელი

ბასრამ-გური -- სპარსულიდან თარგმნა შავალი თოდუამ 215

უზბეკური ლიტერატურა

ერქინ აზაშოვი

ზღურბლი — უზბეკურიდან თარგმნა აკვულ ცალქალმანიძემ 413

კომუნისტარები 421

ლექსიონი 429

რედაქტორი მ. რუხაძე
მხატვარი მ. თავაძე
მხატვრული რედაქტორია აკ. თევზაძე
ტექნიკური რედაქტორი ნ. აფხაზავა
კორექტორები: დ. ცინცაძე,
შ. ხუტაშვილი
გამომშვები ნ. მანაგაძე

ს. ბ. 6032

გადაეცა წარმოებას 10.12.87. ხელმოწერილი დასაბეჭდად
13.04.88. საბეჭდი ჰალალდი № 1. 60X90¹/₁₆. გარნიტური ფენა.
ბეჭდვის ხერხი შალალი. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 27,5.
პირ. საღ.-გატ. 27,75. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 23,5.
ტირაჟი 30.000. შეკე. № 666.
ფასი 2 მან. 10 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და
წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ბეჭდვითი
სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат печати Государственного комитета Грузин-
ской ССР по делам издательства, полиграфии и книжной
торговли, Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.